სერგო ჯორჯაძე

ოქტოერიხე ჭავჭავაძე

II

„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი

გზა სიარულმა დალია...

•

ეკატერინე ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკისათვის იქნებ არ იყოს აუცილებელი და ამიტომაც მეპატიოს, თუ არ აღვწერო, რა ბედი ეწიათ დაპატიმრებისა და გადასახლების შემდეგ უტუ მიქავას და მის თანამებრძოლებს. უტუს ამბავი ბევრჯერ ყოფილა აღწერილი და, ალბათ, ვინმე კვლავ დაუბრუნდება ბედდამწვარი მჭედლის ტრაგიკულ თავგადასავალს. ცირა?! არც ციოას ბედზე ვიტყვით რამეს. ამ უბირი და ულამაზესი ქალის ცხოვრება მთელი რომანია და ეპიზოდურ აღწერას ვერ ეაკადრებთ მას. სჯობს, ესეც ადამიანთა ბედის მომავალ მჩხრეკელს მიენდოს. არც იმაზე მოგახსენებთ რამეს, თუ რა ბედი არგუნა ცხოვრების უსამართლოდ ბრუნვამ დამარცხებულ ანდრი გეგეჭკორს.

ყოველ დაკვირვებულ მკითხველს თვითონ შეუძლია წარმოიდგინოს მათი ცხოვრების დასასრული.

მე კი ისევ ეკატერინეს ცხოვრებას მივყვები და მის ნაკვალევს ვერ მოვცილდები...

ორპირში ეკატერინესთვის გამზადებულ პატარა გემს პირველი კლასის კაიუტები და ერთი მოზრდილი სადარბაზო ჰქონდა. ეკატერინე და მისი შვილები სადარბაზო კაიუტაში მოკალათდნენ. დედოფალი ფეხზე იდგა და გასცქეროდა რიონის სანაპიროს. თითქოს პირველად ენახოს ეს არემარე. ყოველ სოფელს, ყოველ ხეს, ყოველ ბუჩქს ცნობისმოყვარეობით აცქერდებოდა. ნელა მიცურავდა პატარა გემი. კი არ მიდიოდა, მიირხეოდა რიონის სანაპირო ხეივანში. ირგვლივ ყველაფერი ლამაზი იყო.

დედოფალმა გვერდით უფროსი ვაჟი ნიკო მოისვა და საგანგებოდ უხსნიდა ყოველივეს. ქვალონს რომ გასცილდნენ და გემი ჭალადიდის სიღრმეში შეეცალა მიდამო უფრო

დაიბურა ტყით. ყოველ გავაკებაზე დედოფალს უამრავი ხალხი ეგებებოდა. ქალები, კაცები, ბავშვები გემს ხელის ქნევითა და მოუშორებელი მზერით აცილებდნენ. ამის შემხედვარე დედოფალს ქალურმა სისუსტემ სძლია და ცრემლი მოეძალა. ნიკოს ვერ გაეგო, რას ნიშნავდა დედის ცრემლი და ბავშვური გულუბრყვილობით ჰკითხა, რა იყო, დედიკო, რა მოგივიდაო. და, პასუხი რომ ვერ მიიღო, თვითონაც აღრიალდა. ახლა კი გონს მოეგო დედოფალი, შვილი გულში ჩაიხუტა და ძლივს დააშოშმინა.

მთელი დღე დასჭირდა ფოთამდე მგზავრობას. ეს პატარა საპორტო ქალაქი დიდი ამბით დახვდა დედოფალს. მაგრამ ვერც საზეიმო შეხვედრამ, ვერც ფოთელების მოალერსებამ ვერ უკუყარა ყელს მობჯენილი ნაღველი დედოფლისა. ეს ღამეც წვალებით გაათენა. მეორე დღეს ადრე ადგა. ოქტომბერი იყო, მაგრამ მაინც ცხელოდა.

ეკატერინემ შვილები მოიხმო. სათითაოდ გადაკოცნა. ჩვეულებრივზე უფრო მოეფერა. პატარებს არაფერი გაჰკვირვებიათ, მაგრამ მათ აღმზრდელებს უკვირდათ ასეთი მეტისმეტი აყოლა გრძნობებისა. ეკატერინე, საერთოდ, დიდი მოყვარული იყო შვილებისა, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებით ეალერსებოდა პატარებს. ახლა, როცა თავის სამთავროს სტოვებდა და პეტერბურგს მიდიოდა, მან მთელი ძალით იგრძნო დედის მოვალეობა, მთელი ძალით აღეძრა ფიქრები შვილების მომავალი ბედისა.

ეკატერინე და მისი ამალა დღის სამ საათზე უნდა ჩამსხდარიყვნენ ოდესისაკენ მიმავალ გემში.

ამინდი წუნარი და მშვიდი იყო. ზღვის სიღრმიდან მოვარდნილი ტალღები ნავსადგურთან დამცხრალიყვნენ, ნაპირს ნელა ეხებოდნენ და უკან ისე ბრუნდებოდნენ, თითქოს ხმელეთს ეალერსებიანო. გემი მსუბუქად ირწეოდა ნაპირზე. გემბანზე ბოგირი გასდეს. ეკატერინე და მისი შვილები კაიუტაში მოეწყვნენ. მაგრამ მალე ისევ გემბანზე გამოვიდნენ. ეკატერინემ ზღვას გახედა. ზღვიდან მონაბერი აღმოსავლეთის ნიავი სახეზე ელამუნებოდა. ეამა კიდეც გრილი ნიავი ოქტომბრის ცხელ ღილას. სწორედ ამ დროს თქვა კაპიტნის თანაშემწემ ოდნავ გასაგონად:

— ეს ნიავი ცუდად მაქვს დაცდილი, იგი ყოველთვის ავდრის მომასწავებელია.

ეკატერინეს ყურადღება არ მიუქცევია ამ სიტყვებისათვის. მაგრამ აი, სოხუმს გასცდნენ თუ არა, მართლაც გაავდარდა, ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. ძიძა ზევით ამოვიდა, ბავშვებს ხელი დაავლო და კაიუტაში შეიყვანა. დედოფალთან კაპიტანი ნოვიდა და მოკრძალებით სთხოვა:

— კაიუტაში შებრძანდით, დედოფალო! ძლიერი ღელვაა მოსალოდნელი, მაგრამ ნურაფრისა შეგეშინდებათ, ჩვენი ბიჭები გამოცდილები არიან და გემიც სალ კლდესავით მაგარია.

ზღვა ბობოქრობდა, ვეებერთელა გემს პატარა ნავივით ათამაშებდა, აიქოჩრებოდა, აღელდებოდა, ტალღები გემს ეხეთქებოდა, გემბანზე შემოღვრილი წყალი კი წელამდე სწვდებოდათ მეზღვაურებს. საშინელი ღრიანცელი იდგა. ქარიშხალი ისე დაჯირითობდა კაიუტებში, თითქოს ეშმა შემომჯდარიყო გემზე და ნიშნისმომგები სისინით ადამიანთა უძლურებას დასცინოდა. ყველაფერი შიშსა და ძრწოლას მოეცვა. შიშისა და რყევისაგან თავბრუდახვეული მგზავრები მოწამლული თევზებივით ეყარნენ, ზოგი ლოგინებში და ზოგიც პირდაპირ იატაკზე. ხმას არავინ იღებდა. მხოლოდ კვნესა და ოხვრა თუ აღმოხდებოდათ ძალზე შეწუხებულთ.

ღამეს დღე სცვლიდა, დღეს ღამე, ქარი კი არ ჩადგა და. ზღვა არ დაწყნარდა. ხუთი დღე ასეთ საშინელ წამებასა და წვალებაში გავიდა, სად იყვნენ, ან რა მოელოდათ, არც კაპიტანმა იცოდა და არც მგზავრებმა. ქერჩიდან გამოსულებმა მეორე დღესვე დაკარგეს გეზი. აგერ, მას შემდეგ ხუთმა დღემ გაიარა და ჯერაც არ იცოდნენ საით მიჰყავდა გემს ბედის ანაბარა დარჩენილი მგზავრები.

იმ დღეს უკვე იმედდაკარგულმა დედოფალმა მღვდელი ბევდორე ხოშტარია იხმო. ღელვისაგან შეწუხებულ-გაფითრებული ხუცესი ძლივს იდგა ფეხზე. დაუძლურებული ეკატერინე კაიუტაში თვალდახუჭული იწვა. ცოტა ხნის შემდეგ თვალი გაახილა, ერთი ღრმად ამოისუნთქა და მოძღვარს სთხოვა:

— მიამბე, მიამბე რამე, მამაო, ეგებ გული გადავაყოლო, თორემ მეტი არ შემიძლია.

ხოშტარია დედოფალთან დაჯდა და ამბავს მოჰყვა.

— დედოფალო, ასე მგონია, რაც ჩვენ თავზე გადაგვხდა, ყველაფერი ავი სულების საქმეა. აბა, თქვენ თვითონ დაუკვირდით, რაც მოხდა. სანამ ჩვენს მიწა-წყალზე ვიყავით, ზღვაც მშვიდი იყო და ქვეყანაც, ჩვენც ბედნიერად ვგრძნობდით თავს. გამოვცილდით სამშობლოს საზღვრებს და ეს უბედურებაც თავს დაგვატყდა.

— მტრები, მტრები აქაც არ გვასვენებენ, მამაო!

— დიახ, დედოფალო, მტრები და ავი სულები, ურჯულოები. კაპიტანმა თქვა, ჩვენ ახლა თურქეთის ზღვაში ვართო. სწორედ ავმა სულებმა გამოგვრეკეს ამ უწმინდურ ქვეყანაში. კონსტანტინეპოლი და ეს ადგილები ხომ ქრისტიანთა წმინდა ადგილი იყო, შემოგვესივნენ და წაგვართვეს, წაგვიბილწეს, მაგრამ ღმერთი არ გაგვწირავს ქრისტესთვის წამებულ ხალხს, დედოფალო.

თქვა თუ არა ეს სიტყვები, ისე გაჰკრა ტალღამ გემს, რომ მღვდელი სკამიდან გადააგდო. თევდორე წამოდგა, პირჯვარი გადაისახა და ისევ დაჯდა დედოფლის სასთუმალთან.

— აი, ხომ ხედავ, დედოფალო, უწმინდურობამ ისევ შემოგვიტია. ეს ავსულები, ეს უწმინდურები არ გვასვენებენ ამქვეყნად. მაგრამ არავის ისე არ ებრძვიან, ჩემო დედოფალო, ამ დედამიწაზე, როგორც ჩვენ, ქართველებს, და იცით, დედოფალო, რატომ ხდება ეს?

ისევ გაახილა დედოფალმა თვალი ვედრებით.

— მაინც რატომ, რატომ, მამაო თევდორე?

— მე, დედოფალო, იმას მოგახსენებთ, რაც გამიგონია და. თუ რამე შევცოდე ღვთის წინაშე, ღმერთი სულგრძელია და მომიტევებს მე უმადურს, უცოდინრობით ჩადენილ შეცდომას. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, დედოფალო, როდესაც ღმერთი ანაწილებდა დედამიწას, თურმე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხის დიდი ჯერი იდგა. ღმერთი ყოველ მათგანს დიდხანს აკვირდებოდა და დიდხანს გამოკითხავდა ვინაობას, მერე ამის მიხედვით არიგებდა ამა თუ იმ ხალხისათვის სამკვიდრებელ ადგილს. ამ დროს, იქვე მახლობლად სამი ქართველი უშველებელ ურჩხულს ებრძოდა, რომელმაც გზა გადაუღობა უფლის სამყოფელოსაკენ მიმავალ ძმებს. ამის გამო თურმე

დაიგვიანეს და ღმერთთან მაშინ გამოცხადდნენ, როცა მიწები უკვე განაწილებული იყო. ქართველმა ხელი გაუშვირა ღმერთს და შესთხოვა, მათი წილი მიწა მიეცა. ღმერთი შეწუხდა და მოახსენა: რაც მქონდა, ყველაფერი გავანაწილე, სად იყავით აქამდეო.

ქართველებმა მოახსენეს: ღმერთისა და ქვეყნის ავსულებთან ბრძოლაში შეგვაგვიანდაო და ხელი იქით გაიშვირეს, სადაც მუცელგამოღადრული ურჩხული ეგდო...

ღმერთს მოეწონა ეს ბრგე ვაჟკაცები და თქვა:

— რა გაეწყობა, მე ჩემთვის დავიტოვე ერთი ნაწილი ჩვენი დალოცვილი მიწისა და თქვენთვის მიჩუქებია, რაკი ასეთი რაინდი ხალხი ყოფილხართო.

დიახ, საქართველო ბრძოლაში დაიბადა და ბრძოლით მიიკაფავს გზას. ამავე დროს საქართველო, უფლისწილი, უფალმა ჩვენ გვიწყალობა, და ამიტომ არის ჩვენი მიწა ბედნიერი და უსვი, ლამაზი და ყოველმხრივ შემკობილი. ღვთისმშობლის წილია ჩვენი საქართველო და ყველაზე ავი სულები სწორედ საქართველოს ემტერებიან, მაგრამ ღმერთი ჩვენთან არის და ეშმაკები ვერაფერს დაგვაკლებენ!

თქვა და დადუმდა მღვდელი.

დედოფალმა ამოოხვრით წარმოთქვა:

— მაშ, საქართველო ღმერთის წილი, მისივე ნაწყალობევია და არ გაგვწირავს ჩვენ, მის შვილებს, არა, მამაო?

ამ დროს ჟრიამულის ხმამ შეატანა კაიუტაში. მგზავრები გემბანზე ხმაურობდნენ. ზღვა დაწყნარებულიყო და გემი ნავსადგურს უახლოვდებოდა.

მალე გამოირკვა, რომ ნავსადგური თურმე თურქეთის იყო, და კაპიტანმაც გემი შეატრიალა, გეზი რუსეთისაკენ აიღეს. მშვიდობით გადარჩენილი დედოფალი და მისი ამალა ოდესის ნავსადგურში შევიდნენ.

ოდესაში ჩასული დედოფლის ამალა, რომელიც სამოცი კაცისაგან შედგებოდა, სასტუმროში დაბინავდა. ნოემბერი იყო, შემოდგომის მიწურული. შავი ზღვიდან კი თბილი ნიავი ჰქროდა. სასტუმროს ოთახები სავსე იყო ზღვისპირეთის სითბოთი და ხალისით. ეკატერინეს ბავშვები ერთბაშად მოსულიერდნენ

და იმავე დღეს ქალაქში გასეირნება მოითხოვეს. მგზავრობით შეწუხებულ ეკატერინეს კი ისევ თავბრუ ეხვეოდა, და იწვა.

კონსტანტინე დადიანმა ძმისწულები ეტლში ჩასხა და ქალაქში გაასეირნა. ბავშვებმა უზომოდ გაიხარეს და მოილხინეს.

ზღვისპირას მაღლობზე გაშენებული ქალაქი ოდესა, მისი ლარივით სწორი და ფართო ქუჩები, და სამსართულიანი შენობები, სკვერები, ბაღები, მაღალგუმბათიანი მონასტრები და ეკლესიები, ქუჩაში მოფუსფუსე ხალხი, რესტორნები და მაღაზიები, დიდძალ უცხოელთა ნაირ-ნაირი ჩაცმულობა ხიბლავდა ჩამოსულ ქართველებს. ეკატერინე და მისი ამალა ოდესაში მთელი კვირა დარჩნენ. დადიოდნენ და ათვალიერებდნენ შესანიშნავ ადგილებს. ყველაზე მეტ ცნობისმოყვარეობას მღვდელი თევდორე იჩენდა. მას არც ერთი ეკლესია და მონასტერი არ დაუტოვებია. ყველგან იყო, ყველაფერი მოინახულა, ყველგან ილოცა, ყველა დიდ ხატს და ანგელოზს სანთელი აუნთო. გამოიკითხა მათი სადაურობა და ამბავი. საღამოს გვიან ბრუნდებოდა და მერე შუაღამემდე ყვებოდა ნახულსა და გაგონილს.

ოცდახუთ ნოემბერს ეკატერინე მთელი ამალით მოსკოვს გაემგზავრა.

ოდესას გასცილდნენ თუ არა, რუსეთის ზამთრის სუსხი საგრძნობი გახდა. ყინვით გაითანგა ყველაფერი. ამალა საზამთროდ იყო შემოსილი, მაგრამ მაინც სციოდათ. ყინვას, ნისლიან დღეებს დასასრული აღარ უჩანდა.

ორი თვის წინ დედოფალი შვილებითა და ამალით, გორდის უღელტეხილით დაეშვა, კოლხეთის ვაკით შავ ზღვას მიადგა და აღელვებულ ზღვის სტიქიონს ძლივს გადაურჩა. ახლა კი რუსეთის თვალუწვდენელი ტრამალებით მოსკოვს უახლოვდებოდა. ბედი მისი რუსეთის მბრძანებელს — ალექსანდრე მეორეს ებარა. გაჰყურებდა განიარაღებული დედოფალი, წინ კიდევ უფრო ძნელად გადასასვლელი უღელტეხილი ესახებოდა. დედოფალმა ყრუდ ჩაილაპარაკა: „არა, უნდა ვიბრძოლოთ, დაე, იცოდეს ყველამ, რომ სამეგრელოს გვირგვინოსანი დედოფალი ასე ადვილად არავის მისცემს დამცირების ნებას“. ესა თქვა და ეტლის სარკმლიდან ისევ გახედა ყინულით და თოვლით გათანგულ რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებს...

დიდხანს, დიდხანს იარეს თოვლსა და ქარბუქში, ვიდრე მოსკოვს მიაღწევდნენ.

მოსკოვში ეკატერინემ ამალა სასტუმროში დააბინავა, თვითონ კი თავისი მაზლის, კონსტანტინე დადიანის თანხლებით ბესარიონ დადიანს ესტუმრა. სამი წელი იყო, რაც ბერმონაზვნად გამწესებული ბესარიონი მოსკოვში იმყოფებოდა. მას იმერეთის ეპისკოპოსად ამზადებდნენ. დადიანი იმერეთის მეფის სოლომონის ქვრივის ოჯახში ცხოვრობდა. მან დიდი პატივით მიიღო სამეგრელოს დედოფალი.

დეკემბრის ყინვები იდგა. მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი, კრემლის დიდ მონასტერში ნიკოლოზ პირველის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად სწირავდა. დედოფალი მთელი ამალით დაესწრო პანაშვიდს, როცა ფილარეტს მოახსენეს, სამეგრელოს დედოფალი თავისი შვილებითა და ამალით წირვას ესწრებაო, მან სასურველი სტუმრების ნახვა ინება. დედოფალიც შვილებით წარუდგა ფილარეტს. მთავარი ნიკო, დედის წაბაძვით, ხელზე ეამბორა მიტროპოლიტს. მიტროპოლიტმაც, თავის მხრივ, ხელზე აკოცა პატარა მთავარს და თან სეფისკვერი გაუწოდა. ეკატერინემ დიდად გაიხარა ამით. იფიქრა: მიტროპოლიტმა, ალბათ, იცის ჩვენი ფასი და ადგილი, პატივისცემა დაუდასტურა სამეგრელოს მთავარს, და აქ ზედმეტი და გადაჭარბებული არაფერიაო, მაგრამ, როდესაც თავისი ახლანდელი მდგომარეობა მოაგონდა, მის სულს მწარე სევდა შემოაწვა. ვაი, რომ ყველაფერი ეს წარსულს ეკუთვნოდა და მომაკალი ბურუსით იყო მოცული.

სულ მალე დედოფალმა პეტერბურგისკენ აიღო გეზი.

ეკატერინემ ოცდარვა წლის თევდორე მღვდელი შვილების მასწავლებლად წაიყვანა პეტერბურგს. საშუალო ტანის ახალგაზრდა მღვდელს სანდომიანი სახე ჰქონდა. სიგამხდრის გამო მაღალი ჩანდა. ეს უაღრესად ცნობისმოყვარე, გონებაგახსნილი კაცი პირველად იყო რუსეთში და ყველაფერს აკვირდებოდა, ყველაფერს იწერდა, მოსკოვის ყველა ეკლესია ხომ ფეხით შემოიარა და მოინახულა. ახლა პეტერბურგშიც — ამ უცნაურ ქალაქში სიარულით იჯერა გული.

ეკატერინე დედოფალი, შვილებითა და მაზლით კონსტანტინეთი, მისთვის წინასწარ მომზადებულ სახლში დაბინავდა.

ეს სახლი ნევის პროსპექტზე კაზანის ტაძრის გვერდით იდგა. დედოფლის ამალა კი სასტუმროში მოეწყო. ეს სასტუმრო ისაკის ტაძრის წინ იყო აღმართული და მარჯვნივ, ნევის გაღმა, პეტრე-პავლეს ციხე-მონასტერს გაჰყურებდა. ტაძრის გუმბათზე დიდი საათი ეკიდა და დღის თორმეტ საათზე ისე ხმამაღლა რეკავდა, რომ მისი გუგუნი მთელს პეტერბურგს ესმოდა. ისაკის ტაძარი ხარაჩოებში იყო ჩასმული. სამუშაოები დამთავრებას უახლოვდებოდა. მღვდელი თევდორე ყოველ ცისმარე დილას უქვრეტდა ამ უცნაური სიდიდისა და სილამაზის ტაძარს, მერე პეტრე-პავლეს და კაზანის ტაძრებს მიაშურებდა. ათვალიერებდა ყველაფერს, ლოცულობდა და შინ გაკვირვებული ბრუნდებოდა.

— არა, მაინც რა ქალაქი ყოფილა ეს პეტერბურგი! მასზე ბევრი რამ მსმენია, მაგრამ რაც ვნახე, ეს ყველაფერს აჭარბებს.

მღვდელი ყოველდღე ყარაულობდა სასახლიდან ალექსანდრე მეორის გამოსვლას. ეტლში მჯდომ მეფეს და მის ამალას სულელივით აჩერდებოდა, აკვირდებოდა. შორიდანვე სცნობდა მეფეს.

ახალ წელს დედოფალი თავისი ამალით სასახლეში მიიწვიეს.

ალექსანდრე მეორემ დიდი ამბით მიიღო ეკატერინე. მის უფროს ვაჟს ნიკოს პირზე აკოცა. მერე მთელ ამალას მიესალმა. იმპერატორმა დედოფალი ახლოს მოისვა. მის მხლებლებს კი იქვე დარბაზში თვალსაჩინო ადგილი მიუჩინეს.

თევდორე მღვდელი თვალს არ აშორებდა იმპერატორს. შორიდან შესციცინებდა და გულმოდგინედ აკვირდებოდა მის ყოველ მოძრაობას.

იმ ახალ წლის ღამის ზეიმი იმპერატორის სასახლეში მართლაც საოცარი, თვალმომჭრელი, ზღაპრული სანახაობა იყო.

* * *

ეკატერინე კარგად მოეწყო პეტერბურგში. თვით იმპერატორი ეახლა სამეგრელოს დედოფალს მისთვის გამოყოფილ რეზიდენციაში. იმპერატორმა იმედებით და დაპირებებით აავსო მოწყალების მაძიებელი დედოფალი.

მეორე დღესვე ეკატერინეს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანება გადასცეს, რომლის მიხედვითაც დავით დადიანის ოჯახს წლიურად ოცდაათი ათასი მანეთი ენიშნებოდა, მისი შვილების აღზრდას კი სახელმწიფო კისრულობდა. ეკატერინე თავისი ამალით, ბავშვებით, აღმზრდელებით და მოახლეებით დიდებულად ცხოვრობდა პეტერბურგში, მაგრამ მაინც წუხდა. — ახლა მისი სამთავროს ბატონი და განმკარგულებელი უცხო ძალა იყო. წუხდა დედოფალი და იმედს მაინც არ კარგავდა.

აი, მისი ნიკო, სამთავროს მემკვიდრე, მალე სრულწლოვანი გახდება და ისევ დაიბრუნებს სამთავროს იმპერატორისაგან აღთქმული პირობის ძალით. ისევ გაიხარებს ეკატერინეს სასახლე, ისევ დააჩოქებს მოშურნესა და მტერს... — ოცნებობდა ეკატერინე და ამ ოცნებით დაიმედებული ისევ ჩაება ცხოვრების ფერხულში. ისევ გაიხარა პატივს, დიდებას, თაყვანისცემას მიჩვეულმა დედოფალმა.

რუსეთის იმპერატორის კარზე, ბალებზე, მიღებაზე, სახელმწიფო ცერემონიალებზე კვლავ გამოჩნდა დედოფალი. ოცდაჩვიდმეტი წლის ულამაზესმა მანდილოსანმა მოხიბლა სასახლის შინაურები და სტუმრები. ისევ ყველას ყურადღებას იპყრობდა დის, ნინო გრიბოედოვას სიკვდილის გამო ძაძებით მოსილი ეკატერინე.

იმპერატორის კარზე გამართულ ნადიმებზე ესპანეთის ჰერცოგი დ'ოსუნა კვლავ აღარ სცილდებოდა ეკატერინეს, ერთგულებას ეფიცებოდა, ცოლობას სთხოვდა სათაყვანებელ ქერივს.

— დედოფალო, ეტყობა, ღმერთს ჩემზე მთლიანად არ აუღია ხელი, რომ ისევ მეღირსა შეგხვედროდით აქ, პეტერბურგს. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ მას შემდეგ, რაც თქვენ გაგიცანით, დავკარგე სიმშვიდე სულისა. თქვენთვის თეთრად გათენებული ღამეები იყოს თავდები, რომ მე ფიქრით და ოცნებით მუდამ თქვენთან ვიყავი, თქვენით ვცოცხლობდი. არ დაგიმალავთ და გეტყვით, მადრიდში ჩემს მეფეს წერილი მივწერე, ერთი წლის შვებულება ვთხოვე. ვფიქრობდი, თქვენთან წამოვსულიყავი სამეგრელოში და შემებრალებინა თავი, რომ მოსვენება დაკარგულ ჩემს სულს თქვენი კალთის ქვეშ მშვი-

დობა ენახა. დიახ, ასე ვფიქრობდი და იმის იმედიც მქონდა, რომ ამ საქმეში თქვენი მშვენიერი და — ნინო დამეხმარებოდა. ის მეგულებოდა იმედად, მაგრამ ვაი, რომ ჩემი მფარველი ანგელოზი უკვე აღარ არის. და ახლა მე თვით უნდა გითხრათ, ჩემი სულის აღსარება, დედოფალო!

ესა თქვა ჰერცოგმა, დაიჩოქა და დაემხო ეკატერინეს წინაშე. ეკატერინე გაოცდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამ დროს თავგზადაკარგულმა დ'ოსუნამ დედოფალს ხელი დასტაცა და კოცნა დაუწყო. ამას კი არ მოელოდა ეკატერინე. ხელი წაჰგლიჯა უიმედო მიჯნურს და უბრძანა:

— ადექით, აბა რასა ჰგავს თქვენი საქციელი! მე აქ შვილებიც თანა მყავს და ახლობლებიც, და ვინმემ რომ დაგვინახოს, რას იფიქრებენ! გონს მოდით, ბატონო, და გთხოვთ ნუ მაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში!

როგორ არ ემუდარა დედოფალს დ'ოსუნა, როგორ არ დაუყვავა, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. ეკატერინე უარზე იყო და კვლად უმტკიცებდა ჰერცოგს:

— მე ბევრი მყავდა თაყვანისმცემელი, ბევრი მპირდებოდა მეგობრობას... მაშინაც, როდესაც ომის ქარცეცხლში იყო ჩემი სამთავრო და მაშინაც, როცა აჯანყების ალში იყო გახვეული, მაგრამ არც ჭირში და არც ლხინში არ გადამიდგამს ეს ნაბიჯი. ახლა კი გვიან არის.

ეს თქვა დედოფალმა და მეორე დარბაზში გავიდა.

* * *

ეკატერინემ იმ დღეს მეორედ უთხრა უარი ესპანელ ელჩს. ესპანელს, მართლაც, გულით უყვარდა დედოფალი და ახლა კაცები მიუგზავნა. შუამავლებმა შორიდან შემოუარეს დედოფალს. რა არ უთხრეს, მაგრამ ვერაფრით ვერ დაიყოლიეს. ეკატერინემ ისევ უარით გაუმოისტუმრა ელჩის მიგზავნილი კაცები. მთლად გახელდა ჰერცოგი და იმავე დღეს თავად ესტუმრა დედოფალს.

— არ მესმის, ასე უწყალოდ ხელი რად მაკარით, სალოცავო. დღესა და ღამეს თქვენზე ოცნებაში ვატარებ, თქვენი სიყვარულითა და ტრფიალით ვარ ასე ამაყი. და თუ ამ სიყვარულში დავმარცხდი, ალბათ, არც ვისურვებ სიცოცხლეს. — ჰერ-

ცოგმა დედოფლის წინ კვლავ დაიჩოქა. დედოფალი შეწუხდა, ჰერცოგის სიტყვები ისეთი დამწვარი გულით იყო ნათქვამი, რომ შეეცოდა. დაუყვავა:

— ჩემო კეთილო, ამაოდ ვაგტეხიათ გული. თქვენ ჯერ სრულიად ახალგაზრდა ბრძანდებით და ცხოვრება წინ გაქვთ. ხვალ-ზეგ, ჩემზე უკეთესს შეხვდებით და, ალბათ, მაშინ ასე აღარ იფიქრებთ.

— არა, დედოფალო, ეს ასე არ არის. როდესაც თქვენგან მტკიცე და საბოლოო უარი მივიღე, შეურაცხყოფილი დავრჩი. გადავწყვიტე, არასდროს აღარ მომემართა თქვენთვის. სხვებს დავუწყე ძებნა. ლამაზ ქალს ცოტას როდი ვიცნობდი, მეგონა, თანასწორს მოვძებნიდი, იმის სიყვარულს გულს გადავაყოლებდი და ყველაფერი გამოვლიდა. ასეც მოვიქეცი, მაგრამ სულ ტყუილი გამოდგა. გულმა თქვენს გარდა სხვა ვერავინ შეითვისა და შეიყვარა. აჰა, ისევ თქვენთან მოვედი. გული ჩემი მძიმედ არის დაჭრილი და სხვას არავის ძალუძს მისი ვამთელება. მე ახლა თქვენთან ხელის სათხოვნელად კი არ მოვედი როგორც ტოლთან, არამედ — სავედრებლად. თქვენ ისიც მოგეხსენებათ, დედოფალო, რომ მთელმა პეტერბურგმა იცის ჩემი ამბავი. ასე მგონია, საზოგადოებაში დამცინიან თქვენგან უარყოფილს. როგორც განუზომელია ჩემი სიყვარული, ისე დიდია ჩემი თავმოყვარეობა; მე უზომოდ შეურაცხყოფილი ვარ თქვენი უარით. და ნუ იზამთ ამას, დედოფალო, ნუ დამტოვებთ ამ მდგომარეობაში, ანგარიში გაუწიეთ თქვენდამი ჩემს უდიდეს პატივისცემას. ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით ერთ ჭერქვეშ.

დ'ოსუნა თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ეკატერინეს, სწორედ ამ დროს დედოფალი ბუხართან მივიდა და შეშა შეუკეთა. ძირს დახრილს ტანზე მოხურული აბრეშუმის მოსასხამი ჩამოუცურდა და ახლა მშვილდივით მოხრილ ნატიფ ტანს შეაცქერდა მთლად გახელებული ესპანელი. ოცდაჩვიდმეტი წლის ეკატერინე ისევ ლამაზი იყო და ლამაზი! ქალიშვილის სიკოხტავე და ეშხი გაუხუნრად შერჩენოდა მისი სხეულის აღნაგობას.

დ'ოსუნა ისევ დაჟინებით მისჩერებოდა წელში გამოყვანილ, მკერდსავსე დედოფალს. ამის შემცნე ეკატერინე უც-

ბად მოტრიალდა და აელვარებული სახე შეანათა ურცხვად მოთვალთვალე მიჯნურს და გაღიმებული სახე ერთბაშად მოელუშა. ეკატერინემ ისე გაიარა მცირე მანძილი ბუხრიდან სავარძლამდე, რომ ესპანელმა დედოფლისაგან მონუსხული თვალები ვეღარ გაუმართა სასურველ მიჯნურს.

ისევ დახარა ჰერცოგმა თავი დედოფლის წინაშე. ეკატერინე წუხდა, ღელავდა. ჰერცოგმა განაგრძო:

— თქვენც კარგად იცით, რომ მე არც დიდება მაკლია და არც სახელი, არც მამული და არც სასახლეები. მხოლოდ თქვენი თანაგრძნობა მაკლია და ახლა სასოებით შეგცქერით, დედოფალო. სხვა საწუხარი ამ ქვეყანაზე მე აღარა მაქვს. ქონებაც, ხარისხიც, ოცნებაც და იმედიც თქვენა ხართ ჩემთვის და ნუ მომიშლით ამ ბედნიერებას. თქვენმა ყოყმანმა დამიხშო იმედი, გამიღეთ გულის კარი, დედოფალო!

ჰერცოგმა დედოფალთან ახლოს მიიწია. ახლა კი გონს მოვიდა ეკატერინე და წამოდგა:

— არა, ჩემო კეთილო, საყოყმანო არა მაქვს რა, დიდი ხანია მტკიცედ გითხარით ჩემი აზრი. ჩემი უარის მიზეზი უბრალო როდია. მე არც თქვენი ხარისხი დამიწუნებია, არც მამული, არც კაცობა და არც გვარიშვილობა, მაგრამ კიდევ გეუბნებით, მეორედ არ გავთხოვდები, თუნდაც მეფემ ამირჩიოს საცოლედ. რაკი ასეა გეტყვით: მე შორეულ ლანდებს ვეტრფიალები, ჩემი გული ორ კაცს ეკუთვნის — ჩემს კანონიერ ქმარს დავით დადიანს და ჩემს სიყრმის მეგობარს პოეტ... ამის მეტს ნურაფერს მკითხავთ, და ნურც ნურაფერს მთხოვთ. მე მათზე ვოცნებობ, მათს შესახვედრად ვამზადებ ჩემს სულს. მე ცოდვად ისიც მეყოფა, რომ ამ გარდაცვლილ ლანდებს ორი სახელი აქვს. მესამე მათ არასოდეს მიემატება. მე სიყვარულისათვის, მიჯნურობისათვის ვიყავი დაბადებული და ამ სიყვარულმა დამისამარა ყველა იმედი, გარდა ერთისა.

ჰერცოგმა იფიქრა, ეს ერთი ალბათ ის არის, ვისაც უარი უთქვამს დედოფლისათვის, მაგრამ ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ დედოფალმა განაგრძო:

— მე ახლა ერთი იმედით ვსულდგმულობ: ყველა ამქვეყნიური სიამე დავივიწყო და ვილოცო მათ შესახვედრად. ამ ფიცს არ ვუღალატებ.

ეს თქვა და ისევ დაბრძანდა. მერე "რა არ უთხრა, საიდან არ შემოუარა ჰერცოგმა დედოფალს, მაგრამ ამაოდ.

ესპანელი ელჩი შინ ისევ გულმოკლული და იმედგაცრუებული დაბრუნდა.

* * *

ილია ჭავჭავაძე პეტერბურგს ჩავიდა. მან გამოცდები წარმატებით ჩააბარა და უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხეს. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის ახალგაზრდობა დეკაბრისტების კვალზე ცარიზმის წინააღმდეგ ირაზმებოდა. ილია ამ მოწინავე ახალგაზრდების წრეში მოხვდა. პატრიოტულად გულაგზნებულ ილიას დიდად მოეწონა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებული რუსეთის ახალგაზრდობა და მის წრეში გულმოდგინედ ჩაება.

ჩერნიშევსკისთან შეხვედრებმა და რევოლუციური აზრების მოსმენამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ახალ რუსეთს არა სძინავს და იმ დიდი იდეალებისათვის იბრძვის, რომლის ექო აგრე ეხმაურება მის მებრძოლ სულს. ილია 60-იანი წლების რუსეთის ახალგაზრდობის აღელვებულ ზღვაში თავგანწირვით გადაეშვა და მაგრად მოუსვა მკლავი თავისუფლების ნაპირისაკენ. დღე და ღამე „სოვრემენიკის" კითხვაში იყო. კითხულობდა და ღელავდა, მის სულში ანთებული ნაპერწკალი თანდათან ღვივდებოდა.

ვინც ცარიზმის წინააღმდეგ იბრძვის, ახლა „სოვრემენიკის" ახალგაზრდობასთან უნდა იყოს, — ამბობდა ის და სხვებსაც ამ დიდ საქმეში აბამდა.

ილიას აჰყვა ქართველი სტუდენტობა და ეს ახალგაზრდობის ნაღები ერთბაშად „სოვრემენიკის" ჯგუფში აღმოჩნდა.

...მწერლობით გატაცებული ჭაბუკი ილია, საკუთარ ლექსებს ხშირად უკითხავდა თავის უფროს დას ნინოს. ნინოს მოწონებასა და დაწუნებას ილია დიდად აფასებდა. ნინო აღტაცებით უსმენდა პოეტ ძმას და აქებდა ლექსების წერაში. „ცისკრის" 1857 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ილიას ლექსი „ჩიტი". ამ ამბით ყველაზე მეტად ნინომ გაიხარა, ზეპირად დაისწავლა ძმის ლექსი და მთელს ყვარელს მოსდო ეს

ამბავი. იმ წელს ილია პეტერბურგს გასამგზავრებლად ემზადებოდა...

ილია პეტერბურგში ბეჯითად განაგრძობდა ლექსების წერას და ხშირად სწერდა წერილებს თავის დას ნინოს. ნინომ ამ წერილების პასუხად 1858 წლის ბოლოს ასეთი ბარათი მისწერა ძმას: „აბა სად არის, სად წავიდა შენი ქადილი, სულ მალე ნახავ ჩემს ლექსებს „ცისკარშიო“. რაც შენ წახველ, სულ ვფურცლავ ამ ჩვენს „ცისკარსა“, და შენი ლექსები არსად ჩანს“.

ილია დაფიქრდა, დაღონდა. ახლა უფრო სწვანაირად უყურებდა მწერლობასაც და ლექსსაც, მაგრამ რაკი დის ცნობისმოყვარეობა ასე დიდი იყო, გადაწყვიტა, ესიამოვნებინა მისთვის და იმავე დღეს „ცისკარში“ ლექსი გამოგზავნა.

იმავე წლის იანვრის ნომრიდან დაიწყო ისევ ილიას ლექსების ბეჭდვა „ცისკარში“. 18 თებერვალს დას წერილი მისწერა. წერილი ასე იწყებოდა: „ძლივსა დავამარცხე ჩემი სიზარმაცე და, როგორც ხედავ, ვწერ წიგნსა“... „იანვრის „ცისკარში“ ჩემი ლექსია დაბეჭდილი, წაიკითხე თუ არა? აი, გინდოდა ჩემი ლექსი გენახა „ცისკარში“ და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურვებოდა, არც მაგას დავბეჭდავდი. იმიტომ, რომ ჩვენი „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა“...

ილიას ამ ლექსს უცნაური ბედი ეწია.

დავით დადიანმა „ცისკარი“ 1852 წლიდანვე გამოიწერა და მისი პირველი ხელმომწერი და ხელგამმართველი იყო. დავითის სიკვდილის შემდეგ ოჯახი ნიადაგ იღებდა „ცისკარს“. ეკატერინე ჭავჭავაძემაც, დავითის კვალობაზე, გამოიწერა კერესელიძის მიერ განახლებული „ცისკარი“. ყოველ ნომერს პეტერბურგში თვითონაც და შვილებიც დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ და აი, ისინი იანვრის ნომერში ილია ჭავჭავაძის გვარს წააწყდნენ. აქამდე ილიას არ იცნობდნენ. დედოფალი დაინტერესდა თავისი გვარის კაცით. ლექსს ბოლოს მიწერილი ჰქონდა „პეტერბურგი“. მოიკითხეს, მოძებნეს ილია ჭავჭავაძე და მოიპატიჟეს დედოფალთან.

ილიას დიდად მოეწონა დედოფალი და მისი შვილები. რაზე არ ილაპარაკეს, რა არ მოიგონეს. მერე საუბარი „ცისკარზე“ ჩამოვარდა.

— იანვრის ნომერში დაბეჭდილი ლექსიც ხომ თქვენი ლექსია, ბატონო ილია?

— დიახ, ჩემი გახლავს, — დარცხვენით უთხრა ახალგაზრდა სტუდენტმა.

— დიდად მეამა, ჩვენს გვარში ერთი პოეტი კიდევ დაბადებულა. მე ძლიერ მიყვარს ლექსები და დიდი პატივისმცემელი ვარ პოეზიისა.

— გასაგებია, დედოფალო, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული რომ პოეზიის მოყვარული იყოს, აბა, რა არის აქ საკვირველი.

— არა, მარტო იმიტომ კი არა, რომ მამაჩემი პოეტი იყო. მე ბავშვობიდანვე გატაცებული ვიყავი პოეზიით. იცნობთ, ალბათ, გრიგოლ ორბელიანს. აი, ის გვანებივრებდა მე და ჩემ დას, ნინოს, ლექსებით. პოეტები ჩემი ახლო მეგობრები იყვნენ — აქ უხდოდა ტატოს სახელი ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ მამაზე განაგრძო საუბარი:

— მე ზეპირად ვიცი მამაჩემის თითქმის ყველა ლექსი.

ეკატერინემ ხმამაღლა წაკითხა „გოგჩის ტბა". დედოფალი აღგზნებით, გატაცებით კითხულობდა, ილია გოცებული შესცქეროდა ამ ქალს, რომლის ჭელვარებისა და აღტაცების მიზეზი ლექსი იყო.

დიდად ეამა ილიას ეკატერინესთან საუბარი და მთელი საღამო ლექსებზე, ქართველ პოეტებზე და ჟურნალზე ლაპარაკობდნენ. დაღამდა. ილია შინ აღტაცებული და გახარებული დაბრუნდა.

ილია კარგად იცნობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს ყველაზე ხშირად „ცისკარში" მისი ლექსები იბეჭდებოდა. ილიას მოსწონდა ეს ლექსები და ზეპირადაც იცოდა, მაგრამ ახლა ეკატერინეს წაკითხვამ სულ სხვანაირად წარმოუდგინა პოეტს პოეტი.

იმავე საღამოს ილიამ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ლექსი მიუძღვნა. ამ ლექსს ეპიგრაფად პუშკინის სიტყვები წაუმძღვარა:

Его стихов пленительная сладость
Пройдет веков завистливую даль.

მისი ლექსი შვებით, ლხენით,
ხან მეჯლისში მოჰფრინდება,

გულს ჩაგეკვრის, ჰლაღობს, ჰხარობს.
გიმღერებს და ამღერდება.
ხან ღონდება ნაზ ქალსავით,
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჭაბუკსავით,
და განდევნის სევდას გულით.
ხან ბუჩქებში მიმალული,
ჰზის მარტო, ვით იადონი,
შეჰყეფს სატრფოს გულსაკლავად,
ტრფობის ისრით განაწონი.
ხან ჰრბის ველად, მარტოდ ჰგალობს,
უდაბნოში ვითა მწირი.
შეჰკვნესს შავ ბედს ქვეყნისასა
ქვეყნისათვის ანატირი.
ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა,
და ემდურის მწვავის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა...

ილიამ დაწერა ეს ლექსი და გადაწყვიტა მეორე დღესვე „ცისკარში“ გაეგზავნა. მაგრამ გადაიფიქრა, დედოფალმა პირფერობაში არ ჩამომართვასო და სხვა ლექსები გაუგზავნა „ცისკარს“. მალე კიდეც დაიბეჭდა ილიას ლექსები: „არაგვი“, „ელეგია“, „გაზაფხული“, „ალბომში“... დედოფლის ოჯახი „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ამ ლექსებს დიდი ცნობისმოყვარეობით კითხულობდა. ილია ერთბაშად გამოჩნდა, როგორც ნიჭიერი პოეტი და ახალგაზრდა მამულიშვილი.

ეკატერინე ილიას უკვე თავისუფლად უმეღავნებდა გულის ხვაშიადს, ოჯახის გეგმებს, უყვებოდა წარსული ცხოვრების ამბავს. ასე შეეჩვევნენ ეკატერინე და მისი ოჯახი ილიას. ვერე სწორედ ის იყო, რომ ბავშვებმა ილიას ბარათაშვილის ლექსების რვეული აჩვენეს, ეკატერინე ასე. სასოებით რომ ინახავდა, როგორც პოეტისაგან მოძღვნილ უძვირფასეს განძს.

ილიას ბარათაშვილის: „ბულბული ვარდზედ“, „რად ყვედრი კაცსა“ და კიდევ რამდენიმე სატრფიალო ლექსი წაკითხული ჰქონდა გიორგი ერისთავისეულ ჟურნალ „ცისკარში“. მაგ-

რამ ეს რვეული სულ სხვა აღმოჩნდა, ამ რვეულში სულ სხვა
რამ ნახა, სულ სხვა რამ იგრძნო...

რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბელბული
გალიაშია დატყვევებული?

გაოცდა ამის გამგონე ილია. ხელნაწერი ისევ ხელთ აიღო, ფურცლავდა, სულმოუთქმელად კითხულობდა. ასე, ერთი სულის მოთქმით წაიკითხა „ბედი ქართლისა“.

არა, ეს რა იხილა მისმა თვალებმა, ეს რა პოეტი ჰყოლია საქართველოს! იკითხა და იკითხა ბარათაშვილის ლექსები, ვიდრე სადილად არ მიიწვიეს;

იჯდა მაგიდასთან, მაგრამ მისი თვალი და ყური ისევ რვეულისკენ იყო მიპყრობილი. შერცხვა, ვერ ჰკითხა, საიდან მოხვდა ეს რვეული ეკატერინეს ხელში. ისადილეს თუ არა, ილიამ ისევე ხელთ აიღო ბარათაშვილის რვეული და ახლა „ფიქრი მტკვრის პირად“ გადაიწერა.

მთელი ღამე არ ეძინა. იმეორებდა ღრმად შთაბეჭდილ სიტყვებს: „...არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“... ჩვენი სირცხვილი, რომ აქამდის არ ვიცნობდით ამ კაცს! სად იყო აქამდის ეს კრებული! ასეთი კაცი გვყოლია და არათუ ვერ მოგვივლია მისთვის, არამედ მისი ლექსებისათვის პატრონობაც ვერ გაგვიწევია!

— დიახ, დიახ, — არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს... მაგრამ ვაი, რომ ერთი კაცი კი არა, მთელი საქართველო მკვდარსა ჰგავს, უფრო სწორად, ცოცხალ-მკვდარს, მიძინებულს. უნდა გამოვაღვიძოთ ხალხი საღათას ძილისაგან, უნდა შევუძახოთ, ფეხზე წამოვაყენოთ. არა, ახლა არ არის მამაპაპეული ძილის დრო. არც განცხრომისა და ნებივრობის დროა! ახალგაზრდა კაცს ახლა ხელთ ვარდი კი არ უნდა ეკავოს, რომ გამწყარალი სატრფოს გული მოიგოს, არამედ თოფს და ხმალს უნდა იქნევდეს, უნდა იბრძოდეს. ბრძოლა და ბრძოლა, მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა, — აი რა მართებს ჩემი თაობის კაცს დღეს. კაცი ქვეყანაზე იყოს და არ ზრუნავდეს ქვეყნისათვის, ხალხისათვის, ის რა კაცია...

იმ კვირას ილია ისევ ეუბნებოდა ეკატერინეს. დედოფალი შინ არ დაუხვდა. სამაგიეროდ, მისი ბავშვები შემოეგებნენ

გახარებული. ილიამ ისევ მოატანინა სალომეს ის რვეული, შიგ ჩარგო თავი და მთელი დღე მოანდომა მის გადაწერას. გადაწერა და მოისვენა, დაცხრა მისი მღელვარე სული. არა, კი არ მოისვენა, თავისთავთან დაიგულა ეს ლექსები და ამით ინუგეშა თავი.

გადაწერილი ლექსები სასოებით ჩაიდო უბეში და ბავშვებს გამოემშვიდობა.

* * *

მოსვენება დაეკარგა ახალგაზრდა კაცს. არა, როგორი ლექსი არ წაუკითხავს, რანაირი ხელნაწერი რვეული არ უნახავს, მაგრამ მსგავსი რამ არსად ამოუკითხავს. ამ გაყვითლებულ ფურცლებს რამდენი საიდუმლო შემოუნახავს ადამიანის სულისა. დედისა და მამის ნაქონს, ოჯახებში შენახულ ხელნაწერებს ცოტას როდი გასცნობია, მაგრამ ეს რვეული სულ სხვაა. ბარათაშვილის სულის სიდიადე, ამ პატარა რვეულის ფურცლებზე აღბეჭდილი, ახლა აქ, შორეულ პეტერბურგში არ ასვენებდა ქართველ მამულიშვილს. ეკატერინეც რომ ასე განიცდის ამ რვეულის სულს! ეს რაღა იყო, ბავშვებმა ერთი ღამითაც რომ არ ათხოვეს, დედა გაგვიჯავრდებაო!

ილიამ რა იცოდა. რომ ეს რვეული ეკატერინესათვის ახლა ყველაფერი იყო. რვეულში ჩარჩენილი ბარათაშვილის მხურვალე გული ამ ციცსა და უცხო მხარეში ისე ათბობდა ეკატერინეს გაციებულ სულს, როგორც მოგიზგიზე ბუხარი. საოცარი ცეცხლის ნაპერწკლები ანათებდა ამ უცნაური რვეულის ფურცლებს.

ილია სათუთად შეეხო ამ ცეცხლოვან რვეულს, და მის ხელშიაც გადმოიღვარა ეს საოცარი სითბო წინაპარი პოეტისა. პოეტმა პოეტის სულში ღრმად ჩაიხედა და გაოცდა. გონების თვალით წარმოიდგინა უდროოდ დაღუპული ჭაბუკის ტრაგედია და უკვირდა: საიდან და როგორ დატეულა პოეტის ეს დიდი სული და განუზომელი ტრაგედია ამ პატარა რვეულში?

ისევ ფურცლავდა ნაცრისფერ ფურცლებს, კითხულობდა გარკვეული, ლამაზი ხელით დაწერილ, დაწერილს კი არა, ჩახატულ სტრიქონებს, და უკვირდა, როგორ იტევდა ეს სიფრი-

ფანა ფურცლები ამ დიდ აზრებს, უსაზღვრო სევდასა და ოცნებას.. შიგ ქუხილიც იყო, ელვაც, წვიმაც და ქარიც...

ილიამ ყოველივე ეს წარმოიდგინა და უცბად თითქოს ქუხილი მოესმა, დაიგრგვინა და საქართველოს ზეცა ელვამ გადაკვეთა, ჟუჟუნა წვიმა წამოვიდა, გაიხარა საქართველოს ბუნებამ, ისე გაიტაცა ამ ფიქრმა, რომ ადგა, ფანჯარა გამოაღო და გარეთ გაიხედა, გარეთ კი პეტერბურგის ქუჩებში, წვიმდა, გადაუღებლად წვიმდა. ოღონდ ამ სიბნელეში არც ცა ჩანდა და არც ქუხილი ისმოდა. ფანჯარა დახურა, ფარდები ჩამოუშვა, დაწვა, მაგრამ ძილი არ მოეკარა საქართველოს ბედზე დაფიქრებულ და დაღონებულ ჭაბუკს.

ილიას იმ ღამეს არ უძინია, ბორგავდა, შფოთავდა, მერე ადგა. თავის საწერ მაგიდას მიუჯდა და ქაღალდზე ბარათაშვილის სტრიქონები ჩამოწერა:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

ამ სტრიქონებს ქვევით ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი მოაწერა. მერე ერთბაშად ბოუნდა თავის საკუთარი ლექსით გამოხმაურებოდა ამ სტრიქონებს და გადაწყვიტა ლექსი დაეწერა და მისთვის ბარათაშვილის ეს სტრიქონები ეპიგრაფად წაემძღვარებინა. ადგა, დიდხანს ბოლთაჰსა სცემდა, მერე ისევ მიუჯდა მაგიდას, წერას შეუდგა... ლექსი დაამთავრა:

ვაი, დაგკარგეთ!.. უღმრთო იყო შენი სიკვდილი!
ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრათ ყვავილნი
ჩასჭკნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უდროოდ?
არა დედ-მამა, — მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვინღა მოგვითხრას ჩვენი ურვა, ჭირი და ლხენა?
ვაი, ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა.

ილიამ თითქოს ამით თავის მოზღვავებულ შთაბეჭდილებებს გულიდან გზა გაუხსნა და ნშვიდად ამოისუნთქა. გადაიკითხა ლექსი და გადაწყვიტა დასაბეჭდად გაეგზავნა. ერთადერთ ჟურნალად კი „ცისკარი“ ეგულებოდა, რომელსაც არ ეთანხმებოდა პოეტის სული. მაგრამ სხვა გზა არ იყო.

მეორე დღეს ილიამ ქართველი სტუდენტები: ნიკო ღოღობერიძე, კოხტა აფხაზი მოიხმო, უკითხავდა და უკითხავდა ბარათაშვილის ლექსებს. ბორგავდნენ, ადგილზე ვერ ისვენებდნენ, დავობდნენ. ერთმანეთს არ აცლიდნენ სიტყვას ეს ახალგაზრდები და მაინც ვერ მოიოხეს გული. ბედი ქართლისა ახლა, ბარათაშვილის მსგავსად, გულს უწყლულებდა, სულს უკოდავდა ქართველ-სტუდენტებს და ეძებდნენ, ეძებდნენ პასუხს...

— ეს მართლაც რა შავად მღელვარე ფიქრებია, რა თავგანწირული შებრძოლებაა ბედთან, ეს რა ქარიშხალია ერის სულიდან ამოვარდნილი, ნამდვილი ქარიშხალი, პოეზიის ქარიშხალი!..

* * *

პეტერბურგის ისააკის ტაძარი, რომლის აგებაც 1819 წელს დაიწყო, 1858 წელს 30 მაისს დიდი ზეიმით აკურთხეს. ისააკის ტაძრის კურთხევა უდიდესი დღესასწაული იყო, რომელზედაც მთელმა რუსეთმა მოინდომა დასწრება. პეტერბურგი ჩამოსული ხალხით აივსო. ვის არ შეხვდებოდით აქ, თავადსა და აზნაურს, ვაჭარსა და მღვდელს, დამშეულ ყმებს და ფეხშიშველა მაწანწალებს...

მთავრობამ წინასწარი ზომები მიიღო წესრიგის დასაცავად: ტაძარს გარს ჯარი შემოარტყა, მისასვლელ გზებზე ოფიცრობა დააყენეს, ხოლო ზამთრის სასახლის და საგაზაფხულო ბაღის გასწვრივ საპარადო ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები ორ რიგად გაამწკრივეს. ხვივნად ქცეულ გზაზე იმპერატორის დაცვის წევრები საგანგებო საშვებით უშვებდნენ ტაძრის კურთხევაზე მოწვეულ პირებს. მთელი იმპერიის ჩინოსნები და სამღვდელოება ერთმანეთს ეცილებოდნენ, მაგრამ ყველას როდი გაუღიმა ბედმა შესულიყო ტაძარში. ტაძრის ახლომახლო სახლების აივნებიდან გადმომდგარი ხალხი გარინდებული

მისჩერებოდა ტაძარს. ზამთრის სასახლისა და პეტრე პირველის მოედნებზეც ტევა არ იყო.

ამ გრანდიოზულ ზეიმზე ეკატერინე დედოფალი დიდი პატივით მიიწვიეს.

პეტრე-პავლეს ტაძრის სამრეკლოს უშველებელმა საათმა თორმეტჯერ დაჰკრა, და მეფე-დედოფალი ამალით სასახლიდან გამობრძანდა. იმპერატორ ალექსანდრე მეორეს თან ახლდნენ საიმპერიო სახლის წულები, დიდი მოხელეები და სამხედრო პირები. იმპერატრიცას გვერდით მოყვებოდა ეკატერინე დედოფალი. სასახლის წულებს შორის კი ეკატერინეს ბავშვები ნიანბიჯებდნენ.

ეკატერინე დედოფლის მდივანი თევდორე ხოშტარია თან წამოეყვანა კურთხევაზე ბესარიონ დადიანს. იმჟამად ეპისკოპოსად კურთხეულ დადიანს ტაძარში შესვლის ნება მისცეს, ხოშტარია კი — აივანზე ავიდა.

თევდორე ხოშტარია ვაზივით დაგრეხილი კიბით აივანზე ავიდა და შვებით ამოისუნთქა — აქედან მოედნებიცა და ტაძრის დარბაზიც ხელისგულივით მოჩანდა. ხოშტარია იდგა და უთვალთვალებდა, რაც მის გარშემო ხდებოდა.

ზამთრის სასახლისკენ გაიხედა და ფრიად გაიხარა: ეკატერინე დედოფალი იმპერატორის გვერდით მოდიოდა და რაღაცას ხელით ანიშნებდა. ხოშტარია სიხარულისაგან ცქმუტავდა. ადგილზე ვერ ჩერდებოდა, მზად იყო ზემოდან ეყვირა, რომ დედოფალს შეენიშნა ერთგული კარისკაცი. სწორედ ამ დროს მან ამალაში ეკატერინეს ბავშვები დაინახა და ხელი დაუქნია მათ. ბავშვებს ქვემოდან არ შეუნიშნავთ და არც ყურადღება მიუქცევიათ ბანიდან გადმომდგარი ხოშტარიასათვის. თევდორე მღვდელი ისევ გამწარებით უქნევდა ხელს დადიანებს და შეწუხდა, მათი ყურადღება რომ ვერ დაიმსახურა.

ტაძარში ორი გუნდი გალობდა, თითო გუნდში სამას-სამასი მგალობელი იყო. იმპერატორი და მისი ამალა ტაძარში შევიდნენ. შევიდნენ თუ არა, აღსავლის ორი ვეებერთელა კარი გაიღო და იმპერატორს მღვდლებითა და დროშით სრულიად რუსეთის პატრიარქი გამოეგება.

ორივე გუნდმა გალობა დააგუგუნა.

გალობა როგორ არ მოუსმენია თევდორეს, საუცხოო გალობით დაბტკბარა სიონსა და სვეტიცხოველში, მარტვილსა და სუჯუნაში, მაგრამ ამის მსგავსი მის ყურს არაფერი სმენია და მის თვალს არაფერი უნახავს. ყოველივეს, რაც იქ ხდებოდა, თევდორე გაოგნებული და განცვიფრებული უსმენდა და უყურებდა.

იმპერატორმა და იმპერატრიცამ დაიკავეს მათთვის დაწესებული ადგილი დარბაზის ცენტრში, ხოლო მათ გვერდით პატრიარქი იდგა. დაიწყო კურთხევის ცერემონიალი. პატრიარქი ალექსი ღმერთსა და იმპერატორს ლოცვას აღუვლენდა და დარბაზი იმეორებდა. გუნდი გალობდა.

სამრეკლოდან ზარები დააგუგუნეს. ისააკის ტაძრის ზარებს ბანი მისცეს პეტრე-პავლეს და კაზანის ტაძრების სამრეკლოს ზარებმა და მთელი პეტერბურგი ზართა გუგუნმა მოიცვა. მთლად გაოგნებულ ხოშტარიას ეგონა, რეკა ციდან მომესმაო, ერთბაშად დაიჩოქა და ხელები მაღლა აღაპყრო, ღმერთს შეჰღაღადა ქართულად. ამას მოჰკრეს თუ არა თვალი, აივანზე მდგარმა მორწმუნეებმაც დაიჩოქეს და თავებს იატაკამდე ხრიდნენ ლოცვის წარმოთქმით. ეს ღაღადისი მერე აივნებსა და დარბაზებს გადაედო და ხალხი ღვთისა და მეფის საიმპერიო ჰიმნს დაჩოქილი ამბობდა.

გამოუცნობმა რელიგიურმა ექსტაზმა მოიცვა მთელი ტაძარი...

თევდორე შინ გვიან ღამით დაბრუნდა. არავინ მოუკითხავს, ისე შევიდა საწოლ ოთახში და ლოგინზე დაეგდო. ცოტა რომ მოსულიერდა, ადგა, მაგიდას მიუჯდა და ნახული და გაგონილი უბის წიგნაკში ჩაიწერა, მერე ისევ დაწვა. შთაბეჭდილებებით დაღლილსა და კმაყოფილს მკვდარივით დაეძინა. ესიზმრებოდა, ვითომ ისევ ისააკის ტაძრის აივანზე იდგა, ხალხი დაჩოქილი იყო, თვითონ თევდორეს ხელი აღეპყრო ზეციისკენ და ღმერთს ევედრებოდა. ამ დროს ზეციდან ჩამოფრინდნენ ანგელოზები. ერთი ანგელოზი ყორანივით შავი იყო. სწორედ ამ შავმა ანგელოზმა ბრჭყალებივით ჩაასო ხელები და ზევით აიტაცა. შეეშინდა, გაუძალიანდა, მაგრამ ვერას გახდა. სულ ზევით რომ აიყვანა შავმა ანგელოზმა, იქედნურად ჩაიცინა და ხელი უშვა. თევდორე ბზრიალითა და ტრიალით ტყვიასავით

წამოვიდა და მიწას დაეანარცხა. სწორედ ამ დროს მან, მართლაც, ლოგინიდან ძირს ბრაგვანი ნოადინა. თვალი გაახილა, გონს მოვიდა და საკუთარი თავისა შერცხვა.

ისაკის ტაძრის კურთხევას მაისის აღლუმი მოჰყვა, პეტერბურგში ეს ტრადიციული აღლუმი მაისის პირველ რიცხვებში სუვოროვის ძეგლის წინ, იმპერატორის საზაფხულო ბაღის გვერდით იმართებოდა. იმ წელს იგი მაისის ბოლოს — ოცდათერთმეტ მაისს მოეწყო. აღლუმში ქვეითი ჯარი და ცხენოსანი მხედრობა მონაწილეობდა. ეს ზეიმი მთელ ორ თვეს სამხედრო მინისტრის მეთვალყურეობით საგანგებოდ მზადდებოდა. წინასწარ არჩევდნენ რჩეულ დივიზიებსა და პოლკებს, ცხენებსა და სააღლუმო ფორმას.

აღლუმში ეკატერინეს უფროსი ვაჟი, თერთმეტი წლის ნიკოც მონაწილეობდა. ნიკოს საგანგებოდ შეკერილი ჩოხა-ახალუხი ჩააცვეს, თავზე მეგრული ფაფანაკი დაჰხურეს, წელზე პატარა ქამარ-ხანჯალი შემოარტყეს და ცხენზე შესვეს. ისედაც ლამაზი ყმაწვილი უფრო დამშვენდა.

სამეგრელოს პატარა მთავარი ნიკო თავისი ცხენით სათავეში ედგა ქართველების ცხენოსანთა რაზმს. აღლუმი იმ წელს, ეკატერინეს პატივსაცემად, ქართველ ცხენოსნებს უნდა დაეწყოთ.

სუვოროვის მოედანზე დიდი კარავი იყო აღმართული. ამ კარავში იმპერატრიცა დაბრძანდა თავისი ამალით, გვერდით ეკატერინე მოისვა. დიდ ბოძებზე აღმართული ეს მაღალი კარავი მთელ მოედანს დასცქეროდა. მოედნის გარშემო ჯგუფ-ჯგუფად ჩამწკრივებული ცხენოსანთა ჯარი იდგა, კარავის გარშემო კი—ქვეითი ჯარი. კარავის წინ ასოცი კაცისაგან შემდგარი სამხედრო მუსიკა უკრავდა.

იმპერატორი და მისი მხედრიონი საზაფხულო ბაღიდან გამობრძანდნენ, ზედ ბაღთან ალექსანდრე მეორე ულაყზე შეჯდა. უკან სამხედრო მინისტრი და გენერლები ამოუდგნენ. გაჩოჩნდა თუ არა იმპერატორი, მაშინვე „ურა“ — იგრიალა ჩამწკრივებულმა ჯარმა. შეძახილმა იმავე წუთს მთელ შენაერთებს გადაუარა. ამ გამაყრუებელ ხმას სამხედრო მუსიკის და ზარბაზნების ხმებიც შეუერთდა. მეფე და სამხედრო მინისტრი თითქმის მთელ საათს მოუნდნენ ჯარების ჩამოვლას. დასრულ-

და თუ არა ჯარების ჩამოვლა, იმპერატორი იმ კარავთან მიიჭრა, სადაც დედოფალი და მისი ამალა ბრძანდებოდნენ, და კარავს ცხენით გვერდით ამოუდგა, ის იყო აღლუმიც დაიწყო.

გაუპირდაპირდნენ თუ არა კარავს, ჩოხაახალუხში გაჩოწყობილი ცხენოსნები ცხენებზე გასწორდნენ და თავი მარჯვნივ, იმპერატორისაკენ მოაბრუნეს. მერე ქართულად „ვაშა“ დასძახეს და ცხენები გააჭენეს. ცხენოსანთა რაზმს ნიკო დადიანი მიუძღოდა. ისე ლამაზად გააჭენეს ქართველებმა ცხენები, და ისე ოსტატურად შეასრულეს საცხენოსნო ილეთები, რომ მთელმა კარავმა ტაში დასცხო. თვით იმპერატორს დიდად მოეწონა ქართველთა რაზმი, ნიკო მიიხმო და თავის ხელქვეითებს ქებით წარუდგინა. თევდორე ხოშტარია იქვე მოშორებით იდგა და ყოველივე ამას ცრემლმორეული შეჰყურებდა. სამხედრო აღლუმი მთელი ოთხი საათი გაგრძელდა.

აღლუმს ილია ჭავჭავაძეც დაესწრო. ახალგაზრდა სტუდენტი მოიხიბლა ქართველების სიმარჯვითა და მხედრობით, მაგრამ გულის ძარღვი ჩასწყდა, რომ ეს რჩეული ვაჟკაცები საქართველოს კი არ ამშვენებდნენ, არამედ დამპყრობელი მეფის რუსეთის არმიას. ილია დაღონებული და გულმოკლული დაბრუნდა შინ და იმავე საღამოს ლექსი „კონვოელი“ დაწერა:

აგერ რაზმიდან ისკუპა ყარაბაღელმა მერანმა,
შორსა გაჰფანტა თრთოლით ხმა მისმა რახტისა ‘ღერამ..
მიჰქრის, მიფრინავს, მიჭექავს, უკან მისდევს მტვრისა ბუქი,
მასზედ ზის ივერიელი ჭაბუკი ვინმე ჩაუქი.
აგერ უეცრად რაღაცამ ჰაერში გაიკრიალა,
თურმე მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა,
მერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადმოწვებოდა,
ხან ცხენიდამა ხტებოდა, ხან ზედვე შეჰფრინდებოდა.
შვენოდა იგი ჭაბუკი ცხენზედა ვით ალვა რგული,
მაგრამ მე მის მშვრეტელს ნაღელით ამერია სული, გული...
ესთქვი, თუ ვისთვის შენ, კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ჩრდილოეთსა
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!..

ისააკის ტაძრის კურთხევისა და აღლუმის დღეს ჰერცოგი—ესპანეთის ელჩი დ'ოსუნა არ სცილდებოდა დედოფალს, სიყვა-

რულისაგან გაბრუებული შორიახლო მისდევდა. მეორე დღეს ისევ ეწვია ეკატერინეს, სტუმარი დედოფალმა ჩვეულებრივი თავაზიანობით მიიღო და სასტუმრო დარბაზში შეიპატიჟა.

დარბაზში ორნი იყვნენ: დედოფალი და ელჩი. ისინი ჩუმად ისხდნენ, ვერც ერთს სალაპარაკო საგნისათვის ვერ მიეგნო. იმ მაისის ღამეს ეკატერინეს დიდ დარბაზში ციოდა. ეკატერინე ადგა და თავშალი მოიხვია, შემცივდაო, — თქვა და ბუხარს ახლო მიუჯდა. ესპანელი ელჩიც სულ ახლოს მიუჯდა დედოფალს. ისევ სიჩუმე სუფევდა დარბაზში. ელჩი ღელავდა, სათქმელისათვის თავი ვერ მოება. თავი კი ისე ახლო მიუტანა თავთან, რომ დედოფალს მისი სუნთქვაც ეამოდა და გულისცემაც. ელჩს ისე აჩქარებით უცემდა გული, ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა მის მკერდს, რომ დედოფალს ეგონა, ამ საცოდავს, ალბათ, გული საგულიდან გადმოუხტებაო, და შეებრალა, თანაგრძნობის ნიშნად მოწყალების თვალით შეხედა. ესპანელმა შვებით ამოისუნთქა და ენა ამოიდგა. ლაპარაკობდა და თან გრძნობდა, რომ იმას კი არ ამბობდა, რაც უნდა ეთქვა. პირზე მომდგარი სიტყვა ყელში გაეჩხირა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და ლუღლუღით დაიწყო:

—დედოფალო, ჩემო დედოფალო, — ემუდარებოდა თავის სალოცავ ხატს და თანდათანობით თავს მისკენ ხრიდა. თავი ეკატერინეს მხრებზე შეეხო და ესპანელს მთელს ტანში ცეცხლი შემოენთო. სწვავდა გამოუცნობი ცეცხლი, სწვავდა და მაინც სიამოვნების სითბო ეღვრებოდა სხეულში.

ისევ გაინაბა ელჩი. თითქოს სუნთქვა შეწყვიტაო, გაუნძრევლად იჯდა იმის შიშით, რომ არ დაერღვია ეს ბედნიერება. ამ გრძნობამ ისე ღრმად შეიპყრო და დაიმორჩილა, რომ თვალებდახუჭული ნატრობდა, ნეტავ ეს ბედნიერი წამები დიდხანს გაგრძელდესო. ბოლოს ნეტარებისაგან გამოფხიზლდა, თვალი გაახილა, დედოფალს შეხედა: ბუხრის ცეცხლის შუქი ეკატერინეს პირდაპირ ანათებდა და მის ნაზსა და ეშხიან სახეს უცნაური რამ იერი გადაჰკრავდა, სასიამოვნო ალმურის იერი. და ელჩმა, მისდაუნებურად, კიდევ უფრო ახლოს მიუტანა სახე სახესთან. მაშინ ტანის ლამაზი მოძრაობით დედოფალმა განზე გასწია თავი, მაგრამ ამ დროს გრძლად დაგრაგნილი ნაწნავები ჩამოეშალა და მისდაუნებურად თავი აიქნია.

ერთი ნაწნავი ზედ სახეზე მოხვდა ელჩს. ესპანელი, სიხარულითა და სიცილით, ხელით სწვდა ნაწნავს და გულში ჩაიხუტა. ეს კი მეტისმეტ სითამამედ ჩამოაცალა დედოფალმა და კოპები აიწურა, სახე მრისხანედ შეანათა გონდაკარგულ ელჩს.

ისევ მძიმე დუმილი ჩამოვარდა დარბაზში. ამ სევდიან მდუმარებას ბუხარში ცეცხლის ტკაცუნი არღვევდა. გაბრაზებული დედოფალი ზურგშექცევით იჯდა და ფიქრობდა, რა მოხდაო.

ეკატერინე მუდამ უარით ისტუმრებდა ესპანელს, მაგრამ ისეთი ღიმილითა და სიცილით ამბობდა ამ უარს, რომ ელჩი ქალურ სინაზესა და მორცხვობას მიაწერდა ყოველივეს, ისევ და ისევ მისკენ მიიწევდა უზომოდ გამიჯნურებული და დარწმუნებული, რომ დღეს თუ არა ხვალ გამოსტაცებდა დედოფალს მისთვის სასურველ პასუხს. თავის მხრივ ეკატერინეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი უარი, მაგრამ არც იმის წინააღმდეგი იყო, რომ უზომოდ მოტრფიალე ესპანელს მის ოჯახში ევლო. მძიმე სევდით შეპყრობილ დედოფალს სადღაც გულის სიღრმეში სიამოვნებდა კიდეც, რომ ისევ ასეთი დიდი ყურადღების საგანი იყო, რომ ასეთი დიდი თაყვანისმცემლები არ ელეოდა. დიახ, ეკატერინე ქალი იყო და ქალს ხომ უყვარს, როცა ეტრფიან და აღმერთებენ. მაგრამ დედოფალი იმასაც გრძნობდა და ხედავდა, რომ ძალიან შორს შეტოპა ესპანელმა. ეკატერინემ გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ეს სიყვარულისაგან თავგზადაკარგული კაცი. ეს გაიფიქრა და ისევ მრისხანე თვალები შეანათა სტუმარს, მაგრამ როცა თვალი თვალს გაუსწორა, შეკრთა დედოფალი. ისეთი მუდარით მისჩერებოდა ელჩის მაყვალივით შავი თვალები, იმდენი სიკეთე და სისაწყლე, იმდენი სევდა და მუდარა იყო მის თვალებში, რომ სიტყვა რა არის, დედოფალმა სიტყვა ვერ დაძრა მისოვის აუგად სათქმელი.

თავის თავზე მოსდიოდა ბრაზი დედოფალს. იჯდა და დუმდა. დუმდა და ბრაზი ვერ დაეოკებინა. ცეცხლისმფრქვეველი მისი თვალები მეტს ამბობდა, ვიდრე მისი ბაგენი.

ეკატერინე ადგა, მეორე ოთახში გავიდა. ელჩი კი ამაოდ ელოდა მის გამოსვლას. მერე ნაცემი ძაღლივით ძლივს აითრია წელი და უცბად გაეცალა იქაურობას.

ელჩს გარეთ ეტლი უცდიდა. ისე ჩაჯდა, ხმა არ გაუცია მეეტლისათვის. როცა საელჩო სახლს მიადგა და გაჩერდა, მაშინღა მოვიდა გონს და აჩქარებით გადმოვიდა ეტლიდან. შინ რომ შევიდა, მაშინ ყელში მოებჯინა ბრაზი ამაყ ესპანელს და გადაწყვიტა გასცლოდა უკმეხ და უმადურ დედოფალს, არასოდეს სახელიც კი არ ეხსენებინა მისი.

— არა, ეს როგორ მოხდა, რომ მე, დიდებული ჰერცოგი, პეტერბურგში მეფის კარზე ასე მიღებული და ასე პატივცემული, ძაღლადაც არ ჩამაგდეს, პასუხის ღირსიც არ გამხადეს, და გამაგდეს ოთახიდან, — ფიქრობდა ესპანელი და ბრაზი აღრჩობდა. ერთ ხანს ბოლთის ცემა დაიწყო, მერე თავი გაიქნია რაღაცის გამო და შეჩერდა. ტანთ გაიხადა და დაწვა, მაგრამ ძილი არ მიეკარა. შეჯიებულივით უკრთოდა მთელი ტანი, ისევ ბრაზი ახრჩობდა და თავიდან მაინც ვერ იცილებდა შეურაცხმყოფელი დედოფლის სახეს.

ელჩის სული ისევ სავსე იყო ეკატერინეს სიყვარულით. მისი მწველი თვალები, ტუჩები, სახე ისევ ხატად ესახებოდა ელჩის მარტოდმთენილ სულს. ძილდამფრთხალს, გონდაკარგულს ისევ ეკატერინე ელანდებოდა. მის საწოლ ოთახში დედოფლის სული ტრიალებდა, ახლაც იმით სუნთქავდა, იმით ცოცხლობდა, ამ ბნელ ოთახში დედოფლის შუქი სინათლედ ედგა, გაყინულს მისი მოგონება ათბობდა. ისე გაიტაცა ამ ხატებამ, რომ მზად იყო მეორე დღეს უთენია ამდგარიყო, დედოფალს ხლებოდა და მის წინაშე ისევ დაემცირებინა თავი, ოღონდ მისი გული მოეგო როგორმე. მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა, ოღონდ დედოფლის სიყვარულის სითბო არ მოჰკლებოდა მის გაყინულ სულს. სიყვარულის ცეცხლმოკიდებული ესპანელი დარდობდა და ოხრავდა. ასე ოხვრაში ის ღამე ძლივს გაათენა.

დილით ადრე ადგა და უმალ წასვლა დააპირა დედოფალთან, მაგრამ წუხანდელი საღამო მოაგონდა და შეკრთა. მთელი დღე ებრძოლა საკუთარ თავს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე გარეთ გამოვიდა, ჯერ ქუჩებში იხეტიალა, შემდეგ რესტორანში შევიდა, სასმელი შეუკვეთა, დალია, მაგრამ ბრაზისა და სიყვარულის ცეცხლი ვერც ამან გაუნელა. ისევ შინ დაბრუნდა, დაწვა, მაგრამ ძილი არ მიეკარა...

იმ საღამოს ისევ ესტუმრა დედოფალს. ეკატერინეს ეგონა, წუხანდელი საქციელის გამო ბოდიშის მოსახდელად მოვიდაო, და ისევ თავაზიანად მიიღო, ისევ იმ დარბაზში შეიპატიჟა, სადაც წინა ღამეს ისხდნენ. ისევ ორნი იყვნენ დარბაზში.

— ბოდიშს ვიხდი, ჩემო დედოფალო, თუ ჩემი უტაქტობით რამე გაწყენინეთ წუხელ, თუ რამე უსიამოვნება მივაყენე თქვენს კეთილშობილებას.

— ბედი ჩემთვის უსიამოვნებას უფრო იმეტებს, ვიდრე პატივისცემას. ბედი არ მანებივრებს, და უკვე დიდი ხანია ბრძოლითა და ომით ვიკაფავ ცხოვრების გზას და აქ დამხმარედ ვერც ვერავინ გამომადგება, ჩემო...

დედოფლის მშვიდობიანმა კილომ და სევდიანმა სიტყვებმა ისევ ჩაუსახა იმედი უიღბლო მიჯნურს:

— მაპატიეთ, მაგრამ არა ხართ მართალი, ჩემო დედოფალო. დროა, ბოლო მოუღოთ ამ საშინელ მარტორობას. ჩვენ ორივენი უფრო გავუძლებთ ბედთან შერკინებას. მერწმუნეთ, რომ ასჯ აჯობებს, დედოფალო...

— არა, ეს არ გამოვა! სჯობს, ამას თავი დავანებოთ. გთხოვთ სხვა რამე მითხრათ, სხვა, რაც ჩვენს მეგობრობას გზად და ხიდად გამოადგება და ისევ იმ საგანს ნუ დაუბრუნდებით, რაც ამ მეგობრობის ხიდს დაანგრევს. მე მინდა სიმართლე გითხრათ და თქვენც ბოლომდე მომისმინოთ.

მე ჩემი ოჯახის ღირსებას საკუთარ თავზე მეტად ვუფრთხილდები. ჩემი შვილების უმანკო სულს ლაქას ვერ დავამჩნევ. ისინი უკვე საკმაოდ დიდები არიან და კარგად შეუძლიათ გაარჩიონ ყველაფერი. მე არ მინდა საფიქრებელი გავუჩინო უმანკო ბავშვებს. — ესა თქვა და დადუმდა, მაგრამ უცბად ცუდ გუნებაზე დადგა, თვით ამ სიტყვის წარმოთქმამ რაღაც სულიერი ქენჯნა მიაყენა მის დედოფლურ სიამაყეს; იფიქრა, მე, სამეგრელოს დედოფალს, რად უნდა მჭირდებოდეს ამ უცხო კაცს ანგარიში ჩავაბაროო და ისევ ყელამდე მოაწვა ბრაზი.

სახე ოფლით დაეცვარა, ცხვირსახოცი ფრთხილად ამოიღო და პირზე მიიდო, თითქოს სირცხვილისაგან სახეს იფარავსო, თუმცა მის სიტყვებში არაფერი იყო სასირცხვილო

და გასაბრაზებელი. დიდი ხანია, ასეთი მძიმე განცდები არ ჰქონია. თვითონაც უკვირდა, რა მოხდაო. უკვირდა და მაინც შეწყვეტილ აზრს უნებლიეთ აგრძელებდა: „არა, კაცმა რომ თქვას, რას გადამეკიდა ეს ესპანელი ელჩი. ახლა მთელ პეტერბურგს სალაპარაკოდ მხოლოდ ეს ამბავი აქვს. რისთვის მჭირდება ყოველივე ეს?!“

ისე გაიტაცა დედოფალი ამ შინაგანმა ხმამ, რომ თანდათანობით ბრაზი უფრო მოეკიდა და, როდესაც ელჩმა მოიხედა, მისი მთლად აელვარებული სახე ცუდად ენიშნა.

ეკატერინე ფეხზე ადგა. გრძნობდა, რაღაც მძიმე რამ აწვა მის გულმკერდს და სუნთქვა შეეკრა. ისევ ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს: „როგორც ჩანს, ჩვენ ვერ შევთანხმდებით, ჩემო ბატონო, ეგეგ სჯობდეს, რომ შევწყვიტოთ ყოველგვარი ურთიერთობა და მისვლა-მოსვლა“. ეს ისე მტკიცედ თქვა, რომ მუდარის სიტყვები ესპანელ ელჩს ტუჩებზე შეაკვდა და ხმა ვერ ამოიღო, უფრო მძიმე საგონებელმა შეიპყრო და ისევ უსიტყვოდ გაეცალა დედოფალს.

სწორედ ამ დროს თევდორე მღვდელი შემოფარფატდა. სახეალეწილ დედოფალს არაფრად ეჭაშნიკა მისი გამოჩენა და ბრძანების კილოთი ჰკითხა: რაო, რა მოხდა?

თევდორემ იცოდა, რომ „არამკითხე მოამბესავით“ უდროო დროს შემოდიოდა, მაგრამ მაინც შემოვიდა. გაწყრომას კი არ მოელოდა. სიტყვა გაუშრა. იხტიბარგატეხილ მღვდელს არაფერი უთქვამს, ისე უსიტყვოდ გავიდა დარბაზიდან.

დაღონებული და გალახული მღვდელი ოთახში შევიდა და ტახტზე მიეგდო, უცბად ხალხური ლექსი მოაგონდა და ისეთივე ბუტბუტით წარმოსთქვა, როგორც ძილის წინ ლოცვას ამბობდა ხოლმე:

> გზა სიარულმა დალია
> სიპი ქვა წყლისა დენამა,
> ლამაზი გოგო და ბიჭი
> ერთმანეთისა ცქერამა.

თუთიყუშივით იმეორებდა ამ სიტყვებს და თვითონაც ვერ გაეგო, რად აეკვიატა ახლა ეს ლექსი დედოფლისაგან დატუქსულ მღვდელს.

* * *

დედოფლისა და ჰერცოგის ეს ურთიერთობა ისე გახმაურდა, რომ თვით გრიგოლ ორბელიანის ყურს მისწვდა დაღესტნის აულებში.

გრიგოლ ორბელიანი 1859 წლის 17 იანვარს დიმიტრი ჯორჯაძეს სწერდა: „...გუშინ განხდა დაუჯერებელი ხმა: ვითომ ეკატერინე დადიანისა შეურთავს, ანუ შეირთავს, ისპანიის პოსლანიკისა, რომელიც არის თურმე დიახ დიდის გვარისა და სიმდიდრისა. — მგონია იყოს ღერცოგ ორულა თუ ამის მსგავსი ვიღაც. მიკვირს, მაგრამ კი არ მჯერა“.

პეტერბურგშიაც, თბილისშიაც, ზუგდიდშიაც იმჟამად მხოლოდ ეს ამბავი ჰქონდათ საჭორაოდ. ეკატერინე გულთან არ იკარებდა გათხოვების აზრს, არც ესპანეთის ელჩს იკარებდა ახლო. ჭორი, ოჩოფეხებზე შემდგარი ჭორი კი, არხეინად დააბოტებდა მთელს იმპერიაში. სწორედ ამ დროს ისეთი დიდი ამბავი მოხდა, რომელმაც მთელი ქვეყანა შესძრა და ყველას დაავიწყდა წვრილმანი ამბები:

1859 წლის 25 აგვისტოს დაღესტანი დაეცა. ბარიატინსკიმ შეუპოვარი შეტევით აიღო შამილის უკანასკნელი თავშესაფარი — გუნიბი და თვით შამილი და მისი ოჯახი ტყვედ წაიყვანა. გუნიბის აღების შემდეგ გამარჯვებული მეფისნაცვალი თბილისს ჩამოვიდა, ხოლო დატყვევებული შამილი პეტერბურგს გაგზავნა. თვითონაც რამდენიმე ხნის შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა. მთელი მსოფლიო ალაპარაკდა ამ ამბავზე.

ალექსანდრე მეორემ დიდი ზეიმით მიიღო ბარიატინსკი. რუსეთის იმპერიის ქალაქებსა და დაბებში გადაბმული ზეიმი და მოლხენა იყო. ნევის პროსპექტის მაღაზიები ბარიატინსკისა და შამილის პორტრეტებით აივსო. პეტერბურგის საზოგადოებას ახლა პირზე ბარიატინსკის სახელი ეკერა.

ეკატერინე ჭავჭავაძე მიწვეული იყო იმ ბალზე, რომელიც მეფისნაცვალის პატივსაცემად გაიმართა სასახლეში. დედოფალი თუმც ემდუროდა ბარიატინსკის, მაგრამ ისიც აჰყვა ზეიმის ტალღას და, როგორც ახლობელს, ისე შეხვდა მეფისნაცვალს. მეორე დღეს ეკატერინემ წერილი მოსწერა გრიგოლ ორბელიანს: იმპერატორმა დიდი ზეიმი გაუმართა ბარიატინ-

სკის, მთელი პეტერბურგი ფეხზე დგას, ბარიატინსკიმ სრულიად გადარია პეტერბურგის ქალები. შენ სად ხარ, ჩემო გრიგოლ; ჩამოდი აქ, პეტერბურგს. მეფისნაცვალმა მითხრა თქვენი ორბელიანი გამოვიწვიეო პეტერბურგს, რათ იგვიანებ, განა შენ ცოტა წვლილი მიგიძღვის დაღესტნის აღებაში? შენი და ჩემიანების სისხლი ტყუილად დაიღვარა განა, ჩამოდი, ჩამოდი, ჩემო გრიგოლ, მოუთმენლად გელოდებით...

გრიგოლ ორბელიანი, მართლაც, გაიწვიეს პეტერბურგს. მან სექტემბერი იქ გაატარა. ეკატერინეს ჩასვლისთანავე ეახლა. გრიგოლს ახლა იმის გაგება უფრო აინტერესებდა, თხოვდებოდა დედოფალი ესპანეთის ელჩზე, თუ ეს ყოველივე ჭორი იყო. ეკატერინეს დიდად ეამა გრიგოლის მოსვლა. სიხარულისგან ცრემლმორეულნი გადაეხვივნენ ერთმანეთს და მოიკითხეს. როცა დაღესტნისა და შამილის ამბებს მორჩნენ, გრიგოლმა ჩუმად შეეპარა:

— დედოფალო, შენზე ამბობენ, თხოვდებაო. მართალია?

ეკატერინე არ მოელოდა ამ კითხვას და ერთბაშად გაწითლდა. გრიგოლს ეგონა დედოფალს შერცხვა მხილებისაო, და ისევ მისდაუნებურად გაიმეორა:

— მაშ, მართალია?

ეხლა ერთბაშად გონს მოვიდა ეკატერინე:

— გრიგოლ ბატონო, როგორ, თქვენც ჭორს აჰყევით? ასე იცნობ შენ შენს კატიას?.. არა, გრიგოლ, ამას ჩემი მტრები მივრცელებენ. ისინი მივრცელებენ, ვისაც სურს ხელი ავიღო სამთავროზე და სადმე შორს გადავიხვეწო. ჩემი დაუნდობელი მტრები მივრცელებენ ამ ცუდ ხმებს...

ეკატერინე ცრემლმორეული უპასუხებდა. გრიგოლს შეებრალა დედოფალი.

— არა, დედოფალო, აქ მტრები არაფერ შუაში არიან, შენ-სთანა ახალგაზრდას, ლამაზს, თაყვანისმცემლები რომ გამოუჩნდნენ, განა დასაძრახისია? შენ ღირსი ხარ თაყვანისცემისა, ჩემო კატინა. არა, მაინც რომ მთლად გაახალგაზრდავებულხარ, ჩემო დედოფალო!..

გრიგოლს კიდევ უნდოდა ეთქვა საალერსო სიტყვები, მაგრამ დედოფალმა შეაწყვეტინა:

— გრიგოლ, მე ახლა მხოლოდ ჩემი შვილებისთვის ზრუნვა და სამთავროს ბედი მაწუხებს. შენ კარვად იცი, თაყვანისმცემლები არ მაკლია, აქ უნდა მოეთხრო ესპანელი ელჩის ამბავი, მაგრამ თავი შეიკავა და სულ სხვა თქვა. — დავითის შემდეგ, მე ჩემს შვილებზე და ოჯახზე არავის გავაბატონებ, ვინც არ უნდა იყოს...

ეკატერინე ისე მტკიცე გადაწყვეტილებით ამბობდა ყოველივე ამას, რომ გრიგოლმა ამჯობინა უმალვე შეეწყვიტა ამ საგანზე საუბარი.

გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძის მოტრფიალე და თაყვანისმცემელი იყო და სადღაც, გულის სიღრმეში, შურდა ესპანელი ელჩის ბედი, ახლა ეკატერინესთან შეხვედრამ ეს უბერებელი დონ-ჟუანი დაარწმუნა, რომ ეკატერინე გათხოვებას არ აპირებს და დამშვიდებული გამოეთხოვა დედოფალს.

ქართველი გენერალი გრიგოლ ორბელიანი პეტერბურგს დიდი ზეიმით მიიღეს. აქვე შეხვდა პირველად და პირადი საუბარი ჰქონდა შამილთან, იმ კაცთან, რომელსაც დაღესტანის აულებში ოცი წელი ებრძოდა...

პეტერბურგის შთაბეჭდილებით აღფრთოვანებული ორბელიანი სწერდა თავის მეგობარს:

„იმპერატორმა, იმპერატრიცამ, ველიკიე კნიაზებმა და მათმა ცოლებმა მიმიღეს დიდის მოწყალებით, დიდის ალერსით. ასე რომ თითქოს მე ვიყავ ვიღაცა მათი შინაურთაგანი. ველიკიე კნიაზები ხშირად წამიყვანდნენ სადილად, ისე, სერთუკით; მათი ცოლები მიჩვენებდნენ პატარას თავიანთ შვილებს საალერსოდ და, როგორც ნათესავნი, ისე გამომესალმნენ — ღ-თი იყოს მფარველი მათდა, სხვა რა მეთქმის, სამაგიეროდ მათგან მოწყალებითის მიღებისა“...

* * *

1859 წლის ზაფხულს ილია ჭავჭავაძე ავად გახდა. 10 ივნისს ეკატერინეს შეატყობინეს მისი ავადმყოფობა. ამ დროს დედოფალი ცარსკოე სელოში ცხოვრობდა და ბრძანა ილია მასთან ჩამოეყვანათ. ავადმყოფი ილია აქ თავის

ბინაში მოათავსა და თავზე ალექსანდრე მეორის პირადი ექიმი ნიკოლოზ არენდტი დააყენა. ილია სულ მალე გამოკეთდა, მაგრამ დედოფალი მაინც არ უშვებდა სახლიდან ახალგაზრდა სტუდენტს. ეკატერინეს შვილები ილიას შეეჩვივნენ და ყოველდღე ნახულობდნენ.

გამომჯობინდა თუ არა, ილიამ საქართველოში გამოსწია. ის ზაფხული კახეთში გაატარა. განკურნებულმა და დასვენებულმა სტუდენტმა იმავე წლის შემოდგომას ისევ პეტერბურგს მიაშურა.

გრიგოლ ორბელიანიც იმავე წლის ოც ოქტომბერს დაბრუნდა თბილისს. იგი, პეტერბურგიდან თბილისს მომავალი, მოკლე საცალფეხო გზით ნება-ნება ჩამოდიოდა ყაზბეგის თავდაღმართზე. ზვიადი მთები მზეს ოქროსფერი სხივებით შეემკო და აბიბინებულ ბალახს ეალერსებოდა. ირგვლივ მეფური მყუდროება სუფევდა. ბუნების ამ მყუდროებას მხოლოდ მეეტლეთა შეძახილი არღვევდა. გრიგოლს კი არაფერი ესმოდა, ისე გარინდებული მოდიოდა. მის სულში ახალი ლექსი მზადდებოდა. ლექსის დაბადება ამ მყუდროებაში ყველაფერს ავიწყებდა პოეტს...

როცა გრიგოლი მლეთთან-ყაზბეგის თავდაღმართზე ეშვებოდა, თბილისიდან გამოსული ილია მლეთის აღმართს მიჰყვებოდა. აქ ჰავჰავაძე და ორბელიანი ერთმანეთს შეხვდნენ.

ილია ცნობისმოყვარეობით დააცქერდა გრიგოლ ორბელიანს და იცნო. გიმნაზიაში სწავლისას რამდენჯერმე ენახა და მისი სახე ღრმად აღბეჭდოდა. და აი, ახლა, საქართველოს ამ სასიქადულო კაცს ისე ჩაუარა პეტერბურგში მიმავალმა სტუდენტმა ილიამ, რომ ორბელიანს არც კი მოუხედავს მისკენ.

გრიგოლ ორბელიანს მხრებზე გენერლის ვარსკვლავები უბრწყინავდა. ილიამ ისევ შეხედა საქართველოს სასიქადულო მამულიშვილს და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე დასჯილი პოეტი მოაგონდა. ახალგაზრდა ილია ზევიდან მოკრძალებით დაჰყურებდა მლეთის აღმართისაკენ დაშვებულ გენერალს, აკვირდებოდა და ღმერთკაცად სახავდა. თავისი თავი კი პატარა კაცად წარმოედგინა. მაშინ რას იფიქრებდა ეს ახალგაზრდა კაცი, რომ კიდევ 10-12 წელი გაივლიდა და-

ყაზბეგის ალმართზე შეხვედრილ, გენერლის ჩინით დამშვენებულ ორბელიანს ბრძოლაში გამოიწვევდა... რომ მათი ეს პირველი პირისპირი შეხვედრა შემდეგ ისტორიის ფურცლებად გადაიშლებოდა...

* * *

თბილისიდან დაბრუნებული ილია ისევ ეწვია ეკატერინეს. ეკატერინემ დიდად გაიხარა ილიას მოსვლით. „ცისკარში" უკვე დაბეჭდილიყო ილია ჭავჭავაძის ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძეს", და ამით განსაკუთრებით იყო ნაალიმოვნები დედოფალი. ბავშვებს უკვე ზეპირად ესწავლათ ეს ლექსი და ერთმანეთს ეცილებოდნენ მის წაკითხვაში.

ილიამ შეატყო, რომ ეკატერინეს რაღაც სათქმელი ჰქონდა და თავს იკავებდა. შეატყო ესა და უთხრა:

— თქვენი აზრი, დედოფალო, დიდად საინტერესოა ჩემთვის.

— ჩემო ილია, არ დაგიმალავ და გეტყვი, ლექსი მომეწონა. ეს მამაჩემის ლექსებისა და მისი ღვაწლის პირუთვნელი და მართალი შეფასებაა, მაგრამ გულწრფელად გეტყვი, რომ ენა თქვენი ლექსისა ისეთივეა, როგორიც ჩვენებური გლეხისა: ჩვეულებრივი, მარტივი, სადა, სასაუბრო... მე კი ასე მგონია, რომ მწერალი უპირველეს ყოვლისა, მწიგნობარია და ამიტომ მწიგნობრული ენა უნდა ამშვენებდეს მის ნაღვაწს. მამაჩემი ასეთ ლექსებს ბლიაძეების — მესტვირეების ენას ეძახდა. მართალი უნდა გითხრათ, რომ, ჩემი აზრით, მწერლის ენა სხვაა და ჩვენისთანა მოკვდავის სასაუბრო ენა კი სხვა.

დედოფალი აქ შეჩერდა, ილიამ ამით ისარგებლა და მიმართა:

— ნუ მიწყენთ, დედოფალო, და, უნდა გითხრათ, რომ თქვენ არ ბრძანდებით მართალი. დიახ, მწერლობის ენა ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ხალხის ენაა, ჩვენებური გლეხის ენაა...

ახლა ეკატერინემ შეაწყვეტინა ილიას:

— არა, ჩემო ილია, თქვენ უკვე აჭარბებთ, აბა, რა ხელი აქვს მწერლობის ენასთან გლეხის ენას. ღმერთმანი გააჭირეთ თქვენ ამ გლეხით საქმე. გლეხი გლეხია და გლეხად

ენდა დარჩეს. ჩვენ კი სხვანი ვართ, სხვა ყალიბის ხალხი, ღმერთისაგან სხვად დაბადებულნი...

არც ეს მოეწონა ილიას და უნდოდა რამე უკმეხი ეთქვა დედოფლისათვის. მაგრამ მოერიდა და ისევ სხვა მხრიდან შემოუარა:

— ჩვენ ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ, და ეს უნდა გამოსწორდეს. დიახ, ცოდვილნი... სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა ხალხი ვართ, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას! სხვისა არ ვიცი და, ჩვენ კი ჭშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი დედაენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცის ცოდვილი ხელი არ უნდა შეეხოს.

თქვა ილიამ და ფეხზე წამოდგა, მაგრამ უცბად შენიშნა, რომ ეს გამომწვევი პასუხი იყო, და ისევ გამოასწორა:

— არა, მე იმას მოგახსენებთ, თქვენ თვითონ ხომ ხედავთ, ჩვენს „ცისკარში" რამდენი ცუდი ლექსი იბეჭდება: ალაბთ, ეს იმიტომ, რომ ჩვენს ივანე კერესელიძეს, რომელიც თვითონ პატიოსანი და კეთილი კაცია, არა აქვს საშუალება. უპატრონოს ჟურნალს. მას ამისთვის არც ფული აქვს და არც ქონება, ხელმომწერლები კი ამადლიან ჟურნალის შენახვას, „ცისკარს" თავიანთ ჟურნალად სთვლიან და განუკითხავად მოითხოვენ საკუთარი უნიჭო ლექსების დაბეჭდვას. „ცისკარი" ხარჯს ამ უნიჭო ლექსებით ინაზღაურებს, და ეს არის მისი მთავარი ცოდვა და დანაშაული...

— ტყუილია, ბატონო! მე კარგად ვიცნობ ივანე კერესელიძეს. ის ჩემი ბავშვების ქართული ენის მასწავლებელი იყო. მას გასაოცრად უყვარს ქართული ენა, ქართული მწერლობა. მე ის ფრიად პატიოსანი კაცი, მგონია.

— დედოფალო, მეც იმას მოგახსენებდით, რომ ის კეთილი და პატიოსანია, მაგრამ მარტო პატიოსნება არა კმარა, როცა საქმე პრინციპზე დგას.

— ლიტერატურა ხალხის ჭკუაა, ხალხის გონებაა, გრძნობაა, ფიქრია. ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში მარტო „ცისკარია" ამჟამად. ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში" იბეჭდება, ქართველი ხალხის ფიქრია, გონებაა, ჩვეულებაა... ნუ-

თუ მართლა ეგრე დაეცა რუსთველის ერი? არა, ათასჯერ არა! „ცისკარს“ უნიჭოები მოეძალნენ და ისინი წალეკავენ და დალუპავენ ჩვენს ენასაც, ჩვენს მწერლობასაც. ჩვენთვის მაგალითი რუსთაველის ენაა. რუსთაველი ქართველი ხალხის ხმა იყო, მისი ნამდვილი ძგერა გულისა, სასიამოვნო ქროლვა სულისა. ამიტომ არის, რომ რუსთაველი შვიდი საუკუნის შემდეგ ისევე გასაგებია ჩვენთვის, როგორც მის თანამედროვეთათვის იყო.

დაუნდობლად უნდა შეებრძოლოთ, ვინც ჩვენს პოეზიას გზას უბორკავს ხელოვნური ენით, უსულგულო, უსურნელო ყვავილებად ქცეული ლექსებით. მე ამ ყალბი გრძნობით მტირალი და წირპლიანი მწერლებისა არაფერი მომწონს. არაფერი მჯერა... ვის რაში სჭირდება ასე განგებ დახლართულად წერა. „ცისკრის“ ოქტომბრის ნომერში ხომ წაიკითხეთ, დედოფალო, „ონიკოვის დარდები“?

— როგორ არა, წავიკითხე და დიდადაც გავიხარე. და მეც იმას მოგახსენებთ, რომ სწორედ გრიგოლ ორბელიანი ჩვენი პოეზიის შთაგონება და მაგალითი. ჩემო ილია, გრიგოლ ორბელიანი და მამაჩემი სხვანაირად წერდნენ, თქვენ სხვანაირად წერთ...

— შეიძლება, ქალბატონო, თქვენ მართალი ბრძანდებოდეთ, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მთელს ევროპაში და რუსეთში ცდილობენ გაამარტივონ თავიანთი ენა. ჩვენც უნდა მივბაძოთ ევროპის მაგალითს. ამით მწერალსაც გაუადვილდება წერა და ბავშვებსაც სწავლა:

— პოეზია უთავბოლოდ გადაბმული რითმების ჯაჭვი კი არ არის, გასხივოსნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა. „ცისკრის“ უნიჭო პოეტები კი რითმების რახარუხს სწირავენ აზრსა. თუ წაგიკითხავთ, დედოფალო, თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის „კოზლოვის„ შეშლილის“ თარგმანი, დამეთანხმებით, რომ თავადი ერისთავი ენას ნამდვილად ბარბაროსულად ექცევა. ორბელიანის ლექსში კი დიდი პოეზიაა. იქ თვალწინ წარმოგიდგებათ სიყვარული და ორთაჭალის ბაღები. რამდენი ჭეშმარიტება და გულწრფელობაა მის წმინდა ქართულ, პოეტურ დარდიმანდობაში, კვნესაში და ნატვრაში. განა ასევე არ არის ბარათაშვილის ლექსებში?! მართლა, ახლა გამახსენდა.

დედოფალო, — ალბათ. თქვენ თუ მიაწოდეთ „ცისკარს“ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ და ლექსები — „ფიქრი მტკვრის პირას“, „მერანი“. მე ეს პოემა და ლექსები პირველად თქვენს რვეულში წავიკითხე, და როცა „ცისკარში“ დაბეჭდილი ვნახე, ფრიად გავიხარე. თქვენი დიდი პატივისმცემელი დავრჩები, თუ სხვა ლექსებსაც გაიმეტებთ და გაუგზავნით ბატონ კერესელიძეს. ჩვენ არა გვაქვს უფლება არ მოვუარონ, არ გავუფრთხილდეთ ბარათაშვილის ლექსებს. ბარათაშვილი არის უდროოდ დამარხული იმედი ჩვენი ერისა, და იმას, რაც მისგან დაგვრჩენია, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ...

მართალია, ჩემო ილია, მართალია. მე ამას გეიან მივხვდი, მაგრამ დღეს გაუფრთხილებლობას ხომ ვერავინ მისაცვდურებს? ბარათაშვილის ლექსები საიმედო ხელშია... უნდა გითხრათ, ჩემო ილია, რომ თვით ბარათაშვილი, ვინც თქვენ სალოცავად გაგიხდიათ, სხვანაირად წერს. ვიდრე თქვენ.

— შეიძლება ეს ასე იყოს, დედოფალო, და ამიტომ უნდა გოგახსენოთ, რომ კაცის ენა ადამიანის მსგავსად იზრდება და ვითარდება. ის ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ, კაცნი, ზრდაში ვიცვლებით ხოლმე. ხშირად იქნება, რომ ‘კანონები, ერთ დროს საჭირო, სხვა დროს უვარგისია ხოლმე — იმიტომაც ახალი ენა ძველ ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველსა. ძველი წიგნების ენა ახალი ენით უნდა შეიცვალოს. ეს ბუნების კანონია. ენას კანონსა თვით ენა აძლევს. ხალხი აძლევს. მაგრამ პოეზია მარტო ენა როდია. ენაც, მხატვრობაც, აზრიც და სურათიც ისე უნდა იყოს დახატული, რომ წარმოდგენა ცხადად შეგეძლოთ. აქ არაფერი არ უნდა იყოს ყალბი. ნაძალადევად მოგონილი და ხელოვნური. გულის გაჰგმირავი კვნესა, კვნესა მოტყუებული გულისა — აი, რა გვესმის ჩვენ ბარათაშვილის ლექსებში. ამიტომ არის ეს ლექსები უკვდავი...

ეკატერინე ახალგაზრდა გვარისკაცის აღგზნებულ სიტყვებს ისმენდა და უკვირდა, ეს მშვიდი, დარბაისელი ახალგაზრდა როგორ იცვლებოდა ამ საუბარში. დიდად მოეწონა და დიდი სიამოვნებაც მოჰგვარა მასთან საუბარმა. ამიტომ

იყო, რომ დაუყვავა, მოეფერა, აზრი მოუწონა და ასე უთხრა:

— ჩემო ილია, მე ბევრ რამეში არ გეთანხმებით, მაგრამ მომწონს თქვენი თამამი აზრები, და მიგულეთ თქვენს პატივისმცემლად. დადიანების ოჯახის კარი მუდამ ღია იქნება თქვენთვის და ნურც ნურაფერზე მომერიდებით. თქვენი ნახვა ყოველთვის სასიამოვნო იქნება ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის.

ესა თქვა დედოფალმა, დაემშვიდობა სასურველ სტუმარს და დასასვენებელ დარბაზში გავიდა. ილია ერთ ხანს გაოგნებული იდგა და აბეზარ ფიქრებს იგერიებდა. შემდეგ დამშვიდდა, ერთბაშად მოტრიალდა და შინისაკენ გასწია.

* * *

1859 წლის მაისს აკაკი წერეთელი რუსეთს გაემგზავრა. პეტერბურგს ეწვია. პეტერბურგში ჩასულმა თავისიანებს მოსწერა:

„მშვიდობით ჩამოვედი, თუმცა კი დიდად დავიღალე. ორპირამდე (მარნამდე) ცხენით ვიარე. იქ ნავში ჩავჯექი და მივანდე თავი გაფაბრეულ რიონს. ფოთამდე ორ დღეს მოვუნდი სიარულს. აქაც სამ დღეს დავრჩი, დავესწარ ფოთის კურთხევას. მერე კი სამხედრო ცეცხლის გემით გავეშურე ოდესისაკენ. თქვენი დავალებაც შევასრულე. ვორონცოვის ქვრივი მოვინახულე. ვორონცოვის კნეინამ შვილივით მიმიღო და დედაშვილურადაც მომექცა, გამომკითხა ყველას ამბავი და. ბოლოს, გიშრის ჯვარი რომ გადავეცი, დიდი სიამოვნება დაიმჩნია: „ვახსოვართ ქართველებს? და ჩანს, რომ ჩემს ქმარს მალე არ დაივიწყებენო“... პეტერბურგს რომ მივედით, ჩემი ძმა არ დამხვდა, კანვოები ცარსკოე სელოში გადაეყვანათ და მხოლოდ მეორე დღეს წავედი მის სანახავად. ჩემი ძმა თურმე, უფრო ადრე მომელოდა და, გზაში რომ დამაგვიანდა, შეშინებოდა, ვაითუ რამე დაემართაო, რომ მივედით, ძალზე გაიხარა. იქ ჩემი ნაცნობი იმერლებიც ბევრი დამხვდა და შემომეხვიენ გარს.

იმ დღეს ცარსკოე სელოში ვიყავი. ჩემმა ძმამ ილიკომ დადიანის ქვრივთან მიმიყვანა — ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულ ეკატერინე დადიანთან. დედოფალმა მომიალერსა, ყველაფე-

რი გამომკითხა და ასე მითხრა „რამდენითა ხარ უფროსი ამ შენს ძმაზე, ილიკოზე? შენი ილიკო კარგი ბიჭია, კონვოობით გვასახელა ამ მაისს ქართველები. ჩემი ნიკო სულ მასთან არის, და ჩინებული მხედარია". სულ აქო და აქო ჩემი ძმა.

„ჰო, ასეა, ილიკო ისე ცვიცქირა არის, არც წვერი აქვს და არც ულვაში. ყველას ჩემი უმცროსი ძმა ჰგონია. მე როცა კუთხარი სამეგრელოს დედოფალს, ჩემზე უფროსია-მეთქი, დიდად გაიკვირვა.

„ეკატერინე პეტრე ბაგრატიონის სახლში დგას. პეტრე იმპერატორის ამალის კონოვოის უფროსია. დიდად კარგი კაცია და ჩვენი — სტუდენტების — საქართველოდან აქ წამოსული კაცის ხელის გამწვდელი და მრჩეველი. მე გულით შემიყვარდა ეს კაცი. იმიტომ კი არა, რომ ჩინები აქვს. ეპოლეტი სულ მასხარაობაა, არც ჩინი შეადგენს ბედნიერებას, და თუ შეადგენდა აქამდის, ის დროც მალე წაბრძანდება. სიმდიდრით, ჩინითა და სხვა ადგილებით ამაღლებას, ხარისხებით მოპოვებულს სახელს, რომელიცა ამ ჩვენს დროში მანკიერებით მოიპოვება,— ადიდებს და შენატრის უგუნური ხალხი. კაცს სულითა და ხორცით განსწავლულს, ეზიზღება ამგვარი სახელის მოპოება და მომპოებელიც..."

აკაკიმ ერთი კვირის შემდეგ კვლავ მისწერა დედას:

„ძვირფასო, ბატონო დედა. მე დავუახლოვდი ბაგრატიონების ოჯახს. პეტრე ბაგრატიონი დიდად საინტერესო კაცია. ამდენი ხანია აქ ცხოვრობს და, როცა შემხვდა, ქართულად მომიკითხა. მე გავკვირდი და იმანაც სიცილით მითხრა: „განა ქართველი აღარ გგონივარო? დიდი ხანია რუსეთში ვარო და ცოტა დამავიწყდა, თუ არა, შენზე უკეთ ვიცოდი ქართულიო. შენც, როგორც იმერელი, უეჭველია, იმერული კილოთი უკიდებ. მე კი წმინდა ქართული ვიცოდი. თბილისში სააზნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან. პოეტი რომ იყო, და ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლაო — გამიგონია შაირებით დიდკაცობის ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები, ის სწერდა და ჩვენ ვგზავნიდით. როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვეხვეოდით გარს. უცბად ავუწევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა და ჩავუდებდით

ხოლმე ჩუმად ჩვენს გალექსილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიჰქონდა ადრესისამებრ, ერთი ალიაქოთი ატყდა თბილისში, გამოძიება დაინიშნა, ბოლოს გაიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ჰონორარად 25 როზგი მიანიჭეს. ჩვენც იმდენივე გადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე ავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან, კორპუსში გამომგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურშიო".

ამას გარდაც ბევრი რამ გაიხსენა საქართველოში ყოფნის დროიდან.

ამ დღეს ისევ ეკატერინესთან მივედით. მასთან დამხვდნენ ჩიქოვანი და დადიანი, აი, ქუთაისში რომ სწავლობდნენ გიმნაზიაში. ახლა აქ, უნივერსიტეტში უნდათ შესვლა, და დედოფალი დახმარებას შეპირდა. მერე დადიანის შვილებმა ნიკო ბარათაშვილის რვეული გამოიტანეს და წამაკითხეს. ო, რა ლექსებია, ბატონო დედა! დიდად ვისიამოვნე მათი კითხვითა და დიდათაც დავღონდი. მე თვით გავხდი გულით უნდო, სულით ურწმუნო. ეს ორი თვეა ისე გამოვიცვალე, რომ ვერ მიცნობ.

„უძვირფასესო ბატონო დედა! მეტი რა მოგწეროთ, „ცისკარში" ჩემს ლექსებს არ დავაბეჭდვინებ. და თუ გნებავთ, მანდ მოგართმევთ ხოლმე. ეგრე, ოთხმოცი ფურცელი მექნება სხვადასხვა ლექსები, თუ კამედიები, თუ სხვა რამე ერთი ჩემოდანი მაქვს და გიგზავნით ხოლმე ნელ-ნელა, თუ გნებავთ".

მაგრამ აკაკის „ცისკარში" თანამშრომლობა მაინც არ შეუწყვეტია. ეკატერინე დადიანთან და პეტრე ბაგრატიონთან შეხვედრამ, ქართველი სტუდენტების გაცნობამ განზრახვა შეაცვლევინა: პეტერბურგში რომ მიდიოდა, გენერლობაზე ოცნებობდა, იქ კი ერთბაშად დარწმუნდა, რომ ეს შეუფერებელი ოცნება იყო. უნივერსიტეტში რომ მოეწყო, სარატოველი სემინარიელის — ჩერნიშევსკის „სოვრემენიკმა" გაიტაცა და ყველაფერი დაავიწყდა, სწავლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის გარდა. და აი, სტუდენტობისას უფრო უხშირა და უხშირა ლექსების წერას. ახლა გულისფანცქალით მოელოდა „ცისკრის" ყოველ ახალ ნომერს. ერთ ბარათში აკაკი სწერდა დედას:

„ძვირფასო ბატონო დედა! თქვენი წიგნი მივიღე. „ცისკა-

რი“ აქ არავის მიუღია. და არ ვიცი, რაზე მიჯავრდებიან და რომელ ლექსზე? თქვენ რად სწუხდებით, მიკვირს, რაც უნდათ, ისა სთქვან, რა ერთი ძაღლიც დაიყეფს თუ ყველას შეუტიეთ, ერთ ქუჩასაც ვეღარ გაივლით, რაც უნდათ ისა ქნან და ილაპარაკონ! დაწყევლოს ეშმაკი თუ შეუსმინეს. თორემ ღმერთი არა, გინებით ენას შეირცხვენენ და გაჯავრებით მაგათ ბრწყინვალებებს სისხლი წაუხდებათ. ილაყბონ, რა მენაღვლება. მაგათ ნებაზე როგორ გავირჯები და მაგათი ბრძანებით რათ ვივლი, თუ კარგი ბრძანება სცოდნოდათ, აღარც გლეხებს წაართმევდნენ“.

ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთში ბატონყმობის წინააღმდეგ გაცხარებული კამათი იყო ატეხილი და „სოვრემენიკის“ აბალგაზრდობას ქართველმასტუდენტობამაც ბანი მისცა. აკაკი ამ ცხარე კამათში ბეჯითად ერეოდა და „ცისკარში“ დაბეჭდილ ლექსებშიაც იმავე აზრს ატარებდა. ამის თაობაზე ეკატერინე დადიანთანაც ბევრჯერ ჰქონდა დიდი კამათი.

* * *

ნიკოს უმცროსი ძმა, ანდრო, ჭადრაკით იყო გატაცებული და საოცარ ნიჭსაც ამჟღავნებდა. დღედაღამ უჯდა გრიგოლ დადიანის მიერ ნაჩუქარ პატარა ჭადრაკის დაფას. ყველას ეხვეწებოდა, მეთამაშეო. და როცა თამაშის მსურველს ვერ პოულობდა, თავის თავს ეთამაშებოდა. ო, რა გულით უხაროდა, როდესაც ყველას უგებდა, თავის ტოლებსაც და უფროსებსაც. იმ დღეს სტუმრად მისულ ილია ჭავჭავაძესაც შესთავაზა თამაში. ილია გვარიანად თამაშობდა, სტუდენტთა წრეში ყველას უგებდა. როცა თავისზე უმცროსს, ანდრო დადიანს მიუჯდა, ეგონა, იოლად მოვუგებო, და თავს ძალას არც ატანდა. მაგრამ ილიას გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, ამ ათი წლის ბიჭმა მეთორმეტე სვლაზე რომ მოუგო პარტია. ილია დაინტერესდა და ჯიუტობა დაიწყო. სულ აგებდა, მაგრამ გაიძახოდა: კიდევ ვითამაშოთ, კიდევ ვითამაშოთო. მთელ დღეს ითამაშეს. და ილიამ ვერც ერთხელ ვერ მოიგო. გაოცდა ილია; დიდად გაოცდა. მერე ხელი მოჰხვია და „მეტოქე“ გადაკოცნა.

ამ დროს დარბაზში ეკატერინე შემოვიდა. ილიას მიესალმა

და მასთან მასლაათი გააბა. ანდრო კი ჩუმად გავიდა დარბაზიდან. ეკატერინე მღელვარებით უყვებოდა ილიას:

— თქვენ, ალბათ, არ მოგეხსენებათ, რომ ტატოს ლექსები ჩემზედაც აქვს დაწერილი. მე იგი ბავშვობიდან მიცნობდა. მაშინ მე, მასზე უფროსი, ყურადღებას არ ვაქცევდი. ახლა ვწუხვარ და ვნანობ ამას... როგორ მახარებს მისი ლექსების კრებული! მე ეს ლექსები ტანჯვით სავსე ცხოვრებას მიადვილებს. ახლა, როცა ამქვეყნად არც ჩემი დავითია და არც ჩემი ტატო, წარსულითღა ვცოცხლობ და ამ ლექსებში ვპოულობ სულიერ საზრდოს. ასე მგონია, მე და მხოლოდ მე ვიყავი მისი ლექსების მუზა, მისი დიდი ტკივილების საბაბი. როდესაც „ბედი ქართლისას“ წერდა, ალბათ, მაშინაც ჩემზე ფიქრობდა. დიახ, სამშობლოს ბედი, ჩვენი ქვეყნის ბედი, ჩემი ბედიც იყო. მე მის გულში ვიყავი, მასთან ვიყავი განუყოფლად. მისი ფიქრიც და ოცნებაც მე ვიყავი, და სამშობლოზე ფიქრის დროს ჩემზეც ფიქრობდა უეჭველად. ასე ვფიქრობ და ეს მიამებს ჭრილობას სულისას. ამიტომ ახლა ჩემთვის ამ კრებულზე ძვირფასი არაფერია, და ჩემს შვილებს ანდერძად ვუტოვებ: როცა მოვკვდები, ეს წიგნი თან ჩამატანონ საფლავში, რომ საიქიოში ამ წიგნით წარვდგე მისი ავტორის წინაშე.

ესა თქვა და ერთბაშად შეჩერდა, მერე საუბარი სულ სხვა საგანზე ჩამოაგდო:

— ჰო, მართლა, წერეთლის ლექსები წავიკითხე. წერეთლისა და შენი ლექსები ერთ ჰანგზეა აწყობილი, ხალხურ ჰანგზე. ალბათ, იცნობთ კიდეც ერთმანეთს?

— დიახ, დედოფალო, ვიცნობ, შარშან ჩამოვიდა აქ. კარგ ლექსებსაც წერს და კარგადაც სწავლობს.

— მეც გავიცანი. ნათესავად მერგებოდა. თქვენ ორივენი ნათესავები ხართ ჩემი: ის დადიანებისა და შენ ჭავჭავაძეთა მხრით. დავით დადიანის დედა წერეთლის ქალი იყო. მე და დავითმა, ახლად ჯვარდაწერილებმა, იმერეთში რომ გამოვიარეთ, წერეთლებმა ირმების მთელი რემა მაჩუქეს. ო, რა შესანიშნავი სანახაობა იყო! როცა მორეკეს ეს ლამაზი ირმები დადიანის სასახლეში, სათითაოდ ყოველ მათგანს მოვეფერე და ისე გავუშვი ნაკრძალში. მაგრამ რა, ახლა აქ წამოვედი და არც კი ვიცი, რა დღეში არიან ისინი. ეჰ, რარიგად წავიდა

ჩვენი საქმე, ჩემო ილია! ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად, წარილტვნენ, განჰქრენ...

ილია ყურს უგდებდა დედოფლის სევდიან სიტყვებს, მაგრამ ბარათაშვილის ლექსები მოაგონდა და ბოლომდე ვერ მიადევნა გონება დედოფლის ნათქვამს.

საუბარი ისევ ბარათაშვილს შეეხო:

— თქვენ, ბრძანეთ, ტატო მოუსვენარი და დაუდგრომელი იყო. მჯერა, ასე იქნებოდა, ეს მისი ლექსებიდანაც ჩანს. ის იმ ბრწყინვალე, დიდ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, იშვიათად რომ იბადებიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ასევე უმალვე რომ ქრებიან, მხოლოდ ცოტა ხანს რომ ცხოვრობენ. სანამ ცოცხლობენ, ისინი სულ შფოთავენ, ვერ ისვენებენ. თვით ის დიდი ტალანტი, რომელიც ღმერთს მათთვის უბოძებია, არ აკმაყოფილებთ, რაღაცას მიუღწეველს ეძებენ...

ილიამ ეკატერინეს შეხედა, მისმენს თუ არაო. დედოფალი გულისყურით უსმენდა.

— დიახ, ისინი რომანტიკოსები არიან და არ აკმაყოფილებთ, რასაც ხედავენ. რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ, რასაკვირველია, უვარგისია, ხოლო დიდი ადამიანები, რომელნიც დიდ რამეზე ოცნებობენ, არარეალისტებად გვეჩვენებიან. ბარათაშვილისათვის სულშემხუთავი იყო ის შავბნელი რეაქცია, რომელიც საქართველოს დაპყრობას, დამოუკიდებლობის დაკარგვას მოჰყვა...

ეკატერინემ ამოიხვნეშა, თითქოს ილიას სიტყვებს გულითან ამოაყოლაო...

ილიამ განაგრძო:

— შეუძლებელი იყო მისი ტალანტი შეჰგუებოდა მის ბნელ დროებას, მისი დიდი სული არ ეტეოდა ამ საშინელ არტახებში. ეჰ, უღვთო იყო მისი სიკვდილი! ვაი, რომ მაშინ ვერავინ დაინახა ეს ღმერთკაცი. მაშინ კი არა, ახლაც ვერ ვაფასებთ. ის ისეთი ნათელი კაცი იყო, რომ თავისი ლექსებით გარშემო ანათებდა და ჩვენ მაინც ვერ ვხედავდით მას.

— მართალი ხართ, ილია. მე ველარას ვიტყვი მის ტალანტზე, რადგან, ეტყობა, ვერც მე ვხედავდი მას. როცა იგი ვნახე, გათხოვების შემდეგ თბილისში, დიდად დაფიქრებული და

დაღონებული იყო. დიახ, მაშინ ნინოსთან ერთად ალმოვაჩინე მე ის, მაგრამ უკვე გვიან იყო. მაშინ თავს ისე გვაჩვენებდა, თითქოს კარგ გუნებაზე იყო, ხუმრობდა, გვაცინებდა, გულში კი დიდი ვარამი ჰქონია. ეს ვარამი მე მერე მისი ლექსების წაკითხვის შემდეგ, დავინახე. ზრუნვა კი ვერ გამოვიჩინე ასეთი კაცისათვის...

— არა, მე თქვენზე არ მოგახსენებთ, დედოფალო, თქვენ რა შუაში ხართ! მე მის მეგობრებზე ვლაპარაკობ.

აქ ცოტა შეყოყმანდა ილია. პირდაპირ უნდოდა ეთქვა, ამას გრიგოლ ორბელიანზე ვამბობო. ილიამ იმ დროს არ იცოდა ბარათაშვილისა და ეკატერინეს რომანის ამბავი.

— დედოფალო, საქართველო ახლაც მიწაზე გართხმულია, დამარცხებულია, მაგრამ ისევ მოიკრებს ძალას. მე ვერ შევესწრები იმ ნეტარ დროს, მაგრამ იმ დღეებს ახლაც ვხედავ, — თქვა ილიამ.

— ეჰ, თქვენ კი მოესწრებით, მაგრამ ვაი, რომ მე ვერ მოვესწრები! — ეკატერინეს ეგონა ილია ჩემს წართმეულ ტახტს გულისხმობსო. — მე გამამართლებენ და ჩემ მტრებს ზიზღით მოიხსენიებენ, მაგრამ ეს მაშინ იქნება, როდესაც ეს ჩემი ხელი ისევე ცივი იქნება, როგორც გული ჩემი მტრებისა, რომელთაც ასე სასტიკად გამიმეტეს.

სწორედ ამ დროს დარბაზში ეკატერინეს შვილები შემოვიდნენ, და საუბარიც სხვა საგანზე გადავიდა.

ის ზაფხული დედოფალმა ცარსკოე სელოში გაატარა. თვით მეფის ოჯახიც იმ ზაფხულს პეტრე ბაგრატიონის სასახლეში იდგა და ეკატერინეც იქ იყო. ცარსკოე სელოს წესრიგსა და უშიშროებას საგანგებო ჯარი იცავდა.

ცარსკოე სელოს ახლოს, პავლოვსკის სამეფო ბაღში შადრევანი ცამდე ისროდა შხეფებს, საგაზაფხულო ალვანზე მუსიკა უკრავდა და შტრაუსი დირიჟორობდა. მთელი ბაღი განცვიფრებული შეჰყურებდა შტრაუსს. პრინცესები, სეფე-ქალები, ლამაზმანები ყვავილებს ესროდნენ მუსიკის დიდოსტატს. დედოფლები კი ყვავილებში მარგალიტებს ატანდნენ და ისე უძღვნიდნენ მუსიკის ჯადოქარს. ეკატერინე და მისი შვილები განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ გენიოს მუსიკოსს. გაოგნებული თეოდორე ხოშტარია იქვე იდგა და ხელებაპყრობილი

ღმერთს შეჰღაღადებდა. ამის მსგავსი მის თვალებს არაფერი ენახა, მის ყურებს არაფერი მოესმინა.

ილია და მისი ქართველი მეგობრებიც იმ ზაფხულს პავლოვსკის სტუმრები იყვნენ.

მამულო, საყვარელო

იმჟამად პეტერბურგში ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის მოწინავე ადამიანებმა ყიჟინა დასცეს ბატონყმობას და მთელი პროგრესული რუსეთი ფეხზე დააყენეს. ამ მოძრაობის ქარიშხალმა უნივერსიტეტებშიც შეაღწია და მთელი ახალგაზრდობა ააფორიაქა. ქართველი სტუდენტობა ერთბაშად აჰყვა ამ ტალღას. მათ სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა.

ილიასთან ყოველდღე იკრიბებოდნენ ქართველი სტუდენტები. იყო გაუთავებელი კამათი და სჯა-ბაასი: ხან — „სოვრემენიკში" დაბეჭდილ სტატიებზე, ხან კიდევ — ქართულ ჟურნალ „ცისკარზე", მის მიმართულებაზე...

— „ცისკარი" რაც არის, ჩემზე ნაკლებად თქვენც არ მოგეხსენებათ, მაგრამ ამ ჟურნალის არსებობაც დიდი ფაქტია და ჩვენი ვალდებულებაა, იგი ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ. თუმცა ჟურნალთან მწვავე პოლემიკა გვაქვს, ჩვენ იგი ჩვენი წრის შეხედულებათა პროპაგანდის ტრიბუნად უნდა ვაქციოთ. ეს ჟურნალი შიგნიდან უნდა ავაფეთქოთ და იქ ჯანსაღი საზოგადოებრივი ატმოსფერო უნდა შევქმნათ, — ამბობდა ილია.

— მართალია; მართალია, — დაუმოწმეს წრის წევრებმა.

ილია ორმხრივ მოქმედებდა.

ერთი მხრივ ჩერნიშევსკის წრესთან თავმოყრილ ახალგაზრდობაში ტრიალებდა:

ერთ დღეს ილია ნიკოლოზ ჩერნიშევსკის ესტუმრა. იქ ნიკოლოზ დობროლუბოვი და ნიკოლოზ ნეკრასოვი დახვდნენ. რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ამ გამოჩენილმა მოღვაწეებმა ქართველი სტუმარი სიყვარულით მიიღეს, გვერდით მოისვეს და ჰკითხეს: „რას იტყვით თქვენ, ქართველო, გამოგყვებათ თქვენი გლეხობა თავისუფლებისათვის ბრძოლა-

ში?“ ილიამ დაუდასტურა: დიახ, უთუოდ გამოგვყევებაო. დიდხანს საუბრობდნენ. რა საკითხებზე და პრობლემებზე აღარ ილაპარაკეს და ყველა ამ კამათსა და დავაში ილია აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ილია შინ მოხიბლული დაბრუნდა. ჩერნიშევსკისა და მისი თანამოაზრეების გაბედული, რევოლუციური შეხედულებები, დამჯდარი ჭკუა და მეცნიერული ანალიზი მოეწონა, გულით შეიყვარა ეს ადამიანები. მას შემდეგ აღარ მოსცილებია მათ. განსაკუთრებით ჩერნიშევსკისთან მეგობრობდა. ასე გახდა ეს ქართველი სტუდენტი ამ რევოლუციური წრის აქტიური წევრი, ამ წრეში მიღებული კაცი...

მეორე მხრივ, ილია ქართველი ახალგაზრდობის წრის საქმიანობას წარმართავდა: მას ამ დროისათვის უკვე დიდი ნაცნობობა ჰქონდა პეტერბურგში გადმოსახლებული ბატონიშვილების ოჯახებთან. მარტო ეკატერინე ჭავჭავაძისას კი არა, ერეკლესა, გიორგი და სოლომონ მეფის შვილებთანაც ხშირად დადიოდა. ეს ნაცნობობა ილიამ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის დავით ჩუბინაშვილის მეოხებით დაამყარა.

უნივერსიტეტში ქართული ენის სემინარს პროფესორი ჩუბინაშვილი ხელმძღვანელობდა. იგი ქართველი სტუდენტების მასწავლებელიც იყო და მრჩეველიც. მისი რჩევით, ქართველმა სტუდენტებმა საგანგებო ბიბლიოთეკა შექმნეს. ამ ბიბლიოთეკას, რუსულ და ევროპულ წიგნებთან ერთად, ძველი ქართული ხელნაწერები და დაბეჭდილი წიგნებიც ამშვენებდა.

პროფესორმა ჩუბინაშვილმა ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკას იმ დღეებში გარდაცვლილი სალომე ბატონიშვილის ბიბლიოთეკა გადასცა და მათ ასეთი ოფიციალური ხელწერილი ჩამოართვა: „ქართველი სტუდენტები გაძლევთ თქვენ, პროფესორ ჩუბინაშვილს ამ პირობის წერილს, მასზედ, რომ მივიღეთ თქვენგან ნაჩუქარი განსვენებული მეფის ასულის სალომესაგან შემდგომი ქართული წიგნები: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“, რუსულ-ქართული ლექსიკონი, „ქართლის ცხოვრება“, „ყარამანიანი“ და სხვ... და ეს დასახელებული წიგნები სასარგებლოდ ჩვენდა ჩვენს ბიბლიოთეკაში დარჩება დაუკარგავად, რაზედაც ხელს ვაწერთ“.

ხელს აწერდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა ქართველი სტუდენტები. ისინი მთელი კვირა ამ წიგნებსა და ხელნაწერებს არჩევდნენ და კამათობდნენ. ილია თვითონაც კითხულობდა ამ წიგნებს და წრის წევრებსაც ავალებდა წაეკითხათ. ამავე წრეში არჩევდნენ და კითხულობდნენ შექსპირის, გოეთეს, ბაირონის, პუშკინის, ლერმონტოვის, ვალტერ სკოტის, შილერის, ჰაინეს და სხვათა ნაწარმოებებს.

ერთ დღეს ილია ჭავჭავაძემ სტუდენტთა წრეში თავისი ახალი ლექსები წაიკითხა.

პოეტის სიტყვებს:

...აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა,
და დაე გვძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი...

მქუხარე ტაში მოჰყვა. ხოლო პასუხად ერთობლივი შეძახილი ბანივით გაისმა: „ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“.

ქართველ სტუდენტთა წრეში დიდი რომანტიკა, დიდი აღფრთოვანება, დიდი ოცნება სუფევდა, კამათი და დავა არ წყდებოდა. ილია გახარებული იყო ყოველივე ამით. როგორც ნამდვილი მეთაური, ისე გრძნობდა თავს და აქ ისახებოდა ის კვირტი ერის მამობისა, რომელიც შემდგომ გაიშალა და გაიფურჩქნა საქართველოში.

* * *

იმ კვირას ქართველ სტუდენტთა წრეში, ისევ დიდი აღელვება და აღტაცება მეფობდა. ამის მიზეზი კი ბარათაშვილის ლექსთა კრებული იყო. ილია თავის თანამემამულეებს, აღელვებით უამბობდა ბარათაშვილის ლექსების გამო.

— თქვენი არ ვიცი, მე კი არ მასვენებენ ბარათაშვილის სიტყვები: „რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“ დიახ, ჩვენ დამწყვდეული ერი ვართ, კოლონია ვართ! კოლონიური ერის პირველი საზრუნავი კი ეროვნული განთავისუფლება უნდა იყოს! ყველაზე უბედური დამონებული ერია. მხოლოდ კოლონიალიზმის უღლიდან თავდაღწეულ ერს შეუძლია მოიშუშოს ეროვნული და სოციალური

ტკივილები. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სანამ ბატონ-ყმობა არსებობს, მანამდის ძნელი იქნება ეროვნული თვითგამორკვევის გრძნობები გავუღვიძოთ მიწაზე გართხმულ გლეხკაცობას. ამიტომაც ეროვნულ ჩაგვრასა და ბატონყმობას ერთდროულად უნდა დავარტყათ. ეს ორი დიდი ჭირი უნდა მოვაშოროთ ერს, თუ ნამდვილად შეგვტკივა გული მამულისათვის. და აქ ჩვენ ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ. ეს ადვილი საქმე როდია. დიდი მსხვერპლის გაღება დაგვჭირდება, მაგრამ უმსხვერპლოდ როდი გაკეთებულა რამე დიდი საქმე. ჩვენს ხალხს ახლა ერისათვის, მამულისათვის თავშეწირული ადამიანები სჭირდება, უნდა ვუწინამძღვროთ, უნდა ვუპატრონოთ, უნდა მოვუაროთ ჩვენს გაუბედურებულ ერსა. — ესა თქვა ილიამ და შეჩერდა. მერე რატომღაც იფიქრა, ნათქვამი ცხადად არ გამოვხატეო და ისევ გააგრძელა:

— რუსეთს ერთი ჭირი აქვს მოსაშორებელი — ბატონყმობის ჭირი. გამოღვიძებული რუსეთი ამ ჭირს ადვილად მოიშორებს თავიდან. ამ ბრძოლაში ჩვენც მათთან ვიქნებით, რადგან ამით ჩვენი საქმეც კეთდება. მაგრამ ვაი, რომ ჩვენ ორი ჭირი გვაქვს მოსაცილებელი! ჩვენ მანამ ვიქნებით უბედურები, სანამ თავისუფალი ერი არ გავხდებით, დამოუკიდებელი სახელმწიფო არ გვექნება. ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. ჩვენი მთავარი საზრუნავი ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენაა. ამაზე უსაჭიროესი არა აქვს რა ახლანდელ საქართველოს შვილს. ერი, რომელსაც თავისი საკუთარი ეროვნული მთავრობა და თავისი ჯარი არა ჰყავს, აბა რა ერია!.. და მერე რამდენი ბრძოლა დაგვჭირდება იმისათვის, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ...

— ბრძოლაში, ბრძოლაში ვეძიოთ ჩვენ ჩვენი ქვეყნის მომავალი, — ისევ ერთხმად მისცეს ბანი ილიას ქართველმა სტუდენტებმა.

ახლა უფრო თამამად გააგრძელა ილიამ:

— მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ახლა ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენისათვის ვიბრძოლებთ და რომელიმე ბატონიშვილს ისევ მეფედ წამოვასკუპებთ, ბატონყმობას განვამტკიცებთ. არა, ჩვენი მშრომელი ხალხის ჭირი და ვარამი უნდა გვამოძრავებდეს. ჩვენ ისეთი მთავრობა გვინდა, რომელიც ხა-

ლხისა იქნება. არ დაივიწყოთ, რომ ხალხის სიყვარულია სახელმწიფოს ძალა და ღონე. მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საომედო ყოველ განსაცდელში. ხალხის სიყვარული არის დუღაბი, რომელმაც უნდა განამტკიცოს სახელმწიფოს ეროვნული შენობა. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუყეა, ერთი ლაზათიანი ქარის შემობერვა და იმის დამსხვრევა ერთია. მომავალი საქართველოს ფუძე ხალხია, ხალხია ერის შემნახველი, მისი ენის, მისი კულტურის შემნარჩუნებელი და დამფასებელი. სწორედ ამ ხალხისთვის უნდა ვიბრძოლოთ, ხალხთან უნდა ვიყვნეთ, მასთან უნდა ვიტრიალოთ, მასთან უნდა დავამყაროთ სულიერი კავშირი, თუ გვინდა ვუმკურნალოთ ჩვენს დაცემულ საქართველოს.

— სწორია, მართალია. —გუგუნებდა სტუდენტთა გუნდი. ილია არ შეჩერებულა:

— დიახ, იმას მოგახსენებდით, ჩვენს თავადაზნაურობას მე კარგად ვიცნობ, ჩვენს ბატონიშვილებსაც. აი, ახლა, როცა ამ ჩვენს ბატონიშვილებს, ტახტის დაბრუნებაზე მათს ოცნებას ვაკვირდები, როცა მათს გულამოსკვნილ სიტყვებს ვისმენ, ვხედავ. რომ ყველაფერი ეს ფუჭი ოცნებაა. ეს ერთი მუჭა გადაგვარებული ბატონიშვილები ჩვენთვის გამოუსადეგარნი არიან. მათ არც სული აქვთ ხალხისა და არც ხორცი. ქართული ენა, ეს ჩვენი სალოცავი ენა, დაუვიწყებიათ და ტახტს კი ეპოტინებიან. არა, მათგან არაფერს უნდა ველოდეთ სახეიროს, ჩვენი გზები გაიყარა. ჩვენ ახლა ხალხის შემყურენი უნდა ვიყვნეთ. ბატონყმობის გადავარდნა ერის დამოუკიდებლობის აღდგენას უნდა დავუკავშიროთ. ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდეს. მე მჯერა, ამ ეროვნული მისიის შესრულებაში მოწინავე რუსეთი, ჩერნიშევსკის რუსეთი, ჩვენს მხარეზე იქნება. მე კარგად ვიცნობ მათ შეხედულებებს საქართველოზე, მაოცებს მათი დიდი ცოდნა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და დიდი სიყვარულიც. ეს სიყვარული და პატივისცემა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ.

მშრომელები და პატრიოტები შექმნიან ახალ საქართველოს. შრომისა ახსნა — ჩვენი თაობის, ამ საუკუნის ტვირთია და ეს ტვირთი მხრებით უნდა ავზიდოთ ჩვენს ხალხთან ერთად.

დავთქვათ, რომ ამ საქმეში ერთგული ძმები ვიქნებით, რომ არ ვუღალატებთ ამ წმიდა საქმეს.

— დავთქვათ, რომ დავიცვათ ეს წმიდა საქმე! — ერთხმად შესძახეს სტუდენტებმა.

— მაგრამ მთავარი მაინც ის არის, — განაგრძო ილიამ, — რომ დავიხსნათ ჩვენი ხალხი სოციალური და ეროვნული მონობისაგან. ისე საზიზღარი არაფერია, როგორც მონობა, სხვა ერის, უცხო ძალის წინაშე მორჩილება. ჩვენს სამშობლოს ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს შინაც და გარეთაც. უნდა ვიხსნათ ჩვენი ხალხი გადაგვარებისაგან. ქართული ენა უნდა ვიხსნათ მოსპობისაგან. ბედი ქართლისა უნდა გადაწყდეს და, პირობა დავთქვათ, რომ არ ვუღალატებთ ჩვენი თაობის ამ ეროვნულ მოწოდებას! სიკვდილი ან გამარჯვება!

— სიკვდილი ან გამარჯვება! — გაიმეორა მთელმა გუნდმა.

ილიამ ახლა კმაყოფილებით გადახედა მეგობრებს. მზად იყო სათითაოდ ყველას გადახვეოდა.

— მაშ ასე! — მხოლოდ ესღა თქვა და ამ დინჯმა ჭაბუკმა თავი შეიკავა სხვა ჟესტებისა და მოძრაობისაგან. — მაშ ასე, ეს ჩვენი პირობა. უბრალო ლიტონი სიტყვები არ უნდა იყოს. დე, ყოველმა ჩვენთაგანმა საქმით გამოიჩინოს სამშობლოს ერთგულება.

კმაყოფილი, აღფრთოვანებული და აღტაცებული სტუდენტები გვიან დაიშალნენ, ასე ეგონათ, ამ საქმეს არაფერი დაუდგებოდა წინ.

მეორე დღეს სტუდენტთა მღელვარება ისევ განმეორდა. იმ დღეს მთელი უნივერსიტეტი გაიფიცა. სტუდენტებს ზოგიერთი მოწინავე, რევოლუციურად განწყობილი პროფესორიც შეუერთდა.

ფიცხელი გამოძიება და ჩხრეკა დაიწყო. რამდენიმე კაცი შეიპყრეს, ორასამდე სტუდენტი კი დაითხოვეს. დათხოვნილებში ილიაც იყო.

ქართველ სტუდენტთა წრის მუშაობა შეჩერდა, რეაქციის შავი ღრუბლები ჩამოაწვა რომანტიკულად აღფრთოვანებულ სტუდენტთა ოცნებას და ყველაფერი გამოუურკვეველ ბურუსში გაეხვია...

ილიას აზრით, საქართველოს ყველაზე დიდი მტერი ის იყო, ვინც ბატონყმობას დაეინებით იცავდა და არ ფიქრობდა ხალ-ხის მომავალზე. ეკატერინე დადიანსაც ბატონიშვილების ბანაკში სთვლიდა.

ილიასა და ეკატერინეს შორის მეტად ცარიელ კამათი გაიმართა. ეკატერინე ისე გამომწვევად აკვირდებოდა ჭაბუკ სტუდენტს, თითქოს პირველად ხედავსო. მოეწონა ეს ტანმორჩილი, მაგრამ ჯმუხა და ფოლადივით ჩასხმული ჭაბუკი, მისი გაშლილი, სპეტაკი, გონიერი შუბლი, წყლიანი, მეტყველი თვალები, სწორი ცხვირი, მსხვილი ტუჩები... გაბადრული სახის თაფლისფერი, თაფლისა კი არა, სპილენძისფერი კანი სიფაქიზეს და მიმზიდველობას ანიჭებდა ახალგაზრდა კაცს. ილია გარკვევით, გამომეტყველებით ლაპარაკობდა. იგი ოდნავ გულჩათხრობილად მოეჩვენა ეკატერინეს. იფიქრა, მთლად გულახდილი არ უნდა იყოს ჩემს წინაშეო. მაგრამ არაფერი უთქვამს, ისე განაგრძო:

— არა, ჩემო ილია, ეს გლეხები სიკეთეს არ მოუტანენ ჩვენს საქმეს. ჩვენს თავადაზნაურობას...

ილიამ არ დააცალა აზრის დასრულება:

— თქვენი საქმისა. არ ვიცი, რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი ერის ძალა და ძარღვი რომ გლეხია. ეს უდავოა. მე ბავშვობიდან გლეხებში ვტრიალებ და ვიცი: გლეხკაცობა კეთილია, გულით მართალი და პატიოსანი. თუ გლეხს გულს გაუხსნი და მიენდობი, არ გიღალატებს, არ გაგწირავს. ჩვენებური თავადიშვილი უფრო მოღალატეა, ვიდრე გლეხი.

ეკატერინეს არ მოეწონა ილიას სიტყვები და ქვემოდან ახედა, მერე ერთბაშად მიახალა:

— კარგი, ჩემო ილია, თავი დავანებოთ ასეთ სისულელეს. ღმერთს რაც დაუმტკიცებია, იმას ვერ გადაუვალთ. მაპაჩემსაც, როგორც პოეტს, უყვარდა და მოსწონდა გლეხკაცობა. შენც უნდა შეიყვარო ისინი, მაგრამ არა მგონია, შენი აზრი მართალი იყოს. ჩვენი ქვეყნის ფუძე და მეთაური თავადაზნაურობაა, და თუ ეს ფუძე მოიშალა, საქართველო მეორე დღესვე დაიღუპება. ქალამნიანებისა და მაწანწალების საქართველო არავის უნდა, არავინ მოისურვებდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრებას. საჭირო რომ არ ყოფილიყო, თვით ღმერთი არ გააჩენდა ბატონს და ყმას.

ლმერთი იყოს მფარველი ჩვენი და ნურც მოგვიშალოს უფალმა მისგან დაწესებული ეს კანონი!

ახლა კი გაცხარდა ილია ჭავჭავაძე:

— ვერა, ვერ დაგეთანხმებით, ჩემო დედოფალო. უკან კი არა, წინ უნდა ვიხედებოდეთ! ჩვენს დროშას უნდა წარვუძღვაროთ სიტყვები: ძმობა, ერთობა, თავისუფლება! ახლა ამისათვის მთელი განათლებული კაცობრიობა იბრძვის. ყველა თავადი და აზნაური, ვისაც კი გონიერება შერჩა, ამ პროგრესის მომხრე იქნება. ვინც ამ გზას არ გაჰყვება, დაიღუპება. ამიტომ ჩვენ წარსულზე მოთქმა და ტირილი კი არ გვმართებს, არამედ ადამიანის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მონობის წინააღმდეგ ბრძოლა. ტირილი და მოთქმა დედაბრების საქმეა. თუ გვსურს გადავურჩეთ ჩვენი დროის ქარიშხალს, ბატონყმობის ბორკილები უნდა დავამსხვრიოთ. თუ ამას ნებით არ გავაკეთებთ, ძალით გაგვაკეთებინებენ, დედოფალო, ძალით...

ასეთი თამამი აზრი სრულებით არ მოეწონა ეკატერინეს. ისე გაბრაზდა რომ არც კი მოისურვა მისი მოსმენა.

— არა, ნამდვილად არ ესმით მათ ხალხისა, ჩანს, გადაგვარებულან; ჩანს, საქართველოს მომავლისათვის ბრძოლაში თავადიშვილობა ცუდ როლს თამაშობს. ჩვენი იმედი ისევ გლეხკაცობა უნდა იყოს, — თქვა ილიამ და ხელი ჩაიქნია, თითქოს აბეზარ ფიქრებს თავიდან იცილებსო.

* * *

პეტერბურგში ყოველდღე უამრავი მეგობარი და ნაცნობი ნახულობდა ეკატერინე ჭავჭავაძეს: ქართველი ბატონიშვილები თუ რუსი გენერლები და ოფიცრები, ქართველი სტუდენტები, თუ რუსი მწერლები და მხატვრები, რომელთაც კავკასიაში უმსახურიათ და ჭავჭავაძეებისა და დადიანების ოჯახებთან მიმოსვლა ჰქონიათ. ეკატერინეს რეზიდენცია სალონად იქცა. განსაკუთრებით ბევრი მომსვლელი იყო შაბათს და კვირას.

იმ დღესაც ახლო მეგობრები ესტუმრნენ დედოფალს. მათ შორის იყო ეკატერინეს ძველი ნაცნობი და ჭავჭავაძეების ოჯახთან დაახლოებული რუსი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი, იაკობ პოლონსკი. პოლონსკი საქართველოში დიდხანს ცხოვრობდა, ჯერ მეფისნაცვლის კანცელარიაში, მერე თბილისის

რუსული გაზეთების რედაქციებში მუშაობდა. იმქამად იგი დიდად დაინტერესდა ქართული მწერლობით, კულტურით და შემოქმედების მთავარ თემად საქართველო გაიხადა.

და აი, ახლა, ეკატერინეს ყოველ შაბათს ეწვეოდა ხოლმე და, უკითხავდა და უკითხავდა საქართველოზე დაწერილ ლექსებს, ათასგვარ ახალ ამბებს უყვებოდა და ერთობდა დადარდიანებულ დედოფალს. ამ დღეს ეკატერინესთან პეტერბურგის მაღალ არისტოკრატიაში დიდად მიღებული, სალონებისა და ბალების შეუცვლელი სტუმარი პოეტი ვლადიმერ გიორგის ძე ბენედიქტოვი მოეყვანა.

საქართველოს უზომოდ მოტრფიალე რუსი კაცის გულღიაობით და უშუალობით იგონებდა პოლონსკი თბილისში გატარებულ დღეებს. ახლა ისევ თბილისზე დაწერილ ლექსებს კითხულობდა და თვალებში შესცქეროდა ეკატერინეს. ლექსში «Прогулка по Тифлису» ოციანი წლების თბილისის ყოფა, თბილისის ბაზარი, უცხოელი და შინაური ვაჭრები. თბილისის განთქმული აბანოები, თბილისის სიძველეები ისე იყო დახატული, რომ ეკატერინეს თვალწინ წარმოუდგა თბილისი, საყვარელი დედაქალაქი. ეს ლექსი ეკატერინეს ადრეც ჰქონდა წაკითხული, მაგრამ ახლა ავტორი ისეთი გზნებით და პათოსით კითხულობდა, რომ ეკატერინეც, ბენედიქტოვიც და სხვა რამდენიმე სტუმარიც, რომლებიც დედოფალს იმ საღამოს ეწვივნენ, დიდი ყურადღებით უსმენდნენ. ბოლოს პოლონსკიმ ხმას დაუდაბლა და ასე დაამთავრა:

...В котором много блеску, жизни мало
Повсюду я спешу ловить
Рой самых свежих впечатлений;
Но признаюсь вам, — надо жить
В Тифлисе — наблюдать — любить
И ненавидеть, чтоб судить
Или дождаться вдохновений...

ახლა ეკატერინემ ბენედიქტოვს სთხოვა რაიმე ლექსი წაეკითხა. ბენედიქტოვმაც დიდი რიხით წაიკითხა ლექსი „ტბა". სხვანაირად, უფრო ყალბი პათოსით კითხულობდა, ვიდრე პოლონსკი. იგი იპრანჭებოდა, თავი დიდ პოეტად მოჰქონდა. სტუმართმოყვარე დედოფალი კი მოთმინებით უსმენდა.

ეკატერინემ ახლად გაცნობილ პოეტს ლექსი მოუწონა და თან ასე უთხრა: კარგია, ამ თემაზე მამაჩემსაცა აქვს ლექსი. მამაჩემის ლექსი უფრო სევდიანია. თუ გნებავთ, მე წაგიკითხავთ და გადაგითარგმნით.

ბენედიქტოვი ახლო მივიდა, ხელზე ეამბორა და სთხოვა, წამიკითხეთო. დედოფალმა არ დააყოვნა და მშვენიერი პათოსით წაიკითხა „გოგჩის ტბა"...

ახლა ისევ პოლონსკი ჰყვებოდა ამბავს.

— დედოფალო, თქვენ გიყურებთ და თვალწინ ნინო მიდგას. თითქოს ისევ ცოცხალი იყოს. ვერ ვიტყვი, რომ ნინოს ძალზე ჰგავდეთ, მაგრამ როცა თქვენ გესაუბრებით, ვხედავ, რომ ნაცნობი, საერთო იერი და სულით ნათესაობაა თქვენსა და ნინოს შორის. მე ნინოს დიდი მადლიერი ვარ, დიდად დავალებულიც მისგან. მან შთამაგონა საქართველოს სიყვარული. მთაწმინდაზე ნინოსთან ერთად გრიბოედოვის საფლავთან რომ ვიდექი, მაშინ თავი ვალდებულად ვიგრძენი, რაც ძალა და ნიჭი გამაჩნდა, საქართველოსთვის მიმეძღვნა. ერთი ჩემი საუკეთესო ლექსთაგანი ნინოს მივუძღვენი. მისი დაბეჭდვა თბილისში ვერ მოვასწარი. შემდეგ რამდენჯერმე გადავაკეთე. ნინოს გარდაცვალება რომ გავიგე, ისევ შევცვალე, დღემდეც არ დამიბეჭდავს და ახლა ჭაშნიკად მინდა თქვენ გაგასინჯოთ. ჩემო დედოფალო, — თქვა პოლონსკიმ და ამ გრძელი ლექსის კითხვას შეუდგა:

Н. А. Грибоедова

Не жизнь, красавец молодой,
внук иверских царей,
Был сокровенною мечтой
Ее цветущих дней.
Не вождь грузинских удальцов, —
Гроза соседних гор, —
Признаньем вынудил ее
Потупить ясный взор...

კითხულობდა და თვალებში შესცქეროდა ეკატერინეს, მოსწონს თუ არაო, და ისევ კითხულობდა. და, ბოლოს, დაამთავრა თუ არა ლექსი, ეკატერინემ ხელი ჩამოართვა. პოლონსკიმ დიდად გაიხარა, რაკი მისი ლექსი დედოფალს მოეწონა.

მერე სიტყვა ოდოევსკის, პუშკინის ლექსებზე ჩამოვარდა.

ლერმონტოვიც მოიგონა დედოფალმა:

— ლერმონტოვი ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო-მეთქი, რომ ვთქვა, ცოტაა, მისი ბევრი ლექსი ჩვენს ოჯახშია დაბადებული. «Кинжал» ხომ იცით, ჩემი ნინოს ნაჩუქარმა ხანჯალმა დააწერინა. სამიოდე ლექსი მეც მომიძღვნა. მისი «Слышу голос твой», «Она поет», ჩემზეა დაწერილი. ეს ლექსიც მე მომიძღვნა—თქვა და ზეპირად წარმოთქვა ლერმონტოვის ლექსი:

Как небеса твой взор блистает
Эмалью голубой,
Как поцелуй звучит и тает
Твой голос молодой;
За звук один волшебной речи,
За твой единый взгляд,
Я рад отдать красавца сечи,
Грузинский мой булат;
И он порою сладко блещет,
И сладостней звучит,
При звуке том душа трепещет,
И в сердце кровь кипит.
Но жизнью бранной и мятежной
Не тешусь я с тех пор,
Как услыхал твой голос нежный
И встретил милый взор.

ეკატერინე ისევ დაჟინებით ამტკიცებდა, ლერმონტოვის ლექსებში დიდი წვლილი უდევს საქართველოს და, კერძოდ ჩვენს ოჯახს, კერძოდ, მე და ნინოსო, სწორედ ჩვენ ჩავაგონეთ მას სიყვარული და პატივისცემა ჩვენი ქვეყნისაო.

იმ საღამოს გვიან დაიშალნენ სტუმრები.

იმავე კვირას პეტერბურგში დიმიტრი ყიფიანი ჩამოვიდა, ხოლო მეორე შაბათს კვლავ მოიწვია ეკატერინემ რუსი პოეტები: პოლონსკი, ბენედიქტოვი, მაიკოვი...

დედოფალს ტარას შევჩენკოც ესტუმრა. კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ისტორიით დაინტერესებული უკრაინელი მწერალი — „მალოროსელი პოეტი და მხატვარი“ — ეკატერინეს ხშირი სტუმარი იყო. ტარას შევჩენკო, გრიგოლ მაისურაძის მეგობარი, კარგად იცნობდა ჭავჭავაძეების ოჯახს. მაისურაძე ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმა იყო. მხატვრობის ნიჭი აღმოაჩნდა. პოეტი დაინტერესდა მისი ბედით და ნიჭიერი ყმა პეტერბურგს გაგზავნა სასწავლებლად. ეს მოხდა 1837 წელს. ალექსანდრე ჭავჭავაძე მაშინ პეტერბურგში იყო და

თვითონ დაეხმარა მაისურაძეს, სამხატვრო აკადემიაში რომ მოწყობილიყო. ტარას შევჩენკო და მაისურაძე სამხატვრო აკადემიაში შეხვდნენ ერთმანეთსა და დამეგობრდნენ. აქ უამბო მაისურაძემ უკრაინელ მეგობარს საქართველოს ისტორია, ამირანის ლეგენდა, ჭავჭავაძეების ოჯახის ამბავი. მერე ეკატერინესთან პოლონსკიმ მოიყვანა ტარასი და ამის შემდეგ გაიბა მეგობრული კავშირი ტარასისა და ეკატერინეს ოჯახს შორის.

ეკატერინეს მოსწონდა ეს მგზნებარე პატრიოტი და თავისი ქვეყნის ბედის გამო მუდამ დაღვრემილი პოეტი. იმ დღეს პოლონსკის შემდეგ ტარას შევჩენკომ თავისი ახალი ლექსი „სიზმარი" წაიკითხა. ეს ლექსი, პეტერბურგში გადასახლებიდან მეორედ დაბრუნების პირველსავე დღეებში რომ დაწერა, ძლიერ უყვარდა ავტორს. მასში ბატონყმობია წინააღმდეგ პროტესტის ხმაც გაისმოდა და ცარიზმის უღელქვეშ გათელილ უკრაინასაც ექომაგებოდა პოეტი.

ეკატერინემ ლექსი ყურადღებით მოისმინა, მაგრამ არაფრად ეჭაშნიკა ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული სიტყვები. და თავისი უკმაყოფილება რომ დაეფარა, პოეტს სთხოვა „კავკასია" წამიკითხეო. ტარასს ეს ლექსიც ძლიერ უყვარდა და სიამოვნებით დასთანხმდა ეკატერინეს. პოეტი გზნებით კითხულობდა, თვალები იმედის ნაპერწკლებით უციმციმებდა: ჰა, როგორაო, მთების იქით მთები, ნისლით შებურული, საცხე მწუხარებით და მორწყული სისხლით. — გადმოაქართულა ეკატერინემ პოეტის სიტყვები. ამ ლექსმა დედოფალს საქართველო მოაგონა. მოგონების ბურუსი გაიფანტა და ახლა ისევ ის ადგილი წარმოიდგინა, სადაც პოეტი საქართველოს მთების და ადამიანების დამმონებელ ცარიზმს თავს ესხმოდა. დედოფალმა გულით გაიხარა. მოეწონა. ადგა და ხელი ჩამოართვა უკრაინელ პოეტს..

ტარასი ხელზე ეამბორა დედოფალს. სადილად მოწვეული სტუმრები ისევ ლექსებით ერთობოდნენ.

საღამოს ეკატერინე სტუმრებთან და დიმიტრი ყიფიანთან ერთად „მედეას" სანახავად წავიდა. მედეას როლს იტალიელი მსახიობი ადელაიდა რისტორი ასრულებდა. დარბაზი სულგანაბული შესცქეროდა მსახიობის მომხიბლავ თამაშს. როცა

შინ დაბრუნდნენ, ეკატერინემ ვერ დამალა აღტაცება და დიმიტრი ყიფიანს უთხრა:

— ამის მსგავსი არაფერი მინახავს. რა დიდებულად წარმოადგინა კოლხი ქალის მედეას ტრაგიკული სახე. მაინც რა უცნაური იყო ბედი ამ ქალისა — სილამაზისთვის, მიჯნურობისთვის, სიყვარულისთვის ბერძენ ჭაბუკს იაზონს გაეკიდა. მათ უყვარდათ ერთმანეთი და მერე მათს თავს ისეთი რა დატრიალდა, რომ მედეა იძულებული გახდა საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა, რითაც დაღუპა თავისი შვილები? ახლაც ტანში მაჟრჟოლებს ყოველივე ამის მოგონება. გასაოცარია. უბედური მედეა! — ეს უკანასკნელი სიტყვები თითქმის ტირილით წარმოთქვა დედოფალმა...

„მედეას“ ნახვით გაოგნებულ დედოფალს იმ ღამეს არ დაეძინა, რაღაც გამოუცნობმა შიშმა შეიპყრო და ვერ მოასვენა. შუაღამე გადასული იყო, დედოფალი ძილგატეხილი ადგა და ბავშვების საძინებელ ოთახში შევიდა, ძიძა გააღვიძა და შფოთვარედ შეეკითხა, ბავშვები როგორ არიან, როგორ სძინავთო. მოულოდნელი იყო ეს კითხვა. შეშფოთებული ძიძა თვალებს იფშვნეტდა, გონს ვერ მოსულიყო და რაღაცას გაუგებრად ლუღლუღებდა. ნახევრად მძინარე დედაბერს დედოფალი ისევ ჩასძახოდა: — ბავშვები როგორ არიან?

ძიძა ერთბაშად გონს მოვიდა, ფეხზე წამოდგა, მაინც ძლივს ამოილუღლუღა:

— კარგად, კარგად, ჩემო დედოფალო. რად შეწუხებულხართ, რა მოხდა ჩვენს თავს?

თვითონაც შეშინებულმა ძიძამ ბავშვებს დახედა. პატარა თამარს საბანი გადაეგდო და ისე ეძინა. დედოფალი თვითონ მივიდა, საბანი გაუსწორა, სასთუმალთან დაიხარა და აკოცა მძინარეს. პატარა შეიშმუშნა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

დედოფალი ფეხაკრეფით გამოვიდა თავის საძინებელ ოთახში, პირჯვარი გადაისახა და ისევ დაწვა, მაგრამ ძილი მაინც არ მიეკარა „მედეას“ შთაბეჭდილებით შეშფოთებულს.

ერთი თვე გავიდა და პატარა თამარი ცუდად გახდა. აწრიალდა დედოფალი, ექიმები დაასია. ბავშვი ისევ გამოკეთდა.

მეორე დღეს დიმიტრი ყიფიანი, მამუკა ორბელიანი, დედოფალი და მისი უფროსი შვილი ნიკო პავლოვსკის საგაზაფ-

ხულო საკონცერტო დარბაზში შტრაუსს უსმენდნენ. ავსტრიელი კომპოზიტორი იოჰანეს შტრაუსი — შვილი — იმ ზაფხულს ისევ ჩამოსულიყო თავისი ორკესტრით, და პავლოვსკის ბაღს და საკონცერტო დარბაზს აუარებელი ხალხი მოაწყდა. იმ დღეს კი გამოსათხოვარი მუსიკალური საღამო იყო დანიშნული. საღამოს შვიდ საათზე დაიწყო კონცერტი. შტრაუსი გასაოცარი არტისტულობით დირიჟორობდა ორკესტრს და ხალხიც სულგანაბული უსმენდა დიდებულ მუსიკას.

მუსიკის ეს დიდი ოსტატი ისე გულში ჩამწვდომად გადმოსცემდა ნაწარმოების ხასიათს, შემოქმედებითი აზრით გაღვიძებულ გრძნობას, რომ ვინც უსმენდა, მუსიკის მცოდნე, თუ რიგითი მოკვდავი, ერთბაშად გადაჰყავდა არაჩვეულებრივ მუსიკალურ სამყაროში და ყველაფერი მღეროდა მის გარშემო. ყველაფერი მაესტროს ჯადოსნურ მოძრაობას ემორჩილებოდა.

დირიჟორს ხელები ზე აეზიდა და ამ ხელებს ცამდე აჰყავდა ყოველივე მიწიერი, რაც კი გარშემო იყო. თავდებოდა ესა თუ ის ჰანგი და აღტაცებული მაყურებლები ვერ იოკებდნენ მუსიკით აშლილ გრძნობებს. როგორც აღტაცებული იყო თვით მაესტრო შესრულებისას, ისევე იყო აღტაცებული იქ ყოველივე სულდგმული. უჩვეულო ზეაღმაფრენას მთლად წაეშალა საზღვარი მაყურებელსა და დირიჟორს შორის. შორიდან ეამბორებოდნენ, სულში იხუტებდნენ, აღმერთებდნენ დირიჟორს...

ყოველი ნაწარმოების დასასრულს ვაშაა და ტაშს საზღვარი არა ჰქონდა. ყიფიანმა დედოფალს გადაულაპარაკა:

— დიდებულია შტრაუსი, გასაოცარია ყოველივე ეს. როდის ეღირსებათ, ქართველებსაც ასეთი დიდებული მუსიკოსი ჰყავდეთ!

რუსთაველის ქვეყანას, პოეზიით განებივრებულ საქართველოს, ხალხური მუსიკით მდიდარ ჩვენს ქვეყანას თავისი შტრაუსები უნდა ჰყავდეს!

მუსიკით მოხიბლულნი და აღგზნებულნი, საქართველოს ბედზე დაფიქრებულნი, ამ საუბრით გამოვიდნენ ისინი დარბაზიდან.

ორი დღის შემდეგ დედოფალი და დიმიტრი ყიფიანი იტალიურ ოპერას უსმენდნენ.

— რაც მე აქა ვარ, ჩემი თავი ისევ თბილისში მგონია. თქვენი უამრავი მნახველი, მეგობრები, სტუმრები ისევ სამშობლოს მაგონებენ. ალბათ, ეს თუ გაძლებინებთ, აქ დედოფალო, — უთხრა შინ დაბრუნებულმა ყიფიანმა ეკატერინეს.

— არა, ჩემო დიმიტრი, თბილისი და საქართველო მაინც სხვა არის. მე აქ ისევე სტუმარი ვარ, როგორც ჩემი სტუმრები. და უნდა გამოგიტყდე, რომ მომბეზრდა ეს ყველაფერი. დღეებსა და თვეებს ვითვლი, როდისღა მეღირსება ისევ დავბრუნდე. ჩემს სამშობლოში, ჩემს საყვარელ საქართველოში...

იმ წელს ახალი უბედურება დაატყდა თავს ეკატერინეს: მას შემდეგ, რაც პეტერბურგში ჩამოვიდნენ, უმცროსი ქალიშვილი თამარი სულ ავადმყოფობდა, ექიმები დედოფალს ურჩევდნენ, ბავშვი სადმე თბილ ქვეყანაში წაიყვანეო. რაკი საქართველოში დაბრუნება შეუძლებელი იყო, ეკატერინემ გადაწყვიტა იმ ზაფხულს თამარი იტალიაში წაეყვანა. მაგრამ აღარ დასცალდა დედოფალს ამ განზრახვის შესრულება — ბავშვი იმ გაზაფხულს გაფავდა.

უმცროსი შვილის სიკვდილმა მთლად გადარია ეკატერინე. ისედაც გამწარებული დედოფალი გულამოსკვნილი მოთქვამდა:

— მე, მე მოგკალი, შვილო, მე... არ უნდა წამომეყვანეთ თქვენ აქ! ჩვენს მამულში, ჩვენს საქართველოში უნდა დამებარტყებინეთ, ჩემო პატარებო. თუმცა ეს ჩემი ნება როდი იყო. მაგრამ უნდა მებრძოლა ამ საშინელი განაჩენის წინააღმდეგ. თავი იქ, ჩემს მამულში უნდა მომეკლა და აქ არ უნდა წამომეყვანეთ! ასე უნდა მოქცეულიყო თქვენი უბედური დედა, რაკი სხვა გზა არ იყო! მე, მე დაგღუპე, შვილო... არა, მე კი არა, ჩემმა მტრებმა დაგღუპეს შენცა და მეც. ჩემი მტრები არიან შენი მკვლელები, ჩემო ანგელოზო. აქ რომ არ გადმოვეგდეთ, შენც ცოცხალი მეყოლებოდი და მეც ბედნიერი ვიქნებოდი.

შვილებს მოუხმო, გულში ჩაიკრა და ისე განაგრძო მოთქმა:

— ყველა, ყველა დავიღუპებით აქ. უკვე გვიან არის, მაგრამ სანამდე მთლად დავიღუპებოდეთ, სანამდე მთლად ამოვწყდებოდეთ, რამე უნდა ვიღონოთ, ჩემო შვილებო, მაგრამ

ვაი, დედაშენს, შენ რომ ვერაფერს გიშველი, ჩემო თამრიკო, ჩემო გაუხარელო პატარავ!

ვერ აკავებდნენ ეკატერინეს, ტიროდა, მოსთქვამდა. მერე მეორე ოთახში გაიყვანეს და ძლივს მოასულიერეს გულშეღონებული.

ისევ მოთქვამდა დედოფალი. მოთქვამდა და სახეს იხოკდა:

— შვილო, თამარ, რად დაუბრმავე თვალები შენს დასაბრმავებელ დედასა! შენ, ჩემო ნაბოლარავ, მამაშენმა შენ საქართველოს დედოფლის თამარის სახელი დაგარქვა და დედოფლად გამზადებდა. ახლა რა ვუთხრა, მე პირშავმა, რა შევუთვალო მამაშენს. ვერ მოგიარე, ვერ გიპატრონე! ღმერთმაც იცის და კაცმაც, რომ მე შენთვის არაფერი დამიკლია, მაგრამ ვერაფერი გიშველე, რით ვინუგეშო თავი მე, უბედურმა, ყველა დედათა შორის უბედურმა დედამ! იმის უფლებაც არა აქვს დედაშენს, რომ გულში ჩახუტებული წაგიღოს სამშობლოში და მის მიწას მიგაბაროს! უფლებააყრილს, ახლა მთლად გაუბედურებულს, შენ, ჩემო პატარავ, მარტო გგზავნი მამაშენთან! ალბათ, ის მკვდარი მამაშენი უფრო მოგივლის, ვიდრე ცოცხალი დედაშენი. — ამბობდა ამ სიტყვებს და ისევ იხოკდა ლოყებს დედოფალი.

ახლობლებსა და მეგობრებს, აბა, რით უნდა ენუგეშებინათ გაუბედურებული დედა.

იმავე დღეს იმპერატორი ეწვია დედოფალს. გულგაქვავებული ეკატერინე ცივად შეხვდა იმპერატორს. და როცა იმპერატორმა სამძიმარი დაამთავრა, დედოფალმა გადაწყვიტა საშინელი სიტყვებით მიემართა და ეთქვა: შენ, შენ მომიკალი ეს შვილი, შენა ხარ მკვლელი ამ პატარა ანგელოზისაო... მაგრამ ეს ვერ გაბედა და ასე უთხრა:

— თქვენ არ გინებებიათ თან წავიღო ჩემი შვილი და მამამისის გვერდით დავასაფლავო. მიკვირს, მაგრამ იყოს ნება თქვენი... ერთი თხოვნა მაქვს და ამაზე მაინც ნუ მეტყვით უარს. ჩვენ ყველას ჩემი თამარის ბედი მოგველის. და რაკი საქართველოში არ გვიშვებ, ხომ ხედავ, ჩემი ბავშვები ვერ იტანენ აქაურ ჰაერს, ის მოწყალება მაინც მოიღე, რომ ნება დაგვერთოს იტალიაში ან საფრანგეთში მაინც გავემგზავროთ სამ-

კურნალოდ. იქნებ, ჩემს შვილებს ასცდეთ ბედი ჩემი თამარისა, იქნებ სიკვდილს გადაურჩნენ...

დედოფალი მწარედ აქვითინდა.

იმპერატორი ფრიად შეწუხდა და მაშინვე განკარგულება გასცა ყოველი ღონე ეხმარათ და დედოფალს დახმარებოდნენ, ნება დაერთოთ მისთვის და მისი შვილებისთვის, რომელ ქვეყანასაც აირჩევდნენ, იტალიას, გერმანიას თუ საფრანგეთს, გამგზავრებულიყვნენ. თან ყველაფერი ისე მოეწყოთ, რომ დედოფალი კმაყოფილი ყოფილიყო.

ესა თქვა იმპერატორმა და დატოვა იქაურობა.

როცა გონს მოვიდა, ეკატერინემ მაზლი კონსტანტინე და მღვდელი ხოშტარია მოიხმო.

— ხომ ხედავთ, დავიღუპე. ჩემზე უბედური დედა ახლა არავინ არის მთელს დედამიწაზე. მომკალით და ჩამქოლეთ მე უბედური...

კონსტანტინე დადიანმა სცადა დედოფლის დამშვიდება, მაგრამ ამაოდ, ეკატერინე ისევ მოთქვამდა:

— ვიცი, ვიცი, ჩემს თამარს აღარაფერი ეშველება. ახლა მარტო იმის მსურველიღა ვარ, რომ საქართველოში ჩავასვენოთ ჩემი ანგელოზი, მამამისს მივგვაროთ, დავითის გვერდით დავასაფლაოთ. მკვდარს მაინც მივგვრი მამამისს მარტვილში. თქვენ უნდა მოაწყოთ ყოველივე ეს...

კონსტანტინე და თევდორე უსიტყვოდ გავიდნენ ოთახიდან და საქმეს შეუდგნენ.

იმავე დღეს მოართვეს დედოფალს იმპერატორის ბრძანება:

„რაკი დედოფლის სურვილია, ნება ეძლევა შვილი თამარი საქართველოში წაასვენოს, ყველა ხარჯს ამასთან დაკავშირებით სასახლე კისრულობს. სასახლის დეკანოზი და დედოფლის მღვდელი წაასვენებენ მიცვალებულს, თვით დედოფალს კი, ვითარც შეუძლოდ მყოფს და დამწუხრებულს, ნება ეძლევა საზღვარგარეთ, პარიზს წავიდეს თავისი შვილებით“...

დედოფალი მიხვდა, რომ ამით საქართველოში გამგზავრებაზე ერთხელ კიდევ უარი უთხრეს და ისევ მოუკლეს გული.

უფლებაწართმეულმა დედამ პეტერბურგში დაიტირა შვილი და, ნეშტი კი, ნეშტი კი არა, სული, საკუთარი სული დე-

დისა, ნეშტთან ერთად გამოატანა თავისიანებს. გულდათუთ-ქული, განწირული დედოფალი პეტერბურგს დარჩა. ლოგი-ნად ჩავარდნილმა დედოფალმა მთელი თვე იავადმყოფა.

იმპერატორი ისევ ეწვია, ისევ მოეფერა და დაუყვავა მთელს ქვეყნიერებაზე ამრეზილ დედოფალს:

— მე ისევ გირჩევთ, დედოფალო, საზღვარგარეთ წახვი-დეთ, გული გადააყოლოთ, ასე არ ივარგებს, ღმერთის განა-ჩენს ჩვენ ვერ შევცვლით, ჩემო დედოფალო, მე გირჩევთ გაემგზავროთ პარიზს...

დედოფალი მორჩილად უსმენდა იმპერატორის ნებას. ახლა არც უფლება ჰქონდა, არც მდგომარეობა უწყობდა ხელს, ურჩობა. რომ გაეწია.

მგლოვიარეს, საქართველოდან შორს გადახვეწილ ეკატე-რინეს ძლიერ შემოაწვა მამულის სევდა. ზუგდიდი, წინანდა-ლი, მარტვილი, თბილისი, მისი საყვარელი სამშობლო სანუკ-ვარ ოცნებად გადაექცა. შორიდან ეალერსებოდა, ესიყვარუ-ლებოდა მამულს. ბავშვის სიკვდილის შემდეგ ხომ მთლად გაუმძაფრდა სევდა! ახლა ქმარიც საქართველოში ეგულებო-და და შვილიც. მკვდარი შვილი ისე გაგზავნა საქართველოში, რომ არც კი იცის, როგორ დამარხეს იგი მამამისის გვერდით. ეჩქარებოდა საქართველოში წასვლა, შვილის საფლავის ნახვა. გამწარებული ქალი შინ ყოველდღე ქართველებს ეპატიჟებო-და და ასე ქმნიდა მამულში ყოფნის ილუზიას.

შვილზე მგლოვიარე ეკატერინეს იმ დღეს ილია, ნიკო აფხაზი და ილიკო ორბელიანი ეწვივნენ. მარტი იყო. გარეთ კი საშინლად ჰყინავდა. მთელ საღამოს ბუხრის პირას ისხდნენ და საქართველოს იგონებდნენ.

— უხ! — ამოიოხრა ეკატერინემ, — ალბათ, ჩვენს საქარ-თველოში უკვე დათბა და ყველაფერი ხარობს, აქ კი ისევ თოვს და ყინავს...

ილიას თავისდაუნებურად წამოცდა:

...აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

დარბაზში დუმილი ჩამოვარდა. ეკატერინემ ხმადაბლა გაიმეორა: „მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები“. მერე მივიდა ილიასთან და შუბლზე ეამბორა.

შინ დაბრუნებულმა ილიამ ღამე თეთრად გაათენა მამულზე ფიქრში, აგრეთვე იმაზე ფიქრში, ამ გამწარებულ ქალს იმის ნებაც რომ არ დართეს, შვილის დამარხვას დასწრებოდა.

* * *

1861 წელს ილია სამშობლოში გამოემგზავრა.

ოცნებით, იმედებით, სურვილებით აღსავსე, საქართველოზე, მის მომავალზე დაფიქრებული მოდიოდა ილია სამშობლოში. რას მისცემს იგი საქართველოს? რით გამოადგება თავის ქვეყანას? ოთხი წელი, რუსეთში გატარებული ოთხი წელი როგორ გამოადგება ხალხის სამსახურის უღელის გასაწევად? — აი, ის ფიქრები, თავში რომ უტრიალებდა.

ილიას გაახსენდა, რომ უბეში ეკატერინე ჭავჭავაძის რვეულიდან გადმოწერილი ბარათაშვილის ლექსები ედო, გაახსენდა და მთლად დაკარგა მოსვენება.

ეს რვეული კი არა, თოფის წამლით დატენილი ყუმბარა იყო, რომელიც ძველი ქვეყნის ასაფეთქებლად ხალხში უნდა გადაეგდო კეთილ თესლად.

როგორმე უნდა მოაგროვოს ოჯახებში გაბნეული ბარათაშვილის ყველა ლექსი, უნდა დაბეჭდოს, რომ ხალხმა გაიგოს, რა დიდი პოეტი ჰყავს საქართველოს. მაგრამ სად დაბეჭდოს? „ცისკარში?“ „ცისკარი“ რომ ცისკრობდეს, ითავებდა ამ საქმეს. ახლა იმაზე ფიქრმა გაიტაცა, აუცილებლად შესდგომოდა ახალი გაზეთის, ან ჟურნალის დაარსებას.

ამ ფიქრებით გართული ილია დარიალის ხეობაში შევიდა, თერგის ხმაურმა გამოაფხიზლა. თერგის ღრიალსა და ბორგვას რომ დააკვირდა, ერთბაშად „მერანი“ მოაგონდა.

რაღაც საერთო რომ იყო მერანის დაუცხრომელ სულსა და თერგის მოუსვენარ ბორგვას შორის, ეს აშკარა იყო, ოღონდ, სახელდობრ, რა იყო ეს საერთო, ვერ წარმოედგინა და საგონებელს მიეცა. მერე თითქოს ერთბაშად მოაგონდა:

მოძრაობა, მოძრაობა და მოძრაობა არის ქვეყნის ძალა და ღონე. ეს არის ქვეყნის განახლების გზაც!

ილია ისევ საგონებელს მიეცა, თერგის ღრიალმა ისევ გაუღვიძა ნაღველი და საქართველოს ბინდით მოცული მომავალი თვალწინ დაუდგა.

— „ჩვენი ქვეყანა ძლიერი იმით იყო, რომ მუდამ ხმალს იქნევდა, მამულს იცავდა. აი ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ეს ბრძოლის ჟინი გაქრა და საქართველომ ძილს მისცა თავი. ახლა ისეთი კაცია საჭირო, რომელიც ნანას კი არ უმღერებს მიძინებულ მამულს, არამედ განგაშს ასტეხს, მოძრაობაში მოიყვანს ქვეყანას და ეროვნულ ბრძოლის ჟინით აღანთებს ხალხს. დიახ, მოძრაობა და მოძრაობა აი რა იხსნის საქართველოს. მე ბარათაშვილის სულს მოვუხმობ, მას წავიმძღვარებ მამულისათვის ბრძოლის გზაზე...

— „შევძლებ კი, რომ სამშობლოს ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულის ტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო: რომ არის მრავალი ქვეყანა, ჩვენზე უფრო უბედურად გაჩენილი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრები; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა ელავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემი ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად... შევძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა?“...

ასე ფიქრობდა თბილისისაკენ მომავალი ილია ჭავჭავაძე...

მას შემდეგ, რაც პეტერბურგიდან საქართველოში გამოემგზავრა, ილიას პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებთან კავშირი არ გაუწყვეტია. პეტერბურგში კი ილიას მიერ ასე ჩინებულად დაწყებულ საქმეს ახლა ნიკო ნიკოლაძე მეთაურობდა. ამ წრეში აკაკი და კირილე ლორთქიფანიძე ისევ მონდომებით თანამშრომლობდნენ. მართალია, აკაკი ერთ ხანს გაებუტა სტუდენტებს, მაგრამ შემდეგ ისევ დაუბრუნდა მათ და ერთი გულმოდგინე მონაწილე იყო იმ ეროვნული საქმეებისა, ახლა პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები რომ აკეთებდნენ.

იმ საღამოსაც სამნი ისხდნენ ერთად: ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე. ისინი „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ ბარათაშვილის ლექსებზე ლაპარაკობდნენ. შემდეგ ის იყო გადაწყდა, ქართველი პოე-

ტების ლექსთა კრებული მოემზადებინათ, პეტერბურგში გამოეცათ, და ხალხში გაევრცელებინათ. ეს საქმე კირილე ლორთქიფანიძეს მიანდეს. ისიც დიდი მონდომებით შეუდგა ამის მოგვარებას და მიმოწერა გამართა თბილისში ილია ჭავჭავაძესთან.

ილია „საქართველოს მოამბეს“ ედგა სათავეში და ძველ ძალ-ღონეს ბატონყმობისა და ცარიზმისაგან გათელილი საქართველოს ფეხზე დაყენებას ახმარდა. ახალ საქართველოს მეთაურს გვერდში ამოუდგნენ პეტერბურგელი ძმები: აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე... და დაიწყო დავა და შეურიგებელი ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ახალი საქართველოსათვის ბრძოლაში ილიამ წინ ნიკოლოზ ბარათაშვილი წაიმძღვარა. ილიამ ჟურნალი „საქართველოს მოამბეც“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსით („შემოღამება მთაწმინდაზე“) გახსნა. ამ ლექსის ბოლო სტრიქონი ზუსტად ეხმაურებოდა რედაქტორის სულიერ განწყობილებას: „რომ გათენდება დილა ეზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“. ამ რწმენით შემოაღო საქართველოს კარები ილიას ჟურნალმა.

ილიამ ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი კვლავ დაბეჭდა „საქართველოს მოამბეში“. ბარათაშვილის სურათის ძებნაც დაიწყო. გრიგოლ ორბელიანს პირადად ეახლა და გამოირკვა, რომ ქართლში ტატოს დასთან — ნინოსთან ინახებოდა ფოტოგრაფ დუბელირისათვის დასაბეჭდად გადაცემული ნეგატივი. მაშინვე აფრინა კაცი. ნეგატივი კი ჩაიგდო ხელში და თბილისში შეკვეთა მისცა დუბელირს გამოსამჟღავნებლად, მაგრამ ვერ მოასწრო სურათის მიღება, ჟურნალი დაუბურეს და თვითონ კი ქუთაისში გადავიდა. იმ ხანებში დუბელირის ფოტოგრაფიის სახელოსნოს ცეცხლი მოეკიდა და ნეგატივიც დაიღუპა, ქუთაისში შეატყობინეს ილიას ეს ამბავი. დიდად შეწუხდა. სწორედ ამ დროს კირილე ლორთქიფანიძის ბარათი მიიღო პეტერბურგიდან.

გადაწყდა გამოეცათ ბარათაშვილის ლექსების კრებული. ილიას დახმარებით ამ საქმეს პეტერბურგში ისევე კირილე ლორთქიფანიძე მეთაურობდა. ბარათაშვილის ლექსებს მთელ საქართველოში ეძებდნენ. მოიძიეს კიდეც და იმ ლექსებთან

ერთად, ილიამ ეკატერინე დედოფლისაგან რომ წამოიღო, შეიტანეს კრებულში.

კირილე ლორთქიფანიძემ პეტერბურგში გამოცემულ ქართულ ანთოლოგიას „ჩანგურს“, ილიას და აკაკის რჩევით, ბარათაშვილის სიტყვები წარუმძღვარა: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“. ანთოლოგია ნეკრასოვის პოეშით („პოეტი და მოქალაქე“) იწყებოდა. ეს პოემა თვით კირილე ლორთქიფანიძის მიერ იყო თარგმნილი. ქართველმა სამოციანელებმა ქართული პოეზიის ანთოლოგია ნეკრასოვის პოემით რომ დაიწყეს, ეს საგულისხმო ამბავი იყო. ნეკრასოვის სახელი მაშინ ყველა მოწინავე ადამიანს პირზე ეკერა.

ანთოლოგიაში შევიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა ლექსები. ქართველ სამოციანელებს ეგონათ, ეს კრებული ძველ ჭაობში ყუმბარასავით გავარდებაო, მაგრამ რატომღაც სწორედ ძველებმა დუმილი არჩიეს. ილიას „საქართველოს მოამბე“ უკვე დახურული იყო, ხოლო „ცისკარი“ შეგნებულად დუმდა. მაშინ აკაკიმ დაარღვია ეს დუმილი და იმავე „ცისკარში“ რეცენზია გამოაქვეყნა „ჩანგურის“ თაობაზე:

„ძლივს ერთი ხეირიანი წიგნი გვეღირსა: უფალმა ლორთქიფანიძემ გამოსცა ლექსების კრება „ჩანგური“, რომელმაც მოულოდნელად გაგვახარა და ასე გულწრფელობითაც არის ეს ჩვენი სიხარული, როგორც პირმშო შვილის ძეობაზე მისი მშობლებისა და ახალ მონათესავეებისა... სიტყვა „პირმშო“ აქ ჩვენ უმიზეზოდ არ გვიხმარია: ეს „ჩანგური“ არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული. სტირის და ჰკვნესის ქართველების კვნესით და მაშ რაღა საეჭვოა, რომ ყოველ რიგიან ქართველთ ნათესავისათვის სასიხარულო იქნება?... მიზეზიც ამისი არიან ორი პირველი მწერალთაგანი, როგორც ღირსებით, ისე რიცხვითაც: თ. ნ. ბარათაშვილი და თ. ი. ჭავჭავაძე.

ვიცი, აქ მკითხველი ვერ შემომხედავს წყალობის თვალით, რადგანაც სიტყვა „პირველი“ ორივე შემთხვევაში აკვირვებს და ჰფიქრობს: „პირველი ღირსებით?“ როგორ თუ პირველი ღირსებითაო?! ვსთქვათ, თუ გინდა ბარათაშვილი დიდი მწე-

რალია, მაგრამ იმასთან ი. ჭავჭავაძეს რა უნდა? ვინ აძლევს იმას ბარათაშვილის გვერდით ალაგს? ჰმ, ეს ილია ჭავჭავაძე, ჭაპან-წყვეტით ლექსების მწერალი... ნუთუ ერთს ტახტზედ უნდა გვერდით მოუჯდეს ბარათაშვილს?.. ჯავრობს მკითხველი... დიახ, ჩემო ბატონო! ეგ თქვენი ნაქები და შემკული ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორეთ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან. ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში. ერთგვარად დაუვიწყრები არიან. ერთის გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესოთ გაგება ძნელია! ერთის სიტყვით, ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენი ლიტერატურისა...

ცეცდად ხომ მაინც არ ჩაიელის ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს.
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

აი, რა გადმოსძახა საქართველოს, მაგრამ ასრულება კი აღარ დასცალდა და რაში მდგომარეობდა მისი დაპირება და რა იყო მის კვნესაში, ის ჭეშმარიტება დიდხანს დარჩა ჩვენთვის დაფარულად და გაუგებრათ. — დიდ ხანმა გაიარა ბარათაშვილის შემდეგ და მის კვალზედ წასული არავინ გვინახავს...

ამ სიკოტრის ჟამს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე. პირველათ, რასაკვირველია, თარგმნა დაიწყო პუშკინით, ლერმონტოვით და სხვ. მაგრამ ბოლოს დააგდო ეს გზა და შეუდგა ბარათაშვილის კვალს და რადგანაც დროც ხელს უმართავდა, უფრო თამამათ, ტირილით დაუწყო ხალხს შეჩივლა: „აი რა უნდა ეთქო თქვენთვის ბარათაშვილსაო! აი რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი კვნესაო!“ ერთი სიტყვით, ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკარნახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზე არის დაფუძნებული. ყოველს მის ლექსებში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას, მაგრამ რა საგანიც უნდა აიღოს ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირათ მაინც თვითონ არის...

...მისთვის შეეხე აქ ჭავჭავაძესა და ბარათაშვილს, რომ ეგება ჩვენმა განათლებულმა სწავლულებმა, რომელთაც ჯიბეში ხელი ჩაუწყვიათ და დაცინების მეტს არას აკეთებენ, ეგება იმათ მოჰკიდონ ხელი კალამს და კრიტიკულად გაარჩიონ ჩვენი მწერლები. თუმცა ბევრჯერ გამიგონია იმათგან,

რომ ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოსჩნდეს და დაჰსწეროს მისი განხილვაო, მაგრამ ეს სულ ტყუილი თვალის ახვევა არის; ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუის სიტყვებით, არაფერი გვაქვსო! . . — სწავლულებო, მოგვხედეთ! რა არის ეს გულის შემზარავი თქვენის მხრით გულ-გრილობა? გვიჩვენეთ გზა და კვალი და თუ ვერ გამოგყვეთ, მაშინ დაგვცინეთ და მაშინ შეგვრისხეთ... მაგრამ ეს კი უნდა იცოდეთ, რომ თუკი თქვენ თვითონ დაცინვისა და უსაქმობის მეტს არაფერს გაგვიკეთებთ, მაშინ არა გვრწამს თქვენი წინასწარმეტყველობა თქვენც გვიჩვენეთ ისეთი შრომა, როგორც თ. ჭავჭავაძემ, ანდა როგორც იმათ, რომელთაც პანსიონები გახსნეს და ზრდიან ყმაწვილებს და ან მასწავლებლებად შევიდნენ სასწავლებლებში, ერთი სიტყვით, რითაც შეიძლოთ, კეთილის სიტყვით მაინც, და თუ ვერ დაგაფასებთ, მაშინ დაგვიძახეთ უმადლო ქართველები.

„ჩანგურის“ გამოცემით ლორთქიფანიძემ დაიმსახურა საზოგადო მადლობა და არა ვჰკარგავ იმედს, რომ ამ ჩემს აზრს დაამტკიცებს საზოგადოება... ესეც შევიტყვეთ რომ ლორთქიფანიძეს თავისი შრომა ტყვილათ ე. ი. უინტერესოთ შეუწირავს ხალხისათვის და იმ ფასით ჰყიდის წიგნს, რამდენიც თვითონ დაჯდომია იმას გამოცემა. ღმერთმა ხელი მოუმართოს სხვა ამგვარ საზოგადო საქმეზედაც.“.

„ჩანგურის“ გამოცემით ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები ასე უხვად პირველად გავიდა ხალხში. პეტერბურგში რომ „ჩანგური“ დაიბეჭდა, მაშინ ეკატერინე უკვე პარიზს იყო წასული. ეს ამბავი დიმიტრი ყიფიანმა მაშინვე ამცნო დედოფალს.

ეკატერინე დადიანის წერილები დიმიტრი ყიფიანისადმი

სამეგრელოდან გაწვევის პირველსავე დღეს დედოფალს სამი მეურვე აურჩიეს: ეკატერინეს ძმა — დავით ჭავჭავაძე, სიძე, უმცროსი დის სალომეს ქმარი, — ბარონ ნიკოლაი,

ამიერკავკასიის მეფისნაცვლის მარჯვენა ხელი, სწავლა-განათლების საქმის გამგებელი ამიერკავკასიაში, და დიმიტრი ყიფიანი. მაგრამ ძმისა და სიძისაგან იშვიათად მოსდიოდა პასუხი წერილებზე. მათ თავიანთი პირადი საქმეები ჰქონდათ და ვერ იცლიდნენ. ამიტომ ისევ დიმიტრი ყიფიანს უგზავნიდა თხოვნას, დაწვრილებით ეცნობებინა სამეგრელოს მდგომარეობა და დადიანების სასახლის ამბავი. დიმიტრიც დაუყოვნებლივ ასრულებდა დედოფლის სურვილს. ეკატერინე მერე ძმასა და სიძეს გაუბრაზდა და ბარიატინსკის სთხოვა, მარტო დიმიტრი ყიფიანი დამიმტკიცეთ მცირეწლოვანი მთავრის ნიკო დადიანის მეურვედო. მეფისნაცვალმა შეუსრულა ეს სათხოვარი, მით უმეტეს, მასაც ყიფიანი ერჩია, რადგან ეს უკანასკნელი მისი საბჭოს წევრი იყო, და ეგონა, როგორც მე მინდა, ისე გამოვიყენებო. მაგრამ დიმიტრი ყიფიანი დიდი პრინციპული კაცი იყო, და რაკი მოჰკიდა ხელი დადიანის მეურვეობას, მოვალეობას ერთგულად ასრულებდა და დედოფლის ინტერესებს იცავდა. ეკატერინეც ყოველ წვრილმანზე ყიფიანს აწუხებდა.

ახლა, სამი წლის შემდეგ, ეკატერინეს წერილებს ხელმეორედ ფურცლავდა და კითხულობდა დიმიტრი ყიფიანი.

...თქვენის წიგნის პასუხი აქამდის ვერ მოგწერეთ, ჩემო უძვირფასესო დიმიტრი ივანიჩ, რადგანაც ათი დღე საშინელი ავად ვიყავ, გავცივდი გრაფინა რაზუმოვსკის რაუტში, ხველება დამაწყებინა. ასე მეგონა, ჩვენებური სურდო დამემართა და არ გავუფრთხილდი. მეორეს დღეს ერთს საღამოზედ ორს ვეჩერში ვიყავ და შემდეგ საშინლად ავად გავხდი გრიპით, ასე, რომ ათ დღეს ქვეშაგებში ვიწექ და მძიმე ავათ მყოფი ვიყავი.

„...ჩემი შვილები, ღვთის მოწყალებით, კარგად არიან. ჩემს ავადმყოფობაში თითქმის ამათი ჯავრით უფრო ვწუხდი. ღმერთმა ისე შენი ცოლშვილი გაახაროს და მოასვენოს, როგორც ჩემი გული თქვენის თანხმობით აპეკუნობისა მე მამასვენეთ. ახლა იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კანონიერათ და რიგზედ დაიწყობა. პირველი ჩემი ნუგეში ეს არის, რომ სამს თვეს თქვენ თითონ წაბრძანდებით, წელიწადში თქვენის თვალით ნახამთ ადგილს-მამულს და ყველაფერს ჩვენს საკუთრე-

ბას. პირველი ჩემი სურვილი ეს არის, რომ მამულს, მიწას, ტყეს და მთას სამძღვრები დაედოს და ტყეები ჩაებაროს სანდო კაცებს. ახლა ხომ იცით, რამდენი მოდავენი არიან; იმათ უნდა მოეთხოვოთ საბუთების ქაღალდები, რადგანაც მთავრები თავის დღეში არაფერს არ უწყალობებდნენ უწყალობის წიგნით. შენი ჭირიმე, დიმიტრი ივანიჩო, თქვენ იცით, როგორც თქვენს კეთილშობილს გულს ვიცნობდე, ისე გულმომჭინეთ მოეკიდებით რაც რომ ჩემი პატარა ობლების საკუთრება არს და რაც არ ეკუთრება, ღმერთმა დამიფაროს, რომ ერთი ალაბი მიწა მინდოდეს რომ შევიძინო. გთხოვ, რომ ყველაფერი დაწვრილებით მომწეროთ. ჯერ სრულებით არა ვიცი რა, ოღონდ უკანასკნელად მამივიდა ჩემის აპეკუნებისაგან რამდენიმე საქმეები, რომლებმაც შემაწუხა, რადგანაც ჩვენი საკუთარი ტყე რიყე პოლიციურის გამოძიებით ბატონიშვილებისათვის ჩაუბარებიათ და ჩვენთვის უბრძანებია გადარეულს ნიკოლაი კულობეკინს, რომ სუდით ეძიენითო. ახლა იმედი მაქვს, რომ თქვენს ხელში ამგვარები აღარ მოხდება და თქვენ ეცდებით, რომ ეს საქმეც სიმართლისამებრ გამობრუნდეს მთავრის სასარგებლოთ. შვიდობით, ჩემო უძვირფასესო დიმიტრი ივანიჩო, ასეთი სუსტათა ვარ, რომ ხელი მიკანკალებს. თითქმის ვერ წაიკითხამთ ასე ცუდათა ვწერ, თვალები სისუსტით მიშრელდება. თქვენი საყვარელი ნინო მათის შვილებით, სიყვარულით მომიკითხე.

სხვებრ დავშთები მარად
თქვენი მაღალი აღმატებულების
უმორჩილესი მოსამსახურე
მთავრინა ეკატერინე".

ს. პეტერბურღით, 21 მარტს 1859 წელსა. ახლა სხვა წერილი წაიკითხა:

„ჩემო უსაყვარლესო დიმიტრი ივანიჩ! გთხოვთ ვედრებით, რომ ჩვენთან ნამყოფს მებაღეს Баварского подданного Егора Малашера გაუგზავნოთ ჩვენის შემოსავლიდგან Восемьсот шесть десят восемь рублей семьдесят пять копеек серебром, რომელიც ერგებოდა სამის წლის და ნახევარს სამსახურისათვის. დიდი მოუთმენლობით მოველი თქვენგნით წიგნს. როგორ დააწყობთ და რაც საჭირო იყოს ხოლმე

საქმეზედ ჩემგნით თქვენთან მოწერა. ყოველთვის შავი თქვენ გამამიგზავნეთ. ჩემი ძმაც გამოვიდა აპეკუნობიდან. ახლა მარტო თქვენ დარჩით. თქვენ იცით, როგორც იზრუნებთ ჩემის პატარა ობლებისათვის. ღმერთი მაგიერს თქვენს ცოლშვილს მიანიჭებს სიხარულს, რომელთაც დიდის სიყვარულით მოვიკითხამ".

შემდეგ წერილში კი ეკატერინე ყიფიანს კვლავ სთხოვდა სამეგრელოში ჩასულიყო და თავისი თვალით ეხილა, რა მდგომარეობაშია სამთავროს მამულები:

„...იმედი მაქვს, ჩემო დიმიტრი ივანიჩ, რომ ამ თვის გასულს უთუოდ წახვალთ მეგრელიაში და საბრალო ჩემს ადგილს-მამულს პატრონი გაუჩნდებით. მე ძალიან გულნაკლულათ ვარ კოლუბიაკინზედ, ჩვენს საქმეებს რომ ასე ყურს არ უგდებს, ეს არ შეეფერება პატიოსანს კაცს, ვითომც მაგას რა უფლება აქვს, რომ ჩვენი სანადირო ტყე, რომელიც იყო ყველასთვის აკრძალული, იმან იქ ნება მისცა, მისის უფლებით, ტყე გააკაფინა და კაცები დაასახლა... ამისთანა უსამართლობა როგორ იქმნება როგორც აქამდისინ მე და ჩემს შვილებს გვიშვრებიან. შენი ჭირიმე, ჩემო დიმიტრი, შენ იცი და შენმა წმინდა სვინდისმა, როგორც ჩემს შვილებს მტრის გულისათ არ გახდი...

... თუ რომ ყაფლანიშვილები და ბარათაშვილები აიღებენ თავისი მიწას საბალახეს, ჩემა შვილმა რატო არ უნდა აიღოს ჩარვადრების ან თვის საბალახე, ვერაფერი ვერ გამიგია, შენ ნუ მამიკვდები. აქ თუ პასკევიჩის შვილი იღებს თავის ივანოვკის ბაზრის შემოსავალს, მთავარს რათ უნდა წაართონ. რადგან მთავარი არისო. პამეჩიკის პრავაზედ რათ აყენებენ? ეს ჯერ სულ არ არის სურვილი ხელმწიფისა, და თავის დროზედ თუ იქმნება, მაშინ კიდევ სამაგიერო დაჯილდოება უნდა, ნეტავი იცოდე, ჩემო დიმიტრი, რა შეწუხებული ვარ ამ ჩემის შვილების საქმეზედ. ახლა შენა ხარ ჩემი იმედი და ნუგეში... „შენი ერთგული მთავრინა ეკატერინა.

ცარსკოე სელო, 12 მაისი. 1859 წელი".

ეკატერინე ზოგ რამეს სახლთუხუცესისაგან ფარულად იგებდა. სახლთუხუცესი კი ყოველთვის კოლუბიაკინსა და ბოროზდინს უჩიოდა, ჩუმად ატყობინებდა დედოფალს: კოლუ-

ბიაკინმა შენი ტყე ურთის მთის ძირას ცაიშელ გლეხს მისცაო, ხოლო ბოროზდინი თვითნებურად გორდში თქვენს სასახლეში მოკალათდა ცოლშვილიანადო. იქვე, იმავე წერილში ბოროზდინს სასტიკად კიცხავდა და აგინებდა. ყიფიანმა ეს წერილიც თავიდან ბოლომდე წაიკითხა.

მთელი ქვეყანა გადამკიდა ამ ეკატერინემ თავისი მამულებისა გამო, — თქვა ყიფიანმა და ზეზე ადგა. ინციდენტი მოაგონდა, ბოროზდინთან რომ მოუვიდა. ბოროზდინი გორდს ნამყოფი იყო, კარგად იცოდა იქაური გემო და, მართლაც, სთხოვა, იმ ზაფხულს ეს აგარაკი მისი ცოლ-შვილისათვის დაეთმო. მაშინ ყიფიანს ყურადღება არ მიუქცევია ამ თხოვნისათვის და ისე დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად; არც ის გახსენებია, ეკატერინესა და ბოროზდინს შორის ურთიერთობა გამწვავებული რომ იყო. მართალია, იცოდა ეკატერინე რომ ვერ იტანდა ბოროზდინსა და კოლუბიაკინს, მაგრამ რაკი ფულს აიღებდა ყველაფერს ამაში; არ ეგონა, თუ დედოფალს ეწყინებოდა მისი თანხმობა. მაშინ კი, როცა ეს წერილი მოუვიდა, ყიფიანი იძულებული გახდა უარით გაესტუმრებინა მაზრის უფროსი. ბოროზდინს ეწყინა. მას ასე ეგონა ყიფიანი ეუბნება უარსო და შეუტია. ახლა ყველაფერი ეს მოაგონდა ყიფიანს.

ღრუბლიანი დღე იყო. კუპრივით შავი ღრუბლები ზედ ტაშისკარის მთებს მიჰკვროდა. ოთახში ბნელოდა. ამ დროს ერთბაშად ელვამ გაჰკრა ცას და დარბაზში ყვითელმა სინათლემ შემოაშუქა. ელვას მთებში გრგვინვა მოჰყვა და ტაშისკარიდან გადმოვარდნილმა ქარმა ჩაურაზავი ფანჯრები შემოანგრია, მაგიდაზე დალაგებულ წერილების დასტას დაუარა და ფურცელ-ფურცელ მიმოფანტა. დიმიტრი ფანჯრებს მივარდა, დახურა, მაგრად ჩარაზა და იატაკზე მიმობნეული ეკატერინე დადიანის წერილები სათითაოდ აკრიფა, მაგიდაზე თანმიმდევრობით დაალაგა და წესრიგში მოიყვანა. მერე ადგა და ფანჯარაში გაიხედა.

გარეთ წვიმდა და ზენაქარი ქროდა. წვიმის წვეთები ფანჯარას ეცემოდა. ეს წვეთები ვერცხლისწყალივით გამჭვირვალე თეთრ ბურთულებად დაცოცავდნენ. მერე ისევ დაუბერავდა ქარი, ისევ მიაცვივდებოდნენ წვიმის წვეთები ფანჯრის

მინებს, ოღონდ ახლა ვერცხლისწყალივით შეკრული კი არა, ცრემლის კურცხლებივით მოცოცავდნენ ფანჯრის მინებზე, მერე იშლებოდნენ, წყლად იქცეოდნენ და მოწანწკარებდნენ ფანჯრებიდან.

დიმიტრი მიჩერებოდა ფანჯარას. უცბად გორდი მოაგონდა, ის დღე მოაგონდა, ეკატერინეს რომ იმპერატორის ალექსანდრე მეორის ბრძანება გამოუცხადეს, რომლის ძალითაც პეტერბურგში გაიწვიეს. მაშინაც წვიმდა. ეკატერინე კი იდგა შუა დარბაზში და ტიროდა. მის პირსახეზე ისე დაცოცავდნენ ცრემლის კურცხლები, როგორც ახლა ამ ფანჯარაზე ეს წვიმის წვეთები. დიდხანს, დიდხანს უმზერდა ყიფიანი ფანჯრებს და თვალთაგან არ სცილდებოდა ეკატერინეს ცრემლიანი სახე. მერე ისევ მაგიდას მიუჯდა.

დიმიტრი ყიფიანი კვლავ ათვალიერებდა დედოფლის წერილებს. ბარათი ბარათს სცვლიდა.

„...წუხელ თქვენი წიგნი, ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო, მამივიდა, ჩემო დიმიტრი ივანიჩ! გთხოვთ, როდესაც ნახოთ თავადი გიორგი ერისთავი, ჩემ მაგიერათ ურიცხვი მადლობა შესწიროთ მონაწილეობისათვის: ღმერთი დაუმადლებს ობლების უსამართლობისაგან დაფარვით. მე აქ მიანბეს ვითომც გორდს უფალი ბარაზდინი თავის ცოლშვილით იდგენს ჩვენს სასახლეში, აგრეთვე ვიღაც ანგლიის კონსული. გთხოვთ, ჩემო ბატონო, მამწეროთ თქვენის ნებით არიან ისინი ჩემს სახლებში, თუ თავის თავათ; მე სწორეთ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის ეს ძალიან საწყენი არის. ამისთვის, რომ მე ისევ მანდ ვიყავ, რომ უფალმა ბარაზდინმა დაიწყო მითვისება, რაც რომ ჩვენს საკუთრათ გვეკუთვნის; ისე რომ ოჯალეშები მარნის გატეხით გამოატანინა და ისე ითვრებოდა. მაგათი ჯავრი ამამაყრევინე და ჩემს სასახლეში ნურსად ნებას ნუ მისცემ ცხოვრებისას და ყველა, რაც პატარა სახლები არის, რომ გაიყიდოს, უმჯობესი არს. თორემ ისე დაგვემართება, როგორც მდაბიური ანდაზა არის, — ცარიელს ეკლესიასაო ეშმაკები დაეპატრონებიანო. . .

მადლობის გამოთქმის სიტყვა და გამოთქმა. ვერ შევძელ. . . ღმერთმა დაგიმადლოს ჩემის მოსვენებისათვის. ჭეშმარიტათ,

რაც თქვენ მოკიდეთ ხელი ჩვენს საქმეებს, ღამით მოსვენებით მძინავს, ძილი აღარ მიქრება.

შენი ერთგული

მთავრინა ეკატერინა.

21 აგვისტო 1859 წელი."

აი ის წერილიც, ისევ კოლუბიაკინს რომ უჩიოდა დედოფალი. ესეც წაიკითხა თავიდან ბოლომდე:

„...უფალს კოლუბიაკინს რომ ჩემს უკითხავათ, ჩვენი სანადირო ტყე და მიწა გაუცია და დაუსახლებია ჩვენი კაცები ბატონიშვილების სასიამოვნოთ, ეს მე ძალიან მიკვირს და გთხოვთ, რომ ეს საქმე გაურჩევლათ არ დააგდოთ. მე ნამესტნიკს ვუთხარ, რა უფლება ქონდა კოლუბიაკინს, რომ ჩემს შეუტყობინებლათ ჩემს ტყეში და ადგილში კაცები დაუსახლებია-მეთქი. იმანაც გაიკვირვა და მითხრა, რომ სრულებით არა ვის, თქვენს მეტს, არაფერი არ შეუძლიანო იქ გაცემა და დაბინეგვაო. ვინც კი შეიტყო, არ სჯერათ, აქ მაგისთანა უფლების დაჩემება. თქვენ მანდ გაისარჯეთ კარგათ და აქაური ჯავრი ნუ გაქვს. ყველანი ჩემის პატარა შვილებისათვის თავგამოდებული არიან. ბევრი რამ მაქვს გულში თქვენდა სასიამოვნო მოსაწერი, მაგრამ არ შემიძლია აქედან მოწერა".

ამავე წერილში ეკატერინე დიდი ქებით იხსენიებდა ყიფიანს და თითქმის მთელ იმპერიაში სამაგალითო კაცად სახავდა. ამ ადგილის წაკითხვამ ღიმილი მოჰგვარა დიმიტრის.

მერე დიმიტრიმ წერილის ბოლოს მინაწერი წაიკითხა: „ხშირად რომ ხელზე კოცნას მწერ, გეტყობა რომ არ გეშინიათ ისპანიის პატარა ხანჯლისა". ეკატერინე ესპანელ ელჩს დ' ოსუნას გულისხმობდა, იმ ელჩს, რომლის უიღბლო სიყვარულის ამბავი მთელმა ქვეყანამ რომ გაიგო.

კითხულობდა ამ წერილს დიმიტრი ყიფიანი და თვალწინ ამაოდ ჩავლილი შრომა და ღვაწლი ედგა, მაგრამ მაინც ვერ სცილდებოდა დედოფლის ბარათებს. . .

წერილში გრიგოლ ორბელიანის სახელს წააწყდა. ეს ადგილი ხმამაღლა წაიკითხა: „გრიგოლ ორბელიანის ნახვა დიდად მიამა. ძალიან ხშირად არის აქ ჩემთან და ვატარებთ დროს სიამოვნებით, მაგრამ მალე აპირებს წამოსვლას."

დიმიტრი ყიფიანს გრიგოლ ორბელიანთან ბევრი რამ აკავშირებდა: სიყრმის წლები და 1832 წლის ერთად გატარებული „ყაზარმობა“. მაგრამ დიდ მეგობრად, ნაგულებმა ამ კაცმა ერთხელ მაინც გული ატკინა.

...დიმიტრი ყიფიანს თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლად ირჩევდნენ. ყაფლანიანთა დიდი შთამომავალი გრიგოლი განრისხდა, თავადაზნაურობის წინამძღოლად აზნაურის არჩევა შეურაცხყოფად მიიჩნია და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, დაუნდობლად გააბრიაბრუა ყიფიანის ღვაწლი.

დიმიტრი ყიფიანს გაახსენდა ეს და გული ეტკინა. ეკატერინეც ასევე მიუკარებელი და ამაყია, — ფიქრობდა დიმიტრი, — სანამ სჭირდები, მანამ პატივსა გვცემენ ერთგული სამსახურისა გამო, ვითარცა ხელქვეითს, მათი ჟინისა და სურვილების ერთგულ აღმსრულებელს. საკმარისია გატოლება სცადო და მაშინვე განგაშს ასტეხენ, ეს ვინ წამოსკუპებულა ჩვენს გვერდზეო, თავს არ გაგიყადრებენ, ტოლად არ მიგიჩნევენ, მუდამ ზევიდან დაგვყურებენ. ჩვენ, აზნაურებს, ასე რომ გვექცევიან, გლეხების მიმართ როგორიღა იქნებიან!

ადგა, ისევ ფანჯარასთან მივიდა. გარეთ გაიხედა. არც ქარი ქროდა და არც წვიმდა. ნამეხარი და ნაწვიმარი ბუნება დაშშვიდებული და განაბული იყო. ფანჯარა გამოაღო და ოთახი სუფთა, გოგირდნარევი ჰაერის სუნით, უცებ აივსო. ამ დროს კარებზე ფრთხილად დააკაკუნეს. ყიფიანმა კარი გააღო, ოთახში მოურავი შემოვიდა, ბოდიში მოიხადა, გადაუდებელი საქმის გამო შეგაწუხეთო:

— ბატონო, გარეთ გლეხები მიცდიან და პასუხს ელოდებიან.

— რაო. რა იყო? — აღელვებით იკითხა ყიფიანმა. — რას მოითხოვენ ის გლეხები?

— იმას მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, იქ, ტაშისკარის გვერდით რომ ტყეებია, ზამთრისათვის შეშა უნდა დავჭრათო. მე უარი ვუთხარი. ისინი კი ბრაზობენ, ბატონმა ნება დაგვრთოო.

— მერე რათ უთხარი უარი. შენ ხომ იცოდი, მე რომ მიმიცია ამის ნება მათთვის!

— არა, ბატონო, ისინი უსასყიდლოდ მოითხოვენ. წლეულს მოსავალი არ მოგვივიდაო და არაფერი გაგვაჩნიაო. და კიდევ რაღაცას ბუზღუნებდნენ.

— ჰოდა, იმას მოგახსენებ, უსასყიდლოდ-მკთქი, ასე გადაეცი უსასყიდლოდ-თქო...

მოურავმა მხრები აიჩეჩა და ოთახიდან გავიდა. ყიფიანი ისევ მაგიდას მიუჯდა და წერილის კითხვას შეუდგა:

„მაზრების შემოსავალი არ ვიცი ჩვენ რა შემოგვდის, ან ნავების, ან ჩალვადრების. ესენი მგონი, ყველა დაკარგულია ჩემი შვილებისათვის, ჩემო დიმიტრი ივანიჩ, თქვენ იცით, როგორ ყველა შემოსავალს ამოუგებთ ჩემს შვილებს. აგრეთვე არ ვიცი. ანკესები ყველგან არს ზუთხების საჭირავად თუ არა. ესე იგი გთხოვთ საჭილაოს, ანაკლიას, შეიძლება რომ დიდი შემოსავალი ამოიგოთ ამ თევზაობით, თორემ სხვა ვინმე დაიჩემებს და საბოლოოდ დამეკარგება...

გულკეთილ დიმიტრის ისევ მოეღრუბლა შუბლი: როგორ დაჰკანკალებს ყოველ მტკაველ მიწას, ყოველ ტყესა და წყალს... ისე კი ბედი სწყალობს უთუოდ. მისი სილამაზის წინაშე ყველა ქედს იხრის...

ახლა ის ადგილი წაიკითხა, დედოფალი ალექსანდრე მეორესთან შეხვედრას რომ ატყობინებდა:

„ხელმწიფე ბრძანდებოდა ჩემთან ჩემს დღეობაში და ბრძანა რომ 23-ს უთუოდ აქ იქნებაო ნამესტნიკი. მე მოხარული ვარ მისი მოსვლისათვის, რადგანაც მაისში ვაპირებ ზაგრანიცაში წასვლას. დიდად მოსვენებული ვიქნები, რომ მანამდე გადაწყდეს ჩვენი შემოსავლის საქმე. გთხოვთ მომწეროთ საჩქაროდ, მე კარგად არ მახსოვს, საბატონიშვილოსაგან, სათავადოსაგან და სააზნაუროსაგან რა და რა შემოსავალი ჰქონდა მთავარს. ყოველივე ეს აქ ჩემთვის საჭიროა იმპერატორთან მოლაპარაკებაში.“

— ისევ შინაურულად არის რუსეთის იმპერატორთან. მაგრამ იმპერატორი მაინც იმპერატორია, — იფიქრა ყიფიანმა და ახლა ის წერილი წაიკითხა, დამწუხრებული დედოფალი უმცროსი ქალიშვილის თამარის გარდაცვალებას რომ ატყობინებდა:

„აქამდისინ შეტყობილი გექნებათ, ჩემო უძვირფასესო დიმიტრი ივანიჩ, ჩემი უბედურება, ჩემი პატარა თამარის სიკვდილი. იფიქრე, როგორ შეწუხებული და დატანჯული იქნება არამც თუ მშობელი დედა, ვინც კი იცნობდა ჩემ ან-

გელოზ თამარს; ყველანი გულმტკივნეულად არიან. ვერ აგიწერ, რა მონაწილეობა მიიღეს ყოველმა ჩემმა ნაცნობმა, მაგრამ ხომ იცი, დამწვარ დედის გულს ვერავინ ანუგეშებს. ხოლო დრო მეტი წვრილწვრილად გვაუწყებს ჩვენს მწუხარებას. ჩემს მოძღვარს არხიმადრიტს ბესარიონს გამოვატანე ჩემი სიცოცხლის თამარის გვამი, რომელიც მოასვენებს მარტვილს და იქ, ჩვენ სასაფლაოზე დაასაფლავებს. გთხოვ, რომ სახლთუხუცესს უბრძანო, როდესაც მიუვა ცნობა არხიმანდრიტის, რომ ქუთაისს დახვდეს ან მარანს და როგორც რიგი და მოვალეობა მოითხოვს, ისე ემსახუროს. ამ შეწუხებულ გულზე თქვენი საქმის ქაღალდები მომივიდა ჩემი მამულების თაობაზე და იფიქრე, რა ელდა მეცემოდა ისედაც სამუდამოდ დამწუხრებულს".

დიმიტრი ყიფიანს თვალწინ დაუდგა ის დღე, როცა მარტვილის მონასტერში პატარა თამარის ცხედარი მწუხარებით მიაბარეს მიწას და უდედმამოდ დაიტირეს, ეს მოაგონდა და დიდად შეწუხდა. ისიც მოაგონდა, ეკატერინემ თავისი სამი შვილით საზღვარგარეთ წასვლა რომ გადაწყვიტა, პეტერბურგში ჩასვლა რომ სთხოვა, მაგრამ დიმიტრიმ მაშინ ეს ვერ მოახერხა. მოაგონდა და ის წერილიც წაიკითხა:

„გუშინ თქვენი წიგნი მომივიდა, ჩემო უსაკუთრესო დიმიტრი ივანიჩ, რომელშიაც წავიკითხე რაოდენც ხართ მონაწილე ჩემს ამისთანა საშინელს უბედურებაში.

თქვენმა მოუსვლელობამ უმეტესად შემაწუხა. ამას როგორ ვიფიქრებდი, რომ ჩემს შეწუხებულს გულს თქვენის მალეს მოსვლით არ ახარებდით, რადგან ყოველი ჩვენი საქმეები დაყენებული არის თქვენის მოლოდინობისათვის. დღეს ვლადიმერ პეტროვიჩი იყო ჩემთან და მთხოვა, რომ უთუოდ საჩქაროდ მოგწეროთ და გთხოვოთ, რომ უთუოდ მალე დააშუროთ მოსვლა რადგანაც მინამ თქვენ არ მოხვალთ, ვის უნდა მოკითხონ პასუხი, თუ თქვენ აქ არ იქნებით. გზის ხარჯი, რასაკვირველია, ჩემი იქნება, სახელმწიფოს რათ მოგვცემენ. შენი ჭირიმე, ჩემო დიმიტრი, თუ რომ ქრისტიანი ხართ, საჩქაროთ მომეშველეთ. ხომ იცი, რა წამებული ვარ ამ სოფელში სხვისა და სხვის მოულოდნილებელის მწუხარებით. თქვენ როდესაც მოხვალთ, იმედი მაქვს ყველაფერი კარგათ იწარმოებს.

გრძლათ არაფერსა მწერ. ნამესტნიკმა რომ მისი პრედპალაჟენიე გაუგზავნა კავკასიის კომიტეტს, ახლა მეორეს მხრით ჩვენ უნდა შევიტანოთ ჩვენი პასუხები, და უშენოთ არაფერი გარემოება მე არ ვიცი და აბა როგორ იქმნება, თუ რომ თქვენ მალე არ მობრძანდით, რადგანაც მეც წასვლას ვაპირებ სხვა ქვეყანაშიდ.

ს. პეტერბურღით, 21-ს თებერვალს 1860."

ამიერ-კავკასიის მეფის ნაცვალს და დიმიტრი ყიფიანს სამეგრელოს სამთავროს შემოსავალზე სხვადასხვა ცნობა ჰქონდათ მიცემული იმპერატორისათვის. ბარიატინსკი მცირე შემოსავალს აცნობებდა, ყიფიანი — ბევრად მეტს. ახლა ამ ორი ცნობიდან, რუსეთის იმპერატორი რომელსაც დაუმტკიცებდა, პენსია და სხვა შეღავათებიც იმის მიხედვით განესაზღვრებოდა დედოფალს. ამიტომ დედოფალს უნდოდა იმპერატორს ყიფიანის ვარიანტი დაუმტკიცებინა. მერე სწორედ ამ საკითხის თაობაზე მოუხდათ უთანხმოება ბარიატინსკისა და ყიფიანს. როცა საბოლოოდ გამოირკვა, რომ პეტერბურგს ვერ მიდიოდა დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც იქ პირადად შეეძლო მიეღო მონაწილეობა დედოფლის სასარგებლო საქმეში, ეკატერინე დაღონდა. დედოფალი არ იყო მიჩვეული მისი სურვილის შეუსრულებლობას და კინაღამ გული შეუწუხდა, ყიფიანი პეტერბურგს რომ ვერ ჩავიდა.

ეკატერინეს წერილმა დიმიტრის ახლა ეს ამბავიც მოაგონა:

„ნეტავ იცოდე, ჩემო დიმიტრი ივანიჩ, შენის წიგნის წაკითხვით, რომელშიც მწერ უარს მოსვლისას, რამდენი მდუღარე ცრემლი დავღვარე. შენი წიგნი მომივიდა სწორედ 19 მარტს ჩემი შობის დღეს. ბევრი სტუმრები მყავდა. ისე შევწუხდი, რომ ვერაფრით ცრემლი ვერ დავიჭირე, ისე, როგორც წყაროები, ჩამომდიოდნენ მოუწყვეტლად. მთელი სადილი ყველას ჩავაშხამე. მართლაც, დიდი სამწუხარო იყო ჩემთვის თქვენი მოუსვლელობა. ყოველი ჩემი დაწყობილება ჩამეშალა. გუშინ კიდევ, მეორე თქვენი წიგნი მივიღე, რომელშიაც მწერ წარსული წლის ანგარიშს, ესე იგი 1859 წლის. ახლა ერთი მიბრძანე, რაც რომ ჩვენ აქეთ წამოგვიყვანეს იმისი ანგარიში ვის უნდა მოეთხოვოს. ესენი კარგად შემატყობინე".

ბარათები არ ილეოდა.

ეკატერინე დიმიტრის სახლთუხუცეს დავით ჩიქოვანზე წერდა:

Милостивый государь Дмитрий Иванович.

На основании 7 пункта Высочайшего повеления, изложенного в препровожденном мною к Вам сего числа отношении ко мне Г. Статс-Секретаря Буткова за № 283, назначая в состав Совета Мингрельского Управления Членом Сахльтухуцеса подпоручика князя Давида Чиковани, представляю Вашему превосходительству донести о сем Господину Наместнику Кавказскому и просить зависящего распоряжения о допущении его к настоящей должности. Обязанности же сего члена в отношении к Опек не оставьте определить ему особой Вас инструкций. — Что касается до содержания как лично ему, так и на канцелярские по переписке с Опекою способы, то я согласна ассигновать на это из подведомственных опек доходов до тысяч рублей в год.

Сахльтухуцесом же на место Владетельного дома на место Князя Чиковани представляю Вашему Превосходительству назначить поручика Князя Арчила Дадианова, а прочих должностных по Опеке лиц, кои будут Вами назначены, буду ожидать Вашего уведомления.

Примите уверение в моем совершенном к Вам почтении и уважении.

.Кн. Екатерина Дадиани

ყიფიანმა ეკატერინეს მოთხოვნა შეასრულა და სახლთუხუცესად არჩილ დადიანი აიყვანა. ეს დადიანი სოფელ ბომბოთში ცხოვრობდა, შედარებით ახლო იყო სალხინოსთან და გორდთან. მერე ახლო ნათესავადაც მოხვდებოდა ეკატერინეს, და ამიტომ მოისურვა დედოფალმა სახლთუხუცესის თანამდებობაზე მისი აყვანა.

სწორედ ამ წლებში სამეგრელოს სასამართლოთა საქმის გამგებლად გიგა ჭილაშვილი დანიშნეს. გიგა დიდი მეგობარი იყო დადიანის ოჯახისა.

დიმიტრი ყიფიანს ეგონა, ეს ამბავი დედოფალს დიდად ესიამოვნებაო და წერილით ამცნო. მაგრამ მთლად როდი გამართლდა ყიფიანის ფიქრი.

ამის თაობაზე ეკატერინემ მისწერა:

„გრიგოლს მოეწერა, რომ გიგა დანიშნეს მეგრელიაშიო კარაკლაუჩათო, მაშინვე მოვიდა ვლადიმერ პეტროვიჩი და მახარა — ვიცი, რომ გიამება ჩილაევის დანიშვნაო.

მარა მე უთხარ პასუხად, ჩემთვისაც, მეგრელიისათვის და მმართველობისათვისაც უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ დიმიტრი ივანიჩი დანიშნულიყო-მეთქი, მეტადრე ახლანდელს თავისუფლების გარემოებისათვის-მეთქი, ვლადიმერ პეტროვიჩმა მითხრა, რომ კნიაზი არ იქმოდაო".

ისევ ღიმილი მოერია დიმიტრის.

— ეჰ, ძნელი გამოსაცნობია ბუნება კაცისა! — თავისთვის ჩაილაპარაკა.

ახლა ლიხის მაიებიდან დაუბერა დასავლეთის ქარმა და ისევ მიაბერა ტაშისკარის მთებს კუპრივით შავი ღრუბლები. ისევ ჩამობნელდა ქვიშხეთში, ყიფიანების სასახლის დარბაზში. მერე სადღაც მთებში, ისევ დაიგრგვინა, ისევ აირია ბუნება და იმ გაზაფხულის საღამოს კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა, ყიფიანი ფანჯარას მიადგა და გარეთ გაიხედა, ახლა წვიმა სწორად, თოკივით გაჭიმული მოდიოდა და სეტყვასავით ეცემოდა მიწას, ეზოში, ყიფიანების სასახლის წინ, ტბა დამდგარიყო. წვეთები ამ ტბაში ეცემოდა, ზედაპირზე რგოლებს ჭქმნიდა და მერე ეს რგოლები საპნის ბუშტივით სკდებოდა.

დიდხანს იდგა ფანჯარასთან ყიფიანი და გასცქეროდა დედამიწის წინააღმდეგ განრისხებული ცის ამ საოცარ შემოტევას.

მეორე ოთახიდან მისი ცოლი გამოვიდა და რუსულად გაუბა საუბარი.

ისევ გააგრძელა ბარათების კითხვა:

„5-ს ივნისს მივდივარ ზაგრანიცაში. სახელმწიფო პარახოდი მომცეს, ჩემმა ველიკი კნიაზმა კონსტანტინემ თითონ მითავაზა უპირველესი პარახოდი, რომელიც არის საგანგებოდ გაწყობილი იმპერატრიცას სატარებლად, ქვიან შტანდარტ. გუშინ მისი სახელწოდების დღე იყო, ესე იგი ველიკი კნიაზის, მეც ვიყავ მიპატიჟებული საუზმეზედ, და თითონ მიბრძანა, რომ მე თითონ დავნიშნეო თქვენ და თქვენის შვილებისათვისო სადგომი კაიუტები. ძალიან სიამენით და ალერსით მელაპარაკა და უწარიან, რომ ჩვენი საქმე ასე კარგად გადაწყდა. რასაკვირველია, რომ მაშინკა ჩვენ საქმეებზედ ერთგულად და გულმოდგინედ იქმნება. მეც ველი მისგან წიგნს და პასუხს მივწერ".

ამავე წერილში ეკატერინე ზოგ სხვა რამესაც სთხოვდა დიმიტრი ყიფიანს:

„ახლა ორი სათხოვარი მაქვს. პირველი ეს, რომ სენტემბრისათვის ათასი თუმანი შეიტანოთ ქუთაისის ხაზინაში, რომ აქ მისცენ ცნობა ბუტკოვს. რადგანაც მე ახლა თან წასაღები 17.000 მანეთის მეტი არ დამრჩა და მოგეხსენება, რომ ეს ფული არ მეყოფა. თუ რომ მაიდგან არ მომაშველე, რადგანაც აქ იანვრამდისინ ყველა სადერეანია და არენდა ერთი წლის სულ აღებული მაქვს, ხომ იცი, ჩემო დიმიტრი ივანიჩ! აქ ფულის ხარჯი როგორ ბევრი არს საჭირო. მეორე სათხოვარი ეს არს, რომ პეტრეია საღინაძე სენტებრისათვის აქ გამომიგზავნოთ. რომელსაც მიეცემა თვეში ერთი თუმანი ჯამაგირი. ჩემი იაგორა ავათ არის და ძიხდა, რომ ეგ რომ აქ მოვა, იაგორა ამ ზამთარს წამოვა მეგრელიაში თორემ ზამთარში აქ ვაძლება არ შეუძლიან, ქარები აქვს ფეხებში. პეტრეიას ჩააბარებს, რაც აქ ჩვენი ბარგი დარჩება. და თქვენც კარგათ დაარიგეთ პეტრეია, რომ ერთგულათ გაისარჯოს და მოუაროს ჩვენს ბარგს. ჩემი მაზლი კონსტანტინე აქ არის, ხელმწიფემ დაითხოვა ჩემის თხოვნით ჩვენს გამოსათხოვებლათ. ვლადიმერ პეტროვიჩმა მითხრა, რომ ამ თქვენი საქმის გადაწყვეტილების შეტყობით თბილისში დიდის მეხის დაცემა ქონიათ იქაურ ჩინოვნიკებსო“.

„ჩემო უძვირფასესო დიმიტრი ივანიჩ! ამ წიგნის მომტანი უფალი piewce მოდის მანდ მეგრელიაში ხეების სასყიდად. მე მთხოვა, რომ მივცეთ ნება სამთავროს ხეების ყიდვისა. ძალიან კარგი იქნება, რომ ზღვის პირზე, ჭურიაზე მივცეთ. მხოლოდ ჩემი დარიგება საჭირო არ არის, კარგად გამოიკითხეთ, რომ ფასზე არ შეცდეთ, და საქმე ისე დაიჭირეთ, რომ ზომით აძლიოთ, რომ რამდენიმე წელს ისევ ტყე იზრდებოდეს“.

— არა, გასაოცარი ქალია ეს ეკატერინე. სად პოულობს ამდენ დროს და მოცალეობას იმ ფაცაფუცში, ევროპაში გამგზავრების წინ, ასე დაწვრილებით რომ მწერს ყველაფერს!

„პირველი ჩემი სათხოვარი ეს არის, რომ მთავრის საზღვრები დაინიშნოს და სანადირო ტყეები დაიცვათ. მუშტრები ძალიან ბევრი გაუჩნდება მაგ მიწას, ვინ არ მოინდომებს მუშაობას. ამას წინად წიგნი მოგწერეთ, სადაც გთხოვთ, რომ ახლავე მიიღოთ ზრუნვა სენტებრისათვის 1000 თუმნის მოგ-

როვების, რადგანაც მაშინ საჭირო იქნება ჩემთვის ფული. აქედგან ოღონდ 17.000 მანეთი მომდევს და იფიქრეთ, რომ იანვრამდისინ როგორ გვეყოფა".

1861 წლის 14 ივლისს ეკატერინე დადიანი უკვე დრეზდენში იყო და იქიდან სწერდა:

„მე აქ ეს ორი კვირა არის, რაც მოველი და აქ გვწამლობენ, ვსვამთ წყალს და ვიღებთ ვანას, იმედი გვაქვს ღვთისგან, რომ გვარგებს. ჰაერი საგანგებო არს მსგავსი გრილისა. თქვენ ახლა, არ ვიცი, სადა ხართ. ბარიატინსკი ვერ ვნახე დრეზდენში, შეკედლებული არის თავის სადგომში და არავის არ უშვებენ მასთან. ამბობენ ისე ავად არ არისო, როგორც რომ ხმა არის დაყრილი..."

შემდეგი ბარათები პარიზიდან იყო მოწერილი. ერთ ბარათში დედოფალი იმას ჩიოდა, აქ ჩვენებური საყდარი არ არის და დიდად ვწუხვარ, რომ ლოცვა-წირვას მოცდენილი ვარო, და თხოულობდა დადიანების კარის მღვდელი ხოშტარია საჩქაროდ გაესტუმრებინათ პარიზს.

დადიანები პარიზში

ეკატერინე ჭავჭავაძე თავისი ამალით პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში მოეწყო. რამდენიმე დღის შემდეგ თავისი ძველი მეგობარი, ალექსანდრე დიუმა მოიკითხა.

იგი ეკატერინემ 1858 წელს პეტერბურგში გაიცნო. ამ დროს დიუმა საქართველოში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ფრანგი მწერალი დიდად დაინტერესდა ეკატერინეს ნაამბობით და რამდენჯერმე შეხვდა პეტერბურგში, დაწვრილებით ჩაიწერა ყველა მისი ნათქვამი, ყველა ცნობა საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს სამთავროს შესახებ, მისი სამდურავიც და საყვედურიც მოისმინა. ეკატერინე შესჩიოდა, რომ მას, მეფისა და ღვთის განგებით დანიშნულ დედოფალს, უპატივცემულოდ მოეპყრნენ...

დედოფალი დიდებულად ლაპარაკობდა ფრანგულად. დიუმა მოიხიბლა მისი სილამაზითა და მშვენიერი ფრანგული მეტყველებით. ეკატერინემ თავისი შვილები წარუდგინა. დიუმა

მოეფერა ბავშვებს. მიუალერსა. მწერალი გაოცდა, როდესაც ბავშვებმა ფრანგულად ისევე კარგად დაუწყეს საუბარი, როგორც ეკატერინე ლაპარაკობდა. მეტი ყურადღება მაინც ნიკოს დაუთმო. მოეწონა ეს ზრდილი, ნაკითხი, ფრანგული ენის კარგად მცოდნე ყმაწვილი, რომელსაც დედოფალი ახლა მთავრად ამზადებდა, მაგრამ არ იყო დარწმუნებული, უწყალობებდა თუ არა იმპერატორი შეპირებულ ტიტულს. ნიკოც, როგორც ნამდვილი მთავარი, ისე იქცეოდა, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ეს მოჩვენება და თავის მოტყუება იყო.

დიუმას განსაკუთრებით მოეწონა ნიკოს ქუდი — თეთრი ნაბდის ქუდი წითელსირმაშემოვლებული, თავზე მრგვალად მორგებული.

— ალბათ, ეს თქვენი ეროვნული ქუდია, — ჰკითხა დიუმამ ეკატერინეს.

დედოფალმა ცნობისმოყვარე უცხოელს მიუგო:

— დიახ, ეს ჩვენი ეროვნული ქუდია. ჩოხაახალუხი, ზედ ქამარ-ხანჯალი, ეს ქუდი და ბაშლაყი ჩვეულებრივი სამკაულია თავადებისა და აზნაურებისა.

დედოფალი ახლა შვილს მიუბრუნდა და ფრანგულად უთხრა:

— შვილო ჩემო, გვირგვინის ჩამორთმევას გვიპირებენ, ხოლო ქუდი გვირგვინის მაგივრობას ვერ გასწევს. რაკი ამ პატიოსან კაცს მოეწონა, აჩუქე ეს ქუდი სტუმარს...

ნიკომ თავი დახარა, მიუახლოვდა უცხო კაცს, ქუდი მოიხადა და პატივისცემით მოახსენა:

— ჩვენში ასეთი წესია, სტუმარს რაც მოეწონება, მასპინძელი ვალდებულია აჩუქოს. მე მზადა ვარ შევასრულო ჩვენი ეს ტრადიცია.

და ქუდი გაუწოდა. დიუმას ეუცხოვა ყოველივე ეს, თან უხერხულად იგრძნო თავი და არ იცოდა გამოერთმია ეს ქუდი, თუ უარი ეთქვა საჩუქარზე. ბოლოს ესღა უთხრა:

— რაკი ასეთი წესი ყოფილა თქვენში, მე როგორ შემიძლია ვეუარჩო ამ წესს. მხოლოდ ერთი პირობა: სამაგიერო უნდა მიიღო ჩემგან!

და ალექსანდრე დიუმამ თავისი რომანი, ფრანგულად დაბეჭდილი „სამი მუშკეტერი“ გაუწოდა უფლისწულს.

ასე შეხვდნენ ერთმანეთს ეკატერინეს ოჯახი და დიუმა.

და აი ახლა, როდესაც ეკატერინე თავისი შვილებით პარიზში აღმოჩნდა, დიახაც ეწადა ალექსანდრე დიუმასთან შეხვედრა. მონახა სადარბაზო ქაღალდი. ზედ ეწერა: „პარიზი. ამსტერდამის ქუჩა № 77, ალექსანდრე დიუმა“. ეკატერინემ თვითონ არ ინება დიუმას მოკითხვა (დედოფალი მგლოვიარედ იყო, ჯერაც შვილის გარდაცვალების წლისთავი არ გადაეხადა, არც ძაძა ვაეხადა) მაზლი კონსტანტინე დადიანი გაგზავნა ამ სადარბაზო ქაღალდით. მეორე დღესვე ეახლა დიუმა დედოფალს. გულმხურვალედ მიესალმა, თავისი ახლად დამთავრებული წიგნის — „კავკასიის მოგზაურობის“ — ადგილები წაუკითხა და რა არ უამბო გახარებულს.

ამის შემდეგ დიუმასა და დედოფალს შორის, ვიდრე ეკატერინე პარიზს იყო, ურთიერთობა და მეგობრობა არ შეწყვეტილა.

დიუმას მეშვეობით ეკატერინემ პარიზში უამრავი მეგობარი და ნაცნობი გაიჩინა. შვილების აღზრდის საქმესაც თავი მოაბა და ახლა სრულიად კმაყოფილი, თავის მეგობარს გრიგოლ ორბელიანს ატყობინებდა პარიზიდან:

„სწორედ რომ დავისვენე, ბავშვებმაც სული მოითქვეს. ღმერთმა დალოცოს ეს ქალაქიცა და ეს ადგილიც. დღეს გვიან ავდექი, დიდებულად მეძინა. ცივი და გაუთავებელი ზამთრის შემდეგ უცბად სამოთხეში აღმოვჩნდი. ასე მეგონა, ჩემს ზუგდიდში, წინანდალსა ან თბილისში ვიყავი. როგორ ჰგავს ეს მხარე, ეს ადგილი, ეს მიდამო, ეს ცა, ეს ბუნება ჩემს მხარეს! ცა ლურჯია, როგორც ჩვენში, საქართველოში, არა, ნამდვილად დავისვენე, რომ ჩემი ბედი არ მაწუხებდეს. და ასე მგონია, რაც უფრო დიდხანს დავრჩები აქ, მით უფრო დავცილდები ჩემი სანუკვარი ოცნების აღსრულებას — ჩემი ნიკოს მთავრად კურთხევას. ეხლა ესღა მაწუხებს და მადარდებს. სხვა მხრივ კი ჩინებულად მიდის ჩემი საქმე.

ნიკო გაიზარდა, დავაუკაცდა, სალომემაც ერთბაშად აიყარა ტანი, ქალიშვილობის ასაკში შეეიდა, გუშინ დამეზომა და ჩემი ტოლია. სილამაზითაც ეჯიბრება აქაურ ლამაზმანებს. უნ-

და გამოგიტყდე და გითხრა, რომ ნამდვილად მშვენიერია ჩემი სალომე. პარიზში დიდი მოწონება და პატივისცემა აქვს. და იმისა მეშინია, რომ არ მომტაცონ. უკვე ვატყობ, რომ სალომესაც ისეთივე დიდი მოწონება აქვს, როგორც ჩვენს ქალიშვილობისას ნინოს, მანანას... მაგრამ აბა, რით და როგორ გავიმეტებ უცხოეთში ჩემს ერთადერთ ასულს, ახლა იგი ჩემი ქალიშვილიც არის, მეგობარიც, დობილიც და მესაიდუმლეც. რომ იცოდე, მე ახლა არა მაქვს ისეთი საიდუმლო, ჩემს სალომეს რომ არ ვანდობდე. ეჰ, ღმერთსა ვთხოვ, რომ მშვიდობით დავბრუნდე შინ. ასეთ მოსვენებულსა და დამშვიდებულს მაინც სახლისაკენ მიმიწევს გული და მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, როცა ჩემს სამშობლოში გამოვწევ. სამშობლო მაინც სხვა ყოფილა. მე ახლა პარიზში კი არა, პეტერბურგშიაც მწვავედ ვიგრძენი სიყვარული სამშობლოსი. ბედნიერი ის არის, ვინც ბედნიერია თავის სამშობლოში...

გავიდა დრო და ახლა აქ, პარიზს, ჩააკითხა ჰერცოგმა დედოფალს. ეკატერინეს გაუხარდა. დიდ მარტოობას გრძნობდა და ამ ნაცნობის ნახვამ მარტოობის უსიამოვნო ფიქრები გაუქარვა. დიდი პატივით მიიღო ჰერცოგი.

უაღრესად თავმოყვარე ეკატერინე შეჩვეული იყო პატივისცემასა და თაყვანისცემას, პარიზში, ცოტა არ იყოს, მოაკლდა ყოველივე ეს და ამიტომ, როგორც დედოფალს, როგორც ქალს, დიახაც ესიამოვნა ჰერცოგის გამოჩენა ამ უცხო ქალაქში — დაუყვავა, მოეფერა. ჰერცოგს ეგონა, ალბათ, გული მოიბრუნა ჩემზეო, ალბათ, დარწმუნდა, რომ მარტოდ ყოფნა, რაც არ უნდა იყოს, ძნელია ახალგაზრდა ქვრივისათვისო.

და როცა მარტონი დარჩნენ ევროპულად მორთულ ეკატერინეს სალონში, ესპანეთის ელჩი ისევ ძველ ჰანგზე ამღერდა:

— აქ, შორეულ ქალაქში ყოფნამ ალბათ, დაგარწმუნათ, ჩემო დედოფალო, რომ ქალს თუ კანონიერი ქმარი და მეგობარი არა ჰყავს, გაუჭირდება ამ შორეულ ქალაქში ცხოვრება. ძნელია, აუტანელია მარტოობა, მარტოობა სულისა. ეს პეტერბურგში მეც თქვენსავით განვიცადე, ჩემო დედოფალო, და ერთ-ერთ იმედად თქვენ დაგსახეთ. მაგრამ ვაი, რომ ჩემს მარტოობას ბოლო არ ეღება! ვერ გავუძელი ამ მძიმე გრძნო-

ბას და აი, თქვენთან გამოვწიე, ჩემო კეთილო, ისევ თქვენ თუ იხსნით ჩემს ეულს სულსა...

— გამოგიტყდებით და გეტყვით, ჰერცოგო, დიახ, ძნელი ყოფილა მარტოობა ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც პარიზია. ჩემი შვილები სასწავლებლად რომ წავლენ, მე სულ მარტო ვრჩები ოჯახში და ასე მგონია, არც არის ვინმე ამ ქვეყანაზე, რომ ხმა გამცეს და მანუგეშოს. ჩემი საქმეების გაძღოლაც და მოვლაც გამიჭირდა. ხანდახან ვფიქრობ, მე ქალი ვარ და ასე უმოწყალოდ ამიტომ მჩაგრავენ-მეთქი. მე აქ მძაფრად განვიცადე გრძნობა მარტოობისა. და როცა თქვენ გამოჩნდით, ჩემო ჰერცოგო, რაღაც იმედი მიეცა ჩემს სულს. მაგრამ მაინც იგივე უნდა გაგიმეოროთ, რაც პეტერბურგში გითხარით. როგორც ჩანს, მე დიდი ხანია ჩემს თავს მძიმე განაჩენი გამოვუტანე. რაკი გამოვუტანე, არც შევცვალი ამ განაჩენს.

სიყვარულში, მიჯნურობაში ვხედავდი დაუსრულებელ სიხარულსა და ცხოვრების ძალას. მე სიყვარული სულის მოთხოვნილებად მექცა, მაგრამ რაკი მწარედ ვიგემე მისგან გაწბილება, ახლა რომ ვუკვირდები, ასე ვფიქრობ: სიყვარულს, ცოლ-ქმრობის გადაწყვეტას, დიდი დაფიქრება უნდა. თურმე მე ზერელად ვუყურებდი სიყვარულს და შევცდი ჩემი გულის არჩევანში. გვიან მივხვდი ამას, გვიან, როცა უკვე გათხოვილი ვიყავი. და იცით, რა მძიმე ტრაგედია ყოფილა ქალისათვის, როცა ის გათხოვების შემდეგ, მიხვდება თავის შეცდომას. მე შევცდი, მაგრამ უკან არ დავიხიე; ტანჯვით, წვალებით ქმარს ერთგულება დავუმტკიცე და ახლა იგივე ერთგულება ჩემს შვილებსაც უნდა დავუმტკიცო. თქვენ იცით თუ არა, ჰერცოგო, რომ ქალისათვის მთავარი მაინც შვილები ყოფილა. ქალი დედობას ეტრფის, ეტრფის ფარულად თუ აშკარად. და ვისაც ერთხელ მაინც უგრძვნია ეს, დამიდასტურებს, რომ დედური გრძნობა ყველა გრძნობაზე მაღლა დგას... მე ახლა დედა ვარ, დედა სამი შვილისა.

აქ წაიბორძიკა დედოფალმა, ოხვრა აღმოხდა.

— მე ვამბობ სამი შვილისა-მეთქი, ერთი წლის წინათ კი ოთხი შვილის დედა ვიყავი. ჩემი თამარი დავკარგე. იქ, პეტერბურგში, მტრებმა დამაკარგვინეს ჩემი იმედი, ყველაზე პატარა, ნაბოლარა შვილი...

ახლა ამით ისარგებლა ჰერცოგმა და, სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული დედოფალს, ისე მოახსენა:

— დიახ, ბავშვების აღზრდას დიდი შრომა და გარჯა უნდა, ასეთ შემთხვევაში ქალს დახმარებას ქმარი გაუწევს. მე შემიძლია ვიკისრო ეს სრული სიყვარულითა და პატივისცემით. თქვენი შვილები ჩემი შვილებიც იქნებიან...

— არა, ჩემო ჰერცოგო! შვილებს ერთი დედა და ერთი მამა ჰყავთ, ორი მამის ყოლა ისევე არ შეიძლება, როგორც ორი სამშობლოსი. შვილებს ერთი დედა და ერთი მამა უნდა ჰყავდეთ, პატიოსან კაცსაც ერთი სამშობლო უნდა ეგულებოდეს და იმისთვის უნდა სდებდეს თავს.

ეს ისე თქვა დედოფალმა, არც კი დაფიქრებულა, რომ ჰერცოგი იდგა მის წინაშე, ჰერცოგი, რომელსაც ადრევე ჰქონდა ნათქვამი დედოფლისათვის, რომ ის იქ იქნება ბედნიერი, სადაც სიყვარულით გაიხარებს მისი გული, მისი სამშობლო მისი გულია... ახლა ეს მოაგონდა ჰერცოგსაც და დაიბნა, ვიდრე პასუხს გასცემდა. მერე ისევ მოიკრიბა გონება და ასე უპასუხა დედოფალს:

— შვილების სიყვარული სწორედ რომ არ მოითხოვს უახლო მსხვერპლსა და დაჟინებას. ქალს შეუძლია, შეუძლია კი არა, ვალდებულიც არის, თუ ადრე დაქვრივდა, მეორედ გათხოვდეს, თუ მას ნამდვილად უყვარს თავისი შვილები. თვით შვილების აღზრდისათვის არის ეს საჭირო, სამშობლოზე კი უნდა მოგახსენოთ, რომ სამშობლო სამშობლოა, მაგრამ არა მგონია, იგი პირადი ბედნიერების უგულებელყოფას მოითხოვდეს: მე თქვენს ხელში ისევე ბედნიერი ვიქნები საქართველოში, როგორც ჩემს ესპანეთში ვიქნებოდი. სამშობლო . არ მოითხოვს, კაცმა თავისი გული და სიყვარული უკუაგდოს.

— არა, არა ხართ მართალი, ჰერცოგო, მე ახლა აი, აქ, უცხოეთში ვიგრძენი, რომ, თუ შენი სამშობლო არ გიყვარს, არ ჩაითვლები მის ნამდვილ შვილად. სამშობლოდან გადმოხვეწილი კაცი სწორედ რომ უბედურია. ბედნიერი მხოლოდ შენს სამშობლოში შეიძლება იყო, სწორედ შენს სამშობლოში აქვს მადლი და ლაზათი ნამდვილ სიყვარულს. შენს სიყვარულს შენს სამშობლოში უნდა ედგას მტკიცე ფესვი, მამუ-

ლის ძუძუს უნდა სწოვდეს, სხვა სიყვარული რა სიყვარულია!..

ამ საუბარში იყვნენ ჰერცოგი და ეკატერინე, რომ ოთახში სალომე შემოიჭრა და დედასთან მიირბინა. უცხო კაცი რომ დაინახა, უკან დაიხია. ეკატერინე თვითონ მიეჭრა შვილს და გულში ჩაიკრა. ისეთნაირად ჩაიკრა, თითქოს ართმევენო. დედის ეს გრძნობა ჰერცოგმა შენიშნა და ჩუმად გავიდა ოთახიდან.

დ' ოსუნამ ის ღამე წვალებით გაათენა. მთელი გულითა და ენინით უყვარდა სამეგრელოს დედოფალი და სხვა ქალი, რომელიც შესცვლიდა ამ სიყვარულს, ქვეყნად არ ეგულებოდა. და გათენდა თუ არა, სასწრაფოდ გამოეწყო და ისევ ეახლა დედოფალს.

— იმ წყეული საღამოს შემდეგ, როცა გნახე პატარა თამარზე ასე უზომოდ მგლოვიარე, გადავწყვიტე ძალ-ღონე მომეკრიბა და არ შემეწუხებინეთ ჩემი უიღბლო სიყვარულით. მაგრამ რაც პარიზს ჩამოხვედით, დავკარგე მოსვენება. სანამ ახლო მეგულებოდით, კიდევ მქონდა რაღაც იმედი მომშორდით და მთლად დავკარგე რწმენა, რა არ ვცადე, მეგობრებში გართობა, რესტორნებში ქეიფი, თეატრებსა და საღამოებზე სიარული, მაგრამ ვერსად ვპოვე ნუგეში. სადაც ვიყავ, ყველგან თან მსდევდა განუქარვებელი სევდა განშორებისა. თვით ჩემს მეგობრებსაც გადაედო ჩემი მელანქოლია. ისინიც დაღონდნენ, თან ათასი გზით მირჩევდნენ: გაერთე, იცეკვე, ითამაშე, დალიე, გამხიარულდი, ნუ ჩამოგტირის ცხვირ-პირი, სანამ ხარ, დაეწაფე ამ ცხოვრებას, თორემ დუმილი და ჩორჩილება ბედისა იმ ქვეყნადაც გეყოფაო.

მე შევისმინე მათი მუდარა, მხარი ავუბი და ავყევი მათს მხიარულებას, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა, ისევ სევდა და მწუხარება ღრღნიდა ჩემს გულსა, და არც ესმოდა ვისმე ჩემი.

ქალებში ვიყავი და თქვენი სახე მედგა თვალწინ, ლხინში ვიყავი და — თქვენს დარდს ღვინოში ვკლავდი! მერე მოსვენება დაკარგულმა ჩაკეტვა და შინ ყოფნა ვარჩიე, მაგრამ იქაც არ მშორდებოდა ხატება თქვენი.

შინ და გარეთ სულ თქვენი ლანდი დამდევდა და მოსვენებას არ მაძლევდა. მეტი ვეღარ მოვითმინე და ისევ თქვენ

მოგაშურეთ. აწი შენ იცი, მთლად თუ არ გამწირავ თქვენგან დაჩაგრულს!— ესა თქვა და ხელზე ეამბორა ეკატერინეს. დედოფალმა ხელი ძალით გამოგლიჯა.

თაყვანისმცემელი ბევრი ჰყოლია, ეკატერინეს, მაგრამ ასე არავის დაუმცირებია მის წინაშე თავი. სწორედ რომ შეებრალა ეს ესპანელი. მეორე მხრივ რაც უფრო აკვირდებოდა მის საქციელს, მით უფრო შესძაგდა იგი. დედოფალს მოთმინების ფიალა ევსო:

— მე თქვენ უფრო ვაფაცი მეგონეთ. ნუთუ მართლა ასე დაგიმორჩილათ სევდამ. მე ვეღარ გცნობთ თქვენ. ჰერცოგო, ჩვენ ხომ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისანი არა ვართ! მე ვერ ამიხსნია თქვენი საქციელი, თუ მართლა არ მსახიობობთ, ბატონო დ' ოსუნა!

— არა, დედოფალო, მე რომ მსახიობობა შემეძლოს. ალბათ, უკეთ გადაგიშლიდით ჩემს გრძნობებს და უფრო სხვანაირად მოგაჩვენებდით თავს, მაგრამ ეტყობა, უნიჭო მსახიობი ვარ ჩემი გრძნობების გამოსამჟღავნებლად.

ეკატერინემ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო ჰერცოგის ნათქვამი და ასე უთხრა:

— არა, მე რა უფლება მაქვს თქვენი მსახიობური ნიჭის შეფასებისა.

დ' ოსუნას ყურადღება არ მიუქცევია დედოფლის ამ სიტყვებისთვის.

— გახსოვთ, იმ საღამოს, პეტერბურგში, სასახლის ბალზე პირველად რომ შეგხვდით? ყველა მეგობარი, ვინც კი მეორე დღეს ვნახე. მიმტკიცებდა, რომ თქვენ ყველაზე ლამაზი და დიდებული იყავით იმ საღამოს. მაგრამ მე ისედაც ვიცოდი, რომ თქვენ არა მარტო ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანიც და ყველაზე ნაზიც იყავით. ისიც ვიცოდი, რომ ლეგენდა დადიოდა თურქეთთან ომში თქვენს მამაცობაზე. მე ეს ყველაფერი ვიცოდი და, რაც უფრო ხელს მკრავდით, მით უფრო მახელებდით, მით უფრო ვეჭვიანობდი. თუ ვინმე მამაკაცს დავიგულებდი თქვენთან, მე იმ მამაკაცს მტრად ვსახავდი, რადგან თქვენ მე ჩემად მეგულებოდით. ახლაც აღსარებასავით გეუბნებით, რომ სხვა ქალს არც შევირთავ არასოდეს.

ეკატერინეს გაეღიმა:

— ყველა მამაკაცი უმტკიცებს თავის სატრფოს, „უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო". მერე გადის დრო და ისინი ერთმანეთს ოჯახებით ისე ხვდებიან, როგორც კარგი ნაცნობები. ეჰ, ჩემო დ' ოსუნა, კარგად ვიცნობ მამაკაცებს!

— არა, დედოფალო. მე უთქვენოდ არ შემიძლია გაძლება, მერწმუნეთ, რომ არ შემიძლია, — ამ სიტყვებზე ესპანელმა დედოფლისაკენ გაიწია.

სწორედ ამ დროს ზარივით დარეკა ეკატერინეს ხმამ:

— მე შვილების დედა ვარ, შვილების დედა, ხომ გითხარით ერთხელ, ხომ გითხარით! ნუთუ ასე მალე დაგავიწყდათ ყოველივე!

ისე ნერვულად და მღელვარედ ამბობდა ამას დედოფალი, რომ თვითონ ვეღარა სცნობდა თავის ხმას, ასე ეგონა, მის მაგივრად ამ სიტყვებს სხვა ჩასძახოდა ახლა ესპანელს. მერე ერთბაშად შეჩერდა, თითქოს შეწუხდა, რომ ასე სულმოუთქმელად მიახალა ეს სიტყვები ესპანელს. რაღაცის თქმა დააპირა. ესპანელი იატაკს ჩასცქეროდა დაღონებული, ცხვირსახოცი ამოეღო და ოფლიან სახეს იწმენდდა. ეკატერინემ იფიქრა, თვალზე მომდგარ ცრემლს თუ იწმენდსო, და დიდად შეწუხდა. ეს არ გამოპარვია დ' ოსუნას.

— ასე დიდებული, კეთილი დედოფალი როგორ შეიძლება ასეთი სასტიკი და უგულო იყოთ! თქვენ როგორ გგონიათ, მე ადამიანი ვარ თუ უბრალო ფიტული, ბავშვების სათამაშო თოჯინა! — ელჩი მიაჩერდა დედოფალს.

— არა, ჰერცოგო, ნუ გგონიათ, რომ უმადური და გაურჩეველი ვიყო. მე მესმის თქვენი, ოღონდ ბრაზი მომდის, რომ არ გინდათ ჩემიც გაიგოთ, მე ძლიერ მიყვარს ჩემი შვილები და ვერც ვერასოდეს ვუღალატებ მათ. თქვენს გრძნობებს რომ ავყოლოდი, ეს ღალატი იქნებოდა, დიახ, ღალატი დედისა, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი შვილები. არ მინდა მოღალატე დედის სახელი მერქვას! გესმით თუ არა თქვენ? თქვენ ერთი იმ სასიამოვნო და მგრძნობიარე კაცთაგანი ბრძანდებით, როგორსაც კი შევხვედრივარ ამ ქვეყანაზე, და უნდა გაიგოთ! მე ხომ მარტო ვარ ამ უცხო ქვეყანაში და თქვენისთანა მამაკაცს ხელს როგორ ვკრავდი, ეს ჩემი სინდისისა და დე-

დოფლობის საწინააღმდეგოდ რომ არ მეჩვენებოდეს. ისა სჯობია, ჩვენ ნამდვილ მეგობრებად დავრჩეთ.

— მეგობრობა, ნამდვილი მეგობრობა სწორედ თქვენი მეუღლეობა იქნებოდა. მეუღლეებზე უფრო სასურველი მეგობრები არ მეგულება ამ ქვეყანაზე... მე მიყვარხართ, დედოფალო, უსაზღვროდ მიყვარხართ და სხვა ვერავის შევიყვარებ. სხვა ვერავითარი გრძნობა, ვერც ერთი სხვა ადამიანი ჩემს გულში ადგილს ვერ დაიჭერს. მერწმუნეთ, დედოფალო, ჩემი გრძნობა უჭკნობი დარჩება მარად.

რაც უფრო გახელებით და გაღიზიანებით უმტკიცებდა ესპანელი თავის უიღბლო სიყვარულს, მით უფრო დაეჭვებით იმეორებდა თავის გულში დედოფალი.

„ნუთუ მართლა ასე გაგიჟებით ვუყვარვარ ამ გადამთიელს? ან, იქნებ, ყველაფერი ეს თამაშია, რომ თავისი განდიდებისათვის მიმისაკუთროს? ჰერცოგმა იცის, რომ მთავრინა ვვერდს დაუმშვენებს დიდკაცობის მაძიებელს, მე კი, როგორც უცხოურ ძვირფას ნივთს, გამომიყენებს და მერე სულ ერთია მისთვის... ალბათ, ჩემი უარი გახმაურდა, თავმოყვარეობა შეულახა და, ალბათ, ამ შელახული თავმოყვარეობის გამოსყიდვა უნდა, იმიტომ არის ასე გახელებული. არა, ეს არ მოხდება!“

ასე ფიქრობდა ეკატერინე, პირში კი სულ სხვა რამე უთხრა:

— ხომ გითხარით ჩემი სათქმელი. ნუთუ გასაგები არ არის თქვენთვის? გთხოვთ, დაივიწყოთ თქვენი გრძნობა და ნაცნობად, მეგობრად, ან რადაც გინდათ, იმად მიგულეთ, ოღონდ საცოლედ კი ნურასოდეს...

ისე მტკიცედ თქვა ეს დედოფალმა, რომ ჰერცოგი იძულებული გახდა ნაძალადევი ღიმილით გამომშვიდობებოდა.

საღამოს ესპანელი ელჩი გაემგზავრა პარიზიდან.

* * *

უცხოეთში გადახვეწილი ეკატერინე მანანა ორბელიანს სწერდა:

„ახლა საღამოა და ვზივარ ჩემს ოთახში, ჩემს ოთახში კი აირა, ვიღაც გადამთიელის სასტუმროში. ფახჯრიდან გაჩირაღდნებული პარიზი მოჩანს ჩემს თვალწინ და ჩემი სული მაინც

ვერაფერს ეგუება ამ დიდებულ ქალაქში. დღეს ჩემს ქალიშვილთან ერთად ვსეირნობდი პარიზის ქუჩებში, ერთი რა არის, ერთი ნაცნობიც არ შეგვხვედრია, არც არავის მოუქცევია ჩემთვის ყურადღება, და გული მომიკვდა. მე, ეკატერინეს, ჩვენს ქვეყანაში, ჩემს ზუგდიდსა და თბილისში, თვით პეტერბურგშიც პატივისმცემლებით ასე განებივრებულს, ისე არ გამივლია, რომ უამრავი ნაცნობებისა და მეგობრების თვალთა მზერას არ გავეცილებინე. მე ნამდვილი დედოფალი ვიყავი ჩემს ქვეყანაში. ახლა კი აქ დავაბიჯებ პარიზის ქუჩებში და არც არავინ მიმზერს, არც არავის ვაინტერესებ. არა, უცნაური ქალაქია მაინც ეს პარიზი. ასე მგონია, ტიტველმა რომ გაიარო, მაინც არ შეაოგზედავენ, არაფრად ჩაგთვლიან, რადგან ასეთი გიჟებიც ბევრნი უნახავს პარიზის ქუჩებს და არც არაფერი უკვირთ აქ".

უნდოდა მიეწერა, რომ ესპანელი ელჩი პარიზშიც გაჰოეკიდა და ისევ ხელსა სთხოვდა, მაგრამ თავი შეიკავა და ასეულ სხვა დაწერა:

„ახლა ზუგდიდში და გორდში ყველაფერი ჰყვავის და ბარობს, ერთგან და მეორეგანაც ჩემი ბაღები მეძახის მათთვის დაბადებულს და მათთვის გახარებულს. მე კი აქ ოთხკედელშია გამომწყვდეული ვოხრავ და ვკვნესი. მოვთქვამ და ვწყევლი ყველას, ყველას, ვინც მე ასე დამჩაგრა და მაიძულა დამეტოვებინა ჩემი ბაღი და მამული. გული ჩემი კვნესის და ოხრავს და საშველი არსაიდან ჩანს! ნეტავ სწავლა მალე მაინც დაამთავრონ ჩემმა შვილებმა. ნიკო ახლა უნივერსიტეტს ამთავრებს, ანდრო მოვდევნო კურსზეა, სალომე გაისად ინსტიტუტს დაამთავრებს და, ალბათ, იმ წლის ბოლოს გამოვწევ ჩემს ქვეყანაში. მე მჯერა, რომ ისევ გაიხარებს ჩემი გული ნაშულის ხილვით. ვითვლი, ვითვლი წუთებს ამ ბედნიერი დროის მოლოდინში.

პარიზში ვიგრძენი, რომ ყოველივე ცდა ადამიანისა იყოს პირველი ამ ქვეყანაზე, ამაო ყოფილა, დიახ, შენ შეგიძლია იყო შენს ოჯახში პირველი, შენს სამთავროში, შენს სახელმწიფოში, მაგრამ მოსცილდები თუ არა ამ დედაფუძეს და სხვას შეეხიზნები, ყველაფერი ერთბაშად გაქრება. თურმე შენი განდიდება შენს მიწას ეფუძნება და სხვაგან ვერაფერდ ვერ

ჰპოვეტ მის საფასურს, თუნდაც მპყრობელიც გახდე სხვა ქვეყნებისა. შენს სახელს, შენდამი გულისტკივილს. შენს პატივისცემას, გულწრფელს და ნამდვილს, მხოლოდ შენი მამული თუ შეინახავს, სხვა კი, სანამ ძალა გაქვს და ხმალი ხელთ გიჭირავს, გემორჩილება, ოღონდ, საკმარისია დაკარგო ძლიერება და. ოქროში რომ გყავდეს ჩასმული და მისთვის თავი რომ გქონდეს შეწირული, შენზე გინებით გულს იჯერებს და მტრად გამოგაცხადებს.

უცხოელი ვერასოდეს გაიხარებს სხვა ქვეყანაში. უცხო ქვეყანა მას გამოიყენებს, ბროწეულივით გამოსწურავს წვენს. კაცს, რომელმაც თავისი ჭკუა და გონიერება სხვა ქვეყანას დაუთმო, იმ ბროწეულის ბედი მოელის. აი, როგორი ფიქრები მიპყრობს მე, ჩემო მანანა, როდესაც ამ წერილს გწერ.

ჩემს შვილს, ჩემს ნიკოს, როცა უნივერსიტეტს დაამთავრებს, საფრანგეთის იმპერატორმა დიდი ადგილი შესთავაზა. მიღოცავენ ამ ბედნიერებას, მაგრამ მე უარზე ვარ, გული მეუბნება, რომ ნიკო ნამდვილი ბეჯნიერი მხოლოდ საქართველოში იქნება, ბედნიერი ჭაშინ იქნება, თუ ისევ დაიბრუნა თავისი სამთავრო, თუ თავისი ნიჯი და გონიერება თავისი სამშობლოს ძლიერებას და განმტკიცებას მოახმარა. ამიტომ მე ისევ იმ აზრისა ვარ. პეტერბურგში ვეახლო იმპერატორს და გამოვთხოვო კვლავ დაგვიბრუნოს ჩვენი მამული. ჩვენი სამთავრო... ჩემო მანანა! ნუ დაიზარებ და მომწერე წერილი".

ბავშვების მასწავლებლად ეკატერინეს პარიზში თან წაეყვანა ფრანგი ქალი, რომელიც პეტერბურგში ჰყავდა. ადრე იგი პეტერბურგში პარიზიდან ვიღაც გენერალს ჩამოეყვანა ბავშვების აღსაზრდელად. გენერალის ბავშვები რომ დაიზარდნენ, ჟანა პარიზს აპირებდა თურმე გაბრუნებას, სწორედ ამ დროს მოუყვანეს იგი დედოფალს. ახლა დადიანების ოჯახის გამგზავრება პარიზს ყველაზე უფრო ჟანას გაუხარდა.

ჟანა, მაღალი, ჭორფლიანი, მაგრამ ლამაზი და სანდომიანი ქალი, ენებიანი და თავისი საქციელით გამომწვევი იყო. როდესაც თეოდორე პეტერბურგიდან მოსკოვს გამოისტუმრა ეკატერინემ, მღვდელს ყველაზე უფრო გული იმის გამო დასწყდა, რომ ჟანა, რომელიც ასე გატაცებით მოსწონდა და რომე-

ლთანაც მთელ დღეებს ატარებდა, იქ, პეტერბურგში უნდა დაეტოვებინა.

ჟანნა ფრანგულს ასწავლიდა დედოფლის ბავშვებს, თევდორე — ქართულს, და ხშირად მათ გაკვეთილების გადაცემა ერთად უხდებოდათ. მორცხვი თევდორე მღვდელი ჯერ თვალს ვერ უსწორებდა ამ ფრანგ ქალს, მერე კი ისე შეეჩვია, რომ უიმისოდ ვეღარა სძლებდა. მაგრამ ისე წარიმართა მთელი მათი ცხოვრება, რომ, სიტყვა რა არის, ერთი სასიყვარულო სიტყვაც ვერ გაუბედა თევდორემ. მერე თევდორე სამეგრელოში გამოისტუმრეს. ჟანა თან წაიყვანა საფრანგეთს ეკატერინემ, მაგრამ აი, მღვდელს ისევ გაუღიმა ბედმა: ეკატერინემ იგი საფრანგეთში გაიწვია ბავშვებისათვის ქართულის მასწავლებლად.

თევდორე უკვე ცოლ-შვილს მოჰკიდებოდა და დავიწყებული ჰქონდა ჟანას არსებობა, მაგრამ პარიზში დაბრუნებისას წვერმოშვებულ მღვდელს ისე გადაეხვია ჟანა, ისე გაუშინაურდა, რომ ძველი ჭრილობა კვლავ განუახლა ამ ანაფორიან კაცს. ორ ცეცხლს შუა იყო თევდორე: სამეგრელოში დატოვებული ცოლი და ოჯახი და პარიზში განახლებული სიყვარული. ეს ორი ცეცხლი სწვავდა მის გულს და აღარ იცოდა, რა წყალში გადავარდნილიყო.

...თევდორე ხოშტარია მარტვილის სასულიერო სასწავლებლის კურსის დამთავრების შემდეგ დადიანების სასახლეში მიიყვანა მამამისმა. თევდორეს მამა უკვე მღვდლად იყო ნაკურთხი. მღვდლობის, ბლაღოჩინობის და დეკანოზობის სამსახურში ნამყოფი ხოშტარია დადიანების კარზე კარგად იყო მიღებული.

თევდორე დადიანების ქართულ კანცელარიაში მუშაობდა გადამწერად, შემდეგ ისე გაიწაფა ამ საქმეში, რომ ეკატერინე მას აწერინებდა ოფიციალური მიმოწერის ქაღალდებს. დაიახლოვა, გაიცნო ეს ახალგაზრდა კაცი და ისე მოეწონა, რომ შემდეგ ბაკშვების მასწავლებლადაც აირჩია და თან წაიყვანა პეტერბურგში. იქ ორი წელი დაჰყო თევდორემ და ბევრი რამ ნახა, ბევრი რამ გაიგო. იქვე გაიცნო საქართველოში გამოგზავნილი ახალი ეგზარხოსი ევსევი, და სთხოვა აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით უსამართლოდ გადაყენებული მა-

მამისი კვლავ აღედგინათ დეკანოზად. ეგზარხოსმა შეუსრულა ეს თხოვნა, როცა დედოფლის უმცროსი ქალიშვილი თამარი, მარტვილში წამოასვენეს, თევდორე თან წამოჰყვა იმ მცირე ამალას. რომელსაც დადიანების ასულის ცხედარი მოჰქონდა. მას შემდეგ თევდორე სამეგრელოში დარჩა, ეკატერინე თავისი შვილებით პარიზს წავიდა.

ყანამ მთელი პარიზი შემოატარა მღვდელს. რა არ გააცნო. მღვდელიც თანდათან დაჰყვა ქალის ნებას და გახალისდა. რაღაც უჩვეულო გრძნობა დაეუფლა. სურდა მთელი დღე ყანასთან ყოფილიყო. ქალმა მოსვენება წაართვა ერთგულ ღვთისმსახურს. თევდორე მღვდელმა დაკარგა სიმშვიდე სულისა.

ყანამ ნათესავთან მიიყვანა იგი და თავის საქმროდ წარუდგინა. მღვდელი მთლად დაიბნა, რაღაც ღმუილივით ხმა გაიღო. თვითონაც არ იცოდა რა ეთქვა... ყანა კი ისე ექცეოდა, როგორც ნამდვილ საქმროს...

ნათესავმა ქალმა ყანას წასჩურჩულა, შენი საქმრო კაი კაცი ჩანს, ახალგაზრდაც არის და ლამაზიც, ოღონდ ჩემს მაგივრად ურჩიე, წვერი მოიპარსოსო, აქაურ მღვდლებს არც ასეთი მოშვებული წვერი აქვთ და არც ასეთი ანაფორა აცვიათო. იმ საღამოს ყანას ნათესავებმა მთლად გადარიეს თევდორე. აქ კიდევ ვიღაც ორი ახალგაზრდა იყო: ქალი და ვაჟი. ცოტა რომ შეთვრნენ ჩვენებური ოჯალეშის მსგავსი ღვინით, გამხიარულებული სტუმრები, რას არ სჩადიოდნენ! ვერ ყველაფერი ეს ეუცხოებოდა მღვდელს. მაგრამ მერე აჰყვა საერთო ტალღას და ყველას გადააჭარბა.

ყანა და მღვდელი შინ გვიან დაბრუნდნენ. გზად რომ მოდიოდნენ, ყანამ ვერ მოითმინა და უთხრა, რა მშვენიერი იყავი პეტერბურგში, წვერმოპარსული, ასე რათ მოგიშვია ეს წვერიო.

— პეტერბურგში სხვა იყო, მე უბრალო მდივანი ვიყავი დედოფლისა, მერე კი მღვდლად ვეკურთხე და ჩვენებურად წვერიც მოვუშვიო, — უპასუხა თევდორემ.

— მღვდლები ჩვენში ცოტანი როდი არიან, მაგრამ, აბა, ვისა აქვს ასეთი თმა, ვის აცვია ასეთი ანაფორა? ტყიდან გამოვარდნილ ბანჯგვლიან დათვს დამგვანებიხარ. გუშინ რომ გა-

კოცე, მას შემდეგ მთელი სახე მეწვის. თუ ჩემთან მეგობრობა გსურს, ხვალვე მოიპარსე ეგ წვერი. აბა, შეხედე თვით ყურებში ჩაგსვლია ჯაგარი.

და ანა ხელით წვერს წაეპოტინა. თევდორეს ეწყინა, შეურაცხყოფად მიიღო და გადაწყვიტა აღარასოდეს შეხვედროდა ამ ქალს.

მეორე დღეს მღვდელს, მართლაც შინიდან ფეხი არ გამოუდგამს. საღამო ხანს კი თავათ მოაკითხა ფრანგმა ქალმა. იგი ოთახში დაუკითხავად შევიდა.

შილიფად ჩაცმული თევდორე ლოგინზე წამოწოლილიყო. შეცბუნებულმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ანამ არ დააცალა, მიეჭრა ლოგინზე წამოწოლილ თევდორეს და დაეკონა. ამან მთლად აურია დავთარი მღვდელს. მერე ბინდი გადაეკრა თვალზე და თვითონაც ვერ გაიგო, რა მძლავრად მოჰხვია ღონიერი მკლავები ანას...

ის დღე იყო და ის დღე, თევდორე არ მოსცილებია ფრანგ ქალს.

მეორე დღესვე წვერი კოხტად დაიყენა, ანაფორა გაიხადა და კოსტუმი ჩაიცვა. გამოეწყო და გამოიპრანჭა.

როცა თევდორე ეკატერინეს ასე გამოეცხადა, დედოფალს ჯერ გაუკვირდა, მერე კი ეამა:

— კარგად მოქცეულხარ, ჩემო თევდორე. აბა, აქ ვის აცვია ჩვენებური ანაფორა, ვისა აქვს წვერი.

მოფერებამ გაათამამა მღვდელი. ამით გახალისებული თევდორე ცას ეწია. დღე და ღამე ანასთან ერთად დაეხეტებოდა პარიზის ქუჩებში.

თევდორეს ბედნიერებას დიდი დღე არ ეწერა. ანას მოსწყინდა მღვდელი და ერთ მშვენიერ დღეს უთხრა:

— ახლა კი კმარა. დღეიდან ნუ მიგულებ შენს მეგობრად...

თევდორე დაიბნა, თან შერცხვა თავისი თავისა. თევდორე დაინტერესდა, ვისზე გაცვალა ანამ. დაინტერესდა, მაგრამ ვერსად მიაკვლია გზას და კვალს. მერე ხელი ჩაიქნია. ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა, ეშმაკის საქმედ ჩათვალა და თავის პატარა ოთახში გამოიკეტა.

თევდორე დღიურების წერას შეუდგა.

თევდორე ხოშტარიას დღიურები

8 მარტი. 2 თებერვალს 1863 წლისას დილით თაყვანი ვეცი სუჯუნის წმინდა მთავარ მონასტერს და გიორგის ტაძარში მხურვალე ლოცვითა და ვედრებით შევთხოვე იესო ქრისტეს მშვიდობით მგზავრობა და დაბრუნება. დილის 5 საათზე პატარა მდინარე ცუდღარში ჩავჯექი ჩემთვის გამზადებულ ნავში და ორი მენავის თანხლებით ფოთში გამოვემგზავრე. ფოთიდან გემით ბათუმში ჩავედი. აქედან კი გემ „ალექსანდრიით" მეთხუთმეტე დღეს სტამბოლში ამოვყავი თავი. აქ, სტამბოლის ქუჩებში, შემთხვევით შევხვდი ჩემს ნაცნობს, ჩვენებურ ქუთათურ კათოლიკეს — ლუკა ფრანგს. ეს ლუკა წინათ სუჯუნასა და სენაკში ვაჭრობდა და იქ გავიცანი. ახლა აქ ძმასავით მიმიღო. სტამბოლში ერთი სომხის სახლში იდგა, მეც იქ დამაყენა, მთელი კვირა მაჭამა და მასვა. მერე ბილეთიც ამიღო და სტამბოლიდან ავსტრიის გემით ვენაში გამოვემგზავრე. გზად ერთი ბანძელი ებრაელი ამეკიდა. ამ ებრაელს დაუბაჟავი თუთუნი წამოეღო, გზაში გაჩხრიკეს, ეს თუთუნიც წაართვეს და დააჯარიმეს კიდეც. ქ. ვენაში ხუთი დღე დავყავი. აქ თბილისელი სომეხი გაბრიელ ავეტისოვი გავიცანი. დიდი პატივისცემით მომექცა. ვენიდან პარიზამდე მატარებლით ვიმგზავრე. გზად ერთი რუსი დიდკაცი გავიცანი, რომელსაც ცნობილი მსახიობი ახლდა. მათი მეოხებით ადვილად მივაგენი ეკატერინეს სასტუმროს...

12 მარტი. უკვე ათი დღეა, რაც პარიზში ვარ. აქ ყველანი კარგად დამხვდნენ. ეკატერინემ დიდად გაიხარა ჩემი ჩასვლით. როგორც ახლობელს, ისე გადამეხვია და გადამკოცნა. შვილები ხომ მთლად გადაირივნენ ჩემი ნახვით.

ეკატერინე რომ ნახოთ, ისევ ის ეკატერინეა, მთვარესავით სავსე და ლამაზი, არა, ლამაზი ცოტაა — ულამაზესი. პეტერბურგში მას, როგორც სალოცავ ხატს, ისე შევყურებდი. თუმცა მისგან ერთი საალერსო სიტყვაც კი არ მახსოვს და ახლა კი გამიკვირდა, ასე რომ მომექცა. უბრალოდ ხელი კი არ ჩამომართვა, გადამეხვია, მერე ეკატერინეს მიბაძვით, ის ჩემი ნაცნობი ფრანგი ქალიც გადამეხვია. ო, რა სურნელება ასდიოდა მათს სახესა და ბაგეს, ფრანგული ნელსა-

ცხებლის სურნელება! არა, ქალი ვარო, ეკატერინემ უნდა თქვას, მაგრამ ეს წყეული ფრანგის ქალიც რომ ლამაზია! ლამაზია და ისე გამომწვევი, რომ მის თვალთა ცქერას ვეღარ გავუძელი. თუმცა მე ახლა მღვდელი ვარ და ცოდვად ჩამეთვლება ამგვარი რამე, მაგრამ სულზე უტკბესია ყოველივე ის, რაც ლამაზი ქალის სიყვარულს მოსდევს... ამ ეშმაკმა ფრანგმა ქალმა ისე მომნუსხა, ისე დამიმორჩილა, რომ მეც ავეკიდე, მე, უბედური და სულელი. დავივიწყე ღმერთიც, ისიც დავივიწყე, რომ მღვდელი ვარ და არ შემშვენის ამგვარი აცუნცრუკება. მაგრამ ეშმაკის წინაშე რას გახდება ვინმე და მეც ამიყოლია ამ წყეულმა ფრანგმა! მერე ბროწეულივით გამომწურა და ქუჩაში , გადამისროლა. ახლა ახლოც აღარ მიკარებს. ვზივარ ამ ოთახში და ვწერ ამ სტრიქონებს. ალბათ, არასოდეს არ ავიღებდი კალამს, ამ ფრანგ ქალს რომ არ შევეცდინე...

14 მარტი. ეკატერინემ პატარა ოთახი დამითმო. ოთახში ერთი საწოლი ლოგინია და მაგიდა. ვზივარ ჩემთვის მარტო, ვზივარ დაღონებული და დაფიქრებული, სატრფოსაგან მიტოვებული, ეკატერინესაგან უყურადღებოდ განაპირებული და ვერ გამიგია, რატომ და რისთვის ვარ ახლა პარიზში, ვის ვჭირდები და რა უნდა ვაკეთო აქ. ეკატერინე ასე ამბობს, მართლმადიდებლების რუსულ ეკლესიაში სიარული მომბეზრდა, ქართულად ლოცვანი მომენატრაო, და მე ახლა ვუკითხავ ამ ლოცვანს ეკატერინეს, როცა მოესურვება ხოლმე. სხვა დროს კი ვწერ ამ სტრიქონებს და თან ვატან ჩემი გულის სევდას, — ჩემი სულის ზრახვებს. ალბათ, ჩემი სიკვდილის შემდეგ ვინმე ნახავს და ამოიკითხავს, რა ფიქრები და განცდები მაწუხებდა აქ, უცხოეთში გადმოხვეწილ თევდორე ხოშტარიას...

ჩემს ოთახს პატარა სარკმელი აქვს. იგი პეტრე პირველის ქუჩაზე გადის. არა, ეს ჩვენი პეტრე პირველი კი არ არის, რუსეთის იმპერატორი, თურმე სერბიელი პეტრე პირველიც ყოფილა. ეს კი, ჯერჯერობით, ვერ გავიგე, რა ხარისხისა და ღვაწლისა იყო ეს კაცი, რომ ასეთი მთავარი ქუჩისთვის მისი სახელი მიუკუთვნებიათ. ლარივით სწორი, გრძელი და დიდი ეს ქუჩა უკვე სამჯერ შემოვიარე. არა, მაინც როგორ არის,

რომ ყველა სახლი ერთი ზომისაა, ერთი სიგრძისა და სიგანისა, ერთი ფერისა და აგებულებისა! ყველა სახლი შვიდსართულიანია, რა გეგმით, რა შრომით, რა წვალებით აშენებული! მაგრამ ერთი რამ არ მომეწონა: ამ შესანიშნავ ქუჩაზე, სწორედ ჩემი სახლის წინ, ერთი სახლია. არ ვიცი, ჩვენებურად რა ჰქვია ამ სახლს. ამ სახლის წინ კაცი დგას და ყველას, გამვლელსა და გამომვლელს რაღაცას ანიშნებს. მეც გავჩერდი ამ სახლის წინ და იქითკენ მივიხედე, საითაც ეს კაცი გვანიშნებდა. რაღაც უცნაური რამ ვნახე, თვალს ვერ დავუჯერე და მიტომაც ვერ აღვწერ ამას, სანამ ერთხელ კიდევ არ დავრწმუნდები და არ შევამოწმებ ყველაფერს, რაც ჩემმა თვალებმა ნახა.

გუშინ მთელი დღე ვხეტიალობდი ისევ ამ ქუჩაზე. თურმე დედოფალს მოვეკითხე. საღამოს დამიბარა და გამიჯავრდა, მთელი დღე ჩემ უკითხავად რატომ დადიხარო.

15 მარტი. გუშინ მთელი დღე შინ ვიყავი. ბავშვებიც შინ იყვნენ. ახლა ესენი უკვე დიდები არიან. აქ დადიანებს ნამდვილი სალონი აქვთ გამართული, და ვინ არ აკითხავს მათ: ბიჭები, ქალიშვილები... დიდი ნაცნობობა და მიმოსვლა აქვთ. მე ყველა მათგანს ვაკვირდები, მაოცებს და მაკვირვებს მათი თავისუფალი საქციელი, მაგრამ ვერაფერი მითქვამს. როგორც ჩანს, აქ ცხოვრების სხვა წესია, სხვა ზნე და ჩვეულება. ვნახოთ, ამასაც გავიგებთ.

16 მარტი. გუშინ ეკატერინესთან სახელგანთქმული ქალი მადამ კორსაკოვა მოვიდა. მადამ კორსაკოვა საზოგადოების მაღალ წრეს ეკუთვნის. პეტერბურგში ყველას თავბრუს ახვევდა. ახლა აქაც ეკატერინესთან ერთად ისე არ გაივლის, რომ ორი და სამი თაყვანისმცემელი არ ახლდეს. რომ შევედი და ამ ორ, უკვე ასაკში შესულ მადონას ვუყურებდი, ვერ გამეგო, რომელი უკეთესი იყო, ქერა რუსის ქალი კორსაკოვა, თუ ჩვენებური, ხორბლისფერი ეკატერინე. ორივეს თავისებური სილამაზე აქვს და ვერ მითქვამს, მათში რომელი სჯობს. გუშინ ისე ვაცქერდებოდი მათ, რომ კიდეც შემამჩნიეს ეს და ისე ეშმაკურად გაიცინეს, რომ ნამდვილად დამცინოდნენ. რა ვქნა, ასე ყოფილა ბედი ჩემი. მე ხომ მათ თვალში მამაკაცი კი არა, მღვდელი ვარ, მღვდელი, რომელ-

საც უფლება წართმეული აქვს, უფლება ამ ქვეყნიური ცხოვრების სიამტკბილობისა... მე მაინც ვერ ვძლიე თავსა და ისევ ქვემოდან ავხედე ჩუმათ ორივეს. ისევ შეამჩნიეს ეს ფარული გამოხედვა და ახლა კი უკვე ხმამაღლა გადაიკისკისეს. კორსაკოვას ქალმა ეკატერინეს უთხრა, უყურე ამ მღვდელს, მგონი, არა ხუმრობსო. მე გავქვავდი, თავი დავხარე და ასე ვიდექი, ვიდრე ეკატერინემ არ მიბრძანა და რაღაც წერილის დაწერა არ დამავალა. ძლივს გამოვაღწიე იმ ოთახიდან. ახლაც მიკვირს ეს რა მემართება ამ პარიზში.

17 მარტი. დღეს დედოფალმა რუსეთის საელჩო ეკლესიაში წამიყვანა. ეტლში სამნი ვისხედით: დედოფალი, მადამ კორსაკოვა და მე. გზად მიხსნიდა ეკატერინე: ეს ლუვრია, ეს ნაპოლეონის ძეგლი და მოედანი, ეს წმიდა მარიამ მაგდალინელის ეკლესია; ეს კიდევ, იქით, შორს რომ მოჩანს, ნოტრ-დამიაო, ჩემთვის ყველა ეს სიტყვები ნაცნობი იყო, მაგრამ ეს ადგილები — უცნობი. მართლმადიდებელთა ეკლესიაში ცოტა ხალხი იყო. განთქმული მწიგნობარი მღვდელმთავარი ვლასოვი სწირავდა. ჩვენებურ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ეს გაჟიანურებული ლოცვანი ძლივს მოვისმინე, რადგან უგუნებოდ ვიყავი და დაღონებული.

17 მარტი. გუშინ, დილით ადრე, ნიკომ წამიყვანა სასეირნოდ. ლუვრის ახლო ჭიშკართან დამაყენა, აქედან ახლა იმპერატორი ნაპოლეონ მესამე გამოვა, და ვუყუროთო. მართლაც, სრული 10 საათი იქნებოდა, როდესაც ლუვრის მარჯვენა ჭიშკრიდან იმპერატორი ნაპოლეონ მესამე თავისი მემკვიდრით გამოვიდა. კარეტაში ჩასხდნენ. კარეტას, ორივე მხრიდან ასამდი ცხენოსანი ჯარისკაცი აედევნა. მიქროდა კარეტა, და მისდევდნენ ათოხებული ჯარისკაცები. ნაპოლეონ მესამე მორჩილი ტანისა ყოფილა, მორჩილი და ბურთივით მრგვალი. შინ დაბრუნებულმა სურათს რომ დავხედე, ნამდვილად ისეთია, როგორც სურათშია გამოხატული...

* * *

პარიზის ქუჩებში უამრავი, ათასი ჯურის ხალხი ირეოდა. ყველა ჩქარი ნაბიჯით მიაბიჯებდა და ვერავის ამჩნევდა.

თევდორე მღვდელი კი ყოველთვის ნელა დადიოდა. არც რამ საქმე ჰქონდა და არც სადმე მიეჩქარებოდა. ამიტომაც ყოველ გამვლელს გულმოდგინედ აკვირდებოდა, თითქოს ნაცნობს დაეძებსო ამ მილეთ ხალხში. ქუჩაში გავლისას ყოველთვის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ათასჯერ გაევლოს და ენახოს ეს სახლები და აქ მოფუსფუსე ადამიანები. ეს ქუჩა და ეს ხალხი მისთვის ახლობელი იყო. უკვირდა, ასე შინაურად რომ გრძნობდა თავს ამ დიდსა და, მართლაც, გასაოცარ ქალაქში. იმ დღეს კი სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე. ახლა პარიზში ნახულ სხვა საოცრებებს ეს ეშმაკის სახლიც მიემატა. ამ მოუსვენარ მღვდელს ყველაზე უფრო ამ სახლის საიდუმლოება აწვალებდა. ახლაც, ამ ფიქრებით გატაცებული, ვერავის ამჩნევდა ამ მილეთ ხალხში, გაოგნებული მიდიოდა და უაზროდ აცეცებდა თვალებს.

თევდორე მთელი დღე შინ იჯდა. დედოფალი კვირაში ერთხელ თუ დააწერინებდა სადმე გასაგზავნ წერილს, თუმცა თვითეული ამ ბარათის დაწერას დიდი დრო უნდოდა: ერთი სამჯერ მაინც გადააწერინებდა, ხან რომელიმე სიტყვას გაუსწორებდა, ხან მთელ წერილს დაუწუნებდა. თევდორეს სწყინდა კიდეც, მაგრამ, აბა, რა უქნა! ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა ეკატერინეს წერილი არ მოეწონებოდა. თვითონ დასწერდა და თევდორეს ეტყოდა, აი როგორ უნდა დაიწეროს ბარათიო.

თევდორე, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა დედოფლის გემოვნებას და უფრო და უფრო კარგად ახერხებდა წერილის დაწერას. ისეთი ლამაზი ხელი ჰქონდა, რომ ყოველი ასო დახატულს ჰგავდა.

ეს იყო და ეს. პარიზში თევდორეს სხვა საქმე არა ჰქონდა, და ამიტომ თავისუფალი დრო ბევრი რჩებოდა. მოცლილობისას ხან კითხულობდა, ხან ბარათებსა და დღიურებს წერდა. მეტ დროს კი ქუჩაში ხეტიალს ანდომებდა. მაშინ კი, როცა შინ იყო, დაეყრდნობოდა ფანჯრის რაფას და იყურებოდა. სად? ვინ იცის, სად არა! ხან ცას შესცქეროდა, პარიზის ცას თბილისის ცას ადარებდა, ხან ქუჩაში მიმავალ ხალხს აკვირდებოდა. მეტ ხანს კი იმ „ეშმაკების სახლს“ აცქერდებოდა. ყველას იცნობდა, ვინც იმ სახლში შედიოდა.

თევდორეს სწყინდა, რომ „ეშმაკების სახლში“ ორჯერ ნიკოსაც მოჰკრა თვალი. კინაღამ იყვირა, ხელიც კი დაუქნია, არ ქნა, არ ქნაო. მაგრამ ნიკოს არც შეუნიშნავს შეწუხებული მღვდელი. მას შემდეგ უფრო იმიტომ აცქერდებოდა იმ „ეშმაკების სახლს“, რომ ნიკოსათვის თვალყური ედევნებია. თუმცა მისთვის არაფერი უკითხავს, არც უგრძნობინებია.

მეორე დღეს ამ „ეშმაკის სახლს“ თევდორე მღვდელმა სულ ახლოს ჩაუარა. ამ სახლს „ეშმაკების სახლი“ თევდორემ თვითონ დაარქვა. ერთ დღეს დააცქერდა და, აი, რას ხედავს მისი თვალები: თხელი ფარდის იქით ნახევრად შიშველი ქალი დგას და გამვლელ-გამომვლელს ხელს უქნევს. ტანზე შეხსნილი კაბა აცვია. ეს ქანდაკებასავით გამოკვეთილი, აშოლტილი ქალი წამოსასხამს წარამარა გადასწევს და მთელი ტანი გამოუჩნდება. თევდორემ სწორედ მაშინ გახედა ფანჯარას, როდესაც ამ ქალმა ბროწეულის ფერი წამოსასხამი გადაიხსნა და მთლად დედიშობილა გამოჩნდა. გაოცდა მღვდელი. ცნობისმოყვარეობამ სძლია და უფრო დააშტერდა ფარდას, მერე შერცხვა და თვალი დახუჭა. მღვდელმა გადააფურთხა, ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკსო, და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

— ეს რა ქალაქი ყოფილა! ასე დღისით, მზისით, აშკარად... არა, ეტყობა, მთლად ხელი აუღიათ ნამუსზე. როგორ ყველაფერი ფულით იყიდება ამ ქალაქში! არა, ამ დიდებულ ქალაქს, ნოტრდამის ქალაქს სწორედ რომ არ შეშვენის ასეთი რამ. ეშმაკები მოსდებიან ამ ქალაქს!

ასე მიბუტბუტებდა გზად თევდორე მღვდელი და თითქოს თვითონაც სადღაც, გულის კუნჭულში შეპარულ ეშმაკს იგერიებდა. სწორედ ამ დროს ნიკო შემოხვდა. თვალზე ბინდგადაკრულმა მღვდელმა ვერ შენიშნა ჭაბუკი. როცა ნიკომ ხმამაღლა დაუძახა, თევდორეო, მღვდელი დაფეთებულივით ზეზე ახტა და დასაკლავად მომზადებული ხარივით, რაღაცა უცნაური ხმით დაიბღავლა.

ნიკო ზედ მიეხალა მღვდელს, ჰკითხა, რა იყო, რა მოგივიდა, რად გაფითრებულხარ, ცუდი ხომ არაფერიაო. მღვდელი დაიბნა. იფიქრა, ნიკომ თვალი თუ მოჰკრა, „ეშმაკების სახლს“ რომ ვაკვირდებოდიო. მერე ძლივს მოეგო გონს, ხელი ისევ „ეშმაკების სახლისკენ“ გაიშვირა და თქვა: იქ ვიღაც მათხო-

ვარი შემხვდა, ამეკიდა და ფულს მთხოვდა... ნიკოს გაელიმა. არაფერი უთქვამს, ისე გასცილდა დაბნეულ მღვდელს.

* * *

18 მარტი. დილით ადრე დამიბარა დედოფალმა. იწვა. ხელები ამოღებული ჰქონდა, მკერდგაღეღილი იყო. შესვლისას უკან დავიხიე, ბოდიში მოვიხადე, ახლო მიმიხმო. შევხედე და თავბრუ დამეხვა... თვალთ დამიბნელდა. ახლო მივედი და დედოფალმა მიბრძანა, ლოცვანი წამიკითხეო. მე თვით არ მახსოვს, როგორ გავშალე ჩემი ხელით გადაწერილი ლოცვანი. ვკითხულობდი და თვითონაც არ ვიცოდი, რას ვკითხულობდი. ეკატერინე გამიჯავრდა, რას ბუტბუტებ, არაფერი მესმის შენი წაკითხულისაო. მერე ძლივს მოვედი გონს და დაზეპირებული სიტყვების წაკითხვას შევუდექი... დაბნეული და გალახული გამოვედი...

არა, რა სულელი ვარ; ეს რა ვიფიქრე, ეს რა გრძნობა დამეუფლა! ოთახში რომ შემოვედი, ხატის წინ დავემხე და დიდხანს ვლოცულობდი.

დღეს შინიდან არ გავსულვარ, ვზივარ და ვფიქრობ, ვფიქრობ და მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება.

20 მარტი. წუხელ მთელი ღამე გადაუღებლივ წვიმდა. პირაღმა ვიწექი და ისევ დედოფალზე ვფიქრობდი. გვიან ჩამეძინა და მეზმანა, თითქოს დედოფალმა მიმიხმო, მომეფერა, თავზე ხელი გადამისვა, რათა ხარ ასე დაღვრემილი და დაფიქრებული, ახალგაზრდა კაცი ხარ, რა გაქვს საფიქრებელი და სადარდებელიო. ეს მითხრა და თვალებში ჩამხედა. თვალები დავხუჭე, შემეშინდა, ჩემი გულისთქმა არ ამოიკითხოს-მეთქი. ის იყო გამომეღვიძა კიდეც. ახლა კი უთუოდ დავიღუპე. თუ დედოფალმა რაიმე შემატყო, გამაგდებს აქედან. მე, მღვდელ თევდორე ხოშტარიას. ასე ეშმაკისაგან შეცდენილს, ეს რა ფიქრები და გრძნობები მეუფლება. ვწუხვარ და მოვთქვამ, მაგრამ გამკითხავი არსადა სჩანს...

1 აპრილი. გუშინ დედოფალმა ნოტრდამში წამიყვანა. გზად შევეკითხე, ისააკის ტაძრის ოდენა თუ არის ეს ფრანგების ტაძარი-მეთქი. რას ამბობო, — გაკვირვებით მიპასუხა დე-

დოფალმა, — ხომ ნახე, შედარებაც მიძნელდებაო. ვნახე და გავოცდი-მეთქი! ადამიანის ხელით შექმნილი ასეთი დიდებული არაფერი უნახავს ჩემს თვალებს. მდინარე სენას მარცხენა ნაპირზე გაშენებული ეს ტაძარი ისე დგას, თითქოს ზეცაში გასაფრენად ემზადებაო. შენობას, რომელსაც, მართლაც დიდი ფრთები ამთავრებს, თვალს ვერ აუწვდენ და ვერც გადააწვდენ. დგას და, ასე გგონია, ღმერთს ავედრებს მთელს სამყაროსო. რა არ შეუძლია თურმე რწმენასა და შრომას!

ტაძარი საკვე იყო მლოცველებით. აქ ისე კი არ არის, როგორც ჩვენში, აქ ეკლესია თეატრს ჰგავს თავისი მისტერიებითა და ცერემონიალით, დარბაზში სკოლის მერხებივით გრძელი სკამები ალაგია, ზოგი მლოცველი ზის და ისე კითხულობს ლოცვანს, ზოგი კი დგას.

ფრანგები კათოლიკეები არიან, ღრმა მორწმუნენი ყოფილან. კათოლიკეები მე წინათაც მინახავს სამეგრელოში. ოღონდ ისინი იტალიელები იყვნენ. ისინიც დიდი მორწმუნენი, კათოლიკობის პროპაგანდას იყვნენ გადაყოლილნი. აქ კი უარესი ყოფილა. ტაძარში ქალები ჭარბობდნენ მამაკაცებს. გასაოცარი, ღვთაებრივი სიჩუმე სუფევდა. შემდეგ სიჩუმეს გალობა და მუსიკა სცვლიდა. პარიზი სულ სხვა ქვეყანა ყოფილა, ხოლო ნოტრდამი — ისეთი ტაძარი, რომლის მსგავსი, ალბათ, არც არის დედამიწის ზურგზე.

ისააკისა და ნოტრდამის შემქმნელებს, ალბათ, ღმერთის შთაგონება, რწმენა და სიბრძნე თუ ჰქონდათ ბოძებული! ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არ იქნებოდნენ, რადგან ჩვეულებრივი არაფერია თვით ამ ტაძარში. ყოველივე ამის შემდეგ, მე მოიცებენ ეს ვიღაცა ათეისტები, რომლებიც ირწმუნებიან, არც ღმერთია ამ ქვეყანაზე და არც ხატიო. ეს ყველაფერი ადამიანებმა გამოიგონეს ადამიანების დასამონებლადო. მე მათ ვეუბნები: აბა, ეს მორწმუნე ხალხი ურწმუნოებად აქციეთ და მაშინ ნახეთ, რა უბედურება დატრიალდეს ამ ქვეყანაზე! მე მგონია, ურწმუნო ადამიანზე უბედური არავინ არის ამ ქვეყანაზე. მე რომ არაფერი მწამდეს, ალბათ გავგიჟდებოდი, მერე კი ტანჯვით მოვკვდებოდი. ახლა კი სიხარულით ვკვდები, სიხარულით ვეგებები სიკვდილს, რადგან მწამს: იმ ქვეყანაზე არის უფრო დიდებული და უკეთესი რამ, ვიდრე ეს

ქვეყანა, და ეს მაძლევს სიმხნევეს სულისას, რომ სიხარულით შევხვდე სიკვდილს. ეს რწმენა რომ არ იყოს, ჩვენ უბრალო პირუტყვნი ვიქნებოდით. ურწმუნო ადამიანი პირუტყვია.

ფუი, ფუი, რას ვამბობ ამას! ეს რა დაწერა ჩემმა ხელმა. არა, ღმერთმანი, ვინც ნოტრდამისა და ისააკის ტაძარი ააგო, იმას, ღმერთი რომ არ იყოს, ღმერთიც უნდა გამოეგონებინა, რადგან ღვთის სახელი უნდა დაერქმია იმ საოცრებისათვის, რაც ადამიანის ხელით არის შექმნილი. ულმერთოებსა და ურწმუნოებს ასეთი რამის შექმნა არ შეუძლიათ. თუმცა რწმენაც არის და რწმენაც! ზოგი სახარებას კითხულობს და ზოგი ყურანსა. ზოგი ალაჰს გაიძახის და ზოგი ღმერთს. ისე კი ყველგან ღმერთია შემქმნელი ყველაფრისა!

დიახ, ადამიანს რწმენა უნდა ჰქონდეს ცხოვრებაში. მაგრამ ვაითუ ამ ათეისტებსაც თავისი ღმერთი ჰყავთ! ნამდვილად ასეა. ნამდვილად ეყოლებათ იმათაც თავიანთი ღმერთი. თუ მათ ნამდვილად სურთ რამე შექმნან ამ ქვეყანაზე, ისინი ამას მხოლოდ იმ გზით მიაღწევენ, თუ ჩვენი ღმერთის ნაცვლად თავიანთ ღმერთს დაასკუპებენ და იმაზე გვალოცებენ. დიახ, მხოლოდ ლოცვასა და რწმენას შეუძლია აშენოს ქვეყანა!

ურწმუნონო, განვედით ჩემგან, მორწმუნენო, იყავით დამშვიდებული და აკეთეთ საქმენი თქვენი! რწმენას და მხოლოდ რწმენას შეუძლია მოჰგვაროს სიმშვიდე ადამიანს და შესძინოს სიმშვიდე ქვეყანას...

3 აპრილი. დღეს ნიკომ და ანდრომ ლუვრის სანახავად წამიყვანეს. ისევ დიდი საოცრების მოწმე გავხდი. აბა, მე როგორ გავბედავდი იმის აღწერას, რაც იქ ვნახე, მაგრამ ნიკომ და ანდრომ ისე მარტივად მიამბეს ამ სურათებისა და ქანდაკებების ამბავი, რომ ახლა ჩემთვის არ უნდა იყოს ძნელი ამის გამეორება. თუმცა, მაინც ვერ ვბედავ ავწერო ყოველივე, რაც იქ ვნახეთ.

იქვე ქადაგად გადაქცეული გიდი იდგა, რომელიც მილეთის ხალხს ყველაფერს უხსნიდა. მეც მინდოდა დამეგდო ყური, მაგრამ ვინ დამაცადა.

ნიკომ და ანდრომ ხელი ჩამავლეს და, ჩვენი მეზობელი დათაიას ჯორივით, მთელი დღე მარბენინეს ამ უცნაურ დარბაზებსა და ოთახებში. ღვთის წინაშე არ შევცოდავ, თუ ვიტყ-

ვი, რომ მათი ახსნილიდან და განმარტებულიდან თავში ბევრი არაფერი დამრჩენია. ეს ეგვიპტური ქანდაკებებიო, ეს ბერძნული, ეს შუა საუკუნისაო, ეს იტალიელი მხატვრებისა, ეს ფრანგებისაო, და კიდევ ვინ მოსთვლის, ვინღა არ დაასახელეს!

რომელი ქვეყანა არ ახსენეს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სახელი კი არავის დასცდენია, და ძლიერ მეტკინა გული. მეტსაც ვიტყვი: როცა დედოფალი ვინმე უცხოელს თავის ვინაობას აცნობს, ვერ აგებინებს, რა ქვეყანაა ეს საქართველო, ან ის სამთავრო, რომელსაც თვითონ განაგებს. თვით რუსთაველსაც მრავალგზის ახსენებს დედოფალი, იმასაც ამბობს, რომ მეთორმეტე საუკუნეში იგი მთელ მსოფლიოში პირველი პოეტი იყო, მაგრამ უცხოელები იმასაც კითხულობენ, რა ენაზეა თარგმნილი თქვენი რუსთაველი. მაშინ კი, როცა დედოფალი უცხოელებს პირში მიახლის ხოლმე, ბერძნების შემდეგ, ჩვენ პირველი ქრისტიანები ვართ; როდესაც თქვენი წინაპრები ტყეში დაეხეტებოდნენ, ჩვენები მონასტრებში ისხდნენ და საბარებას თარგმნიდნენო, — უცხოელები ხმას ვერ იღებენ. თუმცა ბოლოს მაინც შეეკითხებიან ხოლმე დედოფალს, რა ენაზე ლაპარაკობენ საქართველოშიო. ქართულადო, ეტყვის დედოფალი. რომელ ქვეყანაში ლაპარაკობენ კიდევ ამ ენაზეო, — კვლავ ეკითხებიან უცხოელები. ბასკები, ესპანელები ლაპარაკობდნენ ქართულად, ახლა მათაც დაივიწყეს ეს ენაო,— უპასუხებს ხოლმე დედოფალი. მერე უცხოელები კვლავ შეჰბედავენ ხოლმე, თუ ასეა, არც თქვენ ყოფილხართ დიდი ხალხი, რაკი თქვენი ენა ვერავისთვის მოგიხვევიათ თავზეო. დედოფალიც ისევ და ისევ რუსთაველს მოიშველიებს და ჩვენს უძველეს ცივილიზაციაზე ჩამოაგდებს ხოლმე სიტყვას, მაგრამ ცხარე კამათში მაინც ვერაფერს აჯერებს უცხოელებს... ჩვენმა დედოფალმა მათ ვერც ის გააგებინა თუ სად არის საქართველო, და ვერც ის აუხსნა, თუ რა დიდი კულტურისა და ცივილიზაციის შემქმნელი ერი ვართ ჩვენ. თუ ჩვენს დედოფალს ასე უმართება, აბა, მე რას გავხდები ამ უცხოელებთან! ამიტომაც არც ვინმე მისმენს და არც ვინმე იღებს ჩემს განმარტებას. თვით ის ფრანგი ქალიც კი, რომელსაც მე ასე მოვწონდი პეტერბურგში, ახლა დამცინის და მე-

უბნება, ხომ ნახე ჩვენი ქვეყანა, და ამის შემდეგ კიდევ იტყვი, სამეგრელოსთანა კუთხე არსად არისო!?

ახლა თვით ეს ფრანგი ქალი თუ მე, რუსთაველის ქვეყნის შვილს, არაფრად მაგდებს, ასე მგონია, ყველაფერი ეს ჩვენი უხეირობის ბრალია. თუ ჩვენმა ქვეყანამ რუსთაველი, იმქამად მსოფლიოში ეს პირველი პოეტი, წარმოშვა, თუ ჩემს ქვეყანას დავით აღმაშენებელმა და თამარ მეფემ უდიდესი სულიერი კულტურა და ფიზიკური ძლიერება მიანიჭეს და დაიცვეს, ნუთუ ჩვენ არ უნდა შეგვეძლოს საქვეყნოდ გამოვაფინოთ, მოვუაროთ ამ კულტურას, ამ ქვეყანას, რომ აღარ გვეკითხებოდნენ უცხოელნი, სად არის საქართველო, რა ენაზე ლაპარაკობენ ამ ქვეყანაში, ვინ არიან ქართველებიო!? ჩვენ რომ უხეირონი არ ვყოფილიყავით, თავათ მოგვაკითხავდნენ უცხოელები, დასწერდნენ წიგნებს და გამოკვლევებს და მთელ ქვეყანას მოჰფენდნენ საქართველოს სახელს...

4 აპრილი. ჟანას გამო ახლა ყოველი ფრანგი ქალი ჭირის დღესავით მძულს და ახლო არ ვეკარები. მაგრამ ეგებ ჟანა აქ არაფერ შუაშია.

მე მეგონა, ეკატერინე დედოფალმა უფრო ამიფორიაქა სული. ეკატერინე ახლა ჩემი სალოცავი ხატია, დიახ, სალოცავი ხატი! მე, მისმა მონამ, ახლა მხოლოდ მისთვის უნდა ვილოცო. მაგრამ, რაც უფრო ვაკვირდები მას, როგორც სალოცავ ხატს, მით უფრო სხვა გრძნობები მიპყრობს. პეტერბურგში ასე არ ვიყავი, და ახლა რა მემართება, არ ვიცი.

ქუჩაში რომ მიდის, ეკატერინეს ჩუმად უთვალთვალებენ. დედოფალი მაინც ბედს ემდურის. გუშინ მითხრა: აქ, ჩემო თევდორე, ის აღარ ვარ, რაც პეტერბურგში ვიყავი. იქ ჩემთვის ლოცულობდნენ, აქ კი ისე გავივლი ქუჩაში, თითქოს არაფერი მომხდარიყოსო. მე მივუგე: არა, ჩემო დედოფალო, აქაც ისეთივე დედოფალი ბრძანდებით, როგორიც საქართველოში და პეტერბურგში იყავით-მეთქი... ეს ვუთხარი და... თვითონაც არ ვიცი, რატომ და რისთვის!

გუშინ ქუჩაში ვიღაც რუსი კაცი აგვეკიდა. ეტყობოდა, ვიღაც დიდი თავადიშვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცოტა გადაკრულში იყო. წინ გადაეღობა და გამოეცნაურა დედოფალს. ეკატერინემ ზრდილობიანად დაუკრა თავი, ყურადღება არ მი-

აქცია და ისევ განაგრძო გზა. უცნობი არ მოგვეშვა და უკან მოგვდევდა. მე ამით ვისარგებლე და ეკატერინეს ვუთხარი: „აი, ჩემო დედოფალო, ხომ ხედავთ!“ დედოფალმა გამიღიმა. ო, რა იყო ეს ღიმილი და ეს გამოხედვა! იმ ღამეს არ დამეძინა. ეს ოხერი გული მაინც სხვა ყოფილა, გული ისე მიმორჩილებს, თითქოს ეკატერინე ჩემთვის ისეთივე ქალი იყოს, როგორიც ყველა სხვა, აი, თუნდაც ის ფრანგი ქალი, ეჰ, ჩემთვის მიუწვდომელი ოცნებაა ეს ყოველივე. გულში უნდა ჩავიმარხო გაუმხელად ის სევდა, პარიზის ქუჩებზე ახლა ასე მძიმედ რომ დავათრევ...

15 აპრილი. სამუდამოდ, სამუდამოდ უნდა მოვიცილო ეს აკვიატებული ფიქრები, ეს ეშმაკის ფიქრები! მე, მონას, რა ნება მაქვს ასე ვიფიქრო ჩემი სალოცავი ხატის წინაშე! განვედით ჩემგან ეშმაკის ფიქრებო, ღმერთო, დამიცავ მე ცდუნებისაგან და მაპატიე ცოდვანი ჩემნი...

18 აპრილი. დღეს ადრე ავდექი, ეკატერინემ დამიბარა. შევედი. იგი უკვე ამდგარიყო. მორთული, მოკაზმული დამხვდა. მომესალმა, გვერდით დამისვა და პეტერბურგში გასაგზავნი წერილი მიკარნახა. დედოფალი ხშირად ჩერდებოდა, ფიქრობდა, ფიქრობდა, მე ამით ვსარგებლობდი და თვალებში შევყურებდი, შევყურებდი და ვტკბებოდი მისი ცქერით. დედოფალი კი უსიამოვნო ფიქრებს წაეღო. ახლა იგი დიმიტრი ყიფიანს სწერდა. წერილს თავისი მამულის თაობაზე. უკმაყოფილო და გაბრაზებული, მკაცრი სიტყვებით მიმართავდა, უჩიოდა, შემოსავალი ცოტა მივიღეო, ნაწყენი ვარო. სამჯერ გადამაწერინა წერილი, მთელი სამი საათი დავყავი დედოფალთან. ბედნიერი ვიყავი მე დღეს, ბედნიერი და კმაყოფილი...

25 აპრილი. დღეს დედოფალმა ისევ დამიბარა. ისევ წერილი დამაწერინა, ისევ დიმიტრი ყიფიანს სწერდა ბარათს. ისევ დიდხანს ფიქრობდა, და მეც დიდხანს ვიყავი მასთან. ისევ ბედნიერი დავბრუნდი შინ...

28 აპრილი. ეკატერინემ კვლავ დამიბარა. ამ დილით კარგ გუნებაზე იყო, მომეფერა, მომიალერსა. მე ამით გავთამამდი და ხოტბა შევასხი ქება უხეირო გამომივიდა. შევატყვე, რომ დედოფალს უფრო ეწყინა, ვიდრე ესიამოვნა, და ბრძანების კილოთი მითხრა, წადი, მღვდელო, შენს ოთახში და ილო-

ცე, შენს ცოლ-შვილზე ილოცე, იმაზე ილოცე, რომ ცოცხალი ხარო... ეს ისეთი კილოთი მითხრა, რომ სიტყვის შეუბრუნებლად გავეცალე იქაურობას...

ორი დღის შემდეგ დედოფალმა კვლავ დამიბარა და თავისი ოჯახის საქმეები დამავალა და პეტერბურგში გამომისტუმრა. ორად ორი ბედნიერი თვე ვიყავი პარიზში და ეს დრო ჩემს სულში სამუდამოდ დარჩა. მხოლოდ ორი უკანასკნელი დღე უსიამოვნებასა, გვემასა და სინანულში გავატარე. ეკატერინეს ისე მოვექეცი, როგორც მისი ტოლი და სწორი, და ვაწყენინე კიდეც ამით. ვაწყენინე და აკი დამტუქსა კიდეც! ეს იყო და ეს, რაც მე დარდად თან წამომყვა პეტერბურგში დაბრუნებულს, იმ დიდებული ქალაქის სილამაზით, მშვენიერებით მოხიბლულსა და აღტაცებულს...

აქ მთავრდება თევდორე ხოშტარიას პარიზის დღიურები. მისი სულის საიდუმლოება, ან როგორც თვითონ ამბობდა, ეშმაკისაგან შეცდენილი მღვდლის საიდუმლოება, ამ დღიურებს გაანდო და მით გვამცნო თავისი სულის დარდი, უიღბლო მიჯნურის დარდი... შემდეგ კი, პეტერბურგში დაბრუნებულმა უკლებლივ შეასრულა ეკატერინეს ყველა დავალება, როგორც მისმა ერთგულმა მოსამსახურემ. მაგრამ არასოდეს ჩამქრალა მიჯნურობის ის ალი, მღვდელს სულში ასე საიდუმლოდ რომ აუბრიალდა და სევდის გასაქარვებლად მარტო დღიურებს რომ ანდო.

* * *

ნიკო დადიანი თვრამეტი წლის შესრულდა, დაკაცდა, დასრულდა. მაღალი, ტანადი, მოყვანილი თავადიშვილი საუცხოო შესახედაობისა იყო.

ნიკომ პარიზში უამრავი ნაცნობი და მეგობარი გაიჩინა, მაგრამ არც პეტერბურგელ მეგობრებს ივიწყებდა და მათთან მუდმივი მიმოწერა ჰქონდა. იმ დღესაც ვრცელი წერილი მისწერა უფლისწულს — ნიკოლაი ალექსანდროვიჩს. თავისი და უფლისწულ ნიკოლოზის საერთო ნაცნობი და მეგობარი მერი მოსწონდა ნიკო დადიანს. არა, მოსწონდა კი არა, უყვარდა კიდეც. მერისთვის წერილის მიწერას ერიდებოდა და დარდს

იმით იქარვებდა, რომ გულის ხვაშიადს ნიკოლაი ალექსანდროვიჩს უმეღავნებდა, მას სწერდა წერილებს, ნიკოლოზი კი ამ წერილებს მერის უკითხავდა. იმ დღესაც წაუკითხა ერთი წერილი:

„ამას წინათ ერთ ფათერაკს გადავეყარე. ალბათ, სალომე მოგწერდა ამის თაობაზე. ამ ზაფხულს ჰამბურგში ქერათმიანი პარიზელი იზაბელა გავიცანი და მომეწონა. პატარა იყო, მაგრამ ძალზე ლამაზი. ერთ ვიღაც ფრანგ ბიჭს უყვარდა, მაგრამ ეს არაფრად მივიჩნიე და, გავიცანი თუ არა ეს პატარა ლამაზმანი, აღარ მოვეშვი. ფრანგმა ჩემი საქციელი შეურაცხყოფად მიიღო და დუელში გამიწვია. მეც არ დავიხიე უკან. აბა, რის უფლისწული ვარ, თუ ამისთანა რამეს შევუშინდი-მეთქი, ვიფიქრე და თანხმობა შევუთვალე.

სეკუნდანტები გამოცხადდნენ, დამბაჩები დავტენეთ. მეორე დილით დანიშნულ ადგილას უნდა შევხვედრილიყავით ერთმანეთს...

ოჯახში დედაც ცხარედ ტიროდა, სალომეც, ჩვენი ოჯახის მეგობარი ავსტრიელი ბერტაც მთლად აქცევდა იქაურობას, მაგრამ სიტყვა სიტყვა იყო და მეც გამოვცხადდი დანიშნულ დილას ჩემი სეკუნდანტების თანხლებით. მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არ გამოჩნდა ჩემი მოქიშპე! ვდგავართ და ვუცდით, ვუცდით, მაგრამ ამაოდ...

მეორე დღეს გავიგეთ: ჩემი მოქიშპე, ის ფრანგი მილიონერის შვილი, იმ ღამეს ჰამბურგიდან ჩუმად გაპარულა. ასე გადავურჩი ამ ფათერაკს, მაგრამ ვიცი, რომ მე, ქალების მადევარს, სადღაც ბუჩქში ჩუმათ მიმალული სხვა ფათერაკი ისევ მელოდება. მაგრამ მე უკან არ დამიხევია და არც დავიხევ“.

ერთი კვირის შემდეგ, ისევ ახალი წერილი მიიღო უფლისწულმა. ეს წერილიც წაუკითხა მერის.

ნიკო დადიანი სწერდა:

„პარიზი მომბეზრდა-მეთქი, რომ ვთქვა, არ იქნება მართალი, პარიზი ისეთი ქალაქია, რომ არასოდეს მობეზრდება უცხოელს: ოღონდ კი ფული გქონდეს და, რასაც კი ახალგაზრდა კაცი ინატრებს, აქ ყველაფერია, უკანასკნელი მოდებიც ახალი ოპერები და ცეკვებიც, საღამოებიც და სეირნობაც... ვისაც ფული აქვს, კაციც ის არის!

მართალია, პარიზში ახლა წოდებასა და გვარიშვილობას არავინ აქცევს იმდენ ყურადღებას, რამდენსაც ფულსა და სიმდიდრეს. მართალია, ფულით აქ ყველაფერს იყიდი, სახელსაც, წოდებასაც და სილამაზესაც. ფული განაგებს ქვეყნისა და კაცის საქმეს, მაგრამ კიდევ არის შემონახული წოდებრივი ხარისხები და ტიტულები. განსაკუთრებით, უცხოელნი იმსახურებენ პატივისცემას. პარიზის ქუჩებში რა ჯურის, რა ეროვნების, რა წოდებისა და ხარისხის ვაჟებს არ შეხვდები, ნაირ-ნაირად ჩაცმულთ და მოკაზმულთ! ტრაბახში ნუ ჩამომართმევ და, მეც მაქვს ცოტა წარმატება პარიზელ ქალებში. მაგრამ ჩემი მერი თვალიდან არ მშორდება. ოგაგიჟებით მიყვარს, სწორედ გაგიჟებით! შენ ხომ იცი, როგორი გატაცება ვიცი. ჩემი ყველაზე სუსტი მხარე, ალბათ, ქალებით გატაცებაა. თუ როდისმე რაიმე უბედურება მომეწევა ამ ქვეყანაზე, ეს, ალბათ, ქალების მიზეზით მოხდება. მაგრამ, რაც უფრო ვაკვირდები აქაურ ქალებს, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მერი სულ სხვაა.

მე მგონია, საერთოდ, რუს ქალზე უკეთესი ქალი არ არის დედამიწაზე. არა, ღმერთმანი, რუსი ქალი სულ სხვაა, მიმნდობი, უეშმაკო, დამყოლი, უანგარო... აქაური ქალები კი მეტისმეტად გაეშმაკებული არიან. როგორც ფერუმარილითა და შეღებილი ტუჩებით სულ სხვა სახეს გვაჩვენებენ, ისევე ქცევითაც გვატყუებენ და გულითაც ორპირობენ. შენგან რაღაც გამორჩენას ეძებენ, ანგარიშით გიკავშირდებიან და ყველაფერ ამას ისე აშკარად სჩადიან, რომ მზად ხარ იყვირო...

მიტაცებენ ეს ლამაზი პარიზელები, მაგრამ მაშინებენ. მომწონან ისინი, მაგრამ არ მათბობს და არ მახარებს მათთან სიახლოვე. უცნაურია, ალბათ, არა? მაგრამ, ღმერთს გეფიცები, ასეა. თუ სამშობლოში მეღირსა დაბრუნება, ალბათ, ან რუს ქალს შევირთავ, ან ჩვენებურ ქართველ ქალს, პარიზელს კი — არასოდეს".

ნიკო დადიანი საგანგებოდ აქებდა რუს ქალებს, რადგან იცოდა, რომ ამ წერილს ნიკოლოზი მერის წაუკითხავდა და ამით სატრფოს გულს მოინადირებდა.

ორი წლის შემდეგ კი პეტერბურგში დაბრუნებული ნიკო ერთ თავის თბილისელ მეგობარს სწერდა:

„ზოგი ქალი რა უცნაურია! შენ ხომ კარგად იცნობ პეტრე ანდრეევიჩის მეუღლეს ლიზას. რასაკვირველია, იცნობ. მშვენიერი ქალია, ლამაზი, ტანადი, ოღონდ მოუსვენარი და დაუდგრომელი. ჯერ იყო და ჩვენს ანდრიას გადაეკიდა, აეკვიატა, არ მოეშვა. ანდრომ ეს საქმე სინანულით გამიმხილა, არ ვიცი, რა ვქნაო. ქმარი ჩემი მეგობარია, ჩვენსას დადის, გვენდობა. ცოლიც უყვარს, პატივს სცემს, თვითონ ლიზაც ამტკიცებს, რომ ქმარი არა სძულს და არც ფიქრობს გაცილებას, მაგრამ თან არც მე მეშვებაო. ღმერთო, რანაირად შეიძლება ერთსა და იმავე დროს ქმართანაც იყოს, ერთგულებას ეფიცებოდეს და საყვარელიც გაიჩინოს და მასაც ასევე ეფიცებოდეს, უშენოდ ამ ქვეყანაზე გაძლება არ შეშიძლიაო.

ასე იყო თუ ისე, ანდრო იძულებული გახდა დაჰყოლოდა ქალის ნებას. ასე მიდიოდა დღეები. მერე ერთბაშად გადამეკიდა ეს ქალი, მიმტკიცებდა, მუდამ შენ მომწონდი, მაგრამ ანდრიას დავუახლოვდი, თუმცა, წარმოიდგინე, ანდრიასთან ყოფნამაც ვერ დამიცხრო შენი სიყვარულიო.

დიახ, ყოველივე იმას, რასაც სჩადის ეს ქალი, სიყვარულს ეძახის! მე ტოტა არ იყოს, მოვერიდე ამ ამბავს. შენ თვითონ იცი, რომ ასეთ შემთხვევაში მე უკან დახევა არა მჩვევია, მაგრამ ანდროსი მრცხვენოდა, მან ხომ ყველაფერი გამანდო და ამის შემდეგ მისთვის საყვარელი რომ წამერთმია, დიახაც არა მსურდა. გეფიცები პატიოსნებას, არა მსურდა, მაგრამ ძალიან ჩამაცივდა ქალი და ვიფიქრე, ამ ქალს სუსტი მამაკაცი არ ვეგონო-მეთქი. ამ ჩვენებურმა ქართულმა ინტერესმა ჩამადენინა ყველაფერი. ლიზაზე უფრო გიჟი ქალი არ შემხვედრია. გიჟია, ნამდვილად გიჟი. მან ყველაფერი დამავიწყა. მთელი თვე გაბრუებული ვიყავი, ისიც გაგიჟებული დამდევდა, არ მცილდებოდა. რამდენიმე თვე გავიდა და შევატყვე, რომ მასაც მოვბეზრდი და მეც მომბეზრდა. ახლა გავიგე, ის ქალი ვიღაც ჩემს მეგობარს გადაჰკიდებია, და ისევ გრძელდება ეს წარმოდგენა. უცნაურია, უცნაური...“

ნიკომ დაწერა ეს წერილი და თბილისში გაუგზავნა თავის მეგობარს. ეს ის დრო იყო, როცა ნიკო დადიანი თომა ჩიქოვანის ქალიშვილს თათიას ეტრფიალებოდა, ამით თითქოს სინდისი დაიმშვიდა თათიას წინაშეც, თავისი ძმის ანდროს წინა-

შეც და იმ ქალის წინაშეც, რომელსაც ახლა კიდეც ამართ-ლებდა.

ნიკო დადიანი ახლა ამგვარი წერილების წერით ერთობოდა.

აი, ერთი წერილიც:

„მე წელს ოცი წლისა გავხდი. ცხოვრების გამოცდილება არც იმდენი მაქვს, რომ სხვას ჭკუა ვასწავლო, მაგრამ ერთ რა-მეში, შემიძლია სხვასაც გამოვადგე, თუ ყურს დამიგდებს და ჩემ რჩევას მიიღებს ვინმე. ოღონდ ეს ისეთ საქმეს შეეხება, სადაც არავინ ითვალისწინებს სხვათა გამოცდილებას და სა-კუთარსაც უმალვე ივიწყებს. მე ქალისა და ვაჟის ურთიერთო-ბაზე მოგახსენებ. ჰო, ამ თემაზე დაწერილი რამდენი წყალ-წყალა რომანი წაგვიკითხავს ჩვენ და, მგონია, რომ ეს ყველა ჭკუანაღრძობ ადამიანთა ფანტაზიით შექმნილია. ცხოვრებაში კი სხვანაირად ხდება...

რა გენიალურად არის ყოველივე ეს მოწყობილი თვით ღმერთის მიერ! ჩემს ასაკში ადამიანს უფრო დიდი საკითხი არა აქვს, ვიდრე სქესის საკითხია, და აქ ყველანი ვცოდავთ, მამაკაციცა და ქალიცა. ზოგ მამაკაცს ჰგონია, რაც მეტს იყბე-დებს ქალთა სიყვარულზე, მით თავს მეტად მოაწონებს. ზოგ ქალსაც, მართლაც, უყვარს ასეთი მეტიჩარა მოლაყბე, გონიერ ქალს კი ჭირივით სძულს ამგვარი რამე. ბევრი მამაკაცის თვალშიც, ქალი, რომელიც ადვილად დაჰყვება მის ნებას, თა-ვის ფასს და ღირსებას ჰკარგავს.

გეტყვი ჩემს საკუთარ ამბავს და შენ თვითონ მიხვდები, ასე გულდამწვარი რატომ გწერ ამას. მე ახლა ერთი ჰერცოგის ქალიშვილს დავდევ. როცა გულს გადავუხსნი, ეს პატარა ქა-ლიშვილი თვალებგაბრწყინებული შემომცინებს ხოლმე. ამ ბოლო დროს კვლავ დავდევ გვერდით ამ ქალიშვილს, მაგრამ უკვე სრულიად აღარ მაინტერესებს ეს არსება და არ ვფიქ-რობ სერიოზულად მასზე. ო, რარიგად დაჰკარგა მან ღირსება ჩემს წინაშე! ახლა მე სულ სხვა ქალით ვარ გატაცებული. ეს სხვა არც ჰერცოგის შვილია და არც მეფის ასული. იგი პარი-ზელი ექიმის ქალიშვილია. ძალიან მკაცრია. მთელი წელიწა-დია ჩვენს გვერდით ცხოვრობს და სალაპარაკოდაც კი არ გა-მიკარა. რაც უფრო გამირბის, მით უფრო მიტაცებს, მით უფ-რო მომწონს, მით უფრო ვაფასებ...

იგი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარია. მამამისი დედაჩემთან ყოველ საღამოს ზის და პარიზის უცნაურ ამბებს უყვება. თავისი ქალიშვილიც თვითონ მოიყვანა და გაგვაცნო. ეს თხუთმეტი წლის ფრანგი მადონა ძალზე ლამაზია. დიახ, ის ნამდვილ მადონას ჰგავს, ლუვრში რომ მადონა ვნახე, სწორედ იმას მაგონებს. სალომეს ტოლია და სალომესთან სწავლობს. დედამ მეტად შეიყვარა და მეც შემაყვარა. როცა სიყვარული გამოვუცხადე, ახლო არ გამიკარა, თქვენი ოჯახის მეგობარი ვარო. ასე მითხრა. ორი დღე გამებუტა. მერე ისევ მოვიდა, მაგრამ ვერა და ვერ მოვტეხე ეს მეტად ამაყი ქალიშვილი.

თუ მოვახერხებ აგიწერ ბუნების ამ ულამაზეს ქმნილებას: ძალიან მაღალი, უშნოდ აწოწილი კი არა, სანთელივით ჩამოქნილია, მკვრივად შეკრული, ჩვენებური ქართველი ქალიშვილივით ორი ნაწნავი აქვს ჩამოშლილი. ხორბლისფერი პირისახე აქვს, ოდნავ ბუსუსებიანი. თვალები კი, თვალები ცისფერი აქვს... არა, ვერ აღვწერე, უფრო ლამაზია. მაგრამ ამ სილამაზეს არაფერი ფასი ექნებოდა სულითაც რომ არ იყოს ლამაზი. სილამაზე ბუნების მიერ ქალისათვის ბოძებული ყველაზე დიდი განძია, მაგრამ თუ მერე ბუნებამ ამ დიდ მადლს გონიერებაც ზედ დაანათლა, ქალს მეტი რაღა სჭირდება ამ ქვეყანაზე, ოღონდ კი შესწევდეს ნიჭი და ძალა ამ სილამაზისა და გონიერების გაფრთხილებისა! ვისაც ეს დიდი განძი თავათ დაუფასებია და არავის აძლევს ნებას ბინძური ხელით შეეხოს, ჩემ თვალში ახლა მასზე მეტი პატივისცემის ღირსი არავინ არის. ალბათ, გიკვირს ჩემგან ასეთი ლაპარაკი, მე დონ-ჟუანად მიცნობ, ჩვენ ხომ ერთად დავდევდით ტუჩშეღებილ ქალიშვილებს, მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი შეიცვალა. ახლა მე სულ სხვა თვალით ვუცქერ ამ ქვეყანას და მათ შორის იმ ლამაზ ქალიშვილს, ასე რომ დამწვა და დამფერფლა. ოი, რარიგად ესმის მას ფასი თავისი სილამაზისა, ოი, რარიგად გონიერია, წინდახედული და ნიჭიერი, როგორ იცის ყადრი თავისი თავისა!"

ნიკომ ამ წერილში ის ლექსები ჩაურთო, რომლებიც სატრფოს მისწერა, თან დასძინა, ამ ლექსებით გამოვთქვი ჩემი გულისთქმა, ოღონდ ფრანგული თარგმანიც თან დავატანეო.

არ ვიცი. როგორ მოგეწონება, მაგრამ მაინც მინდა, ჭაშნიკად გაგასინჯოო.

მე შენ ცისფერ თვალებს
ვერსად ვერ დავემალე,
ნუთუ ეს ჩვენი შეხვედრა
უნდა დამთავრდეს მალე?
ჩემი სულისა გოდებით,
შენი ნახვისა ვედრებით.

* * *

მე არ მესმოდა შენი ფრანგული,
შენ არ გესმოდა ჩემი ქართული,
ალბათ, ამიტომ ასე დასრულდა
ბედის დაცინვა და სიყვარული...

მერე, რა გამოვიდა ამით? -არაფერი, ვერც ჩემმა ლექსმა, ვერც ჩემმა მდუღარე სულმა ვერ გაუღვიძა მას ჩემი სიყვარული. შეწუხებულმა ისევ სევდას , და ვაებას მივეცი თავი. მერე ისევ დავწერე ახალი ლექსები, კვლავ ვაახლე ჩემს სატრფოს, ისევ ვეევედრებოდი, ისევ ვეხვეწებოდი, ისევ თავს ვაწონებდი სიტყვით, საქმით, ლექსებით, მაგრამ ვხედავდი, რომ არაფერი გამოდიოდა. ალბათ, ძალზე სუსტი და უნიათო იყო ჩემი ლექსები. ამის განსჯა. შენთვის მომინდვია. აი ერთი ლექსიც:

ო, მე არ ვიცი ჩვენი შეხვედრა
რით დამთავრდება.
მე მხოლოდ ვიცი,
რომ შენა ხარ
ჩემი ლოცვა და
ჩემი ვედრება.

რა ადრე დადგა ეს შემოდგომა,
რა ადრე გაქრა სიმწვანე ხეთა.
ისევე დაჭკნა ჩემი ოცნება,
როგორც სიმწვანე ტყეთა და ველთა.

არა, არ ვიცი, რა მემართება. ჩემ ცხოვრებაში პირველად ვარ ასე აღტაცებული და აღგზნებული. წინათ მუდამ მე მეძებდნენ, ახლა კი მე დავეძებ, მე ვეხვეწები, მე ვემუდარები სხვას, მაგრამ, ვაი, რომ არაფერი გამომდის. რომ მნახო, შეგეცოდები"...

* * *

ეკატერინეს ქალიშვილი სალომე სულ სხვა ბუნებისა და ხასიათის იყო. მას ფრანგ მასწავლებლის ქალიშვილთან ლუიზასთან ჰქონდა დიდი მეგობრობა. მთელი დღე ერთად იყვნენ. მერე საერთო მეგობრებიც გაიჩინეს, და ეს მოხდენილი და კეკლუცი, ლამაზი და ტანადი, შავგვრემანი, დადიანის პატარა ქალბატონი პარიზის მაღალი საზოგადოების წრეში ერთბაშად პოპულარული გახდა. მთხოვნელებიც ბლომად გამოუჩნდნენ. სალომე დიდი წუნია ვინმე იყო და ახლოს არავის იკარებდა. ზოგისა ვაჟკაცობა არ მოსწონდა, ზოგისა კიდევ — გარეგნობა და საქციელი. ყოველი გაკვეთილის შემდეგ, სალომე და ეს ფრანგი ქალიშვილი სათითაოდ ახასიათებდნენ ხელის მთხოვნელებს.

იმ საღამოსაც სალომე ამ ქალიშვილმა გამოაცილა. სალომემ მეგობარი შინ მიიწვია და დიდხანს საუბრობდნენ.

— მე რომ მკითხოს კაცმა, — ამბობდა ეს ქალიშვილი, — ჭკვიანი მამაკაცი საქმროდ არ უნდა ეძიო. მამაკაცი, რაც უფრო სულელია, მით უფრო ერთგულია შენი. ყველაფრის მცოდნე და ჭკვიანი კაცი მიზეზიანია, ეჭვიანია და უმადური.

— არა, არა ხარ მართალი, ჩემო ლუიზა. სულელი ქმარი, ალბათ, უფრო ძნელი ასატანი იქნება. სულელი, ბრიყვი და უცოდინარი საზოგადოებაშიც შეგარცხვენს და ოჯახშიაც ძნელია მთელი შენი ცხოვრება ამისთანა კაცთან გაატარო. ჩვენებურად ქმარს მეუღლეს უწოდებენ, და ეს იმიტომ, რომ ცოლ-ქმრობა დიდი მოვალეობაც არის და დიდი უღელიც. ეს უღელი მამაკაცმა შენთან ერთად რომ ზიდოს, ის შენი ღირსეული მეუღლე უნდა იყოს. უჭკუო ქალის მოთმენა კიდევ შეიძლება როგორმე იფიქროს კაცმა, უჭკუო მამაკაცი კი ყოველად მოუთმენელია. მამაკაცი, რაც უფრო უცოდინარი და

ბრიყვია, მით უფრო აუტანელი, მომაბეზრებელი, უხასიათო და უქმურია.

— არა, მამაკაცი ოღონდ გარეგნულად იყოს შესახედავი, ქონება ჰქონდეს და გაცხოვროს, და მის ჭკუას რაში დაეძებ. ჭკვიანები უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებში უნდა იყვნენ მასწავლებლებად. გათხოვილი ქალისათვის ჭკუის მასწავლებელი აუტანელია, ვინც არ უნდა იყოს იგი. მე ვერ ავიტანდი ოჯახურ საქმეებში მასწავლებელსა და მბრძანებელს. ოჯახში ქალი თვითონ უნდა იყოს მბრძანებელიც და ქალბატონიც.

— არა, მე იმას კი არ მოგახსენებ, რომ მასწავლებლები ვეძიოთ საქმროდ. მე იმას ვამბობ, რომ გაუნათლებელი და უჭკუო კაცი აუტანელია, მისი ქმრობა დამამცირებელია ქალისათვის. ჩვენს საზოგადოებაში ხომ სასაცილონი არიან ეს უცოდინარი და ბრიყვი მამაკაცები! ჩვენც ხომ დავცინით ჩვენს ბიჭებს, როცა რაიმე ნაკლს ვუპოვით! ჰოდა, სწორედ რომ არ მინდა ჩემი ქმარი ვინმემ სასაცილოდ აიგდოს. უცოდინარი, უვიცი, გაუთლელი და ბრიყვი სხვისიც მეჯავრება და, მე რომ შემხვდეს, სწორედ ერთ დღეს არ გავჩერდებოდი მასთან. ქმარი ზრდილობით, განათლებით, ვაჟკაცობით, ახოვნებით უნდა ამშვენებდეს ცოლს, მაშინ არის ქმარი შესაფერისი და ღირსეული. სადაც ეს ასე არ არის, სწორედ იქ იჩენს თავს ორპირობა, ღალატი და გაუტანლობა.

— აბა, მე სულ სხვა აზრისა ვარ, ჩემო სალომე. ქმარი ქალისათვის ფარდაა, რომლის იქითაც სრული უფლება უნდა გქონდეს ისე მოიქცე, როგორც გული გიკარნახებს. ასე მგონია, რომ, თუ არვინ მეყვარება, თუ დრო არ გავატარე, არ გავეარშიყე ვინმეს, ისე ერთ დღეს ვერ გავძლებ. ქმარი ქმარია, მაგრამ თავისუფლება სულ სხვაა ქალისათვის. და თუ ქმარმა ეს თავისუფლება წამართვა, ჩემს ყოველ მოქმედებას და საქციელს თავისი საკუთრების თვალით დაუწყო ზომვა, ასეთ ქმართან ვერ ვიცხოვრებ. ჩემი თავი მუდამ მე უნდა მეკუთვნოდეს, და ბატონად ვერავის გავიხდი. ჭკვიანი ქმარი კი ბრძანებებს დაგიწყებს და სიცოცხლეს გაგიმწარებს.

ქალიშვილებს გაცხარებული კამათი ჰქონდათ. სწორედ ამ დროს ოთახში გაფითრებული ეკატერინე შემოვიდა და ქალიშვილების საუბარიც ერთბაშად შეწყდა.

პარიზს დამკვიდრებული ეკატერინე და მისი შვილები ბევრს მოგზაურობდნენ, მთელი ევროპა შემოიარეს. იმ წელს ეკატერინე ლონდონს აპირებდა წასვლას. სწორედ ამ დროს მეტად სამწუხარო ამბავი შეატყობინეს:

1862 წლის 18 მარტს ეკატერინეს უმცროსი და სოფიო, ბარონ ნიკოლაის მეუღლე, კიევში გარდაიცვალა. ეს ამბავი დედოფალს მწუხარებით ამცნეს. დიდად შეწუხდა ეკატერინე. მთელი თვე ავად იყო. მომჯობინდა თუ არა, წერილი მისწერა დიმიტრი ყიფიანს:

«Париж 29/17 Апр. 1862.

ჩემო ძვირფასო დიმიტრი ივანიჩ!

ჩვენ თერთმეტ მაისს აქაური სტილით ვაპირებთ ლონდონში წასვლას და, რადგანაც მანამდინ ფულმა დაიგვიანა, მეტი ილაჯი არა მქონდა, აქ ვსესხულობ და ასე მივალ.

საშინელი თავის ბრუსხვევა მაქვს, რომ წავიქცევი ხოლმე, ფეხზე თუ დიდხანს დავდექ.

ახლა ჩემი ერთი სათხოვარი ეს არის, რომ ჩემის განსვენებულის დის სოფიოსათვის უბრძანოთ დათას წლის წირვა დაუწყოს. ერთი მარტვილის მონასტერში დავით დეკანოზს აწირვინოს, მეორე გორდს ნიკოლოზ ჩიყლაძეს, მესამე ზუგდიდს დავით ღვდელს, მეოთხე ცაიშის მონასტერში. ყოველს ადგილს ამ ექვს საყდარს და მონასტრებში წლის წირვა იხადონ და რაც დახარჯოს, უბრძანეთ, რომ ჩემის სადედოფლო შემოსავლიდან გაისტუმრონ“...

* * *

თევდორე ხოშტარია ეკატერინემ პეტერბურგში საგანგებო შინდობილობითა და დავალებით გამოგზავნა. ამ ოჯახის საქმეთა მოწესრიგებასა და განწყობას მთელი წელი მოუნდა თევდორე. ამასობაში ეკატერინე და მისი უფროსი ვაჟი ნიკო პეტერბურგს დაბრუნდნენ. ისევ გაიხარა თევდორე მღვდელმა თავისი პატრონის ხილვით, ისევ გამოცოცხლდა.

ნიკო ავად გაუხდა დედოფალს და იძულებული გახდა ისევ მალე გაცლოდნენ პეტერბურგს.

მთელი იმ ორი წლის განმავლობაში პეტერბურგში ეკატერინეს ოჯახურ საქმეებს თევდორე განაგებდა. ახლა თევდორე თვითონ იყო თავისთავის ბატონ-პატრონი და დიდი დროც

რჩებოდა საკუთარი გრძნობებისათვის. თევდორე ისევ შეუდგა დღიურის წერას.

5 იანვარი. საბოლოოდ დავამარცხე ჩემს გულში უიღბლო სიყვარული. მაშინ მე იმ სიყვარულმა მთლად გამომალენჩა. მე, თევდორე ხოშტარიამ, რომელსაც უბრალო სატრფიალო ბარათიც კი არავისთვის მიმიწერია, ლექსების წერა დავიწყე. გუშინ ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე ეს ლექსები და ცეცხლის ალს გავატანე. მე ახლა ვწყევლი, ვწყევლი ჩემს შემცდენელ ეშმაკებს და ხატის წინ ვლოცულობ ჩემი დედოფლისათვის, ვინც ასეთი სულგრძელობა გამოიჩინა ჩემს მიმართ, არ გამომაგდო, მარტო დატუქსვა მაკმარა, მერე მომეფერა და ასეთი დიდი დავალებით და მინდობილობით გამომისტუმრა პეტერბურგს.

დიდად სულგრძელია ჩვენი დედოფალი. აბა, რა სულელი ვიყავი მაშინ, პარიზში, იმ ერთ წყეულ დილას თავი ეკატერინეს სწორად რომ წარმოვიდგინე და გულში გავივლე ეშმაკეული აზრი. ახლა პეტერბურგს ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, ეკატერინე ჩემი მზეა, ჩემი კი არა, მთელი ჩემი ქვეყნის მზეა. და მე, მის მონას, თევდორე მღვდელს, მევალება მუდამ დღე დამხობილი ვიყო ამ ხატის წინაშე და ვილოცო მისთვის. მე დედოფლისაგან უღირსმა, ნდობა დავიმსახურე და დედოფლისაგან ბოძებული ეს პატივი ვეღარ მოარჩენს ჩემს ცოდვილ სულს. ლოცვითა და გვემით, მოთმინებითა და მონანიებით თუ განვკურნავ ჩემს სულს, თორემ სხვა გზა აღარა მაქვს მე უბედურსა...

10 იანვარი. ამ დილით ისეთი ექსტაზით ვილოცე, რომ ასე მეგონა, განიბანა სული ჩემი ყოველი შეცოდებისაგან. ახლა ისევ ჩემს ნაწერებს ვალაგებ, ბევრი რამ არ მომეწონა, დავხიე და გადავყარე, ზოგი რამ ხელმეორედ უნდა დავწერო, ზოგიც უნდა შევავსო.

ახლა მარტო ვზივარ ჩემს ოთახში და ისევ პარიზი მაგონდება. ის ორი თვე ლამაზი ზღაპარივით დარჩება ჩემს სულსა და გონებაში. ისევ ვიგონებ ამ ზღაპარს და ვწერ, რომ არ დამავიწყდეს, როცა სამეგრელოში ჩავალ, მინდა ჩემს ნაცნობებს და მეგობრებს ზუსტად ვუამბო ნახული და გაგონილი.

ლუვრი რომ ვნახე, იმ დღეს ზოგი რამ ჩავინიშნე ჩემს დღიურში, მაგრამ ახლა, როცა პეტერბურგში ვარ, როცა ასე შორსა

ვარ პარიზიდან, ისევ თვალწინ მიდგას ეს მუზეუმი. გუშინ ერმიტაჟი ხელმეორედ დავათვალიერე. ვათვალიერებდი და ყოველივეს ლუვრში ნახულს ვადარებდი. უნდა ითქვას, რომ ერმიტაჟში ცოტა როდია ისეთი საოცრება, რაც ლუვრშია. რუსთა მეფეებს ამ მხრივ ქება ეკუთვნით, მაგრამ ლუვრი მაინც სხვაა. რუსებსაც ბევრი რამ გადმოუღიათ ლუვრიდან. ლუვრში საფრანგეთის მეფეები, თავიდან მოყოლებული, და ნაპოლეონ პირველით დამთავრებული, სამხედრო ტანისამოსით, საომარი იარაღითა და ჯავშნით, ცხენებზე შემსხდარნი, როგორც ცოცხლები, ისე დგანან ცალ-ცალკე ოთახებში. ამავე ოთახებში ალაგია ან კედელზე ჰკიდია ნამდვილი ნივთები და იარაღები, სხვადასხვა ომებში რომ მოუპოვებიათ ამ მეფეებს. განსაკუთრებით ნაპოლეონ პირველია საინტერესო. ის ისე დგას თავის ოთახში, ცოცხალი გეგონება. საპარადო ტანისამოსი აცვია, სამკუთხიანი ქუდი ჰხურავს, ბურნუთის კოლოფი და საყურე ბალიშიც თან აქვს, თითქოს ეს-ეს არის ომიდაან შინ დაბრუნებულა დიდი ნადავლით და გამალებით ამბავს ჰყვებაო.

...პარიზში მე ვნახე სისხლის სამართლის სახლი. სადაც მსაჯულებიც და ვექილებიც, ჩვენებურად ბერულად ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ. თავმჯდომარის თავს ზევით მაცხოვრის ჯვარცმაა აღმართული, და მოწმეები მის წინაშე სდებენ ფიცს. ჯვარცმას მარჯვენა ხელს მიაპყრობენ და ისე იფიცებიან, რომ ყველაფერს მართალს იტყვიან.

12 იანვარი. ისევ პარიზი მაგონდება. იმ დღეს ეკატერინესა და მის შვილებთან ერთად სასეირნოდ ვიყავი ბულონის ბაღში. რა ბაღები არ მინახავს ჩემს მოგზაურობაში, მაგრამ ამის მსგავსი არსად არაფერი. ბაღში შედიხარ ვეება ჭიშკრით, რომელზედაც გამოქანდაკებულია თითქმის მთელი ისტორია ნაპოლეონ პირველისა. ბაღი სიდიდით, იშვიათი ხეებით, შესანიშნავი გზებით, ხელოვნურად გაკეთებული კლდე-გორებით და წყაროს წყლებით მომხიბლავია. ეკატერინე ყოველივეს მეუბნებოდა, აი, როგორ უნდა მოვაწყო ჩემი ბაღები ზუგდიდსა და გორდშიო. ამ ბაღში ყოველდღე, შუადღისას, ოთხი საათის განმავლობაში, ორმოცდახუთი ათასი კარეტა შედის, რომლებშიც კაცებიც სხედან და ქალებიც. ისინი იქ სასეირნოდ შედიან.

13 იანვარი. წუხელ მთელი ღამე არ მეძინა. ისევ პარიზი მესიზმრა. ოღონდ უსიამოვნო იყო ეს სიზმარი. ცხადად წარმოიდგა ის სურათი, რაც პარიზში ვნახე. ეს იმ დღეს მოხდა, ნიკომ სასეირნოდ რომ წამიყვანა სენის პირას. ზედ სენის ნაპირზე ერთი დიდი გამოქვაბულივით ქვის დარბაზია, სადაც სენაში დამხრჩვალი ადამიანების გვამები ალაგია. ამ კედელში მილია გამოყვანილი, საიდანაც ცივი წყალი ესხმის იქ შენახულ გვამებს, ვიდრე პატრონები გამოჩნდებიან და წაასვენებენ. ასე მითხრა ნიკომ: პარიზში ყოველდღე ხუთმეტი-ოცი კაცი იხრჩობს თავს ამ მდინარეში. ზოგი გაჭირვების გამო, ზოგი უპატრონოა დამხრჩვალთა შორის, ზოგი უიღბლო მიჯნურია, ბევრი ქალიც კაცებისაგან მოტყუებული და გაუპატიურებული.

მე სულელს ასე მეგონა: მარტო ჩვენს ქვეყანაში იყვნენ დამშეულები და უპატრონონი. თურმე პარიზშიაც ყოფილან ღატაკნი და ბედით განწირულნი. ეჰ, ნეტავ როდის მოეღება ბოლო ცხოვრების უსამართლობასა და ავკაცობას!..

15 იანვარი. პარიზში ერთ ახალგაზრდა სტუდენტს დავუმეგობრდი. იგი ნიკოსთან ერთად სწავლობდა, თუმცა უბრალო წრიდან იყო გამოსული, ნიკო დიდად აფასებდა. ეს რუსი სტუდენტი ნიკოს უმტკიცებდა, მომავალი ხალხს, მშრომელ ხალხს ეკუთვნისო. იმან ერთ საღამოს ერთ დიდ რესტორანში წამიყვანა. პურის ჭამა იქ შედარებით იაფი იყო. ორსართულიანი დარბაზი რამდენიმე ათას კაცს იტევდა. ქვედა და ზედა დიდ დარბაზში გარშემო წრედ მაგიდები იდგა, შუაში კი დიდი მოედანი დაეტოვებიათ საცეკვაოდ. თითო მაგიდაზე ერთმანეთის პირისპირ, როგორც მატარებელში, მიმჯდარი იყო ხუთ-ხუთი კაცი. ასეთი წესით ერთდროულად ამ რესტორანში ათი ათასამდე კაცი ზის. კიდეც სვამენ, შეთვრებიან ხოლმე, მაგრამ ვერასოდეს ერთ ხმამაღალ შელაპარაკებას და აყალმაყალს ვერ ნახავ. ჩვენში არამცთუ ამდენ ათასში, არამედ ხუთსა და ათ კაცში რომ არ ატყდეს ერთი აყალმაყალი, ზოგჯერ სისხლის ღვრა და მკვლელობაც, ისე როგორ. გადარჩება კაცი ან მეჯლისს, ან გასართობ შეკრებილებას, გინდ სხვა რაიმე წვეულებას.-სადაც უნდა იყოს, ნამეტურ ბაზარში. ჩვენში, საუბედუროდ, თავს იჩენს თავმოწონება, გვაროვნების უპირატესობა, მეტოქეობა, უშნო ოხუნჯობა, რაც შეურაცხყოფაში გადადის

ხოლმე, ჩხუბი, ხანჯლების ტრიალი და კეტების ქნევა. ამპარტავან ადამიანთა მსხვერპლნი ხშირად უდანაშაულო ადამიანები ხდებიან. აქაც ასე რომ იყოს, დღეში, ალბათ, რამდენი ათასი კაცი მოკვდებოდა.

პარიზი დიდი წესრიგის ქალაქია, დაკრიალებული ქუჩებითაც სანიმუშოა, სისუფთავითაც, დიდი კულტურითაც, აღზრდითა და საზოგადოებრივი წესრიგითაც.

20 იანვარი. ახლა მაგონდება როგორ გამომისტუმრა მთავრინამ პეტერბურგში: მანისი იყო, ვარდობის თვე. პარიზში ყველაფერი ყვაოდა, ჩემს გულში კი ზამთარი იდგა, გაპარტახებული და დამეხილი ჩემი გული სტოვებდა თავის პატრონს და უმშვენიერეს ქალაქს. მხოლოდ ორი თვით გაიღიმა ჩემმა გულმა, რომ შემდეგ სამუდამოდ დახურულიყო იგი სიხალისისათვისაც და სიყვარულისათვისაც.

მატარებელში მთელი დღე ვხვნეშოდი, ისე ვიყავი დაბგლოვიარებული, რომ ერთი მოხუცებული კაცი გამომელაპარაკა: რა მოგვივიდათო, ვინ მოგიკვდათ, რაზე ხართ ასე დამგლოვიარებულიო. იძულებული ვიყავი მეცრუა—ერთი ახლობელი ნათესავი მომიკვდა საქართველოში და ახლა იქ მივდივარ-მეთქი. სადაო? საქართველოში-მეთქი. მერე ვერაფრით გავაგებინე, სად იყო საქართველო და, ვუთხარი, პეტერბურგთან ახლოსმეთქი. მაშინ კი მომეშვა ის დამთხვეული.

კელნში ჩამოვედი და ქალაქი დავათვალიერე. ვნახე კელნის შესანიშნავი ძეგლები, მდიდარი ფრესკებითა და ქანდაკებებით. მითხრეს, რამდენიმე საუკუნეა, რაც ამ ეკლესიის გუმბათს აკეთებენ და ჯერაც დამთავრებული არ არისო. მართლაც, არაჩვეულებრივი იყო ამ ეკლესიის გუმბათი. აქვე მაჩვენეს ოდეკოლონის ქარხანა და საწყობი. მეორე დღეს ბერლინში ჩავედი და მთელი დღე დავრჩი ქალაქის სასტუმროში. მოღრუბლული დღე იყო და უხალისოდ ვათვალიერებდი ქალაქს. მერე დავწევი სასტუმროში და საღამომდის მეძინა.

მეოთხე დღეს ჩამოვედი პეტერბურგს და პირდაპირ კონსტანტინე დადიანს მივადექი. დადიანი სტოლიპინის სახლში იდგა, დიდი თეატრის პირდაპირ, მოედანზე. ჩემი მისვლა კონსტანტინეს დიდად ეამა, პატივით მიმიღო და დაწვრილებით გამომკითხა ეკატერინეს და მისი შვილების ამბავი. ერთი კვირის

შემდეგ კონსტანტინე დადიანი სამეგრელოში გამოემგზავრა და დადიანების დაქირავებულ სახლში მე დამტოვა.

25 იანვარი. პეტერბურგს რომ ჩამოვედი, მაისი იყო, ყველაფერი ყვაოდა. ჩემს გულში კი ისევ ზამთარი იდგა, თეთრი ღამეების ზამთარი.

წმ. ნიკოლოზის ტაძარში მიმიწვიეს მღვდლის მაგისტრის იოანე ვასილევის ფხოვნით. და ერთი ხანი ლიტურგიისა და სხვა ლოცვების მსახურება-აღსრულებაში გავატარე. ცოტა მომეშვა გულზე. დეკანოზი შილა მესამე, მღვდელი ალექსანდრე სოკოლოვი, დიაკვნები ილია და ანდრია, ყველანი დიდი სიყვარულით მექცეოდნენ და პატივით მიღებდნენ თავიანთ ოჯახებში.

15 აგვისტო. საცხოვრებლად ახალ ბინაში გადავედი. ეს სახლი ყაზანის ტაძართან ახლოა. ყაზანის ტაძარში ხშირად მაწირვინებენ, და მეც კმაყოფილი ვარ ჩემი ბედისა. ასე მიდის ჩემი ცხოვრების უღიმღამო დღეები.

15 ნოემბერი. დღეს მთავრინა თავის შვილით — ნიკოთი ჩამობრძანდა საზღვარგარეთიდან პეტერბურგში.. ქართველები ყველანი დიდი პატივით დავხვდით სადგურზე.

ორი დღეა, რაც ეკატერინე ლაზარევის სახლში დაბინავდა. ისევ ძველებურად არის დედოფალი, ოღონდ იმას უჩივის, სამთავროს შემოსავალი ცოტაა, დიმიტრი ყიფიანი ცოტა ფულს მიგზავნისო...

10 დეკემბერი. ლაზარევის სახლი ყაზანის ტაძრის პირდაპირ არის. ახლა მეც აქ გადმოვედი საცხოვრებლად, ეკატერინეს ბინაში. ჩემს ცხოვრებაში კი არაფერი არ შეცვლილა, ისევ ყველასაგან მიტოვებული მღვდელი ვარ, რომელსაც მოვალეობად მაკისრია ვილოცო სხვისთვის, სხვათა სულის სალხინებლად, ჩემი ობოლი სულის გამკითხავი კი არავინ არის ამ სოფლად.

ისევ ყაზანის ტაძარში დავდივარ წირვაზე, ხოლო მწუხრის და ცისკრის ლოცვებს შინ, მთავრინას სამლოცველო სახლში ვასრულებ. ეკატერინემ დიდებული სამლოცველო მოაწყო. სხვა ხატთა შორის აქ ასვენია წმინდა ღვთისმშობლის ხატი, პატიოსანი მისი სარტყლის ნაწილი, რომელიც ძვირფასი თვლებით, ბრილიანტ-ალმასით და სხვა მრავალი თვალმარგა-

ლიტით, ოქროს გვირგვინით შემკობილია, გარს ოქროს არშია აქვს შემოვლებული და ჩასვენებულია დიდი ხელოვნებით გაკეთებულ, ვერცხლითა და ოქროთი დაფერილ და გარეთაც ხატებით მოჭედილ ლუსკუმში. ეკატერინეს დიდად უყვარს ეს ხატი და ამბობს, როცა საშეგრელოში წავალ, ამ დიდებულ ხატთან წავიღებ და გორდში სასახლის ეკლესიაში დავასვენებო.

2 თებერვალი. ორი დღეა, რაც ნიკო მძიმე ავადმყოფია. დედოფალი ნერვიულობს, სწყევლის პეტერბურგს, ჩემი ნიკო ისევ აქ გამიცივდაო, საშველი არ არის, სანამ სამეგრელოში წასვლის ნებართვას მივიღებთ, ისევ პარიზს უნდა დავბრუნდეო. დღეს საოჯახო ექიმმა გირშიმ ფილტვების ანთების დიაგნოზი დაუსვა ნიკოს. დედოფალი ამას არ დასჯერდა და იმპერატორის პირადი ექიმი ბოტკინი მოაწვევინა. გირშიმ და ბოტკინმა ითათბირეს და ნიკოს წურბლები მოჰკიდეს მარჯვენა და მარცხენა გვერდებზე. ავადმყოფი ძალზე დასუსტდა, ძლივს სუნთქავს, შიშით ზარდაცემული დედოფალი წუხს და მოსთქვამს.

3 თებერვალი. დღეს ცოტა უფრო უკეთ გახდა ნიკო, მაგრამ ისევ მოიწვიეს იმპერატორის ექიმი. ორივე ექიმი— გირში და ბოტკინი — ისევ დიდხანს სინჯავდნენ ავადმყოფს. მთლად დამწუხრებული დედოფალი ჩემთან მოვიდა და სამლოცველოში მხურვალე ცრემლის ღვრით ერთად გადავიხადეთ წირვა წმინდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. გავათავეთ თუ არა პარაკლისი, გულისკანკალით შევედით ავადმყოფის ოთახში. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა: მხიარული თვალებით შემოგვცინა ნიკომ. ექიმებიც გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ავადმყოფს. ახლა ყველას იმედი მოეცა ნიკოს გამოჯანმრთელებისა.

4 თებერვალი. ნიკო უკვე კარგად გახდა. ოღონდ უფლისწული ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სწორედ დღეს გარდაიცვალა. ნიკო დიდი მეგობარი იყო გარდაცვლილი მეფისწულისა, ამიტომ მისი გარდაცვალება არავის გაუმხელია ავადმყოფისათვის. დედოფალი ჩუმათ წავიდა სასახლეში, სადაც მეფისწული ასვენია.

6 თებერვალი. ნიკო ლოგინში აღარ ისვენებს. ისევ გარეთ ბიიწევს. დედოფალი ბრაზობს. საქმე ის არის, რომ ნიკო ას-

ტრონომია და ყოველდღე ვარსკვლავებს უთვალთვალებს. ნეტავ რას დაეძებს იქ! ისა სჯობია, ამ დალოცვილ დედამიწაზე ეძიოს თავისი ბედი. ასე ამბობენ, სასახლის სახურავიდან რომ უთვალთვალებდა ვარსკვლავებს, სწორედ მაშინ გაცივდაო. სწორედ რომ ცოდვაა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, ახია მასზე! დააყენოს ის ვარსკვლავები და ღმერთი თავის ადგილას, რა ჩასციებია ამ ღმერთთა სავანეს.

5 მარტი. ნიკო მოღონიერდა, ფეხზე დადგა. მაგრამ ექიმების რჩევით აუცილებელია სადმე თბილ ქვეყანაში წაყვანა, რომ სულ გამოკეთდეს ფილტვების ანთებით დასუსტებული ავადმყოფი.

20 მარტი. დღეს დედოფალი შვილებით ისევ საზღვარგარეთ გაემგზავრა. გავაცილე ვარშავის ვაგზლიდან. ცრემლმორეული დავემშვიდობე ჩემს პატრონსა და სამეგრელოსაკენ გამოვწიე.

მინაწერი: მე უკვე სამეგრელოში ვარ, მშვიდობით მოვედი, მშვიდობით დამხვდა ჩემი ოჯახი. გულს მომეშვა. დავმშვიდდი ამდენი ხეტიალის შემდეგ. გავიხარე ჩემს ოჯახში, ჩემს მამულში, მაგრამ ვაი, რომ წუთისოფელი არავის ახარებს დიდი ხნით!

ჩემი პატარა ძმა რომანოზი, ეკატერინეს შუამდგომლობით, კადეტთა კორპუსში მიიღეს. ხუთი წელია, რაც იქ სწავლობდა და საუკეთესო მოწაფედაც ითვლებოდა. შარშან, ზაფხულის ბოლოს, მუხლის შუაძვალთან მუწუკები გასჩენია. სასწავლებლის მმართველობას რუსეთის მინერალურ წყლებზე გაუგზავნია, მაგრამ ვერაფერს უშველია. ერთი თვის წინათ ავადმყოფი ძმა უნტერ-ოფიცერმა კარზე მოგვაყენა. მაშინვე ექიმები დავასიეთ, მაგრამ ამაოდ. სექტემბრის ბოლოს მიიცვალა ის უბედური, და ჩვენი ოჯახი ფრიად დამწუხრდა.

ვეკერლინის ვილაში

ეკატერინე ზაფხულობით ჰომბურგში ისვენებდა, იქაური წყლებით მკურნალობდა. იქ დედოფალი ერთი მდიდარი კაცის —ვეკერლინის ვილაში ჩერდებოდა. ბაღის პირას მდებარე

ეს ვილა მთელს ამ აგარაკზე გამოირჩეოდა. ეკატერინეს ამ ვილის პირველი სართული ეკავა. ეს სართული რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა: სასადილო დიდი დარბაზი, მისაღები ოთახი, სალონი, სადაც მუდამ უცხოელი სტუმრები ტრიალებდნენ, საძინებელი ოთახი დედოფლისა, ბავშვების ოთახი, გუვერნანტებისა და მოახლეების ოთახები...

სალონი და თავისი საძინებელი ოთახი დედოფალს ფაქიზი გემოვნებით ჰქონდა მოწყობილი. აქ საუკეთესო ნივთები ელაგა და ათასნაირი ფრანგული ნელსაცხებლების საამო სუნი იდგა. ეკატერინემ თბილისშივე ფორთოხლის ყვავილის, თამბაქოს ფოთლისა და ვარდის ნარევით განსაკუთრებული სურნელების შემზადება ისწავლა და ყველგან, ზუგდიდში, გორდში, პეტერბურგში თუ პარიზში მისი ბინა მუდამ გამოირჩეოდა ამ სურნელებით. ასევე იყო აქაც.

დედოფალი დილით ადრე, შვიდ საათზე დგებოდა და წყლის დასალევად მიდიოდა. ლამაზად ჩაცმული და დიდი გემოვნებით მორთული, განსაკუთრებული სიარულითა და მიმოხვრით ყველას ყურადღებას იპყრობდა. მისი ამალაც ყველას ხიბლავდა. მის ქალებს ყველას ქართული კაბა ეცვა, ეროვნული თავსახური ებურა, მამაკაცებიც ქართულად — ჩოხა-ახალუხში იყვნენ გამოწყობილნი, გარდა ფრანგი მუსიო ფერისა და შვეიცარიელი მუსიო დავიდისა.

ეკატერინემ განსაკუთრებით ავსტრიელი ქალიშვილი ბერტა მოხიბლა. ბერტა კინსკი გრაფის შვილი იყო. ბავშვობიდანვე ფუფუნებაში იზრდებოდა. მას განსაკუთრებით მწერლობა და ხელოვნება იტაცებდა. ერთ ხანს სიმღერასაც სწავლობდა, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ბერტას ნაკლებად ჰქონდა სიმღერის ნიჭი. სწორედ ამ დროს ვიღაც მომღერალი თავადი გაიცნო, და სიმღერის მოყვარული ბერტა უმალვე დანიშნა ამ თავადმა. მერე ეს თავადი ნიუ-იორკს გაემგზავრა საგასტროლოდ და გზაზე გემში გარდაიცვალა. მეჯლისსა და გართობას შეჩვეული ბერტა იძულებული გახდა შავები ჩაეცვა და გამოეგლოვა გულუბრყვილო მიჯნური.

ბერტა მოგზაურობას შეუდგა. ჯერ ვენაში, ბარონ ზუტნერების ოჯახში, დადგა გუვერნიორად, სადაც მასზე შვიდი წლით უმცროსი არტურ. გუნდრაკი შეუყვარდა. ამის შემტყობმა ბა-

რონმა ეს რომანტიკული გოგონა კინწისკვრით გააგდო, და ბერტაც იძულებული გახდა პარიზს გამგზავრებულიყო. აქ ერთ ხანს ნობელის, ამ ცნობილი ინჟინრის პირადი მდივანი გახდა. ნობელი ახალ გამოგონებაზე — ასაფეთქებელ დინამიტზე მუშაობდა. ამავე დროს პოემებსა და ლექსებს წერდა. ბერტას ეს რომანტიკული ბუნების კაცი დიდად მოეწონა, მაგრამ მასთან დიდხანს ვერ დარჩა.

ბერტა ახლა აგარაკ ჰომბურგში ისვენებდა, მაგრამ სატრფო ზუტნერი თვალთაგან არ სცილდებოდა. გამიჯნურებულ გოგონას ყველა და ყოველივე აინტერესებდა. ჰომბურგში ჩასვლისთანავე მისი ყურადღება ეკატერინე დადიანმა და მისმა ამალამ მიიპყრო. და აი, ყოველ დილას, ჩუმად აედევნებოდა, წყარომდე მიაცილებდა და ისევ უკან, ვეკერლინის სალონამდე შორიახლო მოსდევდა დედოფალს.

იმ დილასაც წყაროსკენ მიმავალ ეკატერინეს ავსტრიელი ქალიშვილი, ჩვეულებისამებრ აედევნა. აქვე, წყაროსთან, პარიზელი ნაცნობი ბანკირი შეხვდა და ცნობისმოყვარე ქალიშვილს გააცნო დედოფალი. შემდეგ დედოფალმა ბერტა ვილაში მიიპატიჟა და თავისი შვილები წარუდგინა. ეკატერინესა და ბერტას შორის ტკბილი მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. დედოფალი ხშირად ეპატიჟებოდა ქალიშვილს სადილად, ვახშმად, კონცერტებზე.

იმ დღესაც ერთად უსმენდნენ კონცერტს. აგარაკის ბაღში ბუნებრივი ამფითეატრი იყო. და დედოფალს თავისი ამალით მუდამ მისი ერთი ამაღლებული ადგილი ეკავა. მსოფლიოში განთქმული მომღერლის, ადელინა პატის კონცერტზე აუარებელ მსმენელს მოეყარა თავი, ეკატერინეს გვერდით ფრანგი ბანკირი კონიგსვარტერი და იტალიელი მილიონერი მარკიზ ალმორინი ისხდნენ. ფრანგიცა და იტალიელიც უკვე ხანში შესულნი, ამქვეყნად ბევრის მნახველნი, მთისა და ბრის ამბებს უყვებოდნენ ეკატერინეს. დიდი შთამომავლობისა და დიდი თანამდებობის ეს კეთილი მოხუცები დედოფალს ძალიან უყვარდა და მათთან ყოფნა მუდამ სასიამოვნოდ მიაჩნდა. ახლაც ყურადღებით უსმენდა იტალიელ მარკიზ ალმორინის, რომელიც რაღაც სასაცილო ამბავს ჰყვებოდა. დედოფალი და მისი ამალა გულიანად იცინოდნენ.

ბერტა დედოფალთან სტუმრად ჩამოსული ერეკლე ბაგრატიონის გვერდით იჯდა. ერეკლე ორმოც წელს მიღწეული იყო, მაღალი, გამხდარი, ხმელ-ხმელი. ავადმყოფობას ისე დაერია ხელი, რომ სახე მთლად გაყვითლებოდა. ბაგრატიონის გასაოცარი, თავაზიანი საუბარი, რაინდული საქციელი და კულტურა მოსწონდა ბერტას და იგი შეეთვისა კიდეც ამ ქართველ კაცს. ახლაც გოგონა ერეკლე ბაგრატიონს შესციცინებდა.

მალე კონცერტიც დაიწყო. ადელინა პატის სიმღერით აღტაცებულმა, ეკატერინემ სახელოვანი მომღერალი საღამოს ოჯახში მიიპატიჟა. ფრანგი ბანკირი, იტალიელი მილიონერი, ერეკლე ბაგრატიონი და ბერტაც აქ იყვნენ. გათამამებულმა ბერტამ თვითონ დაუკრა შოპენის ვალსი. ცეკვა შეწყდა და ახლა ნიკოს და ადელინა პატის მუსიკაზე საუბარი ხიბლავდა ყველას. ადელინა პატიმ ნიკოს სთხოვა, დაუკარით რამეო. ნიკომ ლისტის რაფსოდიები შეასრულა. ადელინა პატი არ ეშვებოდა ნიკოს. ნიკო ისევ უკრავდა, ადელინა პატი მღეროდა, და ეკატერინეს სასტუმრო დარბაზი მუსიკის ჰანგებით გაივსო. ვეკერლინის ვილაში მთელ ღამეს არ შეწყვეტილა ლხინი, მუსიკა, სიმღერა და ცეკვა...

იმ დღესაც ისევ კურჰაუზის ტერასაზე ისხდნენ ისინი. ეკატერინეს ერთ მხარეს ერეკლე ეჯდა, მეორე მხარეს ბერტა, სალომე და ნიკო უსხდნენ. ისევ კონცერტს უსმენდნენ. ამ დროს დიდი ჩოჩქოლი ატყდა. რუსეთის იმპერატორი... იმპერატორი... ჩურჩულმა გადაუარა კურჰაუზის ტერასას. იმპერატორი ალექსანდრე მეორე კონცერტს ესწრებოდა. ეს ამბავი რომ შეიტყო, ეკატერინე ერთბაშად გამოიცვალა. ნერვულობდა, ბავშვივით ებუტებოდა ყველას...

ის იყო, ანტრაქტიც გამოცხადდა. იმპერატორმა დედოფალი დაინახა. დედოფალი ფეხზე ადგა, ოღონდ ვერ გადაეწყვიტა შეგებებოდა იმპერატორს თუ არა. ყოყმანობდა. მხიარულმა, სახემომცინარმა ალექსანდრე მეორემ შორიდანვე გაუღიმა. მერე თავაზიანად მიუახლოვდა, ხელზე ეამბორა და გავისეირნოთო, სთხოვა. მთელი ანტრაქტის განმავლობაში ეკატერინე იმპერატორთან ერთად სეირნობდა პარკში. ბერტა შორიდან აცქერდებოდა მათ საუბარს და ხედავდა, რომ დედოფალი ხან გაიხარებდა, ხან კიდევ ისე მოიღუშებოდა, წარბებს ისე შეჰკ-

რავდა, რომ ბერტას უკვირდა, ეს რა ემართებაო, და ვერა გაეგო რა.

დაიწყო მეორე განყოფილება. იმპერატორმა ხელი გაუყარა ეკატერინეს და გვერდით მოისვა.

ბერტამ მხოლოდ მეორე დღეს ნახა დედოფალი. ცნობისმოყვარე გოგონამ მაშინვე იმპერატორთან შეხვედრის ამბავი გამოკითხა. ეკატერინე ისე ენდობოდა უმცროს მეგობარს, რომ არაფერი დაუმალავს მისთვის.

დედოფალმა ბერტას უთხრა: ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მწუხარება და სევდა, საზრუნავი და საფიქრებელი არასოდეს მცილდება. სულ მალე ჩემს ვაჟს ოცი წელი შეუსრულდება. იმპერატორი მპირდებოდა, რომ სრულწლოვან ჩემს ვაჟს ისევ მთავრად დაამტკიცებდა. გუშინ ამაზე მქონდა საუბარი და ვერ გავიგე, ნამდვილად სურს თუ არა იმპერატორს შემისრულოს ეს სათხოვარი.

— მე ჩემი ერთგულებითა და თავდადებით დამიმსახურებია, — განაგრძობდა ეკატერინე, —რომ ჩემი შვილის კანონიერი მემკვიდრეობა არ დაუკარგოს იმპერატორმა ჩემს ოჯახს...

ახლა ეკატერინე თავისი ცხოვრების ისეთ ეპიზოდს ჰყვებოდა, მეფის ერთგულებასა და მამულის თავდადებას რომ მოწმობდა...

ამ მეოცნებე ქალის სულზე თურქეთთან ომის ეპიზოდებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა...

ეკატერინე ისე გაიტაცა საუბარმა, რომ ესპანელ ელჩთან ურთიერთობის ამბავიც არ გამოუტოვებია.

...ყოველ ცისმარე დილას ავსტრიელი ქალიშვილი დედოფალს წყაროსაკენ მიაცილებდა და უკანვე ვეკერლინის ვილაში მოაცილებდა. ეკატერინე ისევ უყვებოდა ცისა და ბარის ამბავს, თავისას თუ სხვისას, და ეს მეოცნებე ქალიშვილიც დედოფლის სიტყვებს ღრმად იბეჭდავდა გონებაში. ასე გახდა ბერტა მესაიდუმლე სამეგრელოს დედოფლისა.

იმ წელს ბერტა განსაკუთრებით დაუახლოვდა დედოფალს. ერეკლე ბაგრატიონი ისევ აქ იყო სამკურნალოდ ჩამოსული. ახალგაზრდები საღამოობით ეკატერინესთან იკრიბებოდნენ. ნიკო და ბერტა როიალს უკრავდნენ, სხვები ხმას აყოლებდნენ. მერე იყო ერთი სჯა-ბაასი, კამათი, მოლხენა, შექცევა...

სწორედ ამ მეჯლისებზე დაუახლოვდა ერეკლე ბაგრატიონი ბერტას. ბერტამ გულით შეიყვარა ეს ხანში შესული კაცი. რომანტიკულად განწყობილი ქალი ყოველ მის ნააზრევს აზვიადებდა, საქართველოს მეფის მემკვიდრეს მძლეთა მძლე გმირად სახავდა.

ერთხელ ბერტამ თვითონ გაუმჟღავნა სიყვარული ერეკლე ბაგრატიონს. ერეკლე არ იყო გულცივი ბერტას მიმართ, მოსწონდა კიდეც, მაგრამ გულში სხვისთვის დაედო ბინა. ეს სხვა კი დავით ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი თამარი იყო. ერეკლეს ეს ამბავი არავისთვის გაუმჟღავნებია, არც ეკატერინემ იცოდა.

იმ ზაფხულს ერეკლე ბაგრატიონი სრულიად მოულოდნელად წავიდა პარიზიდან. მალე დიდი საჩუქარი და ბარათი გამოუგზავნა ბერტას. ბარათში წერდა, მოულოდნელად საქართველოში მომიხდა წასვლაო, და პატიებას სთხოვდა. ერთი წლის შემდეგ ბერტამ ისევ ვეკერლინის ვილას მიაშურა და სწორედ აქ უამბო ეკატერინემ ერეკლე ბაგრატიონის საიდუმლო:

— იცი, ბერტა, მას თურმე სხვა ჰყვარებია. მერე, იცი, ეს „სხვა“ ვინ ყოფილა? ჩემი ძმისწული! სწორედ გასაოცარია, მე მაინც რად დამიმალა? წარმოგიდგენია შეურთავს კიდეც. შენ გულს ნუ გაიტეხ, ბერტა! შენ ღირსი ხარ დიდებული, შეძლებული და ლამაზი ვაჟკაცისა...

დედოფალი გადაეხვია აქვითინებულ ქალიშვილს. ბერტა ვეკერლინის ვილას აღარ მიჰკარებია... იმხანად ბარათიც მიიღო: მისი პირველი მოტრფიალე ზუტნერი ატყობინებდა: „პარიზში ვარ, დაგეძებდი და ვერ გნახე. უშენოდ ვერ გავძელი, და გთხოვ ჩამოხვიდე“.

იმ წელს, მართლაც იქორწინეს ზუტნერმა და ბერტამ.

ჯვარდაწერილი ბერტა პარიზში წარუდგა ეკატერინე დედოფალს. დედოფალმა პატივით მიიღო ცოლ-ქმარი, დალოცა ისინი და საქართველოში ტუმრად მოიწვია. იმედია, რომ არ დამივიწყებთ და ჩამოხვალთ ჩემთან. მე ვიცი, ბერტას უყვარს საქართველო და არა მგონია მას არ სურდეს იხილოს ეს ქვეყანა. მე მგონია, არც თქვენ წახვალთ ამის წინააღმდეგ, მეუღლეს გულს არ ატკენთ. თუ ჩამოხვალთ, ერთგულ მანპინძლად

მიგულეთ, — და თან დასძინა: სანამ აქ ვართ, კიდევ შემოიარეთ. თქვენი მოსვლა ყოველთვის მესიამოვნება...

იმ ზაფხულს ისევ ეწვია ეკატერინეს ესპანელი ელჩი. ეს ამბავი ბერტამაც გაიგო.

— დედოფალო, როგორც გავიგე, იმ წარჩინებულ გვარიშვილს. ესპანელ ელჩს თავგამოდებით უყვარხართ, — უთხრა ერთ დღეს, სტუმრად მოსულმა. — მე მაინც არ მესმის, ქალი რად უნდა ეურჩოს გულისტოლის სიყვარულს, თუ ეს სიყვარული გულწრფელია! რა არის კიდევ საჭირო იმისათვის, რომ ცოლქმრობის ბედი გადაწყდეს?

ბერტას ერეკლე ბაგრატიონი ისევ თავდავიწყებით უყვარდა. და ახლა ეს სიყვარულის მღაღადებელი ავსტრიელი ქალი ეკატერინეს პასუხში თავის გულის პასუხსაც ეძიებდა.

— ეჰ, ჩემო ბერტა, შენ, რასაკვირველია, იცი, თუ რას ნიშნავს სიყვარული. შენც გულწრფელი სიყვარულით გიყვარდა ჩვენი ერეკლე. მაგრამ როცა დედა გახდები, მაშინ გაიგებ, რომ შვილების სიყვარული სულ სხვა ყოფილა. შვილები ამავე დროს ეგოისტებიც არიან, ყველაფრის დათმობას მოითხოვენ... და განა ივარგებს ჩემი მეორედ გათხოვება?

დედოფალი გულდათუთქული, სევდიანი, თითქმის ცრემლმორეული წარმოთქვამდა ამ სიტყვებს. ბერტამ სიტყვის შებრუნება ვერ გაუბედა, მაგრამ გულში კი ჩაიხვია. ბერტამ ასე ირწმუნა: დედოფალსაც უყვარს ესპანელი ელჩი, მაგრამ მოვალეობა დედისა აიძულებს უარი თქვას პირად ბედნიერებაზეო...

ბერტა აღტაცებული მოეხვია დედოფალს და დიდხანს ჰკოცნიდა. შემდეგ უსიტყვოდ გასცილდა და მთელი დღე პარკში სევდიანი და დაფიქრებული დაბორიალობდა.

ბერტა იმავე საღამოს პარიზს გაემგზავრა. პარიზში მას ესპანელი ელჩი, დ'ოსუნა გააცნეს.

ბერტა უმტკიცებდა ელჩს, რომ დედოფალს, რაკი ის შვილების დედაა, არ გაემტყუნება, თავს რომ იკავებსო, ისე კი გულით უყვარხართო.

— რამდენიმე დღის წინათ საუბარში შევატყვე დედოფალს და გმირობადაც ჩავუთვალე ეს საქციელი, — ეუბნებოდა ელჩს ბერტა, —ისე კი, ჩემო ბატონო, გულს ნუ გაიტეხთ. როგორც მე გამიგია, მდიდარი და გავლენიანი კაცი ბრძანდე-

ბით, და უარს ვინ გეტყვით? მთავარი სიმდიდრეა ჩვენს დროში.

— არა, თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ... მე ისეთი დიდი სიმდიდრე დავკარგე ჩემი სულისა, რომ მიკვირს, როგორღა შემრჩა ეს სიმხნევე, ოქრო და სიმდიდრე ვერასოდეს გამოისყიდის დაკარგულ გრძნობას. ალბათ, გაგიგონიათ, რომ ძველი ბერძნები, რომაელები და კიდევ ბევრნი სხვანი კავკასიაში ოქროს დაეძებდნენ, მერე იქ ლამაზ ქალიშვილებს დაიხელთებდნენ, და მათს გულში იმართებოდა ბრძოლა ოქროსა და ლამაზ ასულთა შორის... დიახ, საქართველოში ოქროს მადნები ეგულებოდათ და მისთვის მიეშურებოდნენ. მერე ირკვეოდა, რომ საქართველოში მარტო ოქროს მადნები კი არ იყო, არამედ უფრო ძვირფასი განძი—ულამაზესი ქალები. მე ერთმა იმათთაგანმა დამჭრა და ახლა მთელი მსოფლიოს ოქროც ვერ განკურნავს ჩემს გულს. ჩემთვის ყველაზე დიდი ოქრო, ყველაზე დიდი სიმდიდრე ეკატერინე იყო, — მწარედ ამოიკვნესა ელჩმა.

მეოცნებე ქალიშვილმა ვერაფრით ანუგეშა უიღბლო მიჯნური. იმ დღეს ბერტა ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ აუცილებლად უნდა მოენახულებინა საქართველო, ეს ზღაპრებისა და ლეგენდების ქვეყანა.

ერთი წლის შემდეგ, ნიკოს ოცი წელი შეუსრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ეკატერინეს შვილები პეტერბურგს უნდა წაეყვანა და იქ იმპერატორის სასახლისათვის წარედგინა. სამეფო კარზე ეკატერინეს შვილები ღირსეულად უნდა გამოჩენილიყვნენ. ამიტომაც დედოფალი არაფერს ზოგავდა, რომ შესაფერისი სწავლა და აღზრდა მიეცა შვილებისათვის.

სალომე ცხენოსნობას სწავლობდა, და ბერტაც მუდამ თან ახლდა. ახლა ისინი ცხენოსნობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ყოველთვის ადრე დგებოდნენ და ისაუზმებდნენ თუ არა, მაშინვე ჰომბურგის პარკს მიაშურებდნენ. სადილობამდის დააქროლებდნენ ცხენებს.

პარკის ხეივანში სალომე და ბერტა იმ დილასაც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დაღლილები ახლა ხის ძირას ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

— ქართველები, როგორც ჩანს, ცხენოსნობის ნიჭითაც არიან დაჯილდოებულნი ბუნებისაგან. ბავშვობიდანვე უბოძებია თქვენთვის ღმერთს ეს ნიჭი. ერეკლე მიამბობდა, საქართველოში ბევრ ქალს ნახავ, ცხენოსნობაში კაცებს რომ სჯობს და გამოჩენილი მხედრები არიანო.

ერეკლეს ხსენებაზე ერთბაშად ამოიკვნესა ბერტამ. სალომე იცინოდა:

— რა, ბერტა, გაგახსენდა შენი გულის სატრფო? გაგიფრინდა ხელიდან! ეჰ, ჩემო ბერტა; მე რომ შენს ადგილას ვიყო, სრულებით არ ვინაღვლებდი. ერეკლე ხომ ბიძაა ჩემი. მაგრამ მაინც უნდა გითხრა: ბიძაჩემს, როგორ მოგეწონა ეს ორმოცს გადაცილებული კაცი! — ოცი წლის ქალიშვილს რა შეიძლება ჰქონდეს საერთო ორმოც წელს გადაცილებულ მამაკაცთან!

ბერტა სალომეს უყურებდა და უკვირდა, საიდან აქვს ასეთ ახალგაზრდა ქალს ეგზომ თავშეკავების და სიდარბაისლის ნიჭი, მერე ისევ შეხედა მის სახეს. რომელსაც ჭკვიანი გამომეტყველების შუქი ადგა.

— მე მშურს შენი სიხალისე და გულწრფელობა. სიყვარულმა ასაკი არ იცის. ნამდვილი სიყვარული ასაკის მიხედვით არ მოდის. არ ვიცი, რამდენი წლის იყო ერეკლე ბაგრატიონი, მაგრამ ისე მომაჯადოვა, ისე დამიპყრო, რომ მე თავი ზღაპარში მეგონა და მეც თქვენს ზღაპრულ საქართველოში დავფრინავდი. თავი თქვენს რძლად მეგულებოდა. და არც მეგონა თუ რამე დაუდგებოდა წინ ამ ჩემს სურვილს. არც ის მეგონა, თუ ასე უღმერთოდ მომატყუებდა ერეკლე. ის ნაზი სიტყვებით მეჩურჩულებოდა და მარწმუნებდა, რომ მე ლამაზიცა ვარ და ჭკვიანიც, მომხიბვლელიცა და სასურველიც, და არც არასოდეს მიღალატებდა. მაგრამ თურმე მამაკაცის ფიცი სანდო არ ყოფილა. ეს ვიცოდი, მაგრამ ქართველები სხვანაირი ხალხი მეგონა. მის გამოხედვაში, მის თვალებში, მის საქციელში რაღაც გმირულსა და ზღაპრულს ვხედავდი. ასე მეგონა, ეს ლამაზი ზღაპარი მუდამ გაგრძელდებოდა. მაგრამ მოტყუებული დავრჩი. ამას იმიტომ კი არ გეუბნები, რომ ჩემი სევდა შენ მოგახვიო. არა, სალომე ჩემო, მართალი გითხრა, არც ვნანობ, რომ მიყვარდა ერეკლე. მეტსაც გეტყვი: ეს სიყვარული ისევ ანთია

და არც არასოდეს გაქრება ჩემს სულში, თუმცა ახლა ზუტნერის მეუღლე ვარ. მე ისევ ვოცნებობ საქართველოში წასვლაზე. მინდა გესტუმროთ და იცით ყველაზე უფრო ვინ მიტაცებს საქართველოში? — ერეკლე ბაგრატიონი!

ბერტას ცრემლი მოერია.

სალომემ ისევ ბავშვივით გადაიკისკისა. მერე თვითონ შერცხვა თავისი თავისა და აკოცა ბერტას, ხელი მოჰხვია, წამოაყენა. ცხენებზე შესხდნენ და შინ გამოსწიეს.

* * *

რუსეთმა ფორმალურად ეკატერინე დადიანის შვილს სრულწლოვანებამდე შეუნახა სამეგრელოს მთავრის ტიტული, ხოლო ვიდრე იგი სრულწლოვანი გახდებოდა, მთავრინას ტიტული ეკატერინეს ჰქონდა. თუმცა რუსეთის მეფე 1857 წლიდან უკვე ერთადერთი მმართველი და პატრონი იყო სამეგრელოსი, ეკატერინეს, რომელსაც ამდენი გამოცდილება ჰქონდა, მაინც ეგონა, როცა ჩემს ვაჟს ოცი წელი შეუსრულდება, აუცილებლად დაუბრუნებენ სამეგრელოს მთავრის უფლებასო და თითებზე ითვლიდა დღეებს, ელოდა ამ თარიღის მოახლოებას, იმედი ჰქონდა მომავლისა.

1867 წლის 4 იანვარს ნიკო დადიანს ოცი წელი უსრულდებოდა. 1866 წლის დეკემბერში დადგა საკითხი რუსეთის იმპერიასთან სამეგრელოს საბოლოოდ შეერთებისა, იგი ქუთაისის გუბერნიის ნაწილი უნდა გამხდარიყო. ამასთან დაკავშირებით, იმპერატორმა ამიერკავკასიის მეფისნაცვალს მურავიოვს დაავალა პეტერბურგში ჩამოსულიყო, ეკატერინე და მისი ვაჟი პარიზიდან გამოეწვია და ნებით დაეთანხმებინა უარი ეთქვათ სამთავროზე.

1865 წლის პირველ დეკემბერს ეკატერინე პეტერბურგს გაიწვიეს თავისი შვილით. საქართველოდან გაიწვიეს აგრეთვე ეკატერინეს შვილების მეურვე, დიმიტრი ყიფიანი.

ეკატერინემ თავისი ნიკოთი დიდი ხალისით გამოსწია პეტერბურგს. პეტერბურგშიაც დიდი პატივისცემითა და ზეიმით მიიღეს. იმპერატორი მოეფერა, დაუყვავა, ამბავი გამოჰკითხა. იმ საღამოს ეკატერინე შინ გახარებული დაბრუნდა. მეორე

დღეს კი მას კავკასიიის მეფისნაცვალი მურავიოვი ესტუმრა, დიმიტრი ყიფიანთან და მეფის კანცელარიის რწმუნებულთან ერთად.

მურავიოვმა პირდაპირ წამოუწყო ეკატერინეს: იმპერატორმა, ღვთისა და ხალხის შთაგონებით, გადაწყვიტა იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც გაუწიეთ თქვენს მამულსა და მეფის იმპერიას, დიდი პენსია დაგინიშნოთ, ხოლო სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთოსო. ამასთან იმპერატორმა ისიც გადაწყვიტა, რომ თქვენს უფროს ვაჟს მთავარ ნიკო დადიანს სამეგრელოს თავადის ტიტული დაუმტკიცოს მებატონის უფლებით; უძრავ-მოძრავი ქონება, რაც თქვენს მამა-პაპას ეკუთვნოდა, ჩარიცხოს სასახლის განკარგულებაში.

მურავიოვს სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ეკატერინე ფეხზე წამოდგა:

— როგორ, ტახტს გვართმევთ? აბუჩად გვიგდებთ? არაფერს ანგარიშს არ უწევთ? აკი პირობა იყო, რომ როცა ჩემს ვაჟს ოცი წელი შეუსრულდებოდა, ყველაფერს დაგვიბრუნებდით, რაც ღმერთსა და წინაპრებს ჩემი ოჯახისათვის უბოძებია.

მურავიოვი ახლო მივიდა ეკატერინესთან, ხელი გაუწოდა და სთხოვა, დაბრძანდითო.

— ასე არ ივარგებს, ჩემო დედოფალო,—უთხრა მურავიოვმა ეკატერინეს,—თქვენთან საჩხუბრად კი არა, მოსალაპარაკებლად მოვედით. იმპერატორმა დამავალა მშვიდობიანად მოვაგვარო ეს საკითხი. თქვენს პრეტენზიებსაც მოვახსენებ მას. მთელს ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სამთავრო ახლა აღარავის აქვს. მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთის და სვანეთის მთავრებმა თავად მოისურვეს უარი ეთქვათ თავიანთ სამთავროებზე, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ თქვენც ასევე მოიქცეოდით.

— როგორ, ნიკოლაი პეტროვიჩ, — გაცხარდა ეკატერინე,— მე იმას დავთანხმდები, რომ ტახტი წამართვან, არსებობის საშუალება მომისპონ, ქუჩაში გამაგდონ და მაწანწალა გავხდე?!.

ვერაფრით ვერ დააწყნარეს დედოფალი. ნიკო დადიანი განზე გამდგარიყო და დუმდა. არც დიმიტრი ყიფიანი იღებდა ხმას. მეფისნაცვალი იძულებული გახდა გასცლოდა დედოფალს. წასვლისას კვლავ გაუმეორა:

— დაფიქრდით, დედოფალო! მე სრულად არ მომიხსენებია თქვენთვის, რასაც იმპერატორი ჰპირდება თქვენს ოჯახს. იმპერატორმა ინება თქვენს შვილს, ვითარცა მემკვიდრეს, ბრწყინვალე თავადის ტიტული შეუნახოს და თქვენს ოჯახს ერთი მილიონი მანეთი ერთდროულად მისცეს. ასევე ან დროს შეუნახონ ბრწყინვალე თავადის ტიტული თავის სიცოცხლეში. ნიკოს მხრიდან კი ბრწყინვალე თავადის ტიტული მემკვიდრეებსაც გადაეცემათ. თქვენ დაგენიშნებათ პენსია რვა ათასი მანეთი ოქროთი, ანდროს — ექვსასი, სალომეს — ოთხასი. ეს დიდი თანხაა, ჩემო დედოფალო. დაფიქრდით, დაფიქრდით, ჩემო კეთილო.

მეფისნაცვალი ოთახიდან დინჯად გავიდა. ის დარბაზიდანაც არ იყო გასული, რომ ეკატერინემ მიაძახა:

— მაშ, გინდათ მიყიდოთ, არა? მე ფულზე არ გავცვლი ჩემს ტახტს, ჩემს დიდებას, ჩემს სამთავროს!

* * *

დიმიტრი ყიფიანი ისევ თავის ოთახში იჯდა და ეკატერინე ჭავჭავაძეზე ფიქრობდა:

— გასაოცარი ქალია ეს ეკატერინე! ჯერ იყო და ქმარი მოუკვდა სრულიად ახალგაზრდა ქალს, მერე უმცროსი შვილი. დაიტანჯა, მაგრამ ვერაფერმა გატეხა მისი დაუცხრომელი ნებისყოფა და დაუოკებელი შემართება! უკუღმა დატრიალებულმა ბედმა ვერ მოახრევინა ქედი და ბოლომდე გაიტანა ლელო: შვილებიც დაზარდა, მამულიცა და მდგომარეობაც შეინარჩუნა. ახლა ტახტის შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ ეს უკვე მის ძალ-ღონეს აღემატება, ქართლის ბედი უიმისოდაც გადაწყვეტილია.

დიმიტრი ამ ფიქრებიდან ჯერ არც კი გამორკვეულიყო, რომ ოთახში აღელვებული დედოფალი შემოვიდა.

— ეს რასა ჰგავს, — შესჩიოდა ეკატერინე ყიფიანს. — ვიღაცის პირით მითვლიან, ნებით უარი თქვით სამთავროზეო, დიმიტრი ჩემო, ხედავ, როგორ მიღებენ ბოლოს! არა, მე გადავწყვიტე ნაპოლეონ მესამეს მივმართო დახმარებისათვის. ეგებ, იმან მიხსნას ამ ძალადობისაგან...

ყიფიანმა არც დაამთავრებინა სიტყვა, ისე მოუჭრა:

— არ გირჩევ. იქიდან საფრანგეთის იმპერატორი ვერ მოგეშველება, იმის იმედი ნუ გექნება. მოიგონე ჩვენი სულხან-საბა ორბელიანი. იქ, პარიზში, ვერსალში ფეხით ეწვია ლუდოვიკო მეთოთხმეტეს, ეაჯა, ემუდარა, მაგრამ რა გამოვიდა! ცარიელი დაპირება რა არის, ცარიელი დაპირებაც კი არ აღუთქვა. არა, ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, რუსეთის ფრთებქვეშ უნდა ჰპოვოს საქართველომ აღორძინება. მე ახლა სხვა რა უნდა გირჩიოთ — საქართველოს კუთხეები ერთ ბედქვეშ არიან და რაკი კახეთსა და ქართლს, იმერეთსა და გურიას არა აქვს ცალკე სამთავრო, შენ ვინ დაგითმობს, ჩემო ეკატერინე! ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს რუსთ ხელმწიფეს. შენ ახლა ის ეძიე, რომ მამული შეუნარჩუნო შენ შვილებს, ქონება და ღახმარება ითხოვე. ეს უფრო რეალურია.

— როგორ, შენც ამას მირჩევ, დიმიტრი?

— დიახ, ჩემი აზრი ასეთი გახლავთ. მე ვფიქრობ, რომ საქართველომ, რაკი თავი შეაფარა რუსეთის მფარველობას, ბოლომდე მისი იმედი უნდა იქონიოს, ოღონდ მეფესაც მოეთხოვება პატივისცემით მოეპყრას ჩვენს ქვეყანას. ამას გულწრფელად მოგახსენებთ. შენ იცი, კატინა, რომ მე უბრალო აზნაური ვარ წარმოშობით. ამან ბევრჯერ შემიშალა კიდეც ხელი სამსახურში დანიშვნასა თუ დაწინაურებაში. მე ორჯერ მეტი შრომა და გარჯა მჭირდებოდა, ვიდრე თავადიშვილებს. პირველად რომ სამაზრო სამსახურში შევედი და ახალგაზრდული გატაცებით შევუდექი სამსახურს, ქვეყანა ჩემი მეგონა, მაგრამ თვენახევრის შემდეგ არ დამამტკიცეს, აზნაურობის ქაღალდი არ წარმოგიდგენიაო. როგორც იქნა აღვადგინე საბუთები აზნაურობისა, მაგრამ მერე მითხრეს, აზნაურობა საკმარისი არ არისო. მაინც შრომითა და გარჯით დავწინაურდი, უფრო მაღალ საფეხურზე ავედი. მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად დამნიშნეს. დღე-ღამეს ვასწორებდი. დილის ექვსი საათიდან საღამოს თერთმეტ საათამდე ვმუშაობდი. მერე რა, აქედანაც დამითხოვეს — აზნაური ხარო. მერე, ბარიატინსკის დროს, უკვე 38 წლისა ვიყავი, ისევ რომ დამაბრუნეს მეფის კანცელარიაში. თორმეტი წელი საბჭოში ვიმსახურე, მაგრამ ვინ დამიფასა? შენ უფრო კარგად გა-

ხსოვს ეკატერინე, ბარიატინსკი შენი საქმის გამო გადამეკიდა და სამსახურიდან გამომაძევეს. გული მაინც არ გამტეხია. მე მგონია, რომ ისევ მოხედავს საქართველოს რუსეთის იმპერატორი. მე მჯერა, ადგილებზე მეფის უცოდინარი მოხელეები რომ არ ურევდნენ, საქართველოს საქმე უკეთ წავიდოდა.

— ჩვენ, ქართველები, — განაგრძობდა ყიფიანი, — ძველი ქრისტიანი ხალხის მცირე ნაწილი, გარშემორტყმული ჩვენი მოწინააღმდეგე ერებით, დიდხანს, მრავალი საუკუნის განმავლობაში ვებრძოდით მტერს და მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისში მოვისვენეთ რუსეთის მფარველობის ქვეშ... ახლა ჩვენ სრულიად მშვიდობიანად ვიმყოფებით ჩვენს ქვეყანაში, დამშვიდებით ვაკეთებთ ჩვენს შინაურ საქმეს. მტერს ჩვენს მიწაწყალზე კი არ ვეომებით, არამედ მის საზღვრებში. შვილებს ვზრდით და შევხარით მათს მომავალს. ჩვენს მართლმადიდებლობას, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას არავითარი საფრთხე აღარ მოელის. ვინ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდის?..

— როგორ, შენ ამბობ, არავითარი საფრთხე არ მოგველისო? როგორ, სახლს მართმევენ, უფლებას მართმევენ, ჩემი ქვეყნიდან მაგდებენ, და ეს საფრთხე არ არის? შენ ამბობ, რომ რუსეთის ფარგლებში უნდა მოვიპოვოთ ჩვენ წარმატებაო. რა წარმატებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ბატონ-ყმობაც გაგვიუქმეს.

— მე ამ საქმეზე საქართველოში უკვე ავტეხე განგაში. რასაკვირველია, ჩვენი წარმატება ის იქნება, რომ დარჩეს გლეხობისა და თავადაზნაურობის ისტორიული კავშირი. გლეხმა უნდა იმუშაოს, დოვლათი შექმნას, ხოლო თავადაზნაურობამ მართოს და განაგოს ქვეყანა, მეთაურობა გაუწიოს გლეხს. მე შევიტანე წინადადება — მიწა ბატონისა იყოს, გლეხებმა ამუშაონ მიწა და აძლიონ ღალა მებატონეს. ამ საკითხზე მსჯელობაა და ვნახოთ, რა გამოვა! მაგრამ ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი საზოგადო თუ სამოქალაქო დაწყობილება იცვლება. დღეს ის არ არის, რაც გუშინ იყო. ხვალ ის არ იქნება, რაც დღეს არის, ბავა ხანი, დიდი თუ მცირე და, რაც გუშინ მკვიდრი იყო და მუდმივი გვეგონა. იქნებ, კვალიც აღარსად დარჩეს იმისი. ასე გუშინდელი, შარშანდელი და შარშანწინდელი ჩვენი დარბაისლობა და სწავლა შეიძლება ხვალ

უკან ჩამორჩეს და არ შეიძლება ყოველივე ამას ანგარიში არ გავუწიოთ.

—მე მჯერა, — არ ცხრებოდა ყიფიანი, — ხელისუფლების დაბალი მოხელეები თავიანთ ნებაზე იქცევიან. ვისაც როგორ მოუვა თავში, ისე მოქმედებს, ამით ისინი დანაშაულს სჩადიან, ხალხში უკმაყოფილებას ჰბადებენ. საქმეს რომ ნორმალურად წასძღოლოდნენ, ამ უკმაყოფილების საბაბიც არ იქნებოდა. აი, ჩვენ ამ ადგილობრივ, უგუნურად მოქმედ მეფის მოხელეებს უნდა ვებრძოლოთ. აი, ეს არის ახლა ჩვენი გზა. ასე წარმომიდგენია მე ჩემი მოვალეობა, და შენ, ეკატერინე, უნდა შეურიგდე შექმნილ ვითარებას. გიმეორებ, რომ მზადა ვარ ვიყო თქვენი მამულების მომკლელი, მაგრამ მე ვერ გამოგადგები იმის თავდებად, რომ გიშუამდგომლო, ან შენთან ერთად ვიბრძოლო სამთავროსათვის. მე მგონია, ეს ხელიდან წასული საქმეა და თავი უნდა დავანებოთ. ახლა რთული ვითარებაა. ყმები მეცა მყავს, მავრამ იმის მომხრე ვარ, რომ მეტი მოთმინება გამოვიჩინოთ და მეტი პატივი ვცეთ ჩვენს ყმებს. ვინც ასე არ მოიქცევა, ის მხოლოდ საქმეს წაახდენს.

ყიფიანს დედოფალი ეწინააღმდეგებოდა, არ ეთანხმებოდა. დიმიტრი მაინც თავისას ამტკიცებდა:

— დავუბრუნდეთ ბატონყმობის საკითხს. ეს საკითხი რუსეთში 1840 წელს დადგა მწვავედ. ბარონ განი 1840 წელს თბილისს ეწვია რევიზორ სენატორის უფლებით. საქართველოში ბატონყმობის საკითხი უნდა გამოერკვია. ბარონ განის მაშინ მეფე ვახტანგის კანონი წარუდგინეს, სადაც სწერია: „ადამიანი თავისთავად თავისუფალია, მაგრამ ყმა პატრონისაა, სანამ იმის მიწით სარგებლობს". ჩავჭიდეთ ხელი ამას მაშინ ქართველმა მებატონეებმა და ვამტკიცებდით, ცხადია, აქ არასდროს არ ყოფილა ბატონყმობაო. რასაკვირველია, ჩვენი ეს მტკიცება არ დაიჯერეს და საქართველოშიაც ისევე შეაფასეს ბატონყმობა, როგორც რუსეთის შუაგულ გუბერნიებში.

ახლაც ისე უდგებიან ჩვენში ბატონყმობის საკითხს, როგორც რუსეთში, და ამ შემთხვევაშიაც ჩვენ რუსეთის შემყურე უნდა ვიყოთ. იმპერატორი არც ჩვენ გაგვიმეტებს და არც რუსეთის თავადაზნაურობას. ბატონყმობას მოსპობს, მაგრამ თავად-აზნაურობასაც არ დაივიწყებს. ოღონდ არც ჩვენ უნდა

დავივიწყოთ, რომ თვით ჩვენს თავადაზნაურობას ბატონყმობის საკითხზე ერთი აზრი არა აქვს.

აი, ჩვენი ილია ჭავჭავაძე აიღეთ. კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დიდი რიხით გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, და უნდა ითქვას, რომ ახლა ჩვენს საზოგადოებაში დიდი გავლენაცა აქვს მოპოვებული. და აი, ეს ჩვენი ილია თავადაზნაურობის პირველსავე კრებაზე გამოვიდა და განაცხადა, გლეხებს მიწა უნდა მიეცესო. მართალია, კრების უმეტესობა ამ კადნიერი აზრის წინააღმდეგ აღშფოთდა, ერთმა თავადიშვილმა ხანჯალიც კი იშიშვლა, „გამიშვით, გამიშვით, უნდა მოვკლაო“, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ილიამ უკან არ დაიხია. და რაკი ეს აზრი კრებაზე ვერ გაიტანა, იქვე დაგვემუქრა: — მე თვითონ პირველი გავათავისუფლებ ყმებს მიწიანადო.

ის მართლაც, ასე ბოქცეულა. ამას წინათ შემხვდა და მითხრა: — ბატონო დიმიტრი, მე შევასრულე ჩემი ქადილი და ახლა ჯერი თქვენზეაო; მე თვით წავედი კახეთში და ჩემი პირით განვუცხადე ჩემს ყმებს, დღეიდან თქვენთვის საკუთრებათ გადმომიცია ის მიწები, რაც თქვენ გიკავიათო. დიახ, მთელი საკომლო, საკარძიდამო ადგილები. მათი ხვედრი ვენახები უსასყიდლოდ დავუთმე, ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონყმური ნაშთი ჩემსა და ჩემს ნაყმევთა შორისო.

— მჯერა, მჯერა, რომ ასე მოიქცეოდა. ჯერ კიდევ ამ შვიდი წლის წინათ, როცა სტუდენტი იყო, მე, დედოფალს, მიმტკიცებდა, ყმები უნდა გავათავისუფლოთ, ადამიანის მიერ ადამიანის გაქელვის მიზეზი — ბატონყმობა უნდა მოისპოსო. კაცი კაცად უნდა ვაღიაროთო, საქართველოს ბურჯი გლეხკაცია და ჩვენვე უნდა ვუშველოთ გლეხკაცობასო. დიახ, ასე ამბობდა, სწორედ ამისთანა თავადიშვილები არიან, ჩვენ რომ გვღუპავენ.

დედოფალმა გულამოსკვნით ამოიოხრა.

გავიდა კიდევ ორი დღე. ისევ ეწვივნენ ეკატერინეს მურავიოვი, საიმპერიო კანცელარიის დირექტორი და დიმიტრი ყიფიანი. ისევ სთხოვდნენ, რომ მის შვილს ნიკოს ნებით უარი ეთქვა სამთავროზე. მაგრამ დედოფალი ისევ უარზე იყო. ასე ვაჭრობასა და თათბირში ერთმა თვემ გაიარა.

ეკატერინე ვერა და ვერ მიუდგა ალექსანდრე მეორეს, ვერაფრით ვერ გადაათქმევინა სამეგრელოს სამთავროს გაუქმების გადაწყვეტილება. წუხდა დედოფალი...

ოთახში სამნი ისხდნენ: ეკატერინე, დიმიტრი ყიფიანი და ნიკო დადიანი. დედოფალი დუმდა. არც ნიკო იღებდა ხმას. ისევ ყიფიანმა დარღვია სიჩუმე:

— არა, დედოფალო! როგორც ჩანს, ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია და აქ წინააღმდეგობას აზრი არა აქვს. მეტი დაფიქრება, მეტი გონიერებაა საჭირო. მოვიფიქროთ, მოვისაზროთ და ისე გავაკეთოთ, როგორც აჯობებს თქვენი ოჯახისათვის, საერთო საქმისათვის...

ეკატერინე ისევ დუმდა, მაგრამ გრძნობდა, რომ სხვა გზა არ იყო. ორი დღის შემდეგ დიმიტრი ყიფიანმა ეკატერინესთან ისევ მოიწვია მურავიოვი და იმპერატორის კანცელარიის დირექტორი. ისევ დასხდნენ, ისევ ითათბირეს. ხუთი დღის შემდეგ კი ნიკო დადიანმა თავისი ნებით ასეთი თხოვნა მიართვა რუსეთის იმპერატორს:

1866 г. 15 декабря. Всеподданейший доклад владетеля Мегрелии кн. Н. Дадиани имп. Александру II

Всеавгустейший государь!

Вскормленный и безграничной к вам преданности, я исполнить святую Вашу волю и в день моего совершеннолетия сложить к стопам вашим владетельские права на Мингрелию.

Как монарху, ничего не могу сказать более, но благоволите, государь, взглянуть в области сердца, какую нравственную борьбу выношу я и какую ответственность возлагаю на себя в самом начале моей жизни. Разрушаю надежды ряда предков, становлюсь во главе семьи, матери, брата, сестры и решая судьбу их, страшусь увидеть их в нужде, — опасаюсь наконец вызвать себе упреки в будущем поколении.

Но я делаю этот шаг к вам, государь, к величайшему из государей, благороднейшему из людей. Велики, правда, колебания моей юности и неопытности, но велика и вера моя в благость вашего сердца. Одобряемый матерью и попечительством моего детства, я не допускаю мысли, чтоб Вы, государь, затруднились обеспечить меня как предлагалось отцу моему.

Без больших затрат и надежды на частное мое имение будут весьма тщетны.

Взгляните сердцем, государь, на мое положение и устраните его по нашим чувствам.

Вашего имп. вел. верноподанный кн. Николай Дадиани.

რუსეთის აბსოლუტური მონარქიის ფარგლებში სამთავროებად დაყოფილი ძველი საქართველოს დაცვა და შენახვა, მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის იმ წრეს, რომელიც 1832 წლის შეთქმულების შემდეგ გადარჩა, იდეალად მიაჩნდა. ამ ვითარებაში გაჩნდა მსახური არისტოკრატიის კასტა. ეკატერინეც ფსიქოლოგიურად ამ წრეში აღიზარდა, ამიტომაც იგი ბოლომდე ერთგული დარჩა მეფის რუსეთისა, ოღონდ ამ ერთგულებაში იგი თავის სამთავროს ხელშეუხებლობას გულისხმობდა, არავის ინდობდა, ვინც ავი თვალით შეხედავდა სამთავროს და დაუოკებლად იცავდა თავის მამულს, დიდებას, ღირსებას და წოდებას...

რუსეთის მონარქიის ფრთებქვეშ ფეოდალური საქართველოს არსებობა განწირული აღმოჩნდა. და თუ ამ ვითარებაში ყველაზე დიდხანს მაინც სამეგრელოს სამთავრომ იბოგინა, ეს ეკატერინე დადიანის ცდას და ღვაწლს უნდა მიეწეროს.

თბილისში ბარიატინსკი საიდუმლოდ სულ სხვა გეგმას ადგენდა და მოითხოვდა: „საჭიროა დაუყოვნებლივ გაუქმდეს სამეგრელოს სამთავრო. ამას მოითხოვს მეფისა და ქვეყნის ინტერესები“... მაგრამ გამოჩნდებოდა თუ არა ეკატერინე ჭავჭავაძე იმპერატორის წინაშე, იმპერატორი უარს ვერ ეუბნებოდა და სულ სდებდა და სდებდა სამეგრელოს სამთავროს საკითხის გადაწყვეტას.

ბოლოს ეკატერინე მრავალგზის დააბეზღეს. ისიც თქვეს, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის წინაშე სამეგრელოს ხელშეუხებლობის საკითხი აღძრაო. ეს იყო, თუ ის, რომ არავითარ ძალას არ შეეძლო საქართველოს დამოუკიდებლობისა და რუსეთის მონარქიზმის მორიგება, — მოხდა ის, რაც შეიძლებოდა უფრო ადრეც მომხდარიყო: 1866 წლის ბოლოს, როდესაც ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანი ხდებოდა — ოცი წელი უსრულდებოდა და უფლება ეძლეოდა მთავარი გამხდარიყო, გამოუცხადეს, იმპერატორის წინაშე შენი ნებით უარი უნდა თქვა სამთავროს უფლებებზეო. ითქვა და შესრულდა კიდეც.

1867 წლის იანვარს ძველი ფეოდალური საქართველოს ნაშთს — სამეგრელოს სამთავროს ბოლო მოეღო. ამისათვის

ნიკოლოზ დადიანს ერთი მილიონი მანეთი მისცეს. მთელი მისი სამთავრო სახლის მამული მაიორატის წესით დაუმტკიცეს.

ეკატერინე მაინც დიდად უკმაყოფილო დარჩა.

დიმიტრი ყიფიანმა პარიზს მიმავალი დედოფალი სადგურზე გააცილა. დამშვიდობებისას დედოფალმა უთხრა:

— ალბათ განწირული ვარ მეფისაგან, მაგრამ ვიცი, რომ ღმერთი, მამული და მეგობრები არ გამწირავენ. მე მალე დავბრუნდები სამეგრელოში და იმედი მაქვს ღვთისა და ჩემი მეგობრებისა, ჩემო დიმიტრი...

ლუვრის სასახლეში

1867 წლის მარტს ეკატერინე ისევ პარიზს დაბრუნდა. ცხოვრება ისევ ძველი გზით წავიდა. პარიზში, ეკატერინეს სალონში უამრავი სტუმარი ირეოდა. ვის არ შეხვდებოდი აქ, ესპანელ ჰერცოგებს, ინგლისელ ლორდებს, ფრანგ ბარონებს, რუს გრაფებს, ბანკირებს, უფლისწულებს, გადამდგარ გენერლებს, ულამაზეს პარიზელ ქალებს.

იმ დღეს სალომეს თვრამეტი წელი შეუსრულდა. პარიზის საუკეთესო საზოგადოებას თავი მოეყარა მის დღეობაზე. ეკატერინეს ბროწეულისფერი კაბა ეცვა. სავარძელში ამაყად იჯდა და, ისე უპასუხებდა სალომეს დღეობაზე მოსულ სტუმრებს, როგორც ეს ნამდვილ დედოფალს შვენოდა.

ქალიშვილის დღეობაზე დედოფალს საფრანგეთის იმპერატრიცა ევგენია ეწვია. ეკატერინემ გულით გაიხარა. ევგენიას დიდად მოეწონა თვრამეტი წლის სალომე და დედოფალს უჩურჩულა, ჩვენს დამოყვრებას წინ არაფერი დაუდგებაო, ეკატერინე გუმანით გრძნობდა, რომ რაღაც ბედნიერება მოელოდა მის ასულს, მაგრამ ზუსტად არ იცოდა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს გამბედნიერებელი.

სალომეს დღეობა დიდი ზეიმით გადაიხადეს. ერთი კვირის შემდეგ, საფრანგეთის დედოფალმა ევგენიამ დადიანები ლუვრის სასახლეში მიიწვია. იმპერატორების სასახლის ერთ-ერთი ფლიგელი ეკატერინეს ოჯახს დაუთმეს. იმპერატორი ნაპოლეონ მესამე და დედოფალი ევგენია ყოველდღე ეპატიჟებოდნენ ეკატერინეს და მის შვილებს. ახალგაზრდა ვაჟი, ნაპოლეონის ნათესავი აშილ მიურატიც, მუდამ აქ ტრიალებდა.

აშილი იმ წელს ოცი წლისა გახდა. იმპერატრიცა ევგენიამ თავის სასახლეში აღნიშნა პრინცის დაბადების დღე. სასახლის დიდ დარბაზში პარიზის გამოჩენილი საზოგადოება იყო მოწვეული. აშილი, სასახლის კარზე აღზრდილი პრინცი, ყველაფრით გამოირჩეოდა. ქერაულვაშებიანს, წაბლისფერთმიანს, გამხდარსა და მაღალს განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით აკვერდებოდა ეკატერინე. აშილის მამა, პრინცი ლუსიენი და მისი მეუღლე — ამერიკელი ქალი, ამაყობდნენ თავიანთი ლამაზი შვილით.

აშილი ფრანგულად და ინგლისურად ლაპარაკობდა. დიდი მომლხენი და არშიყობის მოყვარული იყო. რაკი სალომე გაიცნო და მოეწონა, იმ დღიდან არც მოსცილებია, თავისად იგულა და არც არავის აკარებდა. ბოლოს საქმე ისე მოეწყო, რომ ეს დღეობა სალომესა და აშილ მიურატის ნიშნობად გადაიქცა და ქორწილიც იმავე კვირას დაინიშნა.

დადიანები მეორე დღიდანვე საქორწილო სამზადისს შეუდგნენ. ახლა ამ საქმეს ყველაზე უფრო ბერტა განიცდიდა. სწორედ ბერტა იყო საქორწილო მზადების სული და გული.

რვა მაისს სალომესა და აშილ მიურატს იმპერატორების სასახლის ეკლესიაში ჯვარი დასწერეს. ჯვარისწერის ცერემონიალს იმპერატორი ნაპოლეონ მესამე და დედოფალი ევგენია ესწრებოდნენ.

კათოლიკურ ეკლესიაში გადახდილი ეს ბრწყინვალე ჯვრისწერა ეკატერინე დადიანმა საკმარისად არ ჩათვალა და იმავე საღამოს რუსეთის საელჩოს მართლმადიდებელთა ეკლესიაში ხელმეორედ დასწერეს ჯვარი აშილსა და სალომეს. სალომეს მეჯვარეები ტარიელ დადიანი და ბერტა იყვნენ...

ეკატერინეს თავი არ დაუზოგავს იმისათვის, რომ მართლმადიდებელთა ეკლესიაში ჯვარისწერას უფრო ბრწყინვალე ელფერი ჰქონოდა. დადიანებს ამისათვის ყველაფერი მოემზადებინათ: ბრიუსელში სალომესათვის საგანგებოდ მოექსოვათ თავსაბურველი, რომელზეც სამეგრელოს სამთავროს ღერბი იყო გამოსახული ოქროს საწმისით. თეთრი, ძვირფასი თვალმარგალიტით შემკული ეს გვირგვინი ბერტასა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ტარიელ დადიანს ეპყრა ხელთ. ბერტა თვალებში შესცინებდა ნეფე-დედოფალს. ნეფე-დედოფალს

უკან ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი ეკატერინე დედოფლის ამალა მოსდევდა, ხოლო ეკლესიაში რუსული საეკლესიო გუნდი გალობდა. ეკლესია სავსე იყო უცხოელი სტუმრებით. ჯვარისწერის შემდეგ ლუვრის სასახლეში გამართულ დიდ საქორწილო ნადიმზე ეკატერინემ დიდძალი სტუმარი მიიპატიჟა. სუფრას თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული ეკატერინეს ძმა, დავით ჭავჭავაძე თამადობდა. დავით ჭავჭავაძემ ხელთ აიღო ქართული ყანწი და ბრწყინვალე ფრანგულით მიმართა ნეფე-დედოფალს და ღვინით სავსე ყანწი სულმოუთქმელად გამოცალა. შემდეგ ამ მოზრდილი ყანწის დაცლა სავალდებულოდ გამოაცხადა.

დადიანების ამალაში რამდენიმე მომღერალი ერია. დავით ჭავჭავაძემ მრავალჟამიერი წამოიწყო, დადიანები აჰყვნენ თამადას და ლუვრის სასახლის საქორწილო დარბაზს ქართული სიმღერების ჰანგები მოეფინა. პარიზელები პირველად ესწრებოდნენ ქართულ ქორწილს და გაოცებული შესცქეროდნენ ამ დიდ თეატრალურ სანახაობას. ხოლო როცა ქართველებმა ცეცხლოვანი ქართული ცეკვა შეასრულეს, ლხინმა ისე აიწყვიტა აღვირი, რომ გამოცდილი თამადა ვეღარ აკავებდა სუფრას...

ქართველების სიმღერამ და ცეკვამ ყველაზე მეტად ავსტრიელ მეჯვარეს — ბერტას დაახვია თავბრუ. ამის მსგავსი მას ჯერ არაფერი ენახა...

ერთი თვის შემდეგ დადიანები საქართველოში გამოემგზავრნენ.

სხვა საქართველო სად არი...

ეკატერინე, ნიკო, ანდრო, სალომე და პრინცი მიურატი გემიდან გადმოვიდნენ. გამოჩნდნენ თუ არა დედოფალი და მისი შვილები, ფოთის პორტის მოედანზე შეკრებილმა დიდძალმა ხალხმა ტაში დასცხო და ვაშას ძახილით მიესალმა დედოფლის მობრძანებას. ამის დანახვაზე ეკატერინეს ტანში გააჟრჟოლა, მერე თვალზე ბინდი გადაეფარა, წაიბორძიკა. ამ დროს ნიკომ მკლავი მიაშველა დედას და ძირს ჩამოიყვანა. დაადგა თუ არა ფეხი საქართველოს მიწას, დედოფალი უცნაურმა გრძნობამ აიტანა. ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თავისი შვილებით სწორედ აქედან გამოემშვიდობა საყვარელ

სამშობლოს. ახლა, ათი წლის შემდეგ, ისევ დაუბრუნდა თავის მამულს.

იდგა დედოფალი მამულის სანაპიროზე. სახეზე ზღვისპირეთის თბილი ნიავი ელამუნებოდა, გარშემო თავისიანები, ერთგული და ნაცნობი მამულიშვილები ეხვივნენ. გამოუცნობ გრძნობას შეეპყრო დადიანი. კაცი ვერ გაიგებდა ეს გრძნობა სიხარულისა იყო, მწუხარებისა თუ მამულის ტრფიალისა...

ეკატერინე ცახცახმა აიტანა. ნიკოს რომ არ მიყრდნობოდა, ალბათ, წაიქცეოდა. მერე ერთბაშად ხელი უშვა ნიკოს, ბანდალიო განზე გაიწია, იქვე დაიჩოქა, თითებით მოფხოჭნა მიწა, შუბაში ჩაბღუჯა, მუჭი პირთან მიიტანა, მერე გაშალა და ხელისგულზე დატკეპნილ მიწას ეამბორა. ეამბორა და ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსცვივდა. მისიანები გარშემო იდგნენ და მისჩერებოდნენ. იმ წუთს მდუმარებამ, უცნაურმა მდუმარებამ მოიცვა ყოველივე და ვერავის მოეფიქრებინა, რომ მიშველებოდა დედოფალს, რომელიც მღელვარებისაგან ძლივს იდგა ფეხზე.

პირველი კონსტანტინე დადიანი მოვიდა გონს, დედოფალს მივარდა, ხელი მოჰხვია, მერე გადაეხვია და თვითონაც აქვითინდა. ახლა სხვებიც მიჰყვნენ მის მაგალითს. მალე მდუმარება, მძიმე მდუმარება მხიარულებამ შეცვალა.

მშვენიერი ამინდი იდგა. ზღვის წყნარი ზედაპირი მზის სხივებით ლაპლაპებდა, ბრწყინავდა. ქუჩებში საზეიმოდ გამოსული ხალხი არსად ეტეოდა.. აივნებიდან, ფანჯრებიდან, მოაჯირებიდან გადმომდგარი ხალხი ფოთის ახლად კურთხეულ მონასტრისაკენ დედოფალს ხელის ქნევით მიაცილებდა. დედოფალმა და მისმა მხლებლებმა ძლივს გაარღვია ხალხით გაჭედილი მოედანი და პირდაპირ ტაძარს მიაშურეს. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და საცვეთ წაღებით მოწკიპული მამაკაცები და ქართული კაბებით მორთული ლამაზმანები ჩოხის კალთებისა და კაბების შრიალით მიაცილებდნენ უზომოდ გახარებულ დედოფალს.

ეს დიდძალი ხალხი ტაძართან შედგა. ტაძრიდან მიტროპოლიტი გამობრძანდა და ეკატერინესათვის ლოცვა-კურთხევა აღავლინა. წირვის შემდეგ ეკატერინე ჭოჭუას ოჯახში მიიწვიეს და დიდი ნადიმი გაუმართეს. რჩეული საზოგადოება სათი-

თაოდ აცქერდებოდა დედოფალს, მის შვილებს და ფრანგ ძიუ-
რატს — დედოფლის სიძეს. გონებით, სიდარბაისლით, ზრდი-
ლობით ძალიან მოეწონათ ეკატერინეს შვილები, სიძე მიუ-
რატიც. ნადიმზე დედოფალს ქება-დიდება შეასხეს და მშვი-
დობით დაბრუნება მიულოცეს. სიხარულისაგან აღტაცებულ
დედოფალს მთელი ღამე არ უძინია.

მეორე დილით ადრე პატარა გემით დადიანები ფოთიდან
ორპირს გაემგზავრნენ. აქედან კი დედოფალი მარტვილს გა-
აცილეს.

მარტვილის მონასტერში ეპისკოპოსმა ტარასიმ დიდი პა-
რაკლისი გადაიხადა დედოფლის მშვიდობით დაბრუნებისა და
ქალიშვილის გათხოვებისა.

ასეთმა შეხვედრამ იმედები განუახლა და ოცნებით აღავ-
სო დედოფლის გული. მოაგონდა, პეტერბურგს რომ გაემგზავ-
რა მეფის გაწვევით, ორპირამდე დიდის ამბით რომ გააცილეს
და დიდი პატივისცემა დაუდასტურეს. ამის შემდეგ დიდმა
დრომ განელო. სამეგრელოში სულ სხვა მმართველობა იყო.
ეკატერინესა და მის შვილს მემკვიდრეობით ბოძებული სამთავ-
რო ჩაბარებოდა და ახლა უბრალო, ჩვეულებრივი მემამულე
დაუბრუნდა სამეგრელოს. და ამიტომ არც მოელოდა ყოფი-
ლი დედოფალი, თუ ასე ახსოვდათ და უყვარდათ. დღეს კი...
პარიზიდან დაბრუნებულ ეკატერინეს და მის შვილებს ფოთში,
ორპირში და მარტვილში ისეთი შეხვედრა მოუწყეს, რო-
გორც ეს ნამდვილ დედოფალს ეკადრებოდა.

ცარიზმის ჭუსლებქვეშ მოქცეული სამეგრელოს სამთავრო
ისევე ორმაგად იტანჯებოდა, როგორც მთელი საქართველო —
სოციალურად და ეროვნულად. უცხოობაში დატანჯული ხალხი
ისევ იმ მძიმე დროს იგონებდა, დადიანების სამთავროში რომ
იმყოფებოდა და ძველსა და ახალს ადარებდა. ახალი მთავრო-
ბისა არც ენა ესმოდათ და არც კანონი იყო რამე შეღავათის
მომნიჭებელი. ხალხი ისევ მონობის უღელში გმინავდა. ბუნებ-
რივია, რომ ამ ვითარებაში დედოფლის გამოჩენას დიდი
აღტაცება მოჰყვა. დედოფალი თავბრუდამხვევი სიხარულის
ტალღებში ცურავდა. როცა ეკატერინე მარტვილის მონასტრი-
დან გამოვიდა და მის გასაცილებლად მოსულ უამრავ ხალხს
გადახედა, ხმამაღლა შესძახა:

— დიდება და პატივი თქვენ, ჩემო დებო, ძმებო, შვილებო და შვილიშვილებო. მე ახლა უზომოდ აღფრთოვანებული ვარ და უზომოდ მადლიერი.

ეს თქვა და თავი დახარა. შემდეგ ცრემლმორეულმა გაარღვია გარშემორტყმული ხალხის წრე და. თავის შვილებთან ერთად ეტლში ჩაჯდა. დიდხანს უქნევდა ხელს გორდისაკენ მიმავალი დედოფალი მადლიერ ხალხს.

* * *

ეკატერინე საქართველოში რომ დაბრუნდა, გრიგოლ ორბელიანი სამსახურიდან გასული იყო. ომგადახდილი გენერალი შინ ნებივრობდა. ეკატერინეს სამშობლოში დაბრუნება ყველაზე მეტად გრიგოლ ორბელიანს გაუხარდა. მან ვრცელი ბარათი მისწერა დედოფალს. ბარათი სავსე იყო ხუმრობითა და ზმებით, პატივისცემითა და სიყვარულით. წერილი ასე მთავრდებოდა.

...გეყოფათ, გეყოფათ ჩვენგან შორს ყოფნა, ქართველ კაცს ყველგან შეუძლია იყოს, მაგრამ ცხოვრებით მარტო საქართველოში უნდა იცხოვროს, არა? ხომ ასეა... შორს იყავ, მაგრამ უხილავად; თუ ხილულად შენთან ვიყავ მუდამ, შენთან, ჩემო კატინა, აქაც, მთებს აქეთ და იქაც, ზღვებს იქით. ყველგან და ყოველთვის თქვენი ერთგული... გადმომცეს, რომ გორდში კაბინეტისათვის პატარა ხანჯალი გდომებიათ. ვისწრაფვი მოგართვათ და თან ჩემი ერთგულებაც გამოგიცხადოთ, მიიღეთ და ფლობდეთ. მაგრამ ქარქაშიდან კი ნუ ამოიღებთ. უნებურად აღმეძვრის კითხვა: რად გინდათ, ჩემო დედოფალო, ხანჯალი? გასაგმირად ხომ უფრო საშიში და მძლავრი იარაღი სხვა გაქვთ. ეს გახლავთ თქვენი ბრძანებლობითი, მეფური წარმოსადეგობა და ცხოველმყოფელი ნათელი თვალები, რომლებიც ყოველსავე იმორჩილებენ და დამორჩილებულნი ბედსა თვისსა კურთხევით იხსენიებენ. ხანჯალი რაღად გინდათ? მე თუ მომიკითხავ. ტაბახმელაში ვარ.

ტაბახმელავ, ო ტაბახმელავ, ლამაზო ტაბახმელავ! ქვეყნად მხოლოდ ერთი ტაბახმელაა — მოდი, შენსა გორდსა გავაჯიბრეთ. ხო!

ვცხოვრობ წყნარად ქეთევანთან და ტასოსთან ერთად ტაბახმელაში და არასა ვწუხვარ, თუ სახლი ჩემზე უარესი დახავსებულ-მოძველებულია. სამაგიეროდ, ჰაერი სამოთხისებურია, წყალი უკვდავებისა. ახლა რა სანახაობა და გადასახედია! თითქმის ნახევარი საქართველო სურათივით ჩემ წინ არის გადაშლილი. აი, აგერა, თეთრწვერა ყაზბეგსა და მის ბუმბერაზ ძმებს ღრუბლებიდან თავი ამოუყვიათ და პირდაპირ ტაბახმელას დასცქერიან. გრილ ნიავთან ერთად სუფთა და ცხოველმყოფელსა, მშვენიერს ჰაერს მოგბერვენ; იქ კი საადმირალო ანძასავით ამართულა თოვლის ნემსივით ჰაერში თუშეთის მთა ?ორბალო; გასწვრივ მოსჩანან შავი მთები საგურამოსი, გომბორისა. ცივი დედოფლის წყაროსაკენ წრე გაუვლიათ, ეხედავ ყველა მათ და ჩემი მგონია...

ეკატერინე კითხულობდა ამ წერილს და ახალგაზრდობის მოგონებამ ერთბაშად აღუდგინა წინანდალსა და თბილისში, ტაბახმელასა და კოჯორში გატარებული დღეები. და ისე ძლიერი იყო ეს ყმაწვილქალობის მოგონებები, რომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ თბილისს წასულიყო და შემდეგ წინანდალი, ტაბახმელა და კოჯორიც მოენახულებინა. ხოლო ვიდრემდის ამ სურვილს აღისრულებდა, იმავე დღეს ვრცელი წერილი მისწერა გრიგოლ ორბელიანს. მოკითხვას უთვლიდა, მადლობას სწირავდა მოგონებისათვის და თავის საყვარელ „კურკას“ პირდებოდა, სულ მალე მოგინახულებ და თავად გეტყვი ბევრ რამეს საიდუმლოს, სანუკვარსა და სანატრელსაო.

სწორედ ერთი თვის შემდეგ, ეკატერინე თბილისს წავიდა. დედოფალმა ჯერ თავისიანები მოინახულა, ძმას, დავით ჭავჭავაძეს ესტუმრა, მერე კი, იმავე დღეს, გრიგოლ ორბელიანს ნიაშურა. გრიგოლი და ეკატერინე დიდი სიხარულითა და სიყვარულით ცრემლმორეულნი გადაეხვივნენ ერთმანეთს.

რას არ მოჰყვნენ, რა არ მოიგონეს, ბევრი სასაცილოც და ბევრი სამწუხაროც. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. მთელი საღამო ასე საუბარში გალიეს. მეორე დღეს მანანა ორბელიანს მიაშურა და ამასთან იჯერა გული. ორი კვირის შემდეგ, ეკატერინე გამოემშვიდობა თბილისს, გამოემშვიდობა თავის მეგობარს გრიგოლ ორბელიანსაც. გამომშვიდობებისას ეკატერინემ გრიგოლს სთხოვა: იცოდე, გელოდები გორს და უნდა

შემისრულო ეს თხოვნა, უნდა მოხვიდე ჩემთან. ასე, ჩემო გრიგოლ, თუ ამოხვალ, როგორც შემპირდი, გაგვახარებ, თუ არადა, შენებურ წერილებს მაინც ნუ მომაკლებ.

ეკატერინე გორდში ელოდებოდა გრიგოლის ჩამოსვლას, მაგრამ ეს სასურველი სტუმარი არსად ჩანდა. ამ ფიქრში იყო, რომ ეკატერინეს გრიგოლ ორბელიანის ბარათი მოართვეს. კონვერტი გახსნა და სულმოუთქმელად წაიკითხა:

„უგანათლებულესო კნეინა ეკატერინა!

წაბრძანდით თბილისიდამ და მე დავჰშთი თქვენს წინაშე პირშავად აქამდის წერილის მოურთმევლობის გამო. სიბერე არის მიზეზი თუ ბაგრატიონები, რომელთაცა დამანათლეს ცოტაოდენი პოხონდრია და სევდები, მგონია ორივე ერთად. შემიპყრეს მე და სირცხვილეულმყვეს თქვენს წინაშე, რომლისადმი თავდადებით ერთგულება, პატივისცემა და ჭეშმარიტი სიყვარული მაინც კი ისევ ისე შეუცვლელია, ისევ ისე შეურყეველია?!

წაბრძანდით, და ვისაც კი შეეძლო გასვლა თბილისით, აიშალნენ და წავიდნენ გარეშე საგრილებელს ადგილებში. სასახლე გადავიდა ბორჯომს: მასა შეუდგნენ რებინდერი და ადუტანტები და იქვე წავიდა კნეინა ტერეზიაცა, მირსკიანნი, აპაჩინინები, ივანოები, ტასო აღლობჟიოთი ავიდნენ კოჯორს; იქვ) ბრწყინვალებს ანგელოზებრი სახე პოპორიღოპულოს მეუღლისა და არიან იოსებ ყორღანოვის სახლობა და არღუთინსკიანნი, მაგრამ უწინდელი კოჯრის დედოფალი ვარვარა თამამშევისი წავიდა საზღვარგარეთ და მით დაობლდა კოჯორი. ლიზა მუხრანსკისაც ძლივს, რასყოფით გადავიდა დიღომს, დიდად გულჩაკლული ქალაქის მოშორებითა; მანანაც აპირებს ყირიმში წასვლას, მაგრამ ჯერ მჰოლოდ აპირებს; ელენე და სოფიოცა აპირებენ ტაბახმელას ასვლასა, მაგრამ ესენიც არიან ჯერ ისევ პლანებში და დიდს რჩევაში, ხუთშაბათს გავიდნენ თუ შაბათს. შაბათი ელენეს არ მოსწონს, რადგანაც ურიების დღეა, ხუთშაბათი სოფიოს მიაჩნია ცოდვის დღედ, რადგანაც მის დღეს მაცხოვარი შეიპყრეს ურიათა; კვირა დღესასწაულია, ოთხშაბათი და პარასკევი მარხვა არის; ორშაბათი ყოველმა იცის რა ბაიყუში დღეა; სამშაბათი სძულს ელენესაც და სოფიოსაცა, მგონია უმიზეზოდ, და ამ ბაასში ზაფხული კი მიდის და მიდის

ჩუმჩუმად, მეცა ვეღარ გაუძელ ამათ ესრეთს ყოველდღე რჩევასა და ბაასსა, და წამოველ კოდას, სადაცა ველი და ველი ჩვენს ბაბალეს და.არ იქნა არ მოვიდა, ფურმე ესეც ელის და ელის კაკოსა და ზაქარიას წინანდლიდამ. აი, რა ძნელი ყოფილა ქალაქიდამ გასვლა და ჩვენ კი ლიზას წუწუნი არ გვესმის...

...ამის წერა დავიწყე კოდაზე და ვათავებ თბილისში, სადაცა მოულოდნელად მომიხდა ჩამოსვლა: ჩემს რძალს ქეთევანს მოუკვდა მოხუცებული დედა და მიველ მე, რათა მოვალეობისაგან ჩემისა ნუგეშ ვჰსცე შეწუხებულსა. დღეს იყო წირვა ანჩისხატში, სადაც ჰგალობდნენ ქართულად და მოგახსენო, დიდად მიამა. იფიქრეთ, საქართველოში გვიკვირს ქართული გალობა! გეკედრებით, ნუ გააქრობთ ქართულს გალობას თქვენს ქვეყანაში, სადაც ათასს წელიწადს ისმენდა ერი თავის ენაზე თავის გალობას.

იყო აქ რამდენიმე დღე ბუტკოვი, მაგრამ მე ვეღარ მოუსწარ, წასულიყო ყირიმს. ეს ორი კვირა არის მოუწყვეტლით ჰსწვიმს, სცვქს და ცივა, ასე რომ 14 გრადუსამდის ჩამოვა სითბო. არ ვარგა ესრეთი უდროოდ ცვლილება ჰაერისა. ზაფხულში სითბო, ზამთარში სიცივე ზომიერი.

დიდს პლანებში ვართ აქა ქართულის ენის მოყვარენი. ვაბეჭდვინებთ ძველს ქართულს წიგნებსა, და ვიმედოვნებთ, რომ ესრეთს საყოველთაოდ კეთილს საქმეში შეგვეწევით ფულითა და თქვენცა, სალომეცა, ნიკოცა და ანდრიაცა. ქართული წერილი იყო სამასი წლის უწინარეს ქრისტეს დაბადებისა, და თუკი არ განჰქრა და მამა-პაპათა ჩვენთა დაიცვეს იგი დროსა საშინელისა გაოხრებისა, დატყვევებისა, აკლებისა მაჰმადიანთაგან ჩვენის მამულისა, ეხლა ჩვენს მშვიდობიანობის ჟამსა, დიდი მოწყალეს ხელმწიფის მფარველობის ქვეშ დაცული, რად უნდა დაეცეს წერილი ჩვენი? ვის რა დაუშავდება, რომ სხვათა ენათა შორის იყოს ჩვენიცა ცოცხალ?

ახლა, ჩემო მოწყალეო ხელმწიფავ, როგორ ბრძანდებით, როგორ ატარებთ დროსა თქვენსა საგრილებელს გორდსა, ანუ თქვენ, და ანუ თქვენნი საყვარელნი, სასურველნი შვილები და მშვენიერი სიძე ბატონი. მაგონდებით რა ერთად მყოფნი, გულით მჯერა, რომ მადლი ღვთისა ტრიალებს თქვენს სახლში, და იყოსმცა მარადის კურთხევა მისი განუშორებლივ თქვენზე-

და, და მეცა ნუ დამივიწყებთ ნუცა ერთი თქვენთაგანი და გრწამდესცა, რომ საცა გინა ვიყო, მაინც ვარ თქვენი ერთგული გულით, სულით, თავდადებით ერთგული და პატივისმცემელი გრიგოლ ორბელიანი.

1-ს იელისს, 1869, თბილისი.

იმავე დღეს ეკატერინემ გრიგოლს საპასუხო წერილი მისწერა. ისევ სთხოვდა ამოსულიყო გორდს, თან აუწერდა გორდს, როგორც ზღაპრულ დასასვენებელ ადგილს, მაგრამ ის ზაფხული ისე გავიდა, რომ გრიგოლ ორბელიანი არათუ არ ამოსულა გორდს, წერილიც არ გამოუგზავნია. განაწყენებულ დედოფალსაც არ მიუწერია წერილი იმ ზაფხულს გრიგოლისათვის.

* * *

• თბილისიდან დაბრუნებული ეკატერინე ავადმყოფობდა. გაზაფხული და ზაფხული გორდში გაატარა. სწერდა წერილებს ძველ მეგობრებს. ერთი წერილი მანანა ორბელიანსაც გაუგზავნა. დედოფალს მოენატრა ძველი მეგობრის ნახვა და გულით სთხოვდა გორდში ჩამოსულიყო. მანანამ წერილის მიღებისთანავე გადაწყვიტა მოენახულებია განუყრელი მეგობარი და ახალგაზრდობის მესაიდუმლე.

თბილისიდან გამომგზავრებული მანანა ორბელიანი ერთი დღით ქუთაისს შეჩერდა. ქუთაისის ნახვამ ძველი ჭრილობა განუახლა; სწორედ ქუთაისში შეხვდნენ უკანასკნელად მანანა ორბელიანი და ეკატერინე ჭავჭავაძე. აქ შეჰყარა ეს ძველი მეგობრები მაშინ გაგარინის ტრაგედიამ. გაგარინს ხომ მანანა ორბელიანის ქალიშვილი ტასო ჰყავდა ცოლად. მაინც რა უბედურად წარიმართა მანანას ქალიშვილის ბედი! ჯერ მანანას არც უნდოდა გადამთიელი კაცისათვის მიეთხოვებინა ქალიშვილი, მერე ან გათხოვება რა იყო და ან ასე ადრე დაქვრივება! ახლაც ამის მოგონებამ ცრემლები მოჰგვარა მანანას, და მეორე დღესვე გადაწყვიტა გასცლოდა ქუთაისს. ცრემლმორეული და დაღონებული გამოვიდა სასტუმროდან. ქვემოთ ეკატერინესაგან გამოგზავნილი კონსტანტინე დადიანი შეეგება, მოწი-

წებით ხელზე ეამბორა, შემდეგ საუზმეზე მიიწვია. ეკატერინე მოუთმენლად გელოდებაო, სულ თქვენს ხსენებაშია, თქვენი ნახვა ენატრებაო...

ისაუზმეს და გზას გაუდგნენ. საღამოს გორდს იყვნენ, ავადმყოფი ეკატერინე სასურველ სტუმარს გამოეგება, ეზოს ჭიშკართან შეხვდა. მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ, ჰკოცნიდნენ და ტიროდნენ, ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდათ.

და ეს იყო ცრემლი გაფრენილი წლების სინანულისა, ნახვის სიხარულისა და, ვინ იცის, კიდევ რისა... დიდხანს იყვნენ მეგობრები ასე გადასვეულნი და, როცა გონს მოვიდნენ, ეკატერინემ ხელი მოჰხვია მანანას და სახლისაკენ გაუძღვა.

ეკატერინე და მანანა მეორე დღეს გორდის სასახლის აივანზე ისხდნენ და კვლავ მღელვარებით საუბრობდნენ. ან რა გამოელევდა სალაპარაკოს დიდი ხნის მეგობრებს.

სასახლის აივანი სოფელს გადაჰყურებდა. ფერდობზე შეფენილი სოფლის ბოლოს ცხენისწყლის ხევი იწყებოდა. ტკბებოდნენ თვალწინ გადაშლილი ბუნების შესანიშნავი სურათით, ასე ეგონათ, თითქოს ისევ ამ ორმოცი წლის წინათ წინანდლის სასახლის აივანზე ისხდნენ და ალაზნის ველს უმზერდნენ, მაგრამ სადღა იყო ის ეშხი და გატაცება, ის უდარდელობა და აღტაცება!

— ახალგაზრდობაზე ძვირფასი და სანუკვარი, აღარაფერი ყოფილა ამ ქვეყანაზე! — ამბობდა ეკატერინე, — მხოლოდ ახალგაზრდობას ჰქონია დიდი ფრთები, დიდი თვალები და დიდი გული... ჩემზე უფროსს რომ შევხედავდი, თავი მოვწონდა, მეგონა სულ ახალგაზრდა ვიქნებოდი და ხნიერს ალმაცერად ვუყურებდი. გულში ვფიქრობდი, ეყოფა იმას, რაც ისიამოვნა ამ ქვეყანაზე, ახლა ჩვენი ჯერია-მეთქი. თან მეგონა, ჩემი ჯერი სულ იქნებოდა და მე სულ ახალგაზრდა ვიქნებოდი, ის კი — სულ ბებერი. ვერ წარმომედგინა, თუ როდისმე მეც დავბერდებოდი, როდისმე იმ ბებრის როლში გამოვიდოდი. აი თურმე როგორია ახალგაზრდა ადამიანის სითამამე! ასე ჰგონია, ეს ქვეყანა სულ ჩემი იქნებაო. ეჰ, რანაირად მოტყუებული ვიყავი თურმე! მანანა, სიმართლე მითხარი, შენც ხომ ასე გეჩვენებოდა მაშინ? იქნებ, მარტო მე ვიყავი ასეთი; იქნებ, მარტო მე მეგონა, რომ ეს ქვეყანა ჩემს სასიამოვნოდ იყო-გაჩენილი. და მე

კი, მუდამ ახალგაზრდა, სრული პატრონი ვიქნებოდი ამქვეყნიური ბედნიერებისა? ჰე, ჩემო მანანა, მაშინ ჩემთვის ამოდიოდა ღაჟღაჟა მზეც და გაბადრული მთვარეც, ყვავილიც ჩემთვის ჰყვავოდა და ვარდიც. მე, მე ვიყავი ყველაფრის პატრონი და მფლობელი და ჩემზე ბედნიერი არავინ იყო ამ ქვეყანაზე. ვაი, რაა ადრე გაქრა ეს ბედნიერება! სულ გუშინწინ იყო ყოველივე ეს! დღეს გული მიკვნესის, ჩემო მანანა, გულიც მიკვნესის და სულიც! ასე მგონია, მარტო მე კი არ მეღება ბოლო, არამედ ჩემს ოჯახსაც, ჩემს მომავალსაც.

და აქ კინაღამ ცრემლი წასკდა ეკატერინეს, მაგრამ თავი შეიკავა, ადგა, ხელი მოჰხვია მანანას და არ კი იცოდა რატომ ჩაიდინა ეს, სიყვარულით, პატივისცემით, თუ სინანულით!

მანანა მიხვდა დედოფლის გულისთქმას. მასაც მწარედ აკვნესებდა ცხოვრების სევდა და ამაოება. მანანა ეკატერინეს მსგავსად განცხრომასა და ფუფუნებაში იყო აღზრდილი, სილამაზითაც განთქმული იყო და ტრფიალითაც განებივრებული. მართალია, მას დედოფლის ტახტი არ არგუნა ბედმა, მაგრამ სხვა მხრივ ის ეკატერინეს არაფერში ჩამორჩებოდა და ახლა ძველი ცხოვრების სიამტკბილობის მოგონებაც, გადასული სიხარულიც და წუთისოფლის გაუტანლობის ჭირიც ერთნაირად ღრღნიდა მათ გულს. სწორედ ამიტომ მანანამ სულ ადვილად გაუგო ცხოვრებაზე გულაღრენილ დედოფალს:

— ეჰ, ჩუმო კატინა, წავიდა, წავიდა მოუბრუნებლად ბედნიერი წლები და ახლა, როდესაც აქედან გადავყურებ განვლილ ცხოვრებას, გული მტკივა. მე ვერც ღვთისაგან ბოძებული სილამაზე გამოვიყენე და ვერც ჩემი მდგომარეობა. შენთან დამალული არასდროს არაფერი მქონდა და ახლაც მინდა გულახდილი ვიყო შენს წინაშე. მეც შენსავით და ნინოსავით ლამაზი ვიყავი. გარს მეხვეოდნენ ვაჟკაცები და ახალგაზრდა ქვრივს ხელს მთხოვდნენ, მაგრამ მე მუდამ უარზე ვიყავი რატომ? რისთვის?

— მანანა, ჩემო მანანა, მეც ბევრი მიფიქრია ამაზე. მაგრამ არა მგონია, შენ მართალი იყო, როცა ფიქრობ, თუ მეორედ, ან მესამედ გავთხოვდებოდით, ჩვენ უფრო ბედნიერნი ვიქნებოდით. არა, ჩემო მანანა. მეც ასე მეგონა, მაგრამ ახლა სულ სხვა აზრის ვარ. ქალი მხოლოდ ერთხელ უნდა გათხოვდეს, ოღონდ

გულის კარნახით უნდა გათხოვდეს, და ის უთუოდ ბედნიერი იქნება. ბედნიერი იქნება, თუნდა ადრეც დაქვრივდეს, რადგან სიყვარულით გათხოვება მას იმდენ ბედნიერებას მოუტანს, რომ ეს სულ ეყოფა მის სულს.

კი, ჩემო მანანა, ეს უთუოდ ასეა. ჩემი და — ნინო სულ მალე დაქვრივდა, მაგრამ იგი თავის თავს ბედნიერად თვლიდა. ისევ უყვარდა გრიბოედოვი და ამ სიყვარულით ცხოვრობდა. დიახ, ბედნიერები ისინი არიან, ვინც ასეთი სიყვარულით თხოვდებიან. მათი სული ისეა განათებული სიყვარულის ალით, რომ სიკვდილამდე აღარ ქრება.

მე ისე მგონია, რომ არც მე და არც შენ ტრფიალების ასეთი ალით არ ავნთებულვართ, რადგან ჩვენ ანგარიშით გავთხოვდით, ანგარიშით, ჩემო კატინა...

ნინომ ერთის შეყვარება მოასწრო და მაშინვე გათხოვდა. შემდეგ ეს ნამდვილი სიყვარულის ძალა არც მოსცილებია მის გულს, როგორც მოლანდება ბედნიერებისა. შენცა და მეც ჩემო მანანა, ბევრი ვინებივრეთ, ვიდრე გავთხოვდებოდით, ბევრჯერ შევიყვარეთ და გადავიყვარეთ ჩვენით გატაცებული მიჯნურები. არა, პირველი სიყვარული სულ სხვაა. დანარჩენი უკვე ანგარიშით ხდება...

გიყვარდეს, ეტრფოდე და შენც გეტრფოდნენ — ამაშია, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრების აზრიც და ხალისიც და, როცა შენს სულში ქრება მიჯნურობის პოეტური ალი, ამ ქვეყანაზე ცხოვრებაც მოსაწყენი ხდება, მერე შენი გვამით სულსაც ამძიმებ და მიწასაც...

— გახსოვს, ეკატერინე, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გოგონები იყავით შენ და ნინო, როცა პირველად გამოჩნდით საზოგადოებაში და ერთბაშად მიიპყარით ყურადღება.

ეკატერინე დუმდა, თითქოს რაღაცას იგონებსო.

— მე როზენის სასახლის ბალებზე მოგახსენებ. აქ იყრიდა თავს მაშინდელი რჩეული საზოგადოება, რუსი ოფიცრები და ჩვენები, მაგრამ ამ მეჯლისებს ჩვენმა ლამაზმანებმა გაუთქვეს სახელი. ფართოდ გახელილი გავარვარებული თვალებით ვაცქერდებოდით მაშინ ყველას და ყველაფერს... ხომ ასე იყო, კატინა?

ეკატერინე ისევ დუმდა.

— შენ და ნინომ, მეჯლისისა და ბალ-მასკარადის სტუმრებმა, აქ ჩაიცვით პირველად გრძელი კაბა და მაღალყელიანი ტუფლები... ჰოი, რა პოეტური გარემოცვა იყო მაშინ და რა ბედნიერები ვიყავით... ლამაზმანებიც ბევრნი იყვნენ. ბევრიც გეჯიბრებოდა შენ. გახსოვს, ბეგთაბეგიშვილის ქალი რომ იყო? ლამაზიც იყო და კარგადაც ცეკვავდა, მაგრამ შენ მაინც სხვა იყავი, კატინა, შენი ცეკვა, შენი გრაცია ყველას ატყვევებდა. შენ ნამდვილი ჯადოქარი იყავი, ჯადოქარი...

მერე... მერე ყველაფერი აირია... მე ყველაზე ადრე გავთხოვდი, მერე ნინო, ქეთევანი, მაია... შენ ყველაზე გვიან... მერე დავქვრივდი, ყველაზე ადრე მე და ნინოს წამოგვეწია უბედობა.

— სიყვარულს ანგარიშით რომ დაიწყებ და აწონ-დაწონას შეუდგები, იქ უკვე ვაჭრობა იწყება. ვაჭრობას ნამდვილ სიყვარულთან, ჭეშმარიტ გრძნობასთან რა ხელი აქვს, ჩემო მანანა! სიყვარულს ანგარიშიანობა და ვაჭრობა არ უყვარს და, ვაი, რომ ეს ძალიან გვიან გავიგე.

— არა, კატინა, არა ხარ მართალი. ანგარიში და გონიერება ყოველ საქმეს სჭირდება. ვისაც გონება აქვს და განსჯის უნარი შესწევს, მას სიყვარული იმდენჯერ ეწვევა, რამდენჯერაც გონება უკარნახებს. შეიძლება, რამდენჯერმე გიყვარდეს და თანაც გულით გიყვარდეს, გააჩნია ვინ არის ტრფიალების საგანი. სიყვარული გონების კარნახით ხდება, იგი გატაცება და მოწონებაა. და რაკი ეს ასეა, რატომ არ შეიძლება ცხოვრების გრძელ გზაზე ქვრივი ქალი ისეთ ადამიანს გადაეყარო, ვინც ღირსია ყურადღებისა, მით უფრო, თუ იცი, რომ ის წინანდელზე უფრო შეგიყვარებს და არ გიღალატებს. არ დაგიმალავ და გეტყვი: ქმრის შემდეგ, რამდენჯერმე ვიყავი გატაცებული და ტრფიალით შეპყრობილი, მაგრამ არ მეყო გამბედაობა. მაგრამ განა ეს იმიტომ, რომ ჭკვიანი ვიყავი? რა იცი, რომ სხვა ჩემზე ჭკვიანი არ აღმოჩნდება? ჩემო კატინა, თურმე შეიძლება რამდენჯერმე გიყვარდეს მამაკაცი და დიდი გატაცებითაც გიყვარდეს, ეს შემთხვევასა და გარემოებაზე ჰკიდია, ყველასათვის ერთი სავალდებულო რეცეპტი არ არსებობს, სიყვარული ინფექციური ხნეულება როდია. ამ ქვეყანაზე იმდენნაირი სიყ-

ვარულია, რამდენიც ადამიანია. ყველას თავისებურად უყვარს, ყველას თავისებურად ესმის სიყვარული. საკუთარ თავზე გამომიცდია და ვერავინ დამარწმუნებს, რომ შეყვარება მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდეს. არა, ჩემო კატინა, ყველას ერთნაირი ინსტინქტი კი არა აქვს, ეს გაბედულების, გონიერების საქმეა.

ეკატერინე არ ეთანხმებოდა მანანას, აღელვებით ლაპარაკობდა:

— არა ხარ, მანანა, მართალი, სიყვარული და მოწონება ერთი როდია, სულ სხვადასხვა რამ არის. გეთანხმები, რომ შეიძლება რამდენჯერმე მოგეწონოს ადამიანი, მაგრამ რამდენჯერმე რომ გიყვარდეს, — ეს თავის მოტყუებაა. ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთხელ შეიძლება. იგი არც სხვაზე გაიცვლება და არც მეორედ გეეწვევა. სიყვარული ანიჭებს ქალს ბედნიერებას. ადრე მეც შენსავით ვფიქრობდი და ვედავებოდი კიდეც ნინოს. მაგრამ ცხოვრების გამოცდილებამ, ჩემმა პირადმა ბედმა ღრმად დამარწმუნა, რომ ჩემი და მართალი იყო და მე — მტყუანი. მეც ხომ ჩემი ქალიშვილი სიყვარულით გავათხოვე. მართალი გითხრა, არ მინდოდა შვილი ვიღაც გადამთიელისათვის მიმეცა, მაგრამ რაკი ვიცოდი, რომ მათ ერთმანეთი უყვარდათ, არ დავუშალე ჩემს ქალიშვილს, ფრანგს შევრთე უცხოეთში. ახლა შენც კარგად მოგეხსენება, ჩემო მანანა, რა ბედნიერნი არიან ჩემი ქალიშვილი და ჩემი სიძე აშილი...

ამ საუბარში იყვნენ მეგობრები, რომ მათთან კონსტანტინე დადიანი მოვიდა და ახალი ამბავი მოიტანა: სალომეს და აშილს მეორე ვაჟი შესძენიათო.

...ლამაზი ქალი იშვიათად თუ არის გულახდილი მეორე ლამაზი ქალის წინაშე. ეჭვს, შურსა და ქიშპობას არსად ისეთი დიდი ადგილი არა აქვს, როგორიც ლამაზი ქალების ცილობაში. აქ ყველაზე ადვილად მიმართავენ სიცრუესა და ორპირობას და არც რცხვენიათ, თუ ეს შეამჩნიე. ლამაზმანები ხშირად არც უმხელენ ერთმანეთს თავიანთ გულისნადებს და ბევრ რამეს, გამოგონებულსა და გაზვიადებულს, გადამეტებულსა და შეთხზულს მართალ ამბად ასაღებენ. მაგრამ საქართველოს ეს ორი ულამაზესი ქალი — ეკატერინე ჭავჭავაძე და მანანა ორბელიანი საკმაოდ მობერებულნი იყვნენ და ის დაფარული ქიშპობაც სადღაც გამქრალიყო.

რაკი შეატყო, ეკატერინეს დიდად აინტერესებდა გარდასულ ამბავთა მოგონება, მანანამ თვითონ წამოიწყო:

— ახლა, ჩვენ ისეთ ასაკში ვართ, ჩემო ეკატერინე, რომ სირცხვილია გულახდილნი არ ვიყვნეთ ერთმანეთთან და ჩვენს შორის კიდევ იყოს რამე დამალული.

— მართალია, ჩემო მანანა, გულახდილობაც, გულწრფელობაც და მეგობრობაც ჩვენ სწორედ ახლა გვმართებს, რომ ეს დარჩენილი დღეები სიამტკბილობაში გავატარონ.

— ჰოდა, იმას მოგახსენებდი, ჩემო ეკატერინე, აი, ჩვენ, სამივენი, გავთხოვდით, სამივენი ბედნიერად ვთვლიდით თავს, მერე სამივენი დავქვრივდით, და ახლა რომ ვაკვირდები, სამივეს ერთი ბედი გვარგუნა ღმერთმა.

მანანა ამ სამში ეკატერინეს, ნინოს და თავისთავს გულისხმობდა.

— მართალი გითხრა, ნინოსაგან არასოდეს მსმენია ბედის ჩივილი. მან ბოლომდე ატარა ცოლ-ქმრობის უღელი და ერთგულების ფიცი შეასრულა. მაგრამ, ასე მგონია, რომ ნინოც, შენც და მეც ცუდად მოვიქეცით, ჩვენ სრულიად ახალგაზრდები დავქვრივდით და შეგვეძლო მეორედაც გავთხოვილიყავით, ახალი ბედნიერება მოგვეტანა ჩვენი სულისათვის. თქვენი არ ვიცი და, მე კი ვნანობ, რომ ასე არ მოვიქეცი. ცუდად განვლე ჩემი ახალგაზრდობა, ჩემი ქვრივობა და საერთოდ ჩემი ცხოვრება.

აქ შეჩერდა მანანა, ხანშესულ ქვრივს ცრემლი მოერია და სათქმელი ვერ დაასრულა. ეკატერინე ჯერ მოეფერა მეგობარს, მერე სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი, მაგრამ მანანა არ ეშვებოდა გაუთხოვრობაზე ლაპარაკსა და ძველი ამბების მოგონებას:

— კატინა, შენ კარგად იცი, რომ ვიქტორი ძლიერ მიყვარდა. არც ის იყო ურიგო კაცი, შესაფერისიც იყო ჩემი წოდებისა და მდგომარეობისათვის, და ის იყო, დავუახლოვდი კიდეც. მე იგი განათლებით, ნაკითხობით, ჭკუით მაოცებდა, მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ განათლებისა და ჭკუის გარდა, თურმე მამაკაცს ვაჟკაცობა უნდა ამშვენებდეს. ეს ბუნების კანონია. მაგონდება: ჩვენ ერთად ვისხედით თქვენს ბაღში, წინანდალში... რაზე არ მესა-

უბრეზოდა ვიქტორი: პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე, ყველაფერზე, მაგრამ ვხედავდი, რომ მე კიდევ სხვა მინდოდა, ამ სხვისთვის მე მაშინ სახელი ვერ დამერქმია, მაგრამ ვგრძნობდი კი, რომ ეს სხვა ვაკკაცური ლაზათია და ეშხი.

ჰოდა, იმას მოგახსენებდი, მთელი საღამო ვისაუბრეთ. ის ჰყვებოდა ცისა და ბარისას, მე ვუსმენდი და მერე, როცა გამომემშვიდობა და ხელი ჩამომართვა, შევამჩნიე, რომ ქალივით პატარა და ნაზი ხელები ჰქონდა, ოფლიანი და ცივი. მე ავკანკალდი, ტანში გამაჟრჟოლა. მან ეს შემატყო, მაგრამ მაინც ღიმილით გამომემშვიდობა.

იმ საღამოს სულ არ მიძინია, ვბორგავდი, რაღაცას ვეძებდი, რაღაც მინდოდა, ვიქტორს, ვისაც ასე თაყვანსა ვცემდი, როგორც ნაკითხსა და განათლებულს, მე მაშინ სიამოვნებით გავცვლიდი.. მიმიხვდები და სადღაც გულის სიღრმეში დამეთანხმები კიდეც შენს ერთგულ მეგობარს.

მერე ერისთავს გავყევი. ეს მოფიქრებული ნაბიჯი იყო, ჩემი ქმარი, კლდესავით მაგარი და შეუდრეკელი მამაკაცი მეგონა და მივანდე კიდეც ბედი და ოცნებები. მაგრამ დაუფარავად გეტყვი, ჩემო ეკატერინე, რომ ამაშიაც მოვტყუვდი. მთელი თხუთმეტი წელი ვიცხოვრე ერისთავების ოჯახში და იმ წლების ბედნიერი დღეები არ მახსოვს. აი, ამიტომ უნდა გავთხოვილიყავი მეორედ, ისევ უნდა მეცადა ბედი.

ეკატერინე ხმას არ იღებდა. მანანას უკვირდა, ვერ მიმხვდარიყო, რატომ დუმდა ეკატერინე.

— არ დაგიმალავ და გეტყვი, — განაგრძობდა მანანა, — ქმარი რომ გარდამეცვალა, ერთ ხანს არც გამიხედავს მამაკაცისაკენ, მაგრამ შემდეგ ქალურმა სისუსტემ მძლია და ისევ დავუწყე რჩევა მამაკაცებს. მაგრამ ჩემს ნაცნობ-მეგობრებში ისეთი ვერავინ დავიგულე, იმის გულში ის ნაპერწკალი რომ დამენახა, ის გრძნობა რომ ამომეკითხა, რომელსაც ყმაწვილქალობიდან დავეძებდი. ჰოდა, მეც ჩავიქნიე ხელი. ვერავის მივანდე ჩემი ბედი. მართალი გითხრა, არ მინდოდა ვიღაც უხეიროს ხელში დამეტანჯა და დავხურე ჩემი გულის ყველა სარქველი. გათხოვებაზე ფიქრს თავი დავანებე, მაგრამ სამაგიეროდ, მოვისურვე ყოველდღიური ჩემი ცხოვრება ისე მეტარებინა, რომ რაღაც ბედნიერება მომეპოვებინა. სალონიც

ამიტომ დავაარსე და ქვეყნისთვის ზრუნვას შევუდექი, მაგრამ ვერც აქ გამიმართლა ბედმა. ახლა გულახდილად გიყვები ყოველივე ამას და ასე მგონია, ეს ჩემი უკანასკნელი აღსარებაა, ქალის აღსარება მეგობრის წინაშე. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, გამიგებ თუ არა ყოველივე ამას, ჩემო ეკატერინე! ჩვენი დღეები უკვე დათვლილია და არც მადარდებს, თუ რას იტყვიან ჩემი სიკვდილის შემდეგ. ეს კი ვიცი, რომ დღემდე ამბობენ ორბელიანების ქალებზე, ლამაზები, დროსტარების მოყვარულნი, დიდებული სატრფონი იყვნენ და არც არა დაუკლიათ ამქვეყანაზეო. მაგრამ თუ ჩემს გულს ჰკითხავენ, ყველაფერი ეს გარედან ჩანდა ასე. ნამდვილად კი უბედური ვიყავი ყველა ჩემს სწორსა და მეგობარს შორის.

მანანას ტირილი მოერია. ეკატერინემ მეგობარი გულში ჩაიკრა. დიდხანს ისხდნენ ასე.

* * *

ივნისის ბოლოს მარტვილში დიდი საეკლესიო დღესასწაული იმართებოდა. საიდან არ მოდიოდნენ იმ დღეს მონასტერში სალოცავად, შესაწირავად, სადღეობოდ, მისტერიების და ცეკვა-თამაშის სანახავად: სამეგრელოს და იმერეთის, გურიისა და აფხაზეთის სოფლებიდან და დაბებიდან... მოდიოდნენ, ვისაც როგორ შეეძლო ზოგი ურმით მოდიოდა, ზოგი ცხენით და ზოგიც — ქვეითად. ურმებზე ღვინით სავსე ტიკები, სანოვაგით დატვირთული ხურჯინები ელაგა. დეკეული, ცხვარი, ბატკანი თუ ციკანი ჭალებზე იყო მიმობნეული. ცხენებს კი ერთ მხარეზე ტიკები ჰქონდათ აკიდებული, მეორე მხარეზე — სანოვაგით სავსე ხურჯინები. ღარიბებსა და ლატაკებს თავიანთი ღარიბული სანოვაგე ზურგით მოჰქონდათ. მარტვილისაკენ მიმავალ გზებზე ტევა არ იყო.

სამი დღე გრძელდებოდა ეს დღესასწაული. პირველ დღეს მლოცველები მარტვილის მონასტრის ფერდობებზე, მონასტრის ეზოს ქვემოთ, კარვებს დგამდნენ ხოლმე და ღამეს იქ ათევდნენ; მეორე დღეს საკლავს ჰკლავდნენ, იქვე ხარშავდნენ და სწვავდნენ. ცეცხლის ალი, კვამლი და ქვაბების ოხშივარი ერთმანეთს უერთდებოდა, მერე დაუბერავდა დასავლე-

თოდან მოსული ზღვაური და ზედ ბალახებზე გააკრავდა ნისლსა და ბურუსს. მერე კი ისევ ზეცისაკენ მიიწევდა ცეცხლი და კვამლი.

ესამე დღეს დღეობა იწყებოდა. ყოველ დიდ ოჯახს, ან ყოველ გვარს თავისი სუფრა ჰქონდა გაშლილი, მერე ყველაფერი აირეოდა, ვინ ვისთან სჭამდა და სვამდა, ძნელი გასარჩევი იყო. მშვიდობიანი ხალხი კი ლიტანიობდა, ზეიმობდა, ერთობოდა. საგანგებოდ ჩაცმულ-დახურულნი თავს იწონებდნენ და თავს აწონებდნენ სმითა და საუბრით, სადღეგრძელოებითა და მოხდენილი სიტყვაპასუხით, სიმღერითა და ცეკვით, ოხუნჯობითა და ანდაზებით, ბერიკაობითა და სხვა სანახაობით, ლამაზი ქალიშვილებითა და ვაჟიშვილებით.

ეგრეთ წოდებული გინოჯინაფაც — წინასწარ შეგულებული გასათხოვარი ქალიშვილებისა და საქორწინო ვაჟების ნახვა-გაცნობაც აქვე იმართებოდა. ზოგი ნიშნობაც აქვე ღრეობაზე ხდებოდა და ქორწილის დღეც აქ ინიშნებოდა.

ზოგნი გაშლილ სუფრას უსხდნენ ფეხმორთხმულნი, ზოგნი ფეხზე იდგნენ სავსე ყანწით, ზოგიც მღეროდა, მეზობელთან ხელგადახვეული, და იყო გაბმული ლხინი... იქვე შორიახლო ლერწამივით აშოლტილი, ნაწნავებიანი ქალიშვილები, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ქამარ-ხანჯალში ჩამჯდარი, წუღა-მესტებით თითის წვერებზე შემდგარი ვაჟები პირისპირ იდგნენ და საცეკვაოდ და საასპარეზოდ გამზადებულნი, ერთმანეთს ზვერავდნენ. იდგნენ რაღაც დიდის მოლოდინში; ჩუმად, შეპარვით, ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდნენ ერთმანეთს.

მერე შეგროვდებოდნენ, წრეს მეჭკრავდნენ, ვაჟები სიმღერას წამოიწყებდნენ, ქალები ტაშსა და დაირას ააყოლებდნენ, და იწყებოდა თავდავიწყებული ცეკვა-თამაში. ვაჟი ქალს გამოიწვევდა სათამაშოდ, ქალიც ოგბანით გამოჰყვებოდა ცერებზე შემდგარ ვაჟს, მერე შემოუვლიდნენ მოედანს, ვაჟი ქალს გამოეკიდებოდა, ქალი გაურბოდა მას, ვაჟი ცეკვით გზას გადაუჭრიდა და პირისპირ კედელივით აღემართებოდა, ქალი მკლავებქვეშ ლამაზად გაუძვრებოდა და ისევ ოგბანით წრეს უვლიდა... ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ცას სწვდებოდა მათი ჟრიამული.

ხშირად დასანიშნად შეგულებული ქალ-ვაჟიც გამოდიოდა საცეკვაო მოედანზე. მერე იყო აწონ-დაწონა, ფიქრი და მსჯელობა. ვის რა ჰქონდა კარგი: ფეხი თუ ხელი, ტუჩ-კბილი თუ ტანი. და ასე, ამ ცეკვასა და ლაღობაში, საქმეც ბევრი იჩარხებოდა.

ახლა ბერიკები გამოვიდოდნენ მოედანზე. ბერიკებს ჰესაზანდრეები მოსდევდნენ. ზოგ ბერიკას დათვის ტყავი ემოსა, ზოგი კაცი ქალურად გამოეწყობოდა და თავსაფარიანი დედაკაცივით წრეს უვლიდა, ვიღაცას დასცინოდა ისევ სიცილი და ღრიანცელი ჰფარავდა იქაურობას.

მონასტრის მოედანზე ყველა ადგილი განაწილებული იყო. თავადიშვილები ცალკე იყვნენ. აზნაურები და გლეხები — ცალკე. როცა შეზარხოშდებოდნენ მოქეიფენი, წოდებრივი ზღუდე პირველად აზნაურსა და გლეხებს შორის ირღვეოდა, ყველა ერთმანეთში აირეოდა; თავადები კი, თუ მოისურვებდნენ გლეხის სუფრასთან მისვლას, გლეხი ხარობდა მათი სტუმრობით, გულგაშლილი ეგებებოდა თავადიშვილებს. ეს მისვლა-მოსვლა მეტწილად კეთილად მთავრდებოდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა დღეობას დიდი უსიამოვნებაცა და მსხვერპლიც მოსდევდა ხოლმე.

იმ დღესაც ასე მოხდა. ჩიჩუას ქალი საკანდელიძის ბიჭს ეცეკვებოდა. გივი საკანდელიძე გლეხის პირობაზე შეძლებული ოჯახის შვილი იყო, კარგად ჩაცმული და ტანადი. ჩოხა-ახალუხში და აზიურ წაღებში გამოწკეპილი, გარეგნობით ნამდვილ თავადიშვილს არ ჩამოუვარდებოდა და დიდადაც მოსწონდა ყველას. ახლა იგი შეზარხოშებული იყო და თამამად ცეკვავდა, როცა გოგმანით წრეს უვლიდნენ, ისე ახლო მიეჭრა ქალს, ისე ახლო მიიტანა სახე ქალის სახესთან, რომ იტყოდი, საკოცნელად ემზადებაო. ქალებმა სიცილი ატეხეს. იქვე იდგა ქალის ძმა, ერთი თავნება და ჩხუბისთავი — ანდრო ჩიჩუა. თვალის დახამხამებაში ჩაჭრა მოცეკვავენი და თვითონ გაჰყვა დას გოგმანით. საკანდელიძის ბიჭმა ეს გამოწვევა იუკადრისა, გადაუხტა მოცეკვავეებს, და ჩიჩუას ქალი ისევ გაჰყვა წკიპზე შემდგარ ვაჟს. ეს კი აშკარა შეურაცხყოფად მიიღო ანდრომ და მრისხანედ შეუტია საკანდელიძის ბიჭს:

— ჰაი, შე გლახის შვილო, შე გლეხუკავ შენა! თავი რომ გაგიყადრა ჩემმა დამ, რა, შენი ტოლი გეგონა, შე ყურუმსაღო შენა?

ახლა საკანდელიძის ვაჟი გაჯიქდა და თავის მხრივ შეუტია გაბღენძილ თავადიშვილს. საკანდელიძის მამას ნოღალევში საწვრილმანო დუქანი ჰქონდა: პურთ, ნავთით და მარილით ვაჭრობდა და იმდენი ფული შეიძინა, რომ წელში გასწორდა, საკანდელიძის ვაჟი ახლა უკვე გლეხობასაც აღარ კადრულობდა და მუდამ წარჩინებულთა წრეში ტრიალებდა. წარჩინებული თავადიშვილები კი ამრეზილად უყურებდნენ გათამამებულ გლეხის შვილს.

საკანდელიძის ბიჭს გულში ჩაუვარდა ჩიჩუას ქალის სიყვარული. მაგრამ ჯერ არც ქალს უმხელდა და არც არავის. ქალი მიუხვდა გულისნადებს და ამიტომაც ასე მღელვარეღ ეცეკვებოდა. საკანდელიძის ბიჭს ქონების იმედი ჰქონდა, და დროს უცდიდა თავისი ხვაშიადი გაემხილა ქალის დედა-მამისათვის. და აი სწორედ ამ დროს გადაეღობა წინ ქალის ძმა. ბიჭს ასე ეგონა, ჩიჩუების გამოწვევა უარს ნიშნავსო, თავს არ მიყადრებენ უბრალო გლეხსო და ახლა ამან უფრო ააღელვა, სისხლი ყელში მოაწვა:

— არა, შე მართლა ყურუმსაღო, ისეთი ვინ ბრძანდებით, რომ ცეკვასაც არ კადრულობთ ჩემთან? შენისთანა მშიერი თავადიშვილი ცოტა როდი დაღოღავს აქ. რა თავში ვიხლი მე შენს ცარიელ თავადიშვილობას. ერთი ეს მითხარი, ვინ დაგალევინა ღვინო, შე დამშეულო, ა?

ამ სიტყვა-პასუხს სიცილი და ხარხარი მოჰყვა. ეს კი უკვე მეტისმეტი იყო და მთვრალმა ჩიჩუამ ხანჯალი იშიშვლა, მაგრამ საკანდელიძის ბიჭმა დაასწრო და შიგ მუცელში ატაკა სვანური სატევარი. ხანჯლებითა და ჯოხებით ჩიჩუას და საკანდელიძის მომხრეები ერთმანეთს დაერივნენ და, აირია მონასტერი. შეკინკლავებულთა ბრბო თოვლის გუნდასავით აგორდა და მონასტრის ფერდობს მოედო. ვინ ვის ურტყამდა, ვინ ვის აგინებდა — არავინ იცოდა. ძაღლი პატრონს ვერა სცნობდაო, რომ იტყვიან, სწორედ ისე იყო ახლა იმათი საქმე.

როცა ყველაფერი დამშვიდდა, სამი დაჭრილი გამოიყვანეს საკაცით. ჩიჩუას ბიჭი იმავე საღამოს გარდაიცვალა, საკანდელიძე კი იქვე დააპატიმრა სენაკელმა ჩაფარმა...

როცა აქ, მონასტრის ფეერდობებზე, ასეთი ამბავი იყო, მაშინ იქ, ვარტვილის მონასტრის ეზოში, ჭყონდიდელის სახლში, დიდი თავადიშვილები მშვიდად უსხდნენ სუფრას და ეკატერინე დედოფლის სადღეგრძელოს მიირთმევდნენ.

სამეგრელოში ყოფნისას ეკატერინე ყოველთვის ესწრებოდა პეტრეპავლობის დღესასწაულს. შვილებით იმ წელსაც ეწვია მარტვილს.

იმ დღეს თეოფილე ჭყონდიდელი სწირავდა, დიდი ქებადიდებით მოიხსენია ეკატერინე, როგორც მფარველი ანგელოზი ამ კუთხისა. წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ კი, ოჯახშიც მიიპატიჟა. ჭყონდიდელის სუფრაზე თავმოყრილმა თავადიშვილებმა უზომო ხოტბა შეასხეს ეკატერინეს...

* * *

1870 წლის 25 მაისს ეკატერინეს გორდში შეატყობინეს, მანანა ორბელიანი ავად გახდა და უკანასკნელ დღეშიაო. ამ ამბავმა დედოფალს თავზარი დასცა.

ერთი წლის წინათ ყირიმიდან დაბრუნებულმა მანანა ორბელიანმა ეკატერინე გორდში მოინახულა. მანანა 1858 წლიდან მეტ დროს ყირიმში, თავისი ქალიშვილის, დაქვრივებული ტასო გაგარინას მამულებში ატარებდა. ეკატერინე 1857 წლიდან ხან პეტერბურგში იყო და ხან პარიზში. და აი, დიდი ხნის უნახავი დობილები შარშან პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. მათს ხსოვნაში ქალიშვილობის დაუვიწყარი დღეები აღსდგა. დიდხანს საუბრობდნენ და განვლილ დღეთა ნეტარებასა თუ წუხილს იგონებდნენ. ეს მოგონება ერთსა და იმავე დროს ტკბილიც იყო და მწარეც...

თუმცა ეკატერინეც ავად იყო, გადაწყვიტა დაუყოვნებლივ თბილისს გამგზავრებულიყო. გული უგრძნობდა, რომ ვეღარასოდეს ნახავდა მანანას. ეს აიძულებდა, რომ ავადმყოფსაც კი არ დაეზოგა თავი და მოენახულებინა სიყრმის მეგობარი.

ეკატერინემ ბრძანა და მეორე დღესვე მოამზადეს ამალა— ექვსი სეფე ქალი და თორმეტი მამაკაცი. გორდიდან დილით ადრე გამოვიდნენ და საღამოს ძლივს მიაღწიეს ქუთაისამდე.

აქ ეკატერინემ ერთბაშად თავი ცუდად იგრძნო — გულს იტკიებდა. მოასვენეს, მოუარეს, მაგრამ ტკივილებმა არ უკლო. მთელი ღამე წვალებაში გაატარა, მეორე დღეს ‘კი იძულებული. გახდა უკანვე — ზუგდიდს დაბრუნებულიყო. წუხდა და ბორგავდა დედოფალი, დობილზე ფიქრი არ ასვენებდა; გული თბილისისაკენ მიუწევდა, მაგრამ ვერა და ვერ მოიკეთა.

სარეცელს მიჯაჭვული მანანაც ასევე ოხრავდა და კვნესოდა. კვდებოდა საქართველოს ციდევ ერთი ულამაზესი ასული— ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეთა სიყრმის მეგობარი.

ეს სამება — მანანა, ნინო და ეკატერინე მთელ საქართველოში მარტო დობილებად კი არა, ულამაზეს ასულებადაც იყვნენ მიჩნეული, და აი ამათგან ერთი—უკვე ათი წელი იყო, რაც ნინო ამ სამეულს გამოეცალა. ახლა კი მანანაც ეთხოვებოდა წუთისოფელს.

გრიგოლ ორბელიანი სასთუმალთან უჯდა მანანას. რას არ უყვებოდა, რას არ იგონებდა, ოღონდ კი ცოტა გუნებაზე მოეყვანა ავადმყოფი.

მანანამ თვალი გაახილა, მეგობარს შეანათა და სვენებ-სვენებით დაიწყო:

— გახსოვს, გრიგოლ, რანაირი იყო ჩვენი მეგობრობა! შენ მაინც სულ სხვა იყავი ჩვენთვის, ჩემთვისაც, ნინოსთვისაც და ეკატერინესათვისაც. ჩვენ ‘ბშირად ვეჭვიანობდით კიდეც. ჩვენს შორის ვისთან უფრო ახლო იყავი, იყო ერთი ცილობა, მიწევ-მოწევა და უნდობლობა, მაგრამ ჩვენ მაინც ერთად ვიყავით და მზოლოდ შენს სიყვარულში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. აბა, სხვა რა გვქონდა ჩვენ გასაყოფი. შენც კარვად გახსოვს, ჩემო გრიგოლ, მე ქმრის საფლავზე ფიცი დავდე, არავის გავყოლოდი, არ გავთხოვილიყავი და შევასრულე კიდეც ეს სიტყვა. მავი კაბა დღემდე არ გამიხდია ნიშნად ქმრის, ოჯახისა და შვილების პატივისცემისა, თუმცა მთხოვნელები და თაყვანისმცემლები როდი მაკლდნენ. უკვე ორმოც წელს გადაცილებული ვიყავი, როდესაც თბილისში ამერიკის ელჩი გვესტუმრა. მეცა და ჩემს ქალიშვილს ტასოსაც ორივეს შავები გვეცვა. არ მოერიდა ელჩი ამას და ორივეს პატივისცემას და სიყვარულს გვიმჟღავნებდა, განსაკუთრებით მე არ მაცილებდა თვალს. მისი ინგლისურისა მე არაფერი მესმოდა, მაგრამ რო-

გორც მერე მითარგმნეს, თურმე სიყვარულს მეფიცებოდა და ცოლობასაც მე მთხოვდა. მე კი მეგონა, ქალიშვილის ხელს მთხოვდა და გაოცებული ვიყავი ამის გამგონე. და განა მარტო ეს ელჩი? ბევრნი იყვნენ ჩემი ხელის მთხოვნელები, მაგრამ ქმრის საფლავთან დადებული ფიცი წმინდად შევინახე. თუმცა გულცივი არ ვიყავი არავის მიმართ, განსაკუთრებით კი, შენს მიმართ, ჩემო გრიგოლ, და ახლა, სიკვდილის წინ, როგორც აღსარება, ისე მითქვამს შენთვის: მამაკაცთა შორის ყველაზე უფრო ტკბილი შენ იყავი, იმედად შენ მეგულებოდი. როცა შორს იყავი ჩემგან, შენი დარდი და სევდა მახრჩობდა; როცა ახლო იყავი, ვხარობდი და ვნეტარობდი, თან ვეჭვიანობდი. დიახ, შენ სხვა იყავი სულ სხვა, ჩემო...

თვალზე ცრემლი მოადგა და სიტყვა ყელში გაეჩხირა. გრიგოლს ცრემლი მოერია, შერცხვა და, რომ არ აქვითინებულიყო, ადგა. დიდხანს იდგა გაშეშებული...

გრიგოლ ორბელიანს მანანასავით არავინ ჰყვარებია...

გრიგოლი ყოველ წერილში მანანას მიმართავდა, მას ეაჯებოდა. ხან წერილის მოწერას სთხოვდა, ხან კიდევ ქისას. თბილ წინდასა და სხვა რამე მის ნახელავს. შემდეგ მისგან გამოგზავნილ ამ ნივთებს გულში იხუტებდა, ხელით ეალერსებოდა, მიჯნურობას უმჟღავნებდა. ამის გახსენებაზე გრიგოლი პატარა ბავშვივით აზლუქუნდა. მანანას შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი მდუღარე ცრემლები:

— რაა, გრიგოლ, ნუ მაჩვენებ შენს ცრემლებს! ხომ იცი, ამის ატანა აღარ შემიძლია. განა ვკვდები? — ამ სიტყვებზე ხელი ხელზე მოუფათურა გრიგოლს. ასე იყვნენ დიდხანს სულგანაბულნი, მაგრამ უცბად მანანას ხველა აუვარდა და ცუდად გახდა. ექიმს მოუხმეს, მაგრამ ექიმმაც ვერ მოუსწრო, გულშეღონებული ბალიშებზე მიესვენა და ხროტინი დაიწყო. გრიგოლმა ვეღარ გაუძლო ამ სურათს და გარეთ გავარდა. მთელი საათი იწვალა მანანამ და ასე წვალებით აღმოხდა სული საქართველოს ამ ულამაზეს ასულს...

1870 წლის 3 ივნისს მანანა ორბელიანი სამების ეკლესიაში დაასაფლავეს. მთელმა თბილისმა გააცილა თბილისის ცისკარი.

გულმოკლული გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძეს ატყობინებდა: „მწუხარება მწუხარებაზე დაგვერთო... სამებაში მივასვენეთ ჩვენი სასიქადულო მანანა“...

როდესაც ეკატერინემ ეს სტრიქონები წაიკითხა, გული შეუღონდა, იტირა, იტირა კი არა, მოსთქვამდა, ავადმყოფ დედოფალს ამშვიდებდნენ, ეფერებოდნენ, მაგრამ ამაოდ... მერე ეკატერინემ ის ბარათი მოატანინა, რომელიც ცოტა ხნის წინათ მანანამ გამოუგზავნა მისი ქალიშვილისათვის მოქსოვილ საჩუქართან ერთად. მანანა სწერდა: „უსაყვარლესო დედო ეკატერინე, იმ დღეს მოგახსენე, თქვენის ქალიშვილისათვის ორი სარტყელი და ერთი თავსაკრავი მომირთმევია, თუმცა არ არის მაგისი შესაბამი ლამაზები, მაგრამ გიყვარვართ და ჩემგან სიამოვნებით მიიღებს, და არ შემრისხავთ. ყმაწვილი ქალია და გაებედება მცირე რამ ჩემგან“...

ბარათი რომ წაიკითხა, ეკატერინე უფრო ცუდად გახდა. შემდეგ ხატის წინ დაიჩოქა:

„ეჰ, მანანა, შენ წახვედი ჩვენგან და მეც მალე მოგეწევი. ცხოვრება თურმე უფრო რთული ყოფილა, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა ქალიშვილობისას. ცხოვრება არც ის ყოფილა, რაც რომანებში ამოგვიკითხავს, რის გამოც ბევრი ცრემლებიც გვიღვრია. თურმე ის რომანები სხვა ყოფილა, ცხოვრება კი — სხვა. ის ლამაზი სიყვარული, რომელზედაც ისინი მოგვითხრობდნენ, მოჩვენება ყოფილა, ლამაზი ზღაპარი ყოფილა, ყველაფერი ამქვეყნად წარმავალი და წუთიერია. წავიდა ჩვენი დღეები, სიამით სავსე; მოვიდა ჩვენი უკანასკნელი განკითხვის დღეც. აჰა, შენ უკვე წარსდექი ამ განკითხვის წინაშე და ვალი მით მოიხადე. ახლა მე მიკაკუნებს სიკვდილი კარსა, და მაკრჟოლებს შეგრძნება იმისა, რომ მარტო დავრჩი ამ განკითხვის ჟამს, მარტო, მეგობრებისაგან და ახლობლებისაგან მიტოვებული... ვაი, რა გაუტანელი ყოფილა ეს წუთისოფელი“.

ეს თქვა და თვალი ცრემლით აევსო ეკატერინეს, ცრემლს რომ არ დაეხრჩო, ხმამაღლა იყვირა: — წყალი, წყალი..

დედოფალს წყაროს წყალი მიართვეს. შესვა, მოსულიერდა, მაგრამ ისევ მილულა თვალი და მთელი დღე ისე გაატარა, რომ ხმა არავისთვის გაუცია.

იმ დღეს ეკატერინე თავის ბარათებს ალბომში ალაგებდა. მაგიდის უჯრიდან ერთი ბარათი ამოიღო. გრიგოლ ორბელიანის წერილი იყო, მანანა ორბელიანისადმი მიწერილი. გაშალა და წაიკითხა:

„ალბათ, ისევ ნებივრობთ უჩემოდ. როგორა ხარ, ჩემო მანანა, ღ-თს ვკსთხოვ თქვენ და ნინო ამ დიდმარხვის მადლმა მაინც მოგარჯულოსთ... დაუტევეთ ეშმაკი, რომელიცა წინ გიძღვისთ თქვენ სულისა თქვენისა წარსაწყმენდელად, თორემ იქნების საზარელ, რომელთა აღარსათ უშველის არც კბილთა ღრჭენა და არც სასოწარკვეთილება. ნინო ხომ არ მოსულა რუსეთიდან?

სალომე და ეკატერინე როგორ იმყოფებიან? ძალუა ელისაბედი მწერს, ნინო დანიშნულაო მოსკოვში, მართალია?"

წერილი განზე გადადო და გრიგოლ ორბელიანთან გასაგზავნ ბარათს მიაწერა: „ჩემო გრიგოლ, ამას წინათ ჩემთან რომ იყო მანანა, მაშინ აქ დარჩა-ეს შენი წერილი. მაშინ ერთად წავიკითხეთ და ბევრიც ვიცინეთ. მანანა ძალიან კარგ გუნებაზე იყო. ნეტავ იმ დროსა! ვინ იფიქრებდა, თუ ასე გამოგვეცლებოდა ხელიდან. წერილი მანანასათვის უნდა გამეგზავნა. მაგრამ შემრჩა. რაკი ახლა მანანა აღარ არის, შენვე გიგზავნი ამ შენს ბარათს".

ეკატერინემ ეს ბარათი თავის წერილთან ერთად დაკეცა, ფრთხილად ჩადო კონვერტში და გრიგოლ ორბელიანს გაუგზავნა.

* * *

ის ზამთარი ზუგდიდში გაატარა ეკატერინემ. იქ მიიღო გრიგოლ ორბელიანის ბარათი:

„თქვენო უგანათლებულესობავ, მოწყალეო დაო ეკატერინევ! მომირთმევია კრძალვითა და შიშით სალაღობოს ალავერდი. არ ვიცი, მოიწონებ თუ არა, მავრამ არ დავმალავ. მინდა კი, დიდად მოგეწონოთ. რა ვქნა, სიტყვა-სიტყვითი თარგმანი არ ივარგებდა. ამის გამო ვადმოვიღე მხოლოდ აზრი სალაღობოსა და განვავრცელე ქართველთა ჩვეულებების ჩამატებით, და ახლა არ ვიცი, ეს ჩამატება მოუხდა თუ არა, მსაჯული ამისა თქვენ ბრძანდებით...

...ამ ზამთარში არის დიდად გაჩაღებული ჰარტისტიჩესკი კრუჟოკი, სადაც ყოველ კვირას ერთხელ, ორჯერ ხან ბალი აქვთ, ხან მასკარადი, ხან თეატრი. თითქმის მთელი ქალაქი არის ჩაწერილი ამ კრუჟოკში და არის დიდი გაკვრა-გამოკვრა, მხიარულება, ტანციობა დიდს ხანსა.

იყო რამდენიმე ლექცია ფიზიოლოგიიდან, რომელთაც დიდად სახელოვნად კითხულობდა, ახლად გამოჩენილი სწავლული კაცი თარხანოვი — რამაზის შვილი. ძლივს ვეღირსენით ერთს სწავლულ ქართველსა, ქალებს დიდად მოსწონთ, ყაფლანს კი სწყინს, ღმერთსა ვთხოვთ, თქვენს სუფევასა სიხარულით, გულდასვენებით, სიმართლით, თქვენის მშვენიერი შვილებითა, და მეც მაღირსოს ხილვა თქვენი.

თქვენის უგანათლებულესობის მარადის ერთგული მოსამსახურე

გრიგოლ ორბელიანი.

5 იანვარი 1872 წ. თბილისი".

სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი გრიგოლ ორბელიანი უხვად წერდა ლექსებს; ისევ თბილისის საზოგადოების ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, ისევ დაუღალავად იგონებდა მეგობრებსა და ამხანაგებს, მათ შორის ყველაზე გულუხვად ეკატერინეს უმასპინძლდებოდა წერილებით:

...„უმოწყალესო დაო ეკატერინავ!

ვჰგრძნობ ჩემს დანაშაულობას; ვცოდე ცად მიმართ და წინაშე თქვენსა დავშთი პირშავად! არ ვიმართლებ თავს მით, რომ თან შეუძლებლობა, თან აქა-იქ სოფელში თრევა მიშლიდნენ აქამამდის წერილის მორთმევასა და ახლა ისევ თქვენმა გულმა, სიკეთით სავსემ, მომიგონა და წერილითა გამომაღვიძა, გამამხნევა და დამარწმუნა, რომ ამ დაუდგრომელს სოფელში არ ვჰყოფილვარ დაკარგული. ღმერთმან თქვენ, თქვენ შვილებითა ისე ვაგაბედნიერეს, როგორც მე გამახარეთ თქვენის მოგონებითა.

მიბრძანდებით პარიზში, უფალი მარადის გიძღოდეთ თქვენ მფარველად ზღვაშიაც და ხმელეთზედაც. მიხვალთ თქვენს შვენიერს სალომესთან. იქ მომიგონეთ და ჩემს მაგიერ მიუ-

ლოცეთ ორი ვაჟის დედობა და ჩამოიოცნეთ გულით, სულით, სალომეცა, მისი ქმარიცა და შვილებიცა მათი.

...ზაფხულმა ისე გაიარა, რომ ღრუბელი არ მინახავს, საშინელმა მოუწყვეტელმა სიცხემ გაახმო მიწა, მოსავალი დაჰსწვა. წყაროები დაჰშრნენ, მტკვარი ძლივსღა მოწინწკილებდა, ხოლო სექტემბრის გასვლის მოვიდა წვიმა და გააგრილა ჰაერი.

...გუშინ აქაური ხალხი რკინიგზით პირველად წავიდა მცხეთას, სადაც იდღესასწაულა. დილის ექვს საათიდან შუაღამემდის მოუწყვეტლივ მიდიოდნენ და მიდიოდნენ ვაგონები, ხალხით დატენილები, ზურნებით, ჭიანურებით, სიმღერით. სასიამოვნო სანახავი იყო, უშლიდნენ ზურნის დაკვრასა, მაგრამ არ დაიშალეს! „ჰეი, ინგლისს, ზნაეშ, სეგოდნია მცხეთობას პრაზდნიკ, ზურნა ნადა“. ანგლიჩანმაც ვერ გაიგო რა და თავი დაანება. შუაღამემდის მოუწყვეტლივ ისმოდა ზურნა და სიმღერა. მიყვარს ეს ჩვენი ხალხი, თუ არ წაუხდინეს ხასიათი...

თქვენი მარადის, საფლავამდი ერთგული.

გრიგოლ ორბელიანი

2 ოქტომბერი. 1872 წ. თბილისი“.

* * *

ილიას გამოცანები მთელს საქართველოში გახმაურდა. ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ხელიდან ხელში გადადიოდა. მერე დაიბეჭდა კიდეც და დიდი განგაშიც ატყდა. ეს ილიას მიერ ძველი საქართველოს ჭაობში გადასროლილ მეორე ყუმბარას ჰგავდა; პირველი ყუმბარა კი „ცისკარში“ დაბეჭდილი „ორიოდე სიტყვა“ იყო, ძველი აზრებისა და შეხედულებების ასაფეთქებლად გადასროლილი. აქედან მოკიდებული მამათა და შვილთა შორის, ძველსა და ახალს შორის ვამართული ბრძოლა არ შეწყვეტილა. იგი ხან აშკარად მომდინარეობდა, ხან ფარულად. ახლა კი ამ გამოცანებმა ისევ ააფეთქა საზოგადოებრივი აზრი, და ამ ყუმბარის ნამსხვრევები დიდ თანამდებობაზე მყოფ ბობოლა არისტოკრატასაც მოხვდა. ისინი ერთბაშად დადგნენ ილიას საწინააღმდეგო მხარეს. ახლა უკვე აშკარა იყო, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა არაფერს

აპატიებდა, არაფერს დაუთმობდა ძველ თაობას. და ძველებმაც მოუსმეს თანამოაზრეებს; შეიარაღდნენ „თოფითა და ჯინჯილითა“.. აქეთ იმერეთიდან მისცეს ბანი გრიგოლ ორბელიანს, იქით სამეგრელოდან გრიგოლ დადიანმა — კოლხიდელმა მოაწვდინა ხმა. და აი. ბრძოლის ასპარეზზე განრისხებული გრიგოლ ორბელიანი გამოვიდა, ილიას გამოცანებს მწვავე სატირული ლექსით უპასუხა („პასუხი შვილთა“). ორბელიანის ამ ლექსს ისევ მოჰყვა ილიას „პასუხის პასუხი“, აკაკი წერეთლის „ხარაბუზა ღენერალს“ და „კოღო-ბუზების პასუხი“. და თაობათა ბრძოლა აშკარა შეტაკებად გადაიქცა. მამებმა და შვილებმა არ დაიშურეს ერთმანეთის სალანძღავი სიტყვები: „ქონდრის კაცი“, „საქმით კუზა“, „ღობემძვრალა“, „ჭკვიან გლახები“, „კატის კნუტები“, „ცრუ პოეტები“ და ასე შეისხა ფრთები „უცენზურო მწერლობამ“. მთელი საზოგადოება ჩაება ბრძოლაში. ეს ამბავი ეკატერინემ გორდში გაიგო. ილია ჭავჭავაძეზე ისედაც გაბრაზებული დედოფალი ახლა მთლად გადაირია:

— ამას რას ვხედავ! როგორ ბედავს ასე აშკარად ყველას მასხარად აგდებას! არა, ამ გრიგოლ ორბელიანთან მაინც რა ენდა! როგორ, გრიგოლს თუ არ უყვარს ჩვენი მამული, გრიგოლი თუ არ არის საქართველოსათვის თავდადებული, მაშ, აბა, ის ვიღაც გლახის შვილები ყოფილან, არა?

ახლა ეს „ვიღაც“ არ მოეწონა და გაასწორა:

— ილია არ არის ნამდვილი ჭავჭავაძე, მე უარს ვამბობ მაგის გვარიშვილობაზე, უარს, — გაბრაზებული ამბობდა ეკატერინე, გორდიდან ედავებოდა ილია ჭავჭავაძეს!

როცა ეკატერინემ გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“ წაიკითხა. ცოტა დამშვიდდა. იმისი მწვავე, პილპილიანი სიტყვები მოეწონა და მთელი ღამე იმეორებდა: „ბურთივით მრგვალი ის ლიბერალი, ცრუ პოეტები, მესხი, მეველე“...

მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ ყველა- ხედავდა, ყველა გრძნობდა, სიმართლე ილიას თაობის მხარეზე იყო. ცხოვრებამ თვითონ გადაწყვიტა თაობათა დავა. ახალი საქართველო თავის ბელადებად ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს ირჩევდა. და ისე, ცხოვრების სასწორი ილიას თაობის მხარეზე გადაიხარა.

ილიასა და აკაკის სახელები ხალხში ლეგენდად გადავიდა. ხალხი იმეორებდა ახალი საქართველოს ბელადების სიტყვებს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, და ისევე გაიღვიძებს“. „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“.

აქ ილია ბუბუნებდა: „მესმის, მესმის სანატრელი, ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა, სიმართლის ხმა ქვეყნადა ქუხს, დასათრგუნად მონობისა“; იქით აკაკი მოსძახოდა: „რაკინდ ბედით ვიყო ჯრული, საშინელიც მექნეს ბოლო, არ შედრკება ჩემი გული, გინდა ქვითაც დავიქოლო“. ახალი საქართველოს ბელადები გმირებს ეძახდნენ, უყიოდნენ. მათი დაფისა და ნაღარის ხმაზე ხალხიც იღვიძებდა და ფეხზე დგებოდა. ხალხი იმეორებდა ილიას სიტყვებს:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რახედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია.

ხალხში იზრდებოდა სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადების, მისთვის თავშეწირვის დიადი გრძნობა. ახალი საქართველოს ბელადები ყოველივე დრომოჭმულს, უვარკისს ამხილებდნენ, და ხალხი ისევ მათს კვალზე იმეორებდა: „ბატონსა და ყმას შორის ძმობის ხიდი არ გაიდებაო“. ხალხში იზრდებოდა ძმობის, ერთობის, თავისუფლების რწმენა, იმსხვრეოდა ბატონყმობის ბორკილები, ისახებოდა ახალი საქართველოს კონტურები. ძველისა და ახლის გაყრა დიდი ტკივილებით ხდებოდა. მიმავალნო, გზა დაგვითმეთო, მისძახოდნენ მომავალნი. დრომოჭმულ წესებზე აღზრდილი ძველი თაობა უბრძოლველად არ სთმობდა პოზიციებს, და იყო შეხლა-შემოხლა, შეუპოვარი ბრძოლა.

ეს წლები საქართველოში გამოღვიძებული ახალი მებრძოლი დასის წლები იყო. ახალ აზრს ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, რაც ეკატერინე ჭავჭავაძეს უფრო აბრაზებდა და აანჩხლებდა. იგი „კაკო ყაჩაღისა“ და „კაცია ადამიანის“ ავტორს ვინებით იკლებდა. ეკატერინე ფიქრობდა: „მე თვითონ ჩავალ თბილისში, მე თვითონ მოველაპარაკები ილიას, მე, ქალი, საკადრისად გავუმასპინძლდები მას, რაკი ვერაფერს გამხდარან ამ თავზეხელაღებულ თავადიშვილთანო“.

ამასობაში ილიას „მგზავრის წერილებიც“ გამოქვეყნდა ეს ახალი ნაწარმოები გაფაციცებით გადაათვალიერა ეკატერინემ. გრიგოლ ორბელიანის ლექსს წააწყდა: „თერგი რბის, თერგი ღრიალებს“... ეს ეკატერინეს საყვარელი ლექსი იყო. ისევ გადაიკითხა ეს სტრიქონები და გაიხარა. მერე დაფიქრდა: „როგორც ეტყობა, ისევ შერიგებულან გრიგოლი და ილია!“ ახლა უკვე გრიგოლ ორბელიანზე ბრაზობდა. ეკატერინეს თავგზა აებნა, ვერაფერი გაეგო, რა ხდებოდა, და ის იყო გადაწყვიტა კიდეც თბილისში წასულიყო. მეორე დღესვე, ახლა უკვე გრიგოლ ორბელიანზე გაჯავრებულმა ეკატერინემ თავისი ვაჟით ნიკოთი თბილისს მიაშურა.

ეკატერინემ თბილისში ძმასთან — დავით ჭავჭავაძესთან დაიდო ბინა. იმ საღამოს დავითს ბევრი სტუმარი ჰყავდა. ეკატერინემ გულით გაიხარა, რომ ჭავჭავაძის ოჯახი ძველებურად კვლავ სალონი იყო თბილისის არისტოკრატიისა. ახლა დავითის ცოლი ანა ვანაგებდა ამ სალონს. ანა ევროპული და რუსული განათლების კვალობაზე აღზრდილი ქალი იყო და ისე აოცებდა ყველას, როგორც თავის დროზე ეკატერინე და ნინო. იმ საღამოს დავით ჭავჭავაძეს რუსი გენერალი და ფრანგი მხატვარი ეწვივნენ. ანა ფრანგულად ელაპარაკებოდა სტუმრებს. ეკატერინე ჩაერია ამ პაექრობაში და ყველაფერი დაავიწყდა. ამ საღამოს ისევ ძველებურად ქედმაღლობდა და დედოფლობდა, ყველას აოცებდა განათლებით, ფრანგული ენით, საუბრითა და საქციელით.

მეორე დღეს ეკატერინემ გრიგოლ ორბელიანი ინახულა.

ისხდნენ ძველი მეგობრები და იგონებდნენ ახალგაზრდობის დღეებს, გულს იოხებდნენ წარსულის მოგონებით და ბრაზით ლაპარაკობდნენ ახალთაობის თავგასულობაზე. ეკატერინე ილია ჭავჭავაძეს აგინებდა. გრიგოლი უფრო თავშეკავებით ლაპარაკობდა, ეკატერინეს ყველაფერს უხსნიდა და განუმარტავდა.

ეკატერინემ გადაწყვიტა, ილიას შინ ხლებოდა და მოლაპარაკებოდა. ის იყო მეორე დღეს მოემზადა ილიასთან წასასვლელად, რომ მოახსენეს, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგს გაემგზავრა თბილისის ბანკის წესდების დასამტკიცებლადო.

იმავე დღეს ეკატერინე გორდს დაბრუნდა.

* * *

1874 წლის მაისს ნიკო დადიანი გრაფ ადელბერგის ქალიშვილზე დაქორწინდა. ამ გრაფს — რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის ბავშვობის მეგობარს — ახლა სასახლეში კარის მინისტრის ადგილი ეკავა და დიდად მიღებული იყო მეფის კარზე. გრაფის უფროს ქალიშვილ მერისთან პარიზიდან დაბრუნებულმა ნიკომ ისევ განაახლა რომანი. საქმე ის იყო, რომ, როდესაც ნიკოს მინგრელსკის ტიტული დაუმტკიცეს და მთავრობა ჩამოართვეს, ალექსანდრე მეორემ თავის ადიუტანტად დატოვა. აი, აქ ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს ბავშვობის შეყვარებულნი: მერი ადელბერგი და ნიკო დადიანი. შემდეგ ეს შეხვედრა მწველ რომანად გადაიქცა, და ერთმანეთს ცოლქმრობის პირობაც მისცეს.

მერი აღტაცებული იყო, რომ ამ დარდიმანდმა, პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში პირველ ვაჟკაცად მიჩნეულმა დადიანმა ცოლობა სთხოვა. ნიკომ ეკატერინეს ნებართვა მიიღო და ქორწილიც დაინიშნა. ნეფე-დედოფალს ზამთრის სასახლის ტაძარში დიდი ამბით დასწერეს ჯვარი. ახალ ჯვარდაწერილნი საქართველოში გამოეშურნენ. პეტერბურგიდან ოდესამდე საგანგებო მატარებლით იმგზავრეს, ოდესიდან კი საიმპერატორო გემით ფოთში ჩამოვიდნენ. ფოთში მათ დიდი ზეიმით შეხვდნენ. ფოთიდან ისევ საგანგებო მატარებლით ქუთაისს გამოემგზავრნენ, რადგან ქორწილი გორდში იყო დანიშნული.

ფოთიდან მატარებლით გამომგზავრებულ ნეფე-დედოფალს პირველი დიდი შეხვედრა სენაკში მოუწყეს. მატარებელი გაჩერდა თუ არა, სადგურის მოედანი ხალხით გაივსო. ორი ულამაზესი ქალიშვილი მატარებელზე ავიდა, წინ გამოუძღვა ნეფე-დედოფალს. კიბესთან სახლთუხუცესი არჩილ დადიანი შემოეგებათ დიდი ყანწით. ყანწი ღვინით გაავსო და ნეფე-დედოფალი ადღეგრძელა. იქვე მდგარმა გუნდმა მრავალჟამიერი დააგეგუნა, ხოლო ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა 12 წლის ბიჭმა ნიკო დადიანს ხელში ხაჭაპური შეაჩეჩა და ასე უჩურჩულა: ნახევარი მეუღლეს მოუტეხე და მერე თქვენი ხელით ორივემ იმათ ჩამოურიგეთ, ვინც ახლა შემოგეგებათ მატარე-

ბელშიო. ხელს ართმევდნენ, ყვავილებს ესროდნენ, ხელს უქ-ნევდნენ, ტაშს უკრავდნენ ნეფე-დედოფალს. ვარდ-ყვავილებ-მა დაფარა მოედანი. მატარებელი ნელა დაიძრა და ხალხიც ფეხდაფეხ მიჰყვა. ისევ ვარდებს და ყვავილებს ესროდნენ ფანჯარასთან მომდგარ ნეფე-დედოფალს.

ქუთაისში თორმეტი ეტლითა და ასი ცხენოსნით ნეფე-დედოფალს ზუგდიდიდან და გორდიდან ჩამოსული მაყარი დახვდა და მაშინვე დაიძრნენ გორდისაკენ. წინა ეტლზე ნეფე-დედოფალი იჯდა, ეტლის კოფოზე — სახლთუხუცესი არჩილ დადიანი, და მერე ეტლები, ცხენოსნები... გამწკრივებული მაყ-რიონი გორდისაკენ გაუდგა გზას და უღელტეხილთან შე-ჩერდა, სადაც ცხენისწყალზე პომპეუსის თუ ბომბუას ხი-დია გადებული. მაყარი ეტლიდან და ცხენებიდან ჩამოქვეითდა და ფარდაგებითა და ყვავილებით მოფენილ ხიდზე გაიარა. ხიდის სახელურები კი მთლიანად ყვავილებით იყო შემოსი-ლი. გავიდნენ, და გაღმა სუფრა იყო გამართული. სუფრის თავ-ზე გრიგოლ დადიანი — ეკატერინეს მაზლი იდგა. ის წამოვი-და სავსე ყანწით, ჯერ გადაკოცნა ნეფე-დედოფალი და მერე დალოცა. ამ დროს იქვე ჩამწკრივებულმა მხედრებმა თოფი ორმოცჯერ გაისროლეს. ამას კი გორდიდან ზარბაზნებმა მის-ცეს ბანი და მთების ექომ გააყრუა იქაურობა.

გრიგოლ დადიანმა მთელი მაყარი ხიდის მეორე მხარეს გაშლილ სუფრაზე მიიწვია, დიდი ყანწი აიღო, ისევ მხურვა-ლედ გადაკოცნა ნეფე-დედოფალი და მერე ხმამაღლა ადღეგ-რძელა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბედნიერი იყოს ფე-ხი თქვენი, — ესა თქვა და ყანწი გამოცალა. ახლა კი „კუჩხა-ბედნიერი“ დააგუგუნა მაყრიონმა ორმოც თოფს ისევ ბანი მისცეს გორდის ზარბაზნებმა.

მერე დედოფალი ტახტრევანზე შესვეს. წინ გრიგოლ და-დიანი გაუძღვა ცხენით. ტახტრევანს ასამდე მაყარი ცხენდა-ცხენ და ფეხდაფეხ გარს შემოერტყა და გორდისაკენ გასწიეს. მთელი ის შვიდი ვერსი, ბომბუას ხიდიდან გორდამდის, მაყ-რიონმა სიმღერასა, ზარბაზნების სროლასა და თოფების გრიალში გაიარა.

გორდის სასახლის ეზოს მიადგნენ თუ არა, ისევ იგრიალა ზარბაზნებმა. შუშხუნები აუშვეს. კინჩხის მთაზე ანთებული კოცონი მთელ სამეგრელოს ამცნობდა გორდში დადიანების ქორწილის ამბავს.

ეკატერინე სასახლის ჭიშკართან შეეგება ნეფე-დედოფალს. ნიკომ ცალ მუხლზე დაიჩოქა და ხელი მოჰხვია დედის კალთას, მაგრამ უცბად დედოფალმა ხელი სტაცა, ფეხზე წამოაყენა და ცრემლმორეული თავათ გადაეხვია. ის ორივეს— შვილსა და რძალს — ხელმოხვეული ეკლესიისაკენ გაუძღვა.

სასახლის ეკლესიაში ნეფე-დედოფლის ბედნიერად მობრძანების აღსანიშნავად მცირე პარაკლისი გადაისადეს და ის იყო გორდის ხეივანში დიდ მოედანზე სუფრაც გაიშალა. სუფრას 500 კაცამდე უჯდა. მაგიდის გარშემო სიმღერა გუგუნებდა, ცოტა მოშორებით მუსიკა უკრავდა, ხოლო მოედანზე გამართულ ცეკვა-თამაშს ბოლო არ უჩანდა. მთელი ღამე გაბმული ლხინი იყო გორდის სასახლეში.

მეორე დილას, დილით ადრე, ნიკო მინგრელსკიმ მაყარი აშალა და თურჩუს ტყეში დათვებზე სანადიროდ წაუძღვა. სანადიროდ წასულ მაყრიონს წინ ყარაბახულ ბედაურზე ამხედრებული გრიგოლ დადიანიც მიუძღოდა. მართალია, სამეგრელოში სამთავროს დროშა უკვე გაუქმებული იყო, მაგრამ ეს დროშა ისევ სასახლეში ინახებოდა და ასეთი დიდი ზეიმობის დროს ყოველთვის გამოაფენდნენ ხოლმე. ახლაც გორდის სასახლის თავზე ეს დროშა ამაყად ფრიალებდა.

გვიან დაბრუნდნენ მონადირენი, თან მოიტანეს ნანადირევი: დათვი, შველი... რამდენიმე კურდღელიც მოეკლათ.

საღამოს ისევ სუფრა გაიშალა, კინჩხის მთებზე ისევ ენთო კოცონი, ჰაერში ისევ მაშხალებს ისროდნენ. ეზოში ისევ გუგუნებდა მუსიკა, ისევ გრძელდებოდა გაბმული ლხინი. სამ დღესა და ღამეს განუწყვეტლად გაგრძელდა გორდში ნიკო დადიანისა და მერი ადელბერგის ქორწილი...

ჯერ კიდევ ქორწინებამდე, გაიგო თუ არა გრიგოლ ორბელიანმა, ნიკო დადიანმა საცოლე დანიშნაო, ერთბაშად ორი წერილი აფრინა:

„უგანათლებულესო კნეინავ, უმოწყალესო დაო ეკატერინავ! წუხელის სრულიად მოულოდნელად თქვენმა ნიკომ მაც-

ნობა ტელეგრაფით სასიხარულო ამბავი: დანიშვნა თავისი გრაფინია მარია ადელბერგის ქალზე. ღმერთმან მოუვლინოსთ კურთხევა თავისი ნიკოსაცა და მის სასძლოსაც და ყოს სიცოცხლე მათი ბედნიერება ურთიერთისა სიყვარულითა ისე, როგორც გულსა თქვენსაა. ასე არის ჩვენი საზოგადოდ ლოცვა ღვთისადმი და თქვენზეც მოგილოცავთ ჭეშმარიტისა სიხარულითა, ახლა კი განისვენებთ გული ღელვისაგან მუხთალისა სოფლისა.

დაგიკოცნით ხელებს და ჭეშმარიტითა პატივისცემითა და ერთგულებით სიყვარულითა ვეგები მარადის.

თქვენი უგანათლებულესობისა ერთგული მოსამსახურე

თ. გრიგოლ ორბელიანი.

5 იანვარი. 1874 წ. თბილისი".

ასეთივე ბარათი ნიკოსაც მისწერა:

„თქვენო უგანათლებულესობავ, კნიაზო ნიკოლოზ დავითის ძევ! გულით და სულით, ჭეშმარიტი სიყვარულით მოგილოცავთ დაწინდვასა გრაფინია მარია ადელბერგისაზე. უფალსა ღმერთსა ვთხოვ მოიღოს ორთავე თქვენზე კურთხევა თავისი დღეგრძელობისა და ბედნიერად ცხოვრებისა თქვენისა. მერწმუნეთ, ამავე სიტყვებითა გლოცავენ ყოველი თქვენი ნათესავნი და ძველი პატივისმცემელნი თქვენის ოჯახისა.

ჭეშმარიტი პატივისცემით და ერთგულების

სიყვარულითა ვეგებებით მარადის

თქვენი უგანათლებულესობისა მორჩილი მოსამსახურე

თ. გრიგოლ ორბელიანი.

5 იანვარი. 1874 წ. თბილისი.

* * *

გავიდა წლები. ილია ჭავჭავაძე თბილისის ბანკის დირექტორი იყო. ეკატერინე ხშირად ხვდებოდა ახლა ილიას. რაც მათ ერთმანეთისაგან აშორებდათ, დავიწყებას მიეცა, და გვარიშვილები ისევ დამეგობრდნენ. ახლა ეკატერინე ხშირად მიმართავდა ბანკის დირექტორს თავისი საქმეებისათვის. ილიაც მზად იყო დასახმარებლად.

იმ წელს ისევ ეწვია ეკატერინე თბილისს. ილია უკვე „ივერიას" რედაქტორობდა. თბილისში სამკურნალოდ ჩამოსული

დედოფალი მეტ დროს იწვა. დედოფალს თავისი შვილი ნიკო ადგა თავს. ავადმყოფ დედოფალს ერთხელ ილია ესტუმრა. „ივერიის“ რედაქტორის, ბანკის დირექტორისა და ძველი მეგობრის მოსვლა დედოფალს დიდად გაუხარდა. ის იყო საუბარიც გაიმართა. ეკატერინე, ილია და ნიკო გულწრფელად, მეგობრულად, შინაურულად საუბრობდნენ. ილიამ პეტერბურგში დაწყებული ამბავი მოაგონა ეკატერინეს:

— გახსოვთ, დედოფალო, თქვენ ჯერ კიდევ პეტერბურგში მითხარით, ჩვენს სასახლეში დიდძალი ხელნაწერია დაცულიო. რა დღეშია ახლა ეს ხელნაწერები და შეგვიძლია თუ არა გავეცნოთ მათ?

— ჩემო ილია, არსად, არც მამაჩემის ოჯახში, არც გრიგოლ ორბელიანის ოჯახში, არც სხვაგან მეგულება ისეთი ბიბლიოთეკა, როგორც ჩემ ქმარს, დავით დადიანს ჰქონდა. ჩემი ბიბლიოთეკა და იქ დაცული წინაპართა ხელნაწერები რომ ნახოთ, გაოცდებით. ნამდვილი მუზეუმია, ხელნაწერებისა და წიგნების დიდი მუზეუმი. და იცით მერე, როგორ უყვარდა ის ჩემს დავითს, როგორ უვლიდა ყოველ წიგნსა და ყოველ ხელნაწერს?.. თურქეთთან ომის დროს მთელი ეს ხელნაწერები და ბიბლიოთეკა გორდში გადავიტანეთ. ახლა ყველაფერი იქ არის შენახული. ამ ძვირფას განძეულს, დავითისაგან მოვლილსა და შენახულს, მე საკუთარ თავზე მეტად ვუფრთხილდები, ჩემო ილია! აბა, მის ნახვას როგორ დაგიშლით! დიახაც მეამება, რომ მის სანახავად ჩამოხვიდეთ. ჩამობრძანდით და თვითონ დარწმუნდებით, რა ძვირფასია ჩვენი ბიბლიოთეკა.

ილია ისე დაინტერესდა ამ საქმით, რომ გაუბედა და უთხრა ეკატერინეს:

— ჩვენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას ვაპირებთ. ამ საზოგადოების პირველი მოვალეობა იქნება, თავი მოუყაროს ყველა ხელნაწერსა და ძვირფას წიგნს, რაც ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ და ხალხშია გაბნეული. „ივერიაში“ უკვე გამოქვეყნდა განცხადება. ჩვენ შევუდგებით ამ ხელნაწერების შესყიდვა-შეგროვებას, და თქვენ, დედოფალო, ვითარცა განათლებული ქალი და ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ალბათ, თავათ ინებებთ ეს ხელნაწერები ჩვენს საზოგადოებას გადმოსცეთ.

ილიას საუბარიც არ ჰქონდა დაძთავრებული, რომ დედოფალმა ხელები გაასავსავა:

— არა, ვერ გავიმეტებ, ჩემო ილია, მე ამ ძვირფას ნივთებს. აკი მოგახსენეთ, იგი ისე უყვარდა ჩემს დავითს, რომ, სანამ ცოცხალი ვარ, ვერ მოვიშორებ, ჩემს გვერდით უნდა მეგულებოდეს ყოველივე საგულდაგულოდ შენახული. ჩემი დავითის ძვირფას განძს ჩემსავით არავინ გაუფრთხილდება. ახლა, სიბერის ჟამს, ამ წიგნებს შვილებივით ველოლიავები და ვერც ვერავის დავუთმობ, ჩემო ილია, სანამ ცოცხალი ვიქნები. ამას საწყენად ნუ მიიღებ.

სალბარში ნიკო ჩაერია:

— არა, დედაჩემი მოიფიქრებს და, თუ ჩვენი ქვეყნისათვის აჯობებს, არა მგონია, წინააღმდეგი წავიდეს. — თქვა თუ არა ეს ნიკომ, მოეხვია დედას, მაგრამ ეკატერინემ ახლოსაც არ გაიკარა შვილის ნათქვამი:

— არა, ჩემო ნიკო, სანამ ცოცხალი ვარ, ეს ნივთები ჩემთან იქნება. ჩემი სიკვდილის შემდეგ კი, შენ გეკუთვნის და, როგორც გინდა, ისე გადაწყვიტე...

ილია დუმდა. ვერაფერი თქვა ისეთი, რაც საქმეს მის სასარგებლოდ მოაბრუნებდა.

და მართლაც: სანამ ეკატერინე ცოცხალი იყო, ვერავინ გაბედა კვლავ დაეყენებინა ეს საკითხი, და დავით დადიანის ბიბლიოთეკა-ხელნაწერები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაეცა. ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ. ნიკომ თავად განაცხადა სურვილი, მთელი მამისეული ბიბლიოთეკა და ხელნაწერების ფონდი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უფასოდ გადასცემოდა. ეს საქმე გახმაურდა. და ნიკო დადიანს ქებით იხსენიებდნენ ამ პატრიოტული ნაბიჯის გამო.

* * *

მოგზაურობიდან დაბრუნებული აშილი, ვითარცა საფრანგეთის არმიის ოფიცერი ალჟირში გაიწვიეს. მას იქ თან ახლდა ახლად ჯვარდაწერილი სალომე. ალჟირში ისინი დიდხანს დარჩნენ, ბოლოს კი ისევ პარიზს დაბრუნდნენ. სალომე უკვე

ორი შვილის დედა იყო, როცა გადაწყვიტა საქართველოში წამოსულიყო, რადგან ეკატერინე შვილსა და სიძეს აქ ეპატიჟებოდა და ზუგდიდში სასახლის აშენებას სთავაზობდა.

ეკატერინე თვითონ ეწვია პარიზში შვილსა და სიძეს და მუდმივ საცხოვრებლად ისინი ზუგდიდს გადმოიყვანა.

ზაფხულს ცოლ-ქმარი ზუტნერებიც ჩამოვიდნენ. ოდესიდან გემით ფოთში წამოსულ ზუტნერებს ეკატერინემ როზმორდუკი დაახვედრა. ეს ის ფრანგი როზმორდუკი იყო, რომელმაც დავით დადიანის დახმარებით აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა გამართა ზუგდიდს. როზმორდუკმა ქართველი ქალი შეირთო და მუდმივად დარჩა ზუგდიდს. როზმორდუკმა, ქუთაისის გამოვლით, გორდში აიყვანა ავსტრიელი სტუმრები.

ბერტა დიდი გულისფანცქალით მოდიოდა საქართველოში. მას მარტო ეკატერინე დედოფლისა და მისი შვილების მიერ ზღაპრად დახატული საქართველო კი არ აღელვებდა, არამედ ისიც, რომ თბილისში თავისი გულის სატრფო, ერეკლე ბაგრატიონი ეგულებოდა, რომელმაც სხვაზე გაცვალა. გულნატკენი და გულდაწყვეტილი ბერტა ამ სასურველ კაცს თვალიდან ვერ იშორებდა და ასე ჰქონდა გადაწყვეტილი: საქართველოში ჩასვლისთანავე თბილისს მიაშურებდა, ერეკლეს თავის ქმარს წარუდგენდა, ერეკლეს მეუღლეს გაიცნობდა და მერე...

მერე? მერე? — ამ კითხვაზე ბერტა პასუხს ვერ პოულობდა. პირველად, გორდში რომ ჩავიდა, არც უკითხავს ერეკლეს ამბავი, მაგრამ იქ დიდხანს ვერ მოისვენა და ქმართან ერთად თბილისს წასვლა გადაწყვიტა. მის გულს ერეკლე ბაგრატიონი თბილისისაკენ ეძახდა.

ბერტამ ეკატერინეს სთხოვა, მე და ჩემმა ქმარმა თბილისს წასვლა გადავწყვიტეთ, ნაცნობი იქ არავინ გვყავს და ეგებ ვინმესთან სარეკომენდაციო ბარათი გაგვატანოთო.

დედოფალმა დაწერა წერილი თავის ძმასთან, დავით ჭავჭავაძესთან. ზუტნერები მეორე დღესვე გაემგზავრნენ თბილისს. ეკატერინესაგან გამოგზავნილი სასურველი სტუმრები ჭავჭავაძეების ოჯახში პატივისცემით მიიღეს. ანამ სტუმრებს შვილები გააცნო. ერთ მათგანს, რომელსაც სახელად თამარს ეძახდნენ, ძაძა ემოსა. ბერტამ გამოარკვია, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ერეკლე ბაგრატიონი გარდაცვლილა, თამარი,

მისი მეუღლე, ახლა თალხით მოსილი. ახალ გაცნობილ სტუმარს ცრემლმორეული უყვებოდა ამ ამბავს.

ბერტამ გულით შეიყვარა ერეკლეს ქვირვი თამარი და, სანამ თბილისში იყო, მასთან საუბარში როგორღაც გულს აყოლებდა, ერეკლეზე ფიქრსა და დარდს იქარვებდა.

ზუტნერებმა თბილისი დატოვეს და ზუგდიდში დასახლდნენ: ზუტნერი აშილ მიურატის საზამთრო სასახლისა და სალხინოში საზაფხულო აგარაკის მშენებლობას ხელმძღვანელობდა.

მეფის ადიუტანტს ნიკო დადიანს იმ წელს ქალიშვილი შეეძინა. შეეტყო თუ არა ეს ამბავი, გახარებულმა გრიგოლ ორბელიანმა წერილი აფრინა ეკატერინესთან. დედოფალს ქალიშვილის შეძენას ულოცავდა და სწერდა:

„ეშმარიტითა გულითადი სიხარულითა გილოცავ ნიკოს ქალსა, ესე იგი გილოცავ ბებიაობასა ღ-მან ნუ განაშოროს თქვენის ოჯახისაგან კურთხევა თავის და მარადყოს გული თქვენი სავსე მხიარულებითა და მგონია დროც იყოს“.

თვითონ ეკატერინე დიდად გახარებული იყო შვილიშვილის დაბადებით. თუმცა ვაჟს მოელოდა, მაგრამ არც ქალის დაბადებას სცოდნია ნაკლები სიხარული.

სულ ცოტა დრომ განვლო და დედოფალს შვილიშვილი გარდაეცვალა. ეკატერინე დამწუხრდა. დრო გადიოდა, მაგრამ შვილიშვილის დაკარგვით გაჩენილი იარა ვერ მოეშუშებინა.

გადიოდა თვეები, დღეები და ნიკოს ცოლს მეორე შვილი არ უჩნდებოდა. ეკატერინე ნერვიულობდა, მემკვიდრეს ელოდა. რძალს ექიმები დაასია. წელიწადიც გავიდა და ეკატერინეს რძალი ფეხმძიმედ შეიქნა. გაიხარა დედოფალმა. უშვილოდ და უძეოდ არ გადაეგება დადიანების გვარი! ამას რომ ფიქრობდა, ეკატერინე დადიანების გვარის გადაშენებაში თავის ოჯახს გულისხმობდა, თორემ ისე დადიანების გვარში ვაჟებიცა და ქალებიც ცოტანი როდი იბადებოდნენ. თუ წინათ ეკატერინე, ასე თუ ისე, მთელი სამთავროსათვის ზრუნავდა, ახლა თავის ოჯახს იქით არ იყურებოდა. მდგომარეობისა და ქონების დაკარგვის ავადმყოფური შიში დაუფლებოდა დედოფალს და ახლა მთელ ქვეყანას ედავებოდა და ებრძოდა. ხან გუბერნატორებს უჩიოდა, ხან მოსამართლეებსა და იურისტებს. ახლა ყოველივე ამას ოჯახის გადაშენების შიშიც ზედ

დაერთო. მაგრამ, საბედნიეროდ, ამ შიშს სულ მალე გამოეცალა ნიადაგი. ეკატერინე დღედღეზე ელოდა შვილიშვილს. ახლა მას მარტო ისღა გახდომოდა სანატრელად, რომ ვაჟი შესძენოდათ. მართლაც პეტერბურგიდან ვაჟიანობა ახარეს.

იმავე დღეს ეკატერინემ წერილი მისწერა თავის შვილს ნიკოს:

„მე ისევ გორდში ვარ და თითქოს მოვისვენე. დიდად გავიხარე შვილიშვილის შეძენით. თუ გიყვარდე ჩემს მაგიერ აკოცე ჩემს რძალს, ღმერთსა ვთხოვ მათს კარგად ყოფნას. მე თუ მიკითხავთ, ისევ ცუდად ვარ. ორი დღის წინ მარტვილში ვიყავი, ჩემი დავითისა და თამარის საფლავი მოვინახულე. წარსულის მოგონებამ მწუხარებით ამავსო, მოვთქვამ და ვტირი, მაგრამ აბა ვინ არის ჩემი გამკითხავი.

ჭყონდიდელი სწირავდა და ხალხიც დიდძალი დაესწრო. მერე მე მომმართა სიტყვით ჭყონდიდელმა. ზოგს არც კი სცოდნოდა, მე თუ ვიყავი იქ და ჩურჩულმა გადაუარა დარბაზს: „დედოფალი, დედოფალი“. დარბაზმა ექო გამოსცა. დიდად მეამა. ეტყობა ხალხს არ დაუკარგავს ჩემი სახელი, მგონია, არც დამკარგავს. ავი ვიყავი თუ კარგი, მათი სული და ხორცი ვიყავი. ჩემი ენაც გასაგები იყო მათთვის და განკარგულებანიც. ახლა ვიღაც უცხოები დაპატრონებიან ჩემს მამულს. ხალხს არც ენა ესმის მათი და არც სული უდგას მათი...

წირვის შემდეგ სადილზე მიმიწვია ჭყონდიდელმა. მთელი სამეგრელოს თავადაზნაურობა აქ იყო. ო, რომ იცოდე, ჩემო ნიკო, რამდენი საქებარი სიტყვა ითქვა. ახლა შენზე ამყარებენ დიდ იმედებს ამ კუთხის დიდებულნი. მათ გაუგიათ, რომ შენ დიდად მიღებული ხარ იმპერატორის კარზე და დარწმუნებულნი არიან, რომ მოწყალებას გაიღებს იმპერატორი. ეჰ, ვნახოთ, ალბათ ღმერთი არ გაგვწირავს.

ნასადილევს ეზოში გავედი. სწორედ რომ დიდებული საღამო იყო. შენ დაკვირვებიხარ მზის ჩასვლას მარტვილიდან? არა? მაშ არ გინახავს ულამაზესი რამ. არა, ამის აღწერა არ შეიძლება. აქ ყველაფერი დიდებული და ღვთიური იყო. ხელისგულივით მოჩანდა დაისით განათებული ზღვა. ნელი ნიავი ქროდა და გულის დასამშვიდებლად შრიალებდა ძელქვის ხეები, ზოსიმე მწუხრის ზარსა რეკდა და ჩემს სულს ხვდე-

ბოდა ხმები შორეული, იმქვეყნიური, ასე მეგონა ჩემი თამარი მეჩურჩულება-მეთქი. და მეც ხელები გავშალე გულში ჩასახუტებლად. ვაი, რომ ყოველივე ეს სიზმარი იყო, მოჩვენება იყო. მაგრამ ლამაზი სიზმარი, ლამაზი ზღაპარი! მაგრამ ეს ბედნიერი წუთებიც უმალვე გაქრა და ისევ მარტო დავრჩი. ნიკო, მომიტევე ასეთი გადაჭარბებული სენტიმენტალობა, მაგრამ, ეტყობა, მოვხუცდი და გული არ მემორჩილება. სულ უბრალო რამეზე ვტირი და მოვთქვამ. ვიცი, რომ სულ მალე ჩემი მუდმივი სასუფეველი ეს დიდებული ადგილი იქნება.

აწ ჩემი ადგილი ჩემი დავითისა და ჩემი თამარის გვერდით არის და თუ მალე მოვკვდები, სული ჩემი ცოტათი მაინც მოისვენებს, შენ უკვე გზაზე დაყენებული მეგულები. შენ ცოლიც გყავს და შვილიც და ასე მგონია, ყოველი მოვალეობა ამქვეყნად მოვითავე და მოვისტუმრე, მაგრამ სიბერესა და სიკვდილზე ფიქრი მაინც სევდასა მგვრის. გაუმაძღარი ყოფილა კაცის გული! ეს უცნაური წუთისოფელი, გტანჯავს თუ გახარებს, მაინც გიყვარს და მაინც ლამაზია თურმე. და მე ბუტბუტით ვამბობ: ამაოა, ამაო ყოველივე ამ ქვეყნად. ჩემი ცხოვრებაც ისე გაქრება, ვით გაელვება ერთი წამისა...

ჩემამდის აღწევს მარტვილის ზარების რეკვა, ალბათ მწუხრის ლოცვას ამბობს ის წვერცანცარა ჩვენი ეპისკოპოსი და მე თვით მეცინება ახლა ჩემს თავზე. ან მოსვლა რა იყო ამქვეყნად ჩემი, ან წასვლა რა არის? ასე უთავბოლოდ ამ წუთისოფლისა ვერა გამიგია რა! რაკი გამაჩინე, გამაძღე მაინც შენი ცქერითა, დამატკბე ამ წუთისოფლის სიმშვენიერითა, ჩემი საქართველოს სიმშვენიერითა. ასეთი ფიქრები მიპყრობენ მე ამ სიბერის ჟამს, მაგრამ უმალვე მომაგონდება ჩემი ბობოქარი ცხოვრება სავსე სიხარულითა, მოულოდნელობითა, აღტაცებითა, გაწბილებითა და ცრემლებით სავსე და ისევ ვყუჩდები: კაცი გაუმაძღარია თურმე, რაც უფრო მეტ ხანს იცოცხლებ, უფრო მეტი გინდა თურმე, ბოლო არ უჩანს ჩვენს სურვილსა...

ასე ყოფილა და ასე იქნება“...

დაღლილმა დედოფალმა თავის საწოლ ოთახს მიაშურა. დაქანცულს, ფიქრებაშლილს და მოსვენებადაკარგულ დედოფალს იმ ღამეს მკვდარივით ეძინა.

* * *

გორდი! საქართველოს ერთი უმშვენიერესი ადგილი, ეს ულამაზესი სოფელი, სოფელი კი არა, დადიანების საგაზაფხულო აგარაკი, ცხენისწყლის ხეობის გაყოლებით კინჩხას მთების კალთებზეა გაშლილი. გორდი მიუვალი ადგილი იყო. აღმოსავლეთით მას ლეჩხუმის მთები, სამხრეთით ცხენისწყალი, ჩრდილოეთით თურჩის მთა, ხოლო დასავლეთით ოდიშის სოფლები ეკვრის. მაგრამ დადიანების ყმებმა მონური შრომით ერთი მხრით კი არა, ორი მხრით მისასვლელი გზა გაუკეთეს აგარაკს: ხელმარჯვნივ — მარტვილიდან ნახარებოვოსა და სუხჩის გამოვლით, მარცხნივ — მათხოჯით ბომბუას ხიდზე გავლით. ცხენისწყლის ყველაზე ვიწრო ადგილას გაშენებული ეს ხიდი უძველესი იყო, პომპეუსის მიერ აგებული. შერე ბერძნებს უკან დახევისას დაუნგრევიათ. შემდეგ, მე-17 თუ მე-18 საუკუნის ბოლოს ვაზისაგან დაწნული სოფლური ხიდი აუგიათ. ამ საქმეს სათავეში ვიღაც დიდი ფეოდალი, ამ კუთხის მფლობელი ბომბუა ჩასდგომია და ხიდისათვის მისი სახელი მიუკუთვნებიათ. და ეს სახელი დღემდე შემორჩა, თუმცა მერე, ვაზის ხიდის ნაცვლად, რკინის თანამედროვე ხიდი აუგებინებია დავით დადიანს.

როცა ეკატერინე მარტვილს მოინახულებდა, ნახარებოვოსუხჩის გზით ადიოდა გორდს, ხოლო როცა ზუგდიდიდან მოდიოდა, დანელიების ბორნით, ხონისა და მათხოჯის გამოვლით, ბომბუას ხიდზე გავიდოდა და სოფელ ხიდისკარით ცხენისწყლის ხეობას აჰყვებოდა, რომელსაც მარჯვნივ ნიათის მთა და მარცხნივ თურჯას მთა ჰყოფდა, შემდეგ სოფელ დიდღვაბუნას გამოივლიდა და დადიანების აგარაკი გორდიც მის ბოლოს, გავაკებაზე იყო. ეს ვაკე ადგილი — 200 ქცევა მიწა — დავით დადიანმა ქვის გალავნით შემოაღობინა და ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეების ტყე და ხეხილის დიდი ბაღი გააშენა.

მანამდე ეს საგარაკო ადგილი კაცია ჩიქოვანმა გაიჩინა და იქ პატარა ფიცრული სახლი და ქვის კარის ეკლესიაც ააგო. შემდეგ, თვით ლევან დადიანის სიცოცხლეში, დავით დადიანმა, მისი სიმამრის ალექსანდრე ჭავჭავაძის რჩევით, ამ ფიცრული სახლის ნაცვლად დიდ ორსართულიანი აგურის შენობა წამოჭიმა, ბაღიც გადააკეთა, იტალიიდან მებაღე მოიწვია და

ამ ორსართულიანი შენობის გარშემო ედემის ბაღი გააშენა და ეს მიდამო წალკოტად იქცა.

სასახლის ფართო აივანი თურჩას მთას გაჰყურებდა. ეს დიდი მთა ამ სასახლის წინ იყო ატუზული. სასახლეს გარშემო ოთხი დიდი ხეივანი შემოავლეს: სასახლის წინ ნაძვისა, რომელიც შესასვლელი რკინის ჭიშკრიდან იწყებოდა და წყაროსთან თავდებოდა; სასახლის უკან ძელქვისა — დიდი და გრძელი ხეივანი, რომელიც წყაროს წყალთან იწყებოდა და კინჩხის გადასახედთან თავდებოდა, მარჯვნივ — ფიჭვნარის ხეივანი, მარცხნივ — ხეხილის დიდი ბაღი და ჭადრების ორი რიგი, რომელთა შორისაც ყვავილოვანი ველი იყო. როდესაც ეკატერინე მუდმივ საცხოვრებლად სამეგრელოში დაბრუნდა, ოცდახუთი წლის წინათ განახლებული გორდის ბაღი ულამაზესი იყო მთელ საქართველოში ზუგდიდის ბაღის შემდეგ.

აი ეკატერინე ისევ გორდშია და თითქოს მოისვენა სულიერად. არსად არ უნდოდა ისე დიდხანს დარჩენა, როგორც გორდში. მისი სული გორდის მთებსა და ბაღს შეეთვისა, პატარა ბავშვივით დასჩემდა, ყოველ დილით უნდა შემოეღო ხეივნები. და როცა მოხუცებულსა და დავრდომილს აღარ შეეძლო ეს ვრცელი ბაღი ფეხით დაევლო, ყოველ დილით ეტლით უვლიდა ხეივანთა დაუსრულებელ გზებს, მერე საუზმობდა, მერე იძინებდა, მერე სადილის წინ ისევ შემოუვლიდა ბაღს. მერე საღამოს ხანს აივანზე იჯდა დაფიქრებული და მთებს გაჰყურებდა...

იმ საღამოსაც ეკატერინე იჯდა და თურჩას მთას გაჰყურებდა.

— ეჰ, რა უცნაურად არის მოწყობილი ეს ცხოვრება! ადამიანი, რომელსაც ასე მოაქვს თავი, ყველაზე საცოდავი არსებაა ამქვეყნად... მე წავალ და ეს ხეები, ეს ხეივნები, ეს მოჩუხჩუხე მთის ნაკადულები, ეს ჩემი საყვარელი წყაროს წყლები კი ისევ დარჩებიან ასევე მშვენიერნი და დიდებულნი, — თქვა დედოფალმა, მწუხარებით ამოიოხრა და მერე ისევ თურჩას მთას გახედა.

ღამდებოდა. კინჩხის მთიდან ამოგორებული ძველი მთვარე ზედ თურჩის მთაზე დამდგარიყო და მთლად გაენათებინა. თითქოს ახლა შენიშნა ეკატერინემ თურჩის მთა. მთის წვერი-

დან დაყოლებით ძირამდე ეს ვეებერთელა მთა ნიაღვრებს შუაზე გაეყო თეთრი ღარით. ამ ღარით აგორებდნენ მოჭრილ ხეებს და ამ ღარითვე მოედინებოდა ყოველ წვიმასა და თოვლში დიდი მდინარე.

დედოფალს დავითი მოაგონდა.

— დადიანსაც შავი და გრუზა თმა ამ ღარივით შუაზე ჰქონდა გაყოფილი! — ეს სიტყვა აღმოხდა დედოფალს და უფრო დაღონდა. მთვარით განათებული თურჩის მთა ათას ფიქრსა და მოგონებას აღუძრავდა დედოფალს. დედოფალიც დაჟინებით მიჩერებოდა მთვარიან ღამით განათებულ თურჩას და ისევ ფიქრებს და მოგონებებს წაეღო მისი გონება...

— ერთ დროს მეც მთასავით დიადი და ზვიადი ვიყავი, ზვიადი და ამაყი. უფრო მეტიც. მაგრამ ვაი, რომ მე მივდივარ, ჩემი სიამაყეც იფერფლება და ეს ზვიადი მთები კი მარად აქ რჩებიან. — თქვა ესა და სიმღერა მოუნდა, მაგრამ სად იყო ძველებური სიმღერა და ეშხი. მაინც ლამაზად ააწყო ხმა:

— თუთა თუთარჩელა, — მეგრული სიტყვებით მიმართა მთვარეს ეკატერინემ, — თუთა თუთარჩელა... მე წავალ და შენ დარჩები. რარიგად ანათებ შენ, მთვარეო, ამ ლამაზ მთებსა და ხეივანს, რა დიდებული და წარმტაცი ხართ თქვენ, ჩემო მთებო და ბაღო, მაგრამ ვაი, რომ ახლა ჩემს გულსა და სულს უკვე აღარ ანათებს ეს დიდებული მთვარე — მიჯნურთა მუდმივი დარაჯი და მათი ტრფიალის მოწმე. არც მიჯნურად ვარგივარ ახლა და არც მთვარის დარაჯად.

— თუთა, თუთარჩელა... — დააღიღინა ეკატერინემ ისევ. — ეჰ, მაინც რად ხდება ასე, მეც მინდა ჩემს მთებსა და ლამაზ ბართან ერთად ჩემს სულსაც ანათებდეს ეს მარად ახალგაზრდა და მარად უბერებელი, ულამაზესი მთვარე. რად დამბადა ღმერთმა მიჯნურობისათვის და თუ დამბადა, ამ ლამაზი მთებივით რად არ მომანიჭა უკვდავება. ან ამ მთვარესავით რად არ შემიძლია ისევ გავახალგაზრდავდე. ლამაზი ის არის, ვინც დაუბერებელია. ლამაზი ის არის, ვინც ახალგაზრდაა, აბა ჩემისთანა დაჩაჩანაკებულთან რა ხელი აქვს სილამაზესა და მიჯნურობას? არა, უნდა გამოვეთხოვო ერთხელ და სამუდამოდ სილამაზესაც, მიჯნურობასაც, ახალგაზრდობასაც... მაგრამ ვაი, რომ ეს ადვილი არ ყოფილა!

ეკატერინე დაღონებული შებრუნდა თავის საწოლ დარბაზში. მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია, გათენებისას ჩაეძინა და ეზმანა: დავითისა და თამარის საფლავი ამოეთხარათ და შიგ ეკლესიის დარბაზში დაეყარათ ჩონჩხად ქცეული მათი სხეული. უპატრონოდ მიტოვებული ქმარი და შვილი ეძებდნენ, ეძახდნენ ეკატერინეს. ისიც გაიქცა და როცა ეკლესიას მიადგა, სწორედ მაშინ ვიღაცამ კარი გადაურაზა და შიგ არ შეუშვა. გაცოფდა დედოფალი, ეს რა უპატივცემულობა არისო. ახლავე გაიღეთ კარიო, მაგრამ ყველამ ზურგი შეაქცია. გაცოფებულმა ხელი წაატანა ეკლესიის კარს, მაგრამ ვერაფერს გახდა და გულშეღონებული იქვე დაეცა. მერე მოვიდნენ და კუბოში ჩაასვენეს. არც იკითხეს ცოცხალი იყო თუ მკვდარი, ისე დაახურეს კუბოს თავი და გარეთ, ეკლესიის გალავანში, დამარხეს. იყვირა დედოფალმა, მაგრამ არავის ესმოდა მისი ხმა. ახლა კი ისე ხმამაღლა იყვირა, რომ სიზმარში გამოეღვიძა. თვალი გაახილა. გათენებულიყო. შეეშინდა. მოურავი იხმო და უბრძანა: გაამზადე ყველაფერი, მარტვილში უნდა წავიდეო. განცვიფრდნენ სასახლის კაცნი, დედოფალი გუშინ ამოვიდა გორდს მარტვილიდან და დღეს იქვე რათ მიეშურებაო, მაგრამ ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა...

ეკატერინე აჩქარებდა ამალას. ვერავის გაეგო, ვერავინ მიმხვდარიყო რათ მიეჩქარებოდა დედოფალი მარტვილს. როცა ეკლესიაში შევიდა, ქმრისა და შვილის საფლავთან დაემხო (იქვე დავითის საფლავთან იყო დასაფლავებული თამარი) და დიდხანს იტირა. ნამტირალევი დედოფალი ძლივს ააყენეს. მერე თვითონ დეკანოზი ეახლა დედოფალს და თავისთან წაიყვანა. მთელი დღე ხმა არ ამოუღია დედოფალს. მეორე დღეს დილიდანვე ისევ ეკლესიას მიაშურა. მონაზვნების გალობით გული მოიოხა და იმავე საღამოს მეორე წერილი მისწერა თავის შვილს ნიკოს:

„შეიძლება გაგიკვირდეს ეს ბარათი, მაგრამ თვითონაც არ ვიცი რა მემართება. უცნაური მოჩვენებები დამეუფლა, ღამით არა მძინავს და დღე არ მასვენებენ. გუშინწინ გორდიდან გამოვიქეცი და ისევ მარტვილს მოვაშურე. დღეს ცოტა დავმშვიდდი. ამ დილით მონაზვნები გალობდნენ და მომეჩვენა, თითქოს ის ქვეყნიდან გალობდნენ, თითქოს მამაშენი ამღე-

რებდა ამ მონაზვნებს ჩემი სულის მოსალხენად. ისე ნაზი, ისე სევდიანი, გულის წარმტაცი, რაღაც განუმეორებელი იყო ეს გალობა, რომ მეც დავმშვიდდი. ეს საეკლესიო გალობა იმიტომ თუ გამოიგონეს, რომ მგლოვიარენი და სულით ავადმყოფნი დაამშვიდონ. ეს ხმები ადამიანებს რაღაცნაირად იმ ქვეყანასთან აკავშირებს. თუ ეს გალობა საიმქვეყნიო ხმების გამოძახილია, ალბათ საიქიო უფრო ლამაზი და მშვენიერი იქნება. რაკი ეს ხმები ასეთი მაამებელია ჩემი გაწვრილებული სულისა.

ეჰ, მე მაინც ეს ქვეყანა შერჩია, ამ ქვეყნისთვის ვიყავი დაბადებული. მე ეს მიყვარდა, მე ეს მინდოდა, მაგრამ ვაი, რომ არავინ მანებებს მას და ეხლა გულს იმით ვიჯერებ, რომ უფრო ნაირნაირი და უფრო მომხიბვლელი იქნება ის ქვეყანა, უფრო ჭრელი და ფერადოვანი, ჩემ ბაღებზე უფრო დამშვენებული წყაროებით და მდელოთი. დიახ, დიახ, ნეტარ არიან მორწმუნენი! ყოველ შემთხვევაში, გუშინ იმ მონაზვნების სიმღერამ ასეთი გრძნობა გამიჩინა. ვიცი, დამძრახავ, ეს რა გრძნობები დაუფლებია დედაჩემსო, ეჰ, ნურაფერს გაუმტყუნებ დედაშენს, თურმე ესე სცოდნია სიბერეს. არა, შვილო, მარტო სიბერეს კი არა, სიბერესა და ავადმყოფობას. აბა მაშ რას მივაწერო ჩემი ასეთი ფიქრები.

ახლა გაზაფხულია. გარშემო ყველაფერი ყვავის და იცინის. ჩემი გული კი ტირის. გარეთ ალუჩა და ტყემალი ყვავის და ჩემი გული კი მოსთქვამს და ოხრავს. გარეთ ჩიტების გალობას და ჟღურტულს სითბო მოაქვს ყოველ სულდგმულისათვის, ჩემი გული კი არაფერს იკარებს და დახურულია სიხარულისათვის. მე, ეკატერინე, ვისაც შვილებიც მყავს და შვილიშვილებიც, ტახტიც მქონდა და დიდებაც, მე, ვისაც ეხლაც ცხოვრებისათვის თითქოს ყველაფერი მაქვს, მაინც მოვთქვამ და ვობრავ, და არ იკითხავ რატომ? იმიტომ, ჩემო ნიკო, რომ მე უფრო სხვანაირად მესახებოდა ჩემი ცხოვრება. მე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ, შენ ოცი წლისა გახდებოდი თუ არა, იმპერატორი მოიღებდა მოწყალებას და მთავრად გაკურთხებდა, ისევ დაგვიბრუნებდნენ ჩვენს კუთხეს და ყოველივე ჩემს პირად გრძნობას ვკლავდი ამ საქმისათვის შეწირული. და რა გამოვიდა, მე, სრულიად ახალგაზრდა დაქვრივებულმა,

ყველას უარი ვუთხარი. დავხურე გული ჩემი ყველასათვის იმ იმედით, რომ ტახტს ისევ დავიბრუნებდი, მაგრამ შენ თვითონ იცი რა გამოვიდა...

ახლა, როცა ამ წერილს გწერ, რომ მნახო, შეგეცოდები. ვერაფერი გადამიწყვეტია ამ საქმისა და შენგან მოველი რჩევას. დავრჩე ისევ აქ გორდში და მივანდო ჩემი ბედი ბუნების ძალას, ბუნება იყოს ჩემი მკურნალი თუ ისევ მანდ, პეტერბურგს, წამოვიდე და ექიმებს მივანდო სხეულიცა და სულიც. მე თვით ვერ გადამიწყვეტია და შენ მოგმართავ, შვილო ჩემო, ეგებ შენ მაინც უმკურნალო ჩემს სნეულ ფიქრებს."

დედოფალმა ბრძანა წერილი გაეგზავნათ ნიკოსთვის.

ორი დღის შემდეგ ეკატერინე ისევ გორდს დაბრუნდა.

* * *

მიხა მებუკე, გლეხთა აჯანყებაში მონაწილეობისათვის სალხინოს სასახლიდან რომ დაითხოვეს, დაღონდა და მოიწყინა. უსაქმო ხეტიალი მობეზრდა, მერე სალხინოელ ჩიქოვანს მოჯამაგირედ დაუდგა. დღით მემამულის ყანას თოხნიდა, ან წაქცეულ ღობეს ამაგრებდა, საღამოობით დიდი ცაცხვის ძირას თანასოფლელებს მთისა და ბარის ამბებს უყვებოდა. ასე მიდიოდა დღეები.

ერთ დღეს სოფელი ისევ ახმაურდა. მიხამ ისევ გამოათრია თავისი ბუკი და მთელი სოფელი შეყარა დიდი ცაცხვის ძირას. მერე თოდუები მოვიდნენ და უტუ მიქავასაგან ჩაბარებული დროშა გაშალეს. მიხა ცაცხვზე აღოღდა და დიდ შტოს წითელი დროშა მიაბა. სოფელი ზეიმობდა. ცაცხვის ძირას შეკრებილ ხალხს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანება წაუკითხეს ბატონყმობის გაუქმების თაობაზე. მაგრამ სოფლის სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: ბატონყმობა კი გაუქმდა, მაგრამ გლეხები პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ, მიწა ისევ მემამულეებს დაუტოვეს. პირადი თავისუფლება, რომელიც მათ კანონმა არგუნა, მაინც დიდი ბედნიერება იყო.

მიხასაც გაუღიმა ბედმა: პატარა ეზო-კარი გაიჩინა და ცოლი შეირთო. ერთი წლის თავზე ქალიშვილი შეეძინა. გამოცოცხლდა მიხა მებუკე, სოფლის კაცებში გაერია, პატარა ნათლობაც გამართა და ქალიშვილს სახელად დესი დაარქვა.

მაგრამ საწყალ გლეხკაცს მოულოდნელად ცოლი ავად გაუხდა და ორ დღეში გათავდა კიდეც.

დაობლებული ქალიშვილი მიხამ წვალებით გამოზარდა და როცა გოგონას თვრამეტი წელი შეუსრულდა, კარზე მაჭანკალი მოადგა. მალე ქალიშვილი ერთ მარტვილელ შეძლებულ გლეხს მიათხოვა კიდეც. ახლა მთლად მარტო დარჩა მიხა მებუკე. ისღა ახარებდა, რომ ქალიშვილი და სიძე ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ, სიამტკბილობით ცხოვრობდნენ. მერე ვაჟიშვილიც შეეძინათ და მიხა ბაბუა გახდა.

ახლა ბაბუა მიხა ხშირი სტუმარი იყო ქალიშვილისა, მოხუცმა გზა გაიბა სალხინოსა და მარტვილს შუა, მაგრამ ბოლოს, როცა ესეც გაუჭირდა, ქალიშვილი თვითონ აკითხავდა შვილიშვილით. როცა ისინი მიდიოდნენ, მიხა ისევ მარტო რჩებოდა და დარდობდა. ამ დღეში მყოფ მიხას მეზობელი გლეხი შეუჩნდა:

— შენი არ მიკვირს, მიხა ბატონო, აბა რას ელოდები, დიდებული ქალიშვილი გყავს, მაგრამ იქიდან როგორ მოგივლის. მიიხედ-მოიხედე, თვალი გაახილე, ცხოვრება კიდევ წინა გაქვს, ნუთუ შენთვის გაწყდა ვინმე დედაბერი. მოიყვანე, სახლს გაგითბობს, გულსაც გაგითბობს, მოგივლის, დარდს გადაგყრის.

ახლოს არ გაიკარა მიხამ მეზობლის ნათქვამი. მერე ეს მეზობელი ქალიშვილს შეუჩნდა: „ხომ ხედავ, როგორ იტანჯება მამაშენი, მისი ცოდვით შენც იტანჯები მისი შემხედვარე. მოდი შევრთოთ ვინმე ქრისტიანი, თუ გინდა მამამ კიდევ იცოცხლოს". ჯერ იკივლა მებუკის ქალიშვილმა ამის გაგონებაზე, მაგრამ მერე და მერე ჭკუაში დაუჯდა. ქმართან ერთად დესი სასურველი დედინაცვლის ძებნას შეუდგა. ამ ძებნაში ცოლ-ქმარს ვიღაც მაჭანკალმა ნახუნავოში ერთი სიგუას ქალი ურჩია, კეთილი, პატიოსანი და ლამაზიაო, გაუთხოვარი ბერდება, უთუოდ წაჰყვება მამაშენსო. დესი ქმარს შეუჩნდა, ნახუნავო არც ისე შორს არის, მოდი წავიდეთ, ვნახოთ ის სიგუას ქალიო.

— ნახუნავოს მთებში, შე ქალო, ცუდი მისასვლელი გზებია, აბა შენ რა წაგიყვანს იქ, მარტო მე წავალ — უთხრა ქმარმა, ამის გამგონემ თავი მოიკლა დესიმ:

— შე უბედურო სარკეში მაინც ჩაიხედე, მთლად დაბერდი, სიგუას ქალმა შენ რომ გნახოს, ახლო არ გაგვიკარებს. იფიქრებს ამისთანა მოხუცის სიმამრი ალბათ მთლად გადაყრუებული ვინმე იქნებაო. ამიტომ მე უნდა წამოგყვე. მე შენზე ახალგაზრდა ვარ და ასეთ ახალგაზრდას რომ მნახავს, გული მოეცემა, ამის მამა ალბათ მთლად ბებერი არ იქნებაო.

დიდი კამათის შემდეგ შეთანხმდნენ და მეორე დღესვე გზას გაუდგნენ. მდინარე აბაშას რომ მიადგნენ, ფეხთ გაიხადეს და ფონი მონახეს. ძუკუმ შარვალი აიკვალთა, დესიმ კაბის კალთა აიწია და ასე ხელიხელჩაკიდებულნი გავიდნენ მდინარეს. მერე ნახუნავოს აღმართს მიადგნენ. თავქვე რომ დაეშვნენ, წინ პატარა ღელე დახვდათ — ისქია. ისქიაზე აკაციის ხიდი გაედოთ. პირველი ძუკუ გავიდა. ხიდი ირყეოდა, სიძემ ძლივს გააღწია გაღმა. ახლა დესი შედგა. ისქია პატარა მდინარეა, იქ კი, სადაც ხიდი გაედოთ, საკმაოდ დიდი ტბორი იდგა. საქმე ის იყო, რომ აქვე წისქვილი გაემართათ და მდინარე დაეგუბებინათ. დაგუბებული ისქია საკმაოდ დიდი მოჩანდა ამ ხიდიდან. შედგა თუ არა ფეხი დესიმ ხიდზე, თვალები აუკრელდა და უკუდგა, გასვლისა შეეშინდა და ქმარს გადასძახა, მომეშველეო. ძუკუმ ურჩია ცხენივით გადაალაჯე მაგ ხეს, და ჩოჩვით გადმოდიო. ისმინა დესიმ ქმრის რჩევა და ცხენივით ზედ შეაჯდა ჯოხივით გადებულ ხეს. გადააჯდა, მაგრამ გაჩოჩება გაუძნელდა. ხორკლიანი იყო ეს აკაციის ხე და მთლად გამოღლიტა ბაყკები ქალს. წივილ-კივილი ასტეხა დესიმ. ახლა კი იკადრა ძუკუმ მიშველება. მდინარეში ფეხით გააბოტა, წიწილასავით აიტაცა ცოლი და გაღმა გაიყვანა. ფათერაკს გადაურჩნენ და ისევ გზას გაუდგნენ. მდინარე ისქიას მარჯვენა და მარცხენა მხარეს ფართო ჭალა გასდევდა. მთის მდინარისაგან ჩამოტანილი სილითა და შლამით განაყოფიერებულ ამ ჭალაზე გლეხებს სახნავ-სათესი გაემართათ. მგზავრებმა სიმინდის ტყე გაიარეს. პატარა აღმართი მოათავეს და საჭილაო დაიწყო. იქ პატარა ცაცხვის ძირას შეისვენეს: მერე ისევ გზას დაადგნენ. გზა კი არა, საცალფეხო ბილიკი იყო, რომელიც აკაციების, იელების, თხმელების, ალვისხეების, ნარეკლისა და ბარდების დაბურულ ტყეში მიიკლაკნებოდა. ახლა უფრო პატარა ღელეს მიადგნენ. მაგრამ აქ ადვილად გადაურჩნენ ფა-

თერაკს. გადაალაჯეს ამ ერთ მტკაველ ღელეს, ერთი აღმართიც აიარეს და ნახუნავოს მთების კალთებზე ჩიტის ბუდესავით მიდგმული, ისლით დახურული სახლები გამოჩნდა. სახლებს ბოლი ასდიოდა და ზღვაური კვამლს მთებისაკენ ერეკებოდა. შუადღისას მიადგნენ სიგუას ოჯახს. მაჭანკალი ჭიშკართან შემოეგება სასურველ სტუმრებს. სიგუას ქალმა ისლით დახურულ პატარა სამზარეულო სახლში შეიპატიჟა სტუმრები.

ეზო პატარა იყო, მაგრამ ლამაზი და მოვლილი. ჭიშკრიდან ქოხამდე მისასვლელი საცალფეხო ბილიკი წვრილი ქვებით იყო მოკენჭილი. მარჯვენა და მარცხენა მხარეს ერთ ქცევამდის სიმინდის ყანა იყო, სახლის წინ კი ხელისგულისოდენა მწვანე მოლი. თვით ქოხის წინ თეთრი ვარდი ყვაოდა. შუაგულ ეზოში საჩრდილობელი დიდი თუთის ხე იდგა.

სტუმრები შინ შეიწვიეს. დღე იყო, მაგრამ ქოხში მაინც ბნელოდა. აყალო მიწით შელესილ ფაცხას სარკმელი არსად ჰქონდა დატანებული. მართალია, საკვამლის ჭუჭრუტანიდან თეთრ ზოლად ატანდა მკრთალი სინათლე, მაგრამ შუაცეცხლი ბოლავდა და ვერაფერს გაარჩევდით ქოხში. ძუკუმ იქვე, კერიასთან, ორფეხა სკამი — კვალა შენიშნა და, მოჰკრა თუ არა თვალი, ზედ დაჯდა. სხვები მის მაგალითს მიჰყვნენ.

კერიაზე, მოკაუჭებულ ლარჭაზე, ჩამოკიდებულ კარდალში ღომისღომი თუხთუხებდა. კერიასთან მოხუცი ქალი ჯოხზე აცმულ ქათამს ცეცხლის პირას ატრიალებდა. ქოხში საჭმლისა და საკაზმის მადისაღმძვრელი სურნელება იფრქვეოდა.

სტუმრების შემოსვლისთანავე კარდალი ჩამოხსნეს და ღომისღომი ჩაზილეს. მერე იქვე კედელზე მიყუდებული ტაბაკი — პატარა ოთხფეხა სუფრა დადგეს და პირდაპირ ზედ ტაბაკზე, ახლად გაშალაშინებულ ფიცარზე ჩოგანით ღომი დააგეს.

კერიასთან ორი ქალი ფუსფუსებდა: საპატარძლო — ორმოც წელს გადაცილებული აღათი და ამ ქალის გამზრდელი მამიდა თეო. საპატარძლოს არავინ ჰყავდა მამიდაზე ახლობელი. დეიდ-მამა სულ პატარას დაეხოცა და მამიდა თეომ იკისრა მისი გაზრდა. არც გათხოვილა ამ ობოლი გოგოს შემყურე. ახლა თეოს დიდად უმძიმდა მისი მოცილება, მაგრამ თავის მაგალითზე იცოდა, რომ ქალის გაუთხოვრად დარჩენა დიდი

უბედურებაა და ამიტომაც უარს როგორ იტყოდა ამ ღვთის დაწესებულ საქმეზე.

სამოც წელს მიღწეული თეო მარჯვედ დიასახლისობდა. დესი მაინც მიეშველა დიასახლისებს, შებრაწული ქათამი აქნა და ტაბაკზე დაფენილ კვახის ფოთლებზე დაალაგა. საპატარძლომ კი ნიგვზით შეკმაზული წვენი თიხის ჯამებზე დაასხა და ყველას ჩამოურიგა. ეს ჯამები ნამიკოლოვოში ეყიდნათ ამ კვირას მეზობლებს თეოსათვის. სტუმრები ტაბაკს გარს მოუსხდნენ და თეომ დიდი დოქით ადესის ღვინო შემოიტანა. ძუკუმ ღვინოს ჭაშნიკი გაუსინჯა, ქება შეასხა და თვითონვე დაუსხა ყველას თიხის ჯამებზე. დესიმ არ დალია. მაშინ მთის წყაროს წყალი მოარბენინა საპატარძლომ. სტუმარმა ცივად გაოფლილი დოქი მოიყუდა და სულმოუთქმელად დალია. ამასობაში ძუკუ მესამე სადღეგრძელოს ამბობდა და ღვინოს აძალებდა მაჭანკალს, რომელმაც მხარი აუბა ღვინომოწყურებულ სტუმარს. ახლა მეორედ სვამდა დიასახლისის სადღეგრძელოს და რა სიტყვებით არ ამკობდა საპატარძლოს! აღათი კი ჩუმად იჯდა და გულგრილად შესცქეროდა ყოველივეს, თითქოს იქ რასაც ამბობდნენ, მას არ შეეხებოდა. ძუკუ ახლა დიდ დიასახლისს აქებდა და ბოლოს ასე დაამთავრა სადღეგრძელო:

— თეო ბატონო, თქვენ მარტო იმიტომაც გეკუთვნით დიდი პატივისცემა, რომ ასეთი მშვენიერი ძმისშვილი გაგიზრდიათ. ჩვენ აუცილებლად დავმოყვრდებით და გჯეროდეთ ბედნიერი იქნება თქვენი გაზრდილი ჩემი სიმამრის ხელში.

ბოლოს ძუკუმ თქვა, არ შემიძლია ეს სადღეგრძელო ამ პატარა ჯამით დავლიოო და დიდი სასმისი მოითხოვა.

აღათიმ პატარა დოქისმაგვარი კულა მოართვა და ღვინით გაუვსო. ძუკუმ სულმოუთქმელად გამოცალა. თეოს ესიამოვნა, აქაც რომ გაზრდილს უქებდნენ, თან კი გული ეტკინა, როცა გაიფიქრა, ასეთ მშვენიერ გაზრდილს აუცილებლად წამართმევენო და მე რა მეშველება, უიმისოდ დარჩენილსო.

ამ დროს მოხარშული ჭყინტი სიმინდი და კვახი შემოიტანეს. ძუკუ ახლა სიმინდსა და კვახს მიეძალა. ახლა აღათი აქებდა კვახს:

— ეს, ბატონო, ახლა რომ თქვენ მიირთმევთ, ჭურა კვახია. აბა, მეორე გასინჯეთ, აი ეს დიდი გოგრა კვახი. ასეთი კარგი კვახი არსად იცის, როგორც აქ, — და ახლა ეს მეორენაირი კვახი შესთავაზა დესისა და ძუკუს. ძუკუმ ცოტა სული მოითქვა და ახლა მაჭანკლის სადღეგრძელო დალია: „ღმერთმანი, კარგი გემოვნება გქონია, რომ ასეთი ქალი შეურჩიე ჩემს სიმამრს“. მიიყუდა ეს დიდი კულა და გამოცალა. მერე ულვაშზე გადაისვა ხელი და მაგრად ჩაკოცნა მილეული მაჭანკალი. მაჭანკალმა სული ძლივს მოითქვა და ძალით გააშვებინა სალტესავით შემორტყმული ხელები უკვე გვარიანად გამომთვრალ ძუკუს.

ბულულხვმა სუფრამ უზომოდ გაახარა ძუკუ და გაქნილ მაჭანკალთან ისევ სადღეგრძელოები გაბა. დესი საპატარძლოს ელაპარაკებოდა, მაგრამ თვალი და ყური ძუკუსაკენ ჰქონდა. და როცა შეიტყო, რომ ერთმანეთზე გადაკიდებული ქმარი და მაჭანკალი სადღეგრძელოს არ ათავებდნენ, დაყვავებით მიმართა:

— ახლა კი გვეყოფა, ვჭმეთ, ვსვით, მოვილხინეთ, ბევრიც ვილაპარაკეთ. უკვე გვიანია, ბატონებო, მარტვილამდე ცოტა გზა როდი გვაქვს გასავლელი. ახლა კი მოვრჩეთ, ჩვენც ჩვენს გზას გავუდგეთ და ეს პატიოსანი ხალხიც მოვასვენოთ — დესიმ ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა საპატარძლოს. აღათიმ ხელები გაასავსავა:

— არა, როგორ იქნება, ჩემო ბატონო, ასე ადრე წასვლა. სხვა არა იყოს რა, მეზობლები რას იტყვიან, ალბათ შიმშილით მოკლა სტუმრები და ასე ადრე გაექცნენო.

არ გასჭრა დიასახლისის მუდარამ. დესიმ ლოყაზე აკოცა საპატარძლოს, მერე მამიდას ჩამოართვა ხელი და გარეთ გავიდა. მეტი გზა არ იყო, ძუკუც ადგა, კი არ ადგა, წელი ძლივს აითრია, ფეხზე დამდგარმა მაინც გაავსო დიდი კულა, საყოვლადწმინდო დალია და გარეთ გამოვიდა.

რიგიანად გამომთვრალი ძუკუ ბანცალით მიაცილებდა ნაზუნავოს მთის დაღმართზე ცოლს და თან რაღაცას ბუტბუტებდა, გუნებაში ისევ მაჭანკალს ედავებოდა სადღეგრძელოებზე.

იმ პარასკევს ქვრივი მიხა ნოღალევში შეახვედრეს სიგუას ქალს. აღათი ავად გამხდარიყო და ერთიანად გაყვითლე-

ბელიყო. ახლად გამოჩეკილი წიწილის ფერი ედო. ცოტა არ იყოს, გული ეტკინა მიხას, ეს ვინ შეურჩევიათ ჩემთვისო. კვლავ დააკვირდა. ახლა ყვითელ სახეზე ქერა ბუსუსები შეამჩნია და უკუდგა. მაგრამ ამ დროს მაჭანკალი ჩაერია საქმეში. მერე ლაპარაკი გააბა მიხამ სიგუას ქალთან და უფრო და უფრო მოეწონა. იმავე დღეს ნოღალევის სასადილოში დანიშნეს სიგუას ქალი...

ჰეორე ცოლის შერთვამ მიხა გაახალისა, გამოეწყო, გამოიპრანჭა, ყოველ კვირას წვერს იპარსავდა. საღამოს გამობრძანდებოდა და დიდი ცაცხვის ძირას ხმამაღლა საუბრობდა თანასოფლელებთან. მოიღხინა, გაიხარა ქვრივმა, მეორედ ჯვარდაწერილმა მიხა მებუკემ, მაგრამ, დიდხანს ვერ იცოცხლა ახალი ცოლის ხელში! იმავე წლის ბოლოს ავად გახდა. მეელი ერთი კვირა იწვა დავრდომილი ავადმყოფი. მარტვილიდან ქალიშვილი და სიძე დაიბარა. ძუკუც მაშინვე წამოჰყვა ატირებულ ცოლს. იმ საღამოს უფრო ცუდად გახდა მიხა. ახლა მეზობლებიც დააბარებინა.

— მეზობლებო, შვილებო და შვილიშვილებო, მგონი სიკვდილი მეწვია, სიცოცხლე მწყურია, მაგრამ ეტყობა წასულია ჩემი საქმე. უფრო იმიტომ მწყურია, შვილებო, სიცოცხლე, რომ მინდა ამ ჩემს მეზობლებთან ერთად გლეხის ბედნიერებას შევესწრო. მაგრამ ეს ბედი ღმერთს ჩემთვის არ გაუმეტებია. ეხლა ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან —და სასთუმალთან მიყუდებულ ბუკს შეხედა. მერე ხელით სწვდა, გადმოიღო, უნდოდა შიგ ჩაებერა, მაგრამ შერცხვა და იქვე სასთუმალთან დადო. და ისევ მიმართა შვილებსა და მეზობლებს:

— უტუ მიქავამ ეს ბუკი საკუთარი ხელით ჩამაბარა, ურდუმის დროშა კი თოდუებს დაუტოვა და გვიანდერძა, ამ დროშასა და ბუკს საკუთარი თავივით გაუფრთხილდითო. ეს დროშა თქვენი ძმების სისხლით არის გაბანილი, ეს ბუკი კი ჩვენს ურდუმს ამ დროშასთან ერთად წინ მიუძღოდაო, დრო მოვა, ჩვენი ხალხი მოიკითხავს ამ დროშასა და ბუკს და ეს დროშა და ეს ბუკი ჩვენს ხალხს ისევ წინ წაუძღვებაო. გახსოვთ ამ რამდენიმე წლის წინათ ბატონყმობის გაუქმებაზე რომ დიდი კრება გამართეს ჩვენი ცაცხვის ძირას? მაშინ მე

მეგონა ეს დრო დადგა მეთქი, ჩემი ბუკი გამოვიტანე და მთელი დღე ვაყვირე. თოდუებმა ურდუმის დროშაც მოიტანეს. მე ისევ იმ ცაცხვზე ავეღოდი და დროშა ზედ დავკიდე. მაგრამ ვაი, რომ თურმე არ დამდგარიყო ის დრო, უტუმ რომ გვიწინასწარმეტყველა. ის დროშა, თოდუებს რომ ებარა, მე ჩამოვიღე, შინ წავიღე და აქა მაქვს სასოებით შენახული. მაგრამ მე იმ დროს ვერ მოვესწრები როცა ეს დროშა ისევ საჭირო გახდება...

ცრემლი მოერია. ცოლმა რომ მიხას ცრემლი შენიშნა, მოთქმა წამოიწყო. ეს რომ მიხამ დაინახა, ხელები გაასავსავა, ცრემლები არ დამანახოთო და მერე ისევ განაგრძო:

— არა, ჩემო მეზობლებო და შვილებო, ის დრო კი აუცილებლად მოვა, უტუს ტყუილები არ უყვარდა. რაკი თქვა, მოვა ის დრო, ჩემი თხოვნაა ნება დამრთოთ ეს ჩვენი ბუკი და დროშა ჩემს შვილიშვილს მიხას და ანდრი გეგეჭკორის შვილს დავუტოვო ანდერძად, რომ ჩვენი მაგივრობა გასწიონ, რომ თოდუების ურდუმის დროშას გვერდით ამოუდგნენ ამ ბუკით.

ამის შემდეგ მიხამ ქალიშვილი მოიხმო: „ალბათ მე ხვალინდელი დღე დამიბნელდება, წადი, შვილო, და ხვალ დილით აქ მომგვარე ჩემი შვილიშვილი და გეგეჭკორის ბიჭი“.

მეორე დილას უფრო ცუდად შეიქნა მიხა. იგრძნო სიკვდილის მოახლოება და შეწუხდა, რომ იგვიანებდნენ. სწორედ ამ დროს გამოცხადდა მიხას ქალიშვილი ანდრის ბიჭით და თავისი შვილით. მიხამ თვალები დაახამხამა. კმაყოფილების ნიშნად ჯერ თავის ქალიშვილს შეხედა, შემდეგ კი მომაკვდავმა მზერა შვილიშვილსა და გეგეჭკორის ბიჭს მიაშუქა:

— ანდრი რომ კვდებოდა, დამიბარა, ამ ბუკსა და დროშას, — და სასთუმალიდან დროშა გამოიღო, — თვალისჩინივით გაუფრთხილდიო, თუ შენ სიცოცხლეში ამ დროშის გამოყენებას ვერ მოესწარი, ასევე ფრთხილად და სასოებით ვინმეს გადაეცი, რომ მომავალ თაობას გამოადგესო. ამიტომ დაგიბარეთ. იმ პატარა ბიჭებში, რომელთაც ჩვენი თაობის ეს სახელოვანი დროშა უნდა შეინახონ, მოუარონ და, როცა საქმე და დრო მოითხოვს, გამოიყენონ, ყველაზე ღირსეული თქვენ მეგულებით. ეს ის დროშაა, რომელიც მამაშენისა და უტუ მი-

ქალას ჯარს წინ მიუძღოდა. ეს დროშა ჩვენი გლეხების სისხლით არის შეღებილი და, აბა თქვენ იცით, ჩემო შვილებო, თუ არ შეარცხვენთ.

მიხამ დახვეული დროშა გაშალა და ეამბორა, გეგეჭკორის ვაჟმაც, თხუთმეტი წლის ამ გონიერმა, ფხიზელმა, ბოესვენარმა და მკვირცხლმა ყმაწვილმა, მის სასთუმალთან დაიჩოქა და ეამბორა დროშას. მერე ფეხზე წამოდგა, დროშა გამოართვა მოხუცს და შეჰფიცა:

— ვფიცავ მამაჩემის სახელს და თქვენს სახელს, კეთილო მოხუცო, რომ ამ დროშას, როგორც ხალხის ნამუსს, ისე წარვუმძღვარებ ჩვენს ხალხს და შევასრულებ წინაპართა ანდერძს.

გეგეჭკორის ვაჟმა ისევ გულში ჩაიხუტა დროშა. დარბაზს ჩუმმა ქვითინმა გადაუარა.

— არა, აქ სატირალი არაფერია, — გონს მოვიდა მიხა, — მოხუცი უნდა მოკვდეს. მივდივარ. მაგრამ მწამს, რომ მომავალი თქვენია. ისიც მწამს, რომ ამ დროშას თქვენი თაობა არ შეარცხვენს. ახლა წადით, მეზობლებო და შვილებო. ცოლთან დამტოვეთ მარტო. ანდერძი მაქვს სათქმელი.

მეზობლები გაიკრიფნენ ოთახიდან. ცოლი ახლო მივიდა მიხასთან. მიხამ პირი დააღო სათქმელად, მაგრამ სიტყვა პირშივე გაეჩხირა და ხროტინი აღმოხდა. იკივლა სიგუას ქალმა. მეზობლები ისევ შემოცვივდნენ ქოხში, მაგრამ მიხა უკვე გათავებული იყო.

* * *

1876 წელს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. საქართველოს მოწინავე ინტელიგენციას იმედი მიეცა, რომ ქართველთა ტომებით დასახლებული, თურქებისაგან უსამართლოდ მიტაცებული მიწა-წყალი ისევ დედა საქართველოს დაუბრუნდებოდა. ამ ამბის გამგონე ეკატერინე, რომელიც ბოლო დროს სულ ავადმყოფობდა, უცბად გამოცოცხლდა და მზად იყო ძველებურად აეღო ხელში ხმალი, გადამჯდარიყო თავის საყვარელ ბედაურზე და კვლავ ამხედრებულიყო თურქების წინააღმდეგ. დედოფალი ცოუნებამ გაიტაცა და ყოველდღე ომის ამბებს კითხულობდა.

25 მაისს ჩვენმა ჯარმა არდაგანი აიღო. მთელმა საქართველომ იდღესასწაულა ომში გამარჯვება. ეკატერინემ გორდში დიდი ნადიმი გამართა და თავისიანებს განუცხადა:

— არ შეიძლება შორიდან ვუყურო ამ ამბებს, ჩვენები ბევრნი წასულან ომში. ჩემი ნიკოც ფრონტზეა. ამბობენ, ვამეხ დადიანი დაუჭრიათ და დაჭრილი სენაკს ჩამოუყვანიათო. საჭიროა დავეხმაროთ ამ დაჭრილებს, ომის გმირებს, მე ხვალვე ზუგდიდს უნდა წავიდე...

მართლაც, მეორე დღეს ეკატერინე დედოფალმა თავისი ამალით ზუგდიდს მიაშურა.

* * *

აკაკი წერეთლის უმცროსი და, მატა, ალექსანდრე (ვამეხ) დადიანზე იყო გათხოვილი. ვამეხი სამხედრო პირი იყო და 1876 წელს რუსეთ-თურქეთის ომში გაიწვიეს. ფრონტზე დაიჭრა და იმავე თვეს სამეგრელოში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. გაიგო თუ არა სიძის დაჭრის ამბავი, აკაკი მაშინვე გაეშურა სამეგრელოში, მაგრამ ვამეხს ცოცხალს ვეღარ მიუსწრო. აკაკი სიძის დამარხვას დაესწრო. აქვე იყო ეკატერინე დადიანი, რომელსაც პოეტი დიდი ამბით შეხვდა.

ეპისკოპოსმა ბესარიონ დადიანმა დედოფალი და პოეტი ოჯახში მიიწვია. აქ დიდხანს საუბრობდნენ ეკატერინე და აკაკი. საუბარში ეკატერინეს მაზლი გრიგოლ დადიანიც მონაწილეობდა. მწერლობაში იგი „კოლხიდელის“ ფსევდონიმით იყო ცნობილი. კოლხიდელი დიდად მეგობრობდა აკაკის, თუმცა იგი მამების პოზიციას და, კერძოდ, გრიგოლ ორბელიანს თანაუგრძნობდა.

მოკითხვა-გამოკითხვის შემდეგ საუბარი სწორედ მამათა და შვილთა უთანხმოების საკითხზე ჩამოვარდა.

— ბატონო აკაკი, უნდა გამოგიტყდეთ და, ძველი თაობის წინააღმდეგ თქვენი ეგზომ ამხედრება დიდად საწყენია ჩვენთვის. არა, რა გვაქვს, ბატონო აკაკი, გასაყოფი და სამტრო, ისედაც ერთი მუჭა ვართ. — მორიდებით ეუბნებოდა კოლხიდელი აკაკის.

— ჩემს გულში, — ასევე გულწრფელობით მიმართა აკაკიმ კოლხიდელს, — არც შური, არც მტრობა, არც სხვა რამე

უმგვანო საქმე არ დასახულა ჯერ. გული მქონდა და მაქვს აღვსილი: მამულის ერთგულებით, მოძმის სიყვარულით, მომავლის იმედით, პატიოსნებითა და ყოველს კაცობრივი გრძნობით. აბა დამიმტკიცოს ვინმემ რამე უპატიოსნება. მე არავისი მეშინია, გარდა ჩემი სინდისისა. უსინდისო საქმეში მე არ გავერევი, მაგრამ ვინც ეგოისტური გრძნობებით მოქმედებს და თავისი ბედნიერება საქართველოს ბედნიერებისაგან ვერ გაურჩევია, თავის ჩინისა და სამსახურში წარჩინებისათვის შვილსაც არ დაზოგავს, ასეთი ადამიანების პატრიოტობა მე არცა მწამდა და ვერც ვიწამებ. — ამ სიტყვებზე აკაკი ფეხზე წამოდგა.

ეკატერინეს სტუდენტობიდანვე ღრმად ჩაებეჭდა აკაკის სახე: მაღალი, ახოვანი, მკერდსავსე, ხუჭუჭთმიანი, დიდრონი, წყლიანი, მეოცნებე თვალები სხივოსანი შარავანდედით მოსავდა მის ნათელ სახეს. ტუჩებს ნეტარების ღიმილი დასთამაშებდა. პირდაპირი იყო და შეუპოვარი. უყურებდა ეკატერინე თმაში ჭაღარაშერეულ პოეტს, უყურებდა, სტუდენტ აკაკის ადარებდა და უფრო და უფრო იმსჭვალებოდა მისადმი პატივისცემით.

ეკატერინეს ენიშნა პოეტის ეს გადაკრული სიტყვები:

— როგორ, როგორ, ბატონო აკაკი, ჩინი და მედლები, თანამდებობა და წარჩინება როდის შემდეგ გახდა საგინებელი? განა ჩვენი საქართველო ამ დიდებულებმა არ დაიცვეს, ამ დაწინაურებულმა თავადობამ არ დაიცვა? რათა ვართ უმადური, რათ ვიკიწყებთ მათს ამაგს დიდებულს? მაშ, გრიგოლ ორბელიანი საქართველოსათვის არა ღვრიდა სისხლს დაღესტანსა და ყარსში, ზაქათალასა და კახში?

აკაკიმ აღარ აცალა დედოფალს სიტყვის გაგრძელება:

— გრიგოლ ორბელიანი სისხლს გურიაში ღვრიდა და თავის მოძმე გლეხებს მათრახით უმასპინძლდებოდა. ეს პატრიოტობა როდია, ჩემო დედოფალო. არა, მე არა მწამს ის კაცი, რომელიც გვარიშვილობით მოქმედებს, წარჩინებისა და ჩინებისათვის იბრძვის და საქართველოს სახელით.კი ლაპარაკობს.

ახლა კოლხიდელი გამოექომაგა გრიგოლ ორბელიანს:

— აქარბებთ, ბატონო აკაკი, მარტო გლეხებს ხედავთ და ჩვენი დამსახურება კი გავიწყდებათ.

— ღმერთმა დამიფაროს ასეთი ცოდვებისაგან, — სიტყვა ჩამოართვა აკაკიმ, — მე იმას ვამბობ, რომ მოღვაწე კაცისათვის კერძო და საზოგადო განუყოფელი უნდა იყოს. ისეთი კაცისაგან, როგორიც გრიგოლ ორბელიანია, ჩვენ მეტს მოვითხოვთ. ჩვენი პირადი საზოგადოსთან უნდა იყოს შედუღებულ-შეკავშირებული. ჩვენ იმას ვებრძვით, ვისაც საქართველოს უკეთილდღეობა პირად კარიერად გადაუქცევია და და ამ გზაზე ნაჭერ-ნაჭერ ჰყიდის ჩვენს მამულს, ჩვენს უფლებებს. მათი აზრით, საქართველოს კეთილდღეობა მათს კეთილდღეობას უდრის. ჩვენ კი მზადა ვართ საქართველოს თავი შევწიროთ და სხვებისაგანაც ამას მოვითხოვთ...

— როგორ, ღმერთო მომკალი, — შეესიტყვა ეკატერინე აკაკის, — ჩვენ კი არ გაგვიწირავს თავი მამულისათვის? აბა, ვინ იბრძოდა, ბატონო აკაკი, ენგურის პირას თურქების წინააღმდეგ — და ხელი გრიგოლ დადიანისაკენ გაიშვირა — ან ვინ იბრძვის ეხლა და ვინ სწირავს თავის სიცოცხლეს მამულსა? აი ეს კაცი, დღეს რომ დავმარხეთ, შენი დის ქმარი, მამულისათვის ბრძოლას არ შეეწირა? და მერე ვინ არიან ესენი? შენგან სასაცილოდ აღებული ჩინოსნები...

— ჩემო დედოფალო, — დინჯად გამოეპასუხა პოეტი, — მომისმინე, ბრძოლა მარტო თოფით კი არ წარმოებს. ჩვენ დიახაც პატივს ვცემთ ყველას, ვინც კი მამულისათვის თავს სწირავს ამ დიდსა და გაქიმულ ფრონტზე. მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ეს პატარა ენა ხშირად მეტს აკეთებს მამულისათვის, ვიდრე ხმალი და ზარბაზანი...

ეკატერინემ სიტყვა არ დაამთავრებინა აკაკის:

— როგორ, გრიგოლ ორბელიანი ამ მხრივ განა დასაწუნია?

აკაკიმ კვლავ განაგრძო დაწყებული:

— არა, მე არ ვამბობ, დასაწუნია-მეთქი, მაგრამ, ჩემი აზრით, გრიგოლ ორბელიანმა ვერც გვარიშვილობით, ვერც წოდებით, ვერც პოეტობით იმდენი ვერ გააკეთა, რამდენიც მის ნიჭსა და უნარს შეეძლო, და ასე მგონია, ვაზვიადებთ მის ღვაწლს.

ეკატერინე და გრიგოლ დადიანი გაცხარებით წინააღუდგნენ აკაკის: — არა, ბატონო აკაკი, გრიგოლ ორბელიანი მეფეა ჩვენი ქართული ენისა და დიდებული გვარიშვილი, მამული-

შვილი. ჩვენ კი ვერ ვაფასებთ მის ღვაწლსა და შრომას და დიდ უმადურობას ვიჩენთ. მოვა სხვა თაობა, სხვა ხალხი, დაივიწყებს ამ პირადულ აზრებს და ღირსეულ ადგილს მიაკუთვნებს ჩვენს დიდებულ მამულიშვილსა და დიდებულ პოეტს.

— და გრიგოლი ჯერ კიდევ ბევრ რამეს გაუკეთებს ჩვენს მამულსა და ქართულ მწერლობას, — დაუმატა თავის მხრივ კოლხიდელმა...

ამ გაწიწმატებულ კამათში იყვნენ აკაკი და მისი თანამოსაუბრენი, როდესაც აივანზე ბესარიონ დადიანი ამობრძანდა და სტუმრები სადილად მიიწვია. კამათი არც სადილზე შეწყვეტილა...

გვიან გამოემშვიდობა აკაკი მასპინძლებს, გამომშვიდობებისას კოლხიდელმა ბოდიში მოიხადა პოეტის წინაშე და ჰკითხა: „ხომ არ გაწყენინეთ შესიტყვებით, ბატონო აკაკი?“

— მე, ჩემო გრიგოლ, მიჩვეული ვარ ასეთ წკიპურტებს და. როგორც ხედავთ, არც შევარჩენ ვინმეს რაიმეს. თუ, პირიქით, რე არ გაწყენინეთ ჩემი აქ მოსვლით, დიდად კმაყოფილი მივდივარ აქედან.

მგოსანი ეკატერინეს ხელზე ეამბორა, გრიგოლ დადიანს ხელი ჩამოართვა და ეზოდან გავიდა.

* * *

ეკატერინე წარსულის მოგონებით ცოცხლობდა. იმ საღამოს მას თვალწინ დაუდგა თავისი ქალიშვილობის წლები, თბილისი, ტოლ-ამხანაგები, საღამოები და ბალები. მოაგონდა, თუ როგორ იცეკვა დავით დადიანთან. მოაგონდა და გაეღიმა: „ლეკურს“ ჩემზე უკეთ ვერავინ ცეკვავდა, თუმცა გიორგი ერისთავმა ლეკსიც კი უძღვნა დარია სულხანის ასულ ბეგთაბეგაშვილსო. მართლაც დარია კარგი მოცეკვავე იყო. დედოფალმა იმჟამად საკმაოდ გავრცელებული გიორგი ერისთავის ლექსის მოგონება სცადა, მაგრამ ვერა და ვერ გაიხსენა, მხოლოდ პირველი სტრიქონები ახსოვდა. იმავე დღეს ზუგდიდიდან წერილი მისწერა ალექსანდრე ერისთავს:

„ჩემო ძვირფასო ძმაო ალექსანდრე!

დიდი ხანია შენი მშვიდობის ამბავი არა ვიცი რა. იმედია ღვთის მადლით შენ და შენის შვილებით მშვიდობით იყოფებით.

მე სულ შეუძლოთ ვარ. მაგრამ ჩემი სალომეს თავისი ქმრითა და შვილებით კარგად ყოფნით ვნუგეშობ — ჩემს ნიკოსაც ამ თვემდის მოველი, რომელიც მოდის ერთი თვის ვადით რომ მოუმზადოს თავის სიმამრს, სიდედრს და გრაფ ბარანოვს გორდს სადგომი. და შემდეგ ისევ წავა თავის ცოლშვილის მოსაყვანად. ანდრო მშვიდობით არის რომში, სადაც მსახურებს პოსოლსტვოშიდ. გთხოვთ, ჩემო ალექსანდრე, შენი შვილები და კნეინა ვონია სიყვარულით მომიკითხო.

თუ ჩემი სიყვარული გაქვთ, უთუოდ უნდა მიშოვნო გიორგი ერისთავის დაწერილი ლეკურის თამაშობაზე ბეგთაბეგოვის ქალისა. ნამდვილი მისი შეთხზული ლექსისაგან გადმომიწერო და გამომიგზავნო, რომლითაც დიდად დამავალებ. მშვიდობით ჩემო საყვარელო ალექსანდრე, ღმერთსა ვთხოვ შენს სიმრთელითა და ბედნიერებით ცხოვრებას.

დავშტები შენი ერთგული მთავრინა ეკატერინე.

8 მარტი, 1877 წელი. ქ. ზუგდიდი".

ერთი კვირის შემდეგ ეკატერინეს ალექსანდრე ერისთავის წერილიც მოუვიდა და ლამაზად გადაწერილი გიორგი ერისთავის ლექსიც. ეს ლექსი პირველად 1852 წლის თებერვლის „ცისკარში" დაიბეჭდა, ხოლო 1867 წელს ალექსანდრე ერისთავის მიერ გამოცემულ გიორგი ერისთავის თხზულებათა კრებულში შევიდა. ეკატერინე მთელ კვირას კითხულობდა და სწავლობდა ამ ლექსს. მან ხომ თავისი მამისა და ბარათაშვილის თითქმის ყველა ლექსი იცოდა ზეპირად. ახლა კი ცოტა გაუჭირდა ამ ლექსის ზეპირად დასწავლა, მაგრამ ბოლოს მაინც მოახერხა და ერთ დღეს სალომეს და აშილ მიურატს უთხრა კიდეც ზეპირად:

კნეინა დარია ბეგთაბეგოვისას

(ლეკურის თამაშობაზე)

დიდი ხანია თვალსა ჩემსა სოფლით დაღალულს,
ტრფობის ღელვით გაცივებულს, ამა ჩემსა გულს
არ მიეღია მეჯლისთაგან სიამოვნება;
მაგრამ ლეკურმა, ჩვენებურმა, ჩემი გონება
განცვიფრებითა პოეტთ ცასა ზე აღიტაცა,
მუზთა შთაბერეს, თვარა სხვაგვარ ვიტყოდი რასმცა?
ეს ვინ მოფრინავს? ფერია თუ ცითა ნავარდობს,

მეჯლიში ნახა და იამა, ჰხარობს და მარდობს!
ერთი შეხედვით, ვით ყარყატი ყულმოღერებით,
მოსცურავს ეგრე მშვენივრად და ხარხარებით.
უყურეთ ფეხთა თვალ ვერ ჰსწრებით, როგორა ჰხმარობს,
ჰაერთა ზვირთთა თვისის ფრთებით, ვითა განაპობს?
ხედავთ მაგ ტანსა, გულს წამტანსა, ნორჩსა, მრხეველსა,
შეჰხედეთ თმათა, შორთა შავთა, — შვენობენ წელსა,
მკლავს მე ხელობის, ზესთა ფრთების უცხოდ ხმარება,
აგრე მოჰფრინავს, თითქოს მიწას არ ეკარება!
ვიშ მაგ სახესა, სინაზესა, სულის სარკესა!
მაგ ნაზ ტუჩებზედ ეგ ღიმილი ვინ დაგიწესა?
ხედავთ, კავები წყეულები, ტაშსა ჰყვებიან,
როგორ ცელქობენ, აშიკობენ, ეკონებიან?
აი თვალები, მაშვენები ლამაზის სახის,
სავსე ცეცხლითა და ელვითა, სადგურნი ეშხის,
მოდით, მჭვრეტელნო, ტაშის მკვრელნო, უთხართ მადლობა,
დავლოცოთ მაგის ცხოვრება, ყმაწვილ-ქალობა,
აწ მე შევამკობ, თქვენ ქებისა დაჰკარით ტაში,
ეს ლექსი ვუძღვენ, მან მიიღოს ვითა შაბაში.

* * *

თუმცა ეკატერინეს ბავშვები პეტერბურგსა და პარიზში აღიზარდნენ, მაინც, დედის მეოხებით, ოჯახში წმინდად ინახავდნენ ქართულ ენას. ოჯახში უფროსებიც ქართულად ლაპარაკობდნენ და ბავშვებსაც გამუდმებით ქართული ენის მასწავლებელი ჰყავდათ: ჯერ ივანე კერესელიძე ასწავლიდათ, მერე კი პეტერბურგსა და საზღვარგარეთ — თევდორე ხოშტარია. და აი, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა სალომემ იმავე დღეს წერილი მისწერა გრიგოლ ორბელიანს. წერილი ქართულად იყო დაწერილი, ლექსთა მეფეს, ქართული ენის მპყრობელს, დიდად გაუხარდა ეს წერილი და იმავე დღეს პასუხიც დაუბრუნა.

„12 აგვისტოს, 1877 წ. წავკისით.

ჩემო გულის საყვარელო დისწულო სალომე! შენი წერილი, ქართულად დაწერილი, წინ მიდევს. შევჰხარი და სიხარულით ვამბობ: ქვეყანაზე მხოლოდ ერთია სალომე, რომლისა წერილსა აწ ვკითხულობ მეორმოცედ! ვკითხულობ და მიძ-

ნელდება, როგორ გითხრა, ანუ ჭეშმარიტი მადლობა ჩემის ხსოვნისათვის, და ანუ მართალი, წმინდა შენდამი სიყვარული! ღ-თმან გაკურთხოს შენც და შენი აშილიცა, და ჰყოს მან სიცოცხლე თქვენი ისე მხიარულ ნათლად, ვითარცა შუქი მაისის დღისა.

მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა ჩემო მშვენიერო სალომე! და აბა როგორ არა ვჰსთქვა სიმწარითა: პარიქელსა უნდა უყვარდეს ქართული ენა, უნდა იგი ჰსცდილობდეს მის შესწავებასა და საქართველოში კი ქართველნი ქალები უარსაჰყოფდნენ ქართულს ენასა, და შეურაცხებით, ტუჩებ-აშვებით ამბობდნენ „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა". ეს სიტყვები ცხადად გამოაჩენენ აწინდელს საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებასა, გზის დაკარგვასა, ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას, უეჭველია არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავისი წინაპარნიცა, თავისი მამულიცა! ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფაცხოვრებისა. მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია. თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა, მაშ, როგორ უნდა იცოდეს ვინ იყვნენ მისი მამა-პაპები, როგორ ჰსცხოვრობდნენ, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღეროდნენ, რა უხაროდათ, რასა ჰსწუხდნენ? ათასის წლის განმავლობაში, როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებსა, რომელთაცა აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდს რუსეთისა და უძნელდება ბრძოლა? რომელი ისტორია მოგვითხრობს ესრეთსა უმაღლესსა სარწმუნოებისა და მამულის სიყვარულსა, როგორცა გამოაჩინეს საქართველოს უკანასკნელთა მეფეთა, ირაკლიმ და გიორგიმ, რომელთაცა თავის ნებით, თავის სურვილით დაჰსთმეს თავის სამეფო ტახტი, თავისი შვილები და მისცეს თავისი სამეფო რუსთ ხელმწიფესა, ოღონდ კი იცხოვროს საქართველომ მშვიდობიანად. სპარსელებმა ქეთევან დედოფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოკლეს, და არ უარჰყო მან ქრისტიანობა! განა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავლისა ქართველთა ქალებთაგან? და თუ მოვიგონებთ ძველთა მწერალთა, მელექსეთა, ღვთისმეტყველთა, მქადაგებელთა — მერწმუნე, ჩემო სალომე, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი,

როგორცა ჰგონიათ ახლანდელთა ინსტიტუტებსა და ამისათვის დაგიყოცნი გონიერ შუბლსა, რომ შენ ხარ პ-ლი მაგალითი ქართულის ენისა სურვილით სწავლისა. უწინაც ჩვენი ქალები იყვნენ დიდად ქებულნი ენის ცოდნითა, და მათგან ბევრნი იყვნენ დიდნი ორატორები, ვითარცა ბატონიშვილები, ქეთევან, მარიამ, თეკლა. ესენი განვიდნენ ამა სოფელით და ახლანდელთა არც კი იციან საფლავნი მათნი. არც კი იციან, თუ ვისის მადლით და წყალობით ასე გულმოსვენებით, კეკლუცობით სეირნობენ გოლოვინის პროსპექტზე შლეიფებ გაშლილნი? საფლავნი მეფის ირაკლისა და გიორგის აღარ იციან სად არს! — უბადრუკებმა აღარ იციან, რომ იმათი დედები იყვნენ დედუფლები ზრდილობისა, სილამაზისა, მაღალის გონებისა და ამისთანა ხასიათით მამაცნი, თავგანწირულნი მამულისათვის! მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ამ წერილში წაველ ძალიან შორს და უნდა მოვიტევოთ რადგანაც ვჰსჩივი შენ წინაშე აწინდელის საზოგადოების მიმართვაზე.

ძალიან მიამა, რომ თამარ მეფის სახე ბეთანიაში მოგწონებიათ ეკატერინესაცა და შენც, რადგან უნდა მოგახსენოთ, რომ მე გახლავარ იმ ლექსების დამწერი, და ცენზურამ ზოგიერთისა მათში დაბეჭდვა არ ინება, და აი სწორე, ნამდვილ მომირთმევია ჩემ სახსოვრად: სიბერემ წამართო. წაიღო პოეზიის ძალა, მაგრამ ვეცდები კი, თუ შევძელ მოვახერხო როგორმე და გადავთარგმნო შენი საყვარელი ლექსები; ოღონდ კი უნდა მომითმინო...“

* * *

1878 წლის თებერვალს ბერლინის ტრაქტატით ჩვენს ქვეყანას შეუერთდა არდაგანი, ყარსი, ბათუმი... ამ ამბებით აღფრთოვანებული გრიგოლ ორბელიანი თავის ახლობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, მათ შორის ეკატერინესაც, სწერდა: „დიდის იმპერატორის ძლიერებამ დასცა საუკუნოდ მაჰმადიანობა, დაუძინებელი მტერი ქრისტიანობისა, და ჩვენი ძმანი, ძველი ქართველნი აჯარა, ლივანა, ქობულეთი, ბათუმი გაანთავისუფლა ოთხასი წლის ტყვეობიდან და შეუერთა დედა საქართველოს, და აღასრულა იგი სასწაული, რაც არ გვეგონა?! აღსრულდა დიდი საისტორიო საქმე სახსოვრად საუკუნეთათვის, რომლისა შედეგსა ეხლა ვერ მიხვდება გონება კა-

ცისა და არის ხილული მხოლოდ მისთვის, ვისისა ნებით ბრუნავს სოფელი ესე და ყოველი მას შინა. მსოფლიო მიდის დანიშნულ მისგანვე გზაზე, მილიონნი ქრისტიანენი განთავისუფლდა. გაოცებას შევუბყვრივარ და ვამბობ მხოლოდ, ეს რა ამბავია, დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, დიდება მართლმადიდებელსა მსახურსა მისსა, ჩვენსა ხელმწიფესა“.

გრიგოლ ორბელიანმა ცალკე მისწერა წერილი პრინცესა სალომე მიურატს:

„ყოვლად მოწყალემან ღმერთმან მისცა ძლევა ჩვენს ჯარსა და შეიმუსრა მტერი ქრისტიანობისა და საკუთრივ ჩვენი, ჩვენი საქართველოსი, რომლისა სისხლი ჯერ კიდევ ბევრი ადევს ოსმალოსა და მარტო ამ დამარცხებით ვერ გადიხდის ჩვენს სისხლის ვალსა. ათასი წელიწადი ებრძოდენ მაჰმადიანნი პატარა საქართველოს. რათა? რას ვახდენდით? მართალია ჩვენ გაგვაოხრეს, მაგრამ არცა თუ თვითონ გაიხარეს! ჩვენ ვიყავით მიზეზნი, რომ რუსეთმა წაართვა სპარსეთსა ერევანი, ნახჩევანი, ყარაბაღი, თალიშის სახანო, შაქირ შირვანი ბაქუ-დერბენდი და ყუბა. ოსმალეთსა — ახალქალაქი და ახალციხე და ახლა მესამედ ართმევს ყარსსა. აქედან დაინახავ, რომ ჯერ ოსმალო არის კიდევ მოვალე ჩვენი! აი, როგორ ძვირფასია ქართველების წმინდა სისხლი“...

ოსმალეთიდან დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა ხიმშიაშვილის, აბაშიძის, ბეჟანიშვილისა და სხვა ქართველთა შემადგენლობით. ეს აჯარელი ძმები თბილისში დიდი ზეიმით მიიღეს. ეკატერინე დაესწრო ამ ნადიმს. აღფრთოვანებული დედოფალი გრიგოლ ორბელიანს ბრწყინვალე სიტყვას გაცხარებული ტაშისკვრით აწყვეტინებდა. ორბელიანმა კი ამ მეჯლისზე სიტყვა წარმოთქვა:

„ბატონებო, რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან, რას ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავი ბედისა გამოდ განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი ანაზდეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცვნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადი სიყვარულითა.

ჩვენც ეგრეთვე, საქართველოს შვილნი, ვიყავით დაკარ-

გულნი ერთმანეთისათვის საუკუნეების განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები, თვალი, გული გვეჭირა თქვენსკენ ბატონებო და ეინატროდით, როდის ამოვა ჩვენი მზე შეერთებისა...“

გრიგოლ ორბელიანს ცრემლები მოერია. ეკატერინე ფეხზე ადგა, გრიგოლთან მივიდა, გადაეხვია. დარბაზი მქუხარე ტაშმა გააყრუა. ორბელიანმა ცრემლი მოიწმინდა და განაგრძო:

„და გვისმინა ღმერთმა. და დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულსა ძმებსა. მოხარულნი, მადლობთ უფალსა და ვეევედრებით, რათა შეერთება ეს ჩვენი იყოს უკუნეთ უკუნისამდე. შეურჩევლად! და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიაც უნდა ვიყოთ ჩვენ ერთად, ვითარცა შვილნი დედა საქართველოსი“...

მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. ყველა ცდილობდა გადახვეოდა ნამდვილ ძმებს, აჭარლებს. დარბაზში სიხარულის და აღტაცების გუგუნი ისმოდა.

აჭარელთა პატივსაცემად გამართულ სადილს, რომელიც დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით მოეწყო, 90-მდე კაცი და ქალი ესწრებოდა. მთელი თბილისის მოწინავე საზოგადოებრიობა, გარდა ილია ჭავჭავაძისა აქ იყო. ილია ამ დროს თბილისში არ იმყოფებოდა. დარბაზში მყოფთ მხურვალე ოვაცია გაუმართეს აჭარელ ძმებს. როცა სადილად დასხდნენ, შუაში გრიგოლ ორბელიანი დაბრძანდა, მარჯვნივ ხუსეინ ბეგ ბეჟან ოღლი მიუჯდა, მარცხნივ — შერიფბეგ ხიმშიაშვილი. ხუსეინ ბეგ აბაშიძე, სურმანიძე და ართვინის დეპუტატები თანმიმდევრობით ისხდნენ.

ახლა კი ყველა ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა. მერე, როცა დარბაზი ცოტა დამშვიდდა, ორბელიანმა სიტყვა ასე დაასრულა:

— „ვინ არის, ღვთის გარდა, მიზეზი ესეთი ჩვენი გაბედნიერებისა? ყოვლად მოწყალე დიდი იმპერატორი, აღმდგენელი და მფარველი ძველისა ივერიისა“.

ამ სიტყვებზე მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. აკაკი წერეთელი ადგილზე შეიშმუშნა და არ ამდგარა. მასვე მიჰბაძა მის გვერდით მჯდომმა ორმა ახალგაზრდამ, ისინიც არ ამდგა-

რან. გრიგოლ ორბელიანმა ალმაცერად გახედა აკაკის. სწორედ ამ დროს აკაკის გვერდით მჯდომი ახალგაზრდა ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა თქვა: „გაუმარჯოს რუს ხალხს, ქართველ ხალხს გაუმარჯოს! ხალხის შვილები დაეცნენ ბრძოლის ველზე ქობულეთისა და ბათუმის განთავისუფლებისათვის და ჩვენი მადლობაც მათ იმ მთესველთ-მხვნელებთ ეკუთვნით, უპირველეს ყოვლისა“...

დარბაზში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ეს მყუდროება აკაკი წერეთელმა დაარღვია:

„— ბატონებო!

ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, ხშირად დავსწრებივართ სუფრას, სადაც, ჩვეულებრივ, მოლხენა და გულგახსნილობა ყოფილა.. მაგრამ ისიც კი არ დაგვრჩენია შეუნიშნავად, რომ ხანდახან ამ მოლხენის დროს ზოგიერთი მოლხინე ქართველის მხიარულ სახეს ჭმუნვის ღრუბელი გადაჰკვრია: თითქოს იმათ იმ დროს რაღაც სწყვეტდათ გულსა, თითქოს ისინი მაშინ რაღაცას ინაკლისებდნენ იმ მდიდარ სუფრაზე...

დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვაგვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო!

და რას უნდა მივაწეროთ ეს? თუმცა თვითეული თქვენგანი კარგად გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებული ჩვენი მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება...

დიახ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია!

და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი? აქ მე ნამეტანს არას ვიტყვი. ეს ანდერძი იყო: დედაენა და ერობა! ამაების სადიდებლად ბევრი შრომა გაუწევიათ და დიდი მსხვერპლი შეუწირავს ჩვენს ნეტარხსენებულს მამაპაპათ.

პირველი, ესე იგი, ენა, ისე მდიდრულად შეუკაზმავთ, და ისეთი გემოც მიუცია, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება და არათუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაშორებულები

გვყავდნენ, იმითაც კი შეურჩენიათ დედაენა ტკბილად სასაუბროდ.

მეორე, ესე იგი, ერობა ისე მდიდრულად შეემუშავებიათ და ისეთგვარად უბეჭდავთ, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი საკუთრად ქართველის ერის საკუთვნელ ნიშნებით, რომ დღესვე ქართველი ერთის შეხედვისთანავე იცნობა, ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც; ამის დასამტკიცებლად შორს ნულარ წავალთ, — საკმაოა, რომ აქვე, ამ სუფრაზე, მივიხედ-მოვიხედოთ...

ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით ჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი! დიახ, დღეშდე თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი. დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთს გზას და მიემართავთ ერთს მიზანს, აქ ესეც უნდა მოვიხსენოთ, რომ იმ ჩვენს სამაგალითო მამა-პაპებს, სხვათა შორის, ერთი დიდი ღირსებაცა ჰქონდათ მტრის და მოყვრის პასუხის გება, ვისაგანაც კი რაჰ კეთილი დაუნახავთ, ერთი ათასად გადაუხდიათ...

ამ ღირსებებს ნურც ჩვენ ვიქნებით მოკლებული: ვინც ჩვენ კეთილს გვიქადაგებს და ვინც აგვისრულებს დანაპირებს, ჩვენც ვეცადოთ მისთვის სამაგიეროს გადახდა და დაუმტკიცოთ სიყვარული... თუ ჩვენი მამა-პაპები ადევნებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას, ჩვენც ნუ ვიქნებით თვალდახუჭული... მზად ვიყოთ, რომ ბედს, საიდანაც უნდა მოდიოდეს, კარი გავუღოთ, — და უბედობას ვეწინააღმდეგოთ! ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა.

მაგრამ რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალყური ვადევნოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას და შემდეგ იმათ ენერგიას და ცოდნას მამებმაც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენს წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთ".

დარბაზში აგუგუნდა „მრავალჟამიერი" და ხალხი სიხარულის ცრემლებს იწმენდდა. აკაკის შემდეგ დიმიტრი ყი-

ფიანმა ილაპარაკა. მან ვრცლად მიმოიხილა საქართველოს ისტორია, მოიგონა ჩვენი წინაპრების გმირობა, გაიხსენა ძველი, თამარისდროინდელი საქართველოს ერთიანობა და სიტყვა გრიგოლ ორბელიანის დამოწმებით დაამთავრა: როგორც აქ გრიგოლ დიმიტრის ძემ ბრძანა, პატივისცემისა და დიდების სიტყვები რუს-ხელმწიფეს ეკუთვნის, დღეგრძელი იყოს ჩვენი დიდი იმპერატორიო.

ისევ ის ახალგაზრდა წამოდგა, აკაკის გვერდით რომ იჯდა. მან აჭარელი ძმები ადღეგრძელა, ისევ ომში დაღუპულები მოიგონა და ქართველი ხალხის სადღეგრძელო დალია. ამ სადღეგრძელოს პატივსაცემად აჭარლებმა „ფერხული" იცეკვეს. ცეკვას ისევ სადღეგრძელო მოჰყვა, სადღეგრძელოს ისევ ცეკვა. ახლა რომელიღაც გენერალმა ეკატერინე დადიანი გაიწვია საცეკვაოდ. ეკატერინემ პატივისცემისა და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და უარით გაისტუმრა, ავადა ვარო, ბრძანა...

დარბაზში დიდი მხიარულება იდგა, მაგრამ ეკატერინეს რატომღაც მძიმე აზრი აეკვიატა: ეს დარბაზი ორად არის გაყოფილი ამ დიდი მხიარულების ჟამსაც: ერთ მხარეზე არიან გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყაფიანი და ჩვენი გენერლები, მეფე იმპერატორის ეს ერთგული მსახურნი, მეორე მხარეზე არიან აკაკი, სერგეი მესხი და ეს ახალგაზრდობა. არა, ნამდვილი ბრძოლაა გამართული, ბრძოლა ფარული და აშკარა. ამის გაფიქრებაზე უფრო მოიწყინა დედოფალმა...

* * *

პარიზიდან ახლად დაბრუნებული იონა მეუნარგია ესტუმრა დედოფალს. ეკატერინეს ზოგი რამ გაგონილი ჰქონდა მეუნარგიას შესახებ. იონას მამა დადიანების სასახლესთან დაახლოებული კაცი იყო და, როცა 1873 წელს შვილი თბილისის სემინარიის უკანასკნელი კურსიდან გაურიცხეს, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო, ეკატერინეს სთხოვა დახმარება, მაგრამ არაფერი გამოვიდა ამ საქმიდან. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დიდად შეურაცხყოფილი იყო თბილისელ სემინარიელთა მოქმედებით და ახლო არ გაიკარა ეკატერინეს თხოვნა.

იონა მეუნარგია შვეიცარიას გაემგზავრა და იქ აკადემიაში ორი წელი სწავლობდა. მერე იქიდან პარიზს გადავიდა საცხოვრებლად. პარიზში ვიქტორ ჰიუგოს დაუმეგობრდა. 1878 წელს კი საქართველოში დაბრუნდა და „დროებასა“ და „ივერიაში“ დაიწყო მუშაობა, ამავე დროს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მდივნად აირჩიეს.

იონა მეუნარგია აქტიურად მონაწილეობდა ძველი ქართული ხელნაწერების შეგროვებაში. 1880 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ტექსტის გამოცემის თაობაზე მიმართვა დაიბეჭდა, რომელსაც რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და იონა მეუნარგია აწერდნენ ხელს. დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შეგროვება.

დავით დადიანის ბიბლიოთეკაში „ვეფხისტყაოსნის“ ორი ძველი ხელნაწერი იონას ეგულებოდა და ამ მიზნით სამეგრელოს ყოფილი დედოფალი მოინახულა. ეკატერინეს მოეწონა ამ ჭკვიანი და დაკვირვებული კაცის საუბარი და დახმარებას შეჰპირდა. ამის შემდეგ იონა მეუნარგია ხშირი სტუმარი იყო დედოფლისა.

იმჟამად მეუნარგია ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ აგროვებდა მასალებს და ისევ ესტუმრა ეკატერინეს. იონა ფანქარმომარჯვებული იჯდა დედოფლის თავსასთუმალთან და ეაჯებოდა:

— დედოფალო, განზრახული მაქვს ჩვენი გამოჩენილი მწერლების, თქვენი მამის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და ღვაწლის აღწერა. ამას წინათ თბილისში გახლდით გრიგოლთან; დარბაზში, სამუშაო კაბინეტის თავზე, თქვენი დიდი სურათი ჰკიდია, გარშემო — ვორონცოვის, ბარიატინსკისა და შამილისა. გამიხარდა, მის კაბინეტში რომ ვნახე თქვენი სურათი. ჰო, რა ტკბილი მოსაუბრეა გრიგოლი, რა არ მომიყვა და რა არ მითხრა, განსაკუთრებით თქვენს ოჯახზე, თქვენზე და ნინოზე. ყველაფერს დიდი მღელვარებითა და ეშხით მიამბობდა...

— გრიგოლი და ჩვენ ახალგაზრდობისას უნდა გენახეთ, ახლა რა ვართ. ეჰ, ისევ სურათმა თუ შეინახა ჩვენი ბედნიერი დღეები, ჩვენი ახალგაზრდობა! გრიგოლი იყო ჩვენი ძმო-

ბისა და მეგობრობის დუღაბი, ჩვენი სილამაზე და ჩვენი ეშხი. გრიგოლი ბედნიერი კაცია, არა, ბატონო იონა?

— მართალია, ოღონდ იმისი ის არ მომწონს, დედოფალო, რომ უცოლოდ გადაეგო.

— თურმე ამასაც ბედი უნდა! დანიშნული სოფიო ორბელიანი, 1836 წელს გაუთხოვდა. ისიც უნდა გაგიმხილო, რომ გრიგოლს თურმე ჩემი დაც — ნინოც უყვარდა, მაგრამ ნინოს. არ უნდოდა მეორედ გათხოვება. არც გრიგოლის ძმა ზაქარია იყო გულგრილი ნინოსადმი.

ეს რომ უთხრა, ეკატერინემ ზაქარია ორბელიანის ბარათი გადასცა საბუთების მაძიებელ იონა მეუნარგიას. ზაქარია სწერდა გრიგოლს:

„ბიჭო, არ გრცხვენია? რად მატყუებდი? შენ ჩემზე მეტად გყვარებია ნ... და ჩემ წინ მალაყებს რად თამაშობდი? ეხლა შენ დაგრჩა ბურთი და მოედანი!“

— ამას წინათ, — განაგრძო ეკატერინემ, — ეს ბარათი გრიგოლმა გადმომცა და მითხრა, როგორც ჩანს, ნინოსთან ბედი არ მწყალობდაო. ჩემი დისა და სხვების შემყურე გრიგოლი უცოლოდ დარჩა. ისე კი დიდი მოტრფიალე იყო ქალებისა. — ამის თქმაზე ეკატერინეს სახე გაებადრა. ახალგაზრდობის დღეები გაახსენდა და გაუღიმა მეუნარგიას — ჯან-ღონე და სიმხნევე კი შერჩა ჩვენს გრიგოლს.

— დიახ, დედოფალო, ჯანზე კარგად არის ჩვენი გრიგოლი. ამ ოთხმოც წელს მიწევნილ კაცს მეხსიერება და გონიერება კვლავ საღი და ნათელი აქვს. ეს იშვიათი ჯილდოა, რომელსაც შემომქმედი მხოლოდ რჩეულებს უწყალობებს. თქვენც ხომ ასევე ბრწყინვალედ შეგრჩათ ყველა სიკეთე! ჭავჭავაძეებსა და ორბელიანებს ღმერთი სწყალობთ. ღმერთი, ჩემო დედოფალო.

— არა, ჩემო იონა, ბედნიერება დიდხანს როდი გრძელდება. ადამიანი ნაფოტია, იმ ხის ნაფოტი, რომელსაც ცხოვრების ხე ჰქვიან. ცხოვრების მდინარე კი ისე ათამაშებს ამ ნაფოტს, როგორც სურს. მე არ მინდოდა ასეთი სათამაშო ნაფოტი ვყოფილიყავი, მინდოდა ჩემი ადგილი მეპოვნა ამ ქვეყანაზე. მერე რა! ცხოვრებამ თავისი გაიტანა და მეც ნაფოტად მაქცია. მაგრამ რაკი გსურს გიამბო ჩვენი დიდებული წა-

რსული, მე ამას სიამოვნებით შევასრულებ, რადგან მართლაც ბევრი რამ არის რომანტიკული და საინტერესო ჩემსა და ჩემი წინაპრების თავგადასავალში.

— მაპატიეთ, დედოფალო, ავადმყოფს რომ გაწუხებთ, ხომ მოგეხსენებათ, არქივების გადახედვას ყოველთვის მოესწრება კაცი, ზეპირად გადმოცემული ამბავი კი გაიფანტება დროთა ბრუნვაში. საყვარელი და დიდი ადამიანების — მამათქვენის, ბარათაშვილის და ორბელიანის ცხოვრება ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ. რაკი ეს საქმე მე დავიკისრე, მეტი გზა არ არის, უნდა შეგაწუხოთ.

ეკატერინემ შორიდან მოუარა:

— ჩემი არ იყოს. მე როგორც გამიგია, თქვენ, მთელი ევროპა მოგიცლიათ, ბატონო იონა, და დამეთანხმებით: ქართველი კაცი ბუნებით კეთილია, მშვიდობიანი, მეგობრის გამტანი და მტერთან შეუპოვარი, უფროსის მორჩილი, გაჭირვების მომთმენი, მამულის ერთგული და პურმარილიანი. ჰოდა, ეს თვისება უხვად ჰქონდა მომადლებული მამაჩემის ოჯახსაც და დედიანების ოჯახსაც. მე, ამ ოჯახებში გაზრდილმა, კარგად ვიცი, რომ ბავშვის გონება თეთრი, დაუწერელი ქაღალდია, ან, როგორც ჩვენებური გლეხი იტყვის, ბავშვი ქვევრია, რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს და ჩვენც, რა სიკეთესაც ვნერგავდით ოჯახში, იმ სიკეთით ვიყავით მერმე ცნობილი. ჩვენს ოჯახებში კი: გადიები, მოურავები, მოახლეები, მეჯინიბენი და სხვანი მუდამ ჩვენთან ერთად იყვნენ და არც არაფერი გვქონდა სადავო. ყმასაც ბატონი მამასავით უყვარდა, და სულ ტყუილია, რასაც ახლა თქვენი გაზეთები და ჟურნალები ჩმახავენ, რომ ვითომც ბატონსა და ყმას მუდამ ჩხუბი ჰქონოდეთ. ეს აქ ბოლო დროს ჩვენმა მტრებმა გამოიგონეს, რომ თავადიშვილებს ხალხი აუჯანყონ. იმავე მტრებმა გადამკიდეს მე ის ეშმაკის ფეხი უტუ მიქავა. ბოლოს ხომ მეც დამღუპეს და ისიც...

დედოფალს ბრაზი მოაწვა თვალებზე, ფიქრი დაებურა, აქ ჩეჩერდა, გონს მოვიდა და ისევ განაგრძო. ახლა უკვე მამის ამბავს ჰყვებოდა და იონა მეუნარგიაც ყოველ სიტყვას იწერდა რვეულში...

შუადღე მოტანებული იყო, როცა დედოფალი და სტუმარი სადილად მიიწვიეს. სადილობის დროს ისევ ალექსანდრე

ჭავჭავაძეზე იყო საუბარი. სადილს მორჩნენ თუ არა, დედოფალი თავის საწოლ ოთახში შევიდა, ხოლო იონა მეუნარგია სასტუმრო ოთახში შეიყვანეს დასასვენებლად. იონამ დედოფლის ნაამბობი სუფთად გადაწერა, მერე გადაწერილი გადაიკითხა. თავი ვერ შეიკავა და ასეთი შენიშვნა გაუკეთა ჩანაწერს:

„აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ გლეხი თავის მდგომარეობით კმაყოფილი იყოს საზოგადოდ, ძნელი დასაჯერებელია. ვინ იცის, ეგებ ოდესმე... ოქროს საუკუნეში... მაგრამ მას აქეთ ქვეყანამ რამდენჯერ იცვალა ფერი. გარდა ამისა, ხომ შეგატონე გლეხის ოფლით ცხოვრობდა? კეთილშობილნი რას არ სჩადიოდნენ „არაკეთილად შობილებთან“, არბევ-აწიოკებდნენ, სცემდნენ, სტანჯავდნენ, საპყრობილეში ალპობდნენ, მზითვად ატანდნენ თავიანთ ქალებს, ეკლესიებს სწირავდნენ, აგირავებდნენ, ჰყიდდნენ... „გლეხკაცისა, სულის მეტი, ყველაფერი მეგატონისა იყო“, როგორც ბრძანებდა მრისხანედ ვახტანგის კანონი.

ამგვარი „მამის“ სიყვარული გულკეთილ ქართველ გლეხკაცისათვისაც შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ჩვენი აზრით...“

საღამოს მეუნარგია ისევ ეწვია დედოფალს.

სოფლის მდურვას მოჰყვა დედოფალი:

— ჩემო ბატონო, უმთავრესი სიმდიდრე კაცისათვის ჯანის სიმრთელე ყოფილა. მე ყველაფერი მქონდა, სახელიც, დიდებაც, პატივიც, — მერე სევდიანად გაიღიმა და დაუმატა — დიახ, შქონდა და ახლაც მაქვს ეს ყოველივე, მაგრამ ის არა მაქვს, რაც ყველაზე მთავარია ადამიანისათვის — ჯანმრთელობა. არა მაქვს ახალგაზრდობა, ეს საამო ბედნიერება. რომლის ტოლი და სწორი თურმე არა არის რა ამ ქვეყანაზე. დიახ, მაშინ ვიყავი მე ბედნიერი, როცა მიჯნურს მეძახდნენ. მაშინ ვიყავი ბედნიერი, როდესაც მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა. შემდეგ დედოფალი გავხდი, სასახლე, ერთი კი არა, ოთხი აგიშენე, თაყვანისმცემელი და პატივისმცემელი დაულეველი მყავდა. ახლა კი რაღა ვარ? არც სიმდიდრეა ჩემთვის, არც სილამაზე, არც მიჯნურობა, არც სიმრთელე ჯანისა, ვერც ექიმი დამიბრუნებს ახალგაზრდობას, ვერც ფული და ვერც სიმდიდრე! აი რა შაწუხებს მე ახლა!

წავიდა ჩვენი ახალგაზრდობა და თან წაიღო ოცნებით სავსე ბედნიერი დღეები. მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა, სიხარულით მიწაზე ვერ ვეტეოდი, ოცნების ფრთებით დავფრინავდი, სული ზეცისაკენ, უსაზღვროებისაკენ მიილტვოდა, ეჭვი რა არის, ეჭვიც არ შემპარვია, რომ ჩემი ბედნიერება მარადი იყო. თურმე ეს ახალგაზრდული სიბრმავე, დაუკვირებლობა და ბავშვური აღტაცება ყოფილა. ცხოვრების ჯარამ ნიავს გაატანა ჩვენი უვავილოვანი ოცნება. სული ეჭვითა და უნდობლობით აღავსო, სარწმუნოებისათვის მაღალი საკურთხეველი დაამხო, გული ყინულივით გაცივდა და ახლა მას ვეღარაფერი გაათბობს ამქვეყნად! დიახ, ყოველივე ამაოება ყოფილა; ის იმედებიც, ასე რომ მიხატავდა საოცნებო მომავალს, გაქრა და გაცამტვერდა. ვაი, რომ ჩვენ შორის მაშინ ყველაზე მართალი ის კოპლი ტატო ყოფილა, მაშინ ბებრულად რომ მოთქვამდა და კვნესოდა. ჩვენ მაშინ გულში დავცინოდით ტატოს, მაგრამ ვინ ყოფილა ჩვენ შორის ბრძენი, თვით ცხოვრებამ დაგვანახა. წარსულ დროზე სევდას მე ახლა ვერაფერი მიმსუბუქებს. მეგობრები და ახლობლებიც შემომეცალნენ: ნინო აღარა მყავს... აღარც სამთავრო, აღარც ტახტი დედოფლობისა... მოვიდა ჩვენს თავს წარღვნა და აღარსადა ჩანს საშველი... სად შევაფარო თავი!

ვაი, რომ სულ მალე გაქრება ჩვენი სახსენებელიც. აღიგვება ჩვენი გვარი და სახელი... გაგვძარცვეს, სული ამოგვაცალეს... ჯერ იყო და ტახტი მომტაცეს, მერე იყო და, ყმები ჩამომართვეს, მერე ბანკებში დაგირავებული მამული ჩალის ფასად წამართვეს... მთელი ჩემი ქონება მოსამართლეებს, ვექილებსა და აპელაციებს მოუნდა და ასე განიავდა დადიანების დიდება. არა, ყველაფერ ამის ატანა აღარ შეუძლია ჩემს სულს და ხვალინდელი დღისაც აღარა მწამს რა...

ახალგაზრდა მეუნარგია უსმენდა და უკვირდა: ნუთუ ასე გაუტყდა დედოფალს გული ცხოვრებაზეო. თუ მას, რჩეულს, ბედნიერებით, სიხარულით, ქონებით, პატივისცემით, მდგოიაროობით ყელამდე სავსეს, სამდურავი ეთქმის ცხოვრების მიმართ, სხვამ რაღა უნდა თქვასო. მერე გაბედა და დედოფალს უთხრა:

— დედოფალო, თქვენ იმ რჩეულთ ეკუთვნით, ვისთვისაც

გამჩენმა ღმერთმა არაფერი დაიშურა, არც ნიჭი, არც სილამაზე, არც სიბრძნე, არც დიდკაცობა და არც მბრძანებლობა. მთელ საქართველოში და კერძოდ კი ჩვენს კუთხეში როგორ გცემენ პატივს, ჭეშმარიტად დიდ პატივს, მე ამას ჩემი თვალით ვხედავ. თქვენ ადამიანად კი არა, ღმერთად ჰყავხართ წარმოსახული ჩვენიანებს და ბევრჯერაც დაგიდასტურეს პატივისცემა და სიყვარული ამ ადამიანებმა. თქვენ ტყუილად ემდურით ბედს, დედოფალო...

ეკატერინემ ისევ ამოიოხრა და სევდიანი თვალები მიაპყრო ახალგაზრდა კაცს:

— გუშინ გრიგოლ ორბელიანის წერილი მივიღე. ჩემსავით ემდურის ბედს! „მე, ობოლსა და ოხერტიალს, ცოლი არა, შვილი არა, არშიყობა არა... ეჰ სიცოცხლის ლაზათი წავიდა!“ — ასე ემდურის იგი ბედსა. აი ასეა, ჩემო იონა, ცხოვრება უფრო რთული ყოფილა, ვიდრე მე მეგონა. შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და კარგად დაიხსომე ყოველივე. ნურც ნურავინ გაგიტაცებს. მე თვით გრიგოლ ორბელიანმა მითხრა ამას წინათ, მთელ ქვეყანაზე არც ერთი დედაკაცი არა ღირს იმად, რომ კაცმა ნახევარი ნეკი მოიჭრას მისთვისო. დღეს ასე ამბობს გრიგოლი, წინათ კი მზად იყო, მიჯნურისათვის თავიც გაეწირა. როგორ გგონიათ, რატომ ამბობს ახლა ასე? ცხოვრებამ, სიბერემ გაუტეხა გული ჩემსავით და ამიტომ ქალში არც სიხარულსღა ხედავს, არც ბედნიერებას, არც მიჯნურობასა და არც სილამაზეს. რასაც მან თავისი ახალგაზრდობის წლები შესწირა, ახლა ასე უმადურად აფასებს. ასე ყოფილა და ასე იქნება...

მეორე დილასაც ეწვია მეუნარგია დედოფალს: იონას ჩვეულებად ჰქონდა დაწვრილებით გამოეძია და გამოეჩხრიკა მასალა, რომელიც ნათლად გააშუქებდა მწერლის ცხოვრებას. ძველ მწერალთა ცხოვრების ეს გატაცებული მაძიებელი ცოცხალ, მომსწრე ხალხში ეძებდა საჭირო მასალას, რადგან აღწერილი და დაბეჭდილი ამ მწერლების ცხოვრებაზე არაფერი იყო თითქმის. და იგი ეკატერინეზე უფრო ცოცხალ მოწმეს ვის დაიგულებდა. ეკატერინეზე უკეთესად ვის ეცოდინებოდა ალექსანდრეს, ტატოს და გრიგოლის ცხოვრება.

და აი ახლა, როცა იონამ გრიგოლ ორბელიანზე ჩამოაგდო

სიტყვა, ეკატერინეს მოეწონა ეს მკვირცხლი, ნიჭიერი, დაკვირვებული ახალგაზრდა და გულწრფელად უამბო ყველაფერი, რაც კი რამ ახსოვდა და იცოდა გრიგოლ ორბელიანზე. რა არ უამბო, რას არ მოუყვა, ბოლოს ნათქვამი ასე დაასრულა:

— გრიგოლი, ჩემი გრიგოლი! აი ვინ იყო ჩემი თაობის ქალების ჭეშმარიტი მიჯნური, სასიამოვნო გამრთობი და მოსაუბრე, დარდიმანდი, ბრძენი, ხუმარა, მომლხენი და მოქეიფე. ჩვენ ყველას გვიყვარდა იგი გულწრფელი სიყვარულით. ჩვენგან მას ვინ ეტყოდა უარს ცოლობაზე, მაგრამ, რაც ჩემი და ნინო დაქვრივდა, მას დაადგა თვალი და სხვა არავინ ინდომა. ნინოს კი ჩათქმული ჰქონდა გრიბოედოვის შემდეგ არავის წაჰყოლოდა და აღასრულა კიდეც ქმრისადმი მიცემული ეს ანდერძი. ახლა გრიგოლ ორბელიანის ქვრივად გადაგებას ამით ამართლებენ. ნამდვილად კი, ღმერთის წინაშე გრიგოლის დედის აღთქმა ასრულდა და, სწორედ ეს მინდა გიამბოთ: გრიგოლის მამა ზურაბ ორბელიანი მთავარმართებელს ციციანოვს ხლებია ერევნის ექსპედიციაში. აქ ტყვედ ჩავარდნია მტერს. ხორეშანს, რომელიც გრიგოლზე ყოფილა ამ დროს ორსულად, აღთქმა დაუდვია ღმერთის წინაშე, რომ, თუ ტყვეობაში მყოფი ქმარი მშვიდობით დაუბრუნდებოდა, შვილი რომ ეყოლებოდა, ბერად აღკვეცდა. ზურაბი ცოცხალი დაბრუნდა. ხორეშანმა ლამაზი ბიჭუნა ბერობისათვის ვერ გაიმეტა, მაგრამ ღმერთმა მაინც აღასრულა აღთქმა დედისა — გრიგოლი უცოლოდ გადაეგო. თუმცა... რამდენად შეასრულა ბერის როლი გრიგოლმა, ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია, ბატონო.

ერთი თვის შემდეგ გორდში, ეკატერინეს ისევ ესტუმრა იონა მეუნარგია. დედოფალი ავად იყო, იწვა. გულის დაავადებას სულისხუთვაც დამატებოდა და სულსა ღაფავდა. შინაურებს ჯერ არც უნდოდათ იონა იმ ოთახში შეეშვათ, სადაც დედოფალი იწვა, მაგრამ სწორედ ამ დროს ავადმყოფმა ყური მოჰკრა კაცის ხმას და იკითხა: ვინ არისო. იონა მეუნარგია გეწვიათო, მოახსენეს. ეკატერინემ ფართოდ გაახილა თვალები, ოთახი მოათვალიერა, თითქოს მოსულ სტუმარს ოთახში დაეძებსო. მერე ჭირისფარეშს მოუხმო და უბრძანა: „შემოუშვითო სტუმარი!“

იონა ფეხაკრეფით შევიდა, დედოფალთან ახლო მივიდა და მოწიწებით დაუკრა თავი. ეკატერინემ ქვემოდან ამოიხედა ფეხზე მდგარ სტუმარს, გაუღიმა და ხელით ანიშნა დაჯექიო.

— ჩემო იონა, მე ისევ ავად ვარ. არავის ვიღებ, მაგრამ თქვენი ცნობისმოყვარეობის ამბავი ვიცი და თავათ მოვისურვე შემოსულიყავით. მამაჩემისა და გრიგოლის შესახებ რაც ვიცოდი და რაც გამახსენდა, ყველაფერი გითხარით, ტატოზე კი ბევრი რამ უთქმელი დამრჩა. ეგებ არც იყოს საჭირო ჩემი სულის საიდუმლო მთლად გადაგიშალოთ. მაგრამ ვიცი, დღეს თუ ხვალ სიკვდილი მეწვევა და არ მინდა საიდუმლო ჩემი სულისა იმქვეყნად ისე წავიღო, რომ აქ არავინ იცოდეს. თქვენ, ვითარცა ტატოს ამბების მჩხრეკელს, მინდა გაგანდოთ ეს საიდუმლო... უკვე მოგახსენეთ, რომ ბარათაშვილმა თავისი ლექსების ორი კრებული თავისი ხელით გადაწერა და მიძღვნა.

ეკატერინემ წყალი მოითხოვა, წყაროს წყალი მოართვეს დედოფალს. დალია, სული მოითქვა და, როცა პირფარეში ოთახიდან გავიდა, ისევ განაგრძო:

— ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ტატოს კრებული, როგორც ყველაზე ძვირფასი განძი, ყველგან და ყოველთვის თან დამქონდა, ერთ წუთს არ მომიშორებია.

პეტერბურგში, გაუთავებელ ყინვასა და ზამთარში, ის მათბობდა, ის მაცოცხლებდა... მერე თამარი მომიკვდა, ჩემი თამარი...

გული აუჩუყდა დედოფალს და ტირილი დაიწყო. იონამ ვერაფრის თქმა მოახერხა, სკამზე ვერ ჩერდებოდა. უნდოდა რითიმე ნუგეში ეცა მტირალი დედოფლისათვის, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო ამ მწუხარების ჟამს. მერე დედოფალმა ისევ მოითქვა სული, წყალი მოსვა.

— საქართველოში არ გამომიშვეს, ბავშვების ჯანმრთელობისათვის კი ჰაერის გამოცვლა იყო საჭირო. სადმე სამხრეთით უნდა წავსულიყავით და ის იყო პარიზს წავედით. მაშინ ისევ ვიყავი გონებადაკარგული და დამწუხრებული, რომ არაფერი მახსოვდა. პარიზში მაშინვე მოვიკითხე კრებული და, რომ არ აღმომაჩნდა, ძლიერ დავღონდი, მაგრამ აბა იქ რას გავაწყობდი, წერილი მოვწერე პეტერბურგში, დაუყოვნებლივ გადმოეგზავნათ ეს კრებული ჩემთვის. მაგრამ პასუხი არ ჩანდა...

1866 წელს ისევ პეტერბურგში დავბრუნდით, მაშინვე მოვიძიე ტატოს ლექსები და არსად აღმოჩნდა. თურმე ეძებდნენ და ვერ ენახათ. ასე თვალსა და ხელს შუა გაქრა ჩემთვის ძვირფასი განძი. ბევრი ვიღონე, მაგრამ ამით საქმეს ვერ ეშველე, ვერსად ვერ მივაკვლიე. მაშინ, მართალი გითხრა, ძალიან შემეშინდა. შელოცვილი ნივთივით, ავგაროზივით იყო ჩემთვის ეს კრებული, და მის დამკარგავს კიდევ ერთხელ ჩამწყდა გული.

მერე ისევ აირია ჩემი ცხოვრება. სრულწლოვან ნიკოს ძალით ათქმევინეს უარი საქთავროზე და ტახტი მიიტაცეს. მერე ხომ ავიყარენით და უფლებააყრილნი და ტახტწართმეულნი აქ ჩამოვედით ბევრი დაპირებებითა და შეწყალებებით...

წავიდა და წავიდა ცუდად ჩვენი საქმე. დღემდე ვერ გამიგია. როგორ მოხდა, რომ ეს კრებული ასე გაქრა ჩემი სახლიდან. ვეძებ, ვეძებ, მაგრამ ამაოდ...

ასე მგონია, ახლა იმიტომ ვარ ასე ავად, რომ ბოროტმა ძალებმა მომპარეს ის ძვირფასი განძი, განძი ჩემი სულისა...

ტატოსაგან მოძღვნილი ეს კრებული, როგორც შელოცვილი თილისმა, მიფარავდა მე უბედურს, და აი დავკარგე იგი და დავკარგე ტახტი, დავკარგე სულის მშვიდობა... სული ჩემი თან წაჰყვა იმ ლექსებს და ახლა მეძახის, მიხმობს იმ ქვეყნად იგი... რა ვარ ახლა მე? მთლად გაძარცული და ყველასგან მიტოვებული...

გული მეუბნება, რომ მალე მოვკვდები, მალე გავეცლები ამ ქვეყანას.

დედოფალს სული შეეხუთა და ბრძანა ფანჯარა გააღეთო... როგოც იქნა, ისევ მოითქვა სული და სტუმარს მიუბრუნდა:

— ყველაფერი, რაც გითხარით, დაიმახსოვრეთ, არ შემეძლო ეს არ მეთქვა ვისთვისმე და ყველაზე მეტად თქვენ ჩაგთვალეთ ამის ღირსად, რაკი ხელი მოგიკიდიათ ტატოს ცხოვრების შესწავლისათვის... გულახდილად გეტყვით, რომ არც ვნანობ ახლა სიკვდილს. მართალია, არ დავმალავ, ძალიან მიყვარდა სიცოცხლე. მიჩვეულიც ვიყავი განებივრებულად ცხოვრებას და არაფერი მაკლდა ამქვეყნად: არც მიჯნურობა, არც მეგობრობა, არც დიდკაცობა... ეს ყველაფერი უხვად მქონდა ღვთისაგან ნაბოძები და არც რას ვემდური ამ წუთისო-

ფელს (თუმცა ცოტა ზიანი როდი მომაყენა ამ გაუტანელმა წუთისოფელმა), მაგრამ ცოტა ხანს კიდევ მინდოდა მეცხოვრა, მე ხომ შვილები მრჩება, ჩემი სისხლი და ხორცი! მინდოდა ცოტა ხანს კიდევ ვყოფილიყავი მათთან. მაგრამ რომ არ გამოდის!..

ახლა ისე ავადა ვარ, რომ ასეთ ყოფნას სიკვდილი მირჩევნია. ეტყობა დადგა ჟამი გავეცალო ამ ქვეყანას... ამასაც ეტყვი: ეს ქვეყანა ადვილად გასამეტებელი როდია... თავისთავად ეს წუთისოფელი ლამაზია და მშვენიერი, მაგრამ მე იმ ქვეყანაშიაც მეგულება სულის ნაწილი: ჩემი დაკითი და ჩემი თამარი... ვერც ამას დაგიმალავ, ჩემი ტატოც. ალბათ, დავითიც მაპატიებს და ტატოც, თუ რამე შეცოდება მიმიძღვის მათს წინაშე. ისე კი, ამ ქვეყანაზე ჩვენ ყველანი ცოდვილნი ვართ, ჩემო იონა!

იონა მეუნარგია გაფაციცებით იწერდა რვეულში დედოფლის ყოველ სიტყვას, არაფერი გამოპარვია მის მახვილ სმენას.

ეკატერინემ ამბის თხრობა დაამთავრა, ისევ მოსვა წყალი და სტუმარს შეხედა. წერდა. ეამა დედოფალს, რომ მის ნათქვამს ეს ახალგაზრდა კაცი ასეთი ყურადღებით ეკიდებოდა და გაუღიმა კიდეც.

იონა დაიბნა, ვერ მიმხვდარიყო რას ნიშნავდა ეს გაღიმება: მოწონებას თუ დაცინვას. ამის ვერშემცნობმა წერა მიატოვა, რვეული დაკეცა და ფანქართან ერთად აჩქარებით ჯიბეში ჩაიდო; ადგა, წასასვლელად მოემზადა, დედოფალი თვალს არ აცილებდა მის მოქმედებას. ამან უფრო დააბნია სტუმარი. მან აღარ იცოდა ისევ დამჯდარიყო თუ გასცლოდა იქაურობას. სწორედ ამ დროს პირისფარეში შემოვიდა. მეუნარგიამ ამითი ისარგებლა, გონს მოეგო, მოწიწებით თავი დაუკრა დედოფალს, მადლობა გადაუხადა და ფეხაკრეფით გავიდა.

* * *

ზუგდიდიდან სტუმრად ამოსული ავსტრიელი მეგობრები ბერტა და ზუტნერი იმ საღამოს გორდის აივანზე ისხდნენ ეკატერინესთან. ბერტა დედოფალს თავის გეგმებს აცნობდა. თან თავისი ქმრის მიერ სამეგრელოზე დაწერილ ახალ მოთხრობებს უყვებოდა:

— ერთ მოთხრობას „დარეჯანი“ ჰქვია. ახლა მეც ვწერ შოგონებებსა და მოთხრობებს. მოგონებათა მთავარი გმირი თქვენ იქნებით, ჩემო დედოფალო, რადგან თქვენგან ვისწავლე სიყვარული და პატივისცემა ადამიანისა და თქვენი თავაზიანი მოწვევით შევიყვარე საქართველო. საქართველო, ლეგენდებისა, ზღაპრებისა და გმირების ეს საოცარი ქვეყანა, მე მეორე სამშობლოდ დამისახავს და მინდა მას თქვენი და ჩემი საქართველო ვუწოდო. და რაკი მწერლობას მოვკიდეთ ხელი, ზუტნერებს მოვალეობად მიგვაჩნია საქართველო და მთელი კავკასია უცხო მკითხველსაც გავაცნოთ. და ასე დავუკავშირდით ამ ქვეყანას და გვინდა ეს გულითადი სიყვარული ჩვენს მკითხველებსაც ჩავუნერგოთ. თუ ამას შევძლებთ, მაშინ საქართველოს წინაშე ვალმოხდილად ჩავთვლით თავს და ჩვენზე უბედნიერესი არავინ იქნება ამ ქვეყანაზე.

მართლა. დედოფალო, ამას წინათ თბილისში გაცლდით. იქ ახალგაზრდა ჟურნალისტი გავიცანით — ბატონი მეუნარგია. ის თურმე აქაური ყოფილა. დიდებული მცოდნეა ფრანგული ენისა. მან ჩაგვაგონა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა. საქმეში დახმარებასაც შეგვპირდა.

—მეუნარგია ჭკვიანი და განათლებული კაცია. თუ თქვენ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებთ, მეც არაფერს დავიშურებ, რომ ეს საქმე შესრულდეს. ჩვენ „ვეფხისტყაოსანზე“ დიდი არაფერი გაგვაჩნია. ის არის ჩვენი ნუგეში, იმედი და სასოება. დიახაც მიხარია, რომ გიფიქრიათ ეს. დიდად დაგიმადლით, თუ ამ საქმეს მონდომებით მოეკიდებით.

ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისში გრიგოლ ორბელიანის თავმჯდომარეობით „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისია შედგა. კომისიის მდივნად იონა მეუნარგია აირჩიეს. მას უკვე ჰქონდა საუბარი ეკატერინე დადიანთან იმ ძველი ხელნაწერების თაობაზე, რომლებიც დადიანების სასახლეში ინახებოდა. მეუნარგია ახლა ისე იყო გართული ამ საქმით, რომ თბილისში ჩამოსულ ყველა უცხოელს ემუდარებოდა, თარგმნეთ „ვეფხისტყაოსანიო“. და აი, გაიცნო თუ არა ზუტნერები, მაშინათვე „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნა შესთავაზა და სტუმრადაც მიიწვია ისინი სოფელ ცაიშში.

იონა მეუნარგია მთელ ოთხ თვეს არ მოსცილებია ზუტნერებს. მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე ნათარგმნი ტექსტი ფრანგულის კარგად მცოდნე ზუტნერებს დიდად უადვილებდა მუშაობას. არც ამას დასჯერდა მეუნარგია. ყოველდღე ოთხ-ექვს საათს გვერდით ეჯდა ძვირფას სტუმრებს და ჯერ სიტყვასიტყვით უთარგმნიდა თვითეულ სტრიქონს, მერე კი საქართველოს ისტორიას მოუთხრობდა. ამ მონათხრობში ბერტას ყველაზე მეტად თამარის ამბავი ხიბლავდა.

— დიახ, „ვეფხისტყაოსანი“ თამარის სადიდებლად არის დაწერილი. ყოველი ქართველისათვის სათაყვანოა ეს სახელი. თამარი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად ჩარიცხა, ხალხმა კი გააღმერთა. საქართველოში ყოველ ციხეს, ყოველ ტაძარს თუ გამოქვაბულს თამარის სახელი ჰქვია. თამარამდის რამდენიმე დიდებული მეფე გვყავდა. ქართველმა კაცმა არც მათ დააკლო პატივისცემა და დიდება. ვახტანგის დროშა, დავითის დროშა საქართველოს იფარავდა განსაცდელის ჟამს. დავითისაგან შემომტკიცებულ დიდ საქართველოს თამარი, როგორც მხედართმთავარი და დედა, ისე გადაეფარა, დაიცვა, გაამშვენიერა და გაალამაზა. და რუსთაველმაც სწორედ ამ ულამაზეს და უმამაცეს ქალს მიუძღვნა „ვეფხისტყაოსანი“. ამბობენ, უყვარდაო რუსთაველს თამარი. მართალია თუ არა ეს ამბავი, არ ვიცი, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ თამარის სული ტრიალებს „ვეფხისტყაოსანში“. „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი სტრიქონი თამარის საგმირო საქმეებითა და დიადი სულით არის გაბრწყინებული. პირველივე შემხვედრი გლეხი რომ გააჩეროთ და ჰკითხოთ „ვეფხისტყაოსანზე“ რამე, ნახავთ, რომ იგი უყოყმანოთ მოგიგებთ: რუსთაველს თამარი უყვარდა და მას მიუძღვნა ეს პოემაო. რამდენიც არ უნდა ეცადოთ, ვერ დაარწმუნებთ, რომ ეს ასე არ არის. ასე სწამს ხალხს თავისი სახელოვანი წინაპარი, ასე ადიდებს თამარ მეფეს...

იონა მეუნარგიამ ახლა ის ბარათი წაიკითხა, ამას წინათ რომ ერთმა უცნობმა გამოუგზავნა. წერილის ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელს, იონა მეუნარგიას უქებდა პატრიოტულ თავდადებას. ეს წერილი ლექსით თავდებოდა:

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, ჩვენი რუსთველი ბატონი,
მარტო პოეტი კი არა, ქვეყნისა არის პატრონი,
მან უწინამძღვრა სამშობლოს, მან შეინახა ქართველი,
არავის მისცა სათელად ჩვენი გმირების სახელი.
და კელავ გვეძახის, გვიყვის, არც მოგვასვენებს მანამდი,
ვიდრე გვეყრება ბორკილი ჩაკირული ვართ ყელამდი,
არ დაივიწყებს ნათქვამს: ყრმაა იგი, თუ მჭლოვანი
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი.

იონა მეუნარგია მარტო ძველ ამბებს როდი უყვებოდა ავსტრიელ სტუმრებს, საქართველოს ყოველ კუთხეს აცნობდა, ქორწილებში, დღეობებში, ნათლობებში, ტირილში დაჰყავდა. ყოველივე ეს გამოსახულებას პოულობდა ზუტნერების მიერ დაწერილ წიგნებსა, წერილებსა და მოგონებებში...

* * *

იმ დღეს იონა მეუნარგია გრიგოლ დადიანს ესტუმრა. იონა უკვე შინაური კაცი იყო დადიანების ოჯახში. ჯერ კიდევ მამის მხრივ დამყარდა ეს შინაური ნაცნობობა. ახლა კი იონა მთელ საქართველოში იყო ცნობილი წერილებითა და საზოგადო მოღვაწეობით. იონა გრიგოლ დადიანის შესახებ ამზადებდა მასალებს და ამის გამო ხშირი სტუმარი იყო კოლხიდელისა. იმ დღეს კი იონას და კოლხიდელის საუბარი განსაკუთრებული იყო. იგი საქართველოს დღევანდელ დღეს შეეხებოდა.

— იონა, ახლა ისეთი დრო დადგა, — ამბობდა დადიანი, — რომ ყოველმა შეგნებულმა ქართველმა მთელი ძალა და ღონე ჩვენს სამშობლოს ბედს უნდა შეალიოს, დიახ, საქართველოს ბედს. ასეთი მძიმე დღეები არასოდეს ჰქონია ქართველს, თვით მტრების შემოსევის დროსაც. როცა მტერი შემოგვესეოდა ხოლმე, ჩვენი მამა-პაპის კვალზე, ქუდზე კაცი გამოგვყავდა, ხმლითა და იარაღით ვებრძოდით შემოსეულ დუშმანს. მაშინ ვიცოდით, ვინ იყო ჩვენი მტერი. ახლა კი ისეთი ღრო დადგა, რომ ფრონტზე კი არა წყდება ბედი ქართველთა, არამედ თვით შიგნით, საქართველოში. ხშირად ეს უჩინარი მტერი ისე გვეპარება ხოლმე და სულს გვხდის, რომ არც კი ვიცით მისი ვინაობა, არც ის ვიცით, საიდან მოდის და ვინ არის. იღუპება, იღუპება საქართველო, თუ არ მიეხედეთ...

— მეც მანდა ვარ, ჩემო გრიგოლ, უნდა მიეხედოთ სამშობლოს, ჩვენს ქვეყანას! ბატონო გრიგოლ, ილიას წერილები

„ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ წაიკითხეთ? სწორედ რომ ყველაფერი აირია. მე ილიას კარგად ვიცნობ; ის ისეთი დინჯი და წინდახედული მოღვაწეა, ტყუილუბრალოდ არ წამოიწყებდა ამ დავას ჩვენი სკოლების გამო. ჩანს, ისევ გვიტევენ ეს რუსიფიკატორები. ეტყობა სერიოზულად არის საქმე. ამ ორ დღეში თბილისში ვაპირებ წასვლას და დაწვრილებით გავიგებ ყოველივეს. ისე კი, მე მგონია, დღევანდელი საქართველო ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძეს და მათს გუნდს ეკუთვნის. აწინდელი საქართველოს ბედი მათს ღვაწლსა და შრომაზე ჰკიდია

— როგორ, როგორ? — სიტყვა გააწყვეტინა გრიგოლ დადიანმა ბეუნარგიას, — მაშ ასე გამოდის, რომ ჩვენ წყალი უნდა ვნაყოთ, არა? ჩვენ წილი არა გვქონია ამ ახალ საქართველოში! წილწართმეული და უფლებაწართმეული ვყოფილვართ! არა, ჩემო იონა, გრიგოლ ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანს, რაფიელ ერისთავს...

აქ შეჩერდა დადიანი. თავისი თავის დასახელებაც უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— არა, მე არაფერი მესმის, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. ახალი თაობა მეტისმეტ უპატივცემულობას იჩენს ძველი თაობის მიმართ. ეს არ გამოვა, ჩემო იონა, არ გამოვა-მეთქი!

— მეც საკვლევით გეთანხმები, ბატონო გრიგოლ. — დიპლომატიურად უკან დაიხია იონამ, — არც მე მომწონს ზოგიერთთა გამოხტომები, ოღონდ, უნდა გაგიბედოდ და გითხრათ, ძველ თაობათა გზას, ძველ შეხედულებებს გადახედვა და გადასინჯვა უნდა.

— რას ჰქვია გადახედვა და გადასინჯვა! სწორედ ეს არის ჩვენის მხრივ ძველთა უპატივცემულობა. მოიგონეთ, სულ რამდენიმე წლის წინათ ვინ იცავდა საქართველოს ყარსთან და ენგურთან, დაღესტნის მთებში და ყირიმის მისადგომებთან. ჩვენი თაობა, ჩემო იონა, ჩვენ ვზიდეთ ეს მძიმე ტვირთი, ჩვენ შევინახეთ საქართველო, ჩვენა ვართ მისი პატრონი და მომვლელი, და არც დავუთმობთ ვისმე ჩვენს აუგად მოხსენიებას, ჩვენს განქიქებას.

კოლხიდელისაგან ასეთ გაბრაზებას არ მოელოდა და იონამ უფრო უკან დაიხია.

— არა, ბატონო გრიგოლ, მე ჩვენი მამა-პაპის საგმირო საქმეთა დავიწყებას კი არ მოგახსენებთ, მე მინდოდა მეთქვა... იონა დაიბნა და ლუღლუღით წარმოთქვა: — დიახ, ჩვენ ახლა შეთანხმებული მოქმედება გვინდა, გამთიშველობა კი არა, შეთანხმებული მოქმედება, ერთობა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იონამ ამ უკანასკნელ სიტყვას რატომღაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი და თვალებში შეაჩერდა შეფის რუსეთის გენერალს. მერე ისევ გააგრძელა:

— ერთობა, დიახ, ერთობა გვინდა და ამ გზაზე ხალხის მხარდაჭერა, ბატონო გრიგოლ. ხალხი დიდი ძალაა, ხალხი მოქმედებს ახლა ყველგან. მე წლეულს დავბრუნდი საფრანგეთიდან რუსეთის გზით და ახლა იქ ძველსაც და ახალსაც, ყველას მთელ გამოჩენილ ინტელიგენციას ხალხი აკერია პირზე.

ისევ შეხედა თვალებში გრიგოლ დადიანს და თვალის გასწორებაც ვერ მოასწრო, რომ სიტყვა ისევ შეაწყვეტინა დადიანმა:

— დიახ, ხალხი! შენ ტყუილად გგონია, რომ მე ხალხის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ ნუთუ მარტო ეს ქალამნიანი გლეხია ხალხი და ჩვენ, რომელთაც გვიზიდავს ტვირთი ერისა, ხალხი არა ვართ? მერე, იონა ჩემო, შენ, ალბათ, ისიც მოგეხსენება, რომ, როცა ჩვენში ეკატერინეს წინააღმდეგ ხალხი აბუზღუნდა, მე მაშინაც ხალხს ვუჭერდი მხარს.

აქ კოლხიდელს კიდევ უნდოდა ეთქვა მწარე სიტყვები, მაგრამ თავი შეიკავა.

— ჰო, იმას მოგახსენებდით, ეკატერინემ მაშინ ჩვენი არ შეისმინა, ჩვენს რჩევას ანგარიში არ გაუწია, ხალხს ფეხი დააბიჯა და კიდევაც დაკარგა ტახტი. ეს ასეა, ჩემო იონა, მაგრამ ამ საბუთით არავის აქვს უფლება თავადიშვილობა აუგად მოიხსენიოს და ლანძღოს. თავადიშვილებს ანგარიში უნდა გავუწიოთ. დიახ! ხალხმა უნდა ანგარიში გაუწიოს მათ, რადგან თავადიშვილობა მუდამ მეთაური იყო ხალხისა, წინ მიუძღოდა. აბა, გაიხსენე საქართველოს ისტორია, რა სასწაული ჩაუდენიათ ჩვენს წინაპრებს, როგორ დაუცავთ ჩვენი მამული, როგორ უსახელებიათ ქართული ხმალი! კარგად გაიხსენე და მერე მელაპარაკე ხალხის სახელით.

— კი, ბატონო, კი...

თვითონაც არ იცოდა რას ნიშნავდა „კი ბატონო, კი ბატონო". მერე კი დაბნეულმა მეუნარგიამ გაბედა სიტყვის გაგრძელება:

— მე ასე მგონია, ჩემო გრიგოლ, ნებით თუ არ დავუთმეთ, ძალით წაგართმევს ხალხი, ხალხს ეკუთვნის მომავალი...

ახლა კი გაცხარებით შეუტია დადიანმა მეუნარგიას:

— რას ჰქვია წაგართმევს? ვინ წაგვართმევს იმას, რაც ღმერთსა და მეფეს მოუცია. თუ თქვენ იმ ბრიყვებს უგდებთ ყურს, მაშინ მე ისინი, ალბათ ამ სახლიდანაც გამომაბრძანებენ და მას თავისად გამოაცხადებენ. არა, წართმევაზე ნუ წავა საქმე, თორემ, მამა გიცხონდათ, ჩვენი ხმალი არ დაჟანგებულა. ჩაგებულია და, როცა საჭირო გახდება, ისევ ამოფრინდება ქარქაშიდან და ჰაერში გაიპრიალებს. დიახ, დიახ! ეს იცოდეს ყველამ და მაშინ ასე იოლად აღარ ილაპარაკებთ ხალხზე.

კოლხიდელი ისე გაცხარებით ამბობდა ამ სიტყვებს, რომ მეუნარგია იძულებული გახდა დადუმებულიყო.

ანაკლიიდან მოწერილი წერილები

იმ შემოდგომას ეკატერინე თავისი შვილებით ანაკლიაში ისვენებდა: იქიდან მისწერა ეს წერილები ელენე ორბელიანს.

„25 აგვისტო.

დაო ელენე, მე ახლა ანაკლიაში ვარ. კარავი გავამართვინე ზღვის პირას და მთელი ოჯახი აქ ვისვენებთ, რომ ჩამოხვიდოდე, ელენე, დიდად გამახარებდი, ოღონდ ვერ გეტყვი, შენ თავათ გაიხარებდი თუ არა ჩემთან ყოფნით. სულ დავკარგე მშვიდობა-სულისა. ისე ვარ დაღონებული, ისეთი შავი ფიქრები მასევია, რომ მნახო — შეგეცოდები. ამ ბარათსაც იმიტომ ვწერ, რომ ცოტათი გული მოვიოხო შენთან საუბრითა. ვიცი, რომ გამიგებ. შენ თუ არა, აბა ვის გავანდო ჩემი სულის მდუღარე მწუხარება. ჩემთვის შენ ისეთი იყავი, როგორიც ჩემი და ნინო და მანანა იყვნენ. ამ გაუტანელმა წუთისოფელმა ჩემს ნინოს სულ ადრე დაახურა კუბოს ფიცარი. მანამდი ფიქრადაც არ მომივიდოდა, თუ უნინოოდ გავძლებდი, მაგრამ ხომ ხედავ, გავძელი, მაგრამ ვაი ამისთანა გაძლებას. მერე

იყო და, მანანა გამოგვეცალა. შენღა დამრჩი ჩემი ყმაწვილ-ქალობის მეგობრად და მესაიდუმლედ და ახლა შენ მოგმართავ, მაგრამ მეშინია, ჩემმა დარდმა შენც არ შეგაწუხოს.

მე, სამეგრელოს დედოფალს, ახლა ისე მექცევიან, როგორც ქუჩის მაწანწალას. ყოველდღე მე და ჩემი შვილები სასამართლოში დავრბივართ. ვიღაცეები ჩემსავე მამულს მედავებიან. აი, სადამდის მივიდა ჩემი საქმე! ამდენმა ბრძოლამ, დარდმა და ფიქრმა ისე დამღალა, რომ მნახო, — ვერ მიცნობ. მოზღვავებული სევდა ისე მამუნჯებს, რომ ეს ბარათიც რიგიანად ვერ დამიწერია. მუმუნვარე ფიქრები ისე დამესია გორდში, რომ ლამის გავგიჟდე. ჩემი გორდის ბუნებაც დიდებულია და ჰავაც, მაგრამ მაინც ვერ მოვისვენე იქ უძირო სევდით შეპყრობილმა. გამოვემშვიდობე ჩემს საყვარელ მთებსა და ჩანჩქერებს და აქ ზღვას მოვაშურე, მაგრამ ვაი, რომ აქაც ვერ ვისვენებ!

მოვიდა ჩვენზე წარღვნა და არც ჩანს ძალა, რომელიც გადაგვარჩენს ამ უბედურებისაგან. ჯერ იყო და, საქართველოში მეფობა გააუქმეს და ამის კვალობაზე სამთავრო ჩვენი და მთელი საქართველო რუსეთს შეუერთდა, მერე რუსის ჯართან ერთად ბრძოლაში ჩვენმა თავდადებამ ქართველობაც ასახელა და ქართული ხმალიც. მთელი ამ ოთხმოცი წლის მანძილზე რამდენი ქართველი დაიჭრა და დასახიჩრდა ამ ომში, რამდენი სამუდამოდ გამოესალმა ჩვენს საყვარელ ქვეყანას და რუსეთს ერთგულება დაუმტკიცა. მაგრამ რა, ყურადღება არავინ მოგვაქცია. თანდათანობით ჩამოგვაქვეითეს. მერე ახალი უკაზით ყმებიც წაგვართვეს და მამულიცა. ახლა მოგვაყენეს სუდიები, ადვოკატები, აპელაციები და ლამის სული ამოგვართვან. ბედნიერების დღეები და ოცნებისაგან აღტაცებული სიხარული წავიდა ჩვენგან. ახლა ეს ოხერი სიკვდილი კარს მიკაკუნებს. ბარემ მორჩეს და გათავდეს ყოველივე! ამასწინათ გრიგოლ ორბელიანი მწერდა იმედდაკარგული: „ცხადად ჩანს რისხვა ჩვენზედა მოვლენილი... ხმა საიდუმლო მესმის. აქამდის იცხოვრეთ, კმარა, გეყოფათ, აიყარენით. ეჰე, იღუპება, ილუპება საქართველოს თავადაზნაურობა. საცაა მოვა წარღვნა და შთანთქავს ყველას. იქნება ერთი ორი ბედნიერი ოჯახი მოჰყვეს ნოეს კიდობანში, თორემ სხვა ერთი-

ანად უნდა გაქრეს დედამიწიდან". ღვთის რისხვა არის ჩვენზე მოსული, ღვთის რისხვა! ჩემო ელენე; ვხედავ ჩემს ასეთ გაწყალებასა, ვიყურები აქეთ-იქით და არავინა მყავს თანამგრძნობი, რომ ხმა გამცეს. ისევ შენ მოგმართავ, ჩემო სიყრმის მეგობარო და დაო დაუვიწყარო.

ცხოვრება რთული ყოფილა. ჩვენ ახალგაზრდობისას კინაღამ გადაგვკიდეს ერთმანეთს: ვითომ შენ გინდოდა დავითი წაგერთმია ჩემთვის. მერე ის იყო, შენ ზაქარიას წაჰყევი, მე დავითს და ჩვენ მეგობრებად დავრჩით. მაინც ბედი თანაბარი გვერგო: ადრე დავქვრივდით ორივე. ისე კი დები ვიყავით, ვართ და ვიქნებით სანამ პირში სული გვიდგას.

ნუ დაიზარებ, დაო, და წერილით მაინც მომაწვდინე შენი ხმა.

შენი ეკატერინე დადიანი".

„1 სექტემბერი.

ხომ ასე გერივით მექცევიან ყველანი, და ჩემს ქვეყანას მაინც არაფერი არ მირჩევნია!

ჰე, დაილოცს ჩვენი საქართველო! უცნაური და ზღაპრული ქვეყანაა! შენ იცი, ელენე, რომ მთელი მსოფლიო მომივლია. არც ერთი ქვეყანა არ დამრჩენია უნახავი, გარდა ამერიკისა და, უნდა გითხრა გაუზვიადებლად, მე საქართველოსთანა ქვეყანა არსად მინახავს და უცხოობაში მყოფი მეც ყველგან გრიგოლ ორბელიანის სიტყვებს ვდუდუნებდი: „სხვა საქართველო საღ არის, რომელი კუთხე ქვეყნისა"...

ო, რა კარგად უთქვამს ეს სიტყვები ჩვენს კურკას. ოღონდ არ უთხრა, თორემ თავს გაუვა ისედაც თავსდაჯერებულს. არა, ხუმრობა თავისთვის იყოს, როცა ამ სტრიქონებს წერდა ეს ჩვენი დიდებული პოეტი, ალბათ, ყოველი ქართველის გულში იმზირებოდა.

ჰოდა, იმ სხვათა ქვეყანაში ბევრი რამ ვნახე დიდებული და საუცხოო, მაგრამ იქ საქართველო მაინც ვერ ვიპოვე. იქნებ იმიტომ, რომ საქართველო ჩვენია და შვილს თავის დედა ურჩევნია მზეთუნახავ სხვის დედას? არა, მარტო ამიტომ არა!

ალპებშიც გამივლია, — დიდად საუცხოო რამ იყო, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ალპების პატრონს, ჩვენი ყაზბეგის, ჩვენი შუამთის, ჩვენი ლებარდესა და ბაკურიანის შვილს ვერ წარმო-

მათქმევინა გაკვირვება მისმა ნახვამ. მე თბილი იტალიაც ვნახე, ციტრუსებით განთქმული. სიძველეებითა და მუზეუმებით მდიდარი ნაირ-ნაირი ვენახებით, საუცხოო მთებითა და ბარით განთქმული საფრანგეთიც ვნახე. იქაც ზღვაც თბილია და ხმელეთიც. ცაც ისევე ლურჯად მოლივლივე როგორც ჩვენში, მაგრამ მე არსად მინახავს ერთ ქვეყანაში ისეთი ნაირ-ნაირობა ბუნებისა, როგორც ჩვენშია.

მუდამ თოვლითა და ყინულით დაფარული სუსხიანი ყაზბეგის მთებიდან ჩვენი შავი ზღვის ნაპირებამდე, სადაც მუდამ მაგნოლია და პალმები ჰყვავის, ხუთასიოდე ვერსია, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ისე იცვლება ბუნება, რომ ერთი ადგილი მეორეზე უკეთესია, ერთი მეორესა სჯობს და პირველობა მაინც ვერც ერთისათვის ვერ მიგინიშნებია. ასე ეს მხოლოდ საქართველოშია. თუმცა იმ ქვეყნების ბუნებაც მომეწონა და ხალხიცა და გულითაც დავლოცე ის ქვეყნები, მაგრამ საქართველო მაინც სხვაა. ამიტომაც ასე ველოლიავებოდი და იქ, სხვა ქვეყანაში მყოფს, მუდამ მენატრებოდა სამშობლოს ხილვა.

თვალი თვალს დაშორდება და გული გადასხვაფერდებაო უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. მე საქართველოდან შორს ვიყავი, მაგრამ მუდამ თვალწინ მეხატა ხატება მისი. საქართველოს ისეთი დიდი და ბრიალა თვალები აქვს, რომ მისი მზერა ყველგან მწვდებოდა და მის სხივოსნობას იქიდანაც ველაციცებოდი.

ჰო, დამილოცნია ჩვენი საქართველო! მოხუცის ლოცვა მას შეერგება, რადგან მე მისთვის არაფერი მენანებოდა და არც დამიშურებია რამე! დამილოცნია, დამილოცნია საქართველოს მთა და ბარი, საქართველოს ცა და მიწა. საქართველოს სილამაზე მწვავს და მათბობს, მათბობს და აცოცხლებს ჩემს ბებერ ძვლებსა. ვაი, როგორ მენანება ასეთი სილამაზის დატოვება! ამ წუთისოფელში ყველაფერს დასასრული აქვს და აბა ბე ვინ დამტოვებს სამუდამოდ ამ ქვეყანაზე? ალბათ, მეც სულ ბალე მეტყვის მშვიდობითო ჩემი საქართველო, ძნელია, ძნელია ამის წარმოდგენა, მაგრამ, რომ ვიცოდე ის ქვეყანა, საითაც ჩემი საქართველო გამისტუმრებს, ისეთივე ლამაზი იქნება, როგორც ჩემი ქვეყანაა, მე მაშინაც გოდებით შევხვდებოდი სიკვდილს, რადგან ვიცი, რომ ჩემი ბებერი

ბილები სხვაგან ვერსად ვერ გაიხარებს. ამიტომაც ასე მეშინია სიკვდილისა. მე გორდიდან სიკვდილისაგან დაშინებული, მთებისაგან შეშინებული გამოვიქეცი, ახლა ბედი ჩემი ზღვას მივანდე და ამ წერილს აქედან გწერ. ასე მგონია, სანამ შენ მეგულები, შენი გახსენება და ჩვენი ყმაწვილქალობის მოგონება გაჰფანტავს უკუნეთს.

ჩემო ელენე, ჩვენ ორი დავრჩით ახლა იმ ქალებიდან, რომელთა ბედი ასე იყო ურთიერთგადანასკვული და მოგონება იმ დღეებისა ისევ მიახლებს ახალგაზრდობას. ამიტომ ვერ ვისვენებ. ყოველდღე ბარათს გწერ შენ, ამქვეყნად დარჩენილ ერთადერთ ჩემს მეგობარს და, ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობასა.

შენი ეკატერინე".

„6 სექტემბერი.

ხომ გახსოვს ჩვენი ანაკლია, ელენე ჩემო. ეე ახლაც თვალწინ მიდგას ის დღეები, შენ რომ ზუგდიდს გვეწვიე ქუთაისიდან ჩემი ნინოთი. მერე ჩვენ ანაკლიაში წამოვედით. მაშინ სამნი ვისხედით, შენ, ნინო და მე. ჰაუ, რა ბედნიერი დღე იყო მაშინ! ახლა კი მე სულ მარტო ვარ, სულ მარტო. თუმცა შვილები და შვილიშვილები თავს მახვევია, მაინც საშინელ მარტოობას განვიცდი და შენ მინდა მოგაწვდინო ჩემი ხმა და ფიქრი. ვიცი, რომ შენ გაიგებ ზრახვებს ჩემი სულისას.

ვზივარ ახლა აქ, ზღვის პირას. ნელა, სულ ნელა ეთამაშება ტალღები ნაპირს. ზღვა ანკარაა, ჩვენი ტეხურის ფერი. ლურჯად მოლივლივე. ზღვა მტრედისფერია და არ მესმის, შავი ზღვა რატომ დაურქმევიათ. არც ფერი აქვს შავი და არც დიდად ავია, რომ სიავის გამო დაერქმევნათ შავი. ალბათ, ჩვენს წინაპრებს სხვა სახელი ჰქონდათ მისთვის დარქმეული. მე მგონია რომელიღაც უცხოელმა შეარქვა მას სახელად შავი ზღვა, რადგან შორიდაან შეხედა, ახლოს კი არ უნახავს, გულით არ უტარებია, მკლავებით არ უნარნარებია მისი ტალღები! მე მას მტრედის ზღვას შევარქმევდი, რადგან მტრედისფერია და, როცა წყნარად სთვლემს, მტრედივით ღუღუნებს, ან მტრედის ფრთებივით შრიალებს, ხოლო როცა ღელავს, ფაფარაყრილი ლომივით ღრიალებს. მისი ღრიალი აშინებს ბევრს. მე კი მაშინაც

მიყვარს, როცა ღელავს. მისი ღელვა მის ძლიერებასა და შემართებას გვამცნობს, მის სიცოცხლისუნარიანობას გვიმტკიცებს და ყველა ადამიანსაც ხომ ის იტაცებს, რაც ძლიერია და ღონიერი, დაუდგრომელი და შეუპოვარი. გახსოვს, ელენე, ჩვენ ადამიანებშიაც იმათ ვარჩევდით, ვინც უფრო ძლიერი და მშფოთვარე იყო. მამაკაცი, რომელსაც აღელვება და აფეთქება არ შეეძლო, მამაკაცი, რომელიც ყველაფერს გულგრილად უცქეროდა, ჭირივით გვძულდა.

ადამიანიც ზღვასავით დაუდეგარი უნდა იყოს, ზღვასავით შემართული და ყალყზე შემდგარი. ხომ ასეა, ელენე, არა? ჩვენ ხომ ასეთი ადამიანები გვიყვარდა. არა? ახლაც ზღვა არის ჩემი იდეალი, ზღვასავით მსურს ვიყო დაუდეგარი და მუდამ ბობოქარი, მაგრამ ვაი, რომ ძალ-ღონე არ მომდევს!

შენ მწერ, გული რათ გაგტეხიაო, მე ხომ შენზე უფროსი ვარ და ასეთი შავი ფიქრები არ მერევაო. ჩვენს ასაკში, ელენე, თურმე ქალი იმდენი წლისაა, რამდენისაც მოჩანს. მე კი ეს ხუთი წელია ისე მოვტყდი და დავბერდი, რომ ოთხმოცი წლის ბებერს ვგავარ.

ეს ოხერი გული მაინც ბერდებოდეს, კაცისა! გუშინწინ ექიმმა გამსინჯა და მითხრა ოთხმოცი წლის ბებრის გული გაქვსო. მე არაფერი ვუპასუხე. აბა, როგორ გავაგებინო ექიმს, რომ გული კი არ მაქვს დაბერებული, არამედ ჩემი სხეული დაუძლურდა და დაბერდა. ამიტომაც ისევ ძველებურად, ჩვენებურად მიმიწევს გული ახალგაზრდობისაკენ. და შენც, ჩემო ელენე, ისევ ახალგაზრდა წარმომიდგენიხარ. ასე მგონია, ისევ ის თვალციმციმა, ცქრიალა გოგონა ხარ, ყველას რომ ატყვევებდი, ყველას რომ აჯადოებდი და ჩვენ ერთმანეთს იმაში ვეჯიბრებოდით, თუ ვის უფრო მეტ საალერსო სიტყვას გვეტყოდნენ. ჰო, რა დიდებული დღეები იყო მაშინ! ახლა კი სულ სხვაა.

მომიკითხე შენები, დამიკოცნე შენი შვილიშვილები.

შენი ეკატერინე".

„9 სექტემბერი.

ვერა და ვერა, ვერ მოვიშორე, ელენე ჩემო, თავიდან აკვიატებული ფიქრები. ო, რა ძნელი ყოფილა ეს ოხერი ავადმყო-

ფობა. სიბერემ წამომიქროლა და დამაჩოქა, ქედი მომახრევინა და სევდით ამავსო. სნეულებით დაბერება იგივე სიკვდილია, ზეზეური სიკვდილი. ბებერი არავის უნდა, არავის სჭირდება. ძე ახლა ზღვის პირად ვზივარ თბილად შეფუთვნილი. ჩემს გვერდით ჩოხა-ახალუხში გამოწკიპული გვანჯი დადიანი დგას. ძველ ამბებს მიყვება და მით მართობს. სხვები ყველანი, ტანგახდილნი, თევზებივით ყრიან ზღვის ნაპირას, ქვიშაზე. ზოგნი, შავ ზღვაში შეცურებულნი, ტკარცალით იკლებენ აქაურობას. ზღვაა ამ ახალგაზრდობის ბურთი და მოედანი. ახალგაზრდობა ვერ ძღება ზღვით, ზღვა კი დაულეველია და დაუძლეველი. ახლა ჩემს გვერდით ნიკოს ბიჭი ჭყუმპალაობს ზღვაში, ჩემი პატარა შვილიშვილი. გადია უჯავრდება და ის მაინც ზღვისკენ მიიწევს, საიდუმლოებით ამოუწურავი მისი სივრცე იტაცებს.

სიცოცხლე დგას ირგვლივ. ზღვა, ზღვა ეძახის ყველას. მე კი მარტო მაყურებელი ვარ ამ ადუღებული სიცოცხლისა, ამ მღელვარე სიცოცხლისაგან განზე გამდგარი მაყურებელი და მოგონებით, ეხოლოდ მოგონებით ვირთობ თავს. ელენე, ჩვენც ხომ ვიყავით მათსავით ახალგაზრდები, სიცოცხლეს, ბედნიერებას მათსავით დაწაფებულნი! ო, რა ცუდია სიტყვები: „ჩვენც ვიყავით!“

დიახ, მეც ვიყავი ახალგაზრდა, მეც ვიყავი მიჯნური. მე დედოფალიც ვიყავი, ქვეყნის მმართველი. ახლა? ახლა აღარც დედოფალი ვარ და აღარც ახალგაზრდა, არც მიჯნური ვარ და არც ქვეყნის საქმე მეკითხება! დიახ, ვიყავი და აღარა ვარ! რაც უფრო ვუკვირდები ამას, მით უფრო მიკვდება გული, მით უფრო გაგიჟებამდე მწადია ისევ ვიყო მიჯნური... და აქ დავსვამდი მე წერტილს. არც დედოფლობას ვინატრებდი და არც დიდკაცობას, ოღონდ ისევ მომენიჭოს სიჭი ახალგაზრდობისა, ისევ აღდგეს ნიჭი მიჯნურობისა...

ჰოი, შენ წარსულო და მუდამ გულისტკივილით მოსაგონარო, შენი ფასი არაფერი ყოფილა ქვეყანაზე! ცხოვრება იქ არის, სადაც ახალგაზრდობაა. ახალგაზრდობა და ცხოვრება ერთი ყოფილა, ერთი რანდით გარანდული. დიახ, გულახდილად გეტყვი, ჩემო ელენე, მე ხანდისხან ისე მეჩვენება, თითქოს მშურს ამ ახალგაზრდობის ბედი. ჰო, იქნებ, მართლაც შურს მოხუცს ახალგაზრდისა, როცა ის წუწუნებს და უსწო-

რებს ყველაფერს ძველის სახელით, იქნებ ამით ქიშპობას უცხადებს. ქიშპობას თუ შურს, ჰა? მიპასუხე, ჩემო კეთილო!

შენ ასეთი გრძნობები არ გეუფლება, ჩემო მეგობარო? მე კი, როცა გავიფიქრებ, რომ ეს ყველაფერი შურით მომდის, ჩემი თავი შემზარავს ხოლმე, მაგრამ, მგონი, ეს ასეა საერთოდ. ახლა ჩემს გარშემო ეს მოფუსფუსე ახალგაზრდობა ხარობს, ხმაურით აყრუებს აქაურობას. ერთმანეთს ეჯიბრებიან ცურვაში, ყვინთვაში, ზემოდან ხტომაში. ვაჟები და ქალები ერთმანეთს თვალებში შესციცინებენ, კამათობენ, დავობენ, რაღაცას ეძებენ, ეტრფიან გამხელილად თუ მალულად! ხშირად ერთ ქალიშვილს ორი და სამი ვაჟი უყვარს ერთდროულად, ან პირიქით, ერთი ვაჟი ორსა და სამ ქალიშვილს ეპოტინება, და არის ერთი შეჯიბრება, მიწევ-მოწევა და შეცილება.

მე ახლა არც არავინ მეცილება და არც არავის ვეცილები. მე ახლა შეცილება არაფერში არ შემიძლია, გარდა სიკვდილისა. და აბა სიკვდილში ვის იპოვნი შემცილებელსა და მეტოქეს. ასეთი შავი ფიქრებით შეპყრობილს ისევ გვანჯი დადიანი მანუგეშებს. მაგრამ მე შევატყვე ამ ჩემი ხნის კაცს, რომ, როცა მე მელაპარაკება, თვალები ისევ ახალგაზრდებისაკენ გაურბის. მე მისი მზერა სწორედ მაშინ დავიჭირე, როცა ის დაჟინებით მიაძიძგინდა ერთ ახალგაზრდა ქალიშვილს. ვერ მოვითმინე და პირდაპირ მივახალე: არა გრცხვენიათ, ბატონო გვანჯი, როგორ გეკადრებათ ასეთი ჩაციებული მზერა, ისინი შვილებად შეგფერიან მეთქი. იხტიბარწამხდარმა დადიანმა ასე მიპასუხა: ღედოფალო, გული კაცისა ოხერი ყოფილა, გულის კარნახით თვალები განზე გამირბის, თორემ რა საკადრისია ჩემისთანა ბებრუხანასათვის ფავი გაუყადროს ამ ძუძუმწოვრებსო. ეს რომ თქვა, კისერი ისევ იმ ახალგაზრდებისაკენ მიიგრიხა და უცბად გიჟივით გადაიხარხარა. ამ ხარხარში ცრემლი და სინანული შევნიშნე.

დიახ, ჩვენ მივტირით ჩვენს დაკარგულ ახალგაზრდობას, ჩვენს გარდასულ ბედნიერ დღეებს. და ვტირით ჩუმად და სხვის დაუნახავად, ხშირად კი ისე საჯაროდაც, როგორც გვანჯი დადიანი. ვაი, რა უსამართლოა ეს წუთისოფელი! მგონი, თავი მოგაბეზრე, ელენე, ჩემი ბებრული ბუზღუნითა, მაგრამ, ასე განსაჯე, ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, ეს წერილი რომ არ

მომეწერა, ალბათ, დარდისაგან გული გამისკდებოდა, მომიტევე, თუ გული გატკინო, ჩემო დაო...

შენი ეკატერინე დადიანი".

„16 სექტემბერი.

ჩემო ელენე, მე ისევ ანაკლიაში ვარ. ვზივარ ისევ სულ მარტო და ვხედავ, რომ არავის ვჭირდები. თვით ეს გვანჯი დადიანიც თავაზიანობის გამო მომინახულებს ხოლმე, თორემ სხვა მხრივ თვალები და გული ზღვისაკენ გაურბის. დადიანმა იცის, რომ მე მას ვერ მივანიჭებ იმ სიამოვნებას, რომელსაც ახალგაზრდობაში შორიდან ხედავს და ჭვრეტს. ვერ მივანიჭებ და ამიტომ გაურბის თვალები, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე- თვალი სვამს და თვალი სჭამსო. ხომ გაგიგონია, ჩემო ელენე. ბრძნული ნათქვამია. ცხოვრება და ბედნიერება, სილამაზე და ხალისი იქ არის, ახალგაზრდობაში.

გვანჯი მე თავაზიანობით არ მტოვებს, თორემ თავის გამოუცნობ სულის წადილს სხვაგან ეძებს, ჩემთან ვერ პოულობს იმას, რასაც იგი ეძებს, ისევე, როგორც მე ვერ ვპოულობ მასთან ჩემს დაკარგულ ოცნებას. ეს ორივემ ვიცით და ერთმანეთს მაინც ვატყუებთ ჩვენი თავაზიანობით. ასევე თავაზიანობით მოვლენ ხოლმე ის ახალგაზრდები, მომიკითხავენ, თავს დამიკრავენ და, ერთი სული აქვთ, სანამ გამეცლებიან. მერე გარბიან და ახალგაზრდობაში, სიცოცხლეში გადაეშვებიან. განა, ელენეე, ჩვენც ასე არ ვიქცეოდით? გახსოვს, როგორ გვაბეზრებდნენ თავს თავიანთი ბებრული ბუზღუნით ჩვენი უფროსები, როგორ გავურბოდით ჩვენც ყოველივე ამას და ჩვენ ჩვენს ტოლებში ვეძებდით და ვეწაფებოდით ცხოვრების სიტკბოს! დიახ, ვიცი, ეს ყოველივე და ამიტომ უფრო მაღიზიანებს ჩემი ეს მდგომარეობა. ეჰ, ღმერთო ჩემო, თურმე გაუმაძღარი და აუვსებელი ყოფილა ადამიანი.

შენი ეკატერინე დადიანი".

„23 სექტემბერი.

ჩემო ელენე. ვერ წარმოიდგენ, ისე ცუდადა ვარ. ახლა თავის ტკივილებიც დამემატა და მეტ დროს ვწევარ. მე, ეკატერინე დადიანს, რომელსაც ცხოვრების ბედნიერების ფიალა

გამომიცლია და სიმწარეც ბევრი მინახავს, ის, რაც მიცხოვრია, ერთი დღე მგონია. გულს მიკლავს, რომ ასე დავჩაჩანაკდი და არც არავის ვჭირდები, არც არავინ მეძებს.

ადამიანი ძალზე არ უნდა დაჩაჩანაკდეს. უმჯობესია იმ ასაკში მოკვდეს, როდესაც იგი სჭირდებათ, როცა მას ჯერ კიდევ შეუძლია ბევრ სხვას გაეჯიბროს და შეეცილოს. მაშინ სიკვდილსაც სიკვდილი ჰქვია და ბევრსაც დასწყვეტს გულს და დაიტირებენ კიდეც. დაიტირებენ იმ დაკარგული სიამოვნების გამო, რომლის მინიჭება საზოგადოებისათვის მას ჯერ კიდევ შეეძლო. პიროვნებას ხომ მხოლოდ იმ სიამოვნების გამო სცემენ თაყვანს, რომელსაც იგი საზოგადოებას ანიჭებს. ბებერს აღარა აქვს ამ სიამოვნების მინიჭების ნიჭი, რა გინდ კარგი მსახიობიც არ უნდა იყოს იგი. საშინელებაა, როცა ასე კვდები, როცა არავისა სტკენს გულს შენი სიკვდილი.

მაგრამ, ელენე ჩემო, კაცის ცხოვრება ხომ ისედაც ხანმოკლეა და, რომ უფრო ახალგაზრდა მოკვდეს, მაშინ ვინღა ააშენოს ეს ქვეყანა! და რადგან კაცნი გვქვიან, შვილნი ამ წუთისოფლისა, ჩვენი ვალია მეტი ვაკეთოთ, რომ ჩვენი სახელი დარჩეს შთამომავლობას; ვინც ადრე კვდება ის ცოტას ასწრებს. ვინც დიდხანს ცოცხლობს, ბევრს შესძლებს. რაც მეტს გააკეთებ, მით უკეთესია ქვეყნისათვის. ჩვენ ჩვენი შვილებისათვის, ჩვენი შვილიშვილებისათვის, საზოგადოებისათვს ვცხოვრობთ. ყველაფერს მათთვს ვაკეთებთ. ამიტომ, შენ მართალი ხარ, მართალს იწერები, ჩვენც ხომ ერთ დროს ბევრი მოტრფიალენი გვყავდაო, ჩვენც ხომ ბევრს ვაკეთებდით ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენც ხომ შემოგვნატროდნენო. დიახ სიცოცხლე, სიცოცხლე მარტო იმიტომ ღირს, რომ სიყვარული არსებობს ამქვეყნად. სიცოცხლე და სიყვარული — ეს ორი ძალა განაგებს ქვეყანას, ეს ორი ძალა წერს საზოგადოების ისტორიასაც, ეს ორი კეთილის საწყისი ებრძვის სიკვდილსა და სიძულვილს.

სიყვარული კეთილის ნიჭია, სიძულვილი — ბოროტების. სიცოცხლე იმითაც არის მშვენიერი, რომ კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში კეთილი იმარჯვებს. ამ საქმეში სიცოცხლეს სიყვარული ეხმარება. სიყვარულის ნიჭი ყველაზე უმაღლესი ნიჭია ღვთისაგან ბოძებული. უნდა გავუფრთხილდეთ სიყვა-

რულს და ამით შეგვიყვარდება თვით სიცოცხლე. დიახ, მართალია, ყოველივე ეს ასე იყო, შენც კარგად იცი, ჩემო ელენე, რომ ზაფხულს ზამთარი შესცვლის, ზამთარს—ისევ გაზაფხული. ზაფხულისა და გაზაფხულის შრომას, მის ნაყოფს შემოდგომაზე ითვლიან ხოლმე. ასევეა ადამიანების ბედიც. ჩვენს შრომასაც დაითვლიან, ჩვენს გარჯასაც შეაფასებენ, და მე ჩემი მსაჯულის წინაშე არ შევკრთები, რა გინდ მკაცრიც იყოს იგი. ვიცი, რომ მუდმივ ზამთარში გადავალ. ჩემი გაზაფხული ჩემი შვილები და შვილიშვილების ცხოვრება იქნება. მე მწამს, რომ ჩემი შვილები და შვილიშვილები დამიმკვიდრებენ თავიანთ გულში სამუდამო ხსოვნასა და უკვდავებას, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ შთამომავლობა ჩემს შეფასებას დაიწყებს. ყველაფერს, რაც მე თავგანწირვით ჩამიდენია, ზღაპრად ჩასთვლიან და ზოგ ისეთ რამეს მომაწერენ, რაც არც კი დამსიზმრებია.

დრო გამქურდავს, მაგრამ ჩემი სახელის წაშლას ვერ შესძლებს, და სიკვდილის შემდეგ ჩემი ხატება ჩემი შთამომავლობისა და ჩემი მეგობრების გულში იცოცხლებს. ალბათ, ისინიც თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს გადასცემენ ჩემს სახელსა და საქმეს. და მე, ვით ლეგენდა, ხალხში გადავალ, ჩემს ხალხში ვიცოცხლებ, ვიცხოვრებ. ალბათ, ზოგი ჩემს სილამაზეს მოიგონებს, ზოგი ჩემს სიმამაცესაც არ დაივიწყებს, არც იმას ჩამითვლიან დანაშაულად, რომ ჩვენ, ჩემო ელენე, მიჯნურობის ტრფიალნი ვიყავით.

არ დაგიმალავ და იმასაც გეტყვი, რომ ზოგი რამ შეიძლება არ მაპატიონ. იმასაც გაიხსენებენ, რომ ცოტათი მკაცრი ვიყავი ხელქვეითების მიმართ. მაგრამ მე მწამდა შიში შეიქმს სიყვარულსაო. თუმცა მე არც იმას ვივიწყებდი, რომ, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია, სიყვარულის ხარჯვაში არასოდეს ვყოფილვარ ძუნწი, მაგრამ ვიცი, რომ ბევრ რამეს ცუდსაც მომაწერენ. ახლაც ხომ წერენ ჩემზე; მკაცრი იყო, დაუნდობელი, ხელისუფლების მოყვარული, პირადი განდიდების მაძიებელი, ავი დედოფალი... გუშინ ერთმა ჩემმა მტერ-მოყვარემ მითხრა, ყველაფერი რომ გეპატიოს, იმას მაინც არ გაპატიებს ისტორიაო, რომ იმ გაჭირვების ჟამს, როცა ჭეშეურდომები აგიჯანყდნენ, თქვენ, დედოფალმა,

შენს ხალხთან ვერ მონახე საერთო ენა და თავის გადარჩენა უცხო ძალაში ეძიეო. ალბათ, ჩემი სიკვდილის შემდეგ უფრო მეტსაც იტყვიან. მე მინდა შენც იცოდე, ჩემო ელენე, რომ დაუნდობელი და მკაცრი მტრების მიმართ ვიყავი, რადგან ბევრი მყავდა მტერიცა და დედოფლობაში მოცილეც. ქალს კი არა, ვაჟკაცს არ შეეძლო ისე გამკლავებოდა ყოველმხრიდან შემოსეულ მტრებს, როგორც მე ვუმკლავდებოდი. არავის აქვს უფლება აუგად მომიხსენიოს. დიახ, ელენე, ასე მგონია, რა გინდ მკაცრიც არ უნდა იყოს ჩემი განმსჯელი, იგი ვერ წაშლის ჩემი ხალხის ისტორიაში ჩემს ამაგს. მე მწამს, რომ ეს ასე იქნება.

ეგებ ვცდები, ჩემო ელენე, ეგებ ვაზვიადებ ჩემს დამსახურებას? შენ ყველაზე კარგად იცი ჩემი ცხოვრება. ამიტომაც შენ გწერ ამ ჩემი სულის აღსარებას და გთხოვ სამართლიანი იყო და მაცნობო შენი აზრი.

შენი ბარათი მივიღე. მადლობა გახსენებისა და კეთილი სურვილისათვის. სიკეთე და ბედნიერება ნუ მოგაკლოს უფალმა.

შენი ეკატერინე".

„27 სექტემბერი.

ჩემო სასურველო დაო ელენე. შენი წერილი მივიღე. სამჯერ წავიკითხე და კიდევ მინდა მისი წაკითხვა. ო, რა კეთილი ხარ, ჩემო ელენე! მე ვიცოდი შენი გულის ამბავი, მაგრამ არ მეგონა თუ ასე ახლოს მიიტანდი გულთან ჩემს ახლანდელ მდგომარეობას. შენ მწერ და მანუგეშებ, სანამ საქართველოში ყურძენს დასწურავენ და კაცის სამადლობელ სიტყვას იტყვიან, ჩვენ მუდამ მოგვიგონებენო... განსაკუთრებით შენ მოგიგონებენო, მეუბნები, ალბათ, ცოტას აჭარბებ ჩემს შეფასებაში. მაგრამ მე დიდად მეამა ეს ქება და, მართლაც, დავიჯერე, რომ მომიგონებენ.

დიახ, მომიგონებენ, ვემახსოვრები ჩემს მეგობრებს, ნათესავებს. შენ მაინც არ დამივიწყებ, ჩემო ელენე, შენ მაინც იტყვი ჩემზე სიმართლეს. შენ, ჩემი შვილები და შვილიშვილები არ დამივიწყებთ, და მე ბედნიერებად ესეც მეყოფა...

შემდეგ... შემდეგ მოვა სხვა თაობა, რომელსაც ჩემი პი-

რადი ნაცნობობა არ ექნებათ. შენ ხომ იცი, ელენე, რომ ახლა გამოვარკვიე თურმე ადაძიანებს მარტო მამა და პაპა ახსოვთ, იმის უწინდელი კი მათთვის ყველაფერი უცნობია, თუ ვინმეს არ გამოიძია, არ გამოიკითხა. მე რატომღაც მჯერა, რომ ჩემს გამოძიებასაც დაიწყებენ, ჩემს წერილებსა და სურათებსაც მოიკითხავენ, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებსაც მოათხრობინებენ ჩემს თავგადასავალს, რაც ახსოვთ და არ ახსოვთ, ათქმევინებენ. ჩემს ნაცნობებს და მეგობრებსაც გამოიძიებენ, იმასაც გამოიძიებენ, როგორი ვიყავი პირად ცხოვრებაში და რა გამიკეთებია ჩემი ქვეყნისათვის. და თუ მოახერხებენ, რომ ყველაფერი ეს სიმართლით აღადგინონ, მე არ შემრცხვება მომავალი თაობის წინაშე. მე ახლა იმ იმედებით ვცხოვრობ და ვსულდგმულობ. და ასე ამაყადაც ვწერ ამ ბარათს, შენი წერილით გამხნევებული.

შენი ეკატერინე".

ეკატერინემ ბარათი დაასრულა და ხელიც მოაწერა, მაგრამ უცბად თავში სულ სხვა აზრები მოუვიდა და ისევ განაგრძო წერა:

„ჰო, ახლა სულ სხვა აზრები მომივიდა, იმის საწინააღმდეგო აზრები, რაც ზემოთ მოგწერე. იქნებ, არც გავახსენდე ვისმე სიკვდილის შემდეგ. ეგებ სიკვდილმა უმალ წაშალოს ჩემი სახელიცა და ჩემი საქმენიც! აი. რა მაშინებს ყველაზე უფრო: დაძაბუნებულის სიკვდილი და სიკვდილის შემდეგ სახელის წაშლა. ...ვზივარ ისევ ანაკლიის პირას და ზღვას ვაცქერდები. ზღვა სულ ნელა ირხევა და თვინიერად ფშვინავს. ახლა ზღვაურმა წამოუარა და მისი ზედაპირი ლურჯმა ტალღებმა დაწინწკლეს. ნიავისაგან აგორებული ტალღები, თვალებგადაბრუნებული ხარები თუ გინახავს, იმას წააგავს. ლურჯ ფონზე ეს გადატრიალებული ტალღები თეთრად მოჩანს. ვზივარ, ვუყურებ ასეთ საოცარ სახეცვლას ზღვისას და ისევ ის აზრი მიტრიალებს: რათ არ შეიძლება ადამიანების ასეთი ფერისცვალება! რა იქნება, სიბერეს რომ ისევ ახალგაზრდობა მოსდევდეს! ჰო, მაშინ მე სულ სხვანაირად ვიცხოვრებდი. მე ხომ ყველაზე კარგად ვიცი ჩემი შეცდომები და პირველი მე თვითონ გამოვასწორებდი ამ შეცდომებს, ჩემს

ქვეყანასაც მეტად გამოვადგებოდი და ჩემს მამულსაც. ძაგრამ ყველაფერი ეს ამაო ფიქრია...

ვზივარ, ვფიქრობ და ფიქრს დასასრული არ უჩანს. ტანი ერთბაშად ამებურძგნა, თითქოს ჭიანჭველები შემოძესია. წამოვდექი, ეს ბარათი განზე გადავდევი და მომინდა, გაგიყებით მომინდა ტანთ გამეხადა და ზღვაში შევცურებულიყავი, შორს გამეცურა, ტალღათა ჭიდილში დამემტკიცებინა, რომ მე ისევ ისა ვარ, რაც ვიყავი. უცბად, მართლაც, წინდები გავიხადე და ფეხი ცხელ ქვიშაზე დავდგი, დავდგი და თითქოს ცხელი ქვიშის სითბო ტანში გადმოიღვარა. ჩემს სხეულში ახალგაზრდობის სისხლი ახმიანდა, ჭავჭავაძეთა სისხლი. ვძლიე ავადმყოფ სხეულს და ერთბაშად ზღვასთან გავჩნდი, კაბა ავიკაპიწე და წყალში შევდგი ფეხი. ზღვა მუხლებამდე მომწვდა და სიამისაგან გავინაბე. თვალები დავხუჭე და ზღვაში უფრო ღრმად შესვლა დავიწყე. ხომ იცი, ანაკლიაში ზღვის ნაპირი ისეთი კარგია, რომ, ერთი კილომეტრი რომ გაიარო, ზღვა მუხლებს არ ასცილდება. და მეც მივაპობ ზღვას და რაღაც უჩვეულო სიხარული შემიდგა ტანში. არ ვიცი რითი გათავდებოდა ჩემი ეგზომ აღტყინება, უცებ გვანჯი დადიანს რომ არ მოეკიდა ხელი და ნაპირზე არ გამოვეყვანე. ახლა ისევ ზღვის ნაპირას ვსხედვართ მე და გვანჯი და ისევ ძველ ამბებს ვიგონებთ.

გახსოვს? — მეუბნება გვანჯი დადიანი და იგონებს, როგორ გავრეკეთ თურქები სამეგრელოდან. იგი ქება-დიდებას მიძღვნის, შენისთანა მამაცი ქალი ომში კი არა, ლხინშიაც არ შემხვედრიაო. მე მეამება მისი ქება და სულგატრუნული ვუსმენ. ბერე მე თვითონ ვაქებ გვანჯი დადიანს, როგორც უებრო ცხენოსანსა და უშიშარ მხედარს... ახლა გვანჯი მიხდის დიდ მადლობას და ასე „გახსოვს“ და „მახსოვს“ იწილო-ბიწილოთი ვირთობთ თავს მოგონებით, ძველის მოგონებით ვცხოვრობთ, დღევანდელ დღეზე ვდუმვართ, ხვალინდელს შიშით შევყურებთ...

ვაი, რა ადრე დასრულდა ყოველივე და მაინც არ ვემდური ბედს. ერთი კაცის პირობაზე მეც შემიძლია ვთქვა, რომ ცუდად არ მიცხოვრია, წინაპართა სახელი არ შემიბღალავს, დიდება და პატივი არ დამიკლია ჩემი შვილებისა და ჩემი მამულისათვის, თავგამოდებით მიშრომია და თავშეწირვით

მიომია. ერთ კაცს ხომ ამაზე მეტი არც მოეთხოვება, არა, ჩემო ელენე?

მშვიდობით, ჩემო სასურველო დაო. მშვიდობა ნუ მოაკლდეს შენს საქმესა და შენს სახელს.

შენი ეკატერინე დადიანი".

მ ი ნ ა წ ე რ ი: „წერილი დიდი გამომივიდა, დაო, და მე თვით არ ვიცი, რათ ავტყდი ასე. თუ რამ ზედმეტი ნახო ამ ბარათში, ისიც მაპატიე, როგორც ბევრჯერ გიპატიებია ხოლმე".

ა ვ ტ ო რ ი ს მ ი ნ ა წ ე რ ი: ბევრგან ვჩხრიკე და ვეძიე ეკატერინეს წერილები, და რაც რამ ვიპოვნე მუზეუმებსა და, ბიბლიოთეკებში, ხელნაწერებსა და მემუარებში, — ყველაფერი გამოვიყენე ამ წიგნში, ხოლო რაც ვერ ვიპოვნე ფანტაზიით შევავსე. ანაკლიიდან მოწერილი ეს წერილებიც (ისე, როგორც ბევრი სხვაც) ჩემი ფანტაზიის ნაყოფია და თუ რამ შევცოდე, მაპატიოს ეკატერინეს აჩრდილმა...

ანაკლიიდან ისევ გორდს გაეშურა დედოფალი.

* * *

იონა მეუნარგია უკვე შეუდგა გრიგოლ დადიანის ცხოვრების აღწერას. ჯერ ის დაწერა, რაც გაეგონა და იცოდა დადიანზე. გრიგოლ დადიანის ცხოვრების აღმწერელმა ასე დაიწყო:

„...კაცი, რომელიც ავირჩიე მე საგნად ამ ჩემი წერილისა, სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის ძე გრიგოლი, არ არის არც დიდი მწერალი, არც დიდი საზოგადო მოღვაწე, არც დიდი ისტორიული პირი, რომლის ბიოგრაფიას საზოგადოება წიგნთ-საცავებში კითხულობდეს, რომლის თავგადასავალი საჯარო მოთხოვნილებას შეადგენდეს, როგორც ჩვენი დროებისათვის ისე მომავლისათვის. იმ ტანის კაცზე, როგორიც არის გრიგოლ დადიანი, საზოგადოება ნამსახურებით სიას კითხულობს, სანამ ცოცხალია, და ნეკროლოგს, რა რომ მოკვდება, ბიოგრაფია ეკუთვნის მხოლოდ განსხვავებულ პირთ, რომელთაც განსაკუთრებული სამსახური გაუწიეს მამულს, მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას.

ძე ეს კარგად ვიცი და, თუ, ძიუხედავად ამისა, მაინც განმიზრახავს პატივი ვცე დადიახს ძისი ცხოვრების აღწერით, ეს იმისათვის, რომ ვიღებ ჩემს თავზე კადნიერებას წარვუდგინო მკითხველს ისეთი გვარი მწერლობისა, რომელშიც მთავარ მოქმედ პირად იქნება დადიანი — თვითონ თუნდ პატარა კაცი, მაგრამ, მაინც, ისტორიული პირი, ძმა და შვილი სამეგრელოს მთავართა, რომელსაც იყო დრო, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავის სამშობლოში, და დღეს აქვს ინტერესი ძველ დროთა წარმომადგენელი კაცისა, და მერე თვით ეს ჩვენი ძველი დრო თავისი ჩვეულებითა, ზნეობით, საზოგადოების ცხოვრების წესწყობილებით, მწერლობით და სხვა.

ამგვარად, დადიანი ღერძი იქნება ამ თხზულებისა; მის პიროვნებას უნდა გარს შემოეკრას ყველაფერი ის, რაც კი შეეხო მის ცხოვრებას ამ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში.

თუ ეს განზრახვა ავასრულე, ეს ჩემი მცირე ნაწერი ბიოგრაფიაც იქნება დადიანისა და სამეგრელოს წარსული დროების მოკლე სურათიც, და ამით, იმედი მაქვს, დაიმსახურებს საზოგადოების ყურადღებას და ამ ჩემს შრომას უმადურად არ ჩამიტარებს.

დღეს და ხვალ კი არა, შორს ჩვენგან ამ საუკუნის შემდეგ, როცა კაცი მოისურვებს იმ პირთა გაცნობას, ვინც იყვნენ იმ დროს, როცა საქართველოს ერთ-ერთი სამთავრო, სამეგრელო, შეუერთდა რუსეთს და ლევან დადიანის ტახტზე მოიდგა ფეხი მაზრის მოხელეობამ, ცნობის მოყვარე კაცი გრიგოლ დადიანში იპოვის პირამოღებულ ნიმუშს ამ ძველი დროის საზოგადოებისას. უეჭველია, იმაზე უფრო შესანიშნავი და ტიპიური პირები იპოვებოდნენ ამ დროს სამეგრელოში, მაგრამ მე ამ კაცს მოვსწრებივარ და მსურს მისი სურათი არ მივსცე დავიწყებას.

ნეტავ ვისმე, ჩემსავით მოცლილ კაცს, აეწერა თამარის დროის კაცი, მისი ტანისამოსი, ჩვეულება, ქცევა, ლაპარაკი... რა დიდად დაავალებდა ის ჩვენს ისტორიას, რა გვარად დაასურათებდა ის ერთობ სიტყვაძვირ „ქართლის ცხოვრებას“...

მეორე დღეს იონა მეუნარგია ლეჩხუმში ესტუმრა გრიგოლ დადიანს და მთელი კვირა არ მოსცილდა, ვიდრე დაწვ-

რილებით არ გამოჰკითხა ყოველივე. კოლხიდელი მოთმინებით უსმენდა და უპასუხებდა. შინ რომ დაბრუნდა, მეუნარგიამ კვლავ განაგრძო აღწერა დადიანის ცხოვრებისა:

„იმ დროს, როდესაც მე ვწერ ამ ცხოვრების აღწერას, დადიანი არის ერთადერთი ქართველი გენერალ-ადიუტანტი და უხუცესი მხედარი კავკასიის არმიისა, რომელსაც 66 წელი აფიცრად უმსახურნია ხელმწიფისა და მამულისათვის.

დაღესტნის ომის შემდეგ, გრიგოლ დადიანმა სამხედრო სამსახურს თავი გაანება და თბილისს დასახლდა. აქ ცხოვრობდა ის ათი-ოორმეტი წელიწადი, სანამ არ გარდაიცვალა მისი მეუღლე ტერეზია გურიელის ასული. ამის შემდეგ იმან დააგდო საზოგადოება მუხრან-ბატონთა, ორბელიანთა, სუმბათიანთა, თარხნიანთა, ერისთავთა, ჭავჭავაძეთა, პლატონ იოსელიანისა, რომელთანაც იმას ჰქონდა დიდი განწყობილება, და გადმოსახლდა ქუთაისს, სადაც ის ატარებს წელიწადში შვიდ-რვა თვეს. დანარჩენ ხანს ის ცხოვრობს ლეჩხუმის მთებში, ბერი გელოვანისეულ სუფელ სურმუშში, რომელიც იმას ნაბოძები ჰქონდა მთავრის ლევან დადიანისაგან.

დადიანი დგას ახლა ბერად, მარტოდ მარტო, იმისათვის, გრიგოლ ორბელიანის თქმისა არ იყოს, არც ცოლია, არც შვილი, არც ნათესავი, მისი ვეებერთელა, ორსართულიანი სახლი ბალახვანის ქუჩაზე მარტო მას და იმის აბალას უჭირავს. მის ამბალას კი შეადგენენ: მეჯინიბე კურძუალი, მოლარე, ფარეში, დენშჩიკი, მზარეულთუხუცესი, მზარეული, კიდევ მზარეული, ბიჭი, კიდევ ბიჭი, კიდევ ერთი ბიჭი, მრეცხავი, კიდევ მრეცხავი, ერთიც ჩაერავი (ტერეზიას ნათლული) და ერთიც მისი ხელზე მოსამსახურე, ერთგული აღდგომელა, ყველა ბიჭების ბატონი აღდგომელა, რომელზედაც, თვით დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ მოსწერა ერთხელ დადიანს დეპეშის ბოლოს: აღდგომელა მომიკითხეო:

— შენი მტერია, მე რომ საქმე დამემართოს: პოლიმ რომ საქმელი არ გამიკეთოს, დათიკომ ღვინო არ დამალევინოს, დენშჩიკმა სამოვარი არ ამიდუღოს, აღდგომელამ პირი არ დამაბანიოს და ტანთ არ ჩამაცვას, — ჩიჩია (გლახაკი) ვიქნები, სამოწყალო და მეტი არაფერიო, — იტყვის ხანდახან დადიანი.

მისი ყოველდღიური ცხოვრების სურათი არ არის ინტერესსპოკლებული და მე ამიტომ წარმოგიდგენთ ამ სურათს. ალექსანდრე ორბელიანის კილოზე.

მისი ღამის გამნათებელი (ფანჯრების გამღები) აღდგომელა. შევიდა მასთან დილის შვიდ საათზე და გააღვიძა. დადიანი წამოდგა, ხალათი გაიხადა, ჩაიცვა, პირჯვარი გადაისახა, ნაწილი. ან ხატს, რომელიც მუდამ გულზე უკიდია, ემთხვია, და გამოვიდა დარბაზში, თუ აივანზე, საცა დათიკომ მოართვა ჩაი სუხარით და რძით, ან ლიმონით. ჯერ ჩაის არ მორჩომია, რომ აღდგომელამ დაუწყო წინ სიგარი, მუნდშტუკი, დანა, ასანთი და დადიანი დაეწაფა მისს საყვარელ სიგარას.

სიგარის დროს იმას კაცი ნუ მიეკარება. სიგარი მისი დილის დაუჯდომელია, მისი ფიქრებისა და ფანტაზიის ამშელი, მისი მესაიდუმლე, მისი მეგობარი... გუშინ რაც მოხდა იმის გარშემო, სიგარმა და ამან ერთად უნდა განიკითხონ, დღეს რაც უნდა მოხდეს, ერთად უნდა არჩიონ. ერთხელ, როცა სამეგრელოს თავადაზნაურთა საქმეების გამო უნდა ვხლებოდი, მასთან ერთად ბარონ ნიკოლაისთან წასასვლელად, მე შევედი იმასთან დილა ადრიანად.

— ბატონო, ბარონზე გადასწყვიტეთ რამე? — ეკითხე მე.

— ჯავრი ნუ გაქვს, მე სიგარი მოვსწიეო, — მიპასუხა მან.

სიგარს მოყვება დილის გაზეთების კითხვა, მერე აივანზე სეირნობა, თავისიანებთან ლაპარაკი და „ვიზიტები", ჯერ უფრო დაახლოებული კაცებისა, უმეტეს ნაწილად ძღვნიანებისა და მერე გარეშე პირთა ოფიციალური „ვიზიტები", როგორც ამ „ვიზიტების" დროს, ისე საზოგადოდ ყოველთვის თუ არ განსაკუთრებული შემთხვევის მიზეზით, როგორც მაგ., წვეულება ან ხელმწიფის დღეობა, როდესაც პირადად იმასთან მიდის, ჩვეულებისამებრ, გენერალიტეტი დადიანი უბრალო სამოქალაქო სერთუკში ზის შინ ვლადიმირის ჯვარით ყელზე განუშორებლად.

უბრალო, ძღვნიანი „ვიზიტები" ერთი რამ ცერემონიაა. ჯერ შემოდის წინ პატარა ბიჭი „ფადნოსით", რომელზედაც აწყვია: ყველი, ვაშლები, ჩურჩხელა და სხვა ამგვარი სანოვაგე. ამას მოსდევს მეორე ბიჭი ქათმით, ინდაურით, გოჭით, ანუ უფრო ხშირად მოხარშული ხბოთი, როცა მეძღვნე ლეჩხუმე-

ლია; მესამე ბიჭს მოყავს ცხვარი, მეოთხე მოეზიდება ღომის ბარცვალს, მეხუთე კოკა ღვინოს, როცა მეძღვნე ლეჩხუმელია. და ტიკჭორას, როცა ის იმერელია, ან მეგრელი. ბოლოს შემოდის თვითონ მეძღვნე, რომელიც მდაბლად თაყვანს სცემს დადიანს და კოცნის მის კალთას და ხელებს.

— ოჰ, აგაშენოს ღმერთმა, მადლობელი ვარ! შინ როგორა ხართ, ან ბატონები როგორ არიან?—მიესალმება მასპინძელი მეძღვნეს და მერე: ჰე, თუ ჩემი სიყვარული გაქვთ, კარგად შემინახეთ. ამ კაცს აჭამეთ რამე და უჩემოდ არ გაუშვათ.

„უჩემოდ არ გაუშვათ“ ნიშნავს საჩუქრის ბოძებას.

ძღვნიანი ბიჭები რომ გალაგდება, დადიანი ერთ ხანს წიგნებს კითხულობს, ან ჭადრაკს ითამაშებს sofo მორფის წიგნით ხელში და შემდეგ დაიწყება ისევ ვიზიტები.

— ბატონო, ვლადიმერ ჩიქვანი გეახლათ!

— მობრძანდეს.

— ბატონო, ერთი ვიღაც რუსი გეახლათ, ბატონის ნახვა მინდაო.

— ვინ რუსია, რა უნდა ჩემთან? ხომ ხედავთ, დრო არა მაქვს. უთხარი სძინავს-თქვა.

დრო არა აქვს იმას, როცა მეტად შეაწუხებენ ან ფულის თხოვით, ან რეკომენდაციის თხოვით მთავრობასთან.

სტუმართან დადიანი თავაზიანია. თუ სტუმარი იმასთან დაახლოებული კაცია, ლაპარაკში სულ მუდამ გესმის დადიანის „კი-კი“, „მე ნუ ბოგიკვდე“, „თუ ჩემი სიყვარული გაქვს“. თუ ცოტა შორეულია და თან რუსი „Вообразите себе“ ჩვეულებრივის „მობრძანდით“ და „დაბრძანდით“-ს მაგიერ, იმისაგან უფრო ხშირად „მოდი“ და „დაჯექი“ გესმით. რაც უნდა იყოს, ის მაინც ჩამონათალია იმ დროების, როცა უბრალო კაცი ვერ ელაპარაკებოდა დაუჩოქებლად მთავრის ოჯახის წევრს. „თქვენი ჭირიმე“ იმის კარაბადინში არ წერია. ჩვეულებრივს, დარბაისლურს ნაცვალსახელს „თქვენ“-ს ის უმეტეს ნაწილად „შენზე“ სცვლის.

დუნდუკოვს, ლევან მელიქიშვილს, გრიგოლ ორბელიანს, გაბრიელ ეპისკოპოსს ის „შენ“-ობით ელაპარაკებოდა, როგორც ამ ნაცვალსახელით ის ემუსაიფება შერემეტევს, ბარონ ბრიუგენს.

ვიზიტების დროს ერთი სიგარიც უნდა მოიწიოს. ეს არის სალაღობო სიგარი, ჩვეულებრივად, მომცრო ტანისა, რომლის წევას მოჰყვება „ვეფხისტყაოსანი“ ან სხვა რაგ წიგნი.

მერე მოდის საუზმე.

— არ ვიცი, რა გაქვს დღეს საუზმედ. აბა, ერთი პოლი მომიხმეთ!

პოლი არის მისი მზარეული. გვარად ბაქრაძე, რომელმაც თავისი ხელობა ზედგიწევნით კარგად იცის.

— პოლი, საუზმედ რას გვაჭმევ?

— პირველად მოგართმევ, ბატონო, კრავს, მარილწყალში მოხარშულს, ღომით, მერე ქათამს ჩახოხბილს და სხვა ამგვარად, ბოლოს ნამცხვარს ან კიდევ:

— პირველად მოგართმევ, ბატონო, „უსტრიცას“...

— კარგი, მაშ მეორეს ნუღარ იტყვი. მე ოსტრიას მეტს არას ვჭამ. სხვა რაც იყოს, ნიკო ფაღავას მიართვით, მოუჭრიდა ლაპარაკს დადიანი.

12 საათი რომ შესრულდება, საუზმე მზად არის ქვემო სართულში. ბაგრამ სანამ დაბლიდან მისი დათიკა არ ამოვა და არ მოახსენებს „მზათ არის“, თვით შერემეტევი რომ მოვიდეს, ისიც ვერ დასძრავს იმას ადგილიდან.

საუზმეს და სადილს დადიანი იწყებს და ათავებს, როგორც ნამდვილი ბაგრატიონი, იმით, რასაც ფრანცუზები უწოდებენ ietic და ჩვენებურად შეიძლება ითარგმნოს ახირებული ამოჯინებით.

ბაღლიდან რომ ჩამოვა ჩვეულებრივ ქუდდახურული (მ.. ხუცი მხედარი, როგორც განსვენებული ივანე მუხრან ბატონი. სახლშიაც მომეტებულ ხანს ქუდიანად ზის), ის მოუჯდეა სუფრას ისე, როგორც ჩამოვიდა, და მოიხდის ქუდს ცოტა ხნის შემდეგ, როცა იგემებს პირველ ლუკმებს, მაგრამ ამ ქუდა იმას კაცი ვერ ჩამოართმევს, ის თვითონ უნდა გადაისროლოს და ერთს პატარა სკამზე შეაგდოს, რომელიც ჩვეულებრივად მარჯვენა კედელთან დგას. თუ ვერ შეაგდო, სხვა ვერავინ ვერ ახლებს ხელს ძირს დავარდნილ ქუდს, ის თვითონ უნდა წამოდგეს, აიღოს ქუდი, ბივიდეს ისევ თავის ალაგას და იქედან ხელახლა ესროლოს და შეაგდოს. ეს ქუდის გადაგდება როგორც ვეჭვობ, თერმომეტრია მისთვის, მაჩვენებელი სიბერისა.

ნამდვილი მოხუცებული ის მაშინ იქნება, როცა იმას დაეზარება ამ ქუდის აღება-გადაგდება.

ჭამის დროს უთუოდ სან-ოთხგვარი სხვადასხვა ღვინო უნდა იყოს მის სუფრაზე და სხვათა შორის ერთი ბოთლი დაბალი ღვინოც, რომელსაც „სახარჯოს“ ეძახდნენ მის სასახლეში. მისი მეღვინეთუხუცესი სხვადასხვა სახელებს ეძახის ამ ღვინოებს.

— ეს რა ღვინოა, დათიკა?

— ვანია, ბატონო (განი ნიშნავდა გელოვანის ღვინოს).

— ეს?

— ჩინია, ბატონო (ჩინი იყო ჩიქვანის ღვინო).

საჭმელებს მის სუფრაზე, კარგი მადის გარდა, ზმები დახვდებოდა მზამზარეულად. კალმახს — ეკალმა ხიდზე გადაგდო, ხბოს — ოხ-ბოვში რა მექნა! ღომს — კამეჩის ღოღო მიყვარს, ნესვს — გაიანე სვინტრს კრეფდა ბაღში და სხვ.

სუფრაზე რომ დაჯდება, იმას რამდენიმე მოსამსახურე თაკს ადგია, და მათში უთუოდ ერთი პატარა ბავშვია, რომელიც იმან უნდა მოიკითხოს თავის კერძიდან.

როცა ის დაუძახებს ან სერიოჟას, ან მელიტონკას და ესენი მიცუნცულდებიან მასთან, დადიანი აიღებს ხელში ან ბალს, ან გარჩეულ თხილს, ან ყურძნის მარცვალს და დაუძახებს.

— შიშია!

— წიპ-წიპ! ხმას ყოფენ ესენი და მიუახლოვდებიან დაღებული პირებით, რომელშიც მოხუცი ჩაუდებს ხილეულობას.

მერე წამოდგება სცენაზე მისი აღდგომელა სიგარით, მუნდშტუკით, დანით.

სიგარი ამ დროს საჭმლის მოსანელებელიც არის და ძილისპირიც.

ნასაუზმევს ერთი საათის ძილი და ძილის შემდეგ კიდევ სიგარი. ე. ი. კიდევ ფიქრი 15-20 წამის განმავლობაში. შემდეგ სეირნობა ეტლით ან რიონის სადგურისაკენ, ან ლენჩხუმის გზაზე. მელანი და საქათმის არ იყოს, დადიანს თავი სულ მუდამ ლეჩხუმისაკენ უჭირავს.

საღამო ხანს კიდევ სტუმრობა. კიდევ კითხვა წიგნებისა და ექვს საათზე სადილი. ნასადილევს ან ჭადრაკი, ან უფრო იშვიათად ბოსტონი და ვინტი.

ჭადრაკის თამაში იმას დიდად უყვარს და კარგადაც თამაშობს. რაც უკეთესი მოთამაშეებია ქუთაისში, მასთან იყრიან თავს. მორფის სახელი იმის გარშემო წარმოითქმის იმ გვარისაკენ პატივით, როგორც ნაპოლეონისა.

ბოსტონისა და ვინტის მისი მუდმივი პარტნიორები არიან მალეევსკი, აკოფოვი და დათა ლორთქიფანიძე, მასთან ვინტის თამაში წვალებაა, რომ მოგება არ იყოს, როცა ლაპარაკის ჯერი იმასთან მოვა. იმან ყველას უნდა კითხოს, შენ რა სთქვი, შენ რა. ხანდახან საქმე იქამდე მიდის, რომ იმასაც არ დასჯერდება და მოიკითხავს იმასაც „მე — მე რა ვთქვი?".

თამაში უმეტეს წილად იმით თავდება, რომ მალეევსკი ჩადებს ჯიბაში ო�ormoc მანეთს.

პირი გულის თარჯიმანიაო, ვისაც უთქვამს, გრ. დადიანი არ ჰყოლია სახეში. მისი ხვაშიადის შეტყობა ძნელია.

გრ. დადიანზე იმას ამბობენ, რასაც გრიგოლ ორბელიანზე: ყიზილბაში არისო. ამ წოდებით ქართველი ხალხი გამოსახავს ისეთ სიტყვადაცულ კაცს, რომელიც პირში მხოლოდ ყასიამოვნო სიტყვას გვეტყვის და ჭეშმარიტ სიტყვას საპირუკანიოდ ტოვებს. გრ. ორბელიანს თხოვა კნ. ბაბალე ბარათაშვილმა, თამასუქზე ხელი მომიწერეო. ორბელიანმა უარი ვერ უთხრა, მაგრამ ქალი რომ შინ წავიდა ვექსილის მოსატანად, უკან ქაღალდი გაადევნა: გეთაყვა, კნეინა, უარის თქმა ვერ გაგიბედე. მაგრამ თამასუქზე ხელს ვერ მოგიწერო.

რომ დააკვირდე კაცი, ას კაცზე ოთხმოცდა ათი მაინც ამგვარია — ასეა ესე სოფელი, მაგრამ ამ 90-ს ყურადღებას არავინ არ აქცევს, სანამ „ყიზილბაშობა" სიცრუის წრეს არ გადავა. მართალია, როცა კაცი თვალსაჩინო არის და როცა ეს კაცი 80 წელი ცხოვრობს, მეტადრე იმერეთში, მაშინ ყველა იტყვის—ეს კაცი სპარსეთის ზრდილობისა არის, დაუნდობელიაო.

როგორც ყოველთვის და ყველგან, სოფელი ამ შემთხვევაშიაც უსამართლოა.

დადიანი დაბადებულია ამ საუკუნის დამდეგს, როცა ჩვენში სხვადასხვაგვარი ჩვეულება და ზრდილობა იყო, ვიდრე ახლა.

ახლა რო ჩაი წინ დაგიდგას ბიჭმა და შენ შეეკითხო: ჩაი ემომიტანეო? ის გაკვირვებული შემოგხედავს: მე კი რამდენჯერ შევსწრებივარ დადიანისაგან ამგვარ კითხვებს: ჰო, მოსულხარ? წვიმს? ხედავს რომ მოსულა, ხედავს რომ წვიმს. მაგრამ ის მაინც კითხულობს, თუმცა არავითარი ცუდი განზრახვა მას არ აქვს.

თავდაპირველად იოანე წერეთლის შეგირდი და შემდეგ იოანე ბატონიშვილის ხელდადებული მეგობარი გრიგოლ დადიანი პოემა „რუხის ბრძოლით" შემოვიდა ქართულ მწერლობაში... მას მთელი მისი სიცოცხლე შერჩა ამ მისი მოძღვრის კილო წერისა და ლაპარაკისა. ეს კილო არის ძველი, ჩვენი საეკლესიო წიგნებისა, ან უფრო ანტონ კათალიკოსისეული, სქოლასტიკური. ტყუილად კი არ ეტყოდა დავით დადიანი თავის ძმას — პრტყლად იცი ლაპარაკიო, ქართულის წერაო.

„დღეს ცეზარის ცხოვრებასაც არავინ კითხულობსო", — მითხრა ერთხელ ამ ურწმუნომ, — როდესაც მე წავუკითხე მას „გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება". ვამბობ „ურწმუნომ" იმიტომ, რომ ეს სხვა დროიდან ჩვენში ჩარჩენილი მოხუცი ნამდვილი სკეპტიკოსია, რომელსაც ბევრი არა სწამს რა ჩვენი დროებისა. მისი აზრით—ძველი დრო სჯობდა ახლანდელს. ძველად უფრო ზრდილნი იყვნენ, ვიდრე ახლა. ძველად უფრო კარგ ქართულს ლაპარაკობდნენ და უფრო კარგად წერდნენ, ვიდრე ამ საუკუნის დამლევს.

ათასში ერთხელ თუ სადმე მოეწონა ინას ახლანდელი დაწერილი, თავაღებით ამბობს: „ჩვენ მათიცა გვეამებისო", უფრო უმეტესად კი, ამ დაწერილებს იგი ფიგლი-მიგლის ეძახის.

ამგვარი მოხუცისათვის ეს ჩვენი ქვეყანა ედემი არ არის და კაცნი ზეციერ ანგელოზნი პირიქით, ქვეყანა ეკლით არის მოფენილი და კაცი უფრო ბოროტისაკენ მიდრეკილი. სამაგიეროდ, სოფელიც ამავე საწყაულით მიუწყავს ამ ძკაცრ მოხუცს. იმერეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, საცა დადიანი ატარებს ცხოვრებას, იგი არის გარემოცული ისეთი საზოგადო პატივისცემით, როგორიც შეშვენის მის ჩაცმამავლობას და ჰასაკს, მაგრამ ხალხის სიყვარული, რომელსაც ხშირად უღირსნიც კი იმსახურებენ, იმას არა აქვს. სოფელი ასე ამბობს: „აძღენი ხანი ქვეყანაზე ცხოვრობს და აბა რა გაგვიკეთაო?!".

ამგვარი კაცის ცხოვრება, შეიძლება, ყველასათვის არ იყოს საინტერესო, მაგრამ პირადი კმაყოფილება და სიამოვნება ერთი წუთისა არის და კაცი და მისი ხასიათი საუკუნო...

გრიგოლ დადიანი და ეკატერინე ჭავჭავაძე ერთად ისხდნენ გორდის სასახლის ეზოში და ტკბილად საუბრობდნენ. ამ ოცი წლის წინათ ერთმანეთს დამდურებულნი დაშორდნენ, დავითის გარდაცვალების შემდეგ ეკატერინე ეჭვის თვალით შეჰყურებდა მაზლის მოქმედებას: ასე ეგონა ტახტის წართმევა სურსო და ამ ნიადაგზე მუდმივი უთანხმოება ჰქონდათ. მერეც აღიზიანებდნენ დედოფალს და მსტოვრებიც მუდამ იმას უდასტურებდნენ, რომ გრიგოლი დროს ეძებს ტახტი წაგართვასო. უფრო მეტსაც ეუბნებოდნენ: გრიგოლს მაშინაც შურდა დავითის ბედი, როცა დავითი მემკვიდრედ აირჩია ლევან დადიანმაო, ხოლო მას შემდეგ, რაც დავითი გარდაიცვალა, ათასგვარ ინტრიგებს აწყობდა, რომ შენთვის ტახტი წაერთმიაო. ეჭვიანწვეთებული ეკატერინე მაზლს უნდობლად უცქეროდა.

მერე სამეგრელო აჯანყების ალში გაეხვია, ამით უცხო ძალამ ისარგებლა და ეკატერინე პეტერბურგს გაიწვიეს, გრიგოლ დადიანი კი — თბილისს.

ვიდრე ეკატერინე საზღვარგარეთ იყო, გრიგოლ დადიანი თბილისში ცხოვრობდა, თან საზოგადოებრივი მოღვაწეობით იყო გართული, თან კიდევ, გრიგოლ ორბელიანთან ერთად, სმალს იქნევდა დაღესტანსა და ყარსში.

გრიგოლ დადიანი ყმაწვილობიდანვე პოეზიით იყო გატაცებული და „ცისკარსა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის გვერდით კოლხიდელის ფსევდონიმით ლექსებს ბეჭდავდა. მამათა და შვილთა ბრძოლაშიაც მონაწილეობდა და მამათა მხარეს ექომაგებოდა.

კოლხიდელის სალოცავი ხატი „ვეფხისტყაოსანი“ იყო. ჯერ პეტერბურგში, 1840 წელს, რუს პოეტთან — ბარტდინსკისთან ერთად პირველად გააცნო რუს მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის ნიმუშები, მერე კი, გრიგოლ ორბელიანის თავმჯდომარეობით შემდგარი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი იყო.

რუსთაველის აჩრდილს შეფარებულ კოლხიდელს სიკვდილამდე არ განელებია პოეზიის მხურვალე სიყვარული და, მთავრის ტიტულის მაძიებელი, ლექსების წერით ირთობდა თავს. ანტონ კათალიკოსის სქოლასტიკური სკოლის ბოლომდის ერთგულმა პოეზიაში ვერ დაიდგა მეფური ტახტი. თუმცა პოეზიის მზე მუდამ სწვავდა მის სულს და დავით ჩუბინაშვილმაც პეტერბურგში გამოცემულ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში საპატიო ადგილი დაუთმო.

გრიგოლ დადიანმა უფრო მეტი სახელი სამხედრო კაცობაში მოიპოვა. ჯერ იყო და დაღესტანში იომა, ბარიატინსკის ვერდით იდგა, როგორც კავკასიის გრენადერთა დივიზიის უფროსი, როცა გუნიბს ალყა შემოარტყეს და შამილი დაატყვევეს. დაღესტნის ექსპედიციაში თავის გამოჩენისათვის მას გენერალ-ლეიტენანტობა ებოძა, ხოლო 1878 წელს თურქეთის ფრონტზე ყარსის აღებაში ისახელა თავი და ინფანტერიის სრული გენერლობა ებოძა.

ბოლოს უბედურად დატრიალდა ბედი გენერლისა — თბილისში ცოლი გარდაეცვალა. გრიგოლ დადიანის ცოლი, ტერეზა, გურიის უკანასკნელი მთავრის შვილი იყო. გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ, პეტერბურგში გაწვეული გურიელის ადრე დაობლებული ქალიშვილი რუსეთის იმპერატორის სახლის კარზე იმპერატრიცას ფრეილინად ჩარიცხეს. გურიელის ეს ულამაზესი ასული გრიგოლ დადიანმა პეტერბურგში ყოფნის დროს გაიცნო და 1845 წელს ჯვარიც დაიწერეს ზამთრის სასახლეში. სამეგრელოში გრიგოლის ცოლი ტერეზა რძალს ვერ შეეწყო და ძმებიც მალე გაიყარნენ...

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მოხუცი გენერალი სულ მარტო დარჩა. მერე თბილისი დატოვა და მუდმივ საცხოვრებლად ცაგერში, სოფელ სურუმის მამისეულ სასახლეში ჩაიკეტა. აქ იგი ბერივით ცხოვრობდა. წუთისოფლისაგან განდგომილი, დროს ქართული გაზეთებისა და ჟურნალების კითხვაში ატარებდა. დილით ადრე დგებოდა, აივანზე გავიდოდა, დაღონებული დიდხანს უმზერდა წარსული დიდების ნაშთს — მურის ციხეს და თავისი ცხოვრების განვლილ დღეებს იგონებდა. საუზმის შემდეგ წერილებს სწერდა: თბილისში—გრიგოლ ორბელიანს და ილია ჭავჭავაძეს, საჩხერეში — აკაკი წერე-

თელს, ზუგდიდში — იონა მეუნარგიას. ხშირად ლეჩხუმიდან გორდს ამოდიოდა, სადაც ეკატერინე დადიანი ეგულებოდა.

შერიგებული რძალი და მაზლი სიამტკბილობით იგონებდნენ ძველ, დიდებულ დროს. ან რა ჰქონდათ ახლა გასაყოფი. სამთავრო დიდი ხანია რაც გაუქმებული იყო და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი მოხუცები თვითონაც ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, საღამოობით ისხდნენ და საუბრობდნენ.

— გახსოვს, დედოფალო, — თავის კანტურით მიმართა ეკატერინეს მაზლმა და თურქეთთან ომის ამბებს მოჰყვა. — მაშინ კი დიდად ისახელეთ თავი, არა, ჩემო დედოფალო?

— კი, კი, ჩემო მაზლო, ოღონდ მაშინაც შენს თავს მაშულებდნენ ჩემი მტრები და გვიან მივხვდი, რომ შენ ერთგული ყოფილხარ ჩემი და მამულისა. ეს ყველაზე უფრო თურქებთან ომში ვიწამე. შენ დიდად გამოიჩინე თავი, დიდი ვალი დამდე შენი რჩევითა, თავდადებითა და დაკვირვებითა, და მარტო ჩვენი სამთავრო სახლი კი არ ასახელე, არამედ მთელი საქართველო. — ამ სიტყვებზე მწარედ ამოიხვნეშა დედოფალმა.

ისევ გრიგოლმა ჩამოართვა სიტყვა:

— არა, რაც იყო, დავივიწყოთ, ახლა ჩვენ მხოლოდ კარგის მოგონებით უნდა ვიცოცხლოთ. ჰო, გუშინ ჩემს არქივს ვალაგებდი და აი, რას წავაწყდი: — გრიგოლ დადიანმა მთლად გაყვითლებული, ორად დაკეცილი ქაღალდი ჯიბიდან სასოებით ამოიღო და გაშალა. — ვიცი, რომ გესიამოვნებათ და უნდა წაგიკითხოთ. მერე გაშალა ეს პროკლამაცია და ხავერდოვანი ბოხი ხმით ხმამაღლა წაიკითხა: „თავადის დეისმა ჩიჩუას შვილის შვილებო! — აქ ერთბაშად შეჩერდა კოლხიდელი და განმარტა: დეისმა ჩიჩუა რუხის ომის გმირი იყო, დედოფალო, თუ გახსოვთ ბესიკმა დიდებული ოდა მიუძღვნა. და მეც ამის შვილიშვილებს მივმართე. ესა თქვა და გააგრძელა კითხვა: — ნამუსის, პირის და სიმხნევის გამოჩენის დრომ მოაწია, საყვარელო ძმანო, თავადნო ჩიჩუანო! უსჯულო აღსდგა პირისპირ ქრისტეს სარწმუნოებისა და ჩვენის ხელმწიფისა; მე დავინიშნე წინამძღოლად ბრძოლასა შინა. 6-ს ამა თვისას თქვენ თქვენის აზნაურებით, მსახურით და გლეხებით, უკლისად, სამამაცოდ აღჭურვილთა თავისი საგზლით, გაწვევთ მოსვლად ჩემდა ზუგდიდად: მე წინა გაგიძღვებით და დაგაბარგებთ ადგილ-

სა ზუგდიდისასა, არა შორად, იმედი მაქვს ვითარცა წინაპართა თქვენთა უქმნიესთ-მეგრთა შემთხვევათა შინა, ესრედ გაიელვარებთ თავსა და თქვენსა წინაშე ღმერთისა, ხელმწიფისა და სახლისა ჩვენისა სამთავროისა და აღასრულებთ ამა ჩემსა მოწვევასა და ვალსა თქვენსა, დაუყოვნებლად, აღნიშნულის დროისათვის და მით განამტკიცებთ სასოებასა ჩემსა თქვენდამი. 1 აპრ. 1854 წ. № 39, ზუგდიდს".

მაშინ ასეთივე შინაარსის პროკლამაციები მთელს სამთავროში გავავრცელეთ და ქუდზე კაცი გამოვიდა. ასე იცის სოფელმა, როცა მიგენდობა, წომ ასეა, დედოფალო?

— დიდი გაიძვერა მელა იყო ის ომარ-ფაშა, მაგრამ კუდით ქვა ხომ ვასროლინეთ იმ წყეულსა, არა, ჩემო მაზლო?

—დიახ, დედოფალო, დიდი წყეული ვინმე იყო, მაგრამ მის ანკესზე არც ჩვენ წამოვეგეთ.

— შეჩვენებული იყო, აბა, რა იქნებოდა: წარმოშობით ავსტრიელი, შემდეგ გამუსულმანებული, რომელმაც თავი თურქებს მიჰყიდა. ყოველთვის საშიშია ეს გვარტომობაგამოცვლილი ხალხი. მამულისა და რჯულის უარისმყოფელნი ორმაგად შლეგები არიან და დაუნდობელნი, მაგრამ არც ჩვენ ვიყავით ჯაბანნი და, დიახ, რომ კუდით ქვა ვასროლინეთ იმ ჩვენს მოსისხლე მტრებსა.

ახლა ნინო მოიგონეს:

— გახსოვს, ბატონო გრიგოლ, ნინო, რომ მოწყალების დებს ჩაუდგა სათავეში, ორმოცდაერთი ქალი შეარჩია, მთელი ორი თვე ამზადებდა, მათთვის თეთრ სამოსს თვითონ კერავდა, მართალია, ეკა ჩიჩუა ეხმარებოდა, მაგრამ ყველაფერს თავად მეთვალყურეობდა, საკუთარი ხელით აკეთებდა,— აბა, თუ გახსოვს, მაინც რა ლამაზი იყო მის მიერ გამოქარგული წითელი ჯვრები ამ ქალების ქუდებზე!

მერე ის იყო ჩემს მაზლს კონსტანტინეს მოატანინა ქუთაისიდან ჩანთები და შიგ სასოებით ჩაალაგეს პირველი დახმარების წამლები, ბანდი, ბამბა, იოდი, მიტკლის თეთრი ნაჭრები, თეთრი კაბებით, თეთრივე ხალათებითა და წინსაფრებით, წითელჯვრიანი ქუდებით მორთულ ქალებს ყოველ დილას ცხენებზე შესვამდა, წინ ასევე მორთული ნინო გაუძღვებოდა და მთელი დღე ავარჯიშებდა ენგურის ჭალებში.

- ნინო რაღაც საოცრება იყო, ზეციისაგან მოვლენილი ანგელოზი! — გრიგოლ დადიანი სავარძელზე შეტრიალდა, სიტყვა ჩამოართვა დედოფალს. — დიახ, ქალი კი არა, ანგელოზი იყო, ანგელოზი. მე გამაოცა ამ ქალის თავგანწირვამ.

არჩილ ფაღავა გემახსოვრებათ, დედოფალო, ლამაზი იყო. მოხდენილი, მაღალი, ზრდილი, ოფიცრებში გამორჩეული. ნინოს ჩემს ოჯახში გავაცანი ის. ფაღავა უებრო ვაჟკაცი იყო, მაგრამ უთქმელი. მე ასე მგონია გაგიჟებამდე მოსწონდა ნინო, მაგრამ გამხელით, რამდენადაც მე ვიცი, ნინოსათვის ეს წრფელი გრძნობა არ გაუმხელია.

— არა, ნინო ისეთი ასკეტი იყო, ალბათ, ფაღავა ვერ გაუბედავდა ამის თქმას.

— ამას ნუ ვიტყვით, დედოფალო, ნინო ისეთი კეთილი იყო, რომ მასთან ყოველვის შინაურულად ვგრძნობდით თავს და, ალბათ, სიოამამესაც ის გვაძლევდა, მას რომ ვუმხელდით გულის ხვაშიადს. ნინო კეთილი იყო, მეტისმეტად კეთილი.

დადიანმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სიტყვა კეთილს.

— კეთილი... კეთილი მეც ვიყავი, ჩემო მაზლო, მაგრამ ცხოვრებამ გაგვაბოროტა ყველა.

გრიგოლი ერთბაშად მოგონებას მიუბრუნდა.

— ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ჩემო დედოფალო, იმ დღეს რუხის ციხესთან მტერი მოგვეძალა. ჩემს გვერდით გვარდიის პოლკოვნიკი ფაღავა იდგა. ეს მამაცი მეომარი მარჯვედ ესროდა მტერს, ის იყო მტრის ტყვიამ გაიბზუილა, გვერდით მოვიხედე და ფაღაკა ცხენიდან ძირს ჩამოვარდა, დაყვირება ძლივს მოვასწარი და ისევ დაგვიშინეს თურქებმა.

უკან ვიხევდით, როცა ცხენდაცხენ ნინო და ვიღაც მეორე ქალი შიგ ცეცხლში შევარდნენ და დაჭრილი ფაღავა ზურგით დაითრიეს და უკან გამოიტაცეს... მერე, დაღამებისას ომიც შეწყდა. ყველაფერი დამშვიდდა. მე სადღაც ბუჩქის ძირას მივეგდე და ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას შევცქეროდი. უცბად ყრუ კვნესა მომესმა და წამოვდექი, მარცხნივ გავიხედე; იქვე დაჭრილ ფაღავას მოწყალების დების გუნდი ეხვია, ჭრილობაშეხვეული ლომკაცი კვნესოდა, ნინოს ფაღავას ხელი ხელთ ეჭირა და მაჯისცემას უსინჯავდა დაჭრილ მეომარს. ჰე

უცებ ფაღავასთან მივედი, დავიჩოქე მეომრის წინაშე, მერე, ჩემდა უნებურად, ნინოს მიბაძვით ფაღავას მეორე ხელს ხელი ჩავავლე, მაჯა გავუსინჯე, — უკვე აღარ ფეთქავდა, თუ მე ვერ ვუპოვე მაჯისცემა, არ ვიცი. ამ წვალებაში თვალი გაახილა. ჯერ ნინოს დააშტერდა, მერე მე შემომხედა, ის იყო სიტყვა დავძარი და ისევე დახუჭა თვალი. ზეზე წამოვდექი და ისევ გაახილა. ახლა ღიმილმა გადაუარა მის გაფითრებულ სახეს და რაღაცა მანიშნა ხელით, დავიხარე და სახე სახეზე მივაყრდენი. მერე დავძაბე ყურადღება და, გეფიცები პატიოსნებას, ეს სიტყვები გავიგონე: სამშობლოსათვის სისხლი დავანთხიე და მით მოვიხადე ვალი მამულისა. სიკვდილის წინ ერთი ნატვრაც შემისრულდა. ხედავ იმ ანგელოზს, სიცოცხლეში არ მეღირსა მისი ალერსი, მაგრამ მომაკვდავს მერგო ეს ბედნიერება. ვკვდები და თან წამყვება მისი სახე ღვთაებრივი. — ეს თქვა და მილულა თვალი. მე შევცბი ამის გამგონე და, ჩემდა უნებურად, მზერა ნინოს მივაპყარი.

ახლაც არ ვიცი, ნინომ გაიგო ეს სიტყვები თუ რა იყო, დაიხარა და მომაკვდავს ზედ სახეზე აკოცა. ფაღავა შეინძრა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო, თვალებიდან კი ცრემლებმა იწვიმა, ცრემლითა და ოფლით დაეღარა სახე დაჭრილ მეომარს. შევწუხდი ამის დამნახავი. ახლა ნინო ისევ დაიხარა, ცხვირსახოცი ამოიღო და ფრთხილად მოუწმინდა სახე...

იქვე გათავდა ფაღავა. ნინოს შევხედე და ხმადაბლა, ჩუმად ტიროდა...

— ეჰ, ანგელოზი იყო ჩემი და, ნამდვილი ანგელოზი! ჩემი ოჯახის და ჩემი სამთავროს მფარველი ანგელოზი! სანამდის ის ცოცხალი იყო, მეც არა მიშავდა რა. წავიდა ის ჩვენგან და ჩემი საქმეც უბედურად წარიმართა. იმის შემდეგ დაიწყო ჩვენი სამთავროს დაქცევაც.

ერთბაშად ოხვრა აღმოხდა მაზლსა და რძალს.

— დედოფალო, არასოდეს არ დამავიწყდება, თქვენ რომ კაცურად გადაიცვით, ხმალი რომ გადაიკიდეთ, თავზე ყაბალახი რომ შემოიკარით და გვერდით ამომიდექით. როცა სამთავროს დროშა მოატანინეთ, მუხლი მოიდრიკეთ და ეამბორეთ, მაშინ, მართალი გითხრა, ცრემლი მომერია. თქვენს მაგალითზე ჩვენც ასე მოვიქეცით. მერე ჩვენმა მილიციამ მხედრული სიმღერა

დააგუგუნა და ვეკვეთეთ მტერს. ო, რა ცხარე ბრძოლა იყო, რა ცხარე დღეები!

იგონებდნენ ყოველივე ამას რძალ-მაზლი და, მოგონებათა სიხარულით აღელვებულ მოხუცებს თვალს ცრემლი მოდგომოდათ.

— ჰაი, ეკატერინე ჩემო, რა ხალხი ვიყავით და როგორ თვალსა და ხელს შუა გაგვიფრინდა ცხოვრება!.. და აჰა, მოვიდა ახალი თაობა. და მერე, გგონიათ დაგვიმახსოვრეს რამე? დიდი უმადურები არიან, დიდი უმადურები! კარგად უთქვამს დიდებულ რუსთაველსა: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". დიახ, ჩვენ მივდივართ და სხვა მოდის. და აი, უკვე ალარ ვუნდივართ ამ გუშინდელ ძუძუმწოვრებს. უმადურობაა, შენი ჭირიმე, აბა რა, ჩვენი სახელი დაღესტნის მთებში გრგვინავდა, ყარსში თურქებს აზანზარებდა და ახლა მოსულან ვიღაც უსახელონი, უგვარონი და ლამის მასხარად აგვიგდონ! ვერა გამიგია .რა ამ ახალგაზრდობისა, ახლა ამ ჩვენს ქართულ ენასაც მიადგნენ და უნდათ, რომ მამაპაპისაგან ბოძებული ეს დიდებული განძიც მთლად გაამასხარაონ. ალბათ თქვენც მოგდით ქუთათური გაზეთი „შრომა". იცით ვინ არის მისი რედაქტორი? აი ის, ჩვენებური დიმიტრი დადიანის ბალღი. გაზეთი ქუჩის საქმედ აქცია. მერე ეს ქუჩის ენა არ აკმარა და ახლა შრიფტი დაუმახინჯა. ეჰ, ვინ არის გამკითხავი! ამასწინათ წერილი მივწერე ილია ჭავჭავაძეს.

კოლხიდელმა ჯიბიდან ისევ დაკეცილი ბარათი ამოიღო და ხმამაღლა წაუკითხა დედოფალს:

„თავადს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.

მცოდნენი ქართულისა და ტრფიალნი კითხვისა და წერისა, ერთბაშად დრტვინდნენ „შრომა" გაზეთისა შინა ახალ შემოჩოჩებულთა ანბანებთათვის, რომელთაგან გამოსახულთა ლექსთა და სიტყვათა აღმოკითხვა, თუ არა ღეჭვით და ცრემლით, საძნელოა. ყოველ კრებაშიდ ქართულის გაზეთის მკითხველთაგან გაიგონებ საგიებელთა შენიშნულებათა ამა ბნელშემოსილთა ანბანებთათვის. — ფაზელმან სთქუა: „ოდესცა ვკითხულობ ამ გონჯთა ანბანებთაგან წარმოდგენილთა მოთხრობათა ანუ შაირთა, მხედველობა ჩემი ცრემლითა ბინდდება, ვგონებ მამულის შვილობა მაცრემლებს ამა უტანადო. უცნა-

ური და უჩვეულებო ანბანებთა შემოღებისათვის, თორემ მე გაჭირვება ვერ მატირებსო“.

ერთმან დიდებულმან თავადმან მომწერა: „შრომას“ დაარსებითგან მისა ვკითხულობდი სიამოვნებით, ახლა ასეთის ანბანებით იბეჭდება სხუათაშორის შუენიერი ლექსები აკაკისა, რომ უსათუოდ ვერავინ წაიკითხავსო. მოხუცებულს, ბებერს, ჭაღაროსანს ვინ დაეძებს, ვაი თუ ახალგაზრდა ჩუენთა ბახოვანთა ცისკროვანსა მხედველობასა სათვალე ამოსდვასო. მეც არ ძალმიძს პაექრობა გარემზომ ამათსა: უდგეშობა მწე-მქებარობა დაბღუნძვილთა ამათ ანბანებთა რომელნი ემსგავსებიან ქერეკსა შეკვეცილსა; დაცვენილსა შარასა ზედა, ღრმადნაკვეთობა მათი არს დუხჭირი, ძნელ ამოსაკითხავი, მაშასადამე, უხამსი და უვარგისი. არა ღირს არიან დასხდნენ იგინი ჩუენთა პაეროვანთა და ბრწყინვალეთა ანბანებთა თანა. მე მსურს, საყუარელო მომჭირნეო ქართულისა მწიგნობრობისაო, თა-დოილია, რომ ექსორია უყოთ მათ, რამეთუ უვარგისობასა და არა სახმარებასა მათსა ზედა შენცა უარ არ იტყვი, ამით აღმოჩნდება სიამოვნება მკითხველთა, პატივის-ცემა ქართულისა წერისა და სიყვარული „შრომა“ გაზეთისა, რომელი როგორც ხელის მომწერთა საყვედურს განერება, აგრეთვე უმოწიფულო ფესვი მისი გავალხასაცა მოუთმენელსა.

კოლხიდელი“.

დადიანმა ჩაიკითხა ბარათი და დადუმდა. ერთ ხანს უსიამოვნო მდუმარება ჩამოვარდა. მერე ისევ ეკატერინემ გაიღო ხმა:

— ე. ჩემო გრიგოლ, ჩვენი უბედურება ის არის, რომ არც ილია გვწყალობს, ისიც გადაგვიდგა.

— არა, ჩემო დედოფალო, ახლა ილიაა საქართველოს იმედი და მომავალი. ილია მარტო პოეტი კი არ არის, არამედ ერის მოძღვარიც. იმას უნდა შევყურებდეთ სასოებით.

ეკატერინემ ისევ ჩამოართვა სიტყვა:

— არა, ჩემო გრიგოლ, ჩვენი იმედი და ლხენა გრიგოლ ორბელიანი იყო.

ილიასაგან ოდესღაც ნაწყენ დედოფალს ისევ გრიგოლ ორბელიანის მხარე ეჭირა და ამიტომ აქებდა ასე თავგამოდებით

— არა, დედოფალო, რასაკვირველია, გრიგოლი ჩვენი ჯავარი იყო, მაგრამ რომ დაგვიბერდა, ჩვენი არ იყოს, ისიც ახლა ისე მოსთქვამს და უჩივის ამ გაუტანელ წუთისოფელს, როგორც ჩვენა. გრიგოლი ხომ ჩვენზე დიდად უფროსია, აბა, ასეთ დროს რა უნდა ვთქვათ.

დადიანი დედოფალს შეაჩერდა. დაღვრემილი ეკატერინე მ-წეს ჩასჩერებოდა. საუბრისათვის სსვა მიმართულება რომ მიეცა და გორდის სასახლეში მძიმედ ჩამოწოლილი ნაღველი უკუეყარა, დადიანმა გადაწყვიტა რამე ლექსი წაეკითხა დედოფლისათვის. ჯერ საკუთარი ლექსის წაკითხვა განიზრახა, მაგრამ უცებ მოაგონდა: ეკატერინეს დიდად უყვარდა, გრიგოლ დადიანი ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათარგმნ კორნელის დრამას „სინას" რომ კითხულობდა და ახლაც სინასადმი მიმართული ავგუსტიოს სიტყვები წაიკითხა:

> გარე განვიდენ ყოველნი, ნუღარ შემოვალს აქ ვინმე.
> სინნავ, შენ დაშთი! ბგრეთვე შენცა აქ იყავ, მაქსიმე...

კითხვა რომ დაიწყო, დედოფალმა შეხედა — გრიგოლს ხელები მისკენ ჰქონდა გაშვერილი. ეკატერინეს გაეღიმა. კოლხიდელი მიუხვდა და მისკენ მიმართული ხელი ძირს დაუშვა და კითხვა გააგრძელა:

> ზღვასა და ხმელეთსა ზედა ესე სრული მფლობელობა,
> ურიცხვ ერთა მორჩილება, მათზე ჩემი ხელმწიფობა.
> ესე დიდება უსაზღვრო, ესე ხარისხი ელვარე,
> რომელთა შესაძინებლად ესდენი სისხლი დაღვარე.
> და ესე ბედი მაღალი, მზეებრ შარავანდ ვლებული,
> პირმოთნე კარისკაცთაგან მოწიწვთ თაყვანებული,
> ჰგვანან შვენებით კეკლუცთა, პირველად ხედვის მიმტაცთა,
> რომელ მალ მოსწყინდებიან ყოველთა მათთა მხელთავთა.

გრიგოლი დინჯად კითხულობდა და ეკატერინე აღტაცებით შესცქეროდა არტისტად ქცეულ კოლხიდელს... მერე ეკატერინემ ისევ „ვეფხისტყაოსნის" კითხვა სთხოვა და თან ესეც უთხრა:

— მოდი, გავეჯიბროთ. შენ ხომ იცი და იცი „ვეფხისტყაოსანი", მეც ვიცი ზეპირად. აბა, შენ დაიწყე და მე გავაგრძელებ.

კოლხიდელმა დაიწყო:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
და მისგან არს ყოელი ხელმწიფე სახისა მის მიერითა...

ახლა ეკატერინე შეეშველა:

მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოკვდები, სოფელი ასრე ქმნელია;
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!
და ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია...
...ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია...

ეკატერინე შეჩერდა, დუმილი ჩამოვარდა. მერე კოლხიდელმა კვლავ განაგრძო ამ სათაყვანო პოემის სტრიქონები. ისევ ეკატერინე შეენაცვლა და აღარ ეშვებოდნენ „ვეფხისტყაოსანს“.

— რუსთაველი სხვაა და ახლანდელი ჩვენი პოეტები სულ სხვანი არიან. რუსთაველი დაულეველი ოცნების ველია, პოეტთა მეფეა და მასწავლებელი, ვაი, რომ უშნონი ვართ. ასეთი დიდი წინაპარი გვყავს და მისი სახელი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით ვერ გაგვიტანია! — თქვა ეკატერინემ. კოლხიდელი ისევ მიუბრუნდა ეკატერინეს:

— ცოტა რამ ჩვენც გაგვიკეთებია, ეს საქმე რომ წინ წაგვეწია. გახსოვს, თქვენ უკვე ჩვენი რძალი იკავით, ძე პეტერბურგში ვცხოვრობდი, თქვენი ქორწილის შემდეგ მე ისევ პეტერბურგს დავბრუნდი და იქ თან წავიღე „ვეფხისტყაოსანი“, აი, ის წიგნი, ვახტანგის მიერ დაბეჭდილი, ჩვენ ოჯახში რომ ინახებოდა. მთელი წელიწადი გვერდით მოვისვი ახლად გაცნობილი ჩემი მეგობარი რუსი პოეტი ბარტდინსკი, სიტყვასიტყვით ვუთარგმნიდი და ვუხსნიდი ყოველ სტრიქონს. მერე ვაქებდი და ვაქებდი, ვასმევდი და ვაჭმევდი და ისიც ხალისით თარგმნიდა. ამის გამო მთელი ნახევარი წელი დავრჩი პეტერბურგს და, როცა პოემის ორი კარი უკვე ვთარგმნეთ, მე ისევ გამომიწვიეს ზუგდიდში. მაშინ თან წამოვიყვანე ჩემი რუსი მეგობარი. თქვენმა მეუღლემ დავითმა მთელი საქართველო დაატარა, შეაყვარა და შეათვისა ჩვენი ქვეყანა. პეტერბურგს რომ დაბრუნდა, ბარტდინსკიმ პირველმა გამოსცა რუსულად შოთას პოემა და იგი ჩვენ გვიძღვნა.

— როგორ არ მახსოვს, ამ ერთი კვირის წინათ ჩემს ბიბ-ლიოთეკას ვათვალიერებდი და შემხვდა კიდეც ეს წიგნი. გამი-ხარდა. გადავშალე და... იგი თქვენდამი მოძღვნილი ლექსით იწყება! დადიანების ოჯახს ბევრი რამ გაუკეთებია და, შენი არ იყოს, მე ახლა ის მისიებს გულს, რომ გამომდგარან და მიკიჟინებენ დედოფალს თავისი თავისა და თავისი შვილების მეტი არაფერი ახსოვდაო.

გრიგოლ დადიანი ამშვიდებდა აღელვებულ დედოფალს. სწორედ ამ დროს მათთან სახლთუხუცესი მოვიდა, მაზლსა და რძალს მოწიწებით თავი დაუკრა და ვახშმად მიიწვია.

ვახშამზე ისევ გრძელდებოდა საუბარი:

კოლხიდელი დინჯად ლაპარაკობდა, სწამდა, რასაც ამ-ბობდა. ეპოქის ქარიშხალს საკმაოდ მოეტეხა, მაგრამ რწმენა მომავლისა, რწმენა საქართველოს ხვალინდელი დღისა მისი გულიდან ვერ აღმოეფხვრა, მტკიცე და შეურყეველი იყო. ეს სიმტკიცე და გაუტეხელობა ამშვენებდა მის ბრგე-ვაჟკაცურ შესახედაობას.

— ქვეყანას, რომელმაც რუსთაველი დაბადა, დაღუპვა არ უწერია. საქართველოს ფარი და ხმალი რუსთაველია, ჩემო რძალო, ის დალოცვილი რუსთაველი!

— „ვეფხისტყაოსანმა“ და სახარებამ შეგვინახა აქამდის, ჩემო მაზლო, არა?

— არა, საქართველოსათვის „ვეფხისტყაოსანი“ სახარება-ზე მეტია, ჩემო რძალო, ის ერთადერთი წიგნია, რომელმაც გადაგვარჩინა ამდენ განსაცდელს და კიდევ ბევრჯერ გადაგ-ვარჩენს. თუმცა, შენც მართალი ხარ, ჩემო რძალო, დიახ, „ვეფხისტყაოსანმა“ და სახარებამ შეინახა ერთმორწმუნე ქრისტიანული საქართველო. მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“, ჩემი აზრით, მაინც სულ სხვა წიგნი იყო და სწორედ ამიტომ არის სირცხვილი, რომ აქამდის იგი რუსულად არა გვაქვს, მე ვა-დავწყვიტე ეს საკითხი ისევ აღვძრა და ჩემს მიერ 1840 წელს დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანო. ამის თაობაზე მე აუცილებლად მივწერ წერილს და თხოვნას ჩვენს იმპერა-ტორს, თან დავუსაბუთებ ამ საქმის საჭიროებას და, თუ დღეს რუსები ასე ბლომად თარგმნიან სპარსულიდან, არაბულიდან და ევროპის ქვეყნების მწერლების ნიმუშებს, არა მგონია უა-

რი თქვან ჩემი ერის ამ დიდებული საუნჯის თარგმნაზე. ალბათ, სახელმწიფო არ დაიშურებს მისთვის ფულსა და სტამბას...

* * *

იმ წელს ილია სამეგრელოში გაემგზავრა. დიდებული მწერალი დიდებით მიიღეს. 25 ცხენოსანი და ეტლი ქუთაისშივე აახლეს და პატივით წაიყვანეს სამეგრელოში. ხონზე გამოატარეს, დანელიას ბორანით ცხენისწყალი გადალახეს და იმ საღამოს ბანძაში მექი ფაღავას სახლში გაათიეს ღამე.

მექი ფაღავა პეტერბურგს უმაღლესგანათლებამიღებული იურისტი იყო, კაცი გონიერი და განათლებული, მდიდარი და შეძლებული. მართალია, ილიას პირადად არ იცნობდა, მაგრამ იცოდა, რომ ის უკვე საქართველოს მამად იყო აღიარებული, ნაწარმოებებითაც იცნობდა და ფრიად გაიხარა თავის ოჯახში მისი მობრძანებით. სამეგრელოს საუკეთესო ინტელიგენცია, თავადობა და აზნაურობა მოეწვიათ ილიას პატივსაცემად. როდესაც ილია თავისი ამალით ფაღავას სახლს მიუახლოვდა, ფაღავამ ჭიშკართან 50 კაცისაგან შემდგარი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი გუნდი შეაგება. ჭიშკრიდან სახლამდის კი ყვავილებს უყრიდნენ და სიმღერით მიაცილებდნენ ორსართულიანი დიდი ოდა სახლისაკენ. როდესაც ილია აივანზე შედგა, მექი ფაღავამ სიტყვით მიმართა:

— ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი, დიდო მამულიშვილო, საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი კუთხის მიწაზე, ჩვენს კუთხეში, სამეგრელოში. შეიძლება ისე ვერ დაგხვდეთ, როგორც ეს საქართველოს მამას ეკადრება, მაგრამ იცოდეთ, არაფერს დავიშურებთ, რომ ისე გავუმასპინძლდეთ დიდ მამულიშვილს, როგორც ეს ჩვენი ქვეყნის იმედს, ჩვენი ქვეყნის მომავალს შეეფერის. — ესა თქვა ფაღავამ და ულამაზესმა ასულმა ილიას ღვინით სავსე ყანწი მიართვა. ილიამ ჩამოართვა ყანწი და არ იცოდა სიტყვითვე ეპასუხნა თუ უბრალოდ დაეცალა ეს ყანწი. შეყოყმანდა, მერე ერთბაშად მოკლე სიტყვა თქვა, ყანწი მოიყუდა და ბოლომდი დალია.

შუაღამე გადასულიყო და ფაღავას ოჯახში გაბმული ლხინი მაინც არ შეწყვეტილა. დიდად მოილხინა ილიამ. მეორე დღეს ძვირფასი სტუმარი მთელი ამალით ზუგდიდს გააცილეს, გზად

მეუნარგიას სოფელში, ცაიშში შეჩერდნენ. ილიას მეგობარს — იონა მეუნარგიას წინასწარ ყველაფერი მოემზადებინა. ილიას ზედ სოფლის შესასვლელთან შეხვდნენ. აქაურმა მასპინძლებმა ეტლიდან ცხენები გამოხსნეს, თვითონ შეებნენ და ისე შეიყვანეს მეუნარგიას ეზოში ილია ჭავჭავაძე. ილია გაოგნებული დუმდა. სიხარულისაგან ცრემლი დიოდა, არაფერს ამბობდა, ნახულითა და გაგონილით გაბრუებული იყო.

მეორე დღეს ზუგდიდს ესტუმრნენ. ახლა ზუგდიდში ნამდვილი მეფური მიღება მოუწყვეს ილიას. აქ უკვე ოთხასამდე ცხენოსანი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი კაცი და ქალი დახვდა და დიდი ილია დადიანების სასახლეში ზეიმით შეიყვანეს. ზედ კართან ეკატერინე დადიანის ქალიშვილი სალომე გამოეგება. ილია ხელზე ეამბორა სალომეს, შეხედა და გაოცდა. სალომეს სახით ილიას ულამაზესი და უბრწყინვალესი ეკატერინე, პეტერბურგში რომ ენახა, ის ეკატერინე წარმოუდგა. მაშინ, ბარათაშვილის ლექსები რომ წაუკითხა, სალომე პატარა იყო, 12 წლისა. ახლა კი სულ სხვაა — ტანადი, მაღალი. ეს თვალთა ელვა, ეს მოქნილი ტანის რხევა... პირწავარდნილი ეკატერინე იყო!

ეკატერინე არ დახვდა ილიას ზუგდიდს, ის, ავადმყოფი, გორდს წაეყვანათ.

ილიას ჩამოსვლის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ დადიანების საგვარეულო ბიბლიოთეკა და დადიანების ხელნაწერი წიგნები ენახა, მათ შორის, ყველაზე უძვირფასესი და უძველესი „ვეფხისტყაოსანი“, ტყავზე გადაწერილი. როდესაც ილიამ მეუნარგიასთან ერთად ყველაფერი ეს ნახა. გაოცდა. იქ დღეს ილიას პატივსაცემად გამართულ სუფრაზე, სტუმართმოყვარეობით, დადიანების მდიდარი წიგნთსაცავით განცვიფრებულმა ილიამ ასე მიმართა მასპინძლებს:

— აბ, მე უკვე სამი დღეა სამეგრელოში ვარ, ბევრი რამ ვნახე აქ დიდებული და ჩინებული, მაგრამ ჩემ წარმოდგენას გადააჭარბა აქ დაცული ხელნაწერებისა და ბიბლიოთეკების ნახვამ. უნდა გამოვტყდე და გითხრათ, რომ საქართველოს არც ერთ კუთხეში, არც ერთ ჩვენს მეფესა და მთავარს არ შეუნახავს ჩვენი წინაპრების სულიერი კულტურა და არ უპატრონებია მისთვის ისე, როგორც აქ მოუვლიათ. მე განცვიფრებუ-

ლი ვარ ყოველივე ამით. აი, ახლა მე თქვენ შორისა ვარ, გისმენთ ორი დღეა და, უნდა ვთქვა, მე სამეგრელოში ჩამოვედი დანამდვილი საქართველო ვნახე. მიგულეთ თქვენს პატივისმცემლად, თქვენს მეგობრად, რადგან ჩემთვის საქართველოზე უფრო ძვირფასი და საფიცარი არა არის რა ამ ქვეყანაზე...

მასპინძლებმა ტაში დასცხეს, გუნდმა მრავალჟამიერი დაგუგუნა, სუფრა სიხარულმა და აღტაცებამ მოიცვა. ილია კმაყოფილი, გაღიმებული შეჰყურებდა ყოველივე ამას და ბედნიერად მიაჩნდა ეს წუთები.

აღგზნებულმა ილიამ უფრო შთაგონებით განაგრძო:

— აქ რომ შემოვედი, პატარა ბიჭსა ვკითხე, ვინა ხარ-მეთქი. გაიქცა და მიმღერებით მომაძახა — დიდი საქართველოს შვილიო. გამაკვირვა ამ პასუხმა და მინდოდა გულს ჩამეხუტებინა ეს ბიჭუნა, მაგრამ ხელიდან გამისხლტა და გამექცა. რაც აქა ვზივარ, სულ მაწუხებს ახლა ეს კითხვა: დიდი საქართველოს შვილი!..

ქართველი საყოველთაო სახელია და ჩვენ ყველანი დიდი საქართველოს შვილები ვართ და მე მაინც კიდევ ამას გკითხავთ, საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ", „შენ თუ მე" და ორივენი ერთად კი არა. ბა, დაიძახე ქართველი-თქო, თუ შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპგადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნებ კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს. სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქოს ამათ არ ეძახიო, თითქოს ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენი გონებიდან ამოშრა და ქართველები ახლა ერთი კუნჭულის მცხოვრებია, საკუთარი კერძოობით სახელია და არა საერთო საყოველთაო მთელი იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად ძმურად უწევია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია და რომელსაც დღესაც ერთისა და იგივე ენით თუ არაფერს აკეთებს — თავის

მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაც და კაცთანაც. ასეთი ფიქრითა ვარ მე შეპყრობილი, როცა საქართველოზე ვფიქრობ და ეს ფიქრი მე თითქოს გამიფანტა აქ თქვენთან ჩამოსვლამ. და მე ახლა თქვენ მოგმართავთ, მუდამ გახსოვდეთ, რომ ჩვენ ყველანი დიდი საქართველოს შვილები ვართ.

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი. კახელი — ეს ცალ-ცალკე მითვისებული, კერძოობითად მიღებული, განმაყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია. მაგრამ მეტყვიან: ეს ყველა ხალხში არის. მართალია, მაგრამ არა ეგრე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში — ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა — ჩემი ხალხის ძალაა, ჩემი სიკეთე — ჩემი ხალხის სიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დღესო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოველის ფრანციელის ავად და კარგადმყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან ჩემი ხალხის წყენაა. და ჩემი ხალხის წყენა — ჩემი საკუთარი წყენაა.

ჩვენში? ეჰ, რაღა გითხრათ! თქვენც კარგად იცით, რომ ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი — იმერელია, გურული — გურულია, მეგრელი — მეგრელია, ქართლელი — ქართლელია და სულ ყველანი კი ერთად ქართველები რომ არიან, ეს ხშირად არ ესმით...

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა: ვაი იმ ქვეყანას, საცა ერთ საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა

ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ — იშვიათი!

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, სევდამ მოიცვა ყოველივე. მერე მეორე ფაღავამ დაარღვია სიჩუმე — ეს ჩვენს საქართველოს გაუმარჯოსო, ერთიანსა და განუყოფელ საქართველოს!.. ილიას საქართველოს გაუმარჯოსო. დარბაზი ფეხზე წამოდგა და ყველამ ერთხმად შესძახა: ილიას საქართველოს გაუმარჯოს!.. ილიას ნათქვამს გაუმარჯოს!..

დაუფასებელი ამაგი

შეგლნათელი, მსხვილთვალება, თმაშეეერცხლილი, მოღიმარი სახის მოხუცი დიმიტრი ყიფიანი მაგიდას უჯდა და ეკატერინეს ბარათს კითხულობდა. კითხულობდა და მის თვალებში ერთდროულად ამოიკითხავდით სიამაყესაც და დაეჭვებასაც. ამ მოხუც კაცს მთელი ცხოვრება მამულისათვის ბრძოლაში გაეტარებინა და ახლაც მზად იყო სიცოცხლე მისთვის გაეწირა. დიახაც ეამაყებოდა ეს ღვაწლმოსილი მამულიშვილობა! ამავე დროს მას არასოდეს გადაუხვევია რუსეთის იმპერატორის ერთგულებისათვის. ამიტომაც, მისი ცხოვრების გზაც მუდამ დაძაბული იყო და თავისებურად გაორებულიც. ცხოვრების ეს სიმძაფრე მის სახესაც, მის გამომეტყველებასაც დამჩნეოდა და ახლა, როცა ერთი ბარათის წაკითხვა ჩაათავა, თითქოს ამის გამო ამოიოხრაო.

დიმიტრის წესად ჰქონდა: ყოველ პირად წერილს, რომელიც კი ოდესმე მიეღო, ინახავდა, შენიშვნებს უკეთებდა, ყუთებში ალაგებდა, მერე თვითონ წერდა დღიურს და ამ მასალას შიგ ურთავდა. პირად ბარათებში ყველაზე მეტი წერილი მაინც ეკატერინე დადიანისა დაუგროვდა. ვის არ სწერდა ეკატერინე წერილებს ქართულად, რუსულად, ფრანგულად, მაგრამ არავისათვის იმდენი ბარათი არ მიუწერია, რამდენიც მისთვის. და ეს ბუნებრივიც იყო: ცხრა წლის განმავლობაში, რაც ეკატერინე წასული იყო პეტერბურგსა და პარიზს, დადიანების სასახლის უშუალო გამგებელი და პატრონი დიმიტრი ყი-

ფიანი იყო. ახლა უკვე ყიფიანსა და ეკატერინეს შორის ის ძველებური ურთიერთობა გაქრალიყო. ყიფიანი უკვე აღარ იყო დადიანების მეუღვე. არც ეკატერინე იყო სამეგრელოს გამგებელი. დიმიტრი იჯდა თავის საწერ მაგიდასთან და ისევ თავიდან კითხულობდა და ალაგებდა ეკატერინე დადიანის ამ ძველ წერილებს.

აი პირველი წერილი. იგი რუსულად იყო დაწერილი.

წაიკითხა ეს ბარათი და ზედ მინაწერიც: „დიახ, ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდა დედოფალი. მეც არ დამიზოგავს ენერგია დადიანების მამულის მოვლა-პატრონობისათვის. ღმერთმა იცის, მე რომ აპეკუნობა ვიკისრე, მაშინ ყველაფერი არეული იყო იქ: არც წესიერი აღრიცხვა მამულისა, არც შემოსავალ-გასავლის ყურისგდება... და რამდენი შრომა და ენერგია დამჭირდა, რომ ყველაფერი მოვეწესრიგებინა. რამდენი კაცი გადავიკიდე მე ამ საქმეზე! და განა თვით ბარიატინსკი დადიანების გამო არ დამემდურა და არ დამითხოვა მეფისნაცვლის საბჭოს წევრობის თანამდებობიდან? და მერე ვინ დამიფარა, ან ვინ დამიმადლა?“

მერე ეკატერინე დაბრუნდა საქართველოში, მართალია, შეწყალებული და იმპერატორის მიერ დიდ პენსიადანიშნული, მაგრამ მაინც დიდად უკმაყოფილო, რომ სამთავრო წაართვეს. ყველას ემდუროდა, ძველ მეგობრებსაც, მათი ერთგულება ეეჭვებოდა. ამ ნიადაგზე ბზარი გაჩნდა ეკატერინე დადიანსა და დიმიტრი ყიფიანს შორის. ესეც მოაგონდა დიმიტრი ყიფიანს და, თითქოს ახლაც დედოფლის წინაშე თავს იმართლებსო, ის წერილები მოძებნა, რომლებსაც ეკატერინე ამ დამდურების შემდეგ სწერდა და თავიდან ბოლომდე გადაიკითხა. კითხულობდა და ბრაზი მოსდიოდა: „მაინც რა უნდობლობა გამომიცხადა მე, დიმიტრი ყიფიანს, რომელმაც თავი დავდე დადიანების მამულისათვის“ — უკმაყოფილოდ ბუტბუტებდა და თან კითხულობდა. და ასე, მოთმინებით, ბოლომდე წაიკითხა ეკატერინესაგან 1869 წელს 9 თებერვალს მოწერილი წერილი:

თვითონაც ვრცელი პასუხი მისწერა. ამასაც არ დასჯერდა და ახლა საგანგებო მემუარებში ჩაწერა ყოველივე, რაც კი აპეკუნობის ამბავს უკავშირდებოდა:

„1857 წელს მთავრის მთელი ოჯახი პეტერბურგში გაიწვიეს, რომ მცირეწლოვანი მთავარი ნიკო სათანადოდ აღეზარდათ და რომ ამ ხნის განმავლობაში მისი ქონება დაცულიყო. ნაბრძანები იყო აპეკუნი დაენიშნათ.

აპეკუნების ამორჩევა მინდობილი ჰქონდა მთავრის მშობლებს, ხოლო დანიშვნა — მეფის მოადგილეს. აპეკის ჩასაბარებლად მამულის საინვენტარო აღწერა კი საბჭოს წევრს ყიფიანს დაევალა, რომელმაც მეფის მოადგილის, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, სამეგრელოს დროებით მართებულობის საბჭოსი და მთავრისა მიერ საგანგებოდ დანიშნულ პირებთან ერთად, ეს აღწერა მოახდინა 1857 წ. და 1858 წლის დამდეგს მეფის მოადგილეს წარუდგინა.

ამასობაში მთავრისამ აპეკუნად აირჩია სიძე თავისი, აგრეთვე წევრი მეფის მოადგილის საბჭოსი — ბარონი ნიკოლაი, ღვიძლი ძმა თავისი, ფლიგელ ადიუტანტი თავადი დავ. აღ. ჭავჭავაძე და იგივე ყიფიანი.

მაგრამ ამ უკანასკნელმა მაშინვე უარი განაცხადა.

საინვენტარო აღწერაში შესულ ქონებას, სულ უმცირესი მისი შეფასებით, წლიური შემოსავალი უნდა მეცა 80 ათას მანეთამდე, მაგრამ საინვენტარო აღწერის მოლოდინში მეტი გზა რომ არ ჰქონდათ აპეკუნებს, იმით კმაყოფილდებოდნენ, რასაც ადგილობრივი აგენტები უჩვენებდნენ. ხოლო განხილვა საინვენტარო აღწერისა, რაღაცა გაუგებარი მიზეზის გამო, საბჭოში, ორ წელიწადზე მეტს გაგრძელდა.

ორი აპეკუნის 1858 წლის ანგარიშებიდან მთავრინამ დაინახა, რომ მამულის ადმინისტრაციის ხარჯებს მხოლოდ 227 მანეთი გადარჩა.

მან ამის მიზეზი არ იცოდა, მაგრამ თვით ფაქტის გამო ისე განრისხდა, რომ თავისი ძმა და სიძე აპეკუნობიდან გაანთავისუფლა და ყიფიანს ხელახლა მიმართა თხოვნით, მიეღო თავზე მისი მცირეწლოვანი შვილების ქონების დაცვა.

ამის შესახებ, წერილი, რომლითაც მთავრინა, ეოუწოდებდა მას, როგორც ადამიანს, როგორც ქრისტიანს, ყიფიანმა წარუდგინა თავად ბარიატინსკის და შემდეგი აზრი გამოთქვა:

„თქვენს ბრწყინვალებას მოეხსენება, რომ 1857 წელს მე გადაჭრითა ვთქვი აპეკუნობაზე უარი. ახლა შვილებს მაფრცე-

ბენ. რომ უარი აღარ ვთქვა. რადგან მე მაქვს პატივი თქვენი საბჭოს წევრობისა, თქვენს დაურეკებლად ვერ ვბედავ პასუხი მივცე კნეინას.

— მითხარით გულახდილად. რა მიზეზით ამბობთ უარს?

— მიზეზი სწორედ რომ ვთქვა, სამი მაქვს: პირველი: ამ ორ წელიწადში აპეკუნებს ხელთ არ ჰქონდათ აღწერილობა, რომლითაც შესძლებოდათ ხელმძღვანელობა; ამის გამო არ შეიძლებოდა, რომ გადასახადებში არეულობა არ მომხდარიყო; ამის გარდა, გაგებული მაქვს, რომ სამეგრელოში მყარდება აზრი, ვითომ მთავარი სამუდამოდ არის გადაყენებული და მამული ხაზინაზე გადადის. ამ შემთხვევაში კი ყველა იმ რწმენისა არის, რომ სჯობს კერძოდ დაიტაცონ მამული, ვიდრე ხაზინაზე გადავიდოდეს, როგორც ეს იყო გურიაში. ამიტომ შეუძლებელია, რომ აპეკუნს იქ წინააღმდეგობა რამე არ მოელოდეს იქაური მმართველობის მხრითაც კი.

— მთავრის სრულწლოვანებამდე, — მიპასუხა თავადმა, — არავითარი საკითხი არ უნდა იყოს იმაზე, დაბრუნდება ის თუ არა. ეს მომავლის საქმეა. მისი მამული დაცული უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ის რომ დაბრუნდეს და მამული კი გაფლანგული დახვდეს, ეს ხომ საშინელი შეუსაბამობა იქნება: მოჰყვება გოდებას, რომ მისი მამული იმ დროს გაფლანგეს, როდესაც ის თვით ხელმწიფე იმპერატორის ფრთის ქვეშ იყო შეფარებული. და თუ დაბრუნდება და მამული ხაზინას გადაეცემა, მაშინ ხაზინაც ხომ თქვენივე ინვენტარით მოითხოვს.

— ასეთი ჭეშმარიტების წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ მეორე ჩემი მიზეზი, სამეგრელოში რომ ახლა ასეთ გუნებაზე არიან, შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც აპეკუნს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ის თქვენი საბჭოს წევრია, ხოლო თქვენი საბჭოს წევრს — რომ ის აპეკუნია. ე. ი. მე მინდა ვთქვა, რომ მოწინააღმდეგეთ ყოველთვის ექნებათ მიზეზი აპეკუნის მოქმედებაში დაინახონ-ის, რაც არ უნდა ჩაიდინოს მთავრობის აგენტმა და აგრეთვე აგენტის მოქმედებაში ის, რაც არ უნდა ჩაიდინოს აპეკუნმა. და ეს ვნებას არ მომიტანს სამსახურში?

— მიზანი აპეკუნისაც და მთავრობისაც ერთია: დაცვა იმ პირის მამულისა, უმაღლესი მფარველობით რომ არის უზ-

რუნველყოფილი. ამიტომ მე არ ვიცი, რა უნდა გააკეთოთ თქვენ ისეთი, რაც არ შეეფერებოდეს ჩემი საბჭოს წევრსა. და თუ ადგილობრივ შეხვდებით რამე წინააღმდეგობას, პირდაპირ მე მომწერეთ, მარჯვენა ხელი ვიქნები თქვენი.

— მაშ აღარც მეორე მიზეზია.

— ძალიან მოხარული ვარ! მესამე?

— აპეკუნმა თვითონაც უნდა ათვალიეროს მამული. ამისათვის კი საჭიროა იქ ყოფნა წელიწადში ორი-სამი თვით მაინც. შეიძლება კი ეს თქვენი საბჭოს წევრისათვის?

— განა თქვენ იქ იმდენი საქმე გექნებათ, რომ ხანდახან მაინც ვერ შესძლოთ ჩაიხედოთ ჩემს საქმეებში, თან თუ გაგატანთ ხოლმე?

— მაგისათვის მე დროს ყოველთვის ვიშოვი?

—ასეთ შემთხვევაში ნებას მოგცემ, რომ წახვიდეთ ხოლმე. ასე რომ, მესამე მიზეზიც აცილებულია?

— სრულებით.

— საჭიროა, რომ პატარა მთავრის მამული კარგ ხელში იყოს, ამიტომ მე გთხოვ, რომ უარი არა სთქვათ!

— თქვენო ბრწყინვალებავ!

— მაშ თანახმა ხართ?

— თანახმა ვარ.

— მაშ მისწერეთ ეს კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასულს, მისწერეთ და წერილი მე გადმომეცით, შიკრიკის ხელით გავგზავნი.

მივწერე და გადავეცი.

შემდეგ დადგა დრო ანგარიშს შევდგომოდი.

ანგარიში დამზადდა 1859 წლისათვის. ამ დრისათვის მეფის მოადგილის მთავარმართველობაში ცვლილებები მოახდინეს და თვით თავადი ბარიატინსკის მოსაზრებით, ხუთ განყოფილებიანი ერთი კანცელარიის მაგივრად, 5 სამინისტრო დეპარტამენტი დააწესეს, 3-ის და 4-ის განყოფილებით თითო: ესენი იყვნენ დეპარტამენტები: საერთო საქმეების, ფინანსების, სახელმწიფო ქონების, სასამართლოსი და საკანტროლო: ამიტომ თვითეული განყოფილების დირექტორს შევამოწმებინე მისი სპეციალობის ანგარიში და ისე წარვადგინე ჩემი ნამუშევარი.

ამ ანგარიშის მოხსენებას ვაკეთებდი ათი დღის განმავლობაში ყოველ დილას, 9-დან 11 საათამდე და ისეთი ქეიფი მივიღე, რომ როდესაც კნეინა დადიანისამ ოფიციალურად შემოთვალა, ვანთავისუფლებ აპეკუნობისაგან მათის თხოვნით ბარ. ნიკოლაის და თავ. ჭავჭავაძეს, ვირჩევ ყიფიანს და გთხოვთ დანიშნოთ. თ-მა ბარიატინსკიმ გამომიცხადა — გნიშნავთ, მაგრამ თავიდან კი არ მოგიშორებთ, სანამ მე თვითონ არ წავალ ტფილისიდანო.

იმას უკვე მზად ჰქონდა გეგმა შამილთან საქმის გათავებისა და თავადი ალექსანდრე ივანეს ძე სალაშქროდ ემზადებოდა.

შემდეგ რა ბედი ეწია ყოველ ნაწილებში მოწონებულს და უკვე თეთრად გადაწერილს ანგარიშს, მე არ ვიცი.

დაღესტანში თავადის წასვლის შემდეგ გავემგზავრე სამეგრელოში, სადაც მეგობრებიც და მტრებიც, გარდა მხოლოდ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა, დამიხვდნენ როგორც აბსებული წესწყობილების მტერს.

აქ ადგილი არ არის დაწვრილებით მოყოლისა იმაზე, თუ რა წინააღმდეგობას ვხვდებით ადგილობრივ მოხელეებთან ყოველ ჩემს მოთხოვნასა და განცხადებებში, მცირეწლოვანის მთავრის კერძო ქონებათა დასაცავად. მაგრამ გაკვრით რომ ითქვას ამ წინააღმდეგობის შესახებ, ესეც საკმარისია, რომ ახლაც კი, როდესაც დამშვიდებული და არა დაინტერესებული ვუცქერი უკვე საკმარისად შორეულ საქმეს, ეს წინააღმდეგობა მიმაჩნია დაუჯერებელ თავხედობად და უაღრეს შეურაცხყოფად პატივისცემის გრძნობისა იმ ხელისუფლებისადმი, რომელსაც ვემსახურებით.

სამეგრელოს მაშინდელმა გამგებელმა (1859 წ.) გენერალმა კოლუბაკინმა (აწ გარდაცვალებული) წარბშეუხრელად გაგზავნა ოფიციალური მოხსენება, რომ სამეგრელოს მთავარს იმედი არ უნდა ჰქონდეს წელიწადში 13 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღოსო.

რომ არ მქონია ამისათვის არავითარი სურვილი და ჩემს ბუნებასაც ეწინააღმდეგებოდა, ისე დამჭირდა მაინც პროტესტები და საჩივრები — მაზრის მართველობაზე ოლქის მართველობასთან, ამაზე კიდევ გენერალ-გუბერნატორთან და მეფის მოადგილესთან.

მაგრამ თავადი ბარიატინსკის დაპირებული მარჯვენა ხელი ჩემს წინააღმდეგ და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის წინააღმდეგ აღიმართა; ის იმდენად ბედნიერი იყო, რომ შეეძლო თავისი პოსტი მიეტოვებინა, ხოლო მე აპეკუნობის თავის დანებების ნება არ მომცეს.

— თქვენო ბრ-ავ! — მივმართე თავად ბარიატინსკის, — თქვენი გადაწყვეტილების შემდეგ მე აღარ მესმის ჩემი მოვალეობანი; ხოლო მოვალეობას, რომელიც არ გესმის, ვერ ასრულებ. ამიტომ გთხოვთ ნება მომცეთ თავი დავანებო აპეკუნობას.

— ეგ ხომ აგრე ვიცოდი, მაგრამ გთხოვთ ახლა ნუ იზამთ მაგას. შეგიძლიათ ერთი წლის შემდეგ, ან რვა თვის შემდეგ.

— ამ ხნის განმავლობაში ჩაბარებული ქონება მთლად განიავდა და პასუხისმგებელი კი მარტო მე ვიქნები ღვთის წინაშეც, კანონისაც და ჩემი შვილების წინაშეც. იმის ნება მაინც მიბოძეთ, რომ ყველაფერი შევატყობინო კნეინას, რადგან აპეკით იმას ვემორჩილები.

შევატყობინე კნეინას პეტერბურღში საქმის ვითარება.

ის, რასაკვირველია განრისხებული იყო და დაევალებინა ქ-ნ სემიონოვისათვის, ჩვენი საბჭოს ყოფილი წევრისა და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის, შეედგინა საჩივარი კავკასიის კომიტეტში შესატანად.

ამავე დროს მეფის მოადგილის პირით მეც დამიბარეს პეტერბურგში და იმანაც მიბრძანა წავსულიყავი.

— ვასრულებ — რა თქვენს ბრძანებას! მე უნდა წავიდე, მაგრამ თქვენო ბრ-ავ, იქ რომ საქმეზე შემეკითხონ, მე ხომ ვერაფერს ვეტყვი გარდა იმისა, რაც უკვე მქონდა პატივი თქვენი ბრ-ისთვის მომეხსენებინა და ამეხსნა?

— წადით და ღმერთი იყოს თქვენი შემწე; მოიქეცით ისე, როგორც გინდოდეთ, მე არაფერში ხელს არ შეგიშლით, კნეინას მე თვითონ ვურჩიე საქმე საჯელმწიფო საბჭოში ან კავკასიის კომიტეტში გადაეტანა. მე ჩემს გადაწყვეტილებას ვერ შევცვლი და თუ აქ იმის სასარგებლოდ გადასწყვეტენ, მე ეს არ მეწყინება.

მივედი პეტერბურგში 1860 წ. აპრილის თვეში. საჩივარი სემიონოვის მიერ უკვე იყო იქ შედგენილი და მალე კავკასიის კომიტეტშიც შევიდა.

საქმე მთელი წელიწადი გაგრძელდა.

ამ ხნის განმავლობაში საქმის შესახებ დაწვრილებით პირადათ მეკითხებოდნენ: კომიტეტის საქმეთა მმართველი ვლ. პეტ. ბუტკოვი, წევრი კომიტეტისა გრაფი დიმ. ნ. ბლუდოვი და თავმჯდომარე თავ. ალექს. თევ. ორლოვი. ჩემი განმარტებანი დამყარებული იყო რასაკვირველია, იმ ცნობებზე, რომლებიც უკვე თვალწინ იყო, საქმეში.

1861 წ. აპრილის თვეში გამოვიდა უმაღლესად დამტკიცებული აზრი კავკასიის კომიტეტისა, რომლითაც სამეგრელოს მთავრის ყოველი დარღვეული ქონებრივი უფლება აღდგენილი იყო, ხოლო მოქმედება ადგილობრივ ხელისუფალთა, რომელთაც ბარიატინსკი ეს წრებოდა, სრულებით უარყოფილი.

თ-დმა ბარიატინსკიმ უდიდესი პატივი მცა მით, რომ ასეთი გადაწყვეტილება ჩემს გავლენას მიაწერა და საზღვარგარეთიდან ტფილისში ასეთი ბრძანება გამოგზავნა: ამის შემდეგ ყიფიანი ჩემი საბჭოს წევრად ვერ დარჩება. მოახსენეთ თ-დ გრიგოლ დიმიტრის ძეს, მის მაგივრად დანიშნოს სტარიცკი.

ასე დამთავრდა 1862 წ. ჩემი სამსახური მთავრობაში; მაგრამ დამთავრდა თ-დი ბარიატინსკის მეფის მოადგილეობაც კავკასიაში, ის აქ ვეღარ დაბრუნდებოდა ერთი სკანდალის გამოც, საზღვარგარეთ რომ შეემთხვა: ცოლი წაართვა თავის ადიუტანტს და მასთან დუელით გასწორების შემდეგ, ჯვარი დაიწერა".

აქ უნდოდა დაემთავრებინა მემუარები და შეჩერდა... დიმიტრი ყიფიანი, ეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, მთელი ცხრა წელი ემსახურა ეკატერინე დადიანს, როგორც მეურვე სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრისა, მაგრამ დედოფალი მაინც კმაყოფილი არ იყო ამ უანგარო კაცის სამსახურით. ამიტომაც დიმიტრი იძულებული იყო თავის მემუარებში ამ აპეკუნობის მთელი ამბავი მოეთხრო. საქმე ის იყო, რომ თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა დიმიტრი ყიფიანის მეურვეობას. ბევრი მტერიც გაუჩნდა. მან თავის მემუარებში ესეც ჩაწერა:

„იმის გულისათვის, რომ 1858 წ. არ ვათხოვე ყური სამეგრელოს ხალხის ხმას და ამ ხნიდან მოყოლებული 9 წლის

განმავლობაში თავგამოდებით ვიცავდი სამეგრელოს მთავრის სახლობის ინტერესებს, რომელზედაც თითქო ღვთის წყრომა იყო გადმოსული, თავს დამატეხეს ისეთი სასჯელი, რაც შეიძლება წარმოსდგეს მხოლოდ ელექტრონის განსაკუთრებულის ძალით, ჩვენს სასამართლოებში ხანდახან გასაოცარი უსამართლობით რომ იფეთქებს ხოლმე.

სამეგრელოს მთავრის მამულმა პირველი აპეკუნის ხელში 1858 წელს 227 მ. მისცა წმინდა შემოსავალი.

ჩემს ხელში ამ შემოსავალმა, — მართალია ერთბაშად არა, მაგრამ თანდათანობით, — მეტადრე კავკასიის კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგ 1861 წ. და 1867 წ. იანვარში მეორე გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, მიაღწია იმ ციფრამდე, 1857 წელს რომ საინტერესო აღწერილობასა ჰქონდა ნავარაუდევი ე. ი. 80.000 მანეთამდე, რომელშიაც შედიოდა 1867 წელს მთავრობისაგან დანიშნული მილიონის სარგებელიც.

მაგრამ ისეთმა ელემენტებმა, როგორც ქალის კაპრიზი, როგორც ყმაწვილ-კაცური ჟინი გამდიდრებისა, როგორც ალღო ზოგიერთი ადვოკატისა, თუ სად შეიძლება კარგად გამორჩეს, როგორც ქედმოხრა ზოგიერთი მსაჯულისა მოწყალესა და დამაწინაურებელის წინაშე, — ყველა ამან ერთად ხელი შეუწყო იმას, რომ ყოფილი მთავრის თავადი მინგრელსკის სასარგებლოდ სასამართლომ 50.000 მანეთი მომისაჯა გადასახდელად — და ეს რაღაც 5 თუ 6 წლის შემდეგ, რაც მენგრელსკის ინტერესების გადამეტებული ენერგიული დაცვისათვის განსაკუნებულმა თავ. ბარიათინსკიმ მეფის მოადგილის საბჭოდან და სულაც სამსახურიდან გამომაბრძანა"...

* * *

უფლებით აღჭურვილი სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი ვერ შეეგუა დიმიტრი ყიფიანს, ეკატერინე დადიანის შვილების მეურვეს. მათ შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა. ეკატერინე იძულებული გახდა ჩიქოვანი თავისი თხოვნით დაეთხოვა სახლთუხუცესის თანამდებობიდან და მის მაგივრად არჩილ დადიანი დაენიშნა. ჩიქოვანი თანდათან ჩამოსცილდა სასახ-

ლის საქმეებს. მაგრამ მეორე დიმიტრი ყიფიანმა ისევ შემოირიგა და თავის თანაშემწედაც გაიხადა სამეურნეო საქმეებში. ბოლოს მათ შორის ისევ უთანხმოება ჩამოვარდა და ჩიქოვანმა საბოლოოდ დაანება თავი დადიანების სასახლეს.

სამსახურიდან გადამდგარმა ჩიქოვანმა მეფისნაცვალს თხოვნით მიმართა პენსია დამინიშნეთ ნამსახურებისათვისო. ეკატერინემაც შეამდგომლობა აღუძრა ბარიატინსკის წინაშე. ჩიქოვანს პენსია დაუნიშნეს, მალე ის ქუთაისში გადასახლდა, მაგრამ ვერც იქ გაძლო და ისევ გორდს დაბრუნდა. ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს ავად გახდა და კიდეც მიიცვალა. სიკვდილის წინ თურმე ეკატერინეს ეძახდა და კოლუბიაკინს ლანძღავდა, თუმცა ახლა უკვე არც კოლუბიაკინი იყო სამეგრელოს მმართველი და არც ეკატერინე — დედოფალი. ჩიქოვანი მაინც იმ ძველი მოგონებით ცხოვრობდა და ხელისუფლების მოყვარულს სიკვდილის წუთებშიც ისევ ძველი დღეები ელანდებოდა.

ჩიქოვანი დიდი პატივით დაასაფლავეს. დასაფლავების ცერემონიალს ეკატერინე დაესწრო. დედოფალი ორ დღეს არ მოსცილებია ჩიჩუას ქალს.

ერთ დროს ულამაზესი ჩიჩუას ქალი ქვრივი დარჩა. ჩიქოვანის ლამაზი ქვრივი თავადაზნაურთა შეკრებაზე ყოველთვის ბრწყინავდა, და ამ უსპეტაკეს ქალს ისევ დიდ პატივსაც სცემდნენ ეკატერინეს სასახლეში.

მისგან ყოველი გასწორდეს

რაც უფრო ბერდებოდა გრიგოლ ორბელიანი, მით უფრო მოუხშირა ეკატერინე დადიანისადმი წერილებს. თავისი ყმაწვილკაცობის მეგობრებიდან, მიჯნურებიდან თითქმის სხვა არავინ შერჩა, ახლა მხოლოდ ეკატერინე ეგულებოდა, მას სწერდა გულწრფელ წერილებს, მას უმჟღავნებდა თავის ყველაზე უფრო საიდუმლო ამბებს. სოფლის სამდურავსა და სიბერის გამო მდურეასაც მასვე ატყობინებდა:

„თქვენო უგანათლებულესობავ, მოწყალეო დაო ეკატერინე!

ვპსალოდე ცად მიმართ, და ვარ წიაზე თქვენსა დამბაშაკე და პირშავად; არ ვიმართლებ ჩემს თავსა, რომ აქამომდის ვერ მოგართვი პასუხი თქვენის წერილისა, ჩემთვის მარად ძვირფასისა. უნდა მომიტევოთ, რადგანაც მიცნობთ სიყრმიდანვე თავდადებით ერთგულსა და პატივისმცემელსა თქვენსა, უნდა მომიტევოთ, რადგანაც დავჰბერდი, და ამასთანა მეტად უბედური წელიწადია ჩემთვის: დავკარგე ჩემი გულით საყვარელი ყაფლან, ძმა, მეგობარი, აძხანაგი. დავჰმარხე ჩემი საკუთარი სოსიკო, დიდად პატიოსანი, ჭკვიანი, გულით კეთილი, განთქმული ვაჟკაცობითა და ამასთანავე ნასწავლი. და ახლა დადუმდა, გამოყრუდა ჩვენი იგი ქუჩა, რომელიცა ოდესმე დუღდა მხიარულებითა და იყო სავსე ყმაწვილკაცებითა და ქალებითა, ქებულნი ზრდილობითა, მშვენიერებითა, გონებითა. აწ დავჰშთი მე მარტო და ვარ ჩემს იმავე ქუჩაში, ვითარცა უცნობი სხვათათვის.

განგეშორდნენ გულის ნაცობნი,
ვინცა გულითა გვიყვარდნენ.
თვალთ მოგვეფარნენ, წავიდნენ...
ძველთაგან დავჰშთი მე და შენ...

ასე ჩემო უსაყვარლესო დაო, არ უნდა კი მიწყრებოდე, უნდა შემიბრალო, უნდა შემიბრალო, — აღარ შეგაწუხებ ჩემის ვაებითა.

რა ამბავი იცით თქვენის ნიკოსი და ანდრიასი? დროა, რომ მოვიდეს ნიკო, დასახლდეს თავის მამაპაპეულ მამულში, რომ გაჩნდეს ერთი მაინც ოჯახი საქართველოში განსასვენებლად ჩვენის დაჩაგრულის გულისა. ირწმუნეთ, ნიკოს ბედნიერება მხოლოდ მანდ არის და არა სადმე სხვაგან. წყალობა ხელმწიფისა არცა მანდ მოაკლდება, და მხოლოდ პეტერბურღისათვის რა საჭიროა დადიანი? აქ კი თავს შემოევლება ფთლად ჩვენი ქვეყანა.

თბილისი მეტად გადიდდა, გამრავლდა ხალხითა. ასე რომ მიხაილოვსკის ხიდი ვეღარ იტევს მიმომსვლელთა ეკიპაჟებსა, ფურგუნებსა, ურმებსა; ერთი თეატრი ვეღარა ჰყოფნის ქალაქის მცხოვრებთა, და ამის გამო გაიმართა კრუჟოკ, რომლისა ჩლენები ირიცხებიან შვიდასზე მეტნი, გაიმართა ტიფლისკის

სობრანიე, აგრეთვე რამდენისამე ასის ჩლენებით, სადაცა მუ-ზიკის გარდა არიან ჩვენნი საზანდრებიცა, სიმღერითა და ლე-კურის თამაშობითა; ამის გარდა არის ანგლისკის კლუბი, მეშ-ჩანსკის კლუბი, ცირკი და კარუსელი; ვისაც ყმაწვილი გული აქვს, მხიარულობს.

მაგრამ, ვერ წარმოიდგენთ, რა განწირულს მდგომარეობა-ში იმყოფება ჩვენი თავადობა, რა საშინლად დაეცა და გა-წყალდა სიღარიბისაგან! — საქართველო მრავალჯერ აოხრე-ბულა. გადამწვარა ლანგთემურისაგან, შაჰაბაზისაგან, ოსმალ-თა და სპარსთაგან, მაგრამ გადარჩენილი სიკვდილისაგან ხალ-ხი გამოდიოდა ტყის სიღრმითგან, კლდეების ხეობიდან და თა-ვის მიწაზე აშენებდა თავის ქოხსა და შემდეგ, ჟამთა განმაკ-ლობაში, ნელნელა მოდიოდათ ცხოვრებაში. ახლა ჩვენს თა-ვადობას აღარსად ექმნება თავის შესაფარებელი. ჩვენი მო-მავალი მეტად დაბნელებულია და არსაიდამ ჰსჩანს ნათელი ნუგეშისა!

ველიკი კნიაზი, როგორც ისმის, მობრძანდება თებერვლის გასულს და ისევ დაბრუნდება, რადგანაც მისი უფროსი შვილი უნდა დააფიცონ ცერემონიით მაისში, მერე მგონია ვავიდნენ საზღვარგარეთ და ბოლოს ივნისში, ივლისში, მობრძანდებიან პირდაპირ ბორჯომსა.

სტაროსელსკი წავიდა გუშინ პეტერბურღს სხვა და სხვა პროექტებითა. — კნიაზ მირსკი აპირებს აქედამ სრულებით გადასახლებას პეტერბურღში და მისს ადგილს მიიღებს ლევან მელიქოვი; მაგრამ ვაი, თუ, ამანაც ვერ გაუძლოს მეტად ძნელს თანამდებობას, და მაშინ, ვინ იცის ვის ხელში ჩავარდება ბე-დი ჩვენის ქვეყნისა. ეს ფიქრი ძალიან მაწუხებს.

თქვენნი ძმისწულები: სალომე, ელენე, კაკო, თამარ მშვი-დობით არიან, და ამშვენებენ აქაურს საზოგადოებას ზრდი-ლობითა, სილამაზითა, გულითა, — მეტად მშვენიერი ვაჟი ჰყავს თამარსა, ჩემი ნათლული, ვეება ტანისა, გასაოცებულის თვალებითა. კარგი ეს არის, რომ თვით თამარიცა ჩემი ნათ-ლული არის... გახსოვთ, ჩვენი წინანდალში ყოფნა, როგორ გვეშინოდა მე და დავითს გრძელის მებაღისა!

ტასო ვაგარინისა და ელენე კარგად არიან. აგრეთვე და-ღისტანში მყოფნი, ბედისაგან იქ განდევნილნი, ივანე და

სოფიო. ძალიან მაწუხებს, რომ ორი კვირა არის ძალუა ვარინკასი და გიორგის ამბავი აღარა ვიცი-რა. — მესამე დღეა, რო მოდის და მოდის მოუწყვეტლივ საზარელი თოვლი.

ამ დღეებში იყო აქა და წავიდა ისევ თავის ლუბერნიაში ჩვენი ნიკო ჭავჭავაძე, უწინდელი გიჟი ნიკო და ახლა კი დიდად გამოჩენილი ლუბერნატორი ელისავეტოპოლისა. მეტად კარგი რამ არის და გულითაც მიყვარს.

ღმერთი იყოს მარადის თქვენი მფარველი და თქვენის მშვენიერის შვილებისა, და მეც ოდესმე გახსოვდეთ ხანდახან, და მეყოფა ჩემს საბედნიეროდ.

თქვენი მარადის ერთგული მოსამსახურე

გრიგოლ ორბელიანი.

თქვენი მშვენიერი სალომე, ჩემი გულით საყვარელი სალომე, სად არის, როგორ არის, რა ამბავი მოგდისთ? ვთხოვთ, როცა მიჰსწეროთ, ჩემგანაც გამოუცხადოთ ჩემი ჭეშმარიტი, გულითადი პატივისცემა მისის ღირსეულის ქმრითა.

17 იანვარი, 1879 წ.

თბილისი".

1879 წელს ეკატერინეს უფროსი ვაჟი ნიკო საქართველოში დაბრუნდა. გრიგოლ ორბელიანმა გაიგო თუ არა ეს, ისევ ვრცელი ბარათი მოსწერა ეკატერინეს.

„უგანათლებულესო კნეინავ, ჩემო მოწყალეო დაო ეკატერინავ!

ჭეშმარიტის სიხარულით მოგილოცავ თქვენის საყვარელის ნიკოს მშვიდობით მობრძანებას ცოლ-შვილით. ღ-მან ჰყოს ბედნიერად, როგორცა, საზოგადოდ ჩვენ ვისურვებთ, მაგრამ, ახლა კი დროა, რომ მოხედოს თავის ქვეყანას და დაბინავდეს მამაპაპეულის მამულსა, ზეგარდმო ნაკურთხსა ხაყოფიერებითა, მშვენივრად შემკობილს მდებარეობითა, საზაფხულოდ გორდითა, საზამთრო ზუგდიდითა; მთა, ზღვა, ტყე; გარშემო ნათესაობა, ხალხი, რომელთანაცა ხართ დაკავშირებული საუკუნეობის განმავლობით და რომლისათვის დიდად არის საჭირო ისევ თქვენივე ოჯახი. მაშა, ვინ უნდა იყოს მზრუნველი მაგათ კეთილდღეობისათვის? ვისა შეჰსტკივა გული მაგათ უბედურებაში, თუ არა თქვენვე? სამეგრელო და თქვენ ეკუთვნით ერთმანეთსა და ხართ განუყრელნი. — კნიაზმა ნიკომ, ეხლაც-

ვიდრე ყმაწვილი კაცია უნდა დაჰკრას ბარი და მკვიდრად შეურყევლად, აღაშენოს ოჯახი თავისი, რომ დროზე, ხანში შესულმა, თვითონვე გაიხაროს თავის ღვაწლის ნაყოფითა, თორემ, როცა ჩემსავით მოხუცდება, მაშინ ვეღარა აშენდებარა. ზუგდიდი ერჩივნოს პეტერბურღსა: ზუგდიდში უნდა იყოს მაგის სიხარული; მანდა უნდა დათესოს ყოველივე კეთილი და მით, დროზე აღადგინოს დაცემული თავისი ქვეყანა და ამას შეიძლებს კიდეცა, ღ-თის შეწევნითა"...

ბარათს ასეთი მინაწერი ჰქონდა:

ჩემო მწყალობელო დედოფალო! დავბერდი სულის გზას შეუდექი, ვჰკითხულობ ფსალმუნსა და აი, მეც მიჰვბაძე და თუ არ მოგეწონოსთ, დახიეთ:

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმინდასა,
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?
სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად,
და სიყვარულით შეიწყალა ცთომილი ვნებით....
ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მოჰსდევს, ჰსცნობს რას მისს შუქს
ფუჭწარმავლისა,
ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე
და ძმას დაცემულს მისცა ხელი და აღადგინა!...
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმინდასა,
ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი.

16 ივნისი, 1879 წელი".

დედოფალს დიდად ეამა ეს ბარათი. ვანებივრებული იყო გრიგოლ ორბელიანისაგან წერილებით. ყოველ ახალ ლექსს ჭაშნიკად მას ასინჯინებდა ხოლმე. ახლაც, სიბერის დროს, პოეტი ისევ ამ გზას ადგა და ამაშიაც მეღავნდებოდა ის დიადი ინტიმი, რომელიც ამ ორ ადამიანს აკავშირებდა. ეკატერინეც ყოველთვის გულისნადებს პირველად გრიგოლ ორბელიანს უზიარებდა, ყველაზე მახლობელ ადამიანად ის ეგულებოდა. და აი, ეკატერინეს ქალიშვილისაგან, სალომესაგან შვილიშვილი შეეძინა. გახარებულმა ბებიამ იმავე დღეს წე-

რილით შეატყობინა ეს ამბავი გრიგოლ ორბელიანს. ორბელიანმაც არ დააყოვნა და ვრცელი ბარათი მისწერა დედოფალს:

„უგანათლებულესო კნეინავ, მოწყალეო ხელმწიფავ ეკატერინავ!

ჭეშმარიტის სიხარულით აღვსილი ვილოცავ ჩემის გულის საყვარელის სალომეს მშვიდობით გადარჩენასა მშობიარობიდამ. ამას კი მართლად ვჰსწუხვარ, რომ —წყეული იყოს სიბერე — ვერ მივაჭენე ცხენ და ცხენ, ვერ გიახელ, რომ ჩვენებურად ძეობა გაგვემართა, და ქუდი ჭერში გვეკრა! სალომეს ქალი, უეჭველია, მშვენიერი იქნება თავის დროზე, და ნეტავი იმ მომავალსა ყმაწვილკაცობასა, რომელსაცა მიეფინება შუქი მაგის მშვენებისა, მომაგონდა თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილქალობა და მასვე დროს სხვანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მაღალზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით, მართლაც, მეტად კარგი დრო იყო, სავსე მხიარულებითა, უზრუნველყოფითა, და ამასთანავე, საითაც შევჰხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს სავათნავას ლექსსა. „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს!“ ხშირად. ხშირად ბაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო, ჩემის აწ დაბერებულის გულის გასამხნევებლად, ვასაყმაწვილებლად. ღ-თმან გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით და ეხლაც ჩემი თავი მით მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეცა თქვენს საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი. თქვენ გამომიყვანეთ შე. კაცად, პოეტად, და ახლაც თქვენვე ხართ ჩემი ნუგეშის მცემელი! გახსოვთ, ჩვენი ხშირად ჩხუბი საწყალ მანანასთან?

ადრევაც მოგეწერათ ჩემთვის და მეც მაშინვე დაველაპარაკე მირსკისა თქვენის ტყის გაკაფვაზე, მაგრამ მირსკი, ეს ერთი თვე არის, თითქმის აღარ ერევა საქმეში, რადგანაც მიდის ოტპუსკში და არის მზადებაში, მაინც კი ეს საქმე ჩააბარა პეშჩუროვსა და ამ დღეებშივე მე დაველაპარაკები პეშჩუროვსაცა და შტაბის ნაჩალნიკსაცა და მოგახსენებ პასუხსაცა.

საბრალო ღენერალი ლაზარევი მოკვდა სწორედ მაშინ, როცა სრულებით მოამზადა ჯარი და წავიდა თექეთურქმენის

დასაპყრობლად. 24 ამ თვისას მოასვენეს ქალაქში და იქნება მისი ცერემონიით დასაფლავება. მეც იმ დროს ჩავალ უკანასკნელის გამოსალმებისათვის. საკურველი კაცი იყო ლაზარევი. უბრალო მკერვლის შვილი, ყარაბაღელი, უსწავლელი, გაუზრდელი, შეიქმნა ბოლოს გამოჩენილი ღენერალი კავკასიის არმიისა. სულპირველად მე ავიყვანე, როდესაც იყო კაპიტანი შირვანსკის პოლკისა, და ჩავბარე მას აყუშა. იქ გამოჩნდა მაგის გონება და მორსმხედველობა, რადგანაც იყო დიდი შიში და ხალხის აღრეულობა შამილისაგან, გულადი, ვაჟკაცი, გონებიანი, დავიაბლოვე და მალე გამოვიყვანე ჩინებში, ასე, რომ კნ. ბარიატინსკიმაც, დაღისტნის აღებაში, დაიაბლოვა და ბოლოს, ველიკი კნიაზმაც მისცა დივიზია, მაგრამ შურმა და დაბეზღებამ მალე ჩაამწარეს ლაზარევსა სამსახურში ამაღლება: ველიკი კნიაზმა ჩამოართვა დივიზია და დიდს ხანს ჰსცხოვრობდა ბაქოში, ყველასაგან დავიწყებული. ვიდრემდის არ დაიბარეს ამ უკანასკნელს ბრძოლაში, სადაცა მუხთარძაშის დამარცხებამ და შემდეგ ყარსის აღებამ აღიყვანეს ღენერალ ადუტანტობად და ჩამოჰკიდეს მეორე ხარისხის წმინდა გიორგი.

გავჰბედავ და დავიკვეხებ, რომ ვინც გაიარეს ჩემს შოლაში, ყველანი გამოვიდნენ განსხვავებით გამოჩენილნი: რადეცკი, ტერღუქასოვი, ლაზარევი, დიმიტრი ჯორჯაძე, ღენერალ ასტაფიევი, დივიზიის ნაჩალნიკი ალექსანდრე თუმანოვი, უდროოდ მკვდარი ივანე ბაგრატიონი, აგრეთვე სოსიკო ორბელიანი და ალექსანდრე ორბელიანი, ბრუსილოვი უდროოდ დამბლად დაცემული, ღენერალ ლეიტენანტი ლოპპე, აკოლჩინი და თვით ცოტაოდენად ღრაფ ლორის-მელიქოვიცა, რომელიცა პირველად მე დავნიშნე დერბენდის ღრადო-ნაჩალნიკად, და სულ ბოლოს ჩემი საკუთარი ნიკო ჭავჭავაძე, ელისავეტოპოლის ღუბერნატორი, რომლისა მსგავსი არავინა გვყავს ღუბერნატორებში.

ბარონ ნიკოლაი მშვიდობით იმყოფება ბეთანიაში თავის ქალითა და სიძეებატონითა, მე კი ჯერ არ მინახავს.

ჩემს გულით საყვარელს და სალომეს ჩაუკოცნი ხელებსა და იყოს ღმერთი მაგისი და მაგის ქმრისა და შვილებისა მფარველი.

ჩემს საყვარელს ბატონს ნიკოს დავჰკოცნი შუბლსა, გულსა და ვსთხოვ რომ ჩემმაგიერ ხელი დაუკოცნოს თავის მეუღლესა და გამაცნოს მაინცა შორიდამ.

ღმერთი არის მოწამე, რომ მიყვარხართ, დედით, შვილებით, შვილისშვილებით, რა ვჰქნა, სიბერემ მძლია: თქვენი ერთად ყოფნა, ნეტავი მენახა, რომ სულით, გულით დავმტკბარიყავ. ეჰ ღ-თან გაკურთხოსთ ერთობლივ — ოღონდ კი ზოგჯერ გახსოვდეთ.

თქვენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი.

24-ს აგვისტოს 1879.

ტაბახმელა".

ეკატერინეს ადგილის დედა ეძახდა, ყოველ ღამეს წინანდალი ეზმანებოდა. ველარ მოითმინა, თბილისში ჩავიდა და იქიდან წინანდალს გაეშურა. წინანდალში შემოდგომა იდგა. ყვაოდა კახეთი — დოვლათით და სიუხვით, პურითა და ღვინით განთქმული მხარე საქართველოსი. დედოფალმა გულით გაიხარა. მამისეული ეზო-კარის ნახვამ ბავშვობის დღეები მოაგონა, ბედნიერი ბავშვობის დღეები. ყველაფერი გაცოცხლდა მის წინაშე. გულით ეწადა ისევ ის ბავშვობის დღეები დაბრუნებოდა. მოენატრა თავისი მეგობრები. არც მანანა იყო ცოცხალი არც ნინო. მაგრამ გრიგოლი? გრიგოლი ეგულებოდა თბილისში და იმავე დღეს მისწერა წერილი, სთხოვა წინანდალში მეწვიეო.

გრიგოლ ორბელიანმა ვერ მოახერხა წინანდალში წასვლა, სამაგიეროდ, ბარათი მიართვა დედოფალს:

„9-ს სექტ. 1880.

ღმერთი იყოს ისე მარადის თქვენი გამხარებელი, როგორც მე გამახარა თქვენმა წერილმა წინანდლიდამ, სადაცა თქვენი აწ ყოფნა მეცა აქა მანუგეშებს. მეტად და მეტად მიყვარს წინანდალი. ესე იგი თქვენი ერთიანად სახლობა და თუ ეხლა, სიბერის დროს, მაგონდება რამე სასიხარულო, ირწმუნეთ, მიხარიან და მანუგეშებს ისევ ის დრო ჩემის ყმაწვილობისა, რომელიცა განვატარე თქვენშორის, თქვენს ოჯახში, წინანდალს! და ახლა თქვენივე წარმოიდგინეთ, ჩემი შეწუხება, ჩემი ბედის წყევა, რომ მეძახით წინანდალში მოსვლას, და უნდა უარი მოგახსენოთ, რა ვქნა დავჰბერდი, აღარ ვარგივარ,

ალარ შემიძლიან მგზავრობა, ვჰსწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. მოვიდა ჟამი და უნდა ოხვრით დავემორჩილნეთ სიბერის ძალასა! ეს კი უნდა გახსოვდეთ, რომ მე ყოველთვის თქვენი ვარ სულით და მხოლოდ ეს თქვენდამი გრძნობა არ დამიბერდა, არ გამიცივდა და ამ გრძნობით ჩავალ საფლავში, სავსე ჭეშმარიტითა თქვენდამი სიყვარულითა.

გუშინ, ვიდრე ამ წერილს გავათავებდი, მოვიდა დიმიტრი ორბელიანი და მიამბო მეტად საჴწუხარო ამბავი: ანდრონიკოვის არჩილის შვილმა, მერაბ, დამბაჩა იკრა თავში! მაშინვე გავჴმახდი იმის სანახავად; დოქტორები გარეშე ეხვივნენ მშვენიერს ყმაწვილს კაცსა. 18-ის წლისა, უგონოდ და უიმედოდ მდებარესა. მიზეზი ყოფილა ის, რომ ეგზამენია ვერ დაუჭერია მეექვსეს კლასში გადასვლისათვის. ეს ყმაწვილი იყო ჩემი ნათლული. ვაი ამის დედა ბარბარეს! ღმერთო, ეს რა უბედური ქვეყანა შეიქმნა ჩვენი საქართველო! ყოველის მხრიდან ისმის მხოლოდ მწუხარების ხმა; ველარსად ვხედავ გულით გახარებულსა.

დღეს დილით მომივიდა ამბავი, რომ საწყალ ყმაწვილსა აუხილავს თვალები და მოითხოვა ჩაი. ეს კარგი ნიშანია, მაგრამ ტყვია თავში აქვს დარჩენილი.

ჩემს გულით საკუთარს — საყვარელს დავითს ჩავჴკოცნი, აგრეთვე კნეინა ანეტას ხელს კოცნას მოვახსენებ, და ღმერთმა აკურთხოს მაგათი შვილები.

თ. გრიგოლ ორბელიანი".

ეკატერინე გრიგოლს მოუთმენლად მოელოდა წინანდალში. თითქოს იქ რაღაც დაკარგულს ეძებდა, ვერ პოულობდა და ეგონა ის აპოვნინებდა. ახლა, ეს ბარათი რომ წაიკითხა, დაღონდა. სწორედ ამ დროს პეტერბურგის ამბავი მოიტანეს წინანდალში.

სულ ახალი და ახალი ამბები მოდიოდა პეტერბურგიდან. ბორგავდა ყალყზე შემდგარი რუსეთი. სამოციან წლებში აგორებული რევოლუციური ტალღა უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ბატონყმობის ფორმალურად გაუქმებამ ვერ დაამშვიდა რევოლუციური რუსეთი. ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, დობროლუბოვის მალმერთებელ ახალგაზრდობას მათი სახელი ისევ სალოცავად მიაჩნდა, რევოლუციური ორგანიზაციები

ისევ რაზმავდნენ ხალხს. პეტერბურგში ნეკრასოვის დაკრძალვა ახალგაზრდობამ დემონსტრაციად გადააქცია. როცა დაკრძალვაზე დოსტოევსკიმ თქვა პუშკინის შემდეგ ყველაზე დიდი პოეტი ნეკრასოვი იყოო, სიტყვა შეაწყვეტინეს, ხალხმა ერთხმად იგრიალა პუშკინზე დიდი იყოო. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და რევოლუციურმა ახალგაზრდობამ უფრო გაიდგა ფეხი...

ეკატერინე ავადმყოფი ძმის სანახავად ჩასულიყო წინანდალში. აქაც, ამ ძველ ოჯახშიაც ყველაფერი არეული იყო. დავითი ვალებში იყო ჩაფლული და დას შესჩივლა, გამოუვალ მდგომარეობაში ვარო, იმპერატორს თხოვნით მივმართეთ, მაგრამ ჩვენი ჩივილი არავის ესმისო. თავის მხრივ ეკატერინემაც შესჩივლა თავისი უბედურება. სწორედ ამ დროს წინანდალში ამბავი ჩაიტანეს, პეტერბურგში ალექსანდრე მეორე მოუკლავთო. ეკატერინე სიხარულით ცას ეწია. მართალია, იმპერატორი დიდხანს მფარველობდა მას, მაგრამ სამთავროს წართმევა მაინც ვერ ეპატიებინა.

— ასეა, ჩემო დავით, ჩემი და ჩვენი ოჯახის მტერი ვერ გაიხარებს. გაგარინმა და კოლუბიაკინმაც სამეგრელოდან გამაძევეს, მაგრამ შენც კარგად იცი, ჩემო დავით, რა ბედიც ეწიათ მათ: ერთი სვანმა ჩააძაღლა, ვერც მეორემ გაიხარა ჩემი ცოდვით, ისიც ჩაძაღლდა. ახლა კი, ხომ ხედავ, იმპერატორსაც უწია ჩემმა ცოდვამ. არა, მთლად არ გაგვწირა ღმერთმა.— ეუბნებოდა ძმას ეკატერინე და, როგორც მაშინ 1857 წელს სამეგრელოდან მიდიოდა იმედებითა და ოცნებით მოცული, ახლაც იმედი ჩაესახა გულს: იფიქრა ახალი იმპერატორი უთუოდ გამოასწორებს ჩემს მიმართ ჩადენილ დანაშაულსო.

იმპერატორის მემკვიდრემ ალექსანდრე მესამემ მკვლელების ორგანიზატორებზე სასტიკი შური იძია. სემიონოვის მოედანზე დღისით სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს: ჟელიაბოვი, პეროვსკაია, მიხაილოვი, კიბალჩიჩი, რისაკოვი... რეაქციამ მაინც ვერ გატეხა ხალხის ნებისყოფა და რწმენა.

იმპერატორის მემკვიდრე — ალექსანდრე მესამემ პირწმინდად გააგრძელა მამის პოლიტიკა და სასტიკად შეუტია ყოველგვარ „ბუნტოვჩიკებს“. ახალი პოლიციური ორგანიზაცია— ოხრანკა შექმნა და უნივერსიტეტებსა და სკოლებში უსას-

ტიკესი რეჟიმი გააბატონა, განსაკუთრებული ბრძოლა გამოუცხადა მცირე ერების ეროვნულ მოძრაობას. რევოლუციურმა ახალგაზრდობამ შავი რეაქციის შემოტევას შეტევით უპასუხა.

ასევე მოხდა საქართველოშიც. საქართველოს რევოლუციურმა ორგანიზაციებმა პროკლამაციები დაბეჭდეს და ყველა ქალაქსა და სოფელს მოჰფინეს:

— აჯანყდით, აჯანყდით! არ დაანებოთ იმპერატორს კონსტიტუციის მიღება. ხელმწიფე ხალხის დამღუპველია... მოითხოვეთ კონსტიტუცია, ხომ უყურებთ, რომ ჩვენ უკანასკნელ ლუკმა პურს გვართმევენ...

თბილისის სემინარიაც გაფიცვის ტალღამ მოიცვა. სემინარიელმა ლაღიაშვილმა ხანჯლით გაგმირა სემინარიის რექტორი რეაქციონერი პავლე ჩუდეცკი. ამის გამო რევოლუციისა და ქართველი ხალხის მტერმა, საქართველოს ეგზარხოსმა პავლემ დაწყევლა საქართველო, ის ერი, რომელმაც დაბადა სოსო ლაღიაშვილი. მთელი საქართველო ფეხზე დადგა, პირველმა დიმიტრი ყიფიანმა ამოიღო ხმა და პროტესტის წერილი მისწერა ეგზარხოსს:

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მოიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და თუ გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოთ ხართ მოწოდებული, და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და მოწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახული გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამღვთოს წინაშე იმ უცოდველის სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოთქვით. თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქნას გაყვანილი. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყოისისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება, ხოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენის მწყემსმთავრული ხელით“.

დიმიტრი ყიფიანი ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის იმპერატორს, მაგრამ არასოდეს ღალატობდა ქართველების ინტერესებს და ამ ნიადაგზე მუდმივად ეკამათებოდა და ედავებოდა მეფის მოხელეებს. ამ წლებში იგი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ხან იანოვსკის უტევდა, ხან კატკოვს, ხან კიდევ — დონდუკოვ-კორსაკოვს.

— ქართველების სურვილი ის არის, რაც ყოველ ერს ამოძრავებს: დაიცვან თავიანთი სამშობლო, ენა, მამული და სარწმუნოება, იანოვსკისა და მის აგენტებს კი სურთ დაავიწყონ ქართველებს დედაენა. ისინი ჩვენს ხალხს ცილს სწამებენ, მეფის წინაშე აბეზღებენ. — ასე გაცხარებით ეკამათებოდა ყიფიანი კავკასიის ოლქის სასწავლო მზრუნველს, იანოვსკის. მეფის მოხელეები უკან არ იხევდნენ, სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში მარტო თბილისის სემინარიიდან ოთხმოცდარვა საუკეთესო შეგირდი გარიცხეს მთავრობის ორგულობის მოწმობით.

ქართველთა ეროვნული მეთაურები — ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე განგაშს სტეხდნენ. ქუთაისიდან დიმიტრი ყიფიანი უტევდა. რუსებმა ახლა სამეგრელოს გარუსება მოინდომეს და განიზრახეს იქ სკოლებში ქართული ენა მოესპოთ. სამეგრელოს შეგნებული ნაწილი წინ აღუდგა ამ ბოროტ საწადელს. ეკატერინე დადიანიც ჩაერია ამ საქმეში.

დიმიტრი ყიფიანმა მკვეთრად აღიმაღლა ხმა: „მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და კულტურული ენა სამეგრელოში და იქ ყველას ესმის ეს ენა. ამჟამად კი იქ ახალ კულტურას ნერგავენ — მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით. ასე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი ენები აჭარელებისა, ფშავ-ხევსურებისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. რად გვექცევიან ასე? რად თიშავენ საქართველოს? განურჩევლად ყველას ეპყრობიან ასეთნაირად თუ მხოლოდ ჩვენ — ქართველებს“?

დიმიტრი ყიფიანი მაგრად დაუხვდა რეაქციის შემოტევას. დიმიტრი, ეს უკვე ჰაღარა პატრიოტი, დარწმუნდა, რომ საქართველოს დაცვა მსხვერპლს მოითხოვდა და ამ მსხვერპლს არ მოერიდა, გაბედულად შეუტია რუსიფიკატორებს. და აი, ეგზარხოსისადმი მიმართული მისი წერილი საქართველოს

მტერმა დონდუკოვ-კორსაკოვმა მოხერხებულად გამოიყენა და ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს. რამდენიმე თვის შემდეგ კი, საქართველოს დიდი მამულიშვილი, თავდადებული ქართველი იქ ვერაგულად მოკლეს. მთელი საქართველო ფეხზე დადგა. მისმა რჩეულმა შვილებმა ამ მართლაც „დიმიტრი თავდადებულის“ ნეშტი მოწიწებით ჩამოასვენეს, მისი დასაფლავება უდიდეს ეროვნულ დემონსტრაციად გადაიქცა. ილია ჭავჭავაძემ ვრცელი სიტყვა უძღვნა დიმიტრი ყიფიანს: „იგი იყო კაცი, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს“, როცა გული ამბობდა „არას“. ქართველმა სტუდენტებმა მოსკოვიდან, პეტერბურგიდან, კიევიდან პატრიოტული წერილები გამოგზავნეს, რომლებიც ილიას გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა. დიმიტრი ყიფიანების კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა. მათ შორის იყო ქართველი მუშების — ასოთამწყობების გვირგვინი, რომელზედაც ამოკვეთილი იყო პოეტის სიტყვები: „ცუდად ხომ ეაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება!“...

* * *

1877 წელს აკაკი თავის დაქვრივებული დის მატატას მცირეწლოვანი ქალიშვილის ანეტას აპეკუნად დანიშნეს და ამის შემდეგ უფრო ხშირი სტუმარი გახდა სამეგრელოში. აკაკი მარტო მეურვეობას კი არ უწევდა დისწულის ქონებას, არამედ, ამავე დროს, პირადად ხელმძღვანელობდა მის აღზრდას. ანეტა დადიანი თვითონაც თხზავდა ლექსებს და რუსულიდან პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებსაც თარგმნიდა. აკაკი ხელმძღვანელობდა და ეხმარებოდა ნიჭიერ დისწულს, ამავე დროს ხშირად გამოდიოდა ქუთაისსა და სამეგრელოში იმჟამად წამოჭრილ საზოგადოებრივ საჭირბოროტო საკითხებზე. ასე გრძელდებოდა ეს რამდენიმე ხნის განმავლობაში.

1881 წელს 23 აპრილს აკაკი თავის დიდ მეგობარს — ელისაბედ მარჯანიშვილს სწერდა: „ორშაბათს, ე. ი. ამ ორ დღეში ქუთაისში მივდივარ, იქიდან კი სამეგრელოში“.

21 მაისს აკაკიმ ქუთაისში „ვეფხისტყაოსანზე“ საჯარო ლექცია წაიკითხა. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო და დი-

დი პატივისცემაც დაუდასტურეს ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს. ამის გამო 27 მაისს აკაკი ჩერქეზიშვილის ქალს ატყობინებდა:

„ძვირფასო დაო ლიზა, გუშინ იყო ჩემი პირველი ლექციაᲒ. თუმცა ისე გამტანჯა პოლიციამ, რომ აფიშები საღამომდე არ გამოუშვიათ, მაგრამ ხალხი მაინც დიდძალი შეიკრიბა... ხშირად მაწყვეტინებდნენ კითხვას ტაშისა და ბრავოში. ძალიან კმაყოფილი დარჩა ხალხი, გამოხმობას ბოლო აღარ ქონდა. მე მხოლოდ იმით დავრჩი კმაყოფილი, რომ ხალხმა ქართულ კითხვას თანაუგრძნო. ჩემი საქმეები კარგად მიდის. დღეს სენაკში მივდივარ“.

აკაკიმ ზუგდიდში დედოფალი მოინახულა და ისევ დიდხანს ესაუბრა. ეკატერინემ მგოსანი დიდი პატივით მიიღო, განსაკუთრებით ალექსანდრე მეორის გამო დაწერილი ლექსი უქო. დედოფალმა ზეპირად იცოდა ეს ლექსი და თქვა კიდეც ავტორის წინაშე:

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს. გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა!
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი თუ: „გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მოვალი!

„მოვესწრები, რაც მინდოდ
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ენახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

„დაეყნოს ვარდსა გადაშლილსა.
ვუპვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად: „ტია, ტიას“.

მგრძნობიერმა კითხვამ აკაკის ცრემლი მოჰგვარა და მადლობის ნიშნად დედოფალს ხელზე ეამბორა.

— თქვენ დიდი გამბედაობა გამოიჩინეთ. ალექსანდრე მეორე პირში მაქებდა და ყველაფერს მპირდებოდა, საქმით კი ბოლო მომიღო, მაგრამ ღმერთმა სამაგიერო მიუზღო. ყველაფერი მიპატიებია თქვენთვის, ჩემო აკაკი. მართლაც გაბედული და თავდადებული ყოფილხართ! თუმცა ახლა სიკვდილის პირსა ვარ მიმდგარი, მაგრამ თქვენისთანა ადამიანების იმედი მიმყვება იმქვეყნად, თუმცა თქვენ მეტად ახირებული კაცი ბრძანდებით, ბატონო აკაკი.

— მართალია, ახირებული ვიყავი, მაგრამ იმ ახირებულობაში დიდი სიწმინდე, გულწრფელობა და უტყუარი პატიოსნებაც იყო. სადაც გულწრფელობა და უტყუარი პირდაპირობა არ არის, იქ არ შეიძლება სამშობლოს უანგარო სამსახურზე ლაპარაკი. ყოველგვარი პირადობა და ეგოისტობა ჩემთვის მიუღებელი იყო და ამიტომ ნაწყენიც ბევრი მყავდა, მაგრამ, რა ვქნა, ამ სენს მხოლოდ საფლავი გაასწორებს.

— დიახ, დიახ, ჩემო აკაკი, თქვენ და ილიამ დიდი სამსახური გაუწიეთ ქვეყანას და ისევ ერთად სამსახური გმართებთ სამშობლოსათვის.

— მე იმ აზრისა ვარ, რომ ყოველი ქართველი პატიოსნად უნდა ემსახუროს თავის ერს. ღმერთმაც იცის და კაცმაც, არაფერი დამიკლია ქვეყნის სამსახურისათვის. დიახ, ილიაც ასეთივე თავშეწირულია. ოღონდ მე და ილიას ხშირად გვიპირისპირებენ ერთმანეთს და ამას ქვეყნის მტრობითაც სჩადიან. „ვეფხისტყაოსანში“ ერთი ტაეპია: „ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმინდოსო“. ზოგიერთს ეს ლექსი შესისხლხორცებული ჰქონდა და ილიას ცამდის აყვანას ისე ვერ ახერხებდა, იმავე დროს მე ქვესკნელში რომ არ ჩავეძვრინე. ზოგი მე მაქებს გადამეტებით. ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში თითქოს წესად იქცა ეს დაპირისპირება, მტრობა და შუღლი.

— მართალია, ჩემო აკაკი, მართალი, მტრობამ და შუღლმა დაგვღუპა, თორემ უფრო კარგად იქნებოდა ჩვენი საქმე. — დედოფალს გული აუჩუყდა. უცბად ხველაც აუვარდა. აკაკი მი-

ეშველა და დარბაზში შეიყვანა. ეკატერინე ტახტზე წამოწვა და აკაკი ფეხაკრეფით მეორე დარბაზში გავიდა.

მეორე დღეს აკაკი დედოფალს გამოემშვიდობა და თბილისში გამოსწია.

* * *

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლები დაიწყო. სხვა დრო დადგა, სხვა ხალხი მოვიდა, ახალი ძალა გამოჩნდა. საქართველოს ლურჯი ზეცა ფაბრიკა-ქარხნების კვამლმა გადააშავა, რკინიგზა ზუგდიდის კარებს მიადგა და ქართველმა მუშამაც სხვა თვალით შეხედა ყოველივეს, წარსულსაც და აწმყოსაც. პროლეტარიატმა შეუტია ძველ სამყაროს. განწირული ფეოდალები, უკანასკნელი შეტევის ჟინით აღვსილნი, ადვილად არ სთმობდნენ პოზიციებს.

დაუძლურებული და ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდნილი ეკატერინე ქვეყანას ემდუროდა, მოახლოებულ წარღვნაზე ლაპარაკობდა და მოთქვამდა. ახალი მისთვის სავსებით გაუგებარიც იყო და მიუღებელიც. ფუფუნებას, განცხრომას, დიდკაცობას მიჩვეული დედოფალი ახალ დროს ვერ ეგუებოდა. თბილისში გრიგოლ ორბელიანი ეგულებოდა და იმას შესჩიოდა ახალი დროის უკუღმართობას. გრიგოლიც თბილისიდან დიდი თანაგრძნობით თითქოს ამშვიდებდა დედოფალს, მაგრამ თვით მისი პირადი წერილებიც აღსავსე იყო სოფლის სამდურავითა და ახალი დროის საყვედურებით. აქ — გრიგოლ ორბელიანი, იქ — ეკატერინე ჭავჭავაძე, ეს ორი დიდება ძველი საქართველოსი, მისი სილამაზე და ეშხი, მუდამ ლხენასა და ზეიმს მიჩვეული ეს ორი დიდებული ერთმანეთს ანუგეშებდნენ, მაგრამ სანუგეშო ვეღარა ეპოვნათ რა და მათი წერილები მოთქმას უფრო ჰგვანდა, ვიდრე დასამშვიდებლად და მოსაკითხავად მიწერილ ბარათებს. და ბოლოს, ცხოვრებამ სძლია ამ ძველ გოლიათებს და სიკვდილის ბორბლები მათს თავზედაც შეაყენა.

* * *

1882 წლის თებერვალს ავადმყოფ ეკატერინეს ისევ ესტუმრა იონა მეუნარგია. დედოფალი ძლივს სუნთქავდა. მაინც გაახილა თვალი და პატივისცემით შეხედა სტუმარს, დაბრძანდიო, ანიშნა. შეწუხდა მეუნარგია, ასე ავადმყოფი რომ იხილა დე-

დოფალი და გამომშვიდობება არჩია, მაგრამ ეკატერინემ შეაჩერა:

— მე ძლიერ ცუდადა ვარ, მაგრამ დაგიბარე და აი რატომ: გუშინ ჩემს ალბომს ვათვალიერებდი, ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი ვნახე, თავისივე ხელით დაწერილი. მოდი აი ეს ლექსები თვითონ ნახე. — დედოფალმა მაგიდაზე დადებულ ალბომზე მიუთითა.

მეუნარგიამ ალბომი გადმოიღო, ფრთხილად გადაშალა, უმალვე ბარათაშვილის ლექსებს წააწყდა. პირველი სამი ლექსი — „ძია გ-რ-ს", „ღამე ყაბახზე" და „ნა... ფორტეპიანოზე მომღერალი" — ბარათაშვილის ხელით იყო დაწერილი. ავტორი ყველა ლექსს ხელს აწერდა, იქვე თარიღი იყო მიწერილი: „1841 წ." დანარჩენი ორი ლექსიც ბარათაშვილის ხელით იყო გადაწერილი, მაგრამ ბოლოში ხელს არ აწერდა. იონამ ეს ლექსები ახლო მიუტანა დედოფალს სასთუმალთან და, თუმცა დარწმუნდა, რომ ეს ბარათაშვილის ხელწერა იყო, მაინც ჰკითხა: „ხომ ბარათაშვილის ლექსებია ეს?" დიახო—დაუდასტურა დედოფალმა და თან დაუმატა, ეს ის ლექსებია 1841 წელს, როცა მე თბილისში ვიყავი, ბარათაშვილმა თავისივე ხელით რომ დამიწერა და მომცაო, უფრო გვიან კი თავისი ყველა ლექსი და „ბედი ქართლისა" გადაწერა და ორი რვეული ზუგდიდს გამომიგზავნა, იმ რვეულებს მე ყველგან თან დავატარებდი, პეტერბურგშიც თან წავიღე და როგორც გითხარით, დავკარგე, ჩემს ალბომებს მხოლოდ ეს ლექსები შერჩა, თუ გნებავთ გადაწერეთ და გამოიყენეთ როგორც გენებოთო.

მეუნარგია საწერ მაგიდას მიუჯდა, ლამაზად გადაწერა ბარათაშვილის ლექსები, მოკრძალებით გამოემშვიდობა დედოფალს და შინ გასწია. შინ ხელმეორედ გადაწერა და იმავე დღეს ილია ჭავჭავაძეს გაუგზავნა თბილისს. მიიღო თუ არა ბარათაშვილის ლექსები, ილიამ უზომოდ გაიხარა, და ჟურნალის მორიგ ნომერში დაბეჭდა. „ივერიის" 1882 წლის მე-6 ნომერში დაბეჭდილ ამ ლექსებს ილიას ასეთი შენიშვნები ჰქონდა:

„ეს ძვირფასი ლექსები ნიკოლოზ ბარათაშვილისა, მოგვივიდა ჩვენ ბ-ნ იონა მეუნარგიასავან, რომლებიც სამეგრელოს დედოფლის უგანათლებულესი კნ. ეკატერინეს ქაღალდებში უპოვნია. ხუთივე ლექსი ბარათაშვილის ხელით არის თურმე

დაწერილი და მათს სინამდვილეს დედოფალი ამტკიცებს. თვითონ ლექსის კილოზედ ეტყობა, რომ სწორედ ნ. ბარათაშვილის კალამს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ორს — „ღამე ყაბახზე“ და „ნა... ფორტეპიანოზე მომღერალი“ — დასრულება აკლია“.

რედაქცია.

„ივერიაში“ გამოქვეყნებულ ბარათაშვილის ამ ახალ ლექსებს გაზეთი „დროება“ მაშინვე გამოეხმაურა და 3 ივნისის ნომერში დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის წერილი: ნ. ბარათაშვილის ხუთი ნაპოვნი ლექსი (ეკ. დადიანის ქაღალდებში)“.

იონა მეუნარგიამ თვითონ მიართვა დედოფალს „ივერიისა“ და „დროების“ ეს ნომრები. ეკატერინემ გაიხარა, ბარათაშვილის ლექსების გვერდით თავისი სახელი და გვარი რომ ნახა მოხსენებული. ძალიან ეამა ეს ამბავი და დიდი მადლობა გადაუხადა ახალგაზრდა მეუნარგიას...

...ეკატერინე ავად იყო, მაგრამ ტრადიციულ, სააღდგომო მზადებას მაინც შეუდგა სასახლე. დედოფალს უნდოდა სააღდგომო დღესასწაული დადიანებისათვის ჩვეული ბრწყინვალებით ჩაეტარებინა. მწოლიარე ავადმყოფი ყოველდღე ახალ და ახალ განკარგულებას იძლეოდა. თან ბარათებს სწერდა ახლობლებსა და მეგობრებს, სააღდგომოდ ეპატიჟებოდა. მისი ვაჟიშვილები ნიკო და ანდრო საქართველოში არ იყვნენ და ესეც აწუხებდა ავადმყოფ დედოფალს. იმ დღეს წერილი მისწერა გრიგოლ დადიანს:

„ჩემო უძვირფასესო მაზლო გრიგოლ, გუშინ შენი წიგნი მომივიდა და ძლიერ მასიამოვნა. მე არ ვარ კარგად, სისუსტე ხშირად მომდის და გული მიღონდება. ძალიან მოწყენილი ვარ. ჩემო გრიგოლ, გთხოვთ სააღდგომოდ ჩემთან მოხვიდე.

სალომე თავის ქმრითა და შვილებით კარგად არის, სიხარულით მოკითხვას მოგიძღვნიან. ანდრო მწერს იტალიაში მივდივარო, ნიკოს ამბავი დიდი ხანია არაფერი არ ვიცი. მერის წერილიც არ მიმიღია.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო გრიგოლ. ბევრს გაკოცებ, დავშთები მარად შენი ერთგული რძალი.

„თავრინა ეკატერინა“.

12 მარტი, 1882 წ. ქ. ზუგდიდი.

ის ზამთარი ავადმყოფმა დედოფალმა ზუგდიდს გაატარა. გაზაფხულზე უფრო ცუდად შეიქნა და თბილისიდან, პეტერბურგიდან ექიმები გამოიწვიეს. ავადმყოფი, ექიმების რჩევით, გორდს გადაიყვანეს. გორდში ისევ შეუტია ავადმყოფობამ.

* * *

. იმ დილით დედოფალი ძალზე ცუდად გახდა. წინა ღამით ნანახი სიზმარი ჯერაც მძიმედ აწვა მის ავადმყოფ სულს. უცნაური სიზმარი ნახა: უღრან ტყეში იყო, ოღონდ არ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ამ უცნაურ ადგილას. იგი ვერც შუამთისა და ვერც ურთის მთის ტყისთვის მიემგვანებინა. მუხნარის, წაბლნარის და რცხილნარის შუაგულ ტყეში ოდნავ გავაკებულ ადგილას იდგა. იქვე დიდი მუხის ძირას წყარო ამოჩუხჩუხებდა, დილა იყო, ფრინველები სიმღერით ესალმებოდნენ მზის ამოსვლას.

მოწყურებული დედოფალი წყაროს წყალს დაეწაფა, აიხედა და გაქვავდა. მუხის გარშემო დათვები დააბოტებდნენ. ერთი მათგანი თავის კანტურითა და უცნაური ბურდღუნით გამოეყო დათვებს და დედოფლისაკენ გამოსწია. სულ ახლოს მოვიდა დედოფალთან. ის იყო დათვმა თათები აღმართა, რომ განწირულმა და სასოწარკვეთილმა დედოფალმა იყვირა და ხელები გაასავსავა. სწორედ ამ დროს ზევიდან ფრთებიან რაშზე შემჯდარი კაცი დაეშვა, ხელები მოჰხვია, გულში ჩაიხუტა და ღონემიხდილი დედოფალი ნაფოტივით ზევით აიტაცა.

უცბად მთის წვერზე დაფრინდნენ. მოტიტვლებულ მწვერვალზე ერთადერთი ხე იდგა. კაცმა დედოფალი ფრთხილად ჩამოსვა ცხენიდან, ხოლო ცხენი იქვე ამ ხეს აღვირით მიაბა. მხოლოდ ახლა შეხედა დედოფალმა მხედარს, შეხედა და შეიცნო. ქულაჯაში გამოწყობილი მხედარი გამოცხადებული ტატო იყო, მაგრამ ეს ხმალი? ხმლიანი არასოდეს ეხილა ბარათაშვილი და უფრო უცნაურად დააკვირდა მხედარს. ნამდვილად ტატო იყო, ტატო ბარათაშვილი! სიხარულისაგან იყვირა და ის იყო უნდა გადაჰხვეოდა ტატოს, რომ ამ დროს, ცამ იგრგვინა თუ მიწა ინძრა, ერთბაშად ჩოხა-ახალუხში და ქამარ-ხანჯალში ჩამჯდარი მამაკაცი გამოეცხადა. ეს კაცი ფრთებიან რაშზე იჯდა და მარქაფად ფრთებგამობმული ის ულაყი ახლდა, რომელზედაც

დედოფალი იჯდა თათრების წინააღმდეგ ომში. მამაკაცმა უბრძანა დედოფალს ამ ცხენზე შეჯექიო. დედოფალი დაემორჩილა მხედრის სურვილს. კაცმა ხელიც შეაშველა და დედოფალი თავის ულაყზე შეჯდა. მერე უკან მოიხედა და იცნო: ის მხედარი დავით დადიანი იყო. იცნო და ის იყო გაფრინდა კიდეც დედოფლის რაში. უკან ცხენზე ამხედრებული დავითი გამოეკიდა. თვალის დახამხამების უმალ აუშვა ხეზე მიბმული რაში ტატომ და ცხენდაცხენ გამოეკიდა ეკატერინეს. მიუახლოვდა თუ არა ტატო ეკატერინეს, დადიანმა ხმალი იშიშვლა და მოუქნია. ბარათაშვილმა ქვევიდან აუკრა ხმალი ხმალს და ცა ნაპერწკლებმა გაანათა. ახლა ბარათაშვილმა მოუქნია, დადიანმაც მარჯვედ დაახვედრა ხმალი. ბარათაშვილის ასხლეტილმა ხმალმა თავი წააცალა ეკატერინეს ცხენს. დედოფალმა შიშით უკან გადაიწია და ხელში აღვირი შერჩა, ცხენიც გამოეცალა ფეხებიდან, ჰაერში გამოკიდებული დედოფალი მიწას დაენარცხებოდა, რომ ამ დროს ანგელოზის ფრთები არ გამობმოდა. ცაში ისევ ჩახაჩუხი გაჰქონდა ხმლებს. დედოფალი ისევ უვნებლად დაეშვა იმ წყაროსთან, სადაც ამ დილით იდგა.

ძირს დაიხედა, იქვე, ფეხებთან, ბარათაშვილის ლექსების კრებული იდო. ეს ის რვეული იყო, დაკარგულად რომ ეგულებოდა. დედოფალმა უზომოდ გაიხარა და რვეულების ასაღებად დაიხარა. სწორედ ამ დროს შავი ყორანი მოფარფატდა, დაასწრო და კრებული ნისკარტით ჰაერში აიტაცა. დედოფალმა ზევით აიხედა. ცა მთლად შავი ყორნების ფრთებს დაეფარა და იქ ვერაფერი გაარჩია.ახლა ისევ ქვევით დაიხედა. ვეებერთელა წყარო ტბად ქცეულიყო და იქიდან გველეშაპი გამოსრიალდა. ენის სარსალით და უცნაური წივილით ეს ურჩხული დედოფლისაკენ მოიწევდა. იკივლა „შეშინებულმა ეკატერინემ და ამ წვალებაში კიდეც გამოეღვიძა.

ისევ ჩაეძინა დედოფალს. ახლა სხვა სურათი ეზმანა ეკატერინეს. თბილისში მამის სასახლის წინ საქართველოს თავკაცებს მოეყარათ თავი. სასახლიდან თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მამა გამობრძანდა. საქართველოს თავკაცებმა გზა დაუთმეს ალექსანდრეს, ხოლო ერთმა მათგანმა თეთრი ტაიჩი მოართვა. ხანდაზმული გენერალი მკვირცხლად შეჯდა ცხენზე. ამ დროს თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი მოკისკისე

ეკატერინე წინ დაუდგა ცხენს. მამამ ბრძანა და კატინა მეორე ტაიჭზე შესვეს. ისევ გაირღვა შეჯგუფებული თავკაცების წრე და ცხენებზე ამხედრებული მამა-შვილი თავდაღმართით გოლოვინის პროსპექტზე დაეშვნენ. გოლოვინის პროსპექტზე კი ორ-ორ რიგად იყო ჩამწკრივებული ქართველთა ჯარი. სამხედრო აღლუმს გრიგოლ ორბელიანი და გრიგოლ დადიანი განაგებდნენ. ამ სურათით გახარებულმა ალექსანდრემ ჯარს გადასძახა: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“ და ჯარიც ერთხმად გამოეხმაურა ქართული „ვაშათი“ აღგზნებულ პოეტსა და გენერალს. ასე ჩამოუარეს პროსპექტის ერთ მხარეს ქართული „ვაშას“ გუგუნში. მათ უკან ორი ტაიჭოსანი თმაგრუზა ჭაბუკი მოსდევდა. ერთს საქართველოს დროშა ეჭირა, მეორეს—სამეფო გვირგვინი.

ეკატერინეს მეტად ფართო და გრძელი ეჩვენა გოლოვინის პროსპექტი. არც ასეთი ლამაზი სასახლეები, ამდენი ჯარი და მოზეიმე ხალხი უხილავს მის თვალებს წინათ. გაოცებული შეჰყურებდა ყველაფერს ამას და უზომოდ გახარებული გვერდით მოსდევდა ტაიჭზე ამხედრებულ მამას. ახლა მეორე მხრივ შემოუარეს ჯარს და ისევ მამის სასახლის წინ გაჩერდნენ. ალექსანდრე პირველი ჩამოხტა ცხენიდან, მის მაგალითს სხვებიც მიჰყვნენ. მათ წინ ის ორი ახალგაზრდა გაჩერდა, რომელთაც საქართველოს დროშა და გვირგვინი ეჭირათ ხელში. მათ გარშემო ისევ საქართველოს თავკაცებს მოეყარათ თავი. ალექსანდრემ პირჯვარი გადაისახა და დროშის წინ დაიჩოქა. მერე მარჯვენა ხელით დროშის კალთას მისწვდა და ეამბორა. ამ დროს ერთდროულად გამოეყვნენ საქართველოს თავკაცების წრეს დადიანი და ორბელიანი, ჭავჭავაძის პირდაპირ დადგნენ და ერთდროულადვე ეამბორნენ საქართველოს დახრილ დროშას. ადგა ალექსანდრე, თმაგრუზა ჭაბუკს საქართველოს სამეფო გვირგვინი ჩამოართვა და მოწიწებით თავზე დაადგა ეკატერინეს. სწორედ ამ დროს ხალხით სავსე მოედანი სტუდენტის ფორმაში გამოწყობილმა ჭაბუკმა გამოარღვია და ხელი დასტაცა საქართველოს დახრილ დროშას, ზეაღმართა იგი, შეარხია და ხალხს გადასძახა:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ...
გათენდა დღე დიდებისა.

თოფ-იარაღი ამსხი,
დრო მოდის გამარჯვებისა...

ხალხი იმეორებდა ჭაბუკის სიტყვებს:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ...

ეკატერინემ მოიხედა და რას ხედავს: ხალხი გუგუნით მისდევს სტუდენტს, რომელსაც მაღლა აუზიდავს საქართველოს ეროვნული დროშა. დედოფალი კი სულ მარტო დარჩა, ახლა თავზე მოისვა ხელი, სამეფო გვირგვინი აღარ ეხურა, გული ეტკინა ისედაც გულით ავადმყოფ დედოფალს და ამასობაში გამოეღვიძა.

წევს ავადმყოფი ეკატერინე და იგონებს ამ სურათს და ვერაფრით ვერ მოუგონებია, თუ ვინ იყო ის ჭაბუკი, რომელიც საქართველოს დროშით ხალხს გაუძღვა: ტატო, დავითი, თუ სხვა ვინმე? უცბად ავადმყოფი გონება გაუნათლდა და იმ ახალგაზრდა ჭაბუკში ილია ჭავჭავაძე შეიცნო. სწორედ ის ილია იყო, რომელიც პირველად პეტერბურგში ნახა. ავადმყოფობისა და სიზმრისაგან შეწუხებულმა დედოფალმა გორდის წყაროს წყალი მოითხოვა, მოართვეს, შესვა, მაგრამ ვერ მომჯობინდა.

ავადმყოფ ეკატერინეს თავზე ნაცნობები და მეგობრები ეხვევენენ. ზუგდიდიდან ცოლ-ქმარი ზუტნერებიც ამოსულიყვნენ. დედოფალს დიდად ეამა ბერტას ნახვა, სასთუმალთან დაისვა და საუბარი გაუბა. ავადმყოფი დედოფალი გამოცოცხლდა და ყველამ შვებით ამოისუნთქა. ამ დროს თბილისიდან ექიმებიც მოვიდნენ, გასინჯეს და სამკურნალოდ კარლსბადს წაბრძანება ურჩიეს. ეკატერინემ ხელები გაასავსავა, სრული უარი განაცხადა: — თუ სასიკვდილო ვარ, სულ ერთია, კარლსბადი ვერ მიშველის. მირჩევნია ისევ ჩემს მამულში მოვკვდე. ერთხელ ჩემი შვილის ცხენდარი ყუთით გამოვგზავნე, როცა სამშობლოში ჩამოსვლის უფლება აყრილი მქონდა და ახლა აღარ მინდა მეორედ ჩემი კუბოც ასევე გამოგზავნონ უცხოეთიდან. არა, მე აქ, ჩემს მამულში, ჩემს სასახლეში უნდა მოვკვდე.—ამას ისე ამბობდა დედოფალი, რომ ვერაფერი უთხრეს საწინააღმდეგო. მაგრამ დაღონდნენ, შფოთვარებამ მოიცვა მთელი სასახლე.

წუხდა დედოფალი, წუხდა და აბოდებდა. წამღერებით გამოთქვამდა რაღაც გაუგებარს. მისმა ქალიშვილმა სალომემ ყური სულ ახლოს მიუტანა დედას და გარკვევით გაიგონა:

დანარჩენი სიტყვები აღარ აგონდებოდა ეკატერინეს, წვალობდა და ვერ იგონებდა, ერთთავად ამ სიტყვებს იმეორებდა. უცბად ნაღვლიანად გაიღიმა და მის ბაგეს აღმოჰხდა:

> რომელთ უმაღლეს ამა ქვეყნად არღა არის სხვა რამ დიდება
> შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: როდის იქნება
> ის სამეფოცა ჩვენი იყოს და აღიძვრიან
> იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითეე არიან.

ერთხელ კიდევ გაიმეორა: „იმავ მიწისთვის". და დადუმდა.

ისევ შეუტია ხველებამ, სიმწრის ოფლმა დაასხა, მერე თითქოს დამშვიდდა. თვალი გაახილა, დარბაზის ჭერს მიაშტერდა და ხმამაღლა თქვა:

> ვერ დაჭირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი,
> მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი...

...მისგან ყოველი გასწორდეს... რამდენჯერმე გაიმეორა და ისევ დახუჭა თვალი.

...დედოფალს მამულისეული ოჯალეშის ღვინო მოართვეს. ღვინით სავსე ფიალა პირთან მიიტანა, ბაგე შეახო. მაგრამ დალევით ვერ დალია. ახლა წყაროს წყალი მოითხოვა. წყაროს ცივი წყალიც მოართვეს. ცოტა მოსვა და ხველება აუტყდა. ისედაც დაუძლურებული ხველამ მთლად დაასუსტა, ძლივს სუნთქავდა.

მერე ბრძანა, ფანჯრები გააღეთო. ღიაო, მოახსენეს. აბა კარებიც გააღეთ, ეგებ მეტი ჰაერი და მეტი სინათლე შემოვიდეს დარბაზშიო. ხველა მოეშვა და ცოტა დამშვიდდა. დედოფალმა თვალი გაახილა და იქვე კართან მდგარი გრიგოლ დადიანი დაინახა. მოეფერა მაზლს:

— ჰო, ჩემო გრიგოლ, შენც აქ ყოფილხარ, დიდად მიამა. ხომ ხედავ, ჩემო გრიგოლ, ვკვდები და დარდიც მიმყვება: ჩემ მტრებს სამაგიერო ვერ გადავუხადე. თუმცა ეს ყველა მტერზე არ ითქმის. ხომ გახსოვს, როგორ ვიფრინეთ აქედან ომარ-ფაშა, ხომ გახსოვს?— დედოფალს ცრემლი მოადგა.

გრიგოლმა სასთუმალთან დაიჩოქა და დედოფალს ხელზე ეამბორა. ეკატერინე წამოიწია და მაზლს ლოყაზე აკოცა. ცოტათი გახალისდა დედოფალი და ახლა ის ხმალი და ჩოხა-ახა-

ლუხი მოითხოვა, რომლითაც ომარ-ფაშას ეომებოდა. კარადიდან სასოებით შენახული ის ჩოხა-ახალუხი ჩამოხსნეს, რომელიც მეომარ ეკატერინეს ეცვა, ის ხმალიც ჩამოიღეს, რომელიც თურქების წინააღმდეგ ამხედრებულ დედოფალს მამაკაცივით განზე ჰქონდა გადაკიდებული.

ჩოხა-ახალუხი და ხმალი დედოფალს გრიგოლ დადიანმა მოართვა და თანაც ასე მოახსენა:

— ნუ, ნუ დაღონდები, ჩემო რძალო, შენ სასიკვდილო არაფერი გჭირს, ისევ ფეხზე გნახავ გამოჯანმრთელებულს და მე და შენ, ნოღალევში ფოტოგრაფი თაფლაძე რომ არის, იმასთან გადავიღოთ ერთად სურათი, შენ ამ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა და ხმალმომარჯვებულმა და მე—იმ ტანისამოსში გამოწყობილმა და ისევ იმ ხმალგადაკიდებულმა, თურქებთან ომში შენთან რომ მეცვა და მეკიდა.—ამ სიტყვებზე დადიანი იქვე სასთუმალთან ქანდაკებასავით გაჩერდა ხმლითა და ჩოხა-ახალუხით ხელში.

დედოფალმა ლოგინიდან წამოიწია, თითქოს ასადგომად ემზადება, რომ ჩოხა-ახალუხი ჩაიცვას და ხმალი გადაიკიდოსო: წამოიწია, მაგრამ დაუძლურებულმა წელი ვერ აითრია და მოცელილივით დაეცა სასთუმალზე. სინანულით ესღა აღმოხდა:

— მეტი არ არის ჩემი მტერი, ჩემო გრიგოლ, რომ აწი მე ამ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და ხმალგადაკიდებული მნახო. ჩემი კალო უკვე გალეწილია, მე აქედან ცოცხალი ვეღარ ავდგები, ალბათ, ასეთია ღვთის განაჩენი და აბა მე როგორ გადავალ გარდუვალსა. — ეს რომ თქვა, მარჯვნივ გადაიწია და ხელით შეეხო თავის საყვარელს ხმალს. სრული მდუმარება ჩამოვარდა დარბაზში. ხმას არავინ იღებდა. ამან უფრო დააღონა თვალები დახუჭა, რომ ამაყ დედოფალს ახლობლების ცრემლი არ დაენახა.

საღამო ხანს ავადმყოფი უფრო ცუდად შეიქნა. გულის წამალი დამალევინეთო — მოითხოვა.

ექიმმა რაღაც წვეთები მოუტანა. დალია, მაგრამ წამალმა ვერ უშველა.

— ფანჯრები და კარები გააღეთ, მეტი ჰაერი და სინათლე შემოუშვით, ხომ არ დაღამებულა?

— ჯერაც დღეაო, — მოახსენეს დედოფალს.

— არა, ალბათ დაღამდა და მიმალავთ, გააღეთ კარები, შემოუშვით სინათლე, სინათლე და ჰაერი! — ამის თქმა და სასთუმალზე მისვენება ერთი იყო.

სიცოცხლისა და მიჯნურობისათვის დაბადებული ეკატერინე მთელი ღამე წვალობდა და ებრძოდა სიკვდილს. საქართველოს ამ ულამაზეს და უმამაცეს ასულს გათენებისას წამებით აღმოხდა სული.

13 აგვისტოს მიიცვალა დედოფალი, 17 აგვისტოს კი გაზეთი „დროება“ პირველ გვერდზე შავ ჩარჩოში ჩასმული განცხადებით აუწყებდა საზოგადოებრიობას:

„თავადი მეგრელიისა ნიკოლოზ და თავადი დადიანი მეგრელიის ანდრია გულითადის მწუხარებითა აუწყებენ ნათესავთ თვისთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა საყვარლისა დედისა მათისა მთავრინა მეგრელიისა უგანათლებულესი კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასულისა; მიიცვალა ცამეტსა რიცხვსა ამა აგვისტოს თვისა. დასაფლავება გვამისა განსვენებულისა დანიშნულ არს მარტვილის სობოროში 21 რიცხვსა ამ აგვისტოს თვისა“.

„დროების“ კვალზე სხვა გაზეთებმაც — „შრომამ“, „მწყემსმა“, „კავკაზმა“—ვრცელი ნეკროლოგი და სამგლოვიარო განცხადებები გამოაქვეყნეს დედოფლის გარდაცვალების თაობაზე.

...ეკატერინე დიდი მწუხარებით დაიტირეს. რა წოდებისა და ჩინის ადამიანები არ იყვნენ აქ; ბაგრატიონები და დადიანები, ორბელიანები და ჭავჭავაძეები, ჩიქოვანები და მაყაშვილები, მხეიძეები და ფალავები, უცხოეთიდან, პეტერბურგიდან თუ თბილისიდან ჩამოსული სტუმრები, წარჩინებულნი და მდაბიონი, რჩეული ვაჟკაცები და მანდილოსნები. განსაკუთრებით ლამაზი ქალების სიმრავლე გეცემოდათ თვალში.

საქართველოს ლამაზმანების გუნდს ჩიჩუას ქალი მეთაურობდა. ეკა უკვე ორმოცდაათს გადაცილებული იყო. წოდებაც, შეუერცხლილი თმაც, დედოფალთან სიახლოვეც აქ მყოფ ქალთა შორის თავქალობის უფლებას დიახაც ანიჭებდა და ისიც ღირსეულად იმშვენებდა პირველობას.

ეკამ ჩიქოვანების, ფაღავების, ჩიჩუების, მხეიძეების და დგებუაძეების ქალებისაგან ოცდაათი ულამაზესი ასული შეარჩია და საგანგებო გუნდი შეადგინა. ისინი მთელი ორი დღე სამგლოვიაროდ რთავდნენ გორდის სასახლეს. დარბაზი, სადაც დედოფალი ესვენა, იისფერი ბლონდით ისე შემოსეს, რომ ირგვლივ გასაოცარი ცისფერი ნისლი იდგა. იატაკზე ნოხები დაგეს, ხოლო კუბოს გარშემო ცოცხალი ყვავილები და პალმები ოთხმწკრივად ისე განალაგეს, გეგონებოდათ ეს ყვავილები და პალმები იატაკიდან ამოსულაო. შავი და იისფერი ფარჩის გრეხილებით ოთხკუთხივ არშიები შემოავლეს დარბაზს. ჩიჩუას ქალმა მუხის ხე ფესვებიანად მოაგლეჯინა. ფესვებს მიწა მოაცილეს, ხე ნახევარზე გადახერხეს და უკუღმა შემბრუნებული კუბოს თავთან ისე დადგეს, რომ გადაბრუნებული მუხის ფესვები ადამიანის ჩონჩხს მოგაგონებდათ.

ქალებისათვის საგანგებოდ ძაძა შეაკერინეს, ლამაზმანებს შავი თავსაბურავებით თავი და პირი ისე ჰქონდათ შებურვილი, რომ თვალებიღა მოუჩანდათ, ირგვლივ ყოველივე მძიმე გლოვის შთაბეჭდილებას ახდენდა.

ჩიჩუას ქალმა ყველა ქალს თავისი საქმე დააკისრა. ზოგი შესასვლელი დარბაზის მარჯვნივ და მარცხნივ დააყენა წესრიგის დასაცავად, ზოგს ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით ცხედრის შემკობა დაავალა, ზოგს კიდევ საპატიო ყარაულში აყენებდა მორიგეობით. მუხისავე სიმაღლის თაფლის სანთლები ჩამოაქნევინა და გადაჭრილი მუხისა და კუბოს გარშემო ყარაულებივით ჩაამწკრივა. იწვოდა თაფლის სანთელი და დედოფლის ცხედარსა და მთელ დარბაზს რაღაცნაირი ყვითელი ფერი — სიკვდილის ფერი გადაჰკრავდა.

ეტლებით, ცხენებით, ურმებით, ქვეითად სამეგრელოს ყოველი კუთხიდან, იმერეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან აუარებელი ხალხი მოაწყდა გორდს. მოდიოდნენ, მოდიოდნენ უთვალავნი, გზებზე და ბილიკებზე, ხოლო კოლხეთის მცხუნვარე მზე ისე მწარედ იკბინებოდა, რომ სულის მოთქმა უჭირდათ გზაზე შეფიცხებულ მგზავრებს. მომტირალთა რიგს ბოლო არ უჩანდა, გორდის სასახლის ვეებერთელა ეზოში ტევა არ იყო და ისევ მოდიოდნენ მომტირლები. როცა შინაურები ვერ მოერივნენ ამდენი სტუმრის მიღებას,

მაშინ მარტვილის სასულიერო სასწავლებლიდან მოწაფეები გამოითხოვეს და ეზოს ჭიშკრიდან სასახლემდის ორ მწკრივად ჩააყენეს წესრიგის დასაცავად.

დედოფალი სასახლის მეორე სართულზე დიდ დარბაზში ესვენა. დარბაზის გარშემო ჭირისუფლებს და ახლობლებს დაეკავებინათ ადგილი. სალომე, ეკა და ეკატერინეს რძლები კუბოს თავთან ისხდნენ. დარბაზის შესასვლელთან ერთ მხარეს ნიკო და ანდრო იდგნენ, მეორე მხარეს კი გრიგოლ და კონსტანტინე დადიანები. ეკატერინეს ფრანგი სიძეც აქვე ფუსფუსებდა. იგიც ისევე უზომოდ შეწუხებული იყო, როგორც დედოფლის საკუთარი შვილები. თმაგაშლილი სალომე გულსაკლავად მოსთქვამდა და მთელი ნათესავები ტირილით ბანს აძლევდნენ.

მომსვლელები ქვემო სართულიდან კიბით ადიოდნენ, გარს უვლიდნენ კუბოს და მეორე კარითა და მეორე კიბით ისევ ქვემოთ ჩამოდიოდნენ, ეზოში ჩერდებოდნენ. ასასვლელ კიბესთან კაცების გუნდი გალობდა, რომელსაც ცნობილი ლოტბარი ჭალაგანიძე ხელმძღვანელობდა, ხოლო დარბაზის შესასვლელთან — მონაზვნების გუნდი. ეზოში, სასახლის დიდ ზოედნამდე, საქელეხო სუფრა იყო გაშლილი და ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

სასახლის სახურავიდან გადმოფენილი შავი ფარდა მთელ წინა კედელს ჰფარავდა. ამ ფარდაზე ეკატერინეს დიდი სურათი იყო დაკიდებული. ეს ის სურათი იყო, პარიზში რომ დაახატინა დედოფალმა. სურათს გარშემო შავი არშია ჰქონდა შემოვლებული, არშიების გარშემო კი ყვავილების დიდი წრე იყო. მთელ სასახლეს სამგლოვიარო ძაძები ეცვა. ირგვლივ ტირილი და გლოვა იდგა... გულისწამღებ მეგრულ მოთქმას ცა ძირს ჩამოჰქონდა. ამ გაბმულ მოთქმასა და ტირილში ორი ადამიანი იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას.

ერთი თევდორე მღვდელი იყო.

გაიგო თუ არა თევდორე მღვდელმა დედოფალი გარდაიცვალაო, იმავე დღეს თავის სახლშივე შეიცხადა. მღვდელი ისე ხმამაღლა მოსთქვამდა ქალივით, რომ მთელი მეზობლები მის სახლში შეიყარნენ. თევდორემ მთელი სოფელი გორდში წამოასხა და წინ თვითონ გაუძღვა მომტირალებს. გორდის

სასახლეს მიუახლოვდნენ თუ არა, თევდორემ ყაბალახი გადაიძრო, იქვე ვიღაც მღვდელს შეაჩერა ხელში და ჩვენებური გლეხივით თავში წაიშინა და წაიშინა. ეზოში შევიდა თუ არა, ისე მოუმატა ბღავილს, რომ მთელი ეს მომტირალი ხალხი მას შესცქეროდა. მოზარენი გვერდში ამოუდგნენ თევდორეს და მისთვის ხელების გაკავება განიზრახეს, მაგრამ მღვდელმა ახლო არავინ გაიკარა, ასე მოთქმითა და თავში წაშენით შევიდა დარბაზში და ზედ დაეკონა მიცვალებულს. დედოფალი ყინულივით ცივი იყო, მაგრამ გონდაკარგულ მღვდელს ეს არც უგრძვნია და მოთქმით ბუტბუტებდა: „ჩემო დედოფალო, ჩემო პატრონო". ესა თქვა და უფრო აბღავლდა. მივიდნენ და აყენება დაუწყეს, მაგრამ თევდორე შეეევედრა, მაცალეთო, მატირეთ ეს ჩემი პატრონი, ეს ჩემი ჩასვენებული მზე, ამასთან სიკვდილს რა უნდოდაო, ჯერ მე უნდა მოვმკვდარიყავი და მერე ესაო. მღვდელი თავის მოტვლეპილ თავს კუბოს თავზე ურტყამდა, ძლივს ააგლიჯეს იგი დედოფლის ცხედარს და ცოცხალ-მკვდარი გაათრიეს. თევდორე ეზოში იქვე ხის ძირას მიეგდო და გაბმულად ზლუქუნებდა.

დარბაზში ისევ ყველა ტიროდა, მაგრამ მათში ერთი ქალიც გამოირჩეოდა. მას, შუახნის ქალს, მონაზვნის ტანისამოსი, ტანისამოსი კი არა, შავი ხამისაგან შეკერილი ძონძები ეცვა. ეს თავწაკრული, ტანმალალი ქალი ქანდაკებასავით იდგა დედოფლის ცხედართან და მდუღარეს აფრქვევდა. მსხვილი, კაკლისოდენა ცრემლები ღაპაღუპით სცვივოდა მის თვალებს. ხმას არ იღებდა. ამ უცნაური სიჩუმითა და გაოგნებით იგი ყველას ყურადღებას იპყრობდა. მთელი დღე ასე იდგა ეს ქალი, მთელი დღე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და, ერთი სიტყვა რა არის, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, კრინტი არ დაუძრავს. იგი ეკატერინეს პირფარეში მზევინარი იყო. ეს ის მზევინარი იყო, პეტერბურგიდან დაბრუნებულ ეკატერინეს აჯანყებულებისა და ივანიკა წვერას ამბავს რომ უყვებოდა. ეკატერინეს პეტერბურგში გამგზავრების შემდეგ მზევინარი მონაზვნად შედგა და სახელიც შეუცვალეს, ივდითი შეარქვეს. ახლა ივდითი შუა დარბაზში იდგა და ტიროდა. ალბათ მთელი დღე ასე იტირებდა, ერთი ვიღაც მოხუცებული მონაზონი რომ არ მისულიყო და დაყვავებით გარეთ არ გაეყვანა.

მეხუთე დღეს დილიდანვე ისევ უამრავი ხალხი მოაწყდა სასახლეს. ღამე სასახლეში არავის ეძინა. გათენდა თუ არა, გასვენების თადარიგს შეუდგნენ. კონჩხის მთიდან მზე ამოიწვერა და პირველი სხივები გორდის გორაზე გაშენებულ დადიანების ბაღს მიაშუქა, მაგრამ ბაღის შუაგულში გაშენებულ სასახლემდე, იქამდე, სადაც დედოფალი ესვენა, მაინც ვერ მიაღწია. ჭადრების, ნაძვების, მუხების, ცაცხვების, ფიჭვებისა და ძელქვების აშოლტილ, ერთიმეორეზე მიჯრილ რიგს, ორ-ორწკრივად დაყოლებულ ხეთა ხეივნებს უკუექციათ მთიდან გადმოტყორცნილი მზის სხივები. გულუხვად გაშლილი ბაღის ხეთა ფოთლებს მთლად დაებურა ირგვლივ ყოველივე და აქ აგვისტოს ამ პაპანაქებაშიაც გრილოდა. ხეთა ჯარი გარინდებული იდგა და ელოდა თავის პატრონის გამობრძანებას. თვეზე მეტია, რაც ხეები ყოველ ცისმარე დილას ასე გარინდებულნი დგანან და ელიან პატრონის გამობრძანებას, მაგრამ ამაოდ, მათი პატრონი, მათთვის მზრუნველი არსად მოჩანს...

დილის ათი საათი იყო, თურჩას მთიდან ნიავმა რომ დაუბერა და ხეები უცნაურად ააწრიალა. დედოფლის ცხედარი გამოასვენეს და სასახლის წინ მოედანზე დაასვენეს. აივანზე სამეგრელოს ეპისკოპოსი ბესარიონი გადმოდგა და დედოფალს სიტყვით მიმართა. და ისევ გაირინდა ყოველივე. დამთავრდა სიტყვა და მარტვილის მონასტრის გუნდმა გულის დამაღონებელი გალობა დაიწყო. მზე უფრო და უფრო მიიწევდა ზევით და გორდის ბაღის ხის ჩრდილებიც უფრო და უფრო მოკლდებოდნენ, ხოლო ხის ტოტებს შორის გამომკრთალი მზის სხივები, გაბმულ ბაწარივით ყვითელ ზოლებად წვდებოდნენ დედოფლის ცხედარს, მკვდრის ფერი დადებოდა მთელს ბაღს. ქალებმა ასწიეს დედოფლის კუბო. ისევ წამოუქროლა ნიავმა თურჩის მთიდან. ხეებმაც თავი დახარეს, რომ უკანასკნელად პატივი ეცათ ამ ბაღის დაუღალავი მზრუნველისათვის.

ეკა ჩიჩუას ათი ულამაზესი ქალი შეერჩია და ეს ლამაზმანები თეთრი, ქათქათა ქართული კაბებით გამოეწყო. თავზე ცისფერი თავსაფრები ეხურათ და ამ უბედურებაში გაზაფხულის შთაბეჭდილებას ახდენდნენ. დედოფალსაც თავისი საყვარელი თეთრი კაბა ეცვა, რომელსაც ოდნავ ცისფერი გადაჰკრავდა. კუბო ვერცხლისფერი თუნუქისაგან იყო გაკე-

თებული. კარგი დარი იდგა და დედოფლის ცხედარი მზეზე ბრწყინავდა. ძაძით მოსილი ქალებისა და კაცების ფონზე თეთრი, ქათქათა კაბებით დამშვენებული ეს ათი ქალი, რომელთაც კუბო მიჰქონდათ, ისე ანათებდნენ, თითქოს სასახლის ეზოდან სიკვდილს აძევებენო.

იმავე საღამოს სამგლოვიარო პროცესია მარტვილის მონასტრის აღმართს მიადგა, დედოფლის ცხედარი მონასტერში დაასვენეს და პანაშვიდი გადაუხადეს. მეორე დღეს მარტვილის მონასტრის ეზოში სამგლოვიარო ცერემონიალი გაიმართა. ეზოში რამდენიმე ქორო გალობდა: მეჩონგურე ქალებისა, მარტვილის საუნივერსიტეტო სასწავლებლისა და მონასტრისა.

წესის აგებას აღასრულებდნენ იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსნი: გაბრიელი, ალექსანდრე და ბესარიონი. ვიდრე პარაკლისი დაიწყებოდა, იმერეთის ეპისკოპოსმა, მშვენიერმეტყველებით განთქმულმა გაბრიელმა სიტყვა წარმოთქვა. შემდეგ პანაშვიდი დაიწყო.

პანაშვიდის შემდეგ ისევ სიტყვები გაგრძელდა. გურიის ეპისკოპოსი ალექსანდრე პოეტმა დავით გიორგის ძე დადიანმა შეცვალა. ჯერ ეკატერინეს ქებით მიმართა პოეტმა:

მეს ჰქონდა ნება, მეფეთა სწორის...

შემდეგ მწუხარებით შესთხოვა:

ნახავ ანდრიას პირველწოდებულს,
მას შეავედრე მისი მარტვილი,
ნუ დასცემს ტაძარს, მის აღშენებულს,
დღეს, ვით სანაღვლოდ არის გარცვნილი...

პოეტის სიტყვის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე დეპეშების კითხვა დაიწყო. რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მესამის და საფრანგეთის იმპერატრიცას ევგენიას დეპეშები რუსულ და ფრანგულ ენებზე იონა მეუნარგიამ წაიკითხა და იქვე თარგმნა ქართულ ენაზე.

ახლა მარტვილის მონასტრის და სასულიერო სასწავლებლის გაერთიანებულმა გუნდებმა შეასრულეს საეკლესიო გალობა. სულ ბოლოს გამოსათხოვარი სიტყვა გრიგოლ დადიანმა წარმოთქვა. კოლხიდელმა ბოხი ხმით დაიწყო, მაგრამ მალე ცრემლი მოერია, სიტყვა შუაგზაზე გაუწყდა, თითქმის

ტირილით ნათქვამი სიტყვები ბოლოს ქვითინით დაასრულა: „მშვიდობა ცხედარსა შენსა“.

სამგლოვიარო კრებულმა, როგორც ერთმა კაცმა, ისე დაიჩოქა და შვიდიათასმა კაცმა ერთხმად გაიმეორა: „ მშვიდობა ცხედარსა შენსა“...

ხალხი დადუმდა, მარტვილის ზარებმა მოთქმა მორთეს. ზარები უცნაური, გულისდამაღონებელი, სევდიანი ხმით მოთქვამდნენ.

* * *

შუადღე გადასული იყო, ზარებისა და მოზარეების მოთქმაში დედოფლის ცხედარი მონასტრის შიგნით, დავით დადიანის გვერდით გათხრილ საფლავში რომ ჩაასვენეს.

საქართველოს სამთავრო სახლის უკანასკნელი დედოფალი მარტვილის უძველესი მონასტრის მიწას მიაბარეს.

მაგრამ სიმამაცისა, სილამაზისა და მიჯნურობის ამ გაუხუნარმა მუზამ გულზე მიყრილი მიწის ბელტები გამოარღვია და თავის ჩაუქრობელი სხივები მოგვაფრქვია, რომ ერთი საუკუნის შემდეგ ეს ამბავი გვეთქვა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გზა სიარულმა დალია	3
მამულო, საყვარელო, ...	47
ეკატერინე დადიანის წერილები დიმიტრი ყიფიანისადმი	70
დადიანები პარიზში	84
თევდორე ხოშტარიას დღიურები .	99
ვეკერლინის ვილაში . . .	127
ლუვრის სასახლეში . .	145
სხვა საქართველო სად არი .	147
ანაკლიიდან მოწერილი წერილები .	228
დაუფასებელი ამაგი	266
მისგან ყოველი გასწორდეს .	275

г 2
899. 962. 1—31
ჯ 461

რედაქტორი გ. ნატროშვილი
გამომც. რედაქტორი ნ. ხომერიკი
მხატვარი ირ. ჯანაშვილი
მხატვ. რედაქტორი ზ. რაზმაძე
ტექრედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი ლ. სიხარულიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/X-67 წ. ქაღალდის ზომა 84×108 1/32.
ნაბეჭდი თაბახი 16,17. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,91.

უე 00312. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 1233.

ფასი 47 კაპ.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება"
პლეხანოვის 179. თბილისი, 1967.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат Издательства ЦК КП Грузии.
Тбилиси, ул. Ленина, 14.

7—3—3